


რუსულან ნიშინაძე



უცნობი

ჯონჯ (გიორგი)

ბაბაშვილი



წიგნი I



რუსუდან ნიშნიანიძე

უცნობი  
ჯონჯ (ჯიორჯი) პაპაშვილი

წიგნი I



ეროვნული ბიბლიოთეკის  
გამომცემლობა

თბილისი

2018

UDC 821.111(73)(092)+821.353.1(092)+94(=353.1)(73)



ნ.-746

საპარტეზო პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

კუქუნი

ქობულაძის

ნათელ ხსენას

რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

ტექნიკური რედაქტორი – ანა მაცაშვილი

გარეკანის (ყდის) და წიგნის დიზაინი – რუსუდან ნიშნიანიძე

ორტომეულში წარმოდგენილი საარქივო ფოტოების გამოყენება და გავრცელება აკრძალულია

ISBN 978-9941-27-626-2 (ორტომეული)

ISBN 978-9941-27-627-9 (წიგნი პირველი)

© რუსუდან ნიშნიანიძე, 2018

K 43.122



საპარტეზო პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეგზური მიკარგული სამყაროსკენ

(რუსუდან ნიშნიანიძის კიდევ ერთი ორტომეული)

ბურუსში ჩანთქმულიყო სამანს იქითა საქართველო.

იყო ასეთი დროც – შემაძრწუნებელიც და შემაგუბებელიც.

კანტი-კუნტად თუ აღწევდა ცნობები ემიგრაციაში გადახვენილ ქართველებზე, თუმც მათ მიხედვითაც ვგრძნობდით, რომ ეს იყო უსაზღვრო სამყარო – თავისი დრამატიზმითა და ტრაგიზმით, თავისი რომანტიკითა და ჰეროიკული სულით, თავისი დაცემითა და ამაღლებით, თავისი ნარუმატებლობებითა და მიღწევებით.

ბოლოსდაბოლოს უნდა დამდგარიყო ის დროც, როდესაც გაიხსნებოდა საზღვარი და ხელმისაწვდომი შეიქნებოდა ის გრანდიოზული სამყაროც ჩვენთვის... და ისეთი ხელმისაწვდომი, ლამის მთლად ჩავიკარგებოდით უზღვავე მასალებში.

მოდიოდა და მოდიოდა ახალ-ახლებიც.

გროვდებოდა და ზვინდებოდა.

და... ამასობაში მათში გარკვევის დროც უნდა დამდგარიყო – შესწავლის, გააზრების, გადამბის... რათა სულ უფრო კანთიელად გამოკვეთილიყვნენ პერსონაჟებიც და კულტურულ-საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებიც და... შემოერთებოდნენ სამანს აქეთა საქართველოს.

ურთულესი ჟამი მონვენილიყო.

ჟამი – გამთლიანებისა.

ის ორი ნაკადი, რაც მანამდე ცალ-ცალკე მიედინებოდა, ერთიან ფონზე უნდა გააზრებულიყო და შინაგანი, იდუმალი კავშირებიც მოძებნილიყო მათ შორის.

და თუ ვინმეს, რუსუდან ნიშნიანიძესაც უნდა აეზიდა ეს უმძიმესი ტვირთი, მკვლევარს, რომელიც ენერგიულად მონაწილეობდა ჩამოტანილი მასალების (პარიზ-ლევინის, ჰარვარდის არქივები) დალაგება-დახარისხების პროცესში და მთელი არსებითაც შეიგრძნობდა ემიგრანტული საქართველოს ხვედრსა და თავგადასავალს, გაერკვეოდა ფარულ ნაკადებშიც და სულ უფრო სრული შთაბეჭდილება შეექმნებოდა იქაურ ყოფაზე, მთელს მსოფლიოში რომ მიმოფანტულიყო, მაგრამ ჩვენთვის ერთ მთლიანობად უნდა ქვეულიყო და გადაჯაჭვოდა XX საუკუნის საქართველოს ისტორიას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ეს განუყოფლობა უნდა წარმომდგარიყო მთელი სისავსითა და შთამბეჭდაობით.



და წარმომდგარიყო ისეთ მკვლევართა წყალობით, რომელთა შორისაც რუსუდან ნიშნიანიძესაც უნდა ეთამაშა გზამკვლევის როლი, საბჭოთა საქართველოს პირობებში გულმოდგინედ რომ ეძიებდა, იკვლევდა და გაიაზრებდა იატაკქვეშა თუ ალტერნატიულ კულტურასაც, და მონოგრაფია გარიყულ პოეტზე ნიკო სამადაშვილზე სწორედ ამ ინტერესთა ნაყოფი იქნებოდა, ისევე, როგორც გერონტი ქიქოძის ავტობიოგრაფიული რომანის „თანამედროვის ჩანაწერები“ შემოტანა სამეცნიერო და საზოგადოებრივ მიმოქცევაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ უამრავი ლიტერატორი, ისტორიკოსი თუ ფილოსოფოსი დააცხრებოდა ან უკვე მომგებიან თემებად გადაქცეულ დრამატულ თუ ტრაგიკულ მოვლენებს, აშკარად რომ აჩნდა მათ ნარკვევებსა თუ წიგნებს ზერელეობის, ზედაპირულობის კვალი, რითაც ლამის გაუფასურდებოდა ჩვენთვის ასერიგად ძვირფასი თემები.

და კიდევ კარგი, რუსუდან ნიშნიანიძისდაგვარი მკვლევარებიც რომ არსებობენ, ძალზე ღრმად და შიგნიდან რომ გრძნობენ ერის წარსულისა და თანადროულობის პულსაციას და ყველასა და ყველაფერს ეთიკური თვალსაწიერიდან განსჯიან, და იმ ნიუანსობრიობითა და სიფაქიზით, ყველა დანაშრევს ხელშესახებს რომ ხდის მკითხველისათვის.

მათი სიტყვა ამიტომაცაა სანდოც და წონიანიც.

მათი მეცნიერული კვლევის შედეგებია ამიტომაცაა გარკვეულისაყრდენი და მათ გზაზე მავალთათვის მრავალმხრივ გასათვალისწინებელი, თვითონ ისინი რომ არ კმაყოფილდებიან პერიოდიკის, არქივების გამონვლილვით შესწავლით, სამანებზე გაშლით და ეპოქალურ მოვლენების შუაგულში ჩასახედად ამა თუ იმ პიროვნებისგანაც კრებენ ცნობებს, აზუსტებინებენ ცალკეულ რეალებსა თუ დეტალებს...

რუსუდან ნიშნიანიძეც ასე უსმენდა ჩვენი კულტურისა თუ ისტორიისათვის არაერთ თვალსაჩინო პიროვნებას, რომელთაგან ზოგიერთს გამოარჩევდა და ჩაინერდა, ლიტერატურულ დიალოგებად აქცევდა და საბოლოოდ ნიგნადაც შეჰკრავდა „შეხვედრების“ სახელწოდებით.

ასე უნდა მიეკვლია აკაკი ბელიაშვილის მოგზაურობის ქრონიკებისთვისაც, აღედგინა ცენზურის მიერ უმონწალოდ დაგლეჯილ-დასერილი და პირვანდელი სახით ებოძებინა მკითხველისათვის.

მისი მეცნიერული ძიებების გვირგვინი ჯერჯერობით მაინც ის ორტომეულია: „საქართველო – სამანს აქეთ... და სამანს იქით...“ ნიმუში, თუ როგორი ხელოვნებით შეიძლება ამ ორი საქართველოს გამთლიანება ერთ საქართველოდ.

გამთლიანების დვრიტა და საფუძველი კი ეს არის: საერთო სატკივარი, საერთო მისწრაფება, საერთო იდეალი.



და ეს დვრიტა და საფუძველი მეტად ფაქიზად უნდა გაერთიანდეს და პირნმინდად მეცნიერულ ძიებებს გულის ძარღვებიც შეერიოს, რათა „ნაკერები“ კი არ ამოიჩაროს, არამედ სისხლხორცეულად შეკავშირდეს.

ამიტომაც წარმოგვიდგება რუსუდან ნიშნიანძის ორტომეული ქრესტომათიულ ნიმუშად ამგვარი მეცნიერული და საზოგადოებრივი სწრაფვისა.

მერეა და:

დიდალი მასალა კომპოზიციურად რარიგ ოსტატურად არის განანილებული და დალაგებული, ცოცხლად საკითხავსაც რომ ხდის ერთიერთმანეთზე დრამატულ ამბებს, და ძალდაუტანებლად რომ მიჰყვები თხრობის მდინარებას, თითქოს კალეიდოსკოპის მრავალფეროვნებას შეიგრძნობდე.

ყველას არ შეიძლება მოფიქრებოდა, საგანგებო თავი მიეძღვნა ემიგრანტთა სიზმრებისათვის.

ან თუნდ XI არმიის შემოსვლისა და თბილისის დაცემის ტრაგედია ისე მარჯვედ აეკინძა მემუარულ თუ დოკუმენტურ ცნობებსა და ამონარიდებზე დაყრდნობით, თვითონ თითქოს საერთოდ არ ჩარეულიყო – არადა, ეს აკინძვა სწორედ ისეთი ოსტატობით ხორცშესხმული, ჩვენში პოსტმოდერნისტებად თავგამოდებულ ადამიანებს ძალიანაც რომ შეეხარებათ: ეს როგორ მოახერხა, მთელი პანორამა ისე წარმოსახა ციტატთა სერიით, ნაკერი არსად რომ არ ილანდებოა!..

ზოგადი განათლება და თვალსაწიერის სიფართოვე არის საწინდარი ამგვარი წარმატებული ცდებისა, ამ შემთხვევაში გულისშემძვრელ და მღელვარე თავად რომ ჩადგმულა კომპოზიციურ ქარგაში და აძლიერებს საერთო ფონის მწუხარე განწყობილებას.

ხოლო ემიგრანტთა გალერეიდან თანდათანობით კიდევ უფრო უნდა გამოკვეთილიყვნენ ცალკეული პიროვნებანი, რომელთა შორისაც წარმოდგებოდა კოლორიტული, მონუმენტური ფიგურა პეტრე ხვედელიძისა... და ან უკვე გიორგი პაპაშვილისაც, მოქანდაკისა და მწერლის, რომლის სახელისა და ნაღვანის ირგვლივაც უნდა დატრიალებულიყო ძიებათა ერთი ნაკადი და უცნობი საზოგადოებრივი და სახელოვნებო მოვლენები ისევე ქცეულიყო ნაცნობად ჩვენთვის, როგორც ეს თითქმის უცნობი პიროვნება – შინაურად.

მისი არქივისა და ქანდაკებების მოძიების გზაც უნდა აღენერა მკვლევარს დოკუმენტალისტის მზერითა და გამოცდილებით, დეტექტივის ალლოთი და სტილისტიკით, და ამ ჟანრისთვისაც ისევე დაედო ღვანლი, როგორც ქართული ემიგრაციის ცხოვრების მეცნიერული შესწავლა-დალაგებისათვის.

ასე გვაქვს ხელთ რუსუდან ნიშნიანძის კიდევ ერთი მონაპოვარი – სტილურადაც დახვეწილი ეს კიდევ ერთი ორტომეული – „უცნობი ჯორჯ“



(გიორგი) პაპაშვილი“ – ავტორის გემოვნებით ჩინებულადაც რომ არის გაფორმებული, როგორც მისი სხვა წიგნები, პოლიგრაფიული მხრივაც მაღალი კულტურის დამადასტურებელი, მოხდენილად რომ ენაცვლება ერთიმეორეს თხრობა-განსჯა და ფოტოსერია, ქვაში ამეტყველებულ სიცოცხლეებსაც რომ გვაცნობს, ერთად თავმოყრილთ, მართლაც სკულპტურული განძის მხილველნი რომ ვხდებით, და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, როგორ არა გვაქვს უფლება, არამცთუ გულგრილად, თუნდ ზერელედაც მოვეპყრათ ქართველი კაცის მონაპოვართ, ყველგან არ ვეძებოთ და არ მოვეუფრთხილდეთ.

და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რამხელა სამყარო იფარება თვითეული ასეთი რანგის მოღვაწის მიღმა – მოსაკვლევნი, აღმოსაჩენნი, შესავსები, სამანს აქეთა საქართველოსთან დასაკავშირებელი.

და იმედიანად ხარ, რაკილა რუსუდან ნიშნიანიძის დარი პიროვნებანი გეგულება მიმკვლევებად, აღმომჩენებად, შემავსებლებად, სამანს აქეთა საქართველოსთან დამაკავშირებლებად: ღრმა ერუდიციისა და ინტუიციის წყალობით და, რაც მთავარია, გულის ძარღვებით... გულის ძარღვებით...

როსტომ ჩხეიძე

„Anything...“

„ყველაფერი...“

საბჭოთა სივრცის ერთი მიმართება — „აკრძალული კულტურა“. ამის პარალელურად იყო ისიც: „უცნობი კულტურა.“ იშვიათად, მაგრამ მაინც ჩნდებოდა გაცნობის შესაძლებლობა...

„უმაგალითო მოვლენა“ — დაიწერება ამერიკულ პრესაში... გაკვირვება თუ იმავდროულად, შეფასება?!

რეკლამა გარკვეულწილად ყველაფერს სჭირდება... რასაკვირველია, კარგ წიგნსაც; იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი საზოგადოებისათვის მეტ-ნაკლებად ცნობილია; ეს ერთი „დეტალია“ წიგნის წარმოების — ანუ, საგამომცემლო საქმიანობის ვრცელ და სერიოზულ სივრცეში. ცხადია, არც „გადაჭარბებაა“ უცხო; ესეც რეკლამისთვისებაა, მაგრამ კონკრეტული წიგნის (ან ნებისმიერი პროდუქციის) წარდგინება მის ძირითად არსს, ან ვთქვათ ასე, ღირსებას უნდა უსვამდეს ხაზს.

ერთი სარეკლამო წარდგინება:

მოხერხებული ფორმატით შემოთავაზებული წიგნი — მისი სათაური უნდა დაიმახსოვროს მნახველმა; ქვემოთ, ცნობილი ავტორები და შეფასებები... და მთავარი — წარწერა დიდი ასოებითა და მუქი შრიფტით:

„FIRST, COLUMBUS – THEN GEORGE“ –

„პირველად კოლუმბმა, შემდეგ ჯორჯმა“...

აზრი მექანიკურად გრძელდება — აღმოაჩინეს ამერიკა!

ჯორჯი — ჯორჯ პაპაშვილია. როგორია?! „ნიუ-იორკ ტაიმის“ 1945 წლის 7 იანვრის ეს წარდგინება შემდეგ არაერთმა გაზეთმა გადაბეჭდა...

„Who's Who in American Arts“

„Who's Who in American Literature of the 20-th century“—

ორი სერიოზული გამოცემა და ორივეში შეტანილი ქართული წარმომავლობის ამერიკელი მწერლისა და მოქანდაკის გვარ-სახელი: ჯორჯ პაპაშვილი.

ემიგრაციაში ერთი კაცის ბიოგრაფია „ყველას ბიოგრაფია“ ხდება: ერთნაირი ტიპილით, გაუგებრობებით, დახმარების მოლოდინით, უფულობით, ერთმანეთის დადანაშაულებით და ლანძღვითაც... გიორგი პაპაშვილის შემთხვევა კი სრულიად განსხვავებულია.

პატარა ქართული სოფელი კობიანთკარი. კავკასიონის მთების ძირში შეყუჟული. სულ ოცდათვრამეტი კომლი. ოცდათვრამეტი ბუხრიდან ამოსული კვამლი, ოცდათვრამეტი ეზო-კარიდან მიდამოს მოფენილი მზიარული ყვილ-ხვილი... ღარიბი სოფელი, იმდენად, რომ საკუთარი არც წისქვილი ჰქონიათ, არც საავადმყოფო,





არც სკოლა, არც მაღაზია, არც ფოსტა... ეს კი არა, თავისი, სოფლის ეკლესიაც კი. სიღატაკის მიუხედავად, კობიანთკარელები ადგილის შეცვლას არ აპირებდნენ. მერე, მოგვიანებით, როცა ამას გაიხსენებს, პაპაშვილი იუმორწარევი ღიმილით იტყვის: „და მაინც, არავის სურდა კობიანთკარიდან წასვლა და სხვაგან დასახლება. კობიანთკარელები თავიანთ მთავორიან სოფელს არც თბილისზე გაცვლიდნენ, არც კაპიტოლიუმზე და თვით სანკტ პეტერბურგზეც კი, სადაც დიდი რუსეთის ხელმწიფე მარმარილოს სასახლეში ოქროს ტახტზე იჯდა და დღეში ორჯერ მიირთმევდა ხორცს.“

იცნობდნენ ერთმანეთსო, ასე უბრალოდ ვერ იტყოდით; მეტიც, ერთი ცხოვრებით ცხოვრობდნენ — ჭირიც ერთი ჰქონდათ და ლხინიც. ჰოდა, ერთ დღეს ახალგაზრდა ვანომ თანასოფლელებს სასიხარულო ამბავი თვითონ გააგებინა: ცოლი მომყავსო. ყველამ გაიხარა. ახალი ოჯახი, ახალი ბედნიერება, ახალი წევრი სოფელში, მაგრამ ახალი კითხვაც: განსაკუთრებული ქალია და აბა, რითიო?

პასუხები ისეთი იყო, როგორც კობიანთკარელებს შეეფერებოდათ: „ყველა პატარძალი განსაკუთრებულიაო,“ „კეთილია და მშვენიერიო,“ „კარგი საქმელები იცისო,“ მცენარეების მცნობიაო და მკურნალი, ქსოვა და რთვა გამოარჩევსო; უფრო მხიარულებიც იყვნენ, ვისთვისაც „სიმღერა და ცეკვა“ ქალს განსაკუთრებული ხიზლს აძლევდა. არადა, იამზე (ასე ერქვა საპატარძლოს) სოფლისთვის მართლაც განსაკუთრებული იყო — წერა-კითხვა იცოდა.

ალარაფერს ვამბობ ინტელიქტუალურ სივრცეზე, არამედ თვით ყოფით შემთხვევაშიაც კი ეს ფაქტორი ყოველთვის მნიშვნელოვანი გახლავთ. მაშინ, როცა გადასახადების ამკრეფი — „გულჭევა“ ნესტორი სოფლის რომელიმე მცხოვრებს დავთარს უჩვენებდა და ეტყოდა, ამდენი გმართებსო, შემწინააღმდეგებელი ვინ გამოუჩნდებოდა? თუნდ სამხედრო ბეგარაზე წასულიყო ვინმე ან კიდევ სამუშაოს საქმენელად სოფლიდან შორს; მის დაბრუნებამდე არავინ არაფერი იცოდა. იმას, წასულს ვინმე კიდევაც რომ ენახა და წერილი დამიწერე ოჯახში გასაგზავნადო ეთხოვა, აქ ვინ იყო მისი წამკითხველი? არავინ!

ვანოს და იამზეს ქორწინებიდან ერთი წლის თავზე — 1898 წლის 23 აგვისტოს ვატი შეეძინათ, გიორგი დაიარქვეს. ბედნიერება დაიწყო... ოღონდ მოგვიანებით, ანბანის სწავლაც... მშობლიური, ქართული ანბანის... ამის შემდეგ ბევრი რამ მოხდებოდა: ძალიან ცუდიც და რასაკვირველია, კარგიც... ფათერაკებიც არ დაილევია...

ვანო პაპაშვილი თავის კუთვნილ ერთ აკრ მიწას ბატონიშვილისაგან იჯარით აღებულ კიდევ ორს დაამატებდა და ისე ამუშავებდა. ხანაც მეზობელ სოფელში დღიურ სამუშაოს შოულობდა. ხელმარჯვე კაცი იყო, ყველაფერი გამოსდიოდა: ხის თვლებს თლიდა ურმისთვის, ფქვილის შესანახ ლამაზ კალათებს წნავდა ტირიფის ტოტებისაგან, თოკებს გრეხდა, ხეებსაც ამყნობდა.

„ოთხი წლის რომ ვიყავი, მამაჩემს მიწის ხენაში ვენმარებოდი,“ — გაიხსენებს მოგვიანებით თავად. ძნელია, ნათქვამს არ ენდო, უბრალოდ, დაჯერებაა ძნელი. „ვენმარებოდი“ მაინც პირობითი ნათქვამი მგონია. გიორგის თავისი საქმე ჰქონდა: ეზოს ჰგვიდა, შინაურ ცხოველებს, უფრო სწორად „პატარა მეგობრებს:“ ძალღ



მურას, ლეკვ ბასარას, ხბოს, კამეჩ ლამაზოს, რომლებიც მერე მისი ნაწარმოებების პერსონაჟებად შემორჩებიან წიგნების ფურცლებს სიმინდის ნარჩენებსა და თივას უყრიდა. არც ბავშვურ თამაშობებს აკლდებოდა; თანატოლებთან ერთად მინდორში, მდინარეზე, ტყეში დახეტიალობდა და ის დამოკიდებულება, რომელიც თითქმის ყველა მის ნაწარმოებში იკითხება, მერე, უკვე გაზრდილს კი არ გასჩენია, არამედ პატარაობიდანვე ამგვარად აღიქვამდა:

„— ასე მეგონა, ყველაფერი, რაც ამ სამყაროში არსებობდა, მე მეკუთვნოდა.“

ოჯახის უფროსმა ახალი სახლი ააშენა, ახალი წვერიც (დავითი) შემოემატათ. სიმშვიდე, ოჯახური სიმყუდროვე და შინ დატრიალებული სითბო სხეულს ერთიანად აესებდა. საღამოს, როცა კამეჩს სახლისკენ მოდენიდა, ბინდბუნდში შორიდანვე ხედავდა ფანჯრებიდან მოციმციმე სინათლეს და საბუხრედან ამომავალ კვამლს; ფეხს არც აუჩქარებდა, უკვე შინ იყო. სახლში შემოსულს ბუხრის თავთან დაკიდებული ლიმონის ტოტებისა და ფოთლების უჩვეულო სურნელი უღიტინებდა ცხვირში. უფრო უჩვეულო, ვიდრე ცეცხლზე შემომდგარი სადილის მადისაღმძვრელი ოსშივარი. მაგრამ მთავარი?! ახალშობილს დასაძინებლად დააწვენდნენ... მერე?... ბუხარში მინავლებული ცეცხლი, მთელი ღღის ჯაფისგან დაღლილი, ოცნებით და გვემებით სავსე ახალგაზრდა წყვილი და ბიჭუნა, პატარა ბიჭუნა, რომელიც მზად იყო მშობლებისთვის ყური დაეგდოდა ყველაფერი ბეჭითად შეესწავლა. ქალაღი არ ჰქონდათ, რასაკვირველია, არც ფანჯარი; ოღონდ ეს დაბრკოლებად ვერ იქცეოდა: ვანომ ფიჭვის ხისაგან სწორი ფიცარი გამოთალა, გააშალა შინა, შემდეგ გრძელი და თხელი ჯოხები გასხება, წვერები ცეცხლში გამოწვა და გაკვეთილებიც დაიწყო...

ფიჭვის დაფაზე წერდნენ, შლიდნენ, წერდნენ, შლიდნენ...

სიყვარულით გამთბარი კერა, მომღიმარი მშობლები, მაგიდასთან თავდახრილი გიორგი წამახულწვერიანი ჯოხით მუყაითად რომ გამოჰყავდა ულამაზესი ქართული ანბანის ასოები: ა, ბ, გ, დ... და ბედნიერება, რომელიც ასე ახლოსაა; ახლოს კი არა, აქაა, მათთან!...

ოჯახი კიდევ ერთი წევრით უნდა გაზრდილიყო, მაგრამ ერთ დღეს არც დედა იყო, არც უმცროსი ბაწაწინა დაიყო, არც გაკვეთილები და... აღარც ბედნიერება.

წლების შემდეგაც ისევე გაიხსენებს, როგორც ცოტა ხნის წინ თავსგადახდენილს. საოცარია, ეს ბავშვური შთაბეჭდილებები რაგვარ ცხადლივ ამოუტივტივდება:

„თავდაპირველად ყველგან დედაჩემი მეჩვენებოდა. გარეთ მისი ძახილი მესმოდა, სახლში — მისი კაბის შრიალი, მისი სიმღერის ეჭო. სადაც არ უნდა წაესულიყავი, ყველგან დედეებს ვხედავდი, მაგრამ დედაჩემი არსად ჩანდა. ცხვარი თავის ბატკანს უვლიდა, ჩიტები ბარტყებს დასტრიალებდნენ ბუდეში, მელიაც კი თავის ლემკებს უაღერსებდა ხის ფულფროში.“

გადიოდა დღეები, კვირები, თვეები. დედაჩემის სახე თანდათან გაფერმკრთალდა და რაც არ უნდა მეცადა, მის ხმას უკვე ვეღარ ვიხსენებდი, ვეღარც მის სახეს — ყველაფერი გაქრა, წაიშალა.

მამაჩემი ყოველთვის კარგად მექცეოდა, მაგრამ მისი ერთი ნაწილი დედაჩემთან



ერთად დასამარდა.“

როგორც ჩანს, ახალგაზრდა კაცმა „მეორე ნახევართან“ ერთად თავისი ბედნიერი სიყვარულის ნახევარიც დამარხა. ბავშვებთან ბედნიერებას ჯერ-ჯერობით ვერ იყოფდა...

ბიოგრაფიული დეტალები სხვა დროს, ამჯერად საინტერესო და უჩვეულო კიდევ ერთი ფაქტი — **მეორე ანბანის** შესწავლა. ეს რამდენიმე ათეული წელიწადის შემდეგ მოხდება. დააზუსტებს, როდესაც დაწერს:

„1921 წელს ნიუ-იორკში ჩამოვედი. ერთი სიტყვაც არ ვიცოდი ინგლისურად.“ მოგვიანებით, თბილისში ჩამოსული უკვე ღიმილით გაიხსენებს:

„პირველად მუნჯურად ველაპარაკებოდი ამერიკას“...

უცხო ქვეყანაში დამკვიდრებიდან რამდენიმე ათეული წელიწადი და...

**უოლტ უიტმენი, მარკ ტვენი, ჯეკ ლონდონი, ჰენრი ჯეიმსი, ფრანსის სკოტ ფიცჯერალდი, უილიამ ფოლკენერი, ერნესტ ჰემინგუეი, იუჯინ ო ნილი...** კიდევ რამდენიმე ათეული გვარი. ეს ამერიკის რჩეულთა ბიბლიოთეკაა. ამ ავტორებს (მათ ნაწარმოებებს) „ამერიკის ლიტერატურის რჩეულ ნაწარმოებთა სერია“-ში აქვთ საკუთარი, გამორჩეული ადგილი. მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ამ რანგში ჩამონათვალს კიდევ ერთი სახელი დაემატა — **ჯორჯ (გიორგი) პაპაშვილის** სახელი. ეს 1950 წელს მოხდა!

1961 წლის 21 მარტს მწერლებმა: ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილებმა სასიამოვნო და მნიშვნელოვანი წერილი მიიღეს:

**„თომას ი. ქროუველ ქომპანი“  
წიგნების გამომცემლები  
დაარსებულია 1834 წელს  
432 პარკ ავენიუ სამზრეთი. ნიუ-იორკი 16.**

„ძვირფასო მისტერ და მისის პაპაშვილებო,

ათი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა „**ამერიკული ლიტერატურის ენციკლოპედიაზე**.“ ნაშრომი, რომელსაც გარდაცვალებამდე რედაქტირებას უწევდა მაქს ჰერცბერგი, გააერთიანებს ამერიკელი მწერლებისა და სხვა მნიშვნელოვანი პიროვნებების ბიოგრაფიულ მონაცემებს და აგრეთვე, დიდი მოცულობის სტატიებს სპეციალურ თემებზე.

იმისათვის, რომ **მონაცემები თქვენ შესახებ მაქსიმალურად ზუსტი** იყოს, მაღლიერნი ვიქნებით, თუ თანდართულ ფორმას შეავსებთ. როგორც კითხვარის სქემიდან ხედავთ, ჩვენი უპირველესი განზრახვაა, თანამედროვე ავტორები უფრო ფაქტობრივი და ბიოგრაფიული მონაცემების კუთხით წარმოვადგინოთ, ვიდრე ანალიტიკური და კრიტიკული წერილებით. თუმცა, ქვეთავში, სათაურით: „**კომენტარები**“ თქვენ შეგიძლიათ, გამოთქვათ მოსაზრებები თქვენი საყვარელი ნაწარმოებებისა და მწერლების, ასევე, თქვენს მიერ მონახულელებული ადგილების შესახებ; დაწეროთ, რას ანიჭებთ უპირატესობას, ან აღნიშნოთ ყველაფერი ის, რისი აღნიშვნაც მიგაჩნიათ საჭიროდ. მიუხედავად იმისა, რომ მკაცრად გვაქვს განსაზ-



ღვრული — ენციკლოპედიაში მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი თანამედროვე მწერლები შევიყვანოთ, დამატებითი კომენტარებისთვის გამოყოფილი ადგილი მაინც შეზღუდული იქნება.

გულწრფელად, თქვენი  
გორდონ ქართული  
საცნობარო წიგნების რედაქტორი.“

მართალია, ემიგრანტ მწერალთან ამ ამბავს უშუალო კავშირი არა აქვს, მაგრამ უცხოეთში გადახდენილი ამბავია და თან მონაწილეებითაა საინტერესო... **სწორედ ამით მინდა დავიწყო.**

კარლონასარიძე იხსენებდა ნიკორაჭველის, იმავე მერაბ კვიციანიშვილის ნაამბობ ძალიან შთამბეჭდავ ისტორიას; **1943 წელია, უნდა შედგეს თეირანის კონფერენცია...** თუმცა მანამდე ორიოდ სიტყვა მთხრობელზე: ჩოხატაურში დაბადებულმა მერაბ კვიციანიშვილმა ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე განაგრძოსწავლა. „1919 წელს წავიდა ინგლისში სწავლის გასაგრძელებლად და დაამთავრა ლონდონში ტექნიკური უმაღლესი სასწავლებელი, — გააგრძელებს თხრობას ბ-ნი კარლო, და მიიღო სამთო ინჟინრის დიპლომი. მეორე მსოფლიო ომის დროს იყო ინგლისის არმიის სატანკო დივიზიაში, სადაც მან დიდი დამსახურება მოიპოვა და ბოლოს გახდა ინგლისის არმიის პოლკოვნიკი. მას არაერთი ორდენი და მედალი აქვს მიღებული ომში გამოჩენილი მამაცობისათვის.“

იგი იმ საპატიო დელეგაციის წევრად იქნა შეყვანილი, რომელიც სპარსეთში, თეირანში 1943 წელს უნდა შემდგარიყო. ერთმანეთს ჩერჩილი, სტალინი და რუზველტი ხვდებოდნენ. მისი ბიოგრაფიის ეს ეტაპი შეფასდა როგორც „განსაკუთრებული წარჩინება“. თვითონ კი ერთ „დეტალს“ გამოარჩევს მთელი ამბიდან და ინასარიძეს მოუყვება:

„როცა თეირანის კონფერენცია გაიხსნა... მარჯვენა მხარეს, ინგლისური ოფიცრის მუნდირში მე ვიდექი, როგორც ინგლისის დელეგაციის წევრი. გავიხედე ამავე კარის მარცხენა მხარისაკენ და იქ იდგა წითელი არმიის ფორმაში ერთი საბჭოთა ოფიცერი და გამოდგა, რომ ისიც ქართველი იყო: **ორი ქართველი** — ერთი ინგლისის არმიის მუნდირში, ხოლო მეორე — წითელი არმიის მუნდირში ვიდექით ერთდროულად იმ დარბაზში — კართან, სადაც შემდეგ შემოვიდა ჩერჩილი, რუზველტი და სტალინი და მიუსხდნენ კონფერენციის მაგიდას.“

ორი ქართველი — კართან მდგარი ორი სხვადასხვა სახელმწიფოს სახელით; მაგიდასთან კი მსოფლიოსათვის უმნიშვნელოვანესი საკითხები წყდება; არადა, იმ მაგიდასთან მსხდომთაგან ერთ-ერთი — ისევ, ქართველია! **სამი ქართველი ერთ დარბაზში. XX საუკუნის შუა წლები... ისტორიის ქარტეხილები... და თქვენ კიდევ შეგეპარებათ ეჭვი, რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს?**

„Anything Can Happen“  
„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“



წიგნი, რომელსაც მთელი მსოფლიო კითხულობდა...

**Harper & Brothers** — „ჩიბით სატარებელი“ მცირეფორმიანი წიგნის მრავალტირაჟიანი გამომცემლობა და **Harper & Row** — ე.წ. მაგარულიანი წიგნების ცნობილი გამომცემელი კიდევ ერთხელ მოექცნენ ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში, როცა სრულიად ახალი წიგნი შესთავაზეს მკითხველს. პირველად ეს 1944 წლის ოქტომბერში მოხდა (მანამდე ტექსტის ცალკეული თავები და ეპიზოდები იბეჭდებოდა), რამდენიმე კვირის შემდეგ, ნოემბერში იგივე განმეორდა.

**„რიტილ ბუკსელერი“  
ოქტომბერი, 1944 წელი**

**ფრენსის ლულლო  
რედაქტორის არჩევანი**

„წიგნი, რომლის წაკითხვასაც ამ თვეში გირჩევთ, — და ეს ერთუზიანებით აღესილი რჩევაა, — გახლავთ ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“ ეს მხიარულებით, სიცილითა და თბილი, მეგობრული გრძნობებით სავსე წიგნია და დაუშრეტელ აღფრთოვანებას იწვევს ნებისმიერი რამის მიმართ, რაც კი შეიძლება მოხდეს. თავად ჯორჯისა არ იყოს, წიგნიც „ბედნიერი და სიამაყით სავსეა.“

ჯორჯი — ან გიორგი, როგორც მისი მეგობრები იტყობდნენ, — მარშალ სტალინისგან იქნა ქართველი კაცია. პირველად მას ნიუ-იორკის ნაესადგურში ვხვდებით, ოციოდე წლის წინ ფეხი რომ დადგა ამ ქვეყნის მიწაზე. ის გახლავთ „პირველი კაცი კომინტერნაციდან, რომელიც აშშ-ში ჩამოდის.“ მას უმალვე დაიყოლიებენ, რომ კარაკულის ბოხოხი ერთ დოლარსა და მოხდენილ ამერიკულ ბამბის ქუდში გადაცვალოს. პირველ სამსახურს იმიტომ ჰკარგავს, რომ ამერიკული მინის ჰურჭელი ადვილად მსხვრევადია. ახალი სამუშაოს პოვნა კი გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული (მისი დილოგები შემოიფარგლება იმგვარი ფრაზებით, როგორცაა: „რამდენი საათია?“). პიტსბურგში გაფიცვის შეჩერებაში იღებს მონაწილეობას იქამდე, ვიდრე არ აღმოაჩენს, სინამდვილეში რა ხდება; შემთხვევით შეხვდება (ოჰ, ეს ბედნიერი დღე!) სხვა ქართველს და ნელ-ნელა ინგლისურად ლაპარაკსაც სწავლობს, ყოველ შემთხვევაში იმ დოზით, რა დოზითაც ის მის პრაქტიკულ მიზნებს წაადგება.

დეტროიტშია, როცა უბრავე ქონებაში: შავმურა მელიებსა და ხინკალში დებს ინვესტიციას. ეს უკანასკნელი რავიოლის (იტალიური კერძი — რ.ნ.) ერთგვარი რუსული ბიძაშვილია, რისთვისაც გიორგი ხუთასზე მეტ შეკვეთას იღებს. კერძს ის და მისი მეგობრები აკეთებენ, მაგრამ ცომის მომზადების რამდენიმე წარუმატებელი ექსპერიმენტის შემდეგ, მეგობრები გიორგის აგზავნიან, რათა მზა ცომი იყიდოს. გიორგის მოგზაურობა დეტროიტში ცომით გადავსებული ტომსიკათი ერთი თავგადასავალია. ხოლო მცირე ხნის შემდეგ, ის არანაკლებ გასაოცარ მოგზაურობაში მიეშურება ანა ფეოდოროვნასთან, მის აღმატებულებასა (ანას მამა, რომელსაც სჯერა, რომ პრერიებზე კვლავ ინდიელები არიან გამაგრებულნი) და ანას „ზედმეტად ამერიკელ“ შვილებთან ერთად.



და აი, ასე იწყება თუ გრძელდება ყველაფერი. სადაც არ მიეშურება გიორგი იქნება ეს კალიფორნია, ვირჯინია თუ პენსილვანია, ის მეგობრებს იძენს — დიდსულოვან, თავქარიან მეგობრებს, დაუცხრომელი მადითა და წყალსაცავიდან გამომხეტილი წყლის მხიარული მგზნებარებით. და სადაც არ უნდა შეხვდნენ ის და მისი მეგობრები ერთმანეთს, ყველა კუთხე-კუთქულში სასაცილო თავგადასავალი იმალება, მკითხველისთვის კი — იშვიათი სიამოვნება.“

1945 წელი ყველაზე უჩვეულო და „უხვი“ გამოდგა: მხოლოდ იანვარში ოთხჯერ გამოიცა; მალაზიების თაროებიდან „თვალის დახამხამებაში“ ჭრებოდა წიგნი, წიგნი, რომელიც ასე იყო დასათაურებული: „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“ ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების რომანი ერთბაშად აღმოჩნდა საყოველთაოდ აღიარებული და ამასთან, ძალიან პოპულარულიც... მომდევნო, თებერვლის თვეში სამჯერ გახდა დასტამბვა საჭირო; შემდეგ კი უკვე მისში, ივნისსა და ოქტომბერშიც... ერთ წელიწადში ათჯერ გამოიცა. ეს საკმარისი მაინც არ აღმოჩნდა. პროზაული ტექსტი არაერთ პროფესიონალს გაუგზავნეს და მათაც დიდი სიამოვნებით გამოთქვეს თავიანთი შეხედულებები. გამოიცა წიგნაკიც, რომელსაც თითქმის სრულად გთავაზობთ:

„ამ წიგნის შეფასებაში რომ დაგეხმაროთ, გირჩევთ, წაიკითხოთ ლიტერატურის კრიტიკოსთა კომენტარები, რომელთა მსჯელობა წიგნების შესახებ, როგორც ალბათ, თავადაც დაგვიდასტურებთ, ძალიან ხშირად დამთხვევია თქვენს აზრს.“

*წინასწარი მიმოხილვები წიგნისა —  
„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“*

„შეგიძლიათ, დეპეშაში მოკლედ განგვიცხადოთ ძირითადი არსი იმისა, — სასურველი, ანდა, თუნდ არასასურველი, — რის თქმასაც თქვენი მკითხველებისა თუ თქვენი მეგობრებისთვის აპირებთ ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების წიგნზე „ყველაფერი შეიძლება მოხდეს,“ — იტყობინებოდა სარედაქციო წინათქმა. იქვე იყო:

„შენიშვნა: მოკლე კომენტარები მიღებულ იქნა ზემოაღნიშნული დეპეშის პასუხად. ექსპერიმენტული მომსახურება ინიცირებული გახლავთ „თვის წიგნის კლუბის“ მიერ, რამდენიმე წევრის წინადადების საფუძველზე, რომელთაც მიიჩნიეს, რომ „თვის წიგნის კლუბის ახალი ამბების“ ფარგლებში, წიგნის გამოცეცებამდე დაწერილ ანგარიშებთან ერთად, კრიტიკულ მოსაზრებათა მრავალფეროვანი სპექტრი „კლუბის“ წევრებს საშუალებას მისცემდა, მომავალი „თვის წიგნი“ უფრო გონივრულად და ზუსტად შეეფასებინათ.“

კომენტარები დალაგებულია ანბანურად, ქალაქების მიხედვით.“

**ფრენკ დენიელი, „ატლანტა ჯერნალიდან“**

გიორგი ქართული ტიფლისიდან იმ მიწაზე ჩამოვიდა, სადაც მისი ენა პროფესორებმაც კი არ იციან. აქ მისი ტრანსფორმაცია ხდება — ამერიკელად, რასაც



თან ახლავს პოეტურობა, სიცილი და კეთილმოსაგონრად ქცეული ლეგენდა ქვე-  
ლი სამშობლოს მისამართით. ამ ახალი ამერიკელების ისტორია მდიდარი, ჭარბი  
იუმორითაა გაჯერებული, რომელიც მუდამ გამჭრიახი ალღოსა და სიმპათიისგან  
აღმოცენდება.

**ედუარდ უიკსი, „ატლანტიკ მანთლიდან“**

ეს რაღაც ახალია ამერიკანიაზაციაში. „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ხალხიანი  
ამბავია მიაშობი რუსი კაცისა, რომელიც სამსახურიდან – სამსახურში, მეგობრი-  
დან მეგობართან ინაცვლებს და თანაც ისეთი ენერგიულობითა და პატიოსნებით,  
რომ ძნელია, არ აღფრთოვანდეს. მისი დამტკრეული ინგლისური კი უფრო მეტად  
უსვამს ხაზს იმ იუმორსა და ინტეგრირებულობას, რაც ამ დემოკრატიულ ქვეყანა-  
ში მის თავგადასავლებს ახლავს თან.

**ელის დიქსონ ბონდი, „ბოსტონ პერალდიდან“**

ჯორჯ პაპაშვილმა – პილიგრომმა და უცხომ რუსეთის საქართველოდან – აღმოაჩინ-  
ნა, რომ ამერიკა როგორც დაბრკოლებების, ისე შესაძლებლობათა მიწაა და ის  
მოვლენები, რაც მას ვამუდმებით და განუწყვეტლივ გადახდება თავს, ამერიკე-  
ლის „ტიპურობას“ განსაზღვრავს და აძლევს მდიდარ არომატსა და სასიამოვნო  
მღელვარებას, ნათელ იუმორსა და ხანდახან მსუბუქ პათოსს იმ წიგნს, რომელიც  
მისი წარმოშობის ადგილივით მომაჯადოებელია.

**ჩარლტ ბეკერი, „ბაფალო ივინგ ნიუზიდან“**

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ და როგორც წესი, ასეც ემართება ამ დაუდგრო-  
მელ ქართველ კაცს, რომელიც ამერიკაში დაახლოებით ოცი წლის წინ ჩამოვიდა.  
და სადაც არ უნდა წავიდეს, ის გასაოცარ მეგობრებსა და ხმაურიან თავგადასა-  
ვლებს აწყდება... წიგნი მხიარული თავშესაფარია თანამედროვე სამყაროს სირთუ-  
ლებებისაგან.

**დვიდ აპელი, „ჩიკაგო დელი ნიუზიდან“**

ეს გახლავთ აბსურდული იუმორის, ზერელე ინგლისურის, დამტკრეული სინტაქ-  
სის, სადა ფილოსოფიისა და ქართული დელიკატესების ეგზოტიკური რეცეპტების  
მზაფრი და სურნელოვანი მიქსტურა. „ემიგრანტი ამერიკაში“ – ტიპის წიგნისაგან  
მკვეთრად განსხვავებული, თუმცა ამავე დროს, უთუოდ კოსმოპოლიტური საზო-  
გადოების ტრადიციათა გამგრძელებელი. ეს წიგნი ერთი ამოსუნთქვით გვიამბობს  
იმ უბრალო ადამიანის მარტივ ისტორიას, რომელსაც კარგი ცხოვრების შეგრძნება  
გამძაფრებული აქვს. პაპაშვილი და მისი მეგობრები ძველი ადათების ერთგული ძია  
ჯონისა და მისი მადისაღმძვრელი მწვადით დაწყებული, უბრალო ჩანჩოთი და მისი  
ერთ-დოლარიანებით „შეკმაზული“ სენდვიჩებით დამთავრებული; ყველა აღმოა-  
ჩენს, რომ ამერიკაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ხშირად, მართლაც ხდება.



**ა. სი. სპექტორსკი, „ჩიკაგო სანიდან“**

პაპაშვილი ალბათ, იმ მეორე ქართველს, დუგაშვილს, ამერიკული სისტემის უპირატესობებში დაარწმუნებდა. გიორგის ჰიჯრას კობიანთკარიდან ჰოლივუდში, ხოლო შემდეგ პენსილვანიის ფერმაში, უგემრიელესი ქართული მწვადის არომატი დაჰკრავს; ეს ბრძნული და იმავდროულად, გულუბრყვილო, დამტკრეული ინგლისურით გავლილი გზა საროიანის ოპტიმიზმისა და „მრისხანების ყურძნებისგან“ შემდეგარ ნაზავს წარმოადგენს. ესაა ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ იქცა გამოუცდელი კაცი ამერიკელად ისე, რომ ვარდისფერი სათვალე არც კი მოუხსნია. ტექსტი თბილი, გულიანი საკითხავია.

(ჩანართის სახით: დუგაშვილი უთუოდ ჯულაშვილია, რომელზეც საგანგებოდ ვისაუბრებ — რ.ნ.).

**ფანი ბუჩერი, „ჩიკაგო ტრიბუნდან“**

ყველაფერი შეიძლება მოხდეს და მოხდა კიდევ იმ ამერიკაში, სადაც ქართველი ემიგრანტი, ჯორჯ პაპაშვილი ოცდახუთი წლის უკან ჩამოვიდა. მან ეს თავბრუს დაშვები, ხშირად გიჟური თავგადასავლები ცოლთან, ჰელენ უიეტ პაპაშვილთან ერთად ქართულ-ამერიკულ კომიკურ წიგნად აქცია, რაც მათ იუმორზე ორმაგად მეტყველებს. წიგნი რძიანი ყვავილივით ფაფუკი და მსუბუქია, თუმცა მეორე მხრივ, იუმორი, უწინ დაუფასებელი ფენომენი, თავისი არსით, ჩვენს სტრესულ დროში შესაძლოა, მხსნელის როლშიაც კი მოგვევლინოს.

**ტედ რობინსონი, „ქლივლენდ პლეინ დილერიდან“**

როგორი „ბუნებრივი“ რამეა! მხიარული, იუმორით აღსავსე, გულუბრყვილო, სრულიად შეურყვნელი ქართველი გლეხი, გაურანდავი, თუმცა კი მომწუხრველად კოლორიტული ინგლისურით საკუთარ ემიგრანტულ თავგადასავლებზე გვიამბობს და ჩვენს ყურადღებას უმაღლ იტაცებს. გვიზიდავს, განგვაიარალებს, შემდეგ კი ძალდაუტანებლად გვაჯადოებს. ის ფაქტი, რომ მის დრამატურგიული კულმინაციისა და ლიტერატურული ოსტატობის დახვეწილი გრძნობა აქვს, არ უნდა იქნას მისი გულწრფელობის წინააღმდეგ არგუმენტად გამოყენებული. ის იმდენად კარგია, რომ შეუძლებელია, არაგულწრფელი იყოს.

**ჰელენ ბოუერი, „დეტროიტ ფრი პრესიდან“**

ბემელმანსს საბჭოთა საქართველოდან ღვიძლი ძმა ჰყავს — სტალინის ქვეყნიდან ჩამოსული თანამედროვე ემიგრანტის სიმსუბუქით სავსე მოუბარი ავტორის სახით. გადასახლების თანამდევი სიმარტოვე მცირე დოზებითაა წარმოდგენილი. აქ უფრო ღრმა ადგილი უკავია ამერიკას — როგორც „დიდ სუფრას“, სადაც კარგ სტუმრებს კეთილგანწყობით ხვდებიან და კიდევ ისე — როგორც მომავალი სამყაროს ნიმუშს.

**ქლაიდ ბეკი, „დეტროიტ ნიუზიდან“**

ვინც ამ ქართველი ემიგრანტის მხიარულ სამყაროს ისე დატოვებს, რომ ვერ გააც-





ნობიერებს, რომ მან ეს-ესაა, **სიკეთის სახარება** წაიკითხა, მაშინ ის, ალბათ, გამოუსწორებელი იზოლაციონისტია. ამ წიგნის კითხვისას, ვიდრე გიორგის უწესრიგო ინგლისურზე იცინი, უცებ აცნობიერებ, რომ მეგობრობა ნაციონალური – და დიახაც, თვით ინტერნაციონალური – ინსტიტუცია არის.  
*(„სიკეთის სახარებაზე“ ქვემოთ საგანგებოდ შევაჩერებ ყურადღებას –რ.ნ.)*

**უ. მ. რელიგი, „კანზას სითი სტარიდან“**

გიორგი ივანიჩი, რომელიც ჩვენთან სტალინის სამშობლო საქართველოდან ჩამოდის, თავის წიგნში რუსულ-ამერიკული მეგობრობისათვის დიდ სამსახურს სწევს. და არანაკლებ დიდ საქმეს აკეთებს, ზოგადად, კარგი მეგობრობისა და იშვიათი მხიარულებისათვის.

**დეილ უილსონი, „მილვოჯი ჯერნალიდან“**

გახსოვთ პატარა ულისე საროიანის „ადამიანური კომედიიდან“? ასეა თუ ისე, მისი უფროსი ძმა საშხრეთ რუსეთიდანაა, რომელიც თავისი ამერიკანიზაციის შესახებ ამ თავბრულამხვევ ამბავს გვაცვება. უდავოდ მომხიბლავი წიგნია, თუმცა ნაამბობის წაკითხვა ნოველებად უფრო კარგი იქნებოდა, ვიდრე გაერთიანებული რომანის სახით.

**ჯონ კ. შერმანი, „მინეაპოლის სტარ ჯერნალ ენდ ტრიბუნლიდან“**

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ გულს გიბთობს. ეს გულუბრყვილო, ოდნავ გიჟური ქრონიკა რუსი ქართველისა, რომელიც ნელ-ნელა ამერიკულ ცხოვრებას ერგება, დამტკრეული ინგლისურით დაწერილი არაჩვეულებრივი დიალოგებითაა სავსე; ჰუმანურობის, იუმორისა და სიკეთის თვალსაზრისით შეიძლება, საროიანი მოგაგონოთ; აქ დემოკრატიის იმგვარ ხედვას წააწყდებით, როგორსაც ბევრი მკვიდრი ბინადარიც კი ვერ ითავისებს.

**ალბერტ გოლდშტეინი, „ნიუ-ორლეან ტაიმს-პიქაიუნლიდან“**

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ იმის დემონსტრირებაა, რომ სრულიად უცნობ პიროვნებას გაუთლელი წერის მანერით, ენერგიულობითა და იუმორით შეუძლია, პერსონალური ისტორია ისე გვიამბოს, რომ არაერთი ცნობილი ადამიანის ავტობიოგრაფია მოექცეს ჩრდილში.

**ჯონ ჩეიმბერლენი, „პარპერს მეგაზინიდან“**

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ამერიკის ემიგრანტული ლიტერატურის ხალისიანი შენაძენია. მომწონს იმის გამო, რასაც წიგნი ავტორების შესახებ გვეუბნება. მომწონს ასევე, ფუნდამენტურად სტუმართმოყვარე აშშ-ს ჩვენებისათვის; ეს ნაკლებად სერიოზული, თუმცა მომხიბლავი ნამუშევარია.

### **კარლ შრიფტგისერი, „ნიუზვიკიდან“**

თორმეტ კომიკურ თავში (და გაცილებით უფრო დიდაქტიკურ და გასართობ, ვიდრე გარდაცვლილი ედუარდ ბოკის კრიტიკული კომენტარებია) მოქცეული საქართველოდან (საბჭოთა კავშირი) ჩამოსული ჯორჯ პაპაშვილის ამერიკანიზაცია – „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ პირველიდან ბოლო გვერდამდე სიამოვნებას მოგანიჭებთ. ის უფრო მეტია, ვიდრე ემიგრანტის წარმატებათა იუმორისტული ისტორია; წიგნი, ასევე, ღმირნარევი სოციალური დატვირთვითა და ხალისიანი პატრიოტიზმით გამოირჩევა; ეს ყველაფერი კი, ერთდროულად, დამაჯერებელი და ჩამთრევი დიალექტიკითაა გადმოცემული.

### **სტერლინგ ნორთი, „ნიუ-იორკ პოსტიდან“**

სათუთი, სასაცილო და ღრმად შემეცნებითი. წიგნი, რომელიც ისე შეგაყვარებთ ამერიკას, როგორც სიყვარულიც მხოლოდ ემიგრანტს ძალუძს... ეს ამ ვარსკვლავთვალება ქართველის (რომელსაც არც მეტი, არც ნაკლები, სწორედ თავისუფლების ქანდაკების ჩრდილქვეშ მოატყუებენ და გააბითურებენ) ჩამოსვლით დაწყებული, ბოლო გვერდზე გაეროს ამდღევებელი სადღეგრძელოთი დამთავრებული ამბავი გახლავთ, რომელიც უდავოდ, შეუწყობს ხელს საერთაშორისო ტოლერანტობის ზრდას.

### **როჯერ ს. პიპეტი, „ბი ემო-დან“ (ნიუ-იორკი)**

გნებავთ, ინდიელებს მწვადის მოწონებას ასწავლიდეს, ან თუნდაც, თავის პომიდვრის ფერმაში ოფლის ღვრამდე ირჭებოდეს, ან თუ გინდ, თავის აღელვებულ ბოსს აბრეყებდეს, ჯორჯი, მისივე სიტყვებით, მუდამ სიამაყითაა სავსე. ამერიკაში, შესაძლოა, მას დაბრკოლებებიც შეექმნას, მაგრამ ეს ვერაასდროს მოახდენს ამ კეთილშობილი, გამჭრიახი, ამღერებული ქართველის სენტიმენტალიზებას.

### **რობერტ მოლო, „ნიუ-იორკ სანიდან“**

ამ უმწიკვლო ქართველის უცხოური, ამერიკული თავგადასავლები ერთდროულად, სასაცილოცაა და გულისამაჩუყებელიც. მისი მარტივი ინგლისური არაჩვეულებრივად კომიკურია, შესაძლოა, საგანგებოდ გაზვიადებულიც კი, თუმცა, ეს მის კეთილშობილებას ვერაფერს აკლებს. მართლაც, **წიგნს თუ რაიმე ნაკლი აქვს ისაა, რომ ძალიან მოკლეა.**

### **პარი ჰენსენი, „ნიუ-იორკ უორლდ-ტელეგრაშიდან“**

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ გასართობი, გულთბილი ნაამბობია, რომელიც პერიოდულად გეთავაზობს ვარიაციებს ნაცნობ თემაზე: „ახალბედა ამერიკაში.“ ამჯერად, მთავარი გმირი რუსია და იმ როლში გვევლინება, რაც ერთ დროს ირლანდიელებს, შვედებს, გერმანელებსა და ბოჰემიელებს აქვთ შესრულებული. ზოგიერთი სიტუაცია რეალისტურად ჟღერს, ზოგი კი აშკარად სინთეტურია, მაგრამ ამბავი მუდამ გასართობია და რამდენადაც მკითხველს უპირატეს პოზიციაში აყენებს, წვლილიც შეაქვს ემიგრანტისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულების გაჩენაში.



**ვიქტორ პ. ჰასი, „ომბა უორლდ-პერალდიდან“**

ჩემი აზრით, პაპაშვილის ისტორია ამერიკული ცხოვრების სულ პაწაწინა ნაწილია, მაგრამ ბოლომდე რომ ჩაიკითხავ, აღმოჩენ, რომ ეს ნაწილი საყურადღებოა. ბევრ ჩვენგანს, ვინც ამ გულუხვ მიწაზე მშვიდად გავიზარდეთ და შესაძლოა, ცოტათი ცინიკურებიც გავხდით, შეუძლია, ეს მიწა თავიდან აღმოაჩინოს შეუპოვრად გულწრფელი, თავმდაბალი, მაღლიერი რუსი ემიგრანტის თვალვებით. მისი შეურყენელი ხიბლის, გულუბრყვილო იუმორისა და მხოლოდ მისი სიცოცხლის სიყვარულის გამო, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ღირს თქვენს დროდ.

**პოვარდ ტელიორი, „ფილადელფია ენჭუაიერიდან“**

სტალინის საქართველოდან ჩამოსული კაცის ეს ამერიკანიზაციის ნაამბობი უცხოეთში დაბადებულთა მიერ დაწერილ ყველა ბოლოდროინდელ წიგნს შორის საუკეთესოა. მისი იუმორი ქორფაა და მოზენიმე; იმასაც ახერხებს, რომ რამდენიმე ბრძნული და შთამაგონებელი რამ თქვას. პიკანტურ, დამტკვრეულ ინგლისურ ენაზე გულწრფელად დაწერილი ეს წიგნი ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

**ჩარლზ ლი, „ფილადელფია რეკორდიდან“**

ეს წიგნი, რომელიც ამერიკაში ჩამოსული რუსის თავგადასავლებზე გვიამბობს, ნახევრად ფაქტია, ნახევრად გამოგონილი მონათხრობი. აქვს საროიანისეული სოციოლოგიის ნიშნები, არის თბილი, ჰუმანური, აბსურდულ-გიჟური, ზოგჯერ — მტკივნეული, ზოგჯერ მონოტონურიც კი, მიუხედავად თხრობის ცოცხალი რიტმისა. ესაა ემიგრანტულ-კოსმოპოლიტური თაროს მცირედი ნაწილი, რომელიც პრეტენზიულობას თავს არიდებს და რომელსაც ხელოვნება აკლია; მართალია, ლიტერატურული „ფუნთუშა“ მადისაღმძვრელი გახლავთ, თუმცა იმაზე არაა გათვლილი, რომ ინტელექტუალურად და ესთეტიკურად დამშეულთა მადა დააკმაყოფილოს.

**ჯონ ბაულუსი, „პიტსბურგ პრესიდან“**

თქვენ შეგიყვარდებათ გიორგი, შალიკო, ილარიონი, ძია ვანო და ყველა გულისამაჩუყებელი გმირი ამ მშვენიერი წიგნისა, რომელსაც ფოლკლორის ცეცხლი უქიდა და სათავგადასავლო ნაწარმოების ნაბიჯებით მიღის.

**ჯოზეფ ჰენრი ჯექსონი, „სან ფრანცისკო ქრონიკალიდან“**

ეს უბრალოდ დაწერილი ნაამბობი ამერიკაში მოგზაური ენერგიული ტრანსკავკასიელის სენტიმენტალური თავგადასავლისა, უფრო თოროს ჰგავს, ვიდრე სტერნს და ნაკლებ ჰგავს თოროს, ვიდრე... მოდით, ვცადოთ, რომ ილუსტრირებული, მოძრავი „ტორტილას დაბლობი“ წარმოვიდგინოთ, დაწერილი, ვთქვათ, ლუდვიგ ბემელმანის მიერ!

**მარშალ ბრედონი, „სპრინგფილდ რეპაბლიკიანიდან“**

ეს ხალისიანი გასართობია, იღბლიანი შენაძენი. თუმცა, ეს უფრო მეტია, ვიდრე



სიცილი. ის „ადამიანებს გაწონებს.“ გიორგის ბედი ამერიკელად ყოფნა იყო, თანაც ერთ-ერთ საუკეთესო ამერიკელად. მისი თანშობილი დემოკრატიულობა, მისი სიმპათია და პატივისცემა ყველანაირი ადამიანის მიმართ, მისი სიცოცხლის სიყვარული და იუმორი ერთდროულად გვასწავლის და აღგვაფრთოვანებს. შესანიშნავი კაცი, შესანიშნავი წიგნი.

**მერი-კარტერ რობერტსი, „ვაშინგტონ დი. სი. სტარიდან“**  
 ლალი ამბავი ქართველი ემიგრანტებისა, რომლებიც ამერიკული ცხოვრების წესს ეჩვევიან. ყველაფერი არაჩვეულებრივია, თუმცა მე განსაკუთრებული ენთუზი-  
 აზმით ქართული ქეიფების პომერულმა აღწერებმა აღმავსეს. თუ ავტორებს ვერავენ დაარწმუნებს, რომ რეცეპტების წიგნი დაწერონ, მაშინ მე თვითონ ჩავალ საქართველოში, რათა ვისწავლო, მაგალითად, „ჩანახბილის“ მომზადება.

**ემი ჰ. ქრაგტონი, „როჩესტერ ტაიმს-იუნიონიდან“**  
 ცოცხალი, პიკანტური ამბავი შეერთებულ შტატებში ჩამოსული ქართველი ემიგრანტის გამოცდილების შესახებ, მოყოლილი საკუთარი უჩვეულო ფრაზეოლოგიითა და მომაჯადოებელი სიტყვებით და იუმორით. ზოგჯერ — ექსტრავაგანტული, ზოგჯერ — დაუჭერებელი, მაგრამ ძირითადად, საინტერესო და გასართობი. ეს წიგნი ხიბნის მოგვრით, თუმცა ამავე დროს, ის „ღობის პროცესის“ (იგულისხმება აშშ-ში ემიგრანტთა ინტეგრაციის პროცესი — რ.ნ.) შესახებ სააზროვნო საკვებითაც მოგამარაგებთ.

**ჯონ ტ. ფრედერიკი, „როტარიანიდან“**  
 კერძები და მეგობრობა მთავარი თემებია წიგნისა „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ და ორივე თემა არაჩვეულებრივადაა განხილული. ძია ვანო და მისი ქართველ-ამერიკელი მეგობრები ის ხალხია, ვისაც უნდა იცნობდეთ. სიცოცხლისადმი, ადამიანებისა და ჭამისადმი მათი უხვი სიყვარულიდან ახლა კომიკური და ნამდვილად გულისამაჩუყებელი თავგადასავლები აღმოცენდა და გარდა ამისა, აღმოცენდა ამერიკის მნიშვნელობის ახალი განცდაც.

**ფერდ გოტლიბი, „სენტ ლუის პოსტ-დისპეჩიდან“**  
 ჯორჯ პაპაშვილი სინტაქსის მტერია, მაგრამ მის დამტკრეულ ინგლისურს ერთობ თავისებური ხიბლი და მდიდარი არომატი აქვს. ასევეა მისი თავგადასავლები ამ გასაოცარ ამერიკაში. სრულიად არაჩვეულებრივი წიგნია: ენერგიული, პერიოდულად — ნაზი და რეფლექსიური, და გაცილებით ბევრი აქვს სათქმელი, ვიდრე მალალი გასართობი ღირებულების მქონე წიგნს.

**სიუზან მარტინი, „სიეტლ პოსტ-ინტელიჯენსერიდან“**  
 „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ — პაპაშვილის ისტორია; ქართველი ემიგრანტის ამბავი — იმდენად სასაცილოა, რომ შეგიძლიათ, ხმამაღლა წაიკითხოთ. თუმცა,



ამავე დროს ტრაგიკომიკურიც არის. წიგნი მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რა კუთხითაც დეკლარირებული ე.წ. „დემოკრატიული მოძღვრებები“ ვერასდროს იქნება, რადგანაც ის ძველი ქვეყნის სამზარეულოს მადისალმძვრელი სურნელებითა და გიორგის გიჟური თავგადასავლებით გაჭერებული, თავისუფლების მიწაზე ახლებურ, თბილ ხედვას გვთავაზობს.“

**წიგნები, რომლებიც მომეწონა**

**მარსია დავენპორტი:** დოროთი კარუზო „ენრიკო კარუზო, მისი ცხოვრება და სიკვდილი;“ **ჯორჯ და ჰელენ ბაბაშვილები** „ყველაფერი შეიძლება მოხდეს;“ ჰერმან ბრონი „ვირგილიუსის სიკვდილი.“

**„თვის წიგნის კლუბის“ რჩეული**

**„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“**

**ავტორები: ჯორჯ და ჰელენ ბაბაშვილები**

„ჯორჯს ყველაფერი შეემთხვა. ამერიკაში რუსი ემიგრანტის თავგადასავალთა ამ კალენდოსკოპურ, სასაცილო და ამასთან ერთად, ამაღლევებელ ნაამბობში ერთ მოსაწყენ მომენტსაც კი ვერ ნახავთ. ფრენსის ლუდლო, რომელმაც ის „რიტეილ ბუკსელერის“ „რედაქტორის რჩეულად“ დაასახელა, სრულად ჩასწვდა მის სულს:

„მე უდიდესი ენთუზია ზმით ვუწევ მას რეკომენდაციას. ეს მხიარულებით, სიცილითა და თბილი, მეგობრული გრძობებით სავსე წიგნია და დაუსრტელ აღფრთოვანებას იწვევს ნებისმიერი რამის მიმართ, რაც კი შეიძლება მოხდეს... თავად ჯორჯის არ იყოს, წიგნიც „ბედნიერი და სიამაყით სავსეა.“ ჯორჯი, როგორც მარშალი სტალინი, ქართველია. პირველად მას ნიუ-იორკის ნავსადგურში ვხვდებით, ოციოდე წლის უკან. ის ვახლავთ „პირველი კაცი კობიანთკარიდან, რომელიც კი ოდესმე აშშ-ში ჩამოსულა.“ მას უმაღვე დაიყოლიებენ, რომ კარაკულის ბობოხნი ერთ დოლარსა და მოხდენილ ამერიკულ ბამბის ქუდში ვადაცვალოს. პირველ სამსახურს იმიტომ ჰკარგავს, რომ ამერიკული მინის ქურქელი ადვილად მსხვრევალია. ხოლო ახალი სამუშაოს პოვნა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული (მისი დიალოგები შემოიფარგლება იმეკარი ფრაზებით, როგორც ეცა: „რამდენი საათია?“). პიტსბურგში ვაფიცივის შეჩერებაში იღებს მონაწილეობას იქამდე, ვიდრე არ აღმოაჩენს, სინამდვილეში რა ხდება; შემთხვევით შეხვდება (ოჰ, ეს ბედნიერი დღე!) სხვა ქართველს და ნელ-ნელა ინგლისურად ლაპარაკსაც სწავლობს, ყოველ შემთხვევაში იმ დოზით, რა დოზითაც პრაქტიკულ მიზნებს წაადგება. ცხადია, თუ მის რომელიმე მიზანს პრაქტიკული შეგვიძლია ვუწოდოთ... სადაც არ მიეშურება გიორგი, იქნება ეს კალიფორნია, ვირჯინია თუ პენსილვანია, ის მეგობრებს იძენს – დიდსულოვან, თავქარიან მეგობრებს, დაუცხრომელი მადითა და წყალსაცავიდან გაღმობხეთქილი წყლის მხიარული მგზნებარებით. და სადაც არ უნდა შეხვდნენ ის და მისი მეგობრები ერთმანეთს, ყველა კუთხე-კუნქულში სასაცილო თავგადასავალი იმალება, მკითხველისთვის კი იშვიათი სიამოვნება.

დიდი ხნით აღრე, სანამ „თვის წიგნის კლუბი“ წიგნს – „ყველაფერი შეიძლება

მოხდეს“ თავის რჩეულად დაასახელებდა, „პარპერის“ გამყიდველებმა ის „ხელსაყრელ შენაძენად“ გამოაცხადეს. ჩვენ სავსებით დარწმუნებულნი ვართ, რომ თუკი თქვენც დაეთანხმებით მათ, აღმოაჩენთ, რომ მისი წაკითხვა იდეალური გზაა ახალი წლის დასაწყებად.“

სავარაუდო ფასი 2 დოლარი“

„**თვის წიგნის კლუბი**“ ავრცელებს წიგნს „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, რომელიც ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების კალამს ეკუთვნის და ჯორჯის ამერიკული თავგადასავლების შესახებ გვიამბობს. დაბადებით ქართველი მისტერ პაპაშვილი, დღეს მოქალაქეობითა და მრწამსით ამერიკელია. რთული გასაგები არ უნდა იყოს ის განსაკუთრებული სიყვარული დედინაცვალი ქვეყნისადმი, რომელმაც მას ბედნიერება და ილბალი აპოვნინა მაშინ, როცა არც თავად და მისის პაპაშვილი, რომელმაც დაწერა ის, რასაც ჯორჯი ჰყვებოდა, არც გამორჩეულად მომხიბვლელი არიან და არც განსაკუთრებული იუმორი გამოარჩევთ. აი, სამაგიეროდ, მათი წიგნი დამატყვევებელია და სიცილით სავსე.“

## ყოყო

ერთი შეხედვით, უცნაურიც კია, როგორი პოპულარული გახდა წიგნი ამერიკის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა (ოფიცერთა კორპუსის და ჯარისკაცთა) შორისაც; არადა, რომანი არც ომზეა, არც საბრძოლო იერიშებზე და არც ამ ყიდის თავგადასავლებზე. ცალკეული გამოცემები მათთვის ჯერ კიდევ 1945 წლის თებერვალში დაიბეჭდა, ხოლო მეორედ, II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ — 1946 წლის თებერვალში. „უმაგალითო მოვლენა“ — სწორედ მაშინ დაიწერა, რაც 600 000 ცალი წიგნის გაყიდვას მოჰყვა. **ფაქტი იყო, წიგნი ბესტსელერად იქცა!** ამას აღარც სჭირდებოდა ოფიციალური დასტურები; და მაინც, ჟურნალმა „ბესტსელერი“ თავის მხრივ, ამავე წლის (1946) იანვარში მრავალათასიანი ტირაჟი გამოუშვა. არ ყოფილა „განსხვავებული“ შეფასებები, არც დისკუსია გამართულა... წიგნი ერთხმად, პატივით იქნა წარდგენილი წოდებაზე **Book of the Month Club** (ყოველთვიური წიგნის“ კლუბი), როგორც ფრიალ წარმატებული (ესარგებლობ ცნობილი ქართველი ემიგრანტის, ბ-ნი გივი კობახიძის მიერ ვაშინგტონ-ტომპარკში დაწერილ ნარკვევში მოწოდებული ცნობებით).

გამოცემები გაგრძელდა: 1946 წლის იანვარში — მეცამეტე, შვიდი თვის მერე (აგვისტოში) — მეთოთხმეტე, მეთუთმეტე — 1948 წლის იანვარში. ასეთივე წარმატებით გრძელდებოდა რეცენზიებისა და სტატიების ბეჭდვა.

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ არაერთ ენაზე ითარგმნა და შესაბამისად, გამოიცა კიდევ, დაახლოებით თხუთმეტე — ფრანგულ, გერმანულ და სხვა ევროპულ ენებზე; იაპონურ და ჩინურ ენაზეც (საინტერესოა, ამ უზარმაზარ ქვეყანაში რომანი რა რაოდენობის ტირაჟით დაიბეჭდა); არსებობს თარგმანი „ურდუს ჩათვლითო“, — ვკითხულობთ ერთი უცხოელი ლიტერატორის სტატიაში. ურდუ სამხრეთ



აზიაში გავრცელებული ენაა — ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: პაკისტანი, ბანგლადეში, შრილანკა, ნაწილობრივ ინდოეთი და არაბეთის ქვეყნების მოსახლეობის უმეტესობას შეუძლია გაიგოს ურდუ. ურდუზე გამოცემა მეორედაც გამხდარა საჭირო. გთავაზობთ საინტერესო დოკუმენტს:

**„ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო.  
ვაშინგტონი**

ძვირფასო ბატონო და ქალბატონო პაპაშვილებო,

[წერილს] თან ერთვის „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ თარგმანის ასლი **ურდუზე**. ეს თქვენი წიგნის **კიდევ ერთი** გამოცემაა, რომელიც შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს უშუალო ძალისხმევით. ჩვენი სურვილია, რომ თქვენ გქონდეთ ასლი, როგორც დამატებითი ეგზემპლარი და როგორც დასტური უცხოეთში თქვენი წიგნის მიმართ დაინტერესებისა. გულწრფელი პატივისცემით.“

წერილს ხელს აწერს საინფორმაციო ცენტრის სამსახურის ხელმძღვანელი.

ამ ურიცხვი თარგმანების თაობაზეც არაერთხელ დაწერილა. ერთ-ერთ სტატი-  
აში ჩამონათვალია და „...among them Urdu and Telegeu.“ ტელუგუ ინდოეთში გა-  
მოყენების სიხშირით მესამე ენაა და (2001 წლის მონაცემებით) მასზე დაახლოებით  
74 მილიონი ადამიანი ლაპარაკობს.

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ დაიბეჭდა **ბრაილის შრიფტითაც** — უსინათ-  
ლოთათვის.

იმხანად **წიგნი თითქმის მილიონანეგარმა მკითხველმა წაიკითხა... არა! წაი-  
კითხა ალბათ, გაცილებით მეტმა, რადგანაც მყიდველის რიცხვი არ ნიშნავს მკითხ-  
ველის რაოდენობასაც. ორიგინალი თუ ნათარგმნი წიგნები მსოფლიოს დიდი ბიბლიო-  
ოთეკების თაროებზე დაიდო.**

მასშტაბები უდავოდ, ძალიან შთამბეჭდავია!

**XX საუკუნეში არ მეგულება წარმატების მსგავსი ანალოგი, ქართული წარმო-  
მავლობის რომელიმე მწერალს ჰქონოდა.**

„რუსი ქართველი,“ „სტალინის საქართველოდან,“ „ჩავალ საქართველოში“  
— ეს ფრაზები ჩვეულებრივი მკითხველების გამონათქვამები არ გახლავთ. მათ-  
მა ავტორებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ მათი მოსაზრებები წყვეტდა „თვის  
წიგნის“ ბედს.

და მაინც, — „სიკეთის სახარება?!“

სახარება ქცევის, ცხოვრების ზნეობრივი კოდექსია — როგორ უნდა მოიქცე და  
რა „არ შეიძლება,“ აქ აკრძალვაცაა. კაცობრიობა დღემდე ამ კოდექსით ცხოვ-  
რობს, თუმცა, რასაკვირველია, ყველა არა! იმ სხვებს თავისი „წესები“ აქვთ.

მწერლობაში ეს სიტყვები გარკვეულ სიმბოლოდაც შეიძლება, მოიაზრებოდეს.  
ერთი მაგალითი:

„ჩემს წინ ბოდღერი, გადაშლილი ვით სახარება,“ — ამ სტრიქონს ქართველი



სიმბოლისტი პოეტი, ვალერიან გაფრინდაშვილი გასული საუკუნის დასაწყისში დაწერს და ეს იქნება გარკვეული პატივისცემის აღიარება თავისი ფრანგი თანამოკალმის ცხოვრების წესისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის მიმართ.

პაპაშვილის „სიკეთის სახარება“ სხვა ემოციას გაუჩენს მისი ნაწარმოების წამკითხველს: კეთილშობილების, წესიერების, დაწერილი თუ დაუწერელი მორალური ტონების მორჩილების დასტურად. და კიდევ: **Happy Book** – ის „ზეგავლენა“ თუ განცდა, რომ ყველაფერი, რაც რომანში ხდება, მეტ-ნაკლებად პირადად მას – მკითხველს ეხება. ამ სწორედაც „ემიგრანტების ქვეყანაში“ ეს წიგნი დაბრკოლებებზე აცინებდა მკითხველებს და ამით მათ ქვეცნობიერად პრობლემების „გაიოლებათ“ ეხმარებოდა და იქვე, „შანსსაც აძლევდა“: „შენთვისაც ყველაფერი კარგად დამთავრდება!“

რომანი „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ („**Anything Can Happen**“) საქართველოში 1966 წელს გამოიქცა. თუმცა, ოდნავ განსხვავებული დასათაურებით: „ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“ ინგლისურიდან თარგმნა **ანდრუ-საფარ ჰეიშვილმა**. გარდა იმისა, რომ იგი საინტერესო და კარგი თარგმანია, ძალიან მნიშვნელოვანია როგორც თავად ლიტერატურული ფაქტი.

**სათაურიდან დავიწყეთ:**

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“ **სად?!** ეს ზოგადი დამოკიდებულებაა – დაშვება არაერთი ვარაუდის შესაძლებლობას იძლევა: შეიძლება საქართველოში, კობიანთკარში დაბადებული კაცი უცხოეთში აღმოჩნდეს და არცთუ ურიგოდ ააწყოს მომავალი. მოქმედება ამერიკაში ხდება. რომანი 20 თავისაგან შედგება. ეს წიგნი უჩვეულო კონტაქტის საშუალებაა ერთი მხრივ –საკუთარ თავთან და მეორე –გარე სამყაროსთან. მთავარი პერსონაჟი თავად ჰყვება საკუთარ თავგადასავალს, ჰყვება საინტერესოდ და ერთგვარი იუმორითაც. მას არ სჭირდება მტრის ხატის გამოგონება. აღამიანებსაც და გარემოსაც იმგვარად აღწერს, როგორაც ნედავს.

რომანში (ისევე, როგორც ამ ქვეყანაში) მნიშვნელოვანია დრო. **პირველივე მინიშნება** დასაწყისშივეა ჩადებული:

„დილის 5 საათზე გემის მანქანები გაჩერდა. 37 დღის შემდეგ გემზე პირველად დაისადგურა სიჩუმემ.“

ჩვენ ამერიკაში ვიყავით.“

ნაწარმოებში თენდება. ახალი დღე იწყება. ახალი დღე ახალ ქვეყანაში, ანუ ახალი ცხოვრება – გიორგისთვის ყველაფერი თავიდან იწყება!

**მეორე ნიშანი – ფული.**

ფრაზა: „უფულოდ ვინ შევიშვებს ამერიკაში?“ ირონიულად კი ჟღერს, მაგრამ სახალისო ამბავს გვიამბობს. მიხრობელ-დამკვირვებელი არ ტოვებს არცერთ დეტალს, რათა ამბავი საინტერესო და დამაჯერებელი გახადოს. სუბიექტურია გარემო, სუბიექტურია მისი აღქმაც. ამერიკულ, უბრალო ზოლიანი ნაჭრისაგან შეკერილ „ჩინკალა“ ქუდში მშვენიერ კრაველის ბოზოხს გაცვლის. ვერცხლისფერი კრაველი, რომელიც გამომგზავრების წინ ეგებ საგანგებოდაც შეიძინა, იმასაც აფიქრებინებს: „საქართველოში რომ მეცხოვრა, ალბათ, მთელი სიცოცხლე მეყო-



ფოდა...“ მაგრამ ახლა სხვა ქვეყანაშია, „ამერიკაში ამერიკულად უნდა ჩაიკვა.“  
შორეულად ხომ არ ნიშნავს: სადაც ჩახვალ, იქაური ქუდი... (იქმნება ე.წ. „ღამ-  
მარე სურათი.“ ტანსაცმელი პერსონაჟის გარკვეულ თვისებას ან ზოგად სიმბო-  
ლოს წარმოადგენს. მაგალითად: როცა რომელიმე პერსონაჟი იცვამს ნაციონალურ  
ჩასაცმელს — ეროვნულობის ნიშანია, სპორტულს — პიროვნების ზასიათს ესმება  
ხაზი, ბალ-მასკარადზე ჩასაცმელი — გმირის და გარემოს სილალის, გართობის, ანდა  
პირიქით, ნიღბებით „ყოფნის“ სურვილია).

და კიდევ: ახალჩამოსული ქუდების გაცვლისას ერთ დოლარსაც „იშოვის“  
და ფაქტი — ამერიკაში ჩამოსვლის დღესვე ფულს „გააკეთებს.“

**მესამე** — სახელმწიფოს ზრუნვა მოქალაქეებზე (პასუხისმგებლობა).

საშვიანი მგზავრები კუნძულიდან ნაპირზე უპრობლემოდ რომ მოხვედრილი-  
ყვნენ, ამას მთავრობა უზრუნველყოფდა: „ნაპირზე კი: ქუჩები, ხალხი, ხმაური.  
სახეები და კვლავ სახეები. ქოთქოთი, ჯიჯინი, ყვირილი, მაგრამ ყველაზე მეტი —  
ფუსფუსი და მოძრაობა: წინ და უკან, უკან და წინ, თვალეები ამიჭრელდა.“ ესეც  
**მეთხე ნიშანი** — ამერიკული ცხოვრების ტემპი.

სამუშაო ადგილის შოვნა ბევრ რამეს ნიშნავს. ეს არაერთი ფაქტორის  
საწინდარი ხდება: მშვიდი ცხოვრების, გადასახადების დროულად გადახდის, სხვა  
საზრუნავის გაჩენის... მით უფრო უცხო ქვეყანაში იგი რთული გადასაჭრელია და  
აქაც უამრავი ფაქტორია: ენის ცოდნა, უცნობ ადამიანებთან კომუნიკაციის უნ-  
არი, ქვეყნის სამოქალაქო უფლება-მოვალეობებში გარკვევა. **ავტორის ნიჭიერება  
და რომანის პოპულარობის საიდუმლო სწორედ ის მგონია, რომ მიგნებულია ზუსტი  
მხატვრული პრინციპი:** არა ბანალური წინააღმდეგობებითა და აქედან გამომდინ-  
არე, ტკივილებით, ცრემლებით, სენტიმენტალური ფათერაკებით სავსე ამბები, არ-  
ამედ თბილი იუმორი, რეალური თავგადასავალი და „ჩამოსული“ კაცის თვალთ  
დანახული სივრცე. მწერალი სინამდვილეს ისეთს ხატავს, როგორც მას ყოველ-  
დღიური, ჩვეულებრივი გარემო სთავაზობს.

უცნობ ადამიანს დახმარებას შესთავაზებს, ავტომანქანას შეუყვებებს და როცა  
„ვრცლად“ საუბრის გაგრძელებას ვეღარ მოახერხებს, ლექსიკონი გაახსენდება.  
ერთი ფრაგმენტი: კაცმა საჭირო სიტყვას მიაგნო და:

„— მუშაობ?“ — მკითხა და ინგლისურ სიტყვაზე მიმითითა.

მის გასწვრივ დაწერილ რუსულ სიტყვას დავეხედე და თავი გავაქნიე.

„— ბინა?“ — მაჩვენა მან მეორე სიტყვა.

კვლავ უარით ვუპასუხე.

გამოვართვი ლექსიკონი, „გემი“ და „დღეს“ მოვძებნე და ვაჩვენე.

„— წამოდი,“ — მაჩვენა ლექსიკონში.“

სამსახური მოძებნილია — ავტომობილებს შეაკეთებს. გზად არაერთ მილს გაი-  
ლიან, მასპინძლის სახლსაც მიაღწევენ. იმისი ცოლი ავანშემებს (კარგად დანაყრდნე-  
ბა) და ოთახსაც მიუჩენს. ძილის წინ გაჩენილი ფიქრი: „აი, მთელი დღეა ვცხოვრობ  
ამერიკაში და სწორედ ისე ყოფილა, როგორც ამბობდნენ, — ამერიკა ის ქვეყა-  
ნაა, სადაც ყველაფერი, მართლაც, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“ ერთი დღის

შთაბეჭდილებას ვერც მომდევნო წლები გააჩვენებს. რომანის პირველ თავს: „ბირევი  
ველი დღე“ ეს წინადადება დაასრულებს:

„უკვე ოცი წელია ვცხოვრობ ამერიკაში და აქაურობაზე დღემდე ამ აზრისა ვარ.“  
ეს სრულიადაც არ გულისხმობს იმას, რომ აქ ყველაფერი იდეალურადაა.

მხატვრულ ლიტერატურას აქვს უდიდესი უნარი, დაგანახოს ქვეყანა. ყოველ სახ-  
ელმწიფოს აქვს თავისი დამახასიათებელი ნიშნები, რაც მას ყველა დანარჩენისგან  
გამოარჩევს. არჩევანი — ეს მხარეა მნიშვნელოვანი, ამ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი.  
ქვეყნისთვის, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. გიორგისათვის ეს თვალში-  
საცემია. ერთი მაგალითი: გაუგებრობაში გაეხვევა და პოლიცია საქმეს სასამართ-  
ლოს გადასცემს. ადვოკატი ფიქსერი ურჩევს, თავი დამნაშავედ ცნოს, ჯარიმა: 2  
დოლარი გადაიხადოს და „საქმე მორჩება.“ ამასთან, პპირდება, რომ „მთელ ჩემ  
ნაცნობობას დავიხმარებ საქმის მოსაგვარებლად.“

„— იმას ვერ დავიბრალდებ, რაც არ ჩამიდენია,“ — ურყევია გმირის პასუხი; თუმ-  
ცა წინასწარ იცის, რომ პოლიციასთან დავა სახუმარო საქმე არაა.

ფსიქოლოგიურად ზუსტადაა გათვლილი ინდივიდუალური ხასიათი და საქციე-  
ლის ხარისხიც. ფიქსერისაგან წამოსულები მისტერ კონისაკენ გაემართნენ. ის 47  
წელია ამ ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქეა და ამიტომაც ურჩევს: თქვას სი-  
მართლე!

„— არა ვარ დამნაშავე, თქვენო ღირსებავ,“ — მიმართე ასე და მერე შენი ამბავი  
მოუყვიე.“ კონი კატეგორიულად არ ამტკიცებს, რომ ყველაფერი კარგად იქნე-  
ბა, „საამურ ქვეყანაში“ ცხოვრობს და უსამართლობა გამოირიცხებულია. აქ ილუ-  
ზიური წარმოსახვებით არ იტყუებენ თავს. იგიც მსჯელობს: იქნებ მოსამართლემ  
ყურადღებით მოისმინოს მომხდარის შესახებ და გაუგოს კიდევ. იმის ალბათობასაც  
უშვებს, რომ მოსამართლე შესაძლოა, უხეირო გამოდგეს, ან უბრალოდ, დადლილი  
იყოს, ანდა უცხოელებს არ თანაუგრძობდეს და... მართალია, ასეთები იშვია-  
თია, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ისევ ჯარიმის გადახდა სჯობს. ამის გამო კონკრეტუ-  
ლი ყოფითი ცხოვრებისეული წინააღმდეგობა არ უნდა განაზოგადოს და ქვეყანა  
(ამერიკა) არ შეიძლოს. ერთ დავალებასაც აძლევს: განაჩენის გამოცხადების შემ-  
დეგ „მაშინვე მოდი და შემატყობინე.“ გაოცებული უცხოელის შეკითხვაზე:

— ეს რაღა საქიროა?!

პასუხობს: „— შავ კენჭს ჩავუგდებ მომავალ არჩევნებზე. თუ წესიერად არ  
მოიქცევა, მეტს აღარ ავირჩევთ.“

როგორ ფიქრობთ, როგორ წაიკითხავდა ამას საბჭოთა მკითხველი?!

სასამართლოში საქმე ამგვარად წარიმართა: ყველა დანარჩენმა მონაწილემ თავი  
დამნაშავედ სცნო და საჯარიმო ფული გამოაგზავნა. მოსამართლის კითხვაზე, თვი-  
თონ რატომ არ მოიქცა მსგავსად, გიორგიმ განმარტა, რომ არ იყო დამნაშავე. ორმა-  
გი ტყუილი იქნებოდა, თუკი ჩაუდენელ დანაშაულს აღიარებდა (არ იქნებოდა დამ-  
ნაშავე და ტყუილად დაიბრალებდა) და ჯარიმას გადაიხდიდა. მოსამართლე მისი  
წარსული ცხოვრებით დაინტერესდა და შეკითხვებიც დასვა. აქ მხოლოდ სასამართ-  
ლო პროცესის ბუნებრიობის დემონსტრირება არაა, არამედ მწერლის მხატვრული

ხერხი: გმირიც გაგვაცნოს, გარემოც და ქვეყანაც. ის რეალობა დაუხატოს მკითხველს, რომელშიც აკი თავადაც ცხოვრობს. ამ კონკრეტულ ამბავს კი „ვეტორი“ ამგვარი ფინალით დაასრულებს: მოსამართლე ირწმუნებს ნათქვამს, „და მისი უმწიკველობა, დიდი ამერიკელი მოსამართლე, ჩემსკენ ვადმოიხარა და, იცით, რა მითხრა, მე უბირს, უენოს, ექვსი თვის ჩამოსულ გამოუცდელ უცხოელს?“

—ახალგაზრდავ, მე მსურს ხელი ჩამოგართვათო, — და მართლაც, ჩამომართვა, მთელი დარბაზი გვიყურებდა.“

**მათ არა მხოლოდ დარბაზი უსმენს და უყურებს, არამედ უჩვეულო რაოდენობის განსხვავებული მკითხველიც. ეს პანორამული სურათია:** მოსამართლე — სამართლიანობის სიმბოლო და დეტალი — ჩამორთმეული ხელი, რამდენადაც „პატარა“ ამორჩეული დეტალი, იმდენად შთამბეჭდავია და ფართომოცემულ ტილოზე მთელი და ნაწილი ერთდება და ერთ მნიშვნელოვან, ე.წ. „ქვეყნის სურათს“ ქმნის.

როგორი მოულოდნელიც არ უნდა იყოს, საქართველოში კურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ 1960 წელს წერდა:

„კითხვობით ამ წიგნს და თქვენს თვალწინ იშლება ამერიკის შეერთებული შტატების შეუფერადებელი სურათები... ვის არ შეხვდებით წიგნის ფურცლებზე: მატყუარა, გაქნილ კომისიონერებსა და მათ მიერ მოტყუებულ კლიენტებს, მოხერხებულ ბიზნესმენებს და გაფიცულ მუშებს, რასიული პროპაგანდით დაშინებულ თეთრგვარდიელ ემიგრანტებს და მშვიდობიან, კეთილ ინდიელებს. ობიექტურადაა აღწერილი ამერიკული ზნე-ჩვეულებანი და ამერიკული რეალები.“

ამერიკაში კი დაიწერა — ამონარიდი სარეკლამო წარდგინებლიდან:

„ეს არის ხმაურიანი, გულთბილი აღწერა რუსის მიერ აღმოჩენილი ამერიკის — ადგილის, სადაც ჯორჯის თანახმად, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ეს არის წიგნი, რომლის არმატი მხოლოდ თვითონ ჯორჯს შეუძლია ალაღ-მართლად და სრულად გადმოსცეს. მისი მზიარულებით და სინაზით, სასიამოვნო იუმორითა და გულწრფელი პათოსებით მოხიბლული, დახვეწილი გემოვნების მკითხველი სიხარულით შეხვდა მას.“

**ფრანსის ლულლოუ — წიგნის საცალო გაყიდვების რედაქტორი:** „ეს არის მზიარული წიგნი... რომელიც ჰგავს თვითონ მას, ჯორჯს, ბედნიერებით და სიამაყით სავსე. ჯორჯი, ან როგორც მას მისი მეგობრები ეძახიან — გიორგი, ქართველია. პირველად მას ვხვდებით ნიუ-იორკის ნავსადგურში, დაახლოებით, ოცი წლის წინ; ის პირველი ადამიანია კობიანთკარიდან, ვინც ოდესმე ჩამოსულა ა.შ.შ.-ში. მან ცდუნებას ვერ გაუძლო და მაშინვე გადაცვალა კრაველის ბოზონი ერთ დოლარზე და მშვენიერ ამერიკულ ბამბის მრგვალ ქუდზე. ჯორჯ პაპაშვილმა თავისი პირველი სამუშაო ამერიკული მინის ქურჭლის გატეხვის (დამსხვრევის) გამო დაკარგა. სხვა სამსახურის შოვნა ძალიან გაუჭირდა. (ინგლისურად მას მხოლოდ რამდენიმე ფრაზის წარმოთქმა შეეძლო, ისიც არასწორად, როგორიცაა: „რამდენი საათია?“). ის გაფიცულებს ეხმარება პიტსბურგში მანამ, სანამ გაიგებს სინამდვილეში რა ხდება. ბოლოს, მოულოდნელი შეხვედრა — ოჰ, ბედნიერი დღე! კიდევ ერთი ქართველი. და თანდათანობით საკმაოდ სწავლობს ინგლისურს პრაქტიკული მიზნებისთვის — თუ



მის რომელიმე მიზანს შეიძლება „პრაქტიკული“ ეწოდოს... ყველგან, სადაც ჯორჯი გაემგზავრება: კალიფორნიაში, ვირჯინიასა თუ პენსილვანიაში, ის იძენს მეგობრებს და ყველგან, მისი და მისი მეგობრების შეხვედრებით არის ხმაურიანი თავგადასავლუბი ირგვლივ მყოფთათვის და იშვიათი სიაშოვნება მკითხველისთვის.“

**ჯონ ჰ. მარგანდი** — თვის წიგნის კლუბის სარედაქციო საბჭო: „საოცარი და სიაშოვნო სრულიად ამერიკული თავგადასავლები... მისი იუმორი სავსეა ამაღლებული გამბედაობით, სულგრძელობითა და ხელგაშლილობით, ხოლო ყოველივე ამის უკან კი კეთილი გამხნელება დგას“.

**დონალდ გორდონი** — ამერიკის ახალი ამბების კომპანიის წიგნის პროვოზორების ექსპერტი: „წიგნის, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ მკითხველისათვის ნათელი იქნება, რომ ჯორჯი თავს ყველგან გაიტანს, მარსზეც კი, თუკი იქ გამგზავრებას შესძლებს.“

დამეთანხმებით.“

ამ ქვეყნის სხვადასხვა მოქალაქე — ემოცია ერთნაირი!

ნაწარმოების ძალიან საინტერესო ქვეთავია „მიწის ძახილი.“ ჭარბველმა მკითხველმა ამ სათაურით, უფრო სწორად, დაახლოებით ამ სათაურით ამავე თემაზე დაწერილი მოთხრობა იცის, მიხეილ ჯავახიშვილის „მიწის ყვირილი.“

**საქართველო, თბილისი, კობიანთკარი, კახეთი, ხევსურეთი, გუდაური...** ისე ბუნებრივად ახსენებს, რომ არ რჩება უხერხულობის განცდა, იცის თუ არა ამერიკელმა მკითხველმა, რომელ გეოგრაფიულ სივრცეზე ესაუბრებიან?! იხსენებს ღიმილით, იხსენებს ღირსების სრული შეგრძნებით, იხსენებს ჩვეულებრივადაც, მაგრამ თითქმის არასოდეს ტკივილით, არადა, ემიგრანტი მწერლისთვის ეს სრულიად ნაცნობი ლიტერატურული მეთოდი იქნებოდა. ვახსენე სიტყვა „თითქმის.“ ერთადერთხელ, ძალიან ზუსტ კონტექსტში ჩააყენებს მწერალი თავის გმირს, როცა ყველასთვის საყვარელი და ახლობელი „ძია ვანო“ მოკვდება.

„ვიღაცის ცივი ხელი გულის ფიცარზე მიაკუნებდა, როცა საფლავიდან ამოყრილ მიწას თვალს მოვაცილებდი და მეზობლებს გადავხედავდი, მათ სახეზედაც ჩემ საკუთარ შიშსა ვხედავდი. თითქოს სარკეში ვიხედებოდი. ილიკო, არსენა, კოსტა — ყველანი, მუქით რომ მიწას აყრიდნენ კუბოს, ფიქრობდნენ, ნეტა ვინ იქნება შემდეგია? იქნებ მე უნდა მოვკვდე ძია ვანოს შემდეგ, საშობლოს მოშორებული. დავი-მარხები უცხო მიწაში და ჩემი საფლავის ქვის წარწერასაც ვერავინ წაიკითხავს!“

**სიკვდილი — საშობლოში.**

**სიკვდილი — უცხოეთში.**

თითქოს არაფრით გამორჩეული. თითქოს. ერთი შეხედვით და ისიც ზერელე. არადა, რაოდენი განსხვავების მატარებელი. მშვიდად ვერ მოისმენ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მდგარი ბ-ნი რევაზ გაბაშვილის (1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმოწერის, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრის, ცნობილი ქართველი მწერლის ეკატერინე გაბაშვილის ვაჟის) განდობას. 87 წლის ხანდაზმული ქართველი სამ შემთხვევას გაიხსენებს, როცა ცრემლი წასკდა. გახარების იყო ის თუ ტკივილის, ფაქტი ერთია, თითქმის საუკუნეს



მიტანებულ კაცს სამგზის (!) მომხდარი ახსენდება მხოლოდ: „ერთი იყო სიხარულის ტირილი დამოუკიდებლობის აღდგენის გამო. მეორე — ამ დამოუკიდებლობის დეკარგვის შედეგად და მესამე კი — უცხოეთის მიწაში ჩაწოლის ახლო მოლოდინში.“

მშობლიურ მიწას დაცილებულებს ეს ფიქრი მუდმივად აწუხებთ. ემიგრანტ მწერლები ხან ლექსში, ხანაც მოთხრობაში „ამხელენ“ დარდს და იმავდროულად, შიშს. ერთი მაგალითი:

თუ განსრულდა ეს ცხოვრება  
შენგან ჩემთვის განგებული,  
ვთხოვ, არ მოვკვდე უცხოეთში  
სიყრმით ღღემდის დაკარგული.

შ. ვარდიძის ამ ლექსის — „ჩემი ლოცვა“ (დაიბეჭდა ისტ. სამეცნ. და ლიტ. კრებულში „ბედი ქართლის“ №7 V. პარიზი, 1950) ლირიკულ პერსონაჟს სხვის მიწაზე ფეხის დადგმისთანავე აფორიაქებს ეს განცდა. თუკი სამშობლოს ხილვა არ ეღირსება, აქ სიკვდილის ადგილი მაინც არ არის. არყოფნა, ანუ სიკვდილი მშობელ ქვეყანაში — პარადოქსია, მაგრამ საკუთარ მამულში „ყოფნის“ რალაც დეტალებს მაინც შეიცავს:

იქ საფლავიც ტკბილ მეჭნება,  
ნანას მეტყვის ნაზი ქარი.  
ზაფხულს მდელიო რა შემოსავს,  
ზამთარს თოვლიც მთლად სპეტაკი,  
გაზაფხულზედ იით, ვარდით  
არ დავრჩები მე ლატაკი.

მის სამარეს არც მნახველი მოაკლდება და არც ცრემლი; საღვთო ლოცვასაც ტკბილ-ქართულად შეასრულებენ, „იდიდებასაც“ იმღერებენ და „ეროვნულ აღდგენასაც ჩემ ძვალთ ნეშტთაც ახარებენ.“ ანუ სიკვდილი ამქვეყნიური უძრობა კი არა, არამედ ისევ საქმის კურსში ყოფნა, მოძრობაა. მართალია, განსხვავებული, მაგრამ არსებობა სამშობლოში კვლავ გრძელდება. ამდენად, უცხოეთში აღვლენილი ნატკრა:

იქ სიკვდილი მირჩვენია  
ამ ცხოვრებას უცხო მხარეს,  
ღმერთო, ზენით გადმომხედე  
ნუ გამითხრი აქ სამარეს!

ეს სასოწარკვეთილის თხოვნაა. „იქ“, „აქ“ მკვეთრად გამიჯნული მონაკვეთები. „აქ“ არც კარგი ცხოვრება უნდა და არც სიკვდილი, „იქ“ ჩასვლაზე ოცნებობს, „იქ“ სიკვდილიც სანატრელი გახდომია. ლექსის ლირიკული გმირიც სიცოცხლეს კი არ თხოვს ღმერთს, არამედ „იქ“ სიკვდილს. „იქ“ სამშობლოა მისი, მიწა და მამული. „იქ“ იმ მიწას უნდა შეუერთდეს, რომლისაგანაც შექმნილა — „მიწა ხარ და მიწად იქვე!“ (ზოგადად, ეს დიდი თემაა და ამაზე სხვაგან: ორტომეულში

„საქართველო — სამანს აქეთ... და სამანს იქით...“ ვსაუბრობდი.

გარდაუვალი ხვედრი. არა მხოლოდ გარდაცვალება, არამედ უცხო მიწაც. შეიძლებოდა თუ არა ამასთან შეჩვევა? მოვა დრო, როცა აღარ ვიქნები — თავზარდამცემი არა მხოლოდ ეს ფიქრი, არამედ ისიც — არ ვიქნები ჩემიანებთან. ეს კიდევ უფრო აძლიერებდა მარტოობის „სიშორის“ დამთრგუნველ განცდას. სასაფლაოს წარწერებს არცთუ იშვიათად სრულიად უცნობი ადამიანებიც კითხულობენ. ხან ასაკს გაიკვირვებენ, ხანაც სიკვდილის ფაქტს გაიოცებენ და დასარწმუნებლად სურათსაც კარგად დააკვირდებიან. ნაწარმოების („ყველაფერი შეიძლება მოხდეს“) მთავარი პერსონაჟი, გიორგი პირველად დაფიქრდება, რომ უცხოეთი — უცხო მიწაა და მის საფლავს ქართული წარწერა უნდა ჰქონდეს; არადა, ვინაა აქ ქართულად წამკითხველი? ის დაკარგულია ახლობლებისთვის არა მხოლოდ ახლა, როგორც იტყვიან, ცხრა მთას იქით, არამედ სამუდამოდ სიკვდილის შემდეგ გაქრება... ახლა სამშობლოს ნაწილია ძია ვანო. არადა, მისმა გარდაცვალებამ უზარმაზარი სიციარიელე დატოვა, რომელსაც მისი არსებობა ავსებდა; მასთან იხსენებდნენ საქართველოში გატარებული ბავშვობის დღეებს, ჰყვებოდნენ მათთვის იმ სახალისო მოგონებებსაც, რომლებიც მხოლოდ მშობლიურ მიწასთან აკავშირებდათ, ძია ვანოსთან ერთად იგონებდნენ ერთად გავლილ სევდიან წარსულს და ამჯერად?! ძალიან ზუსტი ფრაზა:

„— მასთან ერთად თითქოს სამშობლოს ნაწილიც დავკარგე!“

ადამიანები უხილავად, თითქოს ჯაჭვურად არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი და ერთი ინდივიდის ამოვარდნა... არა, აქ არ არის სიკვდილის ადგილი!

და ჩვეულებრივი მკითხველის შემთხვევაში როგორაა?!

ლიპაის უნივერსიტეტში დაცულ ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების არქივში ქართულ ენაზე დაწერილი ხელნაწერი იშვიათია. თუმცა, რამდენიმე გამონაკლისი მაინც არის. ახლა ძნელია დანამდვილებით თქმა, ვინ გაგზავნა ეს წერილი, რაკილა ხელმოწერა არ იკითხება [ი. მალანია? — რ.ნ.], მაგრამ ფაქტია — ქართველია. დაფიქრებული, სიტყვაწყლიანი, სამშობლოს დანატრებული ქართველი. წერილი დაწერილია 1945 წლის 9 თებერვალს. წიგნის წაკითხვის შემდეგ აღფრთოვანებულმა თანამემამულემ მწერალს — გიორგი პაპაშვილს ბარათი გამოუგზავნა:

„მე მთელი დღე შინ ვარ ავადმყოფობის გამო და თქვენმა წიგნმა ნახევრად მომარჩინა. ერთადერთი ჩემი ნატურაა, აქ არ მოვკვდე და ერთხელ კიდევ ბედმა მარტუნოს კობიანკარის, ღარიალის, ალაზანის და ჩემი „ჩე გოლას“ ნახვა, ამიტომ იყო რომ „ძია ვანოს“ დასაფლავებაზე იმდენი ცრემლი დავღვარე, ვითომ ის ჩემი „ძია“ ყოფილიყო! დიდი ალტაცებით ვკითხულობდი თქვენ მგზავრობას კალიფორნიაში, ვინ იცის რამდენი „კობიანკარ“ მთავე და რკინის წყლები ან უბრალო ცივი წყაროები თქვენ ნახეთ, როდესაც მთებს გადადიოდით. კარგად წარმოდგენილი მაქვს, რა გრძობით თქვენ იყავით ავსილი, როდესაც მთებში აღიოდით და ჩამოდიოდით! რაც აქ ჩამოვედი, მთების ნახვას ვნატრულობ!“

ყველაფერი აქვთ, მაგრამ არა აქვთ მთავარი. თუმცა სწორი ნათქვამი მაინც არ მგონია. სამშობლო რასაკვირველია, აქვთ, მაგრამ თვითონ არ არიან სამშ-



ობლოში და ეს არა აქვთ. არ აქვთ „შინ“ ყოფნის მშვიდი განცდა... დაუსრულებლად ენატრებათ... ხშირად ადარებენ „სხვას“... აქ ორივე „მზარე“ დაზარალებული: ემიგრანტებმა ხომ დაკარგეს სამშობლო, მაგრამ სამშობლომაც დაკარგა შვილები... რა მნიშვნელობა აქვს, როგორი: ზოგი ნიჭიერი, ზოგიც უნიჭო, მაგრამ შვილები...

როგორც ირკვევა, წერილის ავტორი შორიდან იცნობდა თანამემამულეს. მართალია, დაწერა: „მე თქვენ პირადად არ გიცნობთ,“ მაგრამ წიგნმა ეს ბარიერი იოლად დააძლევინა და დაასკვნა:

„Anything can happen“ წაკითხვის მერე კარგად გავიცანიით თქვენ და თქვენი მეუღლე ქალბატონი ელენა.“

თავის მეუღლესაც ახსენებს, თუმცა ძალიან სასაცილო კონტექსტში, ასე:

„თქვენი წიგნი ჩვენ მივიღეთ სამი დღის წინად და მე და ჩემი მეუღლე ერთმანეთს ხელიდან ვგლეჯდით და ისე ვკითხულობდით, სანამ არ გავათავებთ. როდესაც მე თვალი ცრემლებით გამქმნებოდა ან სიცილის და ხარხალის გამო ველარ ვკითხულობდი, ჩემი მეუღლე წამართმევდა წიგნს და ის კითხულობდა, სანამ მე ისევ არ გამოვგლეჯდი ხელიდან!..“

წერილის ავტორი კარგი მკითხველია; ოღონდ ისეთი არა, მხოლოდ „ქართველის“ წიგნები რომ იკითხოს; განათლებულია. საკუთარ მოსაზრებასაც უზიარებს გიორგის; ილფი და პეტროვის წიგნთან ავლებს უანრობრივ პარალელს, თუმცა უპირატესობას თანამემამულის დაწერილს ანიჭებს. წიგნის მთავარ არსსაც ჩასჭიდებს ხელს და შედეგიც სახეზეა:

„ამერიკა ნათლად დგანა მკითხველის თვალ წინაშე – და მე ჩემი თვალწინ მიდგანა ჩემი თავგადასავალი კანადაში.“

წიგნი ვაჟიშვილისთვისაც გაუზზავნია ოტავაში და წინასწარ დარწმუნებულია, წაკითხვისას როგორადაც ისიამოვნებს.

ზოგადად, რამდენადაც ამის შესაძლებლობა მიეცემოდათ, ემიგრანტები ცდილობდნენ, თანამემამულეებს შეხვედროდნენ; წერილის ავტორი გიორგის დაწვრილებით უამბობს, როგორ იყო ოჯახით ზაფხულში სტუმრად (კინზე) კოსტასთან; თითქოს შეიძლებოდა კიდევ გიორგისთანაც რომ მისულიყვნენ და გაცნობოდნენ, მაგრამ არ მოხერხებულა. აღარც შემდგომში გადაიკვეთა მათი გზები. არადა, „იმ დროს, როდესაც თქვენ მუშაობდით დეტროიტში, მე ვმუშაობდი ვინმორში ფორდის ქარხანაში და ხშირად დავდიოდი დეტროიტში იმ განსხვავებით, რომ მე ქუჩაში არ ვმღეროდი „ოდელია – ოდელიას...“ მეც ვეძებდი ქართველებს და ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენი მღერა არ გავიგონე.“

ეძებენ ერთმანეთს, ეძებენ რაიმე საყრდენს, ეძებენ იმედს, გზას და...

ვიტყუდი, რომ ძალიან თანამიმდევრული წერილია; მის ავტორს მეორე პიროვნება არ ავიწყდება და არც მისი წილი ღვაწლი უნდა გამოორჩეს. ამიტომაცაა, აბზაცს ძალიან ზუსტად შერჩეული სიტყვით დაიწყებს – „მაგრამ“. სწორედ ამ „მაგრამს“ მოჰყვება საოქმელი:

„მაგრამ რამდენათაც (აქ „დ“ „თ“-თი გადაუკეთებია – რ.ნ.) საინტერესო არ



იყოს თქვენი ამბავი, თუ ის არ არის გამოთქმული კარგ, ცოცხალ ინგლისურ ენაზე, ის არ წარმოადგენდა არავითარ ინტერესს – და სწორედ აქ გამოიხატა თქვენი მეუღლეს, ქალბატონი ელენას ნიჭი და იუმორი!“

ქალბატონი პელენისადმიც აქვს სათქმელი; სხვისი, თუნდაც გიორგის მიერ გადაცემული ნათქვამი არ უნდა და ამიტომაც წერილის დასასრულს, ინგლისურ ენაზე პირადად მისწერს. მასაც გაესაუბრებია; გაესაუბრებია იმ მონატრებითა და იმგვარი ამბის მბობით, დარწმუნებული რომაა, რომ ამერიკელი ქალბატონი მიუხვდება. აბა, სხვანაირად როგორ იქნება; თავისი ქართველი პერსონაჟების ამბავი ხომ ასე კარგად იცის და უცნობი ქართველის ნაამბობი რატომღა გაუკვირდება?!

„პატივცემულო ქალბატონო პელენ,

როგორც კი ქალბატონმა მალანიამ წაიკითხა თქვენს მიერ აღწერილი ქართული სადღესასწაულო „საუზმე“, ის მოიცვა სამშობლოს (*შინ-ის*) მონატრებამ. გაიქცა ბაზარში და მოამზადა ქართული სადილი, ოღონდ დაამატა „ღომი.“ ის ფიქრობდა, რომ თქვენს მენიუში „ღომი“ გამოგრჩათ (*სიტყვა „ღომი“ ორივე შემთხვევაში ქართულ ენაზე წერია – რ.ნ.*), მაგრამ მე მას ავუხსენი, რომ ჯორჯი არის მთიანი კობი-დან (*ქართლი – ეს სიტყვაც ქართულადაა, – რ.ნ.*), ხოლო ჩვენ ვართ მთიანი „სამეგრელოდან.“

ორი სხვადასხვა ადგილი, არადა, როგორი მსგავსი ერთმანეთისა. ქალბატონ მალანიას უნდოდა, თქვენთვის პირადად მოეწერა, მაგრამ ქუჩაში წაიქცა და მარჯვენა ხელი მოიტეხა, რომელიც მას თაბაშირში ჩაუსვეს.

ამის გამო მან მე მოხოვა ორივე თქვენგანისათვის ვადმომეცა მისი საუკეთესო სურვილები.“

და ბოლოს, ისევ საქართველო, გამომშვიდობება და გულწრფელი წადილი:

„ვისურვებთ ორივეს გამარჯვებას და თქვენი მწერლობის ნიჭის განვითარებას – ჩვენი პატარა საქართველოს სასახლოთ!“

წიგნში მწერალი „ნაცნობი სიტუაციის“ დახატვას შეეცდება. სამი წელია გასული, რაც ნაწარმოების გმირმა სამშობლო დატოვა. ერთადერთი, რაც ჯერ კიდევ მძაფრად აკავშირებს მასთან, ენაა. მშობლიურ ენაზე დამლაპარაკებელს ეძებს, ქართველს! დაეძებს ყველგან, არაერთხელ გაუცრუვდება მოლოდინი. უკვე იმაზეცაა თანახმა, რომ თუკი თანამემამულეს ვერ ნახავს, ამ ენის მცოდნე მაინც იპოვოს. ამ მიზნით ამავე ქალაქის უნივერსიტეტშიაც მიდის. პროფესორებმა სირიულიც იციან, რუსულიც, ბერძნულიც, სპარსული, სომხური და თათრულიც კი. თვითონაც დაინტერესდებიან ამ იშვიათ ენაზე მოლაპარაკე კაცით, რომლის ენა „არ ენათესავება ენათა არც ერთ ჯგუფს!“

ენა არ უნდა დაავიწყდეს; არადა, ვერავის ელაპარაკება. გამოსავალს იპოვის; მართალია, უცებ ვერა, მაგრამ მაინც იპოვის. გულის გადასაყოლებლად ღიღინს დაიწყებს. როგორც კრიალოსანს, ისე მარცვლავს დღეებს, სიმღერებსაც... ქუჩაში, სამუშაოზე თუ დუქანში ერთსა და იმავე მელოდიას მღერის: „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო...“ ვფიქრობ, ეს სიმღერა საგანგებოდაა მოხმობილი. სიმბოლურად სიმები ერთად უნდა აქლერდეს. სწორედ ამ სიტყვებს ღიღინებდა





სამრეცხაოში პერანგის გამოსატანად შესული, დახლში მდგომი გაცოცხლებული ქალ რომ შეამჩნია. ქალმა მამამისის მიერ ამ ათი წლის წინ „სან ტელეგრაფში“ გაგზავნილი განცხადება გაიხსენა, რომელშიც ის თავისი ენის მცოდნეს ეძებდა, ჯილდოდ დაეწესებინა — 1000 დოლარი. დასაჯილდოვებელი არავინ აღმოჩნდა!

ქალის მამა იმ დროს შემოვიდა, როცა გიორგი „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდაო“ მღეროდა. ამ სიმღერას მოხუცმაც ააყოლა ხმა.

**ფსევდობლიური, მაგარი ხიდან ნაფოტებად დაფანტული ქართველები აქ გადაიქვივნენ ერთმანეთს („სიმები“). მშობლიური მიწის ძახილმა აატირა ორივე.**

**ქართული მელოდია — სიმღერა მხატვრული სიმბოლოა, „პირობითი ნიშანი“, რომელიც ერთ ცნებას, ამ შემთხვევაში მხოლოდ სამშობლოს ნიშნავს.**

ბათუმიდან პიტსბურგში მოხვედრილ ძია მონტოს სამშობლოში საცხოვრებლად დაბრუნება არ უცდია, თუმცა-ღა იქაური ყველაფერი ენატრებოდა. ამ დღის შემდეგ ისინი ყოველ საღამოს ხვდებოდნენ ერთმანეთს, ჰყვებოდნენ ანეგდოტებს, იხალისებდნენ ცხოვრებას, რიგ-რიგობით იხსენებდნენ ადგილებს „ვეფხისტყაოსნიდან.“ გულს იფერებდნენ ქართულ ენაზე საუბრით და სუფრის ხიბლითაც. სუფრაზე, რომელზეც ზეთისხილი, მარილიანი ყველი, კიტრები და ღვინის დოქი დევს. ძია მონტოს „30 წელი არ გაევონა ჩვენი ენა, მაგრამ ჩვენებური ღვინის დაყენება არ დავიწყებოდა.“

ავტორი რომანში იმგვარად გაშლის მოქმედებას, რომ აქ განსაკუთრებული (ეროვნული) ფუნქცია თუ უპირატესობა არავის აქვს. თითოეული მათგანი ატარებს თავის ღირსებასაც და ნაკლსაც. ეს მრავალფეროვნება არა მხოლოდ ამ ქვეყნის დამახასიათებელი ნიშანია, არამედ მასშტაბურად წასაკითხი წიგნისაც. ეს არაა ერთი კონკრეტული ქვეყნის ემიგრანტი მწერლის პროზაული ნაწარმოები, თუმცა-ღა ავტორი შესაძლებლობას არ უშვებს, ლამაზი აქცენტები არ „გამოტოვოს.“ ყოველ შემთხვევაში ზოგიერთი ეპიზოდი ამგვარადაც შეგვიძლია წავიკითხოთ.

აღამიანებს საერთო სადღესასწაულო დღეები (რიტუალები) აქვთ, დეტალები — განსხვავებული. ეგებ, ეს სულაც არაა დეტალი?! ეს სრულყოფილებაა, **ენაში და სარწმუნოებაში განსიტყვებული.** ერთი მაგალითი. თანამეინახეები აღდგომას ულოცავენ ერთმანეთს: „ქრისტე აღსდგა.“

„— ლამაზი ჩვეულებაა, — თქვა მისის ბეტემ, რომელიც საუზმეს უწყობდა ბავშვებს. — რას ნიშნავს „ქრისტე აღსდგა?““

მე ვუთარგმნე, რასაც ნიშნავდა. უნდა უბასუხოთ — „ჰუმბარიტად.“ ეს ნიშნავს: მე მწუამს, ნამდვილად მჯერა, რომ აღსდგა. ეს ჩვენებური მილოცვაა, თქვენ, ამერიკელებმა ხომ იცით აღდგომის მილოცვა — ბედნიერ აღდგომას გისურვებთო, ამბობთ.

— თქვენი სჯობს, „ქრისტე აღსდგა,“ ძალიან მომწონს. ლამაზი და ჰკვიანურია...“

**„სჯობს“ — ეს უცხოელმა უნდა თქვას. ჰოდა, ამბობს კიდევ!**

მაცხოვარი ჩვენი (კაცობრიობის) ცოდვების გამოსასყიდად ეცვა ჯვარს. არც კი ვიცი, რამდენად სწორი პარალელია, მაგრამ უნებურად უნიკალური, განუმეორებელი ქართული გამოთქმა მახსენდება: **„შენი ჰირი-მე!“**

ავტორი სხვადასხვა პერსონაჟს იყენებს განსხვავებული თავგადასავლების



მოსაყოლად. ნაამბობი მთხრობელის დასახასიათებლადაც გამოდგება და იმ ადამიანებისაც, რომლებზეც გვიამბობენ. იცვლება გარემო და ეს ადამიანებიც იმ ქვეყნის „ქულს“ იხურავენ. ესეც სრულიად ბუნებრივია. გიორგი ჯერ მელიძის მოშენებას გადაწყვეტს, არ გაამართლებს; მერე რაღაც გაურკვეველ „ადგილ-მამულს“ იყიდის; არც ეს გამოდგება აზრიანი. შემდეგ — საჭმელების მოშაღება და რესტორნებთან კავშირი; სრული ფიასკო, მაგრამ იოლად შეეგუება. „ამაზე სულ არ ვნალვლობდი.“ ესეც ამერიკულია. ბიზნესი — მოიგებ-წააგებ. მთავარ პერსონაჟს სხვა თვისებაც მოსწონს: ამერიკელი მუშები „ხშირად იციანოდნენ (ხანდახან თავიანთ თავზეც კი).“ ეს კი უდავოდ, დიდი ძალაა. ცნობილი ქეშმარიტებაა, როგორც კი მოახერხებ გვერდიდან, ღიმილით შეაფასო საკუთარი თავი და საჭკიელი, იმავდროულად, სხვა სიმაღლეზე დგები. თვითირონია გაძლევს შესაძლებლობას, გახდეს დისტანციური შექმნილ პრობლემებთან. ან კიდევ ამგვარი ფრაზა: „ეს უკვე აღარ არის ჩემი საქმე.“ შენ ეს აღარ გეხება! იმ ქვეყანაში კი, რომელიც შენ დატოვე, ყველას ყველაფერი ეხებოდა, თავისიც, მეზობლისაც და სხვისიც...

ნაწარმოებში ერთგან კონკრეტული თარიღიცაა მითითებული — 1932 წელი. ესაა დრო, როცა კრიზისია ქვეყანაში, სერიოზული ეკონომიკური პრობლემები; „დებრესისის ხანა“, როგორც არცთუ იშვიათად ახასიათებენ. სამსახურიდან დათხოვნა, გაფიცვები, კონფლიქტები... ერთი ასეთი ამბავი აქაცაა აღწერილი. გიორგი სრულიად შემთხვევით, „გაჩერებულ“ ქარხანაში იწყებს მუშაობას. უფრო სწორად, ესაა **ცრუსაქმიანობის დემონსტრირება**, როცა რეალურად ბრძმედები არ მუშაობს, არამედ ვიღაც საცეცხლურში გაზეთილ ქაღალდებს უკეთებს, რათა მიღებიდან ასულმა კვამლმა ეს ილუზია შექმნას. მთელი ებიზოდის მბობას არ შეეუდგები, მხოლოდ აღნიშნავ, რომ აქ გამოყენებულია აკუსტიკური კონტრასტი: ერთი მხრივ, სინუმე (ქარხანაში მომუშავეები ლაპარაკს ერიდებიან, სიტყვაძუნწობენ; ერთი საერთოდ ყრუ-მუნჯია), ხოლო მეორე მხრივ, ხმაური (მართალია, თავად მომიტინგეები არ ჩანან, მაგრამ იმ ძალადობას, რომლის შედეგებს სხვა დაზარალებულ პირთა სახით ვხედავთ, ის ღრიალიც ემატება, რომელიც „ისმის“).

რომანში ბევრი პერსონაჟია, უფრო მეტი — დეტალი. გარე სამყაროსთან კონტაქტიც განსხვავებულია. ასე მაგალითად, არცთუ კომფორტული მგზავრობისას, მთავარი გმირი მიდამოს (დასაფარი ტერიტორიის) თვალეირებისას კმაყოფილებით დაასკვნის:

„ამერიკა... ღვთის ნახელავ ხალიჩასავით იყო გადაშლილი.“

ის ლატაკთა ხუნულეებსაც ხედავს, ფერადკანიანებსაც, „რომლებიც კინწისკვრით გაეგდოთ სუფრიდან. ეს სუფრა ცხოვრებას მხოლოდ ჩვენთვის — თეთრკანიანებისათვის გაეშალა.“ ნაკლსაც ჩვეულებრივად, პათეტიკის გარეშე იტყვის. ამის მიმართაც თავისი ხედვა გააჩნია:

„განა ქვეყნად არის სრულყოფილი მხარე?“ კითხვა იმგვარი პოზიციითაა დასმული, რომ გასაგებია პასუხიც, მაგრამ მაინცაა ე.წ. „დამატებითი“ წინადადება:

„ნამდვილმა სიყვარულმა ნაკლოვანებებიც უნდა აიტანოს.“

**რასაკვირველია, სიყვარული ის არაა, რომელიც მხოლოდ „კარგად“ ყოფნას**

გულისხმობს, მით უფრო ქვეყანასთან მიმართებაში. ეს ბევრად ფართო და ტემბად  
დამოკიდებულებაა.



როგორც ვთქვე, ტექსტი მხოლოდ ალტაცებულ ეპითეტებს არ შეიცავს არაერთი ეპიზოდია დახატული, სადაც დაუდევრობასა თუ უგულისყურობაზე საუბარი — ეს მხატვრულ ნაწარმოებში. ყოფით რეალობაშიც, როცა ცოლ-ქმარს გაუგებარი პრობლემები შეექმნებათ, თავის პოზიციას ოფიციალურ წერილებში მოუხრიდებლად გამოხატავენ. ინტერესმოკლებული არ იქნება, წარმოვადგინოთ ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების მიერ მოგვიანებით დაწერილი და ოფიციალურად გაგზავნილი ის წერილები, რომლებშიც „იკითხება“ ნაკლი და მათი შესწორების სურვილიც — (ჯორჯ და ჰელენ უეიტ პაპაშვილების სპეციალური კოლექცია 0090, ყუთი-1, საქაღალდე-05 „საპასპორტო პრობლემები — 1950-იანები“).

**ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი**  
**შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი**  
**საპასპორტო ოფისი**  
**1954 წლის 5 აგვისტო**

„ქენტლმენებო, თქვენი ფილადელფიის ოფისის მოთხოვნით, ჩვენთვის 1953 წლის ნოემბერში გაცემული პასპორტები, რომელთა ნომრებია 230398 და 288426, გუშინ დავაბრუნეთ.

ეს პასპორტები არ გამოგვიყენებია, რადგან ზამთრის თავისუფალ დღეებთან დაკავშირებული ჩვენი გეგმები არ განხორციელებულა. უახლოეს მომავალში არ გგეგმავთ საზღვარგარეთ მოგზაურობას.

ამის მიუხედავად, გვინდა, ვიცოდეთ, რა მიზეზით ჩამოგვართვით პასპორტები, რადგან ვგრძნობთ ჩვენდამი ერთგვარ კრიტიკულ დამოკიდებულებას.

პატივისცემით ხაზს ვუსვამთ, რომ 1952 წლის 5 თებერვალს თქვენმა საერთაშორისო საინფორმაციო ადმინისტრაციამ მისწერა ჩვენს გამომცემელს, „პარპერ ენდ ბრაზ.“ და მოსთხოვა ჩვენი წიგნის, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ საავტორო უფლებების თარგმნა, რათა „საზღვარგარეთელ მკითხველთა შორის ხელი შეეწყოს ამერიკული ყოფის, აზრისა და დემოკრატიის, როგორც ფილოსოფიისა და ცხოვრების წესის ფართოდ აღიარებასა და გაგებისათვის.“

ეს უფლებები, რომლებიც ჯერ ისევ ძალაში იყო, გადმოგეცათ და წიგნი საზღვარგარეთისთვის სხვადასხვა ენაზე გამოიცა.

შემდგომ, 1952 წლის 30 იანვარს „პარამაუნტ ფიქჩერზის“ ფილმის, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ — რომელიც ჩვენი წიგნის მიხედვით არის გადაღებული — ჩვენება წინ უსწრებდა „იუნესკოს“ დელეგატების შეკრებას ჰანტერ კოლფეში, რომელიც თქვენს ოფისთან თანამშრომლობით შედგა.

აქედან გამომდინარე, ჩვენ გვიჭირს გაგება, თუ რატომ იგზავნება ჩვენი ნაშუშგვარი საზღვარგარეთ, როგორც დემოკრატიული იდეალების მაჩვენებელი, როცა ჩვენ ბიროვნულად უარს გვუთხნებიან ამ პრივილეგიაზე.

პატივისცემით, თქვენი“ (ხელმოწერა)

და მეორე წერილი:

ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი  
შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი  
საპასპორტო განყოფილების უფროსს  
1955 წლის 27 ნოემბერი  
ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები  
ფერმა „ერთობა“  
კვაკერთაუნი, პენსილვანია

„დეირფასო ბატონო, 1954 წლის 4 აგვისტოს, თქვენმა წარმომადგენელმა მის-  
ტერ ი. ჯ. ქარტიმ მოიკითხა და მიიღო ჩვენი პასპორტები, რომელთა ნომრებია  
288426 და 230398 და გვითხრა, რომ თუ რაიმე კითხვა გავკვირდებოდა, მიგვემართა  
თქვენი ოფისისათვის. ჩვენც ასე მოვიქვეყით და 1954 წლის 5 აგვისტოს მოგმართეთ  
წერილით (გიგზავნით მის ასლს). პასუხი დღემდე არ მიგვიღია.

ამის შემდეგ საინფორმაციო სააგენტომ უზრუნველყო ჩვენი წიგნების თარგმნა  
ჩინურ, იაპონურ და ურდუს ენებზე, როგორც ნაწილი პროგრამისა: „ამერიკე-  
ლი ხალხის ცხოვრებისა და კულტურის იმ ასპექტების წარმოჩენა საზღვარგარეთ,  
რომლებიც ხელს შეუწყობს შეერთებული შტატების პოლიტიკისა და მიზნების  
გაგებას.“

ჩვენ ვაგრძელებთ მოთხოვნების მიღებას საინფორმაციო სააგენტოსგან სხვა  
საავტორო უფლებებზე, დამატებით პუბლიკაციებზე, გადაცემებზე და ა. შ. ჩვენ  
კარგად არ წარმოგვიდგენია, როგორი პასუხი გამოვუძებნოთ, რადგან როგორც  
ჩვენს ადრეულ წერილში გწერდით:

„...ჩვენ გვიჭირს გაგება, თუ რატომ იგზავნება ჩვენი ნამუშევარი საზღვარგა-  
რეთ, როგორც დემოკრატიული იდეალების მაჩვენებელი, როცა ჩვენ პირველად  
უარს გვეუბნებიან ამ პრივილეგიაზე.“

ჩვენი პირველი წერილის მოწერისას, არ ვგეგმავდით მოგზაურობას, თუმცა  
ახლა შეიძლება, მოვიფიქროთ ბრიტანეთის კონტულეებზე გამგზავრება მომავალი  
წლის დასაწყისში, იმ კვლევასთან დაკავშირებით, რომელიც საჭიროა ჩავატაროთ  
ჩვენი ახალი წიგნისათვის. წიგნი, რომელიც უკვე იწერება, შეეხება კვლევას ლიტ-  
ერატურის ისტორიიდან და ის უნდა გამოსცეს „ჰარპერმა“ 1956 წელს.

აქედან გამომდინარე, პატივისცემით ვითხოვთ ჩვენი პასპორტების დაბრუნე-  
ბას.

ქეშმარტად თქვენი, ჯორჯ პაპაშვილი  
მისის ჰელენ პაპაშვილი.“

თავისთავად, საინტერესოა, რატომ უნდა შექმნოდათ ამგვარი პრობლემა  
მწერლებს, თანაც, პასუხის ერთწლიანი მოლოდინით. ამ ქვეყანაში მართლაც, „ყვე-  
ლაფერი შეიძლება მოხდეს.“

და ისევ პროზაული ტექსტი:

განსხვავებული ადამიანები. განსხვავებული ცხოვრების წესი, ფასეულობები,



პრეტენზიები, იმასთანმიმართებაც, როგორ უქმნიან ერთმანეთს არსებობის ასპარეზობის რუსების ოჯახი ალიასკაზე წასვლას დაიყენებს, მაგრამ დამხმარე სჭირდებათ. სულ არ აინტერესებთ, უნდა თუ არა გიორგის მათთან ერთად წასვლა. მათთვის ასე საჭირო და მორჩა. ამ ოჯახის 16 წლის ქალიშვილის, ლუბას მოთხოვნით, ჰოლივუდში რომ აპირებდა კარიერის „გაყვებას“ და სულ არ ანალღვებდა დედა-ბაბუს გეგმები, კალიფორნია გადაწყდა. გიორგი აქაც არ „გამორჩენიათ.“ ახლა კალიფორნიაში წავა! ეგ კი არა, სამგზავრო ავტომანქანის გარდა, ოჯახი საბარგო მანქანასაც კატეგორიულად მოითხოვს – ავეჯის გადასატანად. ცუდად ჟღერს ფრაზა: „ვიშოვე საბარგო მანქანა.“ **განსხვავებულ ადამიანთა ერთ სიტუაციაში ჩაყენება და სრულიად სხვადასხვა საქციელის ჩვენება მრავალფეროვნების შექმნის შესაძლებლობას იძლევა.** მკითხველს არ შეუძლია, დაინახოს ყველაფერი ერთად. სანახაობა მთლიანობაში რომ იქნეს აღქმული, მწერალი ამოგზაურობს თავის გმირებს. გზა, განსაცდელი, ათასი ფათერაკი ავტორს ფანტაზიის ფართოდ გაშლის საშუალებას აძლევს. ხშირად იცვლება ფონი. უცვლელი პერსონაჟთა თვისებებია. ამას მკითხველი კითხულობს და ერთიან სურათს ხედავს.

კოლორადომდე ერთი დღის სავალზე მანქანა მდინარეში, ლამში ჩაეფლო. ანა ფეოდოროვნა ავეჯს დარდობდა; მამამისი გაუარკვეველი განმარტების მიცემას შეუდგა. საბედნიეროდ, შეაწყვეტინეს. გზაზე ცხენოსნები და ფორნები გამოჩნდნენ, რომლებიც ცხერის ფარას მოერეებოდნენ. ისინი ნავაჰოები – ინდიელები აღმოჩნდნენ. უანგაროდ დაეხმარნენ მანქანების ნაპირზე ამოთრევაში. გასამრჯელოზე უარი თქვეს – „არც რამდენიო.“ გიორგიმ წინასწარ ივარაუდა, რომ ასე იქნებოდა, ამიტომ საჩუქრები მიართვა, იმათაც ასევე უბასუხეს. ცხვრებიც დაიკლა და საკუთარი ეროვნული ჩვეულებისამებრ მოშადა. ქართული მწვადები აშიშინდა ნაკვერჩხალზე. მოხიბლულმა ნავაჰოებმა ჰკითხეს, რომელი ტომიდან იყო.

„– მე ქართველი ვარ,“ – ეტყვის გიორგი და ერთ-ორ ამბავსაც უამბობს თავის მხარეზე... მხატვრული ნაწარმოებისათვის მნიშვნელოვანი არა მხოლოდ საინტერესო სიუჟეტია, არამედ პრობლემებთან დამოკიდებულების პროცესი; ფინალიც, როგორ დაასრულებს ეპიზოდს ავტორი. გამომშვიდობებისას ისევე გაცვლიან საჩუქრებს და კეთილად დაემშვიდობებიან ერთმანეთს, სამაგიეროდ, სუფრას გიორგის არცერთი თანამხლებელი არ მიეკარება. კომენტარებს კი არ დაიშურებენ:

„...მსოფლიოში არ მოინახება მაგათზე ბინძური და შესაზარი ხალხი,“ – ეს ანა ფეოდოროვნაა.

„საშინელი შესახედავებიც არიან,“ – ეს მისი ქალიშვილია, ლუბა.

„ველური ხალხი,“ – „მისი აღმატებულების“ დასკვნა.

არ დააყოვნებს მთავარი პერსონაჟის (თუ ავტორის) შეფასება:

„– ახი კი იქნებოდა, ყველა დაეტოვებინეთ შუა მდინარეში... მე თუ მკითხავთ, მაგ ველურებმა იციან, როგორ უნდა იქცეოდეს კაცური კაცი და ასეც მოიქცნენ!“

გიორგი და ნავაჰოები ერთნაირები არიან: კეთილნი, უანგარონი, ჩვეულშბრინი...

უძველესი ანდაზის დედააზრი: მითხარი, როგორ ცხოვრობ და გეტყვი, ვინ



ხარ! ეს არის ამ ეპიზოდის ჰუმანიზმიც, როცა მწერალი მკითხველს უჩვენებს „როგორ“ იცხოვრონ და აღწერს უბრალოდ, მარტივადაც კი, მხატვრული სიმბოლოებისა და ტექსტის ლაბირინთულობის გარეშე. კონკრეტული ამბავი: ზიფათით დაწყებული ერთი ლამაზი დღე შესვედრით დასრულდა. თანაცხოვრების ბენდიერების მოწოდება ხდება არა როგორც ზოგადი ფასეულობის დეკლარირება, არამედ მისი ჩვენება ყოველდღიურობის კონტექსტში, როგორც „აუცილებელი არსებობის“ გზა. ეგებ, არაინაა იდეალური, მაგრამ აკი არაფერია იდეალური ამქვეყნად...

ამბავი გრძელდება. მგზავრობაც. პრაქტიკულად გიორგის ფულით გააგრძელებენ გზას. მას დატოვებენ (ავეჯს მეთვალყურე სჭირდება). ერთი კვირის შემდეგ ლია ბარათსაც გამოუგზავნიან: მშვიდობით ვიმგზავრეთ და ერთი-ორჯერ „პლაეზერც“ ვიყავითო; ფულის გამო არც კი მოუბოდიშებენ, მხოლოდ შორეულად დაამიძებნენ... და „ნახვამდის.“ ეს მხოლოდ იმ პერსონაჟთა დახასიათება არაა. იგი გიორგისაც ახასიათებს; მკითხველი გუნებაში რომ გაიფიქრებს: „დაიშასურე“ ასე რომ მოგექცნენო (მით უფრო, რომ უკვე მათთან ჩასულს, ნალოლიაეგებ ავეჯზეც მიუთითებენ — სანაგვისაკენ, გადასაყრელად). ამ კატეგორიის ადამიანები ისე იტყვიან, რის უფლებასაც აძლევ...

ზემოთ „ერთიანი სურათი“ ვახსენე. ეს სურათიც ვფიქრობ, წარმატებით დაიხატა.

მწერალი რეალისტიცაა, არ ქმნის ზედმეტ ილუზიას.

„ამ კაცს ზრდილობის ნასახი არ გააჩნდა და ყველაზე ცუდი კი, ჩემი აზრით, ის იყო, რომ იგი არც გამოსწორდებოდა,“ — მკითხველის გასაგონად იტყვის ერთ თავის პერსონაჟზე.

ორიოდ სიტყვა იუმორზე. ნიჭი და იუმორი — ეს იყო ის დამახასიათებელი ნიშა, რომელიც პაპაშვილს სხვებისაგან გამოარჩევდა.

დიდი ქალაქის ორომტრიალი: პრობლემები, უსიამოვნებები. თუმცა, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორი თვალით შეხედავ. ასე, მაგალითად: როგორც იქნა, სამუშაო იშოვა: ქანდაკების ჩამომსხმელ სახელოსნოში გადავიდა: თაბაშირისაგან ულაზათო ფიგურები უნდა ჩამოესხა. ერთხელ მთავარმა მოქანდაკემ აქლემის ჩამოსხმა დაავალა. გიორგიმ ჩათვალა, რომ შემოთავაზებული ნიმუში ძროხას უფრო წააგავდა; აქლემს რომ დაშვავსებოდა, აქა-იქ დეტალები შეასწორა.

„როცა მოქანდაკემ ჩემი ნამუშევარი ნახა, გაცეცხლდა და ის სკოლები ჩამომითვალა, სადაც ესწავლა — ლონდონის, პარიზის, დრეზდენის (დარწმუნებული ვარ, ამ ქალაქებში აქლემის ჭაჭანებაც არ იყო)... უმუშევარი დავრჩი.“

გიორგი-ჟორჯ პაპაშვილი გახლდათ მოქანდაკე, რომელსაც არაერთი საინტერესო ნამუშევარი ეკუთვნოდა. იგი აწყობდა გამოფენებს, უამრავ დამთვალეიერებელთა შორის, რასაკვირველია, კოლეგები და პროფესიონალი შემფასებლები იყვნენ. მასზე, როგორც ავტორზე და მის ნამუშევრებზე იწერებოდა რეცენზიები, გამოკვლევები... (ამაზე დეტალურად, ქვემოთ).

ამონარიდი კვლავ რომანიდან:

სამუშაოს შესთავაზებენ. უფროსს უნდა შეახვედრონ. შეახვედრებენ. აბრე-



შუმის პერანგში გამოწყობილი ბრგე მამაკაცი სავარძელში იჯდა და სიგარეტს აბოლებდა. მის ფერხთით ორი ადამიანი მოკალათებულიყო და ფეხსაცმელებს უკარიალებდნენ.

„კიდევ კარგი, რომ რვაფეხა არაა, - ვუთხარი დალაქს რუსულად, მაშინ ხომ მთელი არმია დასჭირდებოდა გასაპრიალებლად.“

ეს ეპიზოდები საინტერესო იმდენადაცაა, რამდენად ზუსტადაა შერჩეული გარემო, რომელშიც სიცილმა თავისი როლი უნდა შეასრულოს.

გარემო - ხანდახან შესაძლოა იყოს ყოვლად მოულოდნელი და ამიტომაც ძალიან სასაცილო. ეზო-კარი და სახლი უნდა მოაწესრიგონ. ყველაფერი თანამიმდევრობით უნდა გაკეთდეს... სახლში ელექტრონი უნდა გაიყვანონ. საღებუბი, კაბელები, ჩამრთველები, ყველა აუცილებელი მასალა მოიმარაგეს და მუშაობას შეუდგნენ. პაპანაქება სიციხეში ყინულიანი ბეილოთი იგრილებენ ყელს და „საბანაო კოსტუმში გამოწყობილი“ გიორგი სხვენზე წელსზემით გაშიშვლებულ შალვას აწვდის მავთულებს. მოულოდნელად მოსულმა სტუმარმა სამუშაო იდილია სრულად დაარღვია. სიმშვიდეც. გიორგიმ მიიხედ-მოიხედა (აბა, ასე ხომ არ დაენახებოდა უცნობ მეზობელ ქალბატონს) და უახლოეს სამალავში, აუტკიონზე შედინილ ვეებერთელა საათში დაიმალა, თანაც, თავგვივით გაისუსა. შალვას დამშმარე რომ მოაკლდა, მეორე სართულის იატაკის ხვრელში გამოძვრა და -

„-მაბატიეთ, სულ არ ველოდი თქვენს დანახვას, სხვას ვეძახდი.

შალვამ უკან დაიწყო გაცოცება.

- ძალიან გთხოვთ, დაბრძანდეთ. ბოდიშს ვიხდი, რომ ვერაფერს გთავაზობთ; იქნებ ერთი ჭიქა ღვინო მიირთვათ. მაგიდაზე დგას.

- ვმადლობთ. ალკოჰოლიან სასმელებს არ ვეკარები. აი, თეთრ ბაბთას ვატარებ, იმედის ბაბთას.

- მართლაცდა, - განეწყო ფილოსოფიურად შალვა, ამქვეყნად იმედიც რომ არ გვჭონდეს, რაღა გვეშველებოდა. თუ არ შეწუხდებით, ჭიქა ამივსეთ და დიდი სიამოვნებით დავლევ თქვენი იმედის საღებურძელოს.“

**სიტუაციური კომიზმი** ოსტატურად გრძელდება და თავისი კულმინაციისკენ მიდის. მოვა ელენე და მისის კლივენდონს „ქალურ საუბარს“ გაუბამს. უამრავ რამეზე ილაპარაკებენ. მათ შორის ძველებურ ნივთებზე: ჭადის დასამაგრებელზე, იქვე მდგარ სასმელების კარადაზე. კლივენდონი დაინტერესდა:

„-ნამდვილი ხე თუა, კარგია.“ და იქვე:

„საათი? საათი როგორია?“

- შიგნით წარწერა აქვს.

ელენემ ოთახი გადმოჭრა და საათის კარი გამოაღო.

- გამარჯობათ, - ვთქვი მე და საათიდან გამოვედი. საცურაოდ ვაპირებდი წასვლას, მაგრამ შევამჩნიე, რომ საათი ხუთი წუთით უკან რჩებოდა. ცოტა შევაკეთე. უკვე კარგად იმუშავებს.

ელენემ სტუმარი გამაცნო.

საქციელის ნორმები, რომელზეც საზოგადოება დიდი ხანია შეთანხმდა, შესა-



ძლოა, შეხსენების საგანიც გახდეს. თუკი საჭირო გახდება, საკუთარ თავზეც გიორგის ცინოს და ალიაროს — შეეცად! პერსონაჟი პიროვნულად დისტანციურია უგვანო ნაბიჯის მიმართ. ერთი მაგალითი: სამუშაო დღე დამთავრდა და გმირი სამსახურიდან მეტროთი ბრუნდება. საკუთარ გაჩერებას ორიოდღე მილითაც გაცდება; არადა, იმ მიზეზით, რომ დასავლეთიდან ჩამოსული ორი ადამიანის საუბარს მიაყურადებს. გზავრები ჰყვებიან მეორე ქალაქში არსებულ მრავალრიცხოვან სამუშაო ადგილებზე, კარგ ანაზღაურებაზე და სხვა ბევრ სიკეთეზე. გიორგი სულგანაბული ჩუმად უხდებს ყურს და უსმენს. ბევრს არ იფიქრებს, უახლოეს შაბათ დღეს იმ „შესანიშნავი ქალაქისაკენ“ აიღებს ბილეთს და... თვითონ მოუწვევს დარწმუნება, რომ რეალობა ნაამბობისაგან სრულიად განსხვავდება, მაგრამ ძალიან სწორ დასკვნას გააკეთებს:

„აზი იყო ჩემზე — ყური არ უნდა დამეგდო უცხო ხალხის საუბრისათვის.“  
 ხალისიანმა აზრმა ავტორის სათქმელიც უნდა გამოხატოს და ამასთან, არც მხატვრული ნაწარმოების კომპოზიცია გააუბრალოს. მწერალმა თავად უნდა ამოიჩიოს არა მხოლოდ ქვეთავის ფინალი, არამედ იუმორის ქვეტექსტიც. ასე მაგალითად, თავს ჰქვია: „ყველაფერს კურნავს, გარდა სიყვარულით დამწვარი გულისა.“ აქ წარმატებითაა გამოყენებული კონტრასტის მეთოდი. მეგობრის ავადობა, გაურკვევლობა, გამოსავლის ძიება, არაერთი ვარაუდი, მიზეზთა ძებნა და ეჭვიც, ეგებ, სიყვარულია ყველაფრის თავიდათავი; იქვე სრულიად „სერიოზული“ შეთავაზებაც — ნიორწყალი; ნიორწყალი, რომელიც ყველაფერს კურნავს სიყვარულით დამწვარი გულის გარდა. არადა, ამასაც ხომ უნდა უშველოს რამემ?! ისევე, როგორც საკუთარ მიგნებაში — ნიორწყალის ყოვლისშემძლე ძალაში — წუთითაც არ ებარება ეჭვი ძია ვანოს, იმის („დამწვარის“) წამალიც იცის:

„— მაგას რა შევლის ძია?...  
 ძიამ ცერით გაისწორა უღვაში და მიპასუხა:  
 — მხოლოდ სამარე, ან სხვა უფრო ლამაზი ქალი.“

აქ არაა ხმაურიანი ფრიაბული, თუნდაც გულიანი ხარხარი. არა! როგორც მთავარი პერსონაჟი იტყოდა: „ვიცინი, მაგრამ ხმადაბლა.“ ეს თბილი იუმორი თანაბრადაა გადანაწილებული პროზაული ნაწარმოების თითქმის თითოეულ თავზე.

**უქრნალი „საბჭოთა ხელოვნება“ №3 1960, თბილისი, წერდა:**

„იწინა გამსჭვალულია თბილი, მსუბუქი იუმორით; ეს იუმორი არაა გადაქცეული თვითმიზნად, არაა დაფუძნებული ჰიპერბოლებზე და მრავალსიტყვაობაზე. მისი ფესვები ქართული იუმორის საუკეთესო ტრადიციებშია საძიებელი. კითხულობთ ამ წიგნს და თქვენს თვალწინ იშლება ამერიკის შეერთებული შტატების შეუფერადებელი სურათები. ეს არის ქართველი გლეხის თვალით დანახული ამერიკა.“

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოქვეყნებულ ლიტერატურულ წერილებსა და რეცენზიებში ერთ-ერთი მთავარი აქცენტი სწორედ იუმორზე კეთდება.

რომანს ერთი საინტერესო ასპექტიც გააჩნია, **დიდი ლიტერატურისათვის დამახასიათებელი: ტრადიცია „ამბების“ მოყოლისა.** ზოგიერთ ტექსტში ამას მოგზაურები მიმართავენ, დერვიშები, სასახლის პირისფარეშები, „მეზღაპარები“, მომლოდინე





მგზავრები... არცთუ იშვიათად ეს დროის „მოსაკლავად“ გასაყვანად ხდებდა. თავსა  
 „იქ, სადაც ახლაც სძინავთ ვოლიათებს“ სხვადასხვა მთხრობელის მიერ ცოცხლდ  
 ბა სრულიად უჩვეულო, იდუმალი თავგადასავლები; ისტორიები, რომლებიც მოყო  
 ლის პროცესშიც სხვა ხედვის კუთხიდან დაგვიანახებს მთხრობელს და მსმენელსაც.

„იოლი გამდიდრების გზები“, „როგორ გაყიდა ჩანჩომ ჩემი ცხვირი“, „ქარგი  
 მეზობელი“ — ნაწარმოების საუკეთესო ეპიზოდებია...

და ბოლოს, რომანის ფინალი.

გიორგის ოჯახში სუფრაა გაშლილი. მოტივაცია — ბანკში ბოლო შესატანი  
 გადაიხანდა და „ერთი ნაგლეჯი ამერიკული მიწის მფლობელი გავხდი.“ აქ ძალიან  
 სწორადაა გათვალისწინებული (გათვლილი) მხატვრული და აზრობრივი დასას-  
 რულის სიზუსტე. დაუშვებელია ყალბი ფრაზა ან საქციელი. დაკუთვლია მოქმედების  
 სინქრონიზობა: ახალმოსახლეობა, გაშლილი სუფრა, უახლოესი მეგობრები, მეო-  
 რე დღეს აღდგომის დღესასწაული და ღვინო. სუფრაზე სიუხვის „დემონსტრირე-  
 ბა“ აუცილებელია; ქართული სუფრა სავსე უნდა იყოს. სადღეგრძელოები უნდა  
 ამშვენებდეს პურობას და პერიოდულად „წყვეტდეს“ ნუგბარის შექცევას. ამ კონ-  
 ტექსტში სრულიად ბუნებრივი და ფსიქოლოგიურადაც გამართლებულია ერთი  
 აუცილებელი დეტალი — „სადღეგრძელო!“ — წიგნის ბოლო თავი.

.....ამ პატარა ჭიქით სამშობლოს გაუმარჯოს. ჩვენ გვიხარია, რომ სუფრასთან  
 ამდენ ამერიკელს ვხედავთ. განსაკუთრებით იმიტომ, რომ წინათ მათ პატივი გვცეს  
 — თავიანთ ფართო სუფრასთან მიგვიწვიეს და გულუხვად გაგვიმასპინძლდნენ.  
 ჩვენ ვცდილობდით, კარგი სტუმრები ვყოფილიყავით და იმედი მაჭვს, ვიყავით  
 კიდევ. ეს ერთი სამშობლოა. მათ ვარდა მრავალი სხვადასხვა ეროვნების ადამიანი  
 შევიკრიბეთ აქ — ქართველები, რუსები, ბერძნები, ლატვიელები, ესტონელები,  
 ირლანდიელები — ნამდვილი ერთა ლიგაა. მე ვსვამ ყველას სამშობლოს სადღე-  
 გრძელოს და როცა ვხედავ, თუ როგორ მშვიდობიანად ვსხედვართ ერთმანეთის  
 გვერდით, მწამს, რომ მთელი მსოფლიო მოგვბაძავს. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ  
 ბედნიერი ცხოვრების ერთადერთი გზაა.

მაშ ასე — სამშობლოს გაუმარჯოს!“

**ჯორჯ (გიორგი) პაპაშვილი საოცრად ნიჭიერი მწერალია.** მას ძალუთმ სათქმელი  
 განაზოგადოს, ფიქრის თვალსაწიერიც გააფართოს და ამასთან, მკითხველს არა  
 თვალშისაცემად, ისე, **საკუთარ სამშობლოზეც, საქართველოზეც ელაპარაკოს.** უფრო  
 ზუსტად, **სამშობლოა, როცა მის მკითხველს კონკრეტულად, გეოგრაფიული სახელ-  
 დებით აცნობ** (*კობიანთკარი, თბილისი...*); **სამშობლოა, როცა მის კუთხეებზე უამბობ**  
 (*ფშავი, ხევსურეთი...*); **სამშობლოა, როცა მის წეს-ჩვეულებებს აღწერ** (*სუფრასთან  
 მოღვინის, სადღეგრძელოების წარმოთქმის წესისა და რიგის, დასაფლავების რიტუ-  
 ალის*); **სამშობლოა ის ნაციონალური სამზარეულოც,** რომლის მომზადებასაც კი ას-  
 წავლი შენი პერსონაჟების მეშვეობით (*ხინკალი, მწვადი, ჩახოხბილი, ნორწყალი*);  
 შორეულად, გაგახსენდება: „...კონკრეტულია ის შექამანდი, რომელიც ბავშვობაში  
 გიჭამია და რომლის გემოსიკვდილამდე მიგყვება. კონკრეტულია ის გულგადაარღვე-  
 ლი მიწა, რომლის სუნი გწყურია და არ გავიწყდება“ (*ნიკოლო მიწიშვილი*).



საკუთარი ქვეყანა ყოველ ნორმალურ ადამიანს უყვარს, მაგრამ დიდი მწერლობა ისაა, როცა მკითხველს დაინტერესებ შენი სამშობლოთი, რუკაზე მსა-  
 ტბინებ და ნახვის ნატვრას გაუჩენ. რომანმა ალბათ, არაერთ ადამიანს მოკვ-  
 ვარა ამგვარი განცდა. მე ერთი ვიცი. ბატონი გივი კობახიძის ნამშობლიდან ვიცი.  
 ქართველი ემიგრანტი დეტალურად იხსენებდა, სხვა თვალსაწიერიდან თავადაც  
 როგორ „იფიქრა“ გიორგი პაპაშვილის შესახებ. თავადაც ამერიკაში მცხოვრე-  
 ბი, აღწერს ამ ქვეყანაში არსებული საქველმოქმედო ფონდების, საზოგადოებების  
 თუ ორგანიზაციების სტრუქტურებს. ისინი თავის საქმიანობას, იქნება ეს ჯანდაც-  
 ვა, თუ სხვა სოციალური პროგრამები, მოსახლეობის შემოწირულობების ხარჯზე  
 ახორციელებენ. საზოგადოებას არაერთხელ გამოუთქვამს გულისწყრომა, რომ  
 სახელმწიფო უფრო სერიოზულად მოჰქიდებოდა ამ პრობლემებს, მაგრამ თავის  
 მხრივ, წვლილს არ აკლებდა იმ საქმეს, რომელსაც თანაუგრძნობდა. ამ ქველმო-  
 ქმედთა რიცხვში იყო კობახიძეთა ოჯახიც, განსაკუთრებით, მისი მეუღლე. ერთ  
 დღეს სტუმარი სწვევიათ. „ქართული წესისამებრ“ ოჯახში შეუპატივებიათ, რასაც  
 მოსული ცოტა გაუკვირვებია და საუბარიც შემდგარა.

მართალია, მასპინძლები თითქმის 43 წელი იყო რაც ამერიკაში ცხოვრობდნენ,  
 მაგრამ ბატონი გივი ღიმილით გაიხსენებს:

„— როგორც კი პირს გავაღებთ და ორიოდ სიტყვას „ამოვკაკლავთ,“ იმ  
 წუთსავე გვეკითხებიან:

„— Where are you from ?“ — „საიდანა ხართ?“

ახალგაზრდა ქალს შეუქმნეველი არც მათი აქცენტი დარჩენია. ჯორჯიას ხსენე-  
 ბაზე მოსულს არც კი დასჭირვებია განმარტება, ამერიკის ჯორჯიაში რომ არ უნდა  
 არეოდა. სტუმრის ალტაცებამ ყოველგვარ მოულოდნელობას გადააქარბა, მეტიც,  
 მასპინძლები ოდნავ დააბნია კიდევ.

„— O Georgia, Georgia, Papashvily, Papashvily, George and Helen Papashvily  
 „Anything Can Happen...“ როგორც გაირკვა, წაკითხულ წიგნს იმდენად დიდი  
 შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ ახალგაზრდა ამერიკელს სწორედ რუკაზე უძე-  
 ბნია საქართველო, ენციკლოპედიები გადაუშლია... ახლა „ცოცხალი,“ „ნამდვილ  
 ქართველთან,“ მწერლის თანამემამულეებთან შეხვედრა მისთვის ლამის საკრალურ  
 მნიშვნელობას იძენდა.

„— ეს შესანიშნავი წიგნი ხელიდან ხელში გადადიოდაო, —ამბობდა ქალი, რა  
 კარგი მოთხრობაა, რა საამო და სიხარულის მომგვრელი იუმორი, რა კეთილი,  
 რა სტუმართმოყვარე და რა სიმპათიური ხალხი ყოფილან ქართველებიო.“ თურმე  
 მასპინძლებს, რომელთაც ასე დეტალურად აღარც კი ახსოვდათ ტექსტი, ეპიზო-  
 დებს უამბობდა და გულთანადაც ხითხითებდა.

**მკითხველს არა მხოლოდ ნაწარმოებზე, არამედ ერზე შექმნოდა შთაბეჭდილება:**

„— თუ გაქვთ რაიმე ინგლისურ ენაზე საქართველოს შესახებ, მათხვეთ, ღვთის  
 გულისათვის!“

ეს ბოლო სიტყვები კიდევ ერთხელ დააფიქრებს თავადაც პროეტსა და რედაქტორს  
 მწერლობის დიდ შესაძლებლობებზე. თავის მკითხველთან ერთად გაიხსენებს, რო-  
 გორ დაუღალავად მუშაობდა „მიძინებული მსოფლიოს“ გამოსაფხიზლებლად,



რამდენი პოლიტიკური მემორანდუმი დაუწერია ერთა და ადამიანთა უფლებების დაცვის აუცილებლობაზე, თანამოაზრეებთან ერთად გამოსულა მიტინგებზე, კონფერენციებზე, დიპლომატიურ შეხვედრებზე; ხვდებოდნენ ელჩებს, მინისტრებს, პრეზიდენტებსაც კი, მაგრამ... თავის ვულისწყვეტას „მოძღვრისა და მასწავლებლის“ — მიხეილ წერეთლის ნაამბობით გაამყარებს. ცნობილი მეცნიერი მკაცრ რეალობას არ შეალამაზებს, იმასაც გაიხსენებს, როცა გაგზავნილ მიმართვებს თავაზიანი, არცთუ იშვიათად, თანაგრძნობით სავსე პასუხები მოჰყვებოდა, მაგრამ საქმით ბევრი არა გამოსულა რა. „ქართული საკითხი“ თითქმის არასოდეს აქტუალური არ გამხდარა მსოფლიოსათვის და აი, აქ გააკეთებს მიხაკო წერეთელი მთავარ აქცენტს და იტყვის:

„— სულ სხვაა მწერალი! გრიგოლ რობაქიძემ თავისი რომანებით არა მარტო გერმანია აალაპარაკა, არამედ მთელი ევროპაც...“ დასავლეთ ევროპა რობაქიძის ნაწერებით „უკეთე გაეცნო საქართველოს და უფრო დაინტერესდა,“ ვიდრე პოლიტიკოსთა მიერ გაწეული საქმიანობის შედეგად.“

ქართველი, საქართველო — ის უნდა გაეცნოს უზარმაზარ ქვეყანას; მოახერხა კიდევ, მეტიც... ერთი ამონარიდი გაზეთიდან:

**„გ ა მ მ ც ე მ ე ლ ს“**

**ქართველი და არა რუსი**

სვეტში: „ახალი და საყურადღებო“ (20 იანვარი) დაიბეჭდა, რომ ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ თხელედინი წიგნის ფორმატში ხელახლა გამოიცა. ეს კარგი ამბავია. თუმცა, მოკლე მიმოხილვაში, რომელიც სვეტს ერთვოდა თან, აღმაშფოთებელი შეცდომა იყო დაშვებული. ეწერა, რომ წიგნში ასახულია „რუსი ემიგრანტის თავგადასავალი ამერიკაში.“

ჯორჯ პაპაშვილი არ გახლდათ რუსი. ის იყო ქართველი, კავკასიის ამაყი, შეუპოვარი და თავისუფლებისმოყვარე ერის წარმომადგენელი; ერისა, რომელიც ახლა საბჭოთა დიქტატის ქვეშ იმყოფება. საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქე რუსი როდია... ასე რომ, უდავოდ შეურაცხყოფელია ყველა ერი ერთი იარლიყის ქვეშ მოვათავსოთ. ეს, აგრეთვე, უსამართლობაცაა მისტერ პაპაშვილისა და მისი ამერიკაში დაბადებული ცოლის წინაშე. ამერიკაში გადმოსახლებული რუსი ემიგრანტების თავგადასავლები გარკვეული ოდენობით გვაქვს, მაგრამ აი, ეს პატარა გასართობი წიგნი ერთადერთი მემუარული ამბავია იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს იყო ქართველ-ამერიკელი იმ ქვეყანაში, სადაც ერთადერთი „ჯორჯია“, რომლის შესახებაც კი ვინმეს ოდესმე გაუგია, ისაა, შერმანმა რომ დალაშქრა.

ანდრას რიდლმეიერი  
კემბრიჯი, მასაჩუსეტსი.“

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ მომდევნო წლებშიც გამოიცა. ზოგადი ჩამონათვალი ასე გამოიყურება: 1948. 1961. 1965. 1966. 1967. 1969. 1973. 1985. 1990. 1995.

### 1996... წიგნის გამოცემა დღემდე გრძელდება...

ადამიანებს სჭირდებათ თავისუფლება. ის მხოლოდ სახელმწიფოს ნიშანი თუ აუცილებელი ატრიბუტი არაა. პიროვნების გადაწყვეტილების თავისუფლება დამოკიდებულია მისი შინაგანი თავისუფლების ხარისხზე.

**კულტურათა გზაჯვარედინი** – არცთუ იშვიათად, ეს განმარტება ბუნებრივია XX საუკუნის ქართული ემიგრაციის არაერთი წარმომადგენლის საქმიანობის შეფასებისას. ეს კონტექსტი ზედმიწევნით ზუსტად ასახავს რეალობას. ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში არაერთი ქართული წარმომავლობის ადამიანი მოღვაწეობდა. მათი ცხოვრებისა და საქმიანობის ამსახველი მასალები სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო არქივში ინახება. არაერთი ქართული წარმომავლობის ადამიანი – ემიგრანტი „ჩაეწერა“ ამა თუ იმ ქვეყნის კულტურაში. მათი საქმიანობის სრულყოფილად შესწავლა შეუძლებელი და არასერიოზულია „ორივე“ გეოგრაფიული სივრცის გათვალისწინების გარეშე.

ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების სპეციალური კოლექცია დაცულია ამერიკის შეერთებულ შტატებში, პენსილვანიაში, ლიპაის უნივერსიტეტში. მასალები საარქივო დეპარტამენტს გადაეცა 1996 წელს მწერლის მეუღლის – ჰელენის გარდაცვალების შემდეგ. არქივი რთუ აღამსმა ჩააბარა. ეს გახლავთ დიდი არქივი;

**სპეციალური კოლექცია მნიშვნელოვანი არაერთი თვალსაზრისითაა: კოლექცია – 0090.** ის შედგება 24 ყუთისაგან და 4 მუყაოს კოლოფისგან. თითოეულ ყუთში 6-დან 10-12 საქაღალდედნა (არის 13 და 14 საქაღალდეც). როგორც ვთქვი, ეს ძალიან დიდი არქივია.

თითოეულ ყუთზე მითითებულია, რა ხასიათის მასალაა განთავსებული იქ და მკვლევარს შეუძლია, თავად განსაზღვროს, პირველ რიგში რას გაეცნოს, ანუ რა გამოიწეროს; ასე მაგალითად:

ყუთი 1. ბიოგრაფიული მასალა. აქ თავმოყრილი ინფორმაცია ფრიად საგულისხმოა. აქვეა განთავსებული ჰელენის არქივიც, რომელიც არაერთ საგულისხმო ფაქტს ინახავს.

ან: ყუთი 3. – ბიზნესი: 1940–1950 წლებში. მასში დაცული ცალკეული საქაღალდე მოიცავს საქმიან წერილებს გამომცემლებთან, მოლაპარაკებებს თარგმანის უფლებების თაობაზე; ასევე, როგორც ირკვევა, უკვე დაწყებულია მოლაპარაკება Paramount Pictures –სთან. შეგახსენებთ, ეს ერთ-ერთი აქტიური შემოქმედებითი პერიოდია მათ ბიოგრაფიაში: წიგნები ითარგმნება არაერთ ენაზე, ეწეობა ჯორჯის გამოფენები, უკვე პოლიგუდიც დაინტერესდა წიგნის ეკრანიზაციით... ამ ხანებში წარმატება თვალშისაცემია.

არქივში დაცულია სხვადასხვა ხელნაწერი, მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტები; ბეჭდიანი (ან სატიტულო) ფურცლებზე დაბეჭდილი ოფიციალური წერილები. ამონაბეჭდები ჟურნალებიდან, გაზეთებიდან, რეცენზიები, სტატიები, ლიტერატურული წერილები... თუნდაც, რაოდენ საგულისხმოა ამგვარი ინფორმაცია: „Excerpts from their work are used in more than one hundred text books (elementary to college level), anthologies and collections“ (ნაწყვეტები მათი ნაშრომებიდან გამოიყენება 100-ზე მეტ

სახელმძღვანელოში (დაწყებითი დონიდან კოლეჯების ჩათვლით), ანთოლოგიებსა და რჩეულებში) — ეს განმარტება მითითებულია ჯორჯ პაპაშვილის „ბიოგრაფიული მონაცემები“ (0090.01.01).

ჩანართის სახით: იმისათვის, რომ მეტ-ნაკლებად მაინც წარმოიდგინოთ, რა რაოდენობის მასალასთან მქონდა საქმე, ერთ მაგალითს მოვტან: **მეხუთე ყუთის ორა საქაღალდე**: საქაღალდე 05-ში — დაცულია 24 ერთეული, ხოლო 06-ში — 570 ერთეული (ხელნაწერი ან ნაბეჭდი ფურცლები); და ამ ყუთში არის **კიდევ 4 ასეთივე საქაღალდე!**

სპეციალურ კოლექციაში დაცულია ეპისტოლარული მიმოწერა აგენტებთან, გამომცემლებთან, რედაქციებთან... აქვეა კოლეჯებთან და ასევე, მათ მიერ გამოგზავნილი წერილები; ამა თუ იმ ვიზიტის დაგეგმვის ვერსიები, აგრეთვე, ანგარიშები წიგნების გაყიდვების, შეხვედრების თაობაზე. გამოფენების კატალოგები და მიმოწერა ამ სფეროს წარმომადგენლებთან. ორ ყუთშია დაცული (12 — 13) Fan Letters = მკითხველთა წერილები, რომელთა რაოდენობა მართლაც, ძალზე მრავალრიცხოვანია.

რასაკვირველია, არქივში იკონოგრაფიული მასალაცაა დაცული: ცოლ-ქმრის ფოტოები, მათი სახლის სურათები, ამ სახლის სტუმრები... მეგობრებთან ერთად გადაღებული, სხვადასხვა შეხვედრის ამსახველი: მკითხველებთან, ან მასალის — ქვების მოძიებისას, ან კიდევ მოგზაურობების... ჯორჯი და ჰელენი კი ბევრს მოგზაურობდა. (აქაა ინდოეთში, ყაზახეთში, საქართველოში გადაღებული სურათები: თბილისი, ნარიყალა, მცხეთა, ჯვრის მონასტერი, მიხეილ მაშულაშვილის ბაღი, სპირველმამისო აღლუმის ფოტო. აქ ქართული წარწერაა, ელხსნი იქ მყოფთ: ასფალტზე ქართული ასოებით რომ აწერია: „სდექ.“ სხვა სურათზე ყელსახვევიანი პიონერები დგანან. ეს 1961 წლის 1 მაისია, ის დრო, როცა ცოლ-ქმარი საქართველოში იყო ჩამოსული).

სპეციალური კოლექცია ფასდაუდებელ სამსახურს უწევს ჯორჯ პაპაშვილის, როგორც მოქანდაკის გაცნობის საქმეს. და ასევე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, შეჩერებული წუთები გამოფენებიდან და უამრავი, ულამაზესი ნამუშევრის სურათი. კოლექციაში არის რამდენიმე ესკიზიც, აქვეა არაერთი საგამოფენო ბუკლეტი და მოსაწვევი, რომელთა გადაღების (ნაწილის, რასაკვირველია) შესაძლებლობა მომეცა. განსაკუთრებით საინტერესოდ მიმაჩნია არქივში დაცული ნამუშევრების სლაიდები.

აქვე აღვნიშნავ, რომ არქივში არაერთი ლიტერატურული წერილია დაბეჭდილი სხვა წიგნებთან: „კო და არა მოთხრობები“, „მადლობა ნოეს“, „მადლები და ადამიანები“, „რუსული სამზარეულო“, „შინისკენ, კვლავ შინისაკენ“ დაკავშირებითაც. ეს წერილები მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ მათ შესახებ არც ქართულმა და არც ე.წ. საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობამ არაფერი იცოდა.

ასევე, სრულიად უცნობი გახლავთ ის დეტალები, რომლებიც რომანის ეკრანიზაციასთანაა დაკავშირებული. იმავე სათაურით, როგორც ნაწარმოები იყო დასათარებული, 1952 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაიღეს ფილმი. არქივში დაცულია დოკუმენტები — მიმოწერა Paramount Pictures — სთან, რომელიც არაერთ უცნობ მასალას გვაწვდის.

ცალკე ნომრადაა გატარებული უზარმაზარი ალბომი, რომელიც მთლიანად



ბესტსელერთან დაკავშირებულ გამოხმაურებებსა და მოვლენებს ესება.

ჰელენ უეიტ პაპაშვილი ძალიან გონიერი ქალბატონი ვახლდათ. ბესტსელერთან — „Anything Can Happen“ („ყველაფერი შეიძლება მოხდეს“) დაკავშირებული ყველა რეცენზიისა და გამოხმაურებისათვის მოუყრია თავი, ამოუჭრია და ალბომში ჩაუყრავს.

აქ ერთი დეტალი მხოლოდ გულდასაწყვეტი: ზოგიერთი მათგანი პირდაპირაა ამოჭრილი და ანლა უკვე ძნელი გასარკვევია, ესა თუ ის წერილი სად დაიბეჭდა, რომელ ნომერში და რომელ წელს. საინტერესოა ალბომში. გადაშლი და ჭგუფური სურათი დევეს, შემდეგ სამი ჩანახატი: ერთი პორტრეტის ესკიზი (სავარაუდოდ, გიორგი პაპაშვილის), დანარჩენი ორი ნაწარმოების კონკრეტული ეპიზოდების ილუსტრაციაა: პირველი ეპიზოდში, ჩასვლისთანავე ქუდს რომ შესთავაზებენ და მეორე — მთავარი პერსონაჟი მანქანას რომ შეეკეთებს. როგორც ვთქვი, ალბომში ამონაჭრებია გაზეთებიდან, ჟურნალებიდან, ბროშურები... და ეს მხოლოდ ერთ რომანზე.

რამდენი რეცენზია და გამოხმაურება წაგიკითხავთ მხოლოდ ერთ წიგნზე? ვიმეორებ, მხოლოდ ერთ წიგნზე და არა ავტორის მთელს ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე... ?

**6 1 8 1** — და ისიც მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში.

**შთამბეჭდავი რაოდენობაა!**

შესაძლოა, ვინმემ გაიფიქროს: ბევრია, მაგრამ შეერთებული შტატები უზარმაზარი ქვეყანაა და ამდენად, ეს რაოდენობაც — გასაგებია; სხვას კი სწორედ ეს პასუხი შეიძლება საწინააღმდეგო არგუმენტად „გამოადგეს“ — სწორედაც იმიტომ, რომ დიდი ქვეყანაა, მეტი შესაძლებლობა იყო, სრულიად ჩაკარგულიყო.

ექვსას თვრამეტივეს რასაკვირველია, ვერ წარმოვიდგენთ, მაგრამ ვარკვეულწილად მნიშვნელოვან ნაწილს შემოგთავაზებთ (ბაზვასმა თითქმის ყველგან, ჩემი — რ.ნ.). ამ რეცენზიებში ერთი და იგივე ფაქტი შესაძლოა, განსხვავებულად იყოს მოწოდებული, არც თარიღების მითითება გამოდგეს ზოგჯერ სწორი, მაგრამ ნუ დაგვაფიქვდება, რომ ამ გამოხმაურებებს სხვადასხვა ადამიანი აწვდის რედაქციებს: პროფესიონალი ლიტერატორები, კრიტიკოსები, ჟურნალისტები ან კიდევ კორესპონდენტები. უნებლიე თუ არცოდნით გამოწვეული ხარვეზები სხვა წერილების მიხედვით ხდება „საკანაური.“ სხვადასხვა თარიღი-მეთქი, ვთქვი, არც-თუ იშვიათად ფაქტებიც. იქვე, თითოეულ მათგანთან შენიშვნებს არ გავაკეთებ, მე როგორ მივიჩნევ, იმას ჩემს „ტექსტში“ და კომენტარებში წაიკითხავთ.

ერთი სირთულეც უნდა აღვნიშნო: გასული საუკუნის გაზეთების ან ჟურნალების ფურცლები — ვაყვითლებული, გაცრეცილი და არცთუ იშვიათად, ძალიან ძნელად ამოსაკითხია, მით უფრო, როცა ამონაჭერია... მაგრამ ეს ყველაფერი ინახავს ჩვენი თანამემამულის წარმატებებს, ამიტომაც მნიშვნელოვანი და ამდენად, დასაძლევია...

**ყველგან, ავტორთა სტილი დაცულია.**

ჭორჭ (გიორგი) და ჰელენ პაპაშვილების შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლა ვფიქრობ, მნიშვნელოვანია ქართული და ამერიკული კულტურის ისტორიაში.

მასალა, რომელსაც წიგნში შემოგთავაზებთ, ძირითადად სწორედ ლიპაის უნივერსიტეტში დაცული „სპეციალური კოლექციის“ კუთვნილებაა (ამდენად, ყოველ



**ამონარიდს ნომერს აღარ მივუთითებ).**

ჩემი მასპინძელი ლიპაის უნივერსიტეტი (სწორედ მათი მიწვევით მომეცა ამ არქივის გაცნობის შესაძლებლობა) და კერძოდ, ბატონი ილჰან ციტაკია – ყურადღებიანი, თავისი საქმის პროფესიონალი და კეთილგანწყობილი ადამიანი.

ერთ დღეს მუშაობას ვაგრძელებ, მოულოდნელობა წინ მელოდება. ბნამა ილხანმა შემოსული ქალბატონი გამაცნო, მეც წარმადგინა.

–ააა, მე ვიცნობდი ჰელენს, მისი წიგნების მაღაზიაში დავდიოდი, აღენტაუნში ჰქონდა.

– „მოზი დიკში?“

– დიახ, „მოზი დიკი,“ ასე ერქვა. გამყიდველიც თვითონ იყო, წიგნებსაც გეტავაზობდა.

– შემთხვევით ჯორჯსაც ზომ არ იცნობდით? – ვეკითხები სიცილით, სრულიად დარწმუნებული, რომ...

– კი, როგორ არა, ისიც ნანახი მყავს.

– კი, მაგრამ რანაირად? – არ ვმაღავე ვაკვირვებას.

– მე მაშინ 17-18 წლის გოგო ვიყავი, წიგნები მიყვარდა და წიგნების მაღაზიაშიც ხშირად დავდიოდი; იქ ვხედავდი ჰელენს და ჯორჯს...

ჰელენს ძალიან კარგი მაღაზია ჰქონდა; ახლა წიგნების მაღაზიის ქსელებია, იმისი კი კერძო იყო. სამი საფეხური უნდა აგველო და შეხვიდოდი. ძველი და უახლესი გამოცემებიც ჰქონდა. ჰელენისაგან წიგნებს ვყიდულობდი. ძალიან ჰკვიანი და ინტელიგენტური ქალი იყო. განათლებული. მე მაშინ 17-18 წლისა ვიქნებოდი, მეზობლად ვცხოვრობდი.

ჯორჯი ნანახი მყავს, მაგრამ პირადად არ ვიცნობდი. მის გამოფენებზე კი ვყოფილვარ. დიდი ქვებისაგან, კლდისა და გრანიტისაგან აკეთებდა ქანდაკებებს. არ ვიცი, როგორ აპრიალებდა, ხელი რომ მიგედოთ, დააჩნდებოდა; ისეთი ნაშუშევრები იყო, ხელის გადასმა, მოფერება, ჩახუტება მოგინდებოდათ.... ცხოველების ფოტურებს აკეთებდა, ძალიან კარგი ნაშუშევრები იყო, თბილი... მე მათი – ქალბატონი ჰელენისა და ბატონი ჯორჯის ცნობილი წიგნიც ვიცი.

– ეზოში, რამდენადაც ვიცი, ქანდაკებები იდგა თურმე, მეზობლად ცხოვრობდით და ალბათ, თქვენ გემახსოვრებათ?

– ქანდაკებები? კი, კი ჰქონდა, მაგრამ ახლა ისინი სადაა, არ ვიცი...

ჩემი თანამოსაუბრე ქალბატონი ელენაორ ნოტელფერია – ლიპაის სპეციალურ კოლექციებზე მოხალისედ, ნებაყოფლობით მუშაობს.

ლიპაის უნივერსიტეტში ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების სპეციალურ კოლექციაზე მუშაობისას ბატონმა ილჰან ციტაკმა წიგნები ამომიტანა ბიბლიოთეკიდან.

– თუ შეიძლება, არ დააბრუნოთ, გადავიღებ.

– OK, – არ ჩქარობენ ისინი.

უცნაურია, წიგნები, რომელთა შესახებაც ინტერნეტიდან ვიცოდი და იჭიდან ვიწერდი, ხელთ მაქვს და ვფურცლავ...

– ძალიან მინდა, ამერიკაში გამოცემული ჯორჯ პაპაშვილის წიგნი მქონდეს-მეთქი,

— ვთქვი ერთხელ ხმამაღლა.


— რა პრობლემაა, — მიპასუხეს ამერიკულად.

გამოვიწერეთ და ხელთ ამერიკაში გამოცემული წიგნი მიჭირავს. გასული საუკუნის შუახანებში დაწერილი პროზაული ტექსტი 2012 წელსაც გამოდის. მკითხველი არ დაკარგულა და არც ინტერესი განელეზულა. აკი მწერალი ისაა, ვის წიგნსაც კითხულობენ; არა მარტო ბიბლიოთეკებში ეძებენ, არამედ დღემდე ყიდულობენ! არა-ჩვეულებრივია!

როგორ უჩვეულოდაც არ უნდა გეჩვენოთ, შედგენილია გიორგი პაპაშვილის „წიგნოვრამა“:

**Books Ngram Viewer**

**Graph these case-sensitive comma-separated phrases:  
between and from the corpus with smoothing of . 0**



**Search in Google Books: 1800 - 1941      1942 - 1944      1945      1946 - 1995**

**1996 - 2008      George Papashvily**

პირადი არქივი ყოველდღიურობის განცდასაც ტოვებს იმ უამრავი საშობაო თუ საახალწლო ბარათით, რომლებიც აქაა დაცული. ეს ბარათები კიდევ ერთი დაკვირვების შესაძლებლობას იძლევა: გავიგოთ არეალი იმ საზოგადოებისა, რომელშიც ეს ავტორები ტრიალებდნენ. მხოლოდ ერთი მაგალითი: ენ პერიში (1888—1957) ამერიკელი პროზაიკოსი და საბავშვო წიგნების ავტორი; ფართო განათლების წარმატებული და იმხანად ძალიან პოპულარული ავტორი. სპეციალურ კოლექციაში მისი არაერთი წერილია; საგანგებო საქაღალდეც კია გამოყოფილი მისი რაოდენობის (და მნიშვნელობისაც) გამო — 0090. 01. 03. ეს ბარათები მათი დიდი ურთიერთობის დასტურია. ორ შაბათ საღამოს ჯორჯთაუნიდან (კონექტიკუტი) ჰელენს წერილით გაესაუბრება (მიმართვის ფორმა: „უძვირფასესო ჰელენ“); მართალია, თვითონვე დაწერს: „ერთობ გვიანიაო,“ მაგრამ იმ სურვილსაც გაამჟღავნებს: „მინდა, რომ ამ წერილმა შენამდე მოაღწიოს.“ სიხარულს გამოთქვამს, რომ ჰელენს წერა არ შეუწყვეტია, მეტიც, წარმატებით აგრძელებს. წერილს კი ასე დაასრულებს: ცოლ-ქმარს მოკითხვას შეუთვალის „ორივესადმი სიყვარულით, ენი...“

„— მე ვარ საქართველოს ელჩის შვილი,“ — ამდენ ინგლისურ ნაწერში კიდევ





ერთი, ეს ქართული ხელნაწერია. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთში — აკაკი ჩხენკელი მის სახელმწიფო არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტი უკავშირდება: „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ შემდგომი საქმიანობა, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, ეროვნული განძის თავგადასავალი, თბილისის უნივერსიტეტის დაარსება... სხვა. ეს ის ელჩია, 1921 წლის 25 თებერვალს, იმ დროს, როცა რუსეთის ჯარმა თბილისში შემოდიოდა, ოფიციალურ თანმხლებ პირებთან ერთად ელისეს სასახლეში, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ბ-ნ მილიერანთან რომ მივიდა, რათა რწმუნების სიგელი გადაეცა. ამ შეხვედრაზე ბევრი დაიწერა, მაგრამ მე ახლამხოლოდ სოსიპატრე ასათიანის ერთი წინადადება მახსენდება:

„რამდენად ტკბილი იყო ეს სურათი, იმდენად მწარე, ვინაიდან ამ თვალწარმტაც სურათში არავითარი შინაარსი აღარ იყო...“

მარიამობისთვის ოჯახმა წერილი მიიღო. მიიღო და შეინახა. არქივში პარიზიდან 1947 წელს გამოგზავნილი აკაკი ჩხენკელის ვაჟის — ალექსი ჩხენკელის წერილია. წერილის ავტორი შეეცდებოდა, ადრესატებს თავისი ვინაობა გააცნოს, ამიტომაც დეტალურად მისწერს:

„1920 წლის ბოლოს, როცა მამა ჩემი დაინიშნა ელჩად საფრანგეთში, აქ ჩამომიყვანეს და მის მერე აქ დავრჩი. გავათავე აქ სწავლა და შემდეგ შევედი აქაურ სამხედრო სკოლაში.“

სკოლა 1925 წელს დაამთავრა და ფრანგულ ჯარში შეუდგა სამსახურს. წერილის დაწერის დროისათვის, მას მაიორის ჩინი ჰქონია. ის ჯერ კიდევ 1939-40 წლებში უცხოელთა ლეგიონში იყო საფრანგეთში. თავგადასავლის მაძიებელი თუ მებრძოლის ფინით საესე, თავის ბიოგრაფიას ასე გააგრძელებს:

„1941 წელს გავიბარე ინგლისში და „Free French Forces“-თან ერთად ვიომე ლიბიაში, ტუნისიაში, იტალიაში, საფრანგეთში და გერმანიაში. იტალიაში ვიყავი ამერიკულ ჯარში.“

II მსოფლიო ომი ახალდამთავრებული იყო. ის საფრანგეთში ცხოვრობდა, იქვე მსახურობდა; წაკითხულიდან მიღებული შთაბეჭდილება კი არ განელეზობდა:

„თქვენს წიგნს „Anything Can Happen“ ისეთი სახელი ჰქონდა ომის დროს იტალიაში, რომ ჩემს ამყობას საზღვარი არ გააჩნდა,“—ამ სიტყვებს აღტაცებული მისწერს ერთი ქართველი მეორეს.

„ძალიან გამიხარდა და დღესაც მიხარია რომ გამოჩნდა ისეთი ქართველი, რომელმაც საქართველოს სახელი ასე კარგათ გააცნო ბერს. მაშ, კიდევ მოვილოცავთ და გისურვებთ, რომ თქვენი და თქვენი მეუღლის მწერლობა ხანგრძლივი იყოს.“

თხოვნასაც დაადვენებს, საჭიროს და სასურველს:  
..... ბატონო გიორგი, გთხოვთ შემდეგს:

ძალიან მოხარული ვიქნებოდი, თუ მომცემთ ნებართვას გადავთარგმნო

- 1) ქართულათ — Anything Can Happen
- ძალიან ვნანობ, რომ ეს წიგნი უკვე გადაითარგმნა

ფრანგულათ!..

2) ფრანგულათ და ქართულათ — Yes and No Stories. იმავე დროს გთხოვთ, თუ მომავალში — რასაც ძალიან ვერწმუნები — გამოსცემთ სხვა წიგნებს, მომცეთ უპირატესობა მათი გადათარგმნისა ფრანგულ და ქართულ ენებზედ.

გთხოვთ, მიპასუხოთ ამ საკითხზედ და გარწმუნებთ, რომ თქვენი პირობები ჩემთვის სრულიად მისაღები იქნებიან.

წინ და წინ გინდით დიდს მადლობას და ვიმედობ, რომ აღმისრულებთ თხოვნას. ჩემი გულწრფელი სალამი თქვენს მეუღლეს.

თქვენი ერთგული  
ალექსი ჩხენკელი.“

წერილს ახლავს დამწერის პარიზული მისამართი.

არქივისთვის საგანგებოდ ითარგმნა ქართული ხელნაწერი. ავუსხენი, ვისგანაც იყო. ხელნაწერი ფრთხილად, ცალკე ვამჭვირვალე ჩასადებში ჩაიდო.

სპეციალურ კოლექციაში ჰელენის მიერ გაგზავნილი პასუხიც შემონახულა. იმავე დღეებში, უფრო ზუსტად, 1947 წლის 29 აგვისტოს მწერალი ქალი პასუხს გაგზავნის; ასეც დაიწყებს:

„ძვირფასო მაიორო ჩხენკელო,

ჩემმა მეუღლემ მთხოვა, მის მაგივრად მეპასუხა მისადმი გამოგზავნილ თქვენს წერილზე, რადგან თავად არცთუ ისე კარგად წერს ქართულად.

პირველ რიგში, ორივეს გვინდა, მადლობა გადაგიხადოთ ყველა იმ კეთილი სიტყვისთვის, რომელიც ჩვენი ნაშრომის შეფასებისას გამოთქვით. მე დარწმუნებული ვარ, თქვენ იცით, რა ბევრს ნიშნავს მსგავსი წერილი მწერლებისთვის.

ვშიშობ, რომ ჩვენი წიგნების თარგმნის უფლებებით თქვენ ვერ ისარგებლებთ, რამდენადაც მათი საზღვარგარეთ გამოცემის პროცედურა დაახლოებით ამგვარია: მას შემდეგ, რაც წიგნი დაიბეჭდება შეერთებულ შტატებში (თანაც წარმატებით), ჩვენი აგენტი, რომელიც წარმოადგენს როგორც ჩვენს გამომცემლობას, ისე თავად ჩვენ, იღებს მოთხოვნებს, რასაც, როგორც წესი, თან ახლავს საზღვარგარეთ წიგნის გადაბეჭდვით დაინტერესებული გამომცემლების შეთავაზებები. ჩვენი აგენტი გადაბეჭდვის უფლებას აძლევს საუკეთესო შეთავაზებას. იმ გამომცემელს კი, რომლის შეთავაზებაც იქნება შერჩეული, ეძლევა ექსკლუზიური უფლება — დაბეჭდოს წიგნი მშობლიურ ენაზე თავის ქვეყანაში. მისგან მიღებული თანხა, ჩვენი აგენტის საკომისიოს გამოკლებით, პროპორციულად ნაწილდება ჩვენსა და გამომცემლობას შორის ჩვენი პირადი კონტრაქტის პირობების თანახმად, რომელიც მოიცავს წიგნის საზღვარგარეთ გამოცემის საკითხს.

შემდეგ უცხოელი გამომცემელი პოულობს მთარგმნელს (დიდი გამომცემლები სხვადასხვა ენიდან მთარგმნელების შტატს ინახავენ), ბეჭდავს წიგნს, რეკლამას უკეთებს მას და (იმედია) ყიდის.

სხვა სიტყვებით — თარგმნის უფლება თავისთავად არაფერს ნიშნავს, თუკი თქვენ არ გაქვთ საგამომცემლო ორგანიზაცია, რომელიც დაბეჭდავს, რეკლამას გაუკეთებს და გაავრცელებს წიგნს.



„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ უკვე თარგმნილია ფრანგულად (ასევე, სხვა ენაზე). დარწმუნებული ვარ, ჩვენმა აგენტმა ახსენა, რომ „პოდა არა მოთხრობები“ ასევე, შეიძინა ფრანგმა გამომცემელმა. სხვათა შორის, თარგმნა ძალიან ცუდად ანაზღაურებადი სფეროა და ჩემი ინფორმაციით, მთარგმნელი იღებს ანაზღაურებას არა უმეტეს 50 დოლარიდან 75 დოლარამდე პატარა წიგნისათვის.

მე ასე დეტალურად იმიტომ განვიმარტე, რათა გაგვევოთ, თუ რატომ არ შევვიძლია, ჩვენი დადებითი პასუხით გადმოგვცეთ უფლებები თარგმანზე. პირველი — უფლება თარგმანზე, გამომცემი დაწესებულების გარეშე უსარგებლოა; მეორე — საზღვარგარეთ გამომცემის უფლებები იყიდება ჩვენი აგენტის მიერ საკონკურსო შემოთავაზებების საფუძველზე და ყველა შემთხვევაში ის მარტო ჩვენი კი არა, გამომცემლის საკუთრებაც არის.“

პელენი ეგებ, გარკვეულ უხერხულობასაც გრძნობს, უარს რომ ეუბნება მეუღლის თანამემამულეს, ქართველს, უცხოეთში მცხოვრებს, არადა, რეალობა ამგვარია. თავად სინამდვილეს აღწერს, დასრულებით კი მაინც „რბოლად“ მხატვრულად დაასრულებს:

„წიგნებში ყველაფერი შეიძლება მოხდეს: შეიძლება იცურო დრეიკთან ერთად; რაკეტით წახვიდე მთვარეზე საყიდლებზე; აღმოაჩინო რადიუმი კურჩისთან ერთად; იცინო მისტერ პიკვიკთან ერთად; ითამაშო ფილმში; ან — (გადაფურცლე, გეთაყვა) — უსმინო როგორ ლაპარაკობდა პლატონი ბერძნული მზის ქვეშ 23 საუთუნის წინ.

ამ წიგნებში აღწერილ ნებისმიერ ამბავზე უფრო შთამბეჭდავი მგონია, როცა თქვენ შესძლებთ, მსოფლიოში ყველაზე დიდი თავგადასავლის თანამონაწილე გახდეთ — ყველანაირ ადამიანს შეხვდეთ და დაიმეგობროთ ისინი: ფრანგი, რუსი, იტალიელი, ზანგი, შოტლანდიელი, იაპონელი, კათოლიკე, პროტესტანტი, ებრაელი, მუსლიმანი — მთელი მსოფლიო და მისში მცხოვრები ყველა ადამიანი ახლა უკვე თქვენიანია, რათა გაიცინოთ და უამრავი რამ შეიტყუოთ მათ შესახებ.“

სპეციალური კოლექციის ალბომში ამონაჭერია ჩაწებებული; ესაა პარიზში გამოშვებული ქართული ჟურნალის — „მერანი“ ერთი გვერდი. არც წელია მითითებული და არც მთელი ნომერია წარმოდგენილი, მაგრამ ის ნაწილია სწორედ, რომელიც ახლად გამომცემულ ნაწარმოებს და მის სწორედ ფრანგულ თარგმანს ეხება. ხელმოწერილია ამგვარად: **ს. ჯ.** დაბეჭდილია რუბრიკაში: ბიბლიოგრაფია. გთავაზობთ სრულად:

**„Anything can Happen**

(„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“)

ამ სათაურით გამოვიდა ამერიკაში წიგნი ჩვენი თანამემამულის ბ. გ. პაპაშვილისა. წიგნში აღწერილია მისი ემიგრანტული ცხოვრება ამერიკაში. მას აღწერილი აქვს ყოველივე, რაც შეიძლება გადახდეს უცხოეთში გადახვეწილ ადამიანს. ამ მხრივ ეს ამბები ისევე შეიძლება გადაიტანოთ საფრანგეთში და სხვაგანაც. რათგან ყველა სხვა ქვეყნებში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი ამ წიგნში ამოიკითხავს საკუთარ ბედს.

გარდა მრავალი წვალებისა და მარტოობის, რომელიც ავტორს განუცდია და მეტად მომზიბლავდაც აუწერია, ეს წიგნი შეიცავს მეტად ძვირფას მხარესაც. გარეგნულად წიგნი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს ის იყოს დაწ-



ერილი მკითხველის გასართობად. მაგრამ არსებითად მეტად ნიჭიერად და მოხერხებულად აცნობს ამერიკელ საზოგადოებას ქართულ კულტურას, ისტორიას, ადამიანურებებს, ტრადიციებს და სხვ.

ამ წიგნში შეხვდებით თითქმის ყველაფერს, რაც წარმოადგენს დამახასიათებელს ქართველი ერისა. სტუმართ-მოყვარეობა, სიცოცხლის სიყვარული, ფულის სიძულვილი, მეგობრობის, ამხანაგობისა და გატანის გრძობა, ქვრივ-ობოლთა და დავროდომილთა გაკითხვა, ბრძოლის კულტი და ბოლოს, ავტორი არ ივიწყებს, ამერიკელ მკითხველს გადაუშალოს ჩვენი ისტორიის რამოდენიმე ბრწყინვალე ფურცელიც.

რომ საქართველო უფრო კარგად იყოს წარმოდგენილი, ის ნაწილობრივ ეხება მის მეზობელ ხალხებსაც. მათ აფასებს სასტიკად, მაგრამ ზრდილობიანად.

ნაწარმოები დაწერილია მეტად მიმზიდველი ენით. ამას კი უნდა ვუმაღლოდეთ ქ-ნ ელენე პაპაშვილისას, რომელმაც ქმრის მშვენიერი მოთხრობა შემოსა წმიდა ამერიკული გამოთქმითა და მას მისცა სრულყოფილი მხატვრული სახე.\*

\* ეს რეცენზია აწყობილი იყო, როცა მივიღეთ ცნობა, რომ **ბ. პაპაშვილის წიგნი გადითარგმნა და გამოვიდა ფრანგულ ენაზედაც.**

**მისალა ქრონოლოგიის დაცვით დავალაგე** (რასაკვირველია, არც კოლექციაში და სამწუხაროდ, არც ალბომში ჩაკრული რეცენზიები ამ პრინციპის მიხედვით არაა დალაგებული, არამედ, ზოგადად, როგორც მოგახსენეთ, თემატურად. „სპეციალური კოლექცია“ ისევე დატოვეს, როგორც შემომტანმა ჩათვალა საჭიროდ. თუმცა მეუბნებიან, რომ თუკი სპონსორი გამოჩნდება, სხვა წესით დაალაგებენ). როგორც ვთქვი, ამჯერად, წარმოგიდგინთ წიგნთან – „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ დაკავშირებით გამოქვეყნებული რეცენზიების, გამოხმაურებების, ლიტერატურული წერილების გარკვეულ ნაწილს დალაგებულს სწორედ ამ თანამიმდევრობით (და ზოგიერთ შემთხვევაში იმ სტატიებსაც, რომლებიც უზრუნველბის გვერდებიდან თუ გაზეთების ფურცლებიდან ამოჭრილები ვახლავთ და ახლა უკვე ძნელია იმის დადგენა, კონკრეტულად სად იყო დაბეჭდილი):

**„ნიუ-იორკ ტაიმსი“  
1944 წელი, 26 ოქტომბერი**

„იან კარსკის „საიდუმლო ქვეყნის ისტორია“ – მოთხრობა პოლონური იატაკქვეშეთის შესახებ, და ჯორჯ და ჰელენ უეიტ პაპაშვილების „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ – რუსი ემიგრანტის ისტორია, „თვის წიგნის კლუბის“ იანვრის ორმაგ რჩეულებად არიან დასახელებულნი. ლეიტენანტ კარსკის წიგნი 28 ნოემბერს „პაფტონ მიფლინის“ მიერ დაიბეჭდება; „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ გამოიცემა 2 იანვარს „პარპერის“ მიერ.“

**„ნიუ-იორკ ტაიმსი“  
1944 წელი, 29 ოქტომბერი**

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“



ავტორები: ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები.

„პაპაშვილები ალენთაუნში, პენსილვანიაში ცხოვრობენ, სადაც ჰელენი წიგნი მალაზიას უძღვება, ჯორჯი კი მექანიკოსია, გამომგონებელი, მოქანდაკე — მუშაობს თავდაცვითი მიმართულების ფაბრიკაში. მათი წიგნი არის რუსი ემიგრანტის ისტორია, რომელსაც მისი ცოლი ხალისითა და უღარდელი განწყობით ჰყვება.“

**„ალენთაუნ ქოლი“**

1944 წელი, 31 ოქტომბერი

სტატიას ახლავს ფოტო, მინაწერით: „ჯორჯ და ჰელენ უეიტ პაპაშვილები განიხილავენ რეცენზიებს თავიანთი ნამუშევრის შესახებ“

მერ ქუჩის მეორადი წიგნების მალაზიის მფლობელები თანაავტორები წიგნისა „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ —

**„იანვრისათვის შერჩეული თვის წიგნი“**

„თითქმის ხუთი წლის უკან, წიგნებისადმი დაუცხრომელი სიყვარულით გამოჩნულმა ახალგაზრდა ქალმა მერ ქუჩის ნომერ 2141/2-ში მდებარე მეორადი წიგნების მალაზიაში შეაბიჯა, რათა მეპატრონისთვის რჩევა ეკითხა ბეთლემქეში ან ისტონში მსგავსი მალაზიის გახსნის თაობაზე.

„— ამ მალაზიას რატომ არ შეიძენთ? იყიდება,“ — გახლდათ მეპატრონის პასუხი.

ახალგაზრდა ქალმა გაოცება ვერ დამალა, თუმცა, როგორც კი გონს მოეგოდა თავი ხელში აიყვანა, შესყიდვის საქმეს მოაწერა ხელი. მალაზიას სახელი შეუცვალა და მას „მოზი დიკი“ დაარქვა. დალაგდა. ახალი მფლობელის რანგში კლიენტთა ლოდინს შეუდგა და თან თავისი ლიტერატურული საქმიანობის გაგრძელებას მიჰყო ხელი, რაც წამყვანი ჟურნალებისა და სხვადასხვა გამოცემისათვის უკვე დაწყებული ჰქონდა.

სულ რაღაც ერთ კვირაში, ამ პატარა მალაზიას გაუჩნდა სერიოზული პერსპექტივა — აშშ-ში ერთ-ერთი ყველაზე განთქმული ადგილი ყოფილიყო. რადგან წიგნი „ყველაფერი შეიძლება მოხდეს,“ რომელიც გასულ წელს ჯორჯ და ჰელენ უეიტ პაპაშვილებმა სწორედ ამ ადგილას დაწერეს, „თვის წიგნის კლუბის“ წევრების მიერ იანვრისთვის შეირჩა.

ამ წიგნის შესახებ ბაზარზე ხმები უკვე დაიჩხა და თან საკმაოდ უხვად წიგნისა, რომელიც იმდენად უჩვეულოა, რომ თვით „პარპერის,“ შემდეგ კი ნახევარი მილიონი წევრისაგან შემდგარი „თვის წიგნის კლუბის“ ყურადღება მიიპყრო. ფრენსის ლუდლომ — „რიტილ ბუქსელერის“ რედაქტორმა, ოქტომბრის გამოცემაში წიგნი „რედაქტორის არჩევანში“ შეიტანა, ლუდლოს ეს გამოცემა კი ქვეყნის ყველა წიგნის გამყიდველს მიეწოდება.

მთელი გვერდი წიგნის ენთუზიაზმით აღსავსე ქებას დაეთმო.

მისტერ და მისის პაპაშვილებს ნიუ-იორკსა და სხვა საგამომცემლო ცენტრებში მიღებები ელით; ისინი ასევე, რადიო-ინტერვიუებში მიიღებენ მონაწილეობას და სხვა სახის ყურადღების ობიექტებიც გახდებიან, როგორც ეს ლიტერატურის სამყაროში



ახალბედა, სახელგანთქმულობისთვის „განწირული“ პირების შემთხვევაში ხდება.

ასეა თუ ისე, ამასობაში, ბედნიერი წყვილი ჩვეულ, მშვიდ და მყუდრო ცხოვრებას აგრძელებს. დელი ჰელენ უეიტი (ლიტერატურულ წრეებში სწორედ ამ სახელით იყო ცნობილი, როცა ის წამყვანი ჟურნალებისთვის სტატიებს წერდა) „მობი დიკს“ ხელმძღვანელობს, ჰაღაღდების დასტებს აწესრიგებს და ვრცელ მმოწერებს პასუხობს, რაც მისი მეორადი წიგნების ბიზნესისა და მისი, როგორც ავტორის საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. ჯორჯ პაპაშვილი, ექსპერტ-მემანქანე, რომელსაც ადგილობრივი **ქსოვილების ინდუსტრიაში გამომგონებლად იცნობენ** და რომლის ცოდნა და საჭირო უნარები საკერავი მანქანებისა ამ სფეროში განთქმულია. ის „როიალ ენთერპრაიზ კო“-ში მუშაობს. დღის ბოლოს, როცა საღამო ახლოვდება, ბედნიერი წყვილი კვაკერთაუნთან ახლოს, შინ, საკუთარ ფერმაში ბრუნდება, სადაც ისინი ბოლო ცხრა წლის მანძილზე ცხოვრობენ.

თუმცა, თუ გვინდა, რომ პაპაშვილების ისტორია პენსილვანია-დაჩით (გერმანულენოვანი ემიგრანტებით დასახლებული ტერიტორია - რნ.) დავიწყოთ — ადგილით, რომელიც მათ უყვართ, იგივეა, რომ სწორედ მათი ფერმით დავიწყოთ თხრობა. ფერმა მაშინ იყიდეს, როცა უილმინგტონში (დელავერის შტატი) საქმიანობდნენ. განზრახული ჰქონდათ, რომ ფერმაში ზაფხულობით ეცხოვრათ, უილმინგტონში კი ზამთრობით ყოფილიყვნენ, მაგრამ საბოლოო ჯამში, უილმინგტონი სრულ დავიწყებას მიეცა. ამას მოჰყვა ალენთაუნის ბიზნეს-წამოწყება და ადგილობრივი კომუნაში დაფუძნება. აქ ბევრი კარგი მეგობარი შეიძინეს, ვინც მათი ამ უჩვეულო პოპულარობით მათთან ერთად ხარობს.

წიგნების მაღაზიის ხელმძღვანელობისას, ჰელენ უეიტი არაერთი ახალგაზრდა ადამიანის მრჩეულად და გიდადაც იქცა კითხვის ჩვევების გამომუშავების საკითხში და ეს დანაშარება წლების განმავლობაში გრძელდება. იგი მათ მოწიფულობასაც მოესწრო. ის ჯარის ბანაკებში იმ წიგნებს აგზავნის, რომელთაც მისი მაღაზიის ყოფილი სტუმრები ითხოვენ. როცა იგი საბჭუდ მანქანაზე საუცხოო სისწრაფით მუშაობს და ფურცელს ფურცელზე თოვლივით თეთრი ფერიდან ტექსტად აქცევს, მისი შემხედვარე მაღაზიის სტუმრები ალბათ, ფიქრობენ და წინასწარ კითხულობენ: ნეტავ რა წიგნს შობს მისი სხარტი გონება და მგრძობიარე სულიო. რადგანაც მისმა გამოსაცემად გამზადებულმა წიგნმა ცხადჰყო, რომ უეცრად ამერიკელად ქცეული ქართველი კაცის ცხოვრებაში „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“. ზუსტად ასევე, შესაძლებელია, რომ რომელიმე მომდევნო წიგნმა დაადასტუროს, რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს, თუ ადამიანს წიგნების მაღაზია აქვს ალენთაუნში; წიგნებისა, რომელიც ათასობით კაცს უყვარს. უყვარს და დროდადრო მაღაზიაში მიდის, რათა ამ წიგნებს კარგი „ჩხრეკა“ ჩაუტაროს, აღფრთოვანდეს და შესაძლოა, იყიდოს კიდევ.

სამართლიან შეხედულებას წიგნის თვალსაწიერსა და პერსონაჟზე გვთავაზობს მისტერ ლულლო, რომელიც „რიტილ ბუქსელერში“ მის ნათელ აღწერას იძლევა. აი, ისიც:

*წიგნი, რომლის წაკითხვასაც ამ თვეში გირჩევთ, — და ეს ნათუზია ზმით აღვსილი რჩევაა, — გახლავთ ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“.*



ეს მხიარულებით, სიცილითა და თბილი, მეგობრული გრძნობებით სავსე წიგნია და უშრეტელ აღფრთოვანებას იწვევს ნებისმიერი რამის მიმართ, რაც კი შეიძლება მოხდეს. თავად ჯორჯისა არ იყოს, წიგნიც „ბედნიერი და სიამაყით სავსეა.“

ჯორჯი — ან ვიორჯი, როგორც მისი მეგობრები იტყოდნენ, — მარშალ სტალინისთვის ქართველი კაცია. პირველად მას ნიუ-იორკის ნავსადგურში ვხვდებით, ოციოდე წლის უკან. ის გახლავთ „პირველი კაცი კომბინატარიდან, რომელიც აშშ-ში ჩამოდის.“ მას უმაღლესე დაიყოლიებენ, რომ კარაქულის ბოთლი ერთ დოლარსა და მოხდენილ ამერიკულ ბამბის ქუდში გადაცვალოს. პირველ სამსახურს იმითომ ჰკარგავს, რომ ამერიკული მინის ქურქელი ადვილად მსხვრევადია, ხოლო ახალი საბუხარს პოვნა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული (მისი დიალოგები შემოიფარგლება იმგვარი ფრაზებით, როგორიცაა: „რამდენი საათია?“). პიტსბურგში გაფიცვის შეჩერებაში იღებს მონაწილეობას იქამდე, ვიდრე არ აღმოაჩენს, სინამდვილეში რა ხდება; შემთხვევით შეხვდება (ოჰ, ეს ბედნიერადღე!) სხვა ქართველს და ნელ-ნელა ინგლისურად ლაპარაკსაც სწავლობს, ყოველ შემთხვევაში იმ დოზით, რა დოზითაც ის პრაქტიკულ მიზნებს წაადგება.

დეტროიტშია, როცა უძრავ ქონებაში: შავმურა მელოებსა და ხინკალში ღებს ინვესტიციას. ეს უკანასკნელი რავიოლის ერთგვარი რუსული ბიძაშვილია, რისთვისაც ვიორჯი ხუთასზე მეტ შეკვეთას იღებს. კერძს ის და მისი მეგობრები აკეთებენ, მაგრამ ცომის მომზადების რამდენიმე წარუმატებელი ექსპერიმენტის შემდეგ, მეგობრები ვიორჯის ავ ზავნიანს, რათა მზა ცომი იყიდოს. ვიორჯის მოვზაურობა დეტროიტში ცომით გადავსებული ტომსიკათი ერთი თავგადასავალია; ხოლო მცირე ხნის შემდეგ, ის არანაკლებ გასაოცარ მოვზაურობაში მიეშურება ანა ფეოდოროვნასთან, მის აღმატებულებასა (ანას მამა, რომელსაც სჯერა, რომ პრერიებზე კვლავ ინდიელები არიან გამავრებულნი) და ანას „ზედმეტად ამერიკელ“ შვილებთან ერთად.

და აი, ასე იწყება თუ გრძელდება ყველაფერი. სადაც არ მიეშურება ვიორჯი, იქნება ეს კალიფორნია, ვირჯინია თუ პენსილვანია, ის მეგობრებს იძენს — დიდსულოვან, თავქარიან მეგობრებს, დაუცხრომელი მადითა და წყალსაცავიდან ვაღმონეთილი წყლის მხიარული მგზნებარებით. და სადაც არ უნდა შეხვდნენ ის და მისი მეგობრები ერთმანეთს, ყველა კუთხე-კუნჭულში სასაცილო თავგადასავალი იმალება, მკითხველისთვის კი იშვიათი სიამოვნება.

ფრენსის ლუდლო.“

**„ნიუ-იორკ ტაიმსი“  
1944 წელი, 8 ნოემბერი**

„თვის წიგნის კლუბის“ იანვრის რჩეულს, ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების წიგნს „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, 2 იანვარს „ჰარპერი“ გამოსცემს. რუსი ემიგრანტის ცხოვრება ამერიკაში — იქ, სადაც „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ — მოთხრობილია მისი ცოლის მიერ იუმორისტული განწყობით. პაპაშვილები აღწერავენ, პენსილვანიაში ცხოვრობენ, სადაც ჯორჯი თავდაცვითი მიმართულების ფაბრიკაში მუშაობს.“

**„ბაბლიშერს უიკლი“**

**1944 წელი, 16 დეკემბერი**

*„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“*

*ავტორები: ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები*

*„პარპერი“, 2 დოლარი*

„რუსეთიდან ჩამოსული ჯორჯ პაპაშვილის ისტორია, რომელსაც მისი ამერიკელი ცოლი ჰყვება, დაწყებული ელის აილენდზე ჩამოსვლის დღიდან, ყველა იმ საოცარი და გასართობი ამბის ჩათვლით ამერიკაში — ქვეყანაში, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. 10 ათასი დოლარი რეკლამაში და ხელშემწყობი ბიუჯეტით; 350 ათასი ეგზემპლარი, მათ შორის „წიგნის კლუბის“ სახელით გამოცემამდე. „პარპერის“ „აღმოჩენა“ და აგრეთვე, „წლის წიგნის კლუბის“ ორმაგი რჩეული.“

**„ნიუ-იორკ ტაიმსი“**

**1944 წელი, 31 დეკემბერი**

**იზაბელ მალეტი „ჯორჯ პაპაშვილი ამერიკით ტკებდა“**

*„ყველაფერი შეიძლება იქნეს“*

*ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები*

*202 გვერდი, ნიუ-იორკი, „პარპერ ენდ ბრაზერს.“*

„როგორც კი კოლუმბმა სერიოზული გაუგებრობის საფუძველზე ამერიკა აღმოაჩინა, ამ კონტინენტის ლიტერატურულ მკვლევარებს შორის გაჩნდა ტენდენცია, მისი მაგალითისთვის მიეხატათ. და მართლაც, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანასთან შედარებით უფრო ხშირად და არაზუსტადაც, ჩვენი აღმოჩენა სწორედ რომ ბექდური სიტყვით ხდება. ამ სანაპიროებს მომდგარი ახალჩამოსულები, რომელთა ამერიკული მემუარების პირველი თავი თავისუფლების ქანდაკების დანახვით მთავრდება, დასტა-დასტა ფურცლებზე გვანალიზებენ, გვხსნიან, გვარდაქტირებენ და გვთარგმნიან ყოველგვარი შეცნობის გარეშე. ამასობაში, ჩვეული ამერიკული ყოფა, რომელიც შეუძლებელია, უცხოური კვლევებით დააფიქსირო, Gallup-ის გამოკითხვებით ან სულაც რადიო-კომენტატორებით, თავისი მულმივი პოტენციური ამომხსნელების გასაოცრად, თავისუფალი მხიარულებით აგრძელებს სვლას.“

იმისათვის, რომ ეს მოუხელთებელი არსი დაიჭიროს და სიტყვებად აქციოს — ისეთი კეთილგანწყობილი ადამიანია საჭირო, როგორც ჯორჯ პაპაშვილი გახლავთ. ამ „სიამაყით სავსე“ უბრალო ადამიანმა, რომელმაც 25 წლის წინ, გემიდან ფეხი ჩამოდგა და უშურველი რწმენის სუფთა თვალებით მოგვაპყრო მზერა, ხელი მოჰკიდა იმის გაგებას, თუ სინამდვილეში რანი ვართ ჩვენ. ახლა, ამერიკაში დაბადებული მეუღლის, ჰელენის დახმარებით ის წარმოგვიდგენს თავის აღმოჩენებს ამერიკის არსის შესახებ.

იმის გამო, რომ ჯორჯმა თავისი სამშობლოდან, რუსეთიდან დაუბრკოლებლად იმგზავრა, ელის აილენდზე ჩვეული დამაბრკოლებელი წინასწარგანწყობებისა თუ მცდარი აზრების, შედარებების, ურყევი სტანდარტების, ყალბი ილუზიების ან





სენტიმენტალური სევდის გარეშე ჩამოვიდა. მის პრაქტიკულ „ხურჩინს“ კარაკულის ბოხობი და მნიშვნელოვანი გამოცდილება ხანჯლების დამზადებას, სულიერი ტვირთი კი გაცილებით უფრო მძიმე ჩამოეტანა: იუმორი, პატიოსნება, უსათუო იმედი და გულისხმიერება.

გამომდინარე იქიდან, რომ ახალი მოქალაქე დარწმუნებულია ყველაფერი ერთ-გი შეიძლება ამერიკაში მოხდეს, თუ ამას დროს დაუთმობ, ის ფილოსოფიურ სიმშვიდით გვერდს უვლის შიმშილობის, სიცივის, სასოწარკვეთისა და უმუშევრობის დეტალებს. ზღაპარი მისი ხეტიალის შესახებ საოცარი, უბრალო და სტიქიური ნიჭითაა გაჯერებული.

\*\*\*

ჩვენი ცივილიზაციის უსიამოვნო მხარეები მის უდრეკ რწმენაზე უარყოფითად არ მოქმედებს. „იფფასიანია სიყვარული, საკუთარ შეცდომებს რომ ვერ აღიარებს“ — ამბობს ჯორჯი მშვიდად და თავისი დიოგენეს ლამპრის გამოყენებით, პირდაპირ აგრძელებს სამართლიანობის ძიებას. როცა არცოდნის გამო ის მაძიარი შტრეიკბრეხერის როლში, მოშიშმილე გაფიცულთა ალყაში ქარხანაში აღმოჩნდება, გადადგომის ვაჟაკური გადაწყვეტილების მიღებამდე, წამიერად ჩაფიქრდება კაპიტალისა და შრომის დაპირისპირებაზე. ამის შემდეგ, „დიდ ბოსთან“ ლაბარაკს შედეგად გარეთ, სასოწარკვეთილ ბრბოსთან აგდებენ. რამდენიმე დღის მერე, როცა ჯორჯი ძალასა და გონებას მოიკრებს, მას გადაწყვეტილება აქვს მისაღები, რომელი მხარისადმი იყოს ლოიალური, და გაფიცულ მუშებთან ბრუნდება.

საკვების, თავშესაფრისა და საცოლის ძიებაში, ჯორჯი ხშირად მრავალფეროვანი, უცხოური წარმოშობის ამერიკელების წრეში ხვდება. ის კონტინენტს ათოთორმეტი სხვადასხვა ქვეყნის ეგზოტიკურ გარეგნობათა, ბევრების, არომატებისა და წეს-ჩვეულებების თანხლებით გადაკვეთს. მისი დასავლეთისკენ მიმავალი კლასიკური გზის ბოლოამბავს თავგადახდილი საბარგო მანქანა ახორციელებს, რომელიც სხვა ნივთებთან ერთად: მარხილის ეფენებიანი მოსართავითა და რუსული ბუმბულის ლოგინით არის დატვირთული. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ამხანაგი-გზამკლვევი გახლავთ „მისი უდიდებულესობა“ — უმუშევარი, რომელსაც თავისი ბედისა სწამს. მათი დრამატული შეხვედრა ინდიელების ტომთან მჩქეფარე და დაუღვარო ამერიკული ცხოვრების მაგალითების ერთ-ერთ ყველაზე ნათელ ეპიზოდს წარმოადგენს. ხმაურიანად დაწყებული სცენა წყნარად უთმობს ადგილს სიმბოლურ მშვიდობას, როცა მათში ყველაზე უხუცესი მოსახლე ამერიკის „ახალ“ მოქალაქეს მასპინძლობას სთავაზობს.

\*\*\*

მთელი თხრობის განმავლობაში ჯორჯი უხეში მოკრძალებით ექცევა ინგლისურ ენას; სიტყვების საკუთარი, ახირებული ასორტიმენტიდან საგულდაგულოდ აგებს პოეტურ ხატებს და ცალსახაა, რომ თავის ფანტაზიას ვასაქანს არ აძლევს, რათა არ ვახდეს ცუდი, დამტვრეული ინგლისურის მსხვერპლი. შედეგად კი სრულიად მომხიბლავ და ხელოვნურობისგან დაცლილ იუმორს ვიღებთ.

ამ წიგნს ნებისმიერი სიამოვნების მინიჭება რამდენიმე კუთხით შეუძლია.



შესაძლოა, თქვენ სიამოვნება იმან მოგგვაროთ, რომ ჯორჯს კარაკულის ბოხობაში გამოწყობილ კომიკურ ღონ კინოტად დაინახავთ, რომელიც ამერიკას თავისი თავაზიანობით იპყრობს; შეიძლება, ის პილიგრიმად აღიქვას, რომელიც მსუბუქი უდარდლობით ქვემარტებისკენ მოგზაურობს; ისიც შესაძლებელია, ჯორჯი უბრალოდ, ადგილობრივ რუს ბიჭად გჩვენოთ, რომელიც საბოლოოდ, სიკეთეს თესავს. ფაქტი კი ერთია: როცა მოგვინდება საკუთარი ფული პოეტისა და ფილოსოფოსის მიერ მოსწრებულად ჩამოყალიბებულ „ამერიკის ოთხ თავისუფლებაში“ დახვარჯოთ, ჩვენ ამ საქმეს ჯორჯს მივანდობთ.“

**თვის წიგნი**

**1944 წელი, დეკემბერი**

**ჯორჯ პ. მარტინი „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“**

ავტორები: ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები

(გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ: თუ სხვაგვარ ინსტრუქციას არ მივიღებთ, ეს წიგნი და აგრეთვე „საიდუმლო სახელმწიფოს ისტორია“, რომელიც განხილულია წინა გვერდებზე, ვადმოგვგზავნებათ თქვენ, — ორივე ერთად 3 დოლარად. როცა ერთდროულად უკვეთთ წიგნებს, რომლებიც შეადგენენ ორმაგ რჩეულს, ეს მხოლოდ ერთ შენაძენად ითვლება. ეს გასათვალისწინებელია საწევრო ხელშეკრულების შესავსებად საჭირო შენაძენებისა და წიგნ-დვიდენდების კრედიტისათვის. სხვა მხრივ, შესაძლებელია, წიგნი ცალკე შეუკვეთოთ, თუმცა, გამოცემლებთან ჩვენი შეთანხმებიდან გამომდინარე — საცალო ფასიდან ფასდაკლების გარეშე. წიგნის „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ საცალო ფასია 2 დოლარი)

„თვით მანამდეც კი, სანამ იაკობ რიისი „ამერიკელად ჩამოყალიბებას“ დაწერდა, აქაურ მკითხველებს უნდა ჰყვარებოდათ ამ მიწებზე გადმოსული გაცეხებული და თვალეზაფართოებული ემიგრანტების პირველი შთაბეჭდილებები. მგავსი წიგნების კითხვა სიამოვნების მომნიჭებელია; კომფორტულად მოწყობილი სოციალური ჯგუფებისა და საზოგადოებების წევრებმა, რომლებიც აკვირდებიან, თუ როგორ ხდება „ახალმოქცეული“ გულუბრყვილოების ინიციატია, ის ამგვარად უნდა მიიღონ. მანუგეშებელია იმის აღმოჩენა, რომ ინდივიდებს ჩვენთან გაერთიანების ასეთი გულლია და ანთებული სურვილი აქვთ; ხოლო მათი წრფელი და მეტწილად შეუსაბამო ძალისხმევები, შეეწყონ ჩვენი ცხოვრების წესებს, არა მხოლოდ პერიოდული თავშესაქცევა, არამედ ისინი ჩვენს ფასეულობებს, რომლებიც საკმაოდ ხშირად, შემთხვევითად გვაქვს აღიარებული, ვიმეორებ, საკმაოდ ხშირად ახალ და მახვილგონივრულ ღირებულებებს სძენენ. ეს მეტადრე ასეა, რადგანაც ამ ნამუშევართა ავტორები, ზოგადად, ენთუზიაზმით ეკიდებიან ყველაფერს, რაც კი შეგვიძლია შეერთებულ შტატებში მათ შევთავაზოთ. და სწორედ ეს ენთუზიაზმი უწყობს ხელს იმას, რომ ლიტერატურულ ნიმუშებში ერთგვაროვნების მოწმენი ვხვდებით. თქვენი ემიგრანტი გაივლის ჰორაციო ალგერის გმირის მძიმე გზას და შემდეგ, საბოლოოდ, თავს მოვალედ ჩათვლის, განსაზღვროს დემოკრატია და ის, თუ რას ნიშნავს მისთვის დემოკრატია. ეს საყურადღებო თემაა, მაგრამ ამ ბოლო



ხანებში, შესაძლოა, ცოტა ზედმეტად დამუშავებულიც კი.

მისტერ ჯორჯ პაპაშვილი (გიორგი — როცა მას უფრო ახლო რომელმაც თავისი მეუღლის, ჰელენის დახმარებით მისი საოცარი და სრულყოფილი მომზადება თვეგადასავლები აღწერა პატარა, თუმცა კი ჯანსაღ წიგნში, ადგილობრივი სათაურით: „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ გაჰყვა თავის წინამორბედ ტრადიციას, მაგრამ თავი აარიდა მის ხაფანგებს. ის წარმატებას აღწევს იმდენად რომ ქართველია, ხოლო ქართველები — თუ ჯერ არ იცით — ყოველთვის მზიარული ხალხია და არასდროს — მოსაწყენი. ისინი პოეტები და აქტიური ადამიანები არიან. აქვთ თბილი გული და მარჯვე ხელები და არასდროს, არასდროს უყურებენ საკუთარ თავს ზედმეტად სერიოზულად. გიორგი ამერიკაში ბერძნული გემით ჩამოვიდა. შეჩვეული იყო შამფურზე აგებული და ცეცხლზე შემწვარი ცხვრის ხორცი კვებას, რასაც წიწაკისა და ნიორისგან დამზადებულ უგემრიელეს საწებელსა და მშვენიერ ქართულ ღვინოებთან ერთად შეეჭყეოდა. ის არ ვახლდათ კაცი, რომელიც კაიუტის საჭმლით იშიმშილებდა და გიბრალტარებიდან მოყოლებული, მთელ გზას მხოლოდ შავ ზეთისხილსა და მლაშე ყველზე გადაატარებდა. როცა ნიუ-იორკამდე მოაღწია, მთელი ჩამოსასვლელი ფული განსაკუთრებულ კერძებზე შემოეხარჯა.

„— აი, აქედან, — წერს ის, დაიწყო ჩემი ტანჯვა-წამება. რა ვქნა?“

ფულის გარეშე მას ხმელეთზე არ გადაუშვებდნენ, მაგრამ მისმა მეგობარმა, სირიელმა ისააკმა ასწავლა, თუ როგორ უნდა გასცდნოდა საბაჟოს ინსპექტორს.

„ეს მართლაც, შესანიშნავი ხერხი აღმოჩნდა; სანამ ინსპექტორი ჩემს პასპორტსა და ვიზას სინჯავდა, მე უკვე მოვემზადე თავდაცვისათვის..

— გზვდებიან თუ არა მეგობრები? — მკითხა მან.

— გაქვს თუ არა ფული, რომ ამერიკაში თავი გაიტანო?

მე მწუანე ამერიკული დოლარების მსხვილი დასტა ამოვიღე, 10 და 20 დოლარიანების მოზრდილი, რეზინით შეკრული დასტა.“

**ადგილობრივი გაზეთი [სათაური არ იკითხება - რ.ნ.]**

„მისის პაპაშვილმა, რომელიც ახლომდებარე ქალაქიდანაა და რომელსაც აქ კარგად იცნობენ, თავის ქმართან ერთად დაწერა წიგნი, რომელიც „პარპერმა“ გამოსცა და შესაძლოა, ის „თვის წიგნის კლუბის“ რჩეული გახდეს. აი, რას წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ამის შესახებ: „როგორც ალბათ, თავიდან შეამჩნევდით, „პარპერმა“ სამწერ ველესის „გადაწყვეტილების ყამით“ უკვე გაიღო წვლილი როგორც „თვის წიგნის კლუბის“ აგვისტოს რჩეულმა; და სათადარიგოდ, კიდევ სამი წიგნია შერჩეული (გლენვეი ვეკოტის „ბინა ათენში“, რიჩარდ რაიტის „შავი ბიჭი“ და ჯეიმს თარბერის „თარბერის კარუსელი“). ახლა ამავე კატეგორიას მეორეზე წიგნი დაემატა: ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“. პაპაშვილები კვაკერთაუნში (გზა 1) ცხოვრობენ. აღენთაუნში ჰელენი წიგნის მაღაზიას უძღვება, ჯორჯი კი მექანიკოსია, გამომგონებელი, მოქანდაკე — მღვანობის თავდაცვითი მიმართულების ფაბრიკაში. მათი წიგნი არის რუსი ემიგრანტის ისტორია, რომელსაც მისი ცოლი მსუბუქი განწყობით ჰყვება.“

„ნიუსი“

დეტროიტი, მიჩიგანი

1944 წელი

დღის წიგნები

კლიდ ბევი „ემიგრანტის სიცილის სამყარო“

„გიორგი პაპაშვილი ცნობილი ქართველია; ეს უნდა აღინიშნოს, რადგან ის ატარებს გარკვეულ მსგავსებას სახელოვან იოსებ სტალინთან, რომელიც წარმოშობით რუსეთის იმავე პროვინციიდან არის. გიორგი, რომელსაც დიქტატორობის ამბიციია არა აქვს, ამერიკაში ჩამოვიდა და როგორც კი ნაპირზე ჩამოვდა ფეხი, ის გამჭირახმა ვაჭარმა გააბრიყვა, გაუცვალა რა თავისი თეთრი ნაჭრის ქუდი გიორგის კარაკულის ქუდში.“

აქედან იწყება სასაცილო თავგადასავლების სერია ამერიკის მოქალაქეობის მოპოვების გზაზე, რომელიც ახლა, ამერიკელი მკითხველის სასიხარულოდ, მისი მეუღლის, ჰელენ უეიტ პაპაშვილის მიერ აღწერილია წიგნში, სათაურით: „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ („ჰარპერი“).

ძალიან ბევრი რამ, მეტიც, შეიძლება ითქვას, ყველაფერი შეემთხვა გიორგი პაპაშვილს, რომლის უცნაური და არეულ-დარეული ამბავი, დაულაგებელი ინგლისური ფინთ ნაამბობი, მისმა ცოლმა ყველაზე გასართობ თანამედროვე თავგადასავლად აქცია. ის, ვინც ეუმორისტულ პროზაში ეძებს ახალსა და განსხვავებულს, კარგს იზამს, თუ ამ წიგნს გვერდს არ აუვლის. ასევე, კარგად მოიქცა „თვის წიგნის კლუბი“, როცა ინვარში ის თავის ერთ-ერთ რჩეულად დაასახელა.“

### ავტორები ესტუმრნენ ქალაქს

„ავტორები ბესტსელერი წიგნისა „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები ჩამოსულნი იყვნენ დეტროიტში, რათა ენახათ, როგორ შეიცვალა ქალაქი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, ანუ მას შემდეგ, რაც რუს ემიგრანტ გიორგის აქ ის თავგადასავლები გადახდა, რომლებიც წიგნის საფუძველად იქცა.“

მათ განსაკუთრებით აინტერესებდათ სახლი უესტ ჯეფერსონის უბანში, სადაც ჯორჯი დეტროიტში მუშაობის პერიოდში ცხოვრობდა.

ჯორჯს ცუდად ესმოდა ინგლისური, ამით სახლის მფლობელებმა ისარგებლეს და მას ძალიან მლიქვნელურად მოექცნენ, როცა სადილზე შეიპატიჟეს და ღამეც გაათევინეს. ის გაოცდა, როდესაც ნახა, რომ მათი სტუმართმოყვარეობა თითქმის ერთი კვირა გაგრძელდა.

„საუცხოო ხალხია, — თქვა მან, ამერიკელები ძალიან გულუხვები არიან.“

მხოლოდ ამის შემდეგ „აღმოაჩინა“, რომ პანსიონატისთვის ფული უნდა გადაეხადა.

მისი წიგნი, რომელიც ეფუძნება ამ და ამის მსგავს გამოცდილებებს, „თვის წიგნის კლუბმა“ იანვრის რჩეულად დაასახელა და პაპაშვილის სიტყვებით, მილიონი ეგზემპლარიდან თითქმის სამი მეოთხედი უკვე გაიყიდა.“

**„ნიუსი“**

**დეტროიტი, მიჩიგანი**

„ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ემიგრანტის მიერ ნაამბობი არაჩვეულებრივი თავგადასავლებია, მოთხრობილი ემიგრანტისავე „მშობლიურ ენაზე.“ აქ სრულიად განსხვავებული იუმორია.“

**„რიტილ ბუკსელერი“**

**1944 წელი, დეკემბერი**

**„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“**

**ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები**

**„ჰარპერი,“ 2.50 დოლარი**

„ბარბერტი შემთხვევა: ზოგი მხიარული, ზოგიც ამაღლებელი – იმ რუსის ცხოვრებაში, რომელიც ამერიკაში ჩამოვიდა. ამერიკული ცხოვრების წესთან შეგუება ადვილი საქმე არ იყო, მაგრამ ის წარსულ გამოცდილებას მსუბუქად, დიდი და კეთილი იუმორით იხსენებს.“

წერილი გადმოტანილია ოქტომბრის ნომრიდან, როცა ის გახდა ჩვენი რედაქტორის თვის რჩეული. არის „ჰარპერი“ „აღმოჩენა“, „თვის წიგნის კლუბის“ თანარჩეული და ბესტსელერობის უდავო კანდიდატი.“

**„ნიუზიკი“**

**1945 წელი, 1 იანვარი**

**სტატიას ახლავს ფოტო, მინაწერით: პაპაშვილები – დედიკო**

**იწერს მაშკოს ნაამბობს**

*(სიტყვათა თამაში მისი გვარის – პაპაშვილი – ირგვლივ – რ.ნ.)*

**ამერიკელი, როგორც მან ილაპარაკა**

„იმ დროს, როცა ელის აილენდი ჯერ კიდევ შესაძლებლობების და სიმდიდრის კარიბჭე იყო, სსრკ-ს რესპუბლიკიდან, საქართველოდან (რომელიც სავარაუდოდ, მთლიანად იუმორისტებით არის დასახლებული) ჩამოვიდა ჯენტლმენი, სახელად ჯორჯ პაპაშვილი. ამ არაჩვეულებრივი ახალგაზრდა კაცისთვის ყველაფერი ნათელ ფერებში და ვარდისფრად გამოიყურებოდა. ის ვერასდროს ვერ ძღუბოდა სიამოვნებითა და გაოცებით და წესიერად ვერასდროს ისწავლა ინგლისური ენა. ამ კომბინაციამ კი შექმნა ზამთრის ერთ-ერთი ყველაზე მხიარული წიგნი.“

ჯორჯმა და მისმა ამერიკელმა ცოლმა საოცარი დიალექტით ჩაწერეს ახირებულის საგა. „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ არ არის განკუთვნილი მათთვის, ვინც ოდესღაც ჩათვალა, რომ „ედუარდ ბოკის ამერიკანიზაცია“ იყო უკანასკნელი სიტყვა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გეკეთებინა სიკეთე ახალ სამყაროში. ეს წიგნი უფრო იმ მკითხველზეა გათვლილი, ჰაიმან კაპლანის განათლება რომ ახსოვს. („ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები, „ჰარპერი,“ 202 გვერდი, 2 დოლარი).“

**„ბუკმენს ნოუთბუქი“  
ჯოზეფ ჰენრი ჯეისონი**

**ჩანაწერები რვეულის არშიაზე**

„სესილ ფორესტერის სქელტანიანი ჰორნბლოვერების საგას მეოთხე ნაწილი, „ეპიკიანი ჰორნბლოვერი“ შერჩეულია „თვის წიგნის კლუბის“ სარეზერვო წიგნად. პუბლიკაციის თარიღი მოგვიანებით გახდება ცნობილი... როგორც ჩანს, 1945 წელი მშვენიერი სიახლეებით იწყება. განსაკუთრებით აღსანიშნავი იანვრის პირველი კვირაა. ჯონ სტაინბეკის ახალი რომანი „საკონსერვო რიგი“ და ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების უკიდურესად დაუდევარი და სასვებით მომზიბლავი პატარა წიგნი სათაურით „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“

**„ნიუ-იორკ პოსტი“**

**1945 წელი, 2 იანვარი**

„ქომონ გრაუნდის“ რედაქტორი, მარგარეტ ანდერსონი ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების წიგნის — „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ — გამოსვლასთან დაკავშირებით მიამბობს, რომ „პარპერთან“ კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ, ჰელენს უსიამოვნო შიშები ჰქონდა, რომ მისი წიგნის ტირაჟის დარჩენილი ცალები ფასდაკლებით გაიყიდებოდა და თავადაც წიგნებით ვაჭრობა ჩაუვარდებოდა. ჰელენ პაპაშვილი აღენტაუნში, პენსილვანიაში უძღვება წიგნის მაღაზიას — „მობი დიკი.“

**„ნიუ-იორკ [ ]“**

**1945 წელი, 3 იანვარი**

**ბარი ჰანსენი „ახალბედა ამერიკაში“**

„ის ქართველი ემიგრანტია, რომელიც საკუთარ თავზე ჰყვება.

როცა ჯორჯ პაპაშვილი, რომელსაც რუსეთის საქართველოში ნაყიდი კარაკულის ქუდი ეხურა, გემბანიდან ჩამოვიდა, მან საკუთარ თავს მიულოცა, რადგან ორი საჭმე იცოდა: ტყავის დეკორატიულად დამუშავების ოსტატი იყო და მათრახების გაკეთება შეეძლო; ამასთან ერთად, ხანჯლების დამზადება იცოდა; მაგრამ მამაკაცმა, დასაქმების ოფისიდან, ხელები გაასავსავა:

„ეს ამერიკის შეერთებული შტატებია, - შესძახა მან. აქ ცხენები არ არის, აქ ავტომობილებია. უმჯობესია, შენთან წაიყვანო ჭურჭლის მრეცხავად. მათ ყოველთვის სჭირდებათ ჭურჭლის მრეცხავები.“

ჯორჯი ხალისიანად წავიდა რესტორანში, მაგრამ იმდენი ჭიქა დაამტვრია, იმდენი არაქვანი და ხიზილალა შეჭამა, რომ რესტორნის პატრონმა სთხოვა, იქაურობა წყნარად დაეტოვებინა.

ერთ ღამეს ის იმ მამაკაცს უყურებდა, რომელიც ავტომობილს ვერა და ვერ ქოჭავდა. ჯორჯმა, რომელსაც პირველი მსოფლიო ომის დროს თვითმფრინავებთან ჰქონდა საჭმე, ფესტების ენით დახმარება შესთავაზა. როგორც წიგნში, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ჰყვება:



„გავცეცხლდი და ლანძღვა-გინება დავუწყე მანქანას. რა არ ვუწოდებ: მთას დევის შვილი, ქვაბულის ეშმაკის ეტლი, დავარისხე იგი შავრქიანი თხის-სახელით და, როცა ქართულად აღარაფერი დამჩნა, რუსულზე გადავედი, რომ ბოლომდე მომეოხებინა გული. შემდეგ ერთი გემოზე ჩავცხე რადიატორის წიხლი. ავტომანქანა ძველი იყო, T მოდელისა. მან ერთი დაიფრუტუნა, ვერხვივით აცანცანდა და ამოშავდა.“

ამის შემდეგ, მანქანის მფლობელმა ლექსიკონის საშუალებით ჯორჯი დაიჭირავე, წაიყვანა სახლში, დააძინა საწოლში და დაარწმუნა, რომ „ამერიკა ის ქვეყანაა, სადაც ყველაფერი, მართლაც, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“

**ახალბედას თავგადასავალი**

სასაცილოა ამ ნაპირზე გადმოსული ახალბედას ამბავი, რომელიც ადგილობრივი თაღლითების მსხვერპლი ხდება და შემდეგ ცხოვრების დაკლანძვილ გზას საკუთარი გამჭირაობით დაძლევა. მას შემდეგ, რაც ლეონარდ ქ. როსიმ მოგვიითხრო „წითელი, თეთრი და ლურჯი“ ხელისმოწერებით ცნობილი ჰაიმან კაპლანის ამბები, რომელიც ღამის სკოლაში იპრანჭება, ჩვენთვის სიცილ-ხარხარი მზიარული ემიგრანტის ისტორიას აღარ მოუგვრია; მაგრამ თუ თქვენ ისიამოვნეთ კაპლანით, მაშ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ („ჰარპერი“, 2 დოლარი), თქვენთვის ყოფილა დაწერილი. ჯორჯ პაპაშვილის მიერ ამერიკის დაპყრობის ამბავი მოთხრობილია მკვეთრი, ხისტი ინგლისურით მისი ცოლის — ჰელენ უიეტ პაპაშვილის მიერ, რომელიც აღენათუნში (პენსილვანია) წიგნის მალაზია „მოზი დიკის“ მფლობელია; და ეს მართლაც მშვენიერი ამბავია.

ჯორჯი მეგობრულია, უხარია თანამემამულეებთან შეხვედრა, ბედნიერია, როცა პიტსბურგში, სამი წლის განმავლობაში პირველად ისმენს მშობლიურ ქართულ ენას სამრეცხაოში მომუშავე ალ მონტოსაგან, რომელსაც თავის მხრივ, 30 წელია არ გაუგონია ქართული. როცა მან თავის ქართველ მეგობრებს გაუზიხლა, რომ ჰელენ „გერბერტოვნას“ შერთვას აპირებდა, „ძიამ“ ასეთი რამ უთხრა:

„— ძალიან გამბედავი ყოფილხარ, ბიჭო, თუ ამერიკელ ქალს ირთავ.“

ხოლო ვახტანგმა ასე ახსნა:

„— უპირველეს ყოვლისა, ამერიკელ ქალებს არ მოსწონთ უცხოური სახელები. ამიტომ სახელი უნდა შეიცვალოს. ერთმა ჩემმა კარგმა ნაცნობმა რუსმა ამერიკელ ქალიშვილი ითხოვა. დაქორწინებისთანავე ცოლმა სასამართლოში წაიყვანა და გერბერტ გუვერად მონათლა. უნდოდა წონა მომატებოდა მის ქმარს. ახალ არჩევნებში გერბერტ გუვერი ვერ გაიმარჯვებს და წარმოგიდგენია, რა დღეში ჩავარდნა ჩემი ნაცნობი? შენც ასე დაგემართება.“

მაგრამ ყველაზე მეტად მათ ამერიკული სამზარეულო აღარდებთ. ამერიკელები ამზადებენ მხოლოდ იმდენს, რომ საკმარისი იყოს. „ერთ ზედმეტ ულუფა ბევრტექსს არ დაამზადებენ შემოსწრებულისათვის.“ უცბად სტუმარი რომ მოვიდეს, მშვიდი დარჩება. ამას ვერ ეგუებიან ჯორჯის მეგობრები.

**გაიცინეთ**

თუკი ერთხელ ჩაგითრია თხრობამ, უკვე იცი, რასაც უნდა ელოდო. ჯორჯი



ყოველთვის ცოტა მიამიტი და დაბნეულია, მაგრამ იშვიათად, რომ ამას მისთვის სარგებელი არ მოჰქონდეს. თვით ოდნავ გადაჭარბებული თავგადასავლებიც კი არ გიკარგავთ კითხვის სურვილს. მაგალითად, აქ გვიამბობენ იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყო სამმა ქართველმა სენდვიჩების ბიზნესი და როგორ დადის ჯორჯი ახლომდებარე მშენებლობებზე მუშებისთვის სენდვიჩების მისაყიდად. პირველ დღეს 300 სენდვიჩი გაყიდა, მეორე დღეს — 1000, მესამე დღეს კი 3 ათასი და ხალხი კიდევ უფრო მეტს ითხოვდა. ამან ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მისტერ და მისის მარინოვებზე, რომ მათ ეს ბიზნესი 1200 დოლარად იყიდეს. გაყიდვის შემდეგ, ჯორჯმა აღმოაჩინა, რომ მის ჭკუამხიარულ პარტნიორს, ჩანჩოს 50 დოლარიანი ერთ დოლარიანებად დაუხურდავებია და თითო დოლარი ყოველ მეთექვსმეტე სენდვიჩის პაკეტში გაუნაწილებია. „ამიტომ ამჯობინებდა ხალხი ჩვენი საუზმის ყიდვას.“

ანეკდოტები ერთმანეთისაგან განსხვავებულია: ამბავი ემილია იაკოვლევანას შესახებ, რომელსაც ისე გაუხარდა პაპაშვილების მიერ ფერმის შექმნა პენსილვანიაში, რომ ფეხსაცმელები და წინდები გაიხადა და ფეხშიშველამ გაიარა მიწაზე; ეს ემიგრანტული ნოსტალგიის ორიგინალურად გამომწვეურებაა. მაგრამ ამბავი, თუ როგორ შეაძრწუნა ჯორჯმა მისის კლივენდონი, ტრადიციული, გაცვეთილი ამბის ვერსიაა. თუმცა, იმის გამო, რომ პაპაშვილები ამ ამბებს საკუთარი თავის შესახებ გვიყვებიან, შეგვიძლია, გულიანად ვიცინოთ, რაც სულაც არ ნიშნავს ამერიკელი ემიგრანტების დაცინვას.“

**„ნიუ-იორკ პოსტი“**  
**1945 წელი, 4 იანვარი**  
**„ამერიკის სიყვარული“**

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს,“ ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები  
 „პარპერი,“ 202 გვერდი, 2 დოლარი.

„ძველ ამერიკელად მონათლული“ ცოტა ადამიანი თუ ატარებს ამერიკისადმი ისეთ მგზნებარე სიყვარულს, როგორიც შეიძლება აღმოაჩინოთ ამ ქართველი ემიგრანტის გულში. მიუხედავად იმისა, რომ ზედ თავისუფლების ქანდაკების ჩრდილქვეშ მას თავისი კარაკულის ქუდი დასტყუეს; მოტყუებით დაასაქმეს შტრეიკბრენერად, რის გამოც კინალამ სიცოცხლეს გამოესალმა და უამრავმა უპატივცემულობამაც დატანჯა, რითიც უცხოეთში დაბადებულებს ვეპყრობით. პაპაშვილმა თავისი მოკლე ავტობიოგრაფია ისე დაწერა, თითქოს **სასიყვარულო პოემა ყოფილიყო იმ მიწისადმი, რომელმაც ის იშვილა.**

პაპაშვილს ორი ზელობა ჰქონდა: მას შეეძლო მათრახების ტყავით გაწყობა ტრადიციული დიზაინის ორნამენტებით და იცოდა მშვენიერი ხანჭლების გაკეთება. მაგრამ არცერთი მათგანი არ გამოადგა ჭურჭლის რეცეპვაში — ერთადერთ სამუშაოში, რომელიც მას ამერიკაში ჩამოსვლის პირველ დღეს შესთავაზეს.

მოგვიანებით, მთელ ქვეყანაში მიმოფანტულ ქარხნებში, საბოლოოდ კი პატარა ფერმაში, რომელიც მან და მისმა ცოლმა საკუთარი გარჯით შეიძინეს, ის აღმოაჩენს, რომ ამ „შესაძლებლობათა ოქროს მიწაზე“ არსებობა სრულიადაც არ არის



ურიგო.

ენა ცოცხალია, კოლორიტული და საოცრად პოეტური თვით სრულად არაიდომატურ ეპიზოდებშიც კი. ფოლკლორი, ქართული ღვინოები და კერძები სასაცილო და სევდიანი ისტორიები, პლუს გამჭრიახ ავტორების გულწრფელი და მომაჯადოებელი დამოკიდებულება, ჯამში იძლევა ჰემმარტ ლიტერატურას - წლის ერთ-ერთ აღმოჩენას.“

### „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნ“

1945 წელი, 5 იანვარი

#### შენიშვნები წიგნებზე

„დღეს, შუადღისას, ჟურნალი „ქომონ გრაუნდი“ საპატიო სტუმრების რანგში ჩაიხე იწვევს ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილებს, ავტორებს წიგნისა „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, რომელიც „თვის წიგნის კლუბმა“ იანვრის რჩეულად დაასახელა. წიგნის არაერთი თავი თავდაპირველად სწორედ „ქომონ გრაუნდში“ იქნა გამოქვეყნებული. მიღება ღიაა საზოგადოებისთვის და ის გაიმართება „ამერიკან ქომონში“, მისამართზე 40 ისტ, მეორმოცე ქუჩა.“

იმავე ინფორმაციას ავრცელებს სხვა გაზეთიც:

### „ნიუ-იორკ ტაიმსი“

1945 წელი, 5 იანვარი

„ჟურნალი „ქომონ გრაუნდი“ „ამერიკან ქომონში“, მისამართზე - 40 ისტ, მეორმოცე ქუჩა - საპატიო სტუმრების სტატუსით ჩაიხე იწვევს ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილებს, ავტორებს წიგნისა „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“ წიგნი „თვის წიგნის კლუბმა“ იანვრის თანარჩეულად დაასახელა. წიგნის არაერთი თავი თავდაპირველად სწორედ „ქომონ გრაუნდში“ იქნა გამოქვეყნებული. დასწრება თავისუფალია.“

### „რეჯისტერი“

ნიუ-ჰეივენი, კონექტიკუტი

ჯონ კორნოსი „მშენიერი ამერიკანა“

1945 წელი, 7 იანვარი

სტატიას ახლავს ფოტო, მინაწერით: „ეს ორნი, რუსეთში დაბადებული ჯორჯ და კალიფორნიაში დაბადებული ჰელენ უეიტ პაპაშვილები გაერთიანდნენ, რათა შეექმნათ ძალიან შთამბეჭდავი მოთხრობა „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, რომელსაც ქმარი ჰყვებოდა, ხოლო ცოლი - წერდა. რამდენადაც ეს არის ამერიკული ცხოვრების წესის აღიარება, ის უფრო მეტია, ვიდრე გარემოს შეჩვეული, მგრძობიარე კაცის ჩანაწერები, რომელსაც თავგადასავლები ჩვენს ქვეყანაში ვაღაზდა. მაგრამ ის ნამდვილად საინტერესო იქნებოდა ნებისმიერ ქვეყანაში. მისი თქმით, მისი პაპაშვილი „ლიტერატურული კომპოზიტორია“, თავად კი გამოგონებელი. დღეს“

**დღეობით ის მექანიკოსია თავდაცვით ქარხანაში და თან სკულბტურებს ქმნის.“**

**„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ –  
ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები**

„თუ ვინმე არ თვლის, რომ გვაქვს დიდებული ქვეყანა და რომ ჩვენი კანონიერი  
ემიგრანტები ჩვენი ქვეყნის ღირსებაა, მან უნდა წაიკითხოს ეს სანიმუშო  
წიგნი, დაწერილი ერთ-ერთი იმთავიანისა და მისი ცოლის მიერ, რომელსაც  
აღუნთაუნში (პენსილვანია) წიგნის მალაზია „მოზი დიკი“ აქვს.

ემიგრანტების თავს გადახდენილ ფათერაკიან ამბებს ჯეიკობ რიის დღეებიდან  
ჰყვებიან, მაგრამ გიორგი თავის უხვ თავგადასავლებში ყოველთვის გულწრფელი  
და მზიარულად მომღიმარია. ამის მიზეზი შეიძლება, მისი ქართველობა იყოს, რად-  
გან ქართველები არასდროს არიან მოსაწყყენნი და ყოველთვის, მთელი ცხოვრებ-  
ის განმავლობაში თავმომწონებით გამოირჩევიან; გიორგისა და მისი მეგობრების  
მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისინი უკვე დალხენილნი იბადებიან.

პირველი საუცხოო ეპიზოდებიდან დაწყებული, როცა მისი გემი ნაპირს მიაღებდა  
და თავის მშვენიერ ასტრახანულ ქულს აშშ-ს 10 ცენტრიაზე გადაცვლის, მკითხველს  
მრავალჯერ აუტყდება ხარხარი და გაუთბება გული სიკეთისა და ძლიერი მეგობრობის  
იმ გრძობით, რომელიც ყოველი გვერდიდან გამოსჭვივის. აუპ, რას ჰამენ ეს ქართვე-  
ლები! აუპ, რას ხალისობენ მთელი ცხოვრება! ამასთან ერთად, ისინი ძალიან პატიოს-  
ნები, კეთილები და ყურადღებიანები არიან. თუ გიორგი ნიმუშია, კონგრესს ვურჩევ,  
ყურადღება მიაქციოს ქვეყანაში კიდევ რამდენიმე მილიონი ქართველის შემოყვანის საკ-  
ითხს სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის. ბევრად ადრე, სანამ ინგლისურად ლაპარ-  
აკს ისწავლიდა და რამდენიმე დოლარს მოაგროვებდა, მან ნებაყოფლობით არჩია,  
დაეკარგა ერთი დღის ხელფასი და მისულიყო სასამართლოში, ვიდრე თავი დამნა-  
შავედ ეცნო უმნიშვნელო დანაშაულში, რომელიც არ ჩადინა. სასამართლო დარბაზის  
სცენა ერთ-ერთი ყველაზე მომზილავია წიგნში; მეორე, რომელიც არასდროს დაგა-  
ვიწყებთ ის არის, როდესაც დიდი ტანის, 70 პროცენტით შიშველი გიორგი ძველ  
საათში იმალება, მანამ, სანამ მისი მეუღლე მოულოდნელად მოსულ მეზობელს არ  
შემოიპატიებებს. ცხადია, ცოლი ამაყობს თავისი საათით და უნდა გაალოს ის, რათა  
მასზე დატანილი თარიღით დაიტრაბახოს!! მაგრამ, ორმხრივი შოკის შემდეგ, მეზობე-  
ლი და მომზილავი პაპაშვილები კარგი მეგობრები გახდებიან. წიგნის დამთავრებისას  
ძალიან შეგშურდებათ მათი მეზობლების.

ამის მიუხედავად, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ არავითარ შემთხვევაში არ  
არის ფარსი. მეზობლების დასახმარებლად გიორგი მეორადი სატვირთო მანქან-  
ით მოგზაურობს ქვეყანაში; ერთი კვირის განმავლობაში არის „შტრეიკბრეკერი“,  
ვიდრე დამქირავებელს ეშმაკობას არ მიუხედება. როცა გაიგებს, თუ რატომ აძლევ-  
ენ ასეთ სუფთა ზეწრებს, 2-დღეიანი ბივშტეკის და დღეში 7 დოლარს, მაშინ,  
როცა მის წინამორბედებს 2.5 დოლარს უხდიდნენ, ის თავს ანებებს სამუშაოს.  
მანამდე დაძაბული დიალოგი ექნება დამქირავებელთან. დატოვებს იქაურობას,  
მაგრამ გარეთ გამოსულს თვითონ გაფიცულები კინაღამ მოკლავენ, მაგრამ თქვენ  
უნდა წაიკითხოთ ეს წიგნი. თითოეული აბზაცი, ნებისმიერი გვერდი ციტირება-

დია. ეს იმიტომ, რომ არის ძალიან ტოლერანტული, კეთილი, თუმცა კი ძალიან და პატიოსანი, ლაზათიანი და დიდი ალტაცების მომგვრელი წიგნი. გიორგი ნამღვილაძე შესანიშნავი ადამიანია, ისეთი, რომლითაც ნებისმიერი ქვეყანა იამაყებდა.

ის თავმოშეწონევ არის, როგორც ამაყი, ფიცხი ულაყი. და ისა და მისი მეგობრები დალხენილები უნდა იყვნენ; მათ მხოლოდ დიდი წვეულება — შესანიშნავი საქონის ზვინებითა და არაჩვეულებრივი სასმელის ზღვა თუ ალუღგენტ ჯანმრთელობას და ამყოფებთ ფორმაში. თქვენ იცინებთ, იცინებთ და იცინებთ; და მოგინდებთ უფრო მეტი წაიკითხოთ ისეთი ადამიანების შესახებ, როგორიც გიორგი პაპაშვილია.

ის არის „თვის წიგნის კლუბის“ იანვრის რჩეული.“

„ტაიში“

1945 წელი, 7 იანვარი

ტრენტონი ნ. ჯ. „სასაცილო და მახვილგონიერი“

სტატეის ახლავს ფოტო, მინაწერით: პ ა პ ა შ ვ ი ლ ე ბ ი.

რუსეთში დაბადებული ჯორჯი და კალიფორნიაში დაბადებული ჰელენ უეიტი ერთ გუნდად შეიკრნენ, რათა შეექმნათ შესანიშნავი ისტორია, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ — ამერიკული ცხოვრებისა და ამბების მაღლიერი აღწერა

ჯორჯ და ჰელენ უეიტ პაპაშვილი

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, „პარპერი“, 2 დოლარი.

„საქართველოში, რუსეთში დაბადებული ჯორჯ პაპაშვილი ამერიკაში გემით, მესამე კლასის სამგზავრობილეთით ჩამოვიდა; მუშაობდა ჟურნალის მრეცხავად, მეტანიკოსად, კინოში — უმნიშვნელო როლებზე იყო დაკავებული, იყო რესტორნის მებატრონი, გამომგონებელი; ითხოვა ცოლი, შეიძინა ფერმა, დაასაფლავა ხნიერი მეგობარი...

ეს არის ყველაფერი ის, რაც წიგნში, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ხდება, და მაინც — მის ავტობიოგრაფიაში, რომელიც ცოლმა დაწერა, ალაგ-ალაგ სასაცილო, მახვილგონიერულ, გაბედულ, ენამოსწრებულ ადგილებს ნახავთ.

იქამდე კი, ვიდრე ჯორჯი გემიდან ჩამოვიდოდა, მისი გაბითურება მოასწრეს და ბატკნის მატყლისგან დამზადებული ძვირფასი ქუდი იაფფასიანში გააცვლევინეს და აპატიმრეს, როცა მისმა მეგობრებმა, მისი პროტესტის მიუხედავად, ნიუ-იორკის „ვენ კორტლანდ პარკში“ ხიდან ყვავილები მოკრიფეს. სასაცილო ვახლავთ ებიზოდი, როცა ქალაქში ცომა დაატარებს. ერთ ცხელ დღეს ტრამვაიში მყოფს პატარა ქალაღდის ტომიკაში ცომი გაუფუფვდება და გადმოდის და გადმოდის... ჯორჯი გამალებით ეძებს ადამიანს, რომელიც ქართულად დაელაპარაკება, არადა, სხვაყა — ქართულად მოსაუბრეს მძებნელი. ამ უკანასკნელს ბოლოს და ბოლოს, პირველად 30 წლის მანძილზე აუხდება ნატერა და იპოვის ასეთ კაცს და შესაბამისად მშობლიურ ენასაც გაიგონებს.

რუსს, რომელსაც ასე ძალიან მოსწონს ამერიკული ცხოვრება, ამ ქვეყანაში ბევრი უმოგზაურია: ნიუ-იორკი, პიტსბურგი, დეტროიტი, სან-ფრანცისკო. მან მოინახულა ვირჯინია და სამხრეთ კაროლინა და ბეთლემთან (პენსილვანია) ახლო, სოფელში



დასახლდა; მისის პაპაშვილს აღენტაუნში ახლა წიგნების საკუთარი მალაზია აქვს. წიგნში პოეტური ელფერის მქონე არაერთი ფრაზაა: ჯორჯი „სიამაყით“ ხავესეა;“ ხე პარკში „თეთრად გადაპენტილიყო, გეგონებოდა, აქაფებულაო;“ ორ ქართველს, რომლებიც თავიანთ საყვარელ მშობლიურ ენაზე საუბრობენ, ყურები „სმენად გადაქცეოდათ.“

**პოტენციურად, წიგნი ბრწყინვალეა;** საროიანისეული ქარაგმები აქვს და მიამიტური, გულწრფელი, ბუნებრივი ნაამბობის განცდას ტოვებს. მაგრამ პერიოდულად, მასში ჩავარდნებიც იჩენს თავს, რაც წიგნს აუბრალოებს. ისტორია არაგულწრფელი ნამდვილად არ ხდება, თუმცა რაღაც ეტაპზე გულუბრყვილობას კარგავს და რაღაც ისეთად იქცევა, რაც უფრო გონებითაა დამზადებული, ვიდრე გულით.

შესაძლოა, ტექსტი გარკვეულწილად გაფილტრულია, რაც შეიძლება, ავტორთა ძალისხმევას მივაწეროთ, რომელთაც ჯორჯის ზოგიერთი თავგადასავლით ეცადნენ, დაემტკიცებინათ, რომ ამერიკა ძალიან კარგი ქვეყანაა — ქვეყანა, რომელიც აღამიანებს გულუხვად იღებს. შესაძლოა, მცდელობამ, ეჩვენებინათ, თუ მართლაც როგორი კარგია ჯორჯი, შედეგად ის გამოიღო, რომ ჯორჯი **ზედმეტად, ცოტათი არაბუნებრივადაც კი, კარგი ჩანს.**“

*ჩანართის სახით.* როგორც ჩანს, კრიტიკოსმა არადამაჯერებლად მიიჩნია პერსონაჟის მოქმედებათა მთელი წყება და ამან მისთვის ხელოვნურობის იერი დაიკრა. მიზანმა — ქვეყანა არაჩვეულებრივი კუთხიდან დაეხატა, იდეალური გმირის სახეს ყალბი ჩუქურთმები მიამაგრა, რამაც მისი აზრით, უარყოფითი შტრიხი შეიძინა. ამ ამბავთან არანაირი კავშირი არა აქვს, მაგრამ როდესაც ამ სტატის ვკითხულობდი, ლიტერატურული რემინისცენციით ქართველი მწერლის, ნოდარ დუმბაძის ერთი მოგონება გამახსენდა. ვრცელ ამონარიდს მოვიტან:

„მრავალი წლის წინ ჟურნალ „Дружба Народов“-ის რედაქციაში მივიტანე „მე ვხედავ შვის“ ხელნაწერი, -ისხენებდა მწერალი. ნაწარმოებში ერთი ასეთი ეპიზოდი: გოგო და ბიჭი, ხატია და სოსოია მეზობელ სოფელში ტანსაცმლის პურზე გადასაცვლელად მიდიან. ომის მძიმე, მშვიერი წლებია. ყველას უჭირს და გლენკაცა, ბაბილო, რომელიც ბავშვებს ღამეს თავისთან გაათევინებს, დილით უფასოდ აძლევს მათ მთელ ტომარა პურს. რედაქტორი ქალი იყო, მან ხელნაწერი წაიკითხა და მითხრა:

—ნოდარ ვლადიმეროვიჩ, ვინ დაგიჯერებთ, რომ გლენმა ასე მუქთად ვასცა პური? მახსოვს, კითხვამ შემაცბუნა: მსგავს პრობლემაზე არ მიფიქრია, მე ვიცოდი, რომ აღამიანური სინდისის კარნახით ბაბილოს უნდა გაეყო ლუკმა ბავშვებისათვის, ბოლოს და ბოლოს, მე მინდოდა, რომ ის ასე მოქცეულიყო და ამიტომ დავწერე ეს ეპიზოდი. რედაქტორს ვუპასუხე:

— არ ვიცი, იქნებ არც დამიჯერონ... მაგრამ თუ ერთი კაცი მაინც დამიჯერებს, ეს საოცრად კარგი იქნება.

მოთხრობა დაიბეჭდა. ბევრი წერილი მივიღე და ურწმუნოარც ერთის ავტორი არ აღმოჩნდა“ („სუფთა ქვიშა“).

პიროვნებებს „არაბუნებრივ“ საქციელად მხოლოდ მაშინ ეჩვენებათ ესა თუ ის ქმედება, როცა თავად წარმოუდგენლად მიაჩნიათ უანგარო სიკეთე, ხელის



გაწვდენა მაშინ, როცა სამაგიეროს არ ელი, როცა თაღლითობა ისე არ წარებს, რომ ჩამდენს არ დაემსგავსო, მეტიც, შესძლებ, იუმორით შეხედო მის დაარს და ღიმილით გააგრძელო ცხოვრება.

**არადა, ესაა ნამდვილი მწერლობა!** ის მიღალი სამრეკლო, საიდანაც სიყვარულის დიდი ზარი რეკავს და არა მხოლოდ დედოზარის ხმა ისმის. თავისთან იზმოვს და თავისი პერსონაჟების საქციელს სამაგალითოდ, მისაბაძად უსახავს მკითხველს!

**ორიგინალი**  
**ამონარიდები პრესიდან —**  
**220 W. მე-19 ქუჩა, ნიუ-იორკი 11**  
**ტელეფონი: ჩელსი 3 - 8860**

**„ლოს-ანჯელეს ტაიმსი“**  
**კალიფორნია**  
**1945 წელი, 7 იანვარი**  
**პ.ჯს. „მხიარული ემიგრანტი ამერიკაში ბედნიერებას პოულობს“**  
**„შორეული საქართველოდან ახალჩამოსულის საოცარი თავგადასავლები ამერიკაში“**

„თუ ოდესმე დგება იმის დრო, რომ რაიმე გამამხნეველ საკითხავს გაცნობთ, ეს დრო სწორედ ახლაა და ცხადია, ასეთი მხიარული წიგნიც არსებობს... წიგნი, რომელიც სიცილ-ხარხართა და კეთილგანწყობის გრძნობით წყალივით იკითხება — ეს გახლავთ ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ („პარპერი“ 2 დოლარი).

უპირველეს ყოვლისა, ჯორჯი იმ წარმოუდგენლად სიცოცხლისმოყვარე ახალგაზრდათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებსაც ყველაფრის საოცრებად გადაჭყევა ძალუძთ; მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი მკითხველისათვის ისაა, რომ მას შეუძლია თავისი სიცოცხლის სიყვარული და საოცრებანი ქალაქში ისე გადაიტანოს, რომ ეს თვისებები წარმოუდგენლად სულაც აღარ მოგჩვენებათ. ერთი სიტყვით, ეს ადამიანი მთხრობელადაა დაბადებული, ან ყოველ შემთხვევაში, დაიბადა, რათა ეს ამბავი მოეთხრო.

რაც შეეხება ნაწარმოების სიუჟეტს: ეს იმის აღწერაა, თუ როგორ ჩავიდა ჯორჯი ამერიკაში (საქართველოდან, რომელიც რუსეთის ნაწილს წარმოადგენს) და ჰქონდა რა გავონილი, რომ იქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს, აღმოაჩინა, რომ თავად არის ყველაზე საოცარი თავგადასავლების მონაწილე. ზოგიერთ ამ შემთხვევას ნაკლები იუმორისა და სიმპტიკის მქონე ადამიანისთვის, შესაძლოა, უბედურება მოეტანა, მაგრამ ჯორჯს ჰქონდა უნარი, პრობლემები ტრიუმფად ექცია, ცრემლები კი ღიმილად.

თუ მკითხველს რადიკალური ცვლილებებით გამოწვეული მოვლენების ეშინია (და მას ამ შიშის კარგი მიზეზიც აქვს, რადგან საკუთარი თვალთ უნახავს, რომ არაერთი გერმანული წარმოშობის მქონე ადამიანი მზად ყოფილა, იმ ქვეყნისთვის ელაღატა, რომელმაც ის შეიკვლია), ამ შემთხვევაში, შეუძლია, მშვიდად



იყოს; გემებმა ბევრი იშვიათი საგანძური წამოიღეს ძველი ქვეყნებიდან და თქვენს წინაშე, ახლა სწორედ ამ საგანძურის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. ისე არ გვგონოთ, თითქოს ჯორჯს ამერიკელად გადაქცევის საქმეში ბევრი ადამიანი ეხმარებოდა, თუმცა, თავად ამაზე არ ჩივის. მას ჰქონდა გენია, თავიდანვე გამზდარიყო ნამდვილი ამერიკელი... დიახ, მე ზუსტად „გენია“ ვიგულისხმე.

თუ კარგ წიგნში, რომელიც იუმორის, პათოსისა და დადებითი ადამიანური თვისებების ნაზავია და ამასთანავე, სინამდვილე და გამონაგონი ხანდახან ერთმანეთში გადაჯაჭვული, იგი იმ მკითხველზე ვერ იმოქმედებს, რომელიც არ თვლის, რომ შელამაზება მშვენიერი რამაა. წაიკითხეთ წიგნი და მხნედ შეხვდებით წელიწადს.“

**„ჯერნალ პროვიდენსი“ რ 1  
1945 წელი, 7 იანვარი  
ნენსი ჰესი „ჯორჯი და აფშ“**

*„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“  
ავტორები: ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები  
202 გვერდი. „ჰარპერ ენდ ბრაზერს.“ 2 დოლარი.*

„იმ წამიდან, რა წამსაც ჯორჯ პაპაშვილი ნაქირავები დოლარის კუპონრებით ელის აიღენდზე ინსპექციას გადის, განუწყვეტლივ გაოცებულია იმით, რაც ამერიკაში ხდება და ამერიკაც, თავის მხრივ, გაკვირვებულია ჯორჯითა და მისი ქართული ხასიათის შტრიხებით. თავისი ცოლის დახმარებით, ჯორჯმა ამერიკაში ჩამოსვლის პირველი დღიდან მოყოლებული (რაც პირველი მსოფლიო ომიდან მცირე ხნის შემდეგ მოხდა), საკუთარი გამოცდილებების შესახებ დაწერა. თავს გადახდენილ ამ ამბავთა უმეტესობა კი არაჩვეულებრივი და შეუდარებლად სასაცილოა, ზოგიც — გულისამაჩუყებელი.

ჯორჯი მუშაობას რესტორანში ჭურჭლის მრეცხავად იწყებს და სწორედ ესაა მისი პირველი სამსახური. მას მერე, რაც ყველა ჭურჭელს დაამტვრევს, „ხაზეიკა“ სთავაზობს:

„...იქნებ წასულიყავით ჩემგან. სადმე შორს წასულიყავით. ნუ კი გეწყინებათ... რომ შეგეძლოს ჩუმიად წასვლა! უცებ რომ გაუჩინარდე!“

ამ მომენტიდან ჯორჯი სენსაციების მონაწილე ხდება: ყვავილების მოკრეფისთვის შეცდომით აბატიმრებენ, უარს ამბობს მსუბუქი ჯარიმის სანაცვლოდ, თავი დამნაშავედ ცნოს იმიტომ, რომ „გინდა ვითქვამს დამნაშავე ვარო, როცა არა ხარ, და გინდა ვითქვამს, არა ვარო, როცა ხარ! სულერთია, ორივეჯერ სტყუიხარ!“ როცა მოსამართლეს მიმართავს, როგორც „თქვენო უმწიკვლოება“, სასამართლო დარბაზი ხორხოცს ატეხს; ცომი, რომელსაც ჯორჯი ტომსიკით ცხელ, ხალხმრავალ ქუჩაზე დაატარებს, ტომსიკადან გადმოდის და ქალის კაბას ეკვრის; თვითონ და ის ინდიელთა ტომი, რომელიც აშშ-ს გარშემო მოგზაურობისას შეხვდება, ცხვრის მწვადების დამზადების რეცეპტებს ერთმანეთში ცვლიან; თავადაც და მისი მეგობრებიც, მისი და ჰელენის ქორწილის წინ უამრავ კერძს ამზადებენ და უზარმაზარ ქეიფს მართავენ.

ქარხანაში მუშაობისას ჯორჯი აღმოაჩენს, რომ „შტრიკებრუნებია.“ მაშინვე



გადაწყვეტს, წამოვიდეს, მიუხედავად გაფრთხილებისა, რომ მას გუფუცულები მოკლავენ. პიჯაკზე ჩანაწერს მიიმაგრებს:

„გთხოვთ, მაპატიოთ ჩემი შეცდომა. ისე მოხდა, რომ არ ვიცოდი, თუ სამეზღოს გტაცებდით. თქვენი გულწრფელი...“

მოუთმენელმა გაფიცულებმა ჩანაწერი არ წაიკითხეს. ჯორჯს ცნობიერება რამდენიმე საათის შემდეგ აღუდგა.

ყველა ეს ინციდენტი დამტკრეული ინგლისური ენითაა გადმოცემული, რომელსაც ჯორჯი არასდროს იცვლის. მისი მეტყველების ზოგიერთი ასპექტი გამომაცოცხლებელი და გასაოცარია. ის შემოკლებული, მარტივი წინადადებების წერაში სპეციალიზდება, რომლებიც როგორც დიდი სიბრძნითა და საღი აზრით, ასევე, იუმორითაა გაჯერებული. ამერიკელთათვის, რომელნიც ისე არიან თავიანთ ქვეყანას შეჩვეულები, რომ მასში გასაოცარ რამეებს უკვე მთლად ვეღარ ამჩნევენ. „აწუღაფერი შეიძლება მოხდეს“... [სასაცილოა, ] მიუხედავად იმისა, რომ სრულიად არ ცდილობს ასეთი იყოს. ჯორჯი დაბადებით იუმორისტია.“

**კვირის წიგნი**

1945 წელი, 7 იანვარი

**ჯ.კ.ს. „გამლდვალი ქოთნის“ კომედია: ემიგრანტის ნაამბობი“**

„წიგნი, რომელიც გულს გითბობს — ეს არის სიტყვები, რაც ყველაზე მეტად შეეფერება პელენ და ჯორჯ პაპაშვილების წიგნს, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ („პარპერი, 2 დოლარი).

.....

მოკლედ, მისტერ პაპაშვილი ქარხნიდან გამოვიდა, თუმცა უვნებელი: გაფიცულებს მისთვის ჭრილობები მიეყენებიათ; მათ დროულად ვერ გაეგოთ, რომ გამოქცეულს მათ მზარეზე სურდა დგომა.

დანარჩენ ისტორიებს ცალკეულ ეპიზოდებად ვკითხულობთ არაჩვეულებრივი მანერით წარმართული თხრობისას. ჯერ ქვეყნის გარშემო ჯორჯის მომთაბარე ხუტიალის შესახებ, იმ სამსახურების შესახებაც, რომლებშიც ის მიიღეს და რომლებიდანაც წამოვიდა; აგრეთვე იმის თაობაზეც, თუ როგორ ეძებდა თანამემამულეებს და საბოლოოდ, როგორ იპოვა ერთი იმათთაგანი, რომელსაც ქართული რუსულით შეეძლო ლაპარაკი; ვიგებთ მისი ქორწინებისა და ფერმის შექმნის შესახებაც.

ქართველებს გემრიელი კერძები და უხვად ჭამა უყვართ. მათთვის ძვირფასია ისეთი კერძი, როგორიც გახლავთ მწვადი — ეს უკანასკნელი მათ თავიანთ სამშობლოს აგონებს. ლამის ერთ თავსაც კი ვერ იბოვით, მდიდრული, ეგზოტიკური და სრულიად მადისამძგრელი საჭმლის ხსენება რომ არ იყოს; გარდა ამისა, თქვენ ნახავთ მთავარი მზარეულის დახვეწილ ლიტერატურულ პორტრეტს, რომელსაც თავისი საქმიანობა ხელოვნების რანგში აქვს აყვანილი და მუდამ თან დაატარებს საგანგებო კულინარიულ მოწყობილობას, იარაღებს, როგორც ბრილიანტის გამზიდველი — ბრილიანტების ზანდუქს.

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ „თვის წიგნის კლუბის“ რჩეულია. შესანიშნავი საკითხავი, რომლის ერთ-ერთი მოკიაფე ნიშანი კი ის სტილი გახლავთ, რომლითაც დაწერილია წიგნი. ესაა ბუნებრივი ნაამბობი კაცისა, რომლის ლექსიკონიც იმდენად ამაზინჯებს ენას, რამდენადაც საკმარისია, რომ პერსონაჟის მეტყველება საოხუნჯო და ცოცხალი გახადოს.

მისტერ პაპაშვილის ეს ნაამბობი მისმა ცოლმა, ალენთაუნის (პენსილვანია) წიგნების მაღაზიის მეპატრონემ დაწერა — ზუსტად ისე, როგორც ის ქმრის ბაგეთაგან მოდიოდა.“

### „ნიუ-იორკ ვორლდი — ტელეგრამი“

1945 წელი, 8 იანვარი

„ჰარპერის“ საგამომცემლო სახლს, თავისი „თვის წიგნების“ რჩეულთა შემოწმებისას, ჩამონათვალში ახლახან გამოსული წიგნი შეჰყავს — პაპაშვილების „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“; ასევე, ჯეიმს ფ. თარბერის „თარბერის კარნავალი“, რომელიც 1 თებერვალს გამოვა და აგრეთვე, 28 თებერვალს გამოვალი „წიგნის კლუბის“ ორი რჩეული: რიჩარდ რაიტის „მავი ბიჭი“ და გლენვეი ვეკოტის „ბინა ათენში.“

### „ქრისჩენ საიანს მონიტორი“

1945 წელი, 8 იანვარი

„წიგნების თარო“

#### მ. უ. „კაცი კობიანთკარიდან“

„როგორ გგონიათ, რომელ მოგზაურს არ შეუხედავს გემბანთან თავმოყრილი კაცებისა და ქალების ამალგებული, იმედიანი სახეებისთვის? ვისაც კი აღრიან დილას ნიუ-იორკის ნავსადგომში შემოუცურავს, დაუნახავს, რომ ზოგიერთ მათგანს ხალისიანი, ყვავილებ-დაქარგული თავშლები უკეთია, ზოგს სულაც არაფერი ახურავს თავზე, ზოგი კი ისეთი ქუდით არის დამძიმებული, როგორიც ქართველ გლეხს ეფარა — კოხტა მატყლის ქუდი, რომელიც იმაზე იყო გათვლილი, რომ პატრონისათვის მთელი ცხოვრების მანძილზე გაეძლო. ყველა ეს ადამიანი ამ გასაოცარ ჰორიზონტს და მის მიღმა აკიაფებულ ცას გასცქეროდა. ისინი, ვინც იცნობდნენ ამერიკას, შესაძლოა, იმედნარევი მოლოდინით ცდილობდნენ, მომავალში გადასროლილი წარმატებისა და ბედნიერების პერსპექტივები გონებაში აღედგინათ. ამერიკა = წარმატება: ქართველისათვის ეს სინონიმური ცნებები იყო.

ერთხელ გემბანზე მართლაც იდგა ასეთი კაცი და მას ჯორჯ პაპაშვილი ერქვა. სწორედ ის ჩამოსულიყო ამერიკაში ქართული ქალაქიდან, კობიანთკარიდან. იმ დღეს, დილით ისიც აღმოჩნდა ამ ცის ქვეშ. თავის მტკიცე წარმოდგენაზე ამერიკის არსის შესახებ და იმაზე, თუ როგორ ვაიშალა და განსხეულდა ეს მტკიცე შეხედულება, მან სულ ახლახან თავის წიგნში „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ (ნიუ-იორკი, „ჰარპერი“, 2 დოლარი) გვიამბო. პელენმა, მისმა ცოლმა ეს ყველაფერი ჯორჯის მაგივრად, ჯორჯის კილოს სრული დაცვით დაწერა ისე, რომ ჰკვიანურად შეინარჩუნა ქმრის დამტ-





ვრეული, ევროპული აქცენტების მქონე მეტყველების უჩვეულო ხიბლი და მარადიანი  
 აი, იმის დროც დადგა, რომ ჯორჯს დაუყოვნებლივ უნდა მოეძებნა ნიუ-იორკში  
 სამუშაო. და მაშინ, როცა დამქირავებლებმა ჰკითხეს, თუ რისი გაკეთება შეეძლო,  
 მან უპასუხა, რომ ტყავის ლამაზად გამოყვანის ოსტატი გახლდათ:

„- განსაკუთრებით კარგად ვიცი ძველებური მათრახის ტარის კეთება.

- ღმერთო ჩემო, - ამოიხვნეშა აგენტმა, ეს ხომ შეერთებული შტატებია, აქ  
 ცხენებს რა უნდა, ავტომობილებია. სხვა რა შეგიძლია?“ -ო.

ჰოდა, უპასუხა:

„- მე მახვილების კეთებაც ვიცი, მოკლე და გრძელი მახვილების, სვეადითა  
 და უსვეადოდ. სანადირო დანების დამზადებაც - უბრალო გინდა თუ მოხატული,  
 წრთობა, ალესვა, პირის აწყობა.“

და შემდეგ „ჩემოდნიდან“ - რასაც არ უნდა ნიშნავდეს ეს სიტყვა - შევიტო-  
 ბის დამადასტურებელი მოწმობა ამოიღო. აღმოჩნდა, რომ არც მებანჯლეობა იყო  
 მაინცადამაინც მოთხოვნადი საქმე ამერიკაში. ჰოდა, იმ პირველ დღეს, რესტორან-  
 ში ჭურჭლის მრეცხავი გახდა, მაგრამ იმდენი ჭურჭელი დაამტვრია, რომ გაუშვეს  
 მოგვიანებით კი, პარკში დასვენების დროს ერთი კაცი გაიცინო, რომელსაც მანქანის  
 ძრავთან დაკავშირებით რაღაც პრობლემები შეჰქმნოდა. ჯორჯს კი, ისე მოხდა, რომ  
 ძრავებისა გაეგებოდა. ამ სამუშაოს შემდეგ, ცოტა ხნით აბრეშუმის ფაბრიკა მო-  
 სინჯა, მერე - ქარხანა, სადაც ქანდაკებებს აკეთებდნენ - უშნოებს. ყოველ კვირას  
 ლანჩზე, ისა და მისი მეგობრები „ვან კორტლანდ პარკში“ მიდიოდნენ და სამშ-  
 ობლოზე ლაპარაკობდნენ. თავისდაუნებურად, შტრიკებრეხერადაც კი „იმუშავა“  
 პენსილვანიის ქარხანაში, სადაც ლამის სერიოზულ უბედურებამდე მივიდა.

ასე იყო თუ ისე, სამსახურების ოდენობა უგროვდებოდა და უგროვდებოდა.  
 საბოლოოდ, დადგა დღე, როცა ჯორჯი და მისი რამდენიმე რუსი მეგობარი დან-  
 ჭრეული საბარგო მანქანით კალიფორნიისკენ გაეშურნენ. **უბადლო და არაჩვეუ-**  
**ლებრივი წასაკითხია კონტინენტზე მათი მოგზაურობის ამბები;** ისეთივე, როგორც  
 კიდევ უფრო ხანგრძლივი ისტორია ჯორჯისა და მისი ფერმის შესახებ.

**ის ბავშვია და მიუხედავად ამისა, საუკუნოვან სიბრძნევებს ფლობს;** მან საერ-  
 თოდ არაფერი იცის ამერიკაზე და არც იმაზე, თუ რა მოსდევს იქ არსებობას და  
 მიუხედავად ამისა, უსაზღვრო ენთუზიაზმს, ჟინსა და ნდობას თავდაჯერებით მიჰ-  
 ავს ბოლომდე. ის მოთმინებით, ნაბიჯ-ნაბიჯ ეგუება ამერიკას და არასდროს ამბობს  
 უარს გრძელი და ძნელი გზა გაიაროს, რათა იპოვოს კაცი, რომელიც მისნაირად,  
 საქართველოდანაა და მის უსაყვარლეს, ბავშვობის ენაზე დაელაპარაკება.

**ამ წიგნს შეუძლია, მკითხველს დაჩქარებული ტემპით გაუჩინოს სიზმართა და**  
**თანაგრძნობა იმ ათასობით ადამიანის მიმართ, ამერიკაში რომ ჩამოვიდნენ და**  
**სავარაუდოდ, კვლავაც რომ ჩამოვლენ.“**

„პი. ემ. (საღამოს) ნიუ-იორკი“

1945 წელი, 21 იანვარი

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“

ავტორები: ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები  
(„პარპერი“, 2 დოლარი)

„რუსი ქართველი აღმოაჩინეს ამერიკის შეერთებულ შტატებს.“

### „რიტილ ბუკსელერი“

1945 წელი, იანვარი

„გასულ ოქტომბერს ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ (3 იანვარი) ჩვენი რედაქტორის რჩეულად გამოვაცხადეთ. შემდეგ „თვის წიგნის კლუბმა“ იანვრის თანარჩეულად დაასახელა — ბესტსელერად ქცევის გარანტიით. „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ იმაზე მზიარული იუმორით არის დაწერილი, ვიდრე წარმოგიდგენიათ. ეს სწორედ ისაა, რასაც ექიმი გამოწერს ყველაზე ბნელი და დებრესიული დღეებისთვის.“

### „ინგლის ჯერნალი“

1945 წელი, იანვარი

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“

ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები

„პარპერი“, 2.50 დოლარი

„გაამერიკელებული რუსის ისტორია. წარსულში მომზირალი ახლა სასაცილო ამბებს იმაზე წერს, თუ როგორ შეეგუა ამერიკული ცხოვრების წესს.“

### „პარპერს მეგზინი“

1945 წელი, იანვარი

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“

ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ და ლამის მართლაც, ყველაფერი გადახდება თავს სიცოცხლით სავსე ქართველს, რომელიც ამ ოციოდე წლის უკან, თითქმის სრულიად უკაპიკოდ ჩამოვიდა ამ ქვეყანაში. ახლა ამერიკაში დაბადებულმა მისმა ცოლმა მისივე სიტყვებით მოყოლილი მეუღლის არაერთი თავგადასავალი აღწერა. შედეგი კი სასაცილო გახლავთ — სავსებით არა-სტანდარტული და სახალისო. „საიდუმლო ქვეყნის ისტორიასთან“ ერთად, ეს წიგნი იანვრის თვის წიგნად დასახელდა.

„პარპერი“, 2 დოლარი.“

### „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნ“

1945 წელი, იანვარი

„უურნალი „ქომონ გრაუნდი“ ამ კვირაში, ან მომავალ კვირას, — იქიდან გამომდინარე, როგორც მოსახერხებელი იქნება, აწყობს შეხვედრას ავტორებთან წიგნისა „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ — მისტერ და მისის პაპაშვილებთან... წიგნს საფუძველი ჩაეყარა „ქომონ გრაუნდისთვის“ დაწერილი თავებით, რომლებიც საბოლოოდ ერთ მთლიან ნაწარმოებად იქცა... სიმართლე რომ ითქვას, ის მაინც ოდნავ

ზედაპირულია, თუმცა — თავშესაქცევი.“

**„ფაბლიშერს უიკლი“**

ჯორჯ და ჰელენ უეიტ პაპაშვილები

ავტორები წიგნისა „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“

(„პარპერი“)

„პარასკევს, 5 იანვარს, შუადღისას „ქომონ გრაუნდმა“ მიიწვია მწერლები ჩაიზე „ამერიკან ქომონში“, რომელიც მეორმოცე ქუჩაზე მდებარეობს. გამომცემლის თანახმად, „ჰელენ პაპაშვილი კალიფორნიაში დაიბადა. ის კალიფორნიის უნივერსიტეტში დადიოდა, მაგრამ სწავლა მიატოვა და მუშაობა „ქრიდისის“ წიგნის მაღაზიაში, ბერკლიში დაიწყო. მას შემდეგ, რაც კიდევ ორი მაღაზიის მენეჯერი გახდა იმავე ბერკლიში, 1933 წელს ნიუ-იორკში წავიდა, რათა ბიბლიოგრაფიული ასოციაცია მოეპოვებინა და ორი კერძობიბლიოთეკის კოლექციის შესაქმნელად შტატგარეშე ემუშავა. 1939 წელს ალენტაუნში, პენსილვანიაში იყიდა წიგნის მაღაზია „ამოზ დიკი“, რომელსაც დღესაც უძღვება.“ მისი ქმარი, რომლის შესახებაც გახლავთ ეს წიგნი, სხვადასხვა საქმეს ჰქიდებდა ხელს მას მერე, რაც რუსეთის საქართველოდან ამერიკაში ჩამოვიდა. დღეს ის მუშაობს თავდაცვით ქარხანაში მექანიკოსად. წიგნი — „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, რომლის უდიდესი ნაწილი „ქომონ გრაუნდმა“ იბეჭდებოდა, „თვის წიგნის კლუბის“ იანვრის ორმაგი რჩეულია. წიგნი კარგად იყიდება და „პარპერი“ მისთვის ახალ სარეკლამო კამპანიას გეგმავს.“

**„ატლანტიკ მანთლი“**

1945 წელი, იანვარი

„ჯორჯ პაპაშვილი არის რუსი საქართველოდან, რომელიც ამ ქვეყანაში გემოთ, მეთხე კლასის ბილეთით ჩამოვიდა და რომელმაც პატიოსნების, კეთილსინდისიერების და კარგი ხასიათის ილბლიანი კომბინაციის წყალობით, ფეხზე დადგომა მოახერხა და კვლავაც აგრძელებს სიარულს. სადღაც, თავისი გზის ნახვეარზე მან გაიციწო და ცოლად შეირთო ამერიკელი გოგონა, რომელიც ვეჭვობ, პირველი იყო, ვინც შეაგულიანა, ჩაეწერა მისი თავგადასავლების შეღამაზებული ისტორია მისთვის განსხვავებულ, დემოკრატიულ სივრცეში. „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ არის ახალბედა რუსის ცინცხალი და გულმზიარული ოდისეა, რომელიც სასიეროდ საყურებელი ენერგიულობითა და ერთგვარი თავდაცვის საშუალებად ქცეული გულუბრყვილობით გადადის სამსახურიდან სამსახურში, მეგობრიდან — მეგობართან, შტატიდან — შტატში. მისმა ცოლმა, ჰელენმა პირველმა მოისმინა ეს ისტორიები და შესაძლოა, სწორედ მან შესთავაზა მათი ჩაწერა დამტკრეული ინგლისურით, რაც თხრობას ძლიერ ბუნებრიობას ანიჭებს. შედეგად კი მივიღეთ უფრო კომედია, ვიდრე სოციალური ტრაქტატი და როგორც ყველა კომედიაში, აქაც პირველი ორი მოქმედებაა საუკეთესო. ფინალისკენ, დასასრულ, იუმორი ოდნავ ფერმკრთალდება.“

**„ნიუ-იორკ პოსტი“**

1945 წელი, იანვარი

**კლიბ ბუტელი „მწერლებიც აღამიანები არიან“**

**პაპაშვილები — ჰოლივუდური გაგრძელება**

„—როცა გვესტუმრებით, — ამბობს ჰელენ პაპაშვილი (და ეს ისე უნდა გაიგოთ, რომ ადრე თუ გვიან, მათ ყველა ესტუმრება), აუზის სულ ბოლომდე გავსებას შეიძლება; ახლა, როცა ცოტა ფული გაგვიჩნდა, პირველი, რაც დავგეგმეთ მე და ჯორჯმა, არტეზიული ჭა არის.“

გასულ კვირას ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები, ავტორები წიგნისა — „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ასევე, ბეტი სმიტი, რორკ ბრედფორდი, სხვა სტუმრებთან ერთად „პარპერის“ ვიცე-პრეზიდენტის, ფს. მაკგრეგორის სახლში გამართულ წვეულებას ესწრებოდნენ.

პაპაშვილები ძველ ჰოლანდიურ სახლში, ფერმაში ცხოვრობენ, რომელიც პენსილვანიაში, ალენტაუნთან ახლო მდებარეობს, სადაც ჯორჯი თავდაცვითი მიმართულების ქარხანაში მუშაობს მექანიკოსად, ჰელენი კი წიგნის მალაზიას უძღვება. სახლს გვერდით წყალი ნაკადად ჩაუდის; რაც, როგორც ჰელენი აღნიშნავს, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა საკმარისი, ინდიელებით ალყა შემორტყმულები რომ ყოფილიყვნენ, მაგრამ სადღეისოდ წყლის ნაკადი არ შეესაბამება მათ ქართულ სტუმართმოყვარეობას.

„—მას შემდეგ, რაც ჭას გავთხრით, — აგრძელებს ჰელენი, მინდა, ჩემთვის ერთი ათიოდე როდოდენდრონი ვიყიდო (გამოვიწერ ყველა სანერგე კატალოგს და ჩავრგავ მათ).“

—როცა წიგნის „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ სამი მეოთხედი უკვე გავლილი მქონდა, — ამბობს ჰელენი, საკუთარ თავს ვუთხარი:

—ღმერთო ჩემო, ჰელენ, შენ წიგნს დიალექტით წერ!

რამეს თუ ვერ ვიტან, სწორედ ეს არის; ამიტომ, დავიწყე ნაწერის კორექტირება. მე უბრალოდ ვეცადე, შემენარჩუნებინა ჯორჯის ინგლისურის რიტმი და არა სიტყვები.“

ჯორჯის მეტყველება საოცარია! ის ცოტათი არწივს ჰგავს, დროდადრო ენერგიულად ერევა საუბარში და სიტყვებს ისე ისვრის, როგორც ავტომატი — ტყვიებს. მან წიგნზე ქართულად წამიწერა და შემდეგ მითარგმნა:

„— ეს სახელია, — მითხრა მან და მიმითითა შუმერულის მსგავს, ბატიფეხურით დაწერილ ორ ხაზზე, ეს კი — „გაუმარჯოს თავისუფლებას.“

სხვათა შორის, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ კომპანია „რ. კ. ო.“-მ იყიდა, რათა მხატვრული ფილმი გადაიღოს, ეს კი სავსებით საკმარისია კიდევ რამდენიმე როდოდენდრონის შესაძენად.“

**„ფრი პრესი“**

**დეტროიტი, მიჩიგანი**

**1945 წელი, იანვარი**

**„ამერიკა ჯერაც საოცნებო ქვეყანაა“**

„განსხვავებული ყაიდის გულთბილობისა და დიდსულოვნების ნათელი ჩნდება



ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების იანვრის „თვის წიგნად“ შერჩეულ ნაწარმოებზე  
 „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, რომელიც „პარპერმა“ გამოსცა.

„ლიტერატურულმა კომპოზიტორმა“ — მისის პაპაშვილმა ფურცელზე გადაიტანა რუსეთში დაბადებული თავისი ქმრის ისტორია, რომელიც სტალინის თანამემამულეა რუსეთის საქართველოდან და ბემელმანისის ქმადნადიც.

რამდენადაც არსებობს გამოთქმა, რომ მეგობრის გულისთვის ქართველი თავს გაწირავს, ამდენად არ უნდა გაგიკვირდეს, რომ ემიგრანტი გიორგი დეტროიტში ჩამოვიდა. ის სტუდენტურა და პაკარდში მუშაობდა და ეს „ძალიანაც მოსწონდა.“ გიორგიმ ფული შეიმურა მელიებში დააბანდა, იყიდა ორი ნაკვეთი პონტიაკში. მუღიები დაიხოცნენ, მიწის ნაკვეთები კი ტალახიანი გუბურები აღმოჩნდა. გიორგი და მისი მეგობარი ცოფში გახვეულ ხორცს (იგულისხმება ხინკალი — რ.ნ.) ჰყიდდნენ.

გიორგი აქ იყო 1932 წელს, როცა მისი აზრით, დეტროიტის ავადმყოფობისა და დებრესისგან სიკვდილის მოწმე გახდა. ასე რომ, ის და მისი რამდენიმე მეგობარი კალიფორნიაში გაემგზავრნენ.

წერის სტილი საუცხოოდ შეესაბამება შინაარსს. მოკლე, დაჩეხილი წინადადებები დიალექტურ ეფექტს იძლევა.

საბოლოოდ, გიორგი, მისდა სასიხარულოდ, ფართოდ გაშლილ მაგიდასთან აღმოჩნდა, რომელიც „ამერიკის შეერთებული შტატები“ იყო. ქვეყანა, სადაც ის ცდილობდა, კარგი სტუმარი ყოფილიყო. გიორგი თვლიდა, რომ მაგიდა ნამდვილი „ერთა ლიგა“ გახლდათ და ალბათ, ღირდა, რომ მთელ მსოფლიოს „მათთვის მიეზაძა.“

**„ბოსტონ თრეველერი“**

**1945 წელი, ოთხშაბათი, 7 თებერვალი**

**რას კითხულობს ბოსტონი**

დოკუმენტური:

1 „სცადე და გამაჩრე“

ბენეტ კერფი

2 „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“

ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები

3 . . . . .

4 . . . . .

**შ ა ბ ა თ ი ს ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი მიმოხილვა**

**1945 წელი, 10 თებერვალი**

„სულაც არაა გასაკვირი, რომ ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების მხიარული და ლალი წიგნი, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ აღრიანი გაზაფხულის სეზონის ერთ-ერთი სერიოზული ჰიტია. განწყობით ძალიან ჰგავს „მანსოვნარ, დედოკო“-ს, ხოლო „რ. გ. თ.“, რომელმაც ფილმისთვის უფლებები იყიდა, ნამდვილად წააგებს ნიძლავს, თუ პირველ რიგში, წიგნს ბროდვეის მიუზიკლად არ აქცევს... ჯორჯი ელის აილენდზე ბერძნული გემით, ჯიბედაცარიელებული ჩამოვიდა. თავისი ძვირფა-



სი მატყლის ქუდი ერთ დოლარად მიჰყიდა თაღლითს, რომელმაც დაარწმუნა ამისთანა ქუდით ამერიკაში მაინც ვერ ივლიო. ამ ერთი დოლარით მან მწვანე კუბიურების მსხვილი დასტა იჭირავა, რითიც საბაჟოოფიცრებს თავბრუ დაახვია, ხოლო შემდეგ, როცა ნაპირზე, მანქეტენზე დადგა ფეხი, ნაჭირავები ფული მფლობელს დაუბრუნა... დეტროიტში ავტომობილების ქარხანაში მექანიკოსად წარმატებით იმუშავა. თუმცა დანაზოგი სულ წყალში გადაყარა, როცა დატბორილი უძრავი ქონება შეიძინა. მისი მეგობრები ერთ გუნდად შეიკრნენ, რათა მიწის გამყიდველი იძულებული გაეხადათ, ფული დაებრუნებინა, მაგრამ ჯენტლმენს შთამაგონებელი საუბრის უაღრესად დიდი ნიჭი აღმოაჩნდა და ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ჯორჯის მეგობრებმა ამ საეჭვო, თუ სადავო შენაძენის მახლობლად დარჩენილი ნაწილიც იყიდეს...

**ბაბაშვილი, სტალინისა და მდივნების მსგავსად, ქართველია.**

„— როცა ქართველებისათვის აწყობ სუფრას, არ დაივიწყო, უამრავი საჭმელი თუ არ იქნა, არ ეყოფათო,“ — ეს გახლავთ რჩევა, რომელსაც ჯორჯი სრულად იზიარებს. მისი ცოლი, ჰელენი, ვინც სინამდვილეში ეს წიგნი დაწერა, ალენთაუნში (პენსილვანია) წიგნების მაღაზიის, „მობი დიკის“ მფლობელი და მენეჯერია.

ჯორჯის ბიძამ, ძია ვანომ 85 წლის ასაკში წითელი ატლასის 144 წყვილი წვივსაკრავი იყიდა, თავისი ეყვანებითურთ.

„— ქალები სულ რაწყა-რუწყით ისეირნებენ, — განმარტა მან და დაამატა: რალაც არაჩვეულებრივი რამ იქნება!“

როცა ჯორჯმა ეჭვი გამოთქვა, რაში უნდა გამოეყენებინა ოთხმოც წელს ვადაცილებულ კაცს წითელი ატლასის 144 წყვილი წვივსაკრავი, ძია ვანომ მხიარულად დასძინა:

„— ამდენ ქალს ჯერ არ ვიცნობ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თანდათან გავიცნობ.“

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ნათლად შეგვახსენებს, რომ ემიგრანტებს ხშირად ათჯერ უფრო მოსწონთ ეს შეერთებული შტატები, ვიდრე მათ, ვინც ამ ქვეყანაში დაიბადა...“

**„ბოსტონ პოსტი“**

მასაჩუსეტსი

1945 წელი, 11 თებერვალი

**„წიგნის დახლის ჭორო“**

„...ჩვენ ვკითხეთ ჯორჯს, როგორ მოსწონდა ლიტერატურის ლომად ყოფნა (ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ უკვე ეროვნული ბესტსელერია) და მან გვითხრა, რომ წიგნში არ არის შესული უამრავი თავგადასავალი, რომლებიც მას თავს გადახდენია. ჩვენ შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ, რომ სანგრიდან სროლა, ან ხელში ჩაბლუჯული ხანჯლის წვერის მტერზე შემოწმება შეიძლება, ცოტათი უფრო ამალელებელი იყოს, ვიდრე საკუთარ წიგნზე კალმისტრით ავტოგრაფების კეთება. თუმცა, იშვიათია აღამიანი, ამ ორივეს რომ აკეთებდეს.“

**„ნიუ-იორკ პოსტი“**

**1945 წელი, 13 თებერვალი**

**რადიო მიმოხილვა**

**„უფრო კეთილი იუმორი“ ამერიკული ლიტერატურისთვის**

„ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ გასულ დღეს (ავტორი ხვდება კრიტიკოსს“ „დაბლიუ ეიჩ. ენ.“ ორშაბათი 8) ბენეტ კერძა დაახასიათა, როგორც ტიპური „ახალი სახის“ იუმორი, რომელიც აპირებს მოიცვას ამერიკა. ის უფრო რბილი, უფრო კეთილი იუმორია, რომლის მსგავს მაგალითებს განეკუთვნება: „მე მახსოვს დედა“ და „შეგვიანებული ჯორჯ ებლი“; მაგრამ ლუს განეტმა, რომელიც სულ ახლახანს დაბრუნდა ომის ფრონტიდან, აღნიშნა, რომ ამ წიგნმა უფრო „პალიანა“ და „მისის ვიგის კომპოსტოს ნაკვეთიდან“ მოაგონა. ჰელენ პაპაშვილმა, რომელმაც აღწერა თავისი ემიგრანტი ქმრის თავგადასავლების ისტორია შეერთებულ შტატებში, კერფის კრიტიკას ე.წ. „ერთობ მოულოდნელი“ ფინალის შესახებ ასე უბასუხა:

„როგორც წიგნებით მოვაჭრემ 20-წლიანი სტაჟით, აღმოვაჩინე, რომ წიგნების უმეტესობას არა აქვთ საკმაოდ მოულოდნელი დასასრული. თხრობა გრძელდება და გრძელდება.“

**მისმა ქმარმა რამდენიმე სიტყვა მშობლიურ, ქართულ ენაზე წარმოთქვა.“**

**„ჩერჩმენი“**

**1945 წელი, 15 თებერვალი**

**უილიამ ჰ. მელიში**

**ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“**

**„პარბერი“, 2 დოლარი**

„დღე ისე არ გავიდოდა, რომ კიდევ ერთი მარგალიტი არ მიმემატებინა შთაბეჭდილებათა საგანძურისთვის, რომელსაც ამერიკა ერქვა.“

იმის გამო, რომ ჩვენ აქ დავიბადეთ და მთელ ცხოვრებასაც აქ ვატარებთ, ვფიქრობ, ამიტომაცაა, რომ ძალიან ხშირად ამგვარ ფაქტებს ჩვეულებრივად აღვიქვამთ; არადა, მას სულ სხვა ბრწყინვალეებს ანიჭებს ქართველი ემიგრანტი, რომელიც ერთი დაუჭერებელი ამბიდან მეორისკენ მოგზაურობს, როცა ამერიკას მთელ თავისი სიგრძე-სიგანით კვეთს. დაბადებით მხიარული და ადამიანების მოყვარულ ჯორჯ პაპაშვილი ხალხის სახლებსა და გულებში მნიშვნელოვან ნაკვალევს ტოვებს წეს-ჩვეულებები და ენა მისთვის ძალიან ძნელი დასაძლევია აღმოჩნდა, მაგრამ როცა დამტკრეული სატვირთო მანქანით გადაკვეთა ქვეყანა, იგი რეალობას ეზიარა.

„უკვე აღარ მაღარდებდა, რომ არცერთი ენა არ ვიცოდი ხეირიანად და თან უცხო ქცევა მქონდა. ვხედავდი, რომ ყველა უცხოელი იყო. მხოლოდ ერთში ვამხნევდი განსხვავებას: ზოგი ადრე ჩამოსულიყო, ზოგი კი გვიან.“

**ფაქტობრივად, ყველა გვერდი იმის გარანტიაა, რომ მკითხველს სიცილი მიეგვაროს.** ეს პატარა ხალისიანი წიგნია. სულერთია, ის თვითონ გიორგიზე გვიამბობს.



საფეთქლებშევერცხლილ ძია ვანოზე, თუ ანა ფეოდოროვნაზე, რომელიც თავისი ქალიშვილის სამშითვოდ ერთ ჩანთა ბუმბულს უფრთხილდება. ეს ორიგინალური იუმორის მარგალიტი მკითხველს გაართობს და დაანახებს დემოკრატიის ჭეშმარიტ მნიშვნელობას. ამერიკაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ეს წიგნიც სწორედ ამის დასტურია. როგორც შალიკო ამბობს თავის სადღეგრძელოში:

„გვიხარია, რომ სუფრასთან ამდენ ამერიკელს ვხვდავთ. განსაკუთრებით იმიტომ, რომ მათ პატივი გვცეს – თავიანთ ფართო სუფრასთან მიგვიწვიეს. სტუმრები ვიყავით ფართო მაგიდასთან, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ჰქვია... ჩვენ ვცდილობდით, კარგი სტუმრები ვყოფილიყავით და იმედი მაქვს, ვიყავით კიდევც. ეს ერთი სამშობლოა. მათ გარდა, მრავალი სხვადასხვა ეროვნების ადამიანი შევიკრიბეთ აქ – ქართველები, რუსები, ბერძნები, ლატვიელები, ესტონელები, ირლანდიელები – ნამდვილი ერთა ლიგაა... როცა ვხვდავ, თუ როგორ მშვიდობიანად ესხედვართ ერთმანეთის გვერდით, მწამს, რომ მთელი მსოფლიო მოგვებაძავს.“

**პროგრამები**

**მარტი** – „კოოპერატივები, როგორც ცხოვრების წესი“

*ბენსონ ლანდისის „ბეთლემში და როჩდეილი“ – 25 ცენტი.*

„მოშმარებელთა კოოპერატივზე“ ლიტერატურული კატალოგისთვის მისწერეთ აშშ-ს „კოოპერატივის ლიგას“; 167 W. მე-12 ქუჩა, ნიუ-იორკი 11, ნიუ-იორკი.

**აპრილი** – „ჩემი მეზობელი და მე“

ეს პროგრამა ეხება ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ უმცირესობებს. საინტერესო დამატებითი მასალა შეიძლება მოძიებულ იქნას „ქომონ გრაუნდის“ ნებისმიერ გამოცემაში.

პატარა ბუკლეტი საკითხზე: „როგორ დავებმართო ევაკუირებულ იაპონელებს?“ შესაძლებელია, შეკვეთილ იქნას „საგანმანათლებლო განყოფილებაში“ 5 ცენტად. ეს ბუკლეტი გრეიშა ბუთის მიერ განსაკუთრებით ეკლესიაში მოღვაწე ქალებისთვის დაიწერა და გამოსცა „იაპონელ ამერიკელთათვის საცხოვრებლებით ხელახალი უზრუნველყოფის კომიტეტმა.“

იხილეთ, ასევე, ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“ ფასი 2 დოლარი. იკითხეთ თქვენს საჯარო ბიბლიოთეკაში.“

**„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“**

**ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები**

**„პარპერი“, 2 დოლარი**

„ამ წიგნის რეკლამირებისას გამოცემლები ერთხმად ამბობდნენ, რომ ის არაჩვეულებრივად სასაცილო საკითხავია. თუმცა მათ, ვინც სტრიქონებს შორის კითხულობს, ვეტყვი, რომ ნაამბობი ბევრად მეტია, ვიდრე მხიარული, ფანტასტიკური თავგადასავლების უწყესრიგო ნაზავი. სინამდვილეში ჯორჯ პაპაშვილის ტკბილ-მწარე ამერიკანიზაციის ფონზე, ეს არის მგრძობიარე და ნაზი ამბავი. მისი ძალისხმევა, ეპოვა საკუთარი თავი ჯერ როგორც ქარხნის მუშას, მერე კი როგორც





ფერმერს, შემდეგ მისი ქორწინება ამერიკელზე გახდა მისი წარსულის უაღრესად გულწრფელი ნაამბობის საფუძველი. მწირი, ოდნავ სტენოგრაფიული სტილი აშკარად ძირს უთხრის მეფის ინგლისურს. ავტორებმა რაღაც საოცარი ჯადოქრობით განსაკუთრებული სილამაზისა და ძალის პროზაული პოემა შექმნეს.

**„ნიუსი“**

**ფრემინგტონი, მასაჩუსეტსი**

**1945 წელი, 19 თებერვალი**

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“

**ჯორჯ პაპაშვილი**

**„რუსი ემიგრანტის ცოცხალი და მზიარული თავგადასავლები ამერიკელად გახდომის გზაზე“**

„ახალი, გამამწნეველები და ძალიან ინდივიდუალური წიგნი. ყველაფერი შეემთხვევა ამ ქართველს, ვიდრე შეერთებული შტატების მოქალაქე გახდება და ყოველი თავგადასავალიდან ის სრულ სიამოვნებას იღებს. იგი მეტად უნიკალურად გამოხატავს საკუთარ თავს, რაც წიგნს ინტერესს მატებს. ეს წიგნი უნდა წაიკითხო, რომ დააფასო.“

**„ლიბერტი“**

**1945 წელი, 3 მარტი**

**ჯოზეფ ენტონი „წიგნების მიმოხილვა“**

„ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ მოგვითხრობს მისტერ პაპაშვილის მზიარული თავგადასავლების შესახებ იმ დროიდან მოკიდებული, რაც მან რუსეთის პროვინცია, საქართველო დატოვა და ნიუ-იორკში გამოემგზავრა.

ჩამოსვლიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ, მისტერ პაპაშვილს უსიამოვნება შეემთხვა — დააპატიმრეს ცრუ ბრალდების საფუძველზე; თითქოს ის, პატიოსანი აღამიანი, საზოგადოებრივ პარკში ყვავილებს კრეფდა. მიმართა რა მოსამართლეს ფრაზით: „—თქვენო უმწიკვლოებავ,“ მან უარყო ბრალდება, მაგრამ მეგობრები, რომლებსაც მისი სიმართლის დამტკიცება შეეძლოთ, იქ არ იყვნენ. ისინიც დააპატიმრეს. მაგრამ მათ აღვკატის მეშვეობით აღიარეს დანაშაული და ჯარიმის ფული გადაიხადეს. ასე რომ, მათ არ მოუხდათ სამუშაო დღის გაცდენა, რაც უფრო ძვირი დაუჯდებოდათ.

„— რატომ არ მოიქეცით თქვენც აგრეთ?“ — იკითხა მოსამართლემ.

ბრალდებულმა ძალიან გულწრფელი პასუხი გასცა:

„— იმიტომ, რომ თუ დამნაშავე ვარ, ვაღიარებ ხოლმე, მაგრამ როცა არა ვარ, ვერავინ მაიძულებს, დავიბრალო. გინდა ვითქვამს დამნაშავე ვარო, როცა არა ხარ და გინდა ვითქვამს, არა ვარო, როცა ხარ! სულერთია, ორივეჯერ სტყუიხარ.“

განუმეორებელი მისტერ პაპაშვილის წიგნის მიხედვით, ამ ამბავს ასეთი დასასრული აქვს:

„და მისი უმწიკვლოება, დიდი ამერიკელი მოსამართლე ჩემსკენ გადმოიხარა დიციტ, რა მითხრა, მე უბირს, უენოს, ექვსი თვის ჩამოსულ გამოუცდელ უცხოელს!“

„—ახალგაზრდავ, მე მსურს ხელი ჩამოგართვათო.“

მისთვის დამახასიათებელ, თავისებურ სტილში ჰყვება ამბავს, თუ როგორ განკურნეს მან და მისმა მეგობრებმა ახალგაზრდა კაცი, სახელად ილარიონი უცნობი დაავადებისგან, რომელსაც „ნერვულ აშლილობად“ მოიხსენიებდნენ. უზიარებს რა გულისტკივილს ამხანაგთა ერთ-ერთ ჯგუფს, მისტერ პაპაშვილი ამბობს:

„ეს ამერიკული დაავადებაა, როცა შენს ტვინს შენზე ფიქრი აღარ სურს.“

მოხუც ბრძენკაცთან კონსულტაციების შემდეგ გადაწყვეტენ, ავადმყოფს ნიორწყალი აჭამონ — ისეთი მაგარი, რომ „კოჭლსაც კი ააცეკვებს.“ თავიდან მათმა მეგობრებმა არ გაამართლა. შემდეგ ფერმერმა მოპიკნიკეები ბუტლერების ბანდად მიიწვია და თავს დაესხა თოფით... როცა ბრძოლა დამთავრდა, თოფიან კაცს რამდენიმე კბილით ნაკლები ჰქონდა, თუმცა უსიამოვნო გრძობა არ ღარჩენია. ხოლო ილარიონი განიკურნა — „ეს ნიორწყალი ყველაფერს კურნავს.“

**ერთ დამახასიათებელ პასაჟში მისტერ პაპაშვილი ამბობს:**

„ჩვენ შევჭამეთ შემწვარი ქათამი ხელით, ჩანგლებისა და თევზების გარეშე. გემო რომ არ შეცვლოდა...“ ეს დამტვრეული ინგლისურით დაწერილი პოემა სულ-მოუთქმელად ისე წავიკითხე, რომ ერთხელაც არ ავმდგარვარ; სწორედ იმ განწყობით, აგემო რომ არ შეცვლოდა.“

„პეთროტ ლეჯერი“

ქვინსი, მასაჩუსეტსი

1945 წელი, 7 მარტი

„რა მშვენიერია და რა კარგი თავდაცვის საშუალებაა იუმორი! ბევრად უკეთესი, ვიდრე ჰქუა პოეტისა და მწერლისათვის. ის თავისთავად გენიალურია და გიცავს შეშლილობისგან,“ — თქვა ერთხელ ვოლტერ სკოტმა. **დღევანდელობით შეწუხებულებს, განსაკურნავად ვურჩევთ ჯორჯ პაპაშვილის წიგნის „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ წაკითხვას, რომელიც უკვე განვიხილეთ ბიბლიოთეკის სვეტში, ასევე, „თერბერის კარნავალს“ და „ცისფერი ფრინველის ძიებაში“-ს.“**

„სტანდარდი“

ნიუ-ბედფორდი, მასაჩუსეტსი

1945 წელი, 11 მარტი

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ პაპაშვილის — რუსი ემიგრანტის მზიარული წიგნი. ეს არის სათავგადასავლო ამბავი, გემოვნებიანი, იუმორით სავსე წიგნი. ეს ფოლკლორია. ეს არის ცოცხალ ფერებში შესრულებული ილუსტრაცია იმისა, რაშიც ამერიკულმა დემოკრატებმა წარმატებებს მიაღწია და აგრეთვე იმისა, რაშიც დროებითი ჩავარდნა ჰქონდა.“

„ტაიმსი“

ლიტერატურული დამატება

194[ ] წელი, შაბათი, 25 მარტი



.....  
 მისი აღრეული პრობლემები მოულოდნელი სრულებით არ არის: უღიმღამოდ ცუდად ანაზღაურებადი სამუშაო არაჯანსაღ გარემოში; ხანმოკლე პერიოდი უზღბლიე შტრეიკბრეხეობისა — საქმე, რომელშიც ის სავარაუდოდ, იმიტომ ჩაითიქს, რომ უვიცი უცხოელი ეგონათ; საბოლოოდ, ის... სამსახურს დეტროიტში, ავტომობილის ქარხანაში შოულობს. ამას მოსდევს ამერიკული „დეპრესიის ხანა,“ რისი პირდაპირი შედეგია მისი ფანტასტიკური მოგზაურობა კალიფორნიისაკენ უკურო რუს ოჯახთან ერთად, რამაც კარი მისი ცხოვრების უკეთეს პერიოდს გაუღო.

კულტურა ის ძნელად შესანარჩუნებელი ხიბლია, რასაც ახალ ქვეყანაში გადასახლებულები ხანდახან ვერ ინარჩუნებენ. ფაქტია, რომ აშშ-ში ჩამოსული მრავალი ემიგრანტი, განსაკუთრებით კი პატარა, ნაკლებად ცნობილი ქვეყნიებიდან რთულ პერიოდს გადაიან, რომლის დროსაც თავიანთ თანამემამულეთაგან იზოლირებულნი და გაამერიკელების შფოთვით მომლოდინენი, სამშობლოს ტრადიციებსა და მეგობრებთან უკავშირდებიან და თან ისე, რომ ჯერ-ჯერობით არაფერი არსობრივი და არც საფუძვლიანი მიუღიათ იმისთვის, რომ ძველს ჩაანაცვლონ. ეს სწორედ ისაა, რაც ჯორჯ პაპაშვილმა, როგორც ჩანს, თავიდან აირიდა...

...ამ წიგნის ერთი თავისებურება გახლავთ ენა, რომლითაც ისაა დაწერილი. ჯორჯის ისტორია მოყოლილია მოუქნელი დიალექტით, [...] ნიღბავს რა ძველებური მეტყველების იმ მახასიათებლებს, რაც უდავოდაა ღირსება და თვით პოეზიაც კი გახლავთ. ჩვენ „ბაყაყი უფლისწული“ გვაგონდება, რომლის დიდებულება მისი შეუხედავი გარეგნობის ქვეშ იყო დამალული. ხოლო ეს თავის მხრივ, შეგვახსენებს, რომ ავტორი წიგნში არაერთხელ უსვამს ხაზს, რომ მართალია, ის ქართველია, მაგრამ თავადი არ არის, არამედ უბრალო გლეხია. რამდენადაც წიგნი თანამშრომლობის ნაყოფს წარმოადგენს, ძნელი სათქმელია, სად გადის ქემბარტი ზღვარი ჯორჯ პაპაშვილსა და მის ამერიკელ ცოლს შორის. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ენის სპეციფიკურობას ეხება. ჯორჯის შთაბეჭდილებებისა და თავგადასავლების „ლიტერატურული“ ინგლისურით მოწოდება მკითხველისათვის, ალბათ, შეცდომა იქნებოდა; ეს არჩევანი კი კინო-ხერხს ჩამოჰგავს, როცა უცხოელ პერსონაჟებს დამტკრეული ინგლისურით ალაპარაკებენ, მაშინაც კი, როდესაც პერსონაჟის მშობლიური ენა სწორედ ინგლისურია; გარდა ამისა, მწერალთა ასეთი არჩევანი მიაბიტურ ელფერს აძლევს პერსონაჟს, რომელიც სრულებითაც არაა ასეთი მიაბიტი, თუმცა კი ბავშვური და მზიარული უთუოდ გახლავთ.“

გამომცემლობა „პარპერ ენდ ბრაზერსი“  
 ნიუ-იორკი და ლონდონი  
 49 ისტ. 33დ ქუჩა  
 ნიუ-იორკი 16  
 1945 წლის 29 მარტი  
 წიგნის მაღაზია „მობი დიკი“

„ძვირფასო ჰელენ,

თქვენ და ჯორჯს გესიამოვნებათ იმის ვაგება, რომ „ამერიკის უსინათლოთა ფონდმა“ გვთხოვა და მიიღო კიდევ უფლება აყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ტრანსკრიფციისთვის **ბრაილის შრიფტზე**. ამისთვის ანაზღაურება არ არის გათვალისწინებული, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს თქვენ არ ავალეღვებთ.

ჩვენ ასევე, მივიღეთ თხოვნა ვიტ ბარნეტისგან, გაკეთებულიყო წიგნის მოკლე ინსცენირება ორსონ უელსის პროგრამისათვის: „ეს ჩემი რჩეულია“, რომელიც ყოველ სამშაბათ საღამოს გადის ეთერში. მისტერ ბარნეტმა უკვე მიიღო თანხმობა რ. კ. ო.-სგან (*კინოკომპანია — რ.ნ.*), ასე რომ, ახლა მხოლოდ თქვენი თანხმობის მიღებაა საჭირო. ისინი პროგრამის გაშვებას 24 აპრილს ვარაუდობენ და გადაიხდიან 500.00 დოლარს. ეს პროგრამა პირადად არა მაქვს მოსმენილი, მაგრამ როგორც ვიცი, საუკეთესოა და ექვევარეშეა, წიგნს უფრო წაადგება, ვიდრე პირიქით. გვექნება თქვენი თანხმობა? წარმოდგენა არა მაქვს, რამდენად ახლო დარჩებიან თქვენს ტექსტთან, მაგრამ თუ დათანხმდებით, შეგიძლიათ, სცენარის საბოლოო ვერსიის გადახედვა მოითხოვოთ.

საწარმოო განყოფილება მზადაა, შეელიოს გამოუსადეგარ, შავ ვგზემპლი-არებს. როგორ თვლით, გნებავთ მათი მიღება თუ განადგურების ბრძანება ვაგვეთ? გასულ კვირას გაყიდვებმა 3919 ცალი შეადგინა და უახლოეს მომავალში წიგნი დაიბრუნებს პირველ ადგილს „ჰერალდ ტრიბუნის“ ბესტსელერების სიაში.

სიყვარულით,  
(ხელმოწერილია).“

„ტიამს დისპენი“  
რინმონდი, ვაიომინგი  
1945 წელი, 17 ივნისი

„ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ და ვაშინგტონ ირვინგის „მძინარე ღრმულის ლეგენდას“ ეკრანებზე ვიხილავთ, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი ბროდვეის სცენებზე დაიდგმება. ცხადია, ირვინგის ნაწარმოები საზოგადოებრივი კუთვნილებაა, მაგრამ კინოკომპანია „რ. კ. ო.“ აცხადებს, რომ ამ ტექსტის მიხედვით ფერადი მუსიკალური ვერსიის გადაღების უფლება მას ეკუთვნის.

მისტერ და მისის პაპაშვილების „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ პირველად დაიდგმება ბროდვეის სცენაზე მაქს გორდონის პროდიუსერობით. სასცენო ვერსიის, ისევე, როგორც ფილმის სცენარის ავტორი იქნება ს. ნ. ბეჰრმანი.“

და ი ჯ ე ს ტ ი  
194[ ] ივნისი

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“  
ავტორები: ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები  
(„პარპერ ენდ ბრაზერს“) ფასი: 2 დოლარი

„ავტორთა წერის სტილი ისეთი საინტერესოა, რომ ყველა, ვინც კი ამ წიგნის კითხვას დაიწყებს, უმალ დაასრულებს. ნუ დაიწყებთ მის კითხვას ისეთი დროსა როცა დაკავებული გრადიკი გაქვთ. წიგნი გვგვებს შეგიფერებთ!

**მკადაგებლისთვის** ამ წიგნს უზომოდ დახმარების გაწევა შეუძლია, ვინაიდან ჩვენი ქვეყნის შესახებ ის გაცილებით ყოვლისმომცველ სურათს იძლევა, ვიდრე უმეტესობა ჩვენთაგანს გვაქვს. გარდა ამისა, რელიგიური თვალსაზრისით, კიდევ უფრო საინტერესოა; რაც ალაგ-ალაგ საკმაოდ ემოციური ხდება. ჭორჭ პაბაზ-ვილი ბერძნული ორთოდოქსული რელიგიის წარმომადგენელია. როგორც ჩანს, პროტესტანტიზმს მასზე ძალიან მცირე (თუ სულ არავითარი) გავლენა მოუხდენია. წიგნი ფაქიზად მიგვანიშნებს, რომ ამერიკაში მცხოვრები — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით — მილიონობით ადამიანი, პროტესტანტული ეკლესიის გავლენებს პრაქტიკულად ვერ აცნობიერებს. ცხადია, აქ რაღაც ისეთია, რასაც ძალიან სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ!

მეტეც — წიგნში გარკვეულ **ზნეობრივ სტანდარტებსაც** ნახავთ, რომელიც არაერთ მკითხველს შეუქმნის დისკომფორტს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც აშკარაა, რომ ჯერ კიდევ არ გვისწავლია, როგორ მოვხადინოთ რეალური ზემოქმედება ჩვენი თანამედროვე ყოფის აღიარებულ არაერთ ბოროტებაზე და როგორ გავანადგუროთ ან შევავიწროვოთ ისინი.

წიგნის იუმორისტული და პერსონაჟის მოქმედებათა ღირსეული ასპექტები საკმარისია იმისათვის, რომ მას რეკომენდაცია გავუწიოთ. **ფასადური ქარაგმების მიღმა სერიოზული ფაქტები იმალება**, რომელთაც თვალი უბრალოდ უნდა გაუღოსწოროთ.“

„სატერდვი რევიუ“

1945 წელი, 9 აგვისტო

„ნოემბრის რჩეული მოიცავს მრავალწლიანი პერიოდის განმავლობაში შექმნილ პროზასა და პოეზიას. მის თაყვანისმცემლებს უნდათ, რომ მან უფრო მეტი დაწეროს მისის მინივერის შესახებ... ქოვარდ მაქკენის საშემოდგომო სიის სათავეშია მაქკინლი კანტორის ახალი რომანი „დიდება ჩემთვის.“ ის მთლიანად ლექსად არის დაწერილი... ჯონ კიდსის ცინცინატის წიგნის მალაზია დიდ ყურადღებას იძურობს ვიტრინაში გამოფენილი წიგნით: „სიყვარულის განძი ლოჯინთან,“ რომელიც დევს წიგნის — „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ გვერდით.“

„რიტილ ბუკსელერი“

1945 წელი, აგვისტო

„ისეთი კომიკური წიგნები, როგორებიცაა: „მამაკაცის მოთხოვნილება“, „სცადე და გამაჩერე“, „ძვირფასოსერ“ და „უკაცრიელი კუნძულის დეკამერონი“ — მოვლენათა დიდ სქემაში სასიამოვნო საკითხავნი არიან, თუმცაღა, ეფემერულები; ერთი მხრივ, ცოტა სასაცილოა, წიგნს ეფემერული უწოდო, როცა მთელი წელი ბესტსელერების სიაშია. „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ და „ფრონტზე“ საუკუნეა, ამ

სიაში არიან, ყოველ შემთხვევაში, წლებია მაინც.“

„რიტეილ ბუკსელერი“

1945 წელი, ოქტომბერი

„არა-შხატერული ლიტერატურის სია, როგორც წესი, ოდნავ იცვლება ხოლმე. ამჟერად სიაში მხოლოდ ექვსი „ახალი“ წიგნია, მათ შორის არის — „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, ერთადერთი ძველი წიგნი, რომელიც დაუბრუნდა ამ სიას. „ამ სამის წინააღმდეგ“ და „ა. უოლკოტი“ ალბათ, უიღბლოთა შორის ყველაზე გამორჩეულები არიან. ჩვენ წარმოვიდგინეთ, რა მწარე სიამოვნებას მიანიჭებდა ალექს იმ ფაქტის აღმოჩენა, რომ საზოგადოება უფრო მეტად ინტერესდება „მამაკაცის მოთხოვნილების“ ავტორცი კომიკური გმირი ქალით, ვიდრე მისით.“

„ნიუ-იორკ ტაიმსი“

1945 წელი, 23 ოქტომბერი

ღღის მოვლენები

„ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილებს, ავტორებს წიგნისა, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ შუადღისას აქ ავტომობილით ელოდებიან საღამოს დაგეგმილ ლექცია-სთან დაკავშირებით, რომლითაც გაიხსნება „1945-1946 წლის ტიფინის სამოქალაქო ფორუმის“ სეზონი.“

„ენტერპრაისი“

ბროქსტონი, მასაჩუსეტსი

1945 წელი, 27 ნოემბერი

„ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ არის ქართველი (რუსია და არა საშრეთული ნაირსახეობა) — (ამ უკანასკნელში იგულისხმება შტატ კორჩიელი — რ.ნ.) ემიგრანტის ცხოვრების ისტორია ამერიკაში.“

ოკლაჰომა

ოკლა სიტი

„მშვიდობის მიუხედავად, წიგნები ომზე ისევ პოპულარულია“

.....

„ატომის ეპოქის გავლენა“

.....

„მტვრის მოკიდებას იწყებენ ექვსი თვის წინანდელი, ან ცოტათი უფრო ძველი ისეთი „აუცილებელი“ საკითხავები, როგორც არის ბობ ჰოუპის „არასდროს მიმიტოვებია სახლი“, ბილ მოლდინის „ფრონტი“, ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“...“

„პაბლიშერს უიკლი“

1945 წელი, ნოემბერი

„ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები ის ავტორები არიან, რომელთაც უელესლის კოლე-

ჯის მიტინგზე დაწმარება გასწიეს ობლიგაციების გაყიდვაში; ეს იმ სერიების შეკრება იყო, რომელსაც სპონსორობას უწევს „ომის ფინანსური კომიტეტის“ საგანმანათლებლო განყოფილება და რომელსაც „წიგნისა და ავტორის კომიტეტი“ ეხმარება...“

**„უელსლი კოლეჯ ნიუზი“**

1945 წელი, 29 ნოემბერი

**„კამბუსის კრიტიკოსი“**

**ქვემოთ ჩამოთვლილი ავტორები „საომარი ობლიგაციების**

**მიტინგს“ მასპინძლობენ**

„უელსლის პირველი „გამარჯვებული წიგნი“ და „ავტორთა ობლიგაციების გავრთიანება“-მ დევიზით: „რაც უფრო დიდია ობლიგაცია, მით უკეთესია ადგილი“ გამართა თავყრილობა 27 ნოემბერს, სამშაბათ საღამოს, „ალუმნი ჰოლში“ „ვილიჯისა“ და „კოლეჯის ომის ფინანსური კომიტეტების“ ერთობლივი დაფინანსებით.

შეკრებაზე გამოსული სპიკერები გახლდნენ: მერი ვარდულაკისი, უელსლი „44“, ავტორი წიგნისა „ოქრო ქუჩებში“, რომლისთვისაც მან საუნივერსიტეტო მორისო გრანტი მოიპოვა 1945 წელს; **ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები, თანავტორები ბოლოდროინდელი ბესტსელერისა, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“** და მის ლეიტ პ. სმითი – ბიბლიის ისტორიული დეპარტამენტიდან. **მიტინგის შემდეგ იყიდებოდა მწერალთა ავტოგრაფიანი წიგნები.** ასევე, მის ბარბარა ტრასკი მუსიკის დეპარტამენტიდან, „ომის ფინანსური კომიტეტის“ ფაკულტეტის ზელმძღვანელი, მერა ჯო ლემბი „46“, სტუდენტთა თავმჯდომარე და პოლინ აუგერი „48“, სტუდენტთა თავმჯდომარის ასისტენტი და ა.შ.“

**„ნიუ-იორკ პოსტი“**

1945 წელი, 6 დეკემბერი

„რასაკვირველია, ყოველთვის იარსებებს კითხვა, ვინ შეიძლება ჩაითვალოს სანაპიროს (იგულისხმება დასავლეთ სანაპირო, კალიფორნია – რ.წ.) მწერალად და ვინ – არა. ჩვენი მიზნებისთვის აქ ჰოლივუდის ჯგუფი არ ჩაითვლება; სხვა თუ არაფერი, იქ მწერლები მიდი-მოდიან და თუნდაც მაშინ, როცა რჩებიან, სპეციფიკური საქმით არიან დაკავებულნი. მაგრამ ეს საკითხი სხვა წიგნებსაც ეხება; მაგალითად, ჩამონათვალშია „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, რადგან ამ ფანტასტიკური და ლალი ზღაპრის დიდი ნაწილი კალიფორნიასთან არის დაკავშირებული და ასევე, იმადაც, რაკილა ჰელენ პაპაშვილი ბერკლიში (კალიფორნია) წიგნის მაღაზიაში მუშაობდა.“

**„თუმოროუ“**

1945

ქეთრინ ვულსი

ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“



„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ განსაკუთრებული და საოცარი, მაგრამ სული, რომელსაც შეუძლია გარდაქმნას ეს შემთხვევები მხიარულ თავგადასავლად და ადამიანურ სიტბოდ ისე, რომ მგრძობიარობა არ დაკარგოს, კიდევ უფრო გამოჩეულია და საგულისხმო. ასეთი სულია ჯორჯ პაპაშვილი, რომელიც რუსეთიდან აშშ-ში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოვიდა და რომლის წიგნი მის ამერიკულ თავგადასავლებზე საცხებით დიდებული და ჩემი აზრით, უნიკალურია. ეს არის წიგნი უეცარ შემთხვევებზე, სიცოცხლით სავსე ადამიანებზე, სიბრძნესა და სიმამაცეზე, მხიარულებასა და სიყვარულზე, ამალელებელ მოულოდნელობებზე; და რამდენიც არ უნდა წერო ბევრი ასეთი სიტყვა თუ ებითეტი, ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიუახლოვდები ამ წიგნის მდიდარსა და საოცარ ხარისხს: ამის მისაღწევად პირდაპირ ჯორჯ პაპაშვილთან უნდა მიხვიდე! პირველ რიგში, უნდა დაინახო როგორ დგას ის გემის ბაქანზე ჩამომავალი და ცვლის თავის ძვირფას ბეწვის ქუდს იაფფასიან ბამბის ქუდზე, რომელმაც მას ამერიკული იერი უნდა მიანიჭოს. მიმდობია ეს ყმაწვილი: ყოველთვის სჯერა ახლობლების საუკეთესო თვისებების და ძალუძს, თაღლითობის მსხვერპლად გახდომის ყოველი შემთხვევა მხიარულების წყაროდ აქციოს.

მაგრამ მხიარულება არც იმ ინციდენტებს აკლიათ, რომელშიც ახალგაზრდა ჯორჯი თავის პრინციპებს იცავს. რას იზამს, როცა მას იმ უსაქციელობის გამო აპატიმრებენ, რომელიც არ ჩაუდენია? წავა იოლი გზით და დაიბრალვს ყვავილების დაკრეფის დანაშაულს? არა! მას არ დაუკრეფია ყვავილები! და მის წინააღმდეგ მმართველ სამხილებს დაპირისპირებულმა თავი უნდა დაიცვას. და ის ამას აკეთებს წიგნის იმ ქვეთავში, რომელიც არაერთი დანარჩენი ქვეთავივით მოკლეა. ჭრონიკაში, სადაც ყველაფერი ერთდროულად სასაცილოა, ამალელებელი და მტკიცე შემდეგ, როცა პერსონაჟი, ჯერ კიდევ მიაპტი უცხოელი აღმოაჩენს, რომ თავის საუკეთესო სამუშაოზე, რაც კი მას აქამდე ჰქონია, „მტრიკბრეხერად“ იყენებენ, მისი გამბედაობა არანაკლებ მტკიცე იქნება, რადგან დამჭირავებელთან კამათში მას უფრო მანერებს დაუწუნებს, ვიდრე მორალს.

მანერები კი ამ ახალგაზრდა კაცისთვის, რომელიც ახლანდელი საბჭოთა საქართველოდან არის, ძალიან მნიშვნელოვანია. კარგი ცხოვრებაა მნიშვნელოვანი. და კარგი ცხოვრება გულისხმობს კარგ მანერებს, ხელგაშლილობას, კარგ საქმელსა და მხიარულებას. პრაქტიკულობა? ჯორჯი და მისი მეგობრები თავიანთ თავს ვერასდროს ჩათვლიან პრაქტიკულებად. მაგრამ მათ შესაძლებლობებსა და მოქნილობაში, ალალ ადამიანობასა და ძმურ სიყვარულში არის ბევრად მეტი სიბრძნე, ვიდრე მთელს იმ „გამჭირახობაში“, რაც მართლაც, საოცარია. ჯორჯი ყოველთვის მყარად დგას მიწაზე — ის იცინის.

სწორედ იმიტომ, რომ ეს წიგნი არის როგორც ადამიანურ სიბრძნესა და სიტბოზე, ისე მხიარულებასა და გასაოცარ თავგადასავლებზე, ხარხარი არასდროს არის უგრძობი და ხელგაშლილობას არ ზღუდავს ეგოიზში. რეაქცია სევდიანსა და მწარეზე ისეთივე მყისიერი და მგრძობიარეა, როგორც რეაქცია სასაცილოსა ან გამომწვევებზე. რომელი ამბავი მოგვწონს ყველაზე მეტად? თუ როგორ წავიდა რუსული ოჯახი კალიფორნიაში? დიახ. მაგრამ ჯორჯ პაპაშვილის დაკვირვება ამერიკაზე,



მისი გრძნობები ამერიკის მიმართ, როცა თავისი სასაცილო სატვირთო მანქანით ქვეყანას დასავლეთისკენ კვეთს, თავისთავად, დამოუკიდებლად მახსოვრებელია. ხოლო მეცნიერის ნერვიული აშლილობისგან განკურნების ამბავი არის ადგილი, სადაც ფასდაუდებლადაა განსაზღვრული ჩვეულებრივი საიდუმლოებით მოცული დაავადება:

— ეს ამერიკული დაავადებაა, როცა შენს ტვინს შენზე ფიქრი აღარ სურს, — ავუხსენი მე.“

დღესდღეობით ჯორჯ პაპაშვილი გამომგონებელი და სკულპტორია, რომელსაც ცხოველებს აქანდაკებს. ის დაქორწინებულია „ჰელენ გერბერტოვნაზე“ — წიგნის თანაავტორზე. მათი პენსილვანიური ფერმა კი წიგნის რამდენიმე მხიარული თავის მათი ხმებისა და ამბლევებელი ფინალის შთაგონების წყარო გახდა. ეს პატარა წიგნი მხოლოდ 202 გვერდისგან შედგება. როგორც იტყვიან, სიმდიდრე პატარაოთახშია. მაგრამ — „პატარა“? არა, ეს ის სიტყვა არ არის. ეს „ოთახი“ ისე ფართოა, როგორც ადამიანის გული, ხოლო მხიარულ და მოყვარული ადამიანის გულს მისი ულვევი სიმდიდრე ეკუთვნის.“

(„პარპერ ენდ ბრაზერს“, 2 დოლარი.)

**ჯორჯ და ჰელენ უეიტ პაპაშვილების  
„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“  
1945**

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ და პაპაშვილის შემთხვევაში, მას შემდეგ რაც რუსეთიდან ამერიკაში ჩამოვიდა, ეს ძირითადად ასეა. გიორგი და მისი მეგობრები რთული სიტუაციებიდან მარტივად და მხიარულად გამოდიან. ყოველ მის მიერ გადადგმული ნაბიჯებისა და მოქმედებების განმავლობაში გიორგი ინარჩუნებს ალღურწმენას საკუთარი თავისა და იმ ქვეყნის მიმართ, რომელმაც იშვილა.“

**როუზ ფელდი „იქ, სადაც ცხოვრება ხელგაშლილი, გადარეული და  
მხიარულია“**

**„არავითარი უფერულობა საქართველოდან ჩამოსული რუსისა და  
მისი ამერიკელი ცოლის საქმიანობაში“**

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“

ჯორჯ და ჰელენ უეიტ პაპაშვილები

202 გვ. ნიუ-იორკი: „პარპერ ენდ ბრაზერს“, 2 დოლარი

**სტატიას წინ უძღვის ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების ფოტო საბეჭდ მანქანასთან**

„ჯორჯ პაპაშვილი არის ქართველი, რაც ნიშნავს რუსს საქართველოს პროვინციიდან, რომელიც ცალსახად აცხადებს, რომ ის არის არა თავადური, არამედ გლეხური წარმოშობის. ჰელენი, მისი მეუღლე, რომელიც უძღვება წიგნის მალაზიას ალენტაუნში (პენსილვანია), ამერიკელია. მათ ერთად დაწერეს „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ — ჯორჯის თავგადასავალთა ისტორიები ამერიკაში. ჯორჯის დიდი ლექტიით ნიჭიერად მოთხრობილი წიგნი მოიცავს მისი ამერიკაინიზაციის ისტორიას

მთავარ მომენტებს. ეს არის მომხიბლავი, უპრეტენზიო, მიაჩნეული და მხიარული პატარა ნარატივი, სადაც ჯორჯმა საკუთარი თავი შეინარჩუნა.

ჯორჯი ამერიკაში 20 წლის წინ ჩამოვიდა. მას შემდეგ, რაც ასტრახანული ქუდი იაფფასიან ქუდში გაცვალა, ჯორჯი ამერიკელი გახდა. მან ბევრი სიმწარე გამოცადა, მაგრამ ყოველთვის სიცილის თანხლებით. წიგნში ოცი ჩანახატია და ყოველი მათგანი დაკავშირებულია ჯორჯის ცხოვრებაში მომხდარ გარკვეულ კრიზისებთან ან ღრმა ემოციურ მომენტებთან. ყველა კარგია, მაგრამ ზოგიერთი მათგანი განსაკუთრებული გემოთი და პიკანტურობით გამოირჩევა.

საქართველოში ჯორჯი დახელოვნებული იყო მათრახების ტარის დამზადებაში და ხანჭლების გაკეთების ოსტატი გახლდათ. თვლიდა, რომ ამ ხელობათა ცოდნით თავს ყველგან შეინახავდა. მისი პირველი სამუშაო ნიუ-იორკში ჰურტლის მრეცხავად ყოფნა იყო, რომელიც მხოლოდ ერთი დღე გაგრძელდა. თავისი პირველი დამე ამ ქვეყანაში პარკის სკამზე გაატარა, მაგრამ მეორე დღეს ცოდნა გამოადგა და უკვე ავტოფარეხში მოეწყო სამუშაოდ.

ჩამოსვლის შემდეგ ჯორჯმა რამდენიმე სამსახური გამოიცვალა, „შტრეიკბრენერიც“ კი იყო. როცა ქარხანაში მასავით მოხვედრილმა სხვა „შტრეიკბრენერმა“ გააგუბინა, რომ ის მოკრძალებული ხელფასისთვის გაფიცულ ადამიანებს უპირისპირდებოდა, ჯორჯი უშიშრად გავიდა გარეთ მწყობრიდან გამოსული მოპიკეტების ბრბოსთან. პიჯაკის გადანაკეცებზე ქინძისთავით დაიმაგრა ოთხი ბარათი იმ ენებზე, რომლებიც იცოდა — თურქულად, რუსულად, ქართულად და სპარსულად. მათზე ეწერა:

„ძვირფასო ბატონებო!

გთხოვთ, მაპატიოთ ჩემი შეცდომა. ისე მოხდა, რომ არ ვიცოდი, თუ სამუშაოს გტაცებდით. აი, ამიტომ გამოვდივარ!“

სანამ ვინმემ ამ წერილების წაკითხვა და გაგება შეძლო, ჯორჯი კარგად სცემეს.

დებრესის დროს ჯორჯი დეტროიტში იყო და სხვა რუსებთან ერთად პანსიონში ცხოვრობდა. ყველამ ერთად გადაწყვიტა ალიასკაზე წასვლა, რადგანაც ალიასკა ერთ დროს რუსეთს ეკუთვნოდა, მაგრამ წასვლის წინა დამით გადაიფიქრეს და გეზი კალიფორნიისკენ აიღეს. მათი მოგზაურობის აღწერა ქვეყნის გადაკვეთისას, ზოგიერთისა — ავტომობილით და ზოგისა კიდევ — საბარგო მანქანით, წიგნის ერთ-ერთი უმშვენიერესი ადგილია. სხვადასხვა წარმოშობის ამერიკელებთან შეხვედრა ჯორჯს კარგ ხასიათზე აყენებს.

„ალარ მრცხვენოდა ჩემი დამტკრეული ინგლისურის და უცნაური ქცევის, — წერს ის. ვხედავდი, რომ ყველა უცხოელი იყო, მხოლოდ ერთში ვამჩნევდი განსხვავებას: ზოგი ადრე ჩამოსულიყო, ზოგი კი გვიან.“

როცა ჯორჯი გამოაცხადებს, რომ ცოლად ამერიკელი გოგონას შერთვას აპირებს, მისი რუსი მეგობრები უკმაყოფილებას გამოთქვამენ. მათ ამერიკული სამხარეულოს ერთფეროვნება და ეკონომიურობა აწუხებთ. გააფრთხილეს კიდევ ჯორჯი, რომ ცოლი ბიუჯეტს განუსაზღვრავდა და რომ მას ასეთი რაღაცეების წერა მოუწევდა:

„ვისვამ ვისკის — 35 ცენტი,

ვაყოლებ ქაშაყის ნაჭერს — 10 ცენტი.“

ახალგაზრდისთვის დამახასიათებელი გაბედულებით, ჯორჯმა შეირთო პელები და როგორც მისი მონათხრობიდან ჩანს, მათ ოჯახში ადგილი არ ჰქონია ახლად გატს. ყველაფერი ისე ხელგაშლილად, გადარეულად და მხიარულად წარიმართა, როგორც ეს მის რუს მეგობრებს ესიამოვნებოდათ.

წიგნში ერთი ამბავი ამბავია, სადაც ჯორჯი ჰყვება, თუ რამდენი ხანა ეძებდა თანამემამულეს, რომელსაც შეეძლებოდა მის საკუთარ, მშობლიურ ენაზე ლაპარაკი. საბოლოოდ, იპოვა კიდევ, პენსილვანიაში. ისინი ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობდნენ.

„ჩვენ არ ვიღლებოდით. სიტყვები მოდიდებული მტკვარავით მოედინებოდა და ნანასავით ესალბუნებოდა სმენას.“

(„*მოდიდებული მტკვარი*“ — *მკითხველისთვის დასამახსოვრებელი მდინარე* — რ.წ.)  
ის, რაც ამ წიგნს განსაკუთრებულ მიმზიდველობას ანიჭებს, არის პიკანტურობა, რომლითაც ჯორჯი უდგება ცხოვრებას, ასევე, ადამიანური მოვლენებისა და ურთიერთობების ინდივიდუალური აღქმა. ნერვული აშლილობის მისეული განმარტება ძალიან სათუთია:

„— ეს ამერიკული დაავადებაა, — ეუბნება ის ამხანაგს, როცა შენს ტენის შენზე ფიქრი აღარ სურს;“ და უნდა დავამატოთ, რომ „ამის წამალი ნიორწყალია.“

## რედაქტორის არჩევანი

### „ჩაუხშობელი კეთილი სულები“

#### „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“

#### ჯორჯ და პელები ბაბაშვილები

#### „პარპერი“, 2 დოლარი

„ყველა ფრონტს მიღმა“ მაქს ჯორდანი „ბრიუსი“, 3 დოლარი.

„დემოკრატია წინის ქვეშ“ სტიუარტ ჩეისი, „მოცეც საუკუნის ფონდი“, 1 დოლარი.

„რითი შეიძლება, ადეკვატურად აიხსნას დამოკიდებულებათა ის ფართო განმავრება, რომლითაც ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ემიგრანტები იღებენ შეერთებულ შტატებს? ზოგიერთის შნოდა მარიფათი, რასაც ყველაზე შემატებულ გარემოში ავლენენ, ძალიან მკვეთრად განსხვავდება სხვათა შიშისაგან. საინტერესო იქნებოდა იმის ცოდნა, თუ რა იყო ამ განსხვავებათა თავდაპირველი მიზეზი — ეროვნული ან ინდივიდუალური თავისებურებები თუ სიმკაცრის ხარისხი, რომელშიც ისინი აღიზარდნენ; ან კიდევ პოლიტიკური და აგრო-ინდუსტრიული პირობები, რომლებსაც ისინი გამოექცნენ. წიგნში „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ჯორჯ ბაბაშვილი რომლის წარმოშობის ადგილი და განთქმული გარეგნობა იოსებ სტალინის მსგავსა ათასგვარად მოქმედებს, მაგრამ მისი არცერთი მოქმედება არაა განპირობებული იმით ან სიფრთხილით მისთვის ამ უცნაურ, მტრულ და იღუმალ ამერიკულ გარემოში.

გიორგისთვის მოლხენის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ქართველი და რუსი ამხანაგები და მათთან ერთად ნებისმიერი რაოდენობის სხვა ნაციონალური წარმომავლობის მქონე ადამიანები ერთ სუფრაზე შეკრიბოს. სუფრაზე, რომელიც რამდენიმესათიანი ქეიფით: ანუ უამრავი რუსული საჭმელ-სასმელით, სიმღერებით.



ხალხური ზღაპრებით, ხალისითა და სიცილ-ხარხარით გამოირჩევა. ის გლახობის მისი სიკვდილთან დამოკიდებულება ბუნებრივი და „ყოველდღიურია“ და ძალიან ნაკლებად თვისტური; ის მიწისა არის, ამქვეყნიური. მისი დაუძლეველი სიყვარული მხიარულებისადმი, სიყვარული ადამიანებისადმი, მისი უნარი, არ შეშფოთდეს, ყოველდღიურობას საოცარ ხბლს ანიჭებს. არის რაღაც უდავოდ მომაჯადოებელი ამ ადამიანში, რომელიც ყოველთვის ეძებს საშუალებას, გავიდეს სადმე ბუნებაში, დაანთოს ცეცხლი და წინაპართა წესის მიხედვით შეწვას ცხვრის ხორცი იმდენი სტუმრისთვის, რამდენის შეკრებასაც შეძლებს.

ნებისმიერი იმ წიგნის გასაცნობად, რომელიც ცალსახად გამონატულ გასართობ ღირებულებებს ატარებს და განურჩევლად მისი სიმსუბუქისა, თქვენ ვერ იპოვით უკეთეს დროს, ვიდრე ახლაა. „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ სწორედ ასეთი წიგნია. ზოგიერთებმა შეიძლება, მისი კარგი მოთხრობებით უფრო მეტად ისიამოვნონ, ვიდრე მისი დიდებული სურნელით. ამათგან ერთ-ერთი საუკეთესო ეპიზოდი იმის შესახებ მოგვითხრობს, თუ როგორ გამოაღწია ჯორჯმა მივარდნილი ადგილიდან იმ ამერიკელთან დანიძლავების გზით, რომელმაც ის მანქანაში ჩაისვა. ნიძლავის თანახმად, ჯორჯს „ნების“ ბორბალი „ფორდის“ სტანდარტული სატვირთო ავტომობილისათვის უნდა მოერგო და ამასთანავე, გზაზე გაეტარებინა კიდევ. სადაც, მარაგზაზე მიტოვებული აკუმულატორის დადნობის საშუალებით მან ეს გააკეთა: აკუმულატორის გამდნარი ტყვია დაუმატა იმისთვის, რომ ფორდის ფერსო საკმარის ზომამდე გაეზარდა. ჯორჯისთვის ტიპურია, რომ ცეცხლის გაღვივებაში მას ამერიკელი დაეხმაროს, რათა მისმა სქემამ, საბოლოოდ იმუშაოს. სასიეროა იმის ყურება, თუ როგორ აკეთებს ჯორჯი ამას.“

**„სვანკი“**

1945 წელი

**„ორი ამერიკელი“**

„ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ (202 გვერდი, „პარპერი“, 2 დოლარი) მიღირს მასში გადახდილ თანხად. ზოგი დახვეწილი მკითხველი გულგრილი დარჩება მის მიმართ, რადგანაც ის უშუალო სიმარტივით წარმოგიდგენს ახალგაზრდა რუსის (გიორგის) ამერიკულ თავგადასავლებს; ხოლო იმათ ცნობიერებაზე, ვისაც ემოციური აღქმა დაბლაგვებული აქვს ვერ იქონიებს გავლენას. სხვებისთვის ეს ამერიკაში ჯორჯის მხიარული, ძალიან ცოცხალი ავანტიურა იქნება. **ჯორჯს საქართველოდან (რუსეთში მდებარეობს) ჩამოჰყვა ადამიანებისადმი უსაზღვრო სიყვარული, ახალი სამყაროსადმი ღრმა რწმენა სამომავლოდ და იუმორის დაუშრეტელი გრძნობა.** ის თავის წარუმატებლობას გულწრფელად იღებს, მაგრამ ემიგრანტისათვის დამახასიათებელი ე.წ. „პარაზიტული“ ცხოვრების წესით არ ცხოვრობს. პირიქით, ის მძიმე სიტუაციებს ისევე აღწევს თავს, რომ არც ყოვლისმცოდნე ხდება და არც შერეკილი. პირველი 137 გვერდი მშვენიერი, მხიარული და უზრუნველი ნაშრომია. შემდეგ ის ქორწინდება და „სამინელი სათქმელია,“ მაგრამ წიგნი კარგავს პეწს და იძირება ისეთ ჭაობში, როგორიც შეიძლება იყოს



„პირველი დახმარება დაფხავებულ სახლს,“ რადგან მან და მისმა მეუღლემ და რეკონსტრუქციამ ჩაუტარეს ძველ სახლს. მაგრამ თუ ამ პირველ 137-გან იმაზე მეტს არ მოითხოვთ, ვიდრე ორიოდ საათის სასაიამოვნო მზიარულებას გატარებაა, თქვენ მშვენიერი გართობა ნამდვილად გარანტირებული გექნებათ.“

**პაროლდ ფილდსი**

**„ამერიკის აღმოჩენა — 1920“**

მარჯვენა მხარეს, ზემოთ, სტატიას ახლავს ფოტო:

**ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები**

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“

ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები

„პარპერ ენდ ბრაზ.“ 1945. 202 გვერდი. 2 დოლარი.

ეს წიგნი გუშინდელი დღის პაერით სუნთქავს, იმ ეპოქით, როცა ეს ქვეყანა აქტიური ემიგრაციის მიწა იყო. როცა ყოველდღიური, ჩვეულებრივი სურათი გახლდათ ნიუ-იორკის ნავსადგურში ხალხით გაჭედილი და დასაცლელად გამზადებული გემები. როცა გლენები და ცენტრალური ევროპის მოქალაქეები ჩვენთან შემოსული უცხოური მოსახლეობის ბირთვს აყალიბებდნენ. ჯორჯ პაპაშვილის ზღაპრის სტრუქტურაში იმ დღიდან მოკიდებული, როცა მან თავისი პირველი სამუშაო იშოვა — ჭურჭლის მრეცხავად, დამთავრებული მისი დღევანდელი სტატუსით, როცა ის მიწის მფლობელია, თავისთავად, განსაკუთრებით ახალი არაფერია. მერი ნიტინის ისტორია და ფაბრიკები, მაიკლ პაპინის ბიოგრაფია, ან კიდევ ჯინ ადამსის და პროფესორ შტეინერის ნამუშევრებში მოთხრობილი პატარა ამბები ეს ყველაფერი მეტ-ნაკლებად იმ ეპოქის თანამედროვეა, რომელსაც ჩვენს წერილში ვეხებით. მაგრამ ეს ყველაფერი ამ მოთხრობის მნიშვნელობას ვერაფერს აკლებს.

მისტერ პაპაშვილი თავის ცხოვრებისეულ თავგადასავლებს თანაგრძობით, ტოლერანტობითა და გონიერებით განმსჭვალული დამოკიდებულებით უბრუნდება. მან გადაწყვიტა, მეუღლის დახმარებით მოეთხრო თავისი ფათერაკებისა და საკუთარი ძალისხმევების შესახებაც, ოღონდ თანხმობისა და უარყოფის ფილოსოფიური განწყობით; ის იშვიათად უჯანყდება გარემოებებს და არასდროს ჩივის უსამართლობის გამო, ყოველ შემთხვევაში, ამ წიგნში. უსამართლო გაცვლის შედეგად, იგი დაკარგავს თავის ქართულ ბეწვის ქუდს, მაგრამ მადლიერია, რადგანაც სჯერა, რომ მისი ახალი თავსაბურავი მის „ამერიკაშიზებას“ შეუწყობს ხელს. მან ჭურჭლის მრეცხავად იშოვა სამუშაო, დაითხოვეს და ავტომექანიკოსად მოეწყო ეს ყველაფერი ამერიკაში ყოფნის პირველივე დღეს მოხდა. მას გარკვეული გაუბრალობა შეემთხვევა მართლმსაჯულებასთან და სასამართლოში უფრო მეტ გაგებას (გულისხმობდას) აღმოაჩენს, ვიდრე პოლიციელის განკარგულებებში. ის თანამედვერობით, ნაბიჯ-ნაბიჯ მუშაობს მოსამსახურედ წებოს — ქარხანაში, პიტსბურგში, შტრეიკბრეხერად — სადღაც სხვაგან, მექანიკოსად — დეტროიტში, მეორეხარისხოვანი როლების შემსრულებლად — ჰოლივუდში, მენეჯერად — გზისპირა რესტორანში და საბოლოოდ, ფერმერობით ამთავრებს პენსილვანიაში. აქ ის თავის თან-



ამემამულეებს აღმოაჩენს და მათი შესვენდრების აღწერა გაუცნობიერებლად იწვევს იმას, რომ ისინი მკითხველსაც ისევე შეუსყვარლებს, როგორც თავად მის უყვარს... ის იხდის 500 დოლარს იმის აღმოსაჩენად, რომ „ბრწყინვალე მომავლის“ მქონე გაყიდული მიწის ნაკვეთები წყლით არის დაფარული, სხვა შემთხვევებში კი, საკუთარი გამოცდილებით მიღებული კრედოს მიხედვით ხელმძღვანელობს...

და მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი სახის გამოცდილება ძალიან ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ იმდროინდელი ემიგრანტებისთვის, ყურადსაღებია, რომ წიგნში არსად არის ნახსენები იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი — ამერიკის მოქალაქედ გახდომის გამოცდილება... იმხანად, ორგანიზებული პროგრამა არსებობდა — „სამოქალაქო განათლების შეტანა აშშ-ს მოქალაქეობის მსურველთა შორის“, მაგრამ საჭმიანობის დაწყებისთანავე ექვებიც გაჩნდა, რადგან პირველი მსოფლიო ომის ბოლოს, „დეფისის მქონე ამერიკელებმა“ (იგულისხმება აშშ-ს ნატურალიზებული ემიგრანტები, მაგალითად, ირლანდიელი-ამერიკელები, სწორედ საიდანაც გაჩნდა ტერმინი „დეფისი“ - რ.ნ.) ეროვნული აზროვნების ცვლილებაზე ამ მიმართულებით ვერ მოახდინეს გავლენა. აქედან გამომდინარე, ის გარემოება, რომ **ჯორჯ პაპაშვილი ერთხელაც არ ახსენებს ამერიკელად გახდომის სურვილს** (მისი წარმატებებით თუ ვიმსჯელებთ, მან ნამდვილად გაიარა ნატურალიზაცია), შესაძლოა, ასახავდეს მის დამოკიდებულებას, ანდა მეორე მხრივ, ეს ჩვენი განჭვრეტის უნარის ნაკლებობის ბრალი იყოს. ის ამერიკელი მოქალაქისთვის დამახასიათებელი ყოველდღიური ცხოვრების წესით ცხოვრობდა: იყო კანონმორჩილი, ჰქონდა ჩანსალი ურთიერთობა ახლობელ ადამიანებთან, მუყაითი და მშრომელი გახლდათ და ამ ქვეყნით ამყობდა. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ღამის სკოლები და ახალმოსახლეთა სახლები იმ ხალხმრავალ რაიონებშიც მოიძებნებოდა, სადაც ჯორჯი მუშაობდა, ის ამ კომპონენტებს, როგორც ამერიკელი გამოცდილების ნაწილს, არასდროს ახსენებს.

დრო იცვლება და იცვლება ემიგრანტის ტიპიც, როცა ჯორჯ პაპაშვილი ამ ქვეყანაში ჩამოვიდა, მაშინ აქ წელიწადში 700 ათას ადამიანს ღებულობდნენ; დღეს დაახლოებით 28 ათასი (ოთხი პროცენტი) შემოდის. უწინ, ერთ ემიგრანტზე თავის გასატანად გათვლილი ფულის საშუალო რაოდენობა 25 დოლარს შეადგენდა; დღეს ეს თანხა ასეულობით, მეტიც — ათასეულობით დოლარს აღწევს. ჯორჯს გლახის წარსული ჰქონდა; დღეს მისი გამოცდილება განათლებამიღებული პიროვნებისას უტოლდება (ხუთი წლის წინ, 4500 ლტოლვილ-ემიგრანტზე ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ 88 პროცენტს მიღებული აქვს გარკვეული განათლება: დაწყებული ელემენტარული სკოლიდან, დამთავრებული — უნივერსიტეტით და რომ სამი პროცენტის გარდა, ყველა დადიოდა რაიმე ტიპის სკოლაში). მიზნები შეიცვალა: თუ ადრე დასაქმება და ფინანსური უსაფრთხოება იყო წამყვანი, დღეს ეს მიზნები, როგორც კულტურული განვითარების ან ვთქვათ ასე, გაგრძელების ხარბ სურვილს, ისე ფიზიკური უსაფრთხოების მოპოვებას უკავშირდება.

მისტერ პაპაშვილის წიგნი გახლავთ საინტერესო ფსიქოლოგიური „შემთხვევის კვლევა“, რომელიც ერთი უცხოელის ადაპტაციის პროცესს ეხება. ამბავი პირად თავგადასავალს გვიამბობს და ყოველი მონათხრობი, წარსულის გახსენებაა. ეს

თავისებური რეტროსპექტივა კი ძალიან სასიამოვნოდ და ავტორისეული იყო. ით არის დანახული. პაპაშვილის იუმორი გადამდებია; ის პირდაპირ ურთიერთობს მკითხველთან და ამ განცდებითა და ქაოსით სავსე ზღაპრის ბედნიერი დასასრული გაღიმებულს სტოვებს მას.“

„გულ ვილ“-ის [„კეთილი ნების“] წიგნების სია –  
შერჩეულია შემდეგი პირების მიერ:  
არჩიბალდ ჯი. ოგდენი – აღმასრულებელი დირექტორი,  
„ომის პერიოდის წიგნების საბჭო,“ ნიუ-იორკი, თავმჯდომარე;  
მისტერ ჯოზეფ ფ. ქანტილონი,  
ს. ჯეი., ბიბლიოთეკარი,  
რეგისის უფროსკლასელთა სკოლა, ნიუ-იორკი;  
მარვინ ლოუენტალი, მწერალი, ნიუ-იორკი.

„საბჭოს წევრები, როცა თავიანთ არჩევანს რეტროსპექტივაში მიმოიხილავენ, სიაში ერთ სერიოზულ ნაკლს აწყდებიან. წიგნები, რომელიც ეხება ანტიემიტოზმს და ნაკლები დოზით, შავკანიანებისა და თეთრკანიანების ურთიერთობებს, უკუ-ელთვის არ გახლავთ ობიექტურობის იმ სათანადო სულისკვეთებით დაწერილი, რომელიც საუკეთესო ანალიზს ახასიათებს. შესაძლოა, ზოგი მათგანი დანარჩენი სამსიიდან მხოლოდ ერთში უნდა მოხვედრილიყო, როგორც [საგანგებო] განაცხადის საფუძველზე მიღებული. ერთადერთი, რასაც არსებული ვითარების გამამართლებელ მიზეზად ვასახელებთ ისაა, რომ ჩვენთვის სასურველი წიგნები (კეთილი ნების გზავნილების შემცველი, ყოველგვარი „დროშის ფრიალის“ გარეშე) ბოლოდროინდელ გამოცემათა შორის არასაკმარისი რაოდენობით იყო წარმოდგენილი. შესაძლოა, ეს უკმარისობა საკითხისადმი არსებული ინტერესით იქნას გამოსწორებული ისევე, როგორც იმგვარი ჯილდოებით, როგორც გახლავთ „ენისფილდ ვულფ“-ის პრემია, რომელიც ყოველწლიურად გაიცემა რასობრივი ურთიერთობების შესახებ დაწერილი წიგნისთვის ან ჯულიან მესნერ ინქის შეთავაზებული 3.000 დოლარის ოდენობის ჯილდო „საუკეთესო წიგნისათვის, რომელიც ამერიკაში რასობრივი ან რელიგიური ტოლერანტობის გაღრმავებას უწყობს ხელს.“ (შენიშვნა: ზემოაღნიშნულ ტექსტს მოსდევს წიგნებისაგან შემდგარი ვრცელი სია, მათ შორის მწერ პაპაშვილის ნაწარმოებია. წარმოგიდგენთ მხოლოდ ამ ფრაგმენტს –რ.ნ.):

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ – ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები. 1945. 200 დოლარი. ახლადჩამოსულის პირადი გამოცდილება, რომელიც ახალ სამშობლოს სწავლობს; თბილი, იუმორისტული.“

დღის წიგნი  
„სამშობლოდან წასული ერთი ალალ-მართალი რუსისთვის ამერიკა შესანიშნავი ადგილია“

„მას შემდეგ, რაც მგზავრობის დროს მთელი თავისი ფული საკვებში დახარჯა, ჯორჯ პაპაშვილმა, ახალბედამ ქართული მიწიდან, ძვირფასი კარაკულის ბოხობა



იფფასიან ზოლიან ქედში გადაცვალა იმ მოტივით, რომ უფრო ამერიკული, იერი  
 კქონოდა; დაიჭირავა დოლარების დასტა, რათა ეს ფული საემიგრაციო საშასხურის  
 აგენტებისთვის ეჩვენებინა და ნაპირზე ამადლებული განწყობით გადმოაბიჯა. ის,  
 რაც ამის შემდეგ ხდება, მეტ-ნაკლები რეალობით არის გადმოცემული ჯორჯისა  
 და მისი ამერიკელი ცოლის, ჰელენის წიგნში, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“ ეს  
 საოცრად გასართობი პატარა წიგნია.

ჯორჯის დასაქმებას მეგობარმა მოჰქიდა ხელი. რამდენადაც მისი ხელობა — მეს-  
 ანჯლეობა და „ძველებური მათრახის ტარის ლამაზად გამოყვანა“ ვახლდათ. ცხადი  
 იყო, მას ცოტა სხვაგვარი სამუშაო უნდა ეშოვნა. ამიტომ ჭურჭლის მრეცხავად დაი-  
 წყო, მაგრამ ნამეტნავად ბევრს ჰამდა და მეტისმეტად ბევრი ჭურჭელი დაემტვრა;  
 ძველი „ფორდის“ შესაკეთებლად დაუძახეს და მანქანის პატრონი იმდენად მოიხიბ-  
 ლა შედეგით, რომ მოგვიანებით, სამუშაოავტომობილის ქარხანაში უშოვა. ამან ჯორ-  
 ჯი დაარწმუნა, რომ ამერიკა იყო ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. და  
 „უკვე ოცი წელია ვცხოვრობ ამერიკაში და აქაურობაზე დღემდე ამ აზრისა ვარ.“  
 \* \* \*

ჯორჯს ბევრი რამ გადახდა თავს. ის წარმოჩენილია, როგორც პატიოსნებისა და  
 გამჭირაობის მომხილავი კომბინაცია, რომელიც საგანგებო ვითარებებში უჩვეუ-  
 ლო სიმტკიცეს ავლენს. პარკში ყვავილების მოკრეფისათვის დააპატიმრეს, არადა,  
 მას ეს დანაშაული არ ჩაუდენია; ამიტომ თავის დამნაშავედ ცნობასა და ჯარიმის  
 გადახდაზე უარი განაცხადა. მოსამართლე მისით მოიხიბლა და გაათავისუფლა.  
 შეაცდინეს, რომ შტრეიკბრეხერის როლში ყოფილიყო; რამდენიმე, ერთი შეხედვით,  
 სანდო კაცმა გააბითურა; მეგობრებთან ერთად ველურ მოგზაურობაში კალიფორნი-  
 ისკენ გაეშურა. გზაში კი იმდენი ფათერაკი გადახდა თავს, რამდენიც „მრისხანების  
 ყურძნებში“ ჯოადებს გადახდებათ. მცირე ხნით საკვების ბიზნესში ერთვება, უერთ-  
 დება სამოქალაქო არმიას და ცოლად ირთავს ჰელენა გერბერტოვნას — როგორც ის  
 რუსულ ყაიდაზე თავის მეუღლეს მოიხსენიებს. ცდილობს, ფერმის გაშენებას მოჰკი-  
 დოს ხელი. მას მერე, რაც გერმანიაში მიმდინარე მოვლენები მის სინდისზე იმოქმე-  
 დებს და დაარწმუნებს, რომ შეწყვიტოს მის მიერ გამოგონილი ასლის გადამღები  
 მანქანების სპეციალური მელნისთვის საჭირო ქიმიკატების იმპორტი.

ეს უჩვეულო წიგნია, სასიამოვნო ხალხით სავსე, რომელთა ლაპარაკის მანერა  
 ისე ჟღერს, გეგონება, ქართულიდან პირდაპირი თარგმანიაო. განსაკუთრებული  
 უნარები სწორედ ამ მეტყველების აღდგენას დასჭირდა; ეს აბსურდულობასა და  
 მეგობრულ განწყობებს მარილს ჰმატებს. დიახ, **აშკარაა, რომ ამ ქართველებს მეგო-  
 ბრობის გასაოცარი ნიჭი აქვთ. მათი ქორწილები და პანაშვიდები, მათი სიმღერები  
 უბრალოდ გადავსებულია მეგობრობით.** დიალექტი შესაძლოა, აქა-იქ მსუბუქად  
 ყალბი, საგანგებოდ უტრირებული გეგვნით, მაგრამ წიგნის გულთბილობაში ყალ-  
 ბი არაფერია. ის თავს კარგად გაგრძობინებთ.

\* \* \*

სტილის ნიმუშად შეგვიძლია, იმ თავიდან მოვიტანოთ ამონარიდი, რომელიც  
 ასტრონომი ილარიონის ავადმყოფობას ეხება:





„ერთი ჩვენებური ბიჭი, ილარიონი კოლეჯში მუშაობდა. მისი მოვალეობა იყო ტელესკოპით ემზირა ვარსკვლავებისათვის, რათა მათ ადგილი არ მოეპოვებინათ. როცა ვარსკვლავებს არ უთვალთვალებდა, სტუდენტებს ასწავლიდა ათასნაირ ხრიკებს; მაგალითად: როგორ უნდა გაეზომათ მზე, როგორ მისულიყვნენ მთვარეზე უმოკლესი გზით. უხსნიდა, თუ საით მიისწრაფიან კომეტები, რომლებიც ელვასავით ჩამოგვიქროლებენ ხოლმე. ...ილარიონი ღამეებს ათენებდა სამუშაოზე. მაინცდა- მაინც ბევრ ფულს ვერ აკეთებდა, მაგრამ ღვთის მადლით, ზოგიერთი ფულის გიჟი არ იყო.“

**წიგნი მეგობრებისა და კერძების მხიარულ აღწერებს წააწყდებით (ეს პართელები კარგი მადის ხალხია),** გაიმბობნენ ფათურაკებზე და აქ არაერთი ისეთი პატარა ფრაგმენტი, როგორც მაგალითისთვის ეს, მოდერნისტული ბინის შესახებ:

„რკინის მიღებისაგან გაკეთებული სავარძლები, ლურჯ ტყავადაკრული სკამები და მინის მაგიდები იდგა. ცნობილი პარიკმახერის სახელოსნოს ჰგავდა იქაურობა.“

მთელი წიგნი სხვა, აურაცხელ რამესთან ერთად იმაზეცაა, თუ როგორ უნდა იქცე კარგ ამერიკელად. ყველაფერი, შესაძლოა, მთლად უნაკლო არც კი იყოს, თუმცა წიგნის ძირითადი ნაკლი ისაა, რომ ძალიან მოკლეა.

**ნუ გამოტოვებთ ამ ამბავს — უცხოეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოსული ალალ-მართალი კაცკასიელისა.“**

„ჭერალდი“  
 ბოსტონი, მასაჩუსეტსი  
 იანვარი  
 წიგნების ყუთი

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ და „ცრუ განგაში“ ნიუ-იორკის „ბუკ ვიზიტის“ მთავარი თემებია  
 „ყველაფერი შეიძლება მოხდეს,“ ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები („პარპერი,“ 2 დოლარი).  
 „ცრუ განგაში,“ მარჯორი კარლტონი („უილიამ მაროუ,“ 2.50 დოლარი).  
**ელის დიქსონ ბონდი**

„ჩემი გამოცდილებით, ნიუ-იორკი ერთადერთი ქალაქია, რომელსაც შეუძლია 36 საათი 24-ში ჩატენოს. გასულ კვირას სწორედ ამ უჩვეულო გრაფიკით ვცხოვრობდი. დროის ამ მონაკვეთში ვიყავი ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების პატივსაცემად გამართულ თბილ წვეულებაზე. მათი მხიარული, ცოცხალი, ორიგინალური და მშვენიერი წიგნი — „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ უმთავრესი ჯილდოების კანდიდატია.“

**პლატონური ქორწინება**  
 .....

წვეულება, რომელიც ფრენკ მაკგრეგორმა გადაიხანდა პაპაშვილების პატივსაცემად, მშვენიერი გამოდგა, სადაც შეხვედრით ყველამ ძალიან ისიამოვნა. ჯორჯი თავადაც „ძალიან თავმომწონეა.“ საშუალო სიმაღლის და არაფრით გამოირჩეული გარეგნობის მიუხედავად, ის არასდროს დაიკარგება ბრბოში.



მისი შთამბეჭდავი ღიმილი და მაღალი ტემბრის ხმა, უსაზღვროდ კეთილი იუმორი და თბილი განწყობა ქმნის უშუალო და მომზიბლავ პიროვნებას და ყოველი მკითხველი მისი მოთხრობების, წიგნის წაკითხვისას იგრძნობს, რომ მწერლისეული სული ნათელ სხივებად ეფინება მათ გარემოსაც. პელები, მისი მეუღლე, უფრო წყნარია. იგრძნობა მისი რბილი ღიმილის სიძლიერე და მკაცრი, მაგრამ თავმდაბალი ცხოვრებისეული ძალა.

**რიტმი და არა მართლწერა**

ჩვენ ვისაუბრებთ წიგნის – ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ შესახებ, რომელიც პელებმა ჯორჯის მონათხრობის მიხედვით დაწერა. მწერალმა ქალმა მითხრა, რომ შუაგზაზე მიხვდა, დიალექტით რომ წერდა და რადგან ამის წინააღმდეგი იყო, გადაწყვიტა მისი თხრობის რიტმზე უფრო გაეკეთებინა აქცენტი, ვიდრე მისი სიტყვების მართლწერაზე.

ამ წიგნში გაეცნობით ჯორჯის ისტორიას ამერიკაში ჩამოსვლის დღიდან: უკაპიკო ემიგრანტი რუსეთის საქართველოდან კარაკულის ქუდიითა და ორი ხელობის ცოდნით, რომელთაგან არცერთი: არც მეხანჯლოება და არც დეკორატიული ტყავის გამოყვანა ახალ მიწაზე დიდი მოთხოვნით არ სარგებლობს. ახლა ის უკვე ბედნიერად დაოჯახებულია და ისევ ისე, სრულიად უშიშრად, ძველებური სიცოცხლის ხალისითა და მოლოდინით ხვდება ყოველ ახალ დღეს.

არცერთ წიგნში არ არის ისე სასაცილოდ და ჯანმრთელი თხრობით აღწერილი ამერიკელად გახდომის ამბავი, როგორც აქ. მას გამუდმებით ატყუებენ, მაგრამ ის არასდროს არ მწარდება. მან თავის პირველ, ჭურჭლის მრეცხავის სამუშაოს ნიუ-იორკში თავი დაანება; ჯორჯმა დაამსხვრია ჭიქებით სავსე სინი, შეჭამა მთელი ქილა ხიზილალა და ერთი ჩარეჟი არაჟანი, რაც ბიუჯეტისთვის ძალიან დიდი დანაკლისი იყო. იქაურობა დატოვა მენეჯერის პირადი მოთხოვნით, რომელმაც შესთავაზა, ოღონდ წყნარად წასულიყო და საჩუქრად, პირის გატეხისთვის 5 დოლარიც კი შეაძლია.

ის შეცდომით დააპატიმრეს, იყო უნებლიე „შტრეიკბრეხერი“, მუშა – დეტროიტის ავტოქარხანაში, ნაცნობებთან ერთად ძალიან სასაცილო მოგზაურობაში მიიღო მონაწილეობა, ცდილობდა სასაუზმე ბიზნესის მართვას სან-ფრანცისკოში, უვლიდა და წიწილებს ვირჯინიაში და ზრდიდა პომიდორს პენსილვანიაში. ყოველივე ამას დიდი იმედები და უმნიშვნელო ფინანსური წარმატება ახლდა. მაგრამ გვერდით ყოველთვის იყვნენ მეგობრები და იყო ლხინი. ეს კი ყველაფერს ამართლებდა, რადგანაც სწორედ ეს გახლდათ ცხოვრების არსი. წიგნის ერთ-ერთი პერსონაჟია რუსეთიდან ჩამოსული „ძია ჯონი“, რომელიც ლაპარაკობდა რუსულად, თურქულად, სპარსულად, ასირიულად, სომხურად, აზერბაიჯანულად და ქართულად. ასე რომ, „ბუნებრივია, მის თავში სხვა ენისთვის ბევრი ადგილი აღარ იყო დარჩენილი. ამიტომ, როცა რომელიმე საჭირო სიტყვას ვერ იხსენებდა ინგლისურად, უბრალოდ ამბობდა: „I luff you“ („მიყვარხართ“ – დამახინჯებული ინგლისურით – რ.ნ.).

**უამრავი მეგობარი**

„და რაღა თქმა უნდა, უამრავ მეგობარს იძენდა ამ გზით, განსაკუთრებით

ქალებს,“ - ამბობს ჯორჯი.

ჯორჯი ოთხი წელი ცხოვრობდა კალიფორნიაში, ვიდრე ჰელენი გაიცნო. იშვილი ბერკლის, კალიფორნიის უნივერსიტეტში სწავლობდა და წიგნის მაღაზიაში მუშაობდა. გარემოებებიდან გამომდინარე, ისინი აღმოსავლეთში გადაბარგდნენ (სხვა საქმეებთან ერთად, ჰელენს უნდა მოეპოვებინა ბიბლიოგრაფიული ასიგნირება). ვირჯინიასა და ვილინგტონის შემდეგ მათ შეიძინეს ფერმა კვაკერთაუნში; 1939 წელს ალენტაუნში (პენსილვანია) ჰელენი წიგნის მაღაზია „მოზი დიკს“ მფლობელი გახდა, სადაც ის ყოველდღე, გარდა ოთხშაბათისა, დადის, ხოლო ოთხშაბათობით სახლს უვლის.

ჯორჯი ახლა თავდაცვით ფაბრიკაში მუშაობს, ჰელენი მის დროს უფროსილდება. დილის ექვსის ნახევარზე იღვიძებენ, საუზმობენ და დაახლოებით შეიძს რომ 15 წუთი აკლია, ალენტაუნში არიან. ჯორჯი ქარხანაში მიდის, ჰელენი - წიგნის მაღაზიაში, სადაც ათის ნახევრამდე წერს, შემდეგ კი ქუჩის მოპირდაპირე მხარე, საშაქარლამოში ყავის დასალევად გადადის.

ამ წიგნის წერა 1940 წელს დაიწყო, როგორც ჩანახატების სერიისა ჟურნალისტვის „კომონ გრაუნდი.“ იმ დილას, როცა ალენტაუნის გაზეთში გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ წიგნი „თვის წიგნის კლუბმა“ აღიარა, მისი „ყავის მგობრები“ რიგში ჩადგნენ მისთვის პატივისცემის გამოსახატავად. იმავე საღამოს, ხუთის ნახევარზე წყვილმა ყველაზე არაჩვეულებრივი თაიგული მიიღო ბარათთან ერთად, რომელშიც ეწერა: „ჯორჯ და ჰელენ „მოზი დიკს,“ თქვენი მგობრებისაგან, ვისთან ერთადაც ყოველ დილას სვამდით „ტიკსში“ ყავას. წერილს ხელს აწერდნენ იმგვარი ანონიმური სახელებით, როგორებიცაა: „ყუსაბი,“ „ბაყალი,“ „გაზის მრიცხველის შემმოწმებელი“ და ასე შემდეგ, უსასრულოდ. ჰელენი ამ ადამიანებით ისეთივე ამაყი იყო, როგორც ისინი - მისით.

საღამოს წყვილი კვაკერთაუნში ბრუნდება. ჰელენი სადილს ამზადებს და შემდეგ, როგორც წესი, ხელსაქმიანობს. ამ დროს ჯორჯი კითხულობს. გაზეთში „სო-ახლედ“ წაიკითხეს ის, რამაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: პოლიციელს მათი წიგნი ეყიდა! ამით გულმოცემულებმა 18 როდოდენდრონი შეიძინეს. ჰელენს უნდა, რომ არტეზიული ჰა ჰქონდეთ, რათა აღარასოდეს დაზოგოს წყალი და ის პანახის გარეცხვა ონკანის ქვეშ შეძლოს.

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ყველაზე ჰუმანური წიგნია მსოფლიოში. ის ერთდროულად გამოწვევაა და ხარკიც ამერიკისთვის და ბევრად უფრო საქირთა ამ ქვეყნისთვის, ვიდრე რაგინდ ბევრი კარგი, 5-ცენტიანი სიგარის ყუთი.

„როცა ქართველებისთვის სუფრას შლით, - შეგვახსენებს ჯორჯი, მხოლოდ უმრავი საჭმელი იქნება საკმარისი,“ მაგრამ ვერ იქნება უამრავი ჯორჯი და ჰელენი, რომლებიც ყველა გემოვნებას დააკმაყოფილებენ.“

„გლოუბი“

ბოსტონი, მასაჩუსეტსი

ფრენსის ს. დარლინგი

**ყურეს უბნის წიგნის მაღაზია**  
**„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“**  
**„წმინდანები და უცხოები“**  
**„ქანკიკები და მელოდია“**  
**„მეგობრული რწმენა“**

„წელს ძალიან ძნელი გამოდგა ჩემთვის მხოლოდ ერთი წიგნის შერჩევა! ეს იყო ისეთი დიდი მოვლენების წელიწადი, რომ ყოველდღიური გაზეთები ჩვენი ლიტერატურით აღტაცებასა და კმაყოფილებას ისევ შეუპყრიათ. ალბათ ჩვენთან, ყურეს უბანში, ეს იქნება წიგნი, რომელიც პაპაშვილმა დაწერა — „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“ ეს წიგნი რეკორდსმენია იმით, რომ არასდროს უკან არ მოუბრუნებიათ და ხშირად იმეორებდნენ შეკვეთას. მე მომწონდა ის, როცა ვკითხულობდი და მიხარია, რომ მას რეკომენდაციას ვუწევე თქვენთვის.

(შემდეგ საუბარია წიგნზე „წმინდანები და უცხოები“ — რ.ნ.)

სწორედ ამ წიგნებმა შემახსენეს თავი იმით, რომ მასიამოვნეს და ჩემი პირადი ბიბლიოთეკის თაროზე მოიპოვეს ადგილი.“

**„ისტ ჰემპტონ სტარი“**

**1945 წელი**

**ნიუ-იორკის სიახლეები**

**ღორთი ჭიუცი**

„ერთ-ერთი ყველაზე გასაოცარი წიგნი რაც წავიკითხე, არის ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“ ეს გახლავთ რუსის (რომელიც ამერიკელად იქცა) არაერთი თავგადასავალი იმ ქვეყანაში, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს! ამ ქართველ ჯორჯს მართლაც უჩვეულო ამბები გადახდებოდა თავს — ცოცხალი, მხიარული, გასართობი ამბები, თუმცა ამ ყველაფრის მიღმა სულისა და ადამიანური ბუნების ცოდნის ნამდვილი ინტეგრირებულობა იგრძნობა. რა სიტუაციაშიც უნდა აღმოჩნდეს ჯორჯი, ის ამას ინსტინქტური კარგი გემოვნებით, შეუპოვრობითა და მიძლელობით ეგებება და მოვლენებიდან საუკეთესო გამოაქვს, რაც ალბათ, რუსული ხასიათის მთავარი შტრიხი უნდა იყოს. როცა ქვეყნის გარშემო მოგზაურობს, ასეთ რამეს ამბობს:

„...ფანჯარაში გაეყო თავი და ეთვლიერებინა ამერიკა, რომელიც ღვთის ნახელავ ხალიჩასავით იყო გადაშლილი.“

მწერალი გრძნობებს სიტყვებად აქტევს. ენა შესაძლოა, ნაკლოვანია, მაგრამ იდეა გულიდან მოდის.

„პარპერ ბრაზერსისთვის“ მისალოცი ამბავია, რომ ამ მახვილგონიერი, სახალისო და იუმორისტული წიგნის გამომცემლები არიან. ეს არის წიგნი, რომელიც ხმამაღლა უნდა წაიკითხოთ და ვერ ნახავთ ოჯახის ვერცერთ წევრს, რომელიც ამით ნასიამოვნები არ დარჩება.“

**„არგუსი“**

[პოლიდეი...]

1946 წელი

„ბოდგატის“ და ბანდიტები

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ რუსეთიდან ამერიკაში ჩამოსული ქართველის თავშესაქცევი თავგადასავლების აღწერაა. ის დაწერილია ჰელენ პაპაშვილის მიერ, მისი ქმრის, ჯორჯის უნიკალური, მომხიბლავი ინგლისურით მოყოლილი ამბის მიხედვით.

ამ წიგნში არ არის მოსაწყენი ადგილები. სიძნელებებს ხვდებიან შეუპოვარი ოპტიმიზმით, ხოლო ბედის ოდნავი გაღივება, რასაც მკვიდრი ამერიკელები როგორც კუთვნილს, ისე ღებულობენ, ჯორჯისა და მისი მეგობრებისთვის დაუფიქსირი წვეულებების გადახდის საბაზი ხდება. და რომ იცოდეთ, როგორი მეგობრები ჰყავს ჯორჯს! ეს არის „მისი აღმატებულება“, რომელსაც წასვლა ალიასკაზე უნდა, სადაც ყველა რუსულად ლაპარაკობს, რადგანაც ის ოდესღაც „ცარს“ ეკუთვნოდა და რომელსაც დაჟინებული აქვს, რომ „გამოცდილი მოგზაურები ყოველთვის ერიდებიან მთავარ ვზებს. ამით ქურდებს და ბანდიტებს აცდებით და არც ბაჟს გადაიხდით.“

ეს არის ვანტანგი, რომელიც აფრთხილებს გიორგის, არ შეირთოს ამერიკელი გოგონა, რადგან ისინი „ბოდგატის“ ცხოვრობენ. „ბოდგატი“, უნსნის ის, „დასახარჯი ფულის წინასწარ ჩამოწერას ჰქვია. ვთქვათ, უქეიფოდა ხარ. ისე, მაგალითისათვის, ვთქვათ, გინდა რუსულ კლუბში შეხვიდე, ერთი ჭიქა არაყი გადაკრა და მადის მოსაყვანად ჭაშაყი დააყოლო. ამისათვის ჯერ ბოდგატი უნდა დაწერო:

ვსვამ ვისკის — 35 ცენტი

ვაყოლებ ჭაშაყის ნაჭერს — 10 ცენტი.“

და ეს არის უამრავი დიდებული ადამიანი, რომლებიც არა მარტო გავამიარულებენ, არამედ გაგიზრდიან პატივისცემის გრძობას იმ ახალჩამოსულთა მიმართ, რომლებიც ამდენ სიყვარულსა და კულტურას ჰმატებენ ჩვენს ქვეყანას.“

ოოო

როგორც ვთქვი, 1945 წელი ძალიან „ხმაურიანია!“

ლიტერატურულ წერილებს, გამომხატურებებს ან კრიტიკულ რეცენზიებს პრინციპულად ვერ ვხედავ, მაგრამ ბევრად მეტია მკითხველთა რიცხვი; იმგვარ აღმამართა, რომელთაც ეგებ, თუ ფართო აუდიტორიას არა, მაგრამ უთუოდ უნდათ, რომ წიგნის ავტორებს მაინც საკუთარი მოსაზრება და ნაწარმოების წაკითხვით გამოწვეული ემოცია გაუმყდავნონ, ამისთან, თავისი პატივისცემაც დაუდასტურონ. ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების სპეციალურ კოლექციაში, როგორც ვთქვი, მკითხველთა მიერ გაგზავნილი არაერთი წერილია დაცული;

რასაკვირველია, შეუძლებელია, ყოველი წერილისა თუ სტატიის თუნდაც ფრაგმენტის მოტანა, ასევე, ამ უზარმაზარი არქივიდან მკითხველთა მიერ გაგზავნილი ყველა წერილის დამოწმება, მაგრამ რადგანაც ის ფართო მკითხველთათვის (როგორც ამერიკელი, ისე ქართველი) უცნობია, ზოგადი შთაბეჭდილებების

შესაქმნელად, გარკვეულ, მცირე ნაწილს მაინც წარმოვადგენ:

**სტიეტ აილენდ 1, ნიუ-იორკი**  
**ჰენდრიკს ავენიუ 8**  
**1945 წელი, 3 იანვარი**  
**რობერტ დენისტონი**

„ძვირფასო მისტერ და მისის პაპაშვილებო,  
გულშინ სალამოს წავიკითხე თქვენი ერთობ საოცარი წიგნი, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ და მომინდა, მომეწერა თქვენთვის და მეთქვა, მართლაც რა ძალიან დიდი სიამოვნება მივიღე. დიდი ხანია წიგნს ჩემთვის ასეთი სიცილი არ მოუგვრია. ნება მომეცით, როგორც კერძო სკოლის სპორტული ნაწილის დირექტორმა, გულისხმიერად მოგილოცოთ თქვენი ერთობლივი შედეგრი.  
თქვენი გულითადი  
(ხელმოწერა)“

**სანტა მონიკა, კალიფორნია**  
**ნომ. 318ა მილერ სტრიტი**  
**1945 წელი, 6 იანვარი**  
**მისის და მისტერ ჯორჯ პაპაშვილებს**  
**წიგნის მალაზია „მობი დიკი“**  
**აღენტაუნი, პენსილვანია**

„ძვირფასო მისტერ და მისის პაპაშვილებო,  
აქამდე არასდროს მიგვიწერია ავტორისათვის, მაგრამ ახლა დავამთავრეთ „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ კითხვა და ვერ დავძლიეთ სურვილი, მოგვეწერა თქვენთვის და გვეთქვა, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო წიგნია, რაც კი წავიკითხავს. ინდივიდუალური სტილით თქვენ შემოგვთავაზეთ მხიარულება, პათოსი, კარგი რეცეპტები, სულიერი გაგება და სიცოცხლის სიყვარული.

თუ მისტერ პაპაშვილი ნიმუშია, ვეთანხმებით მისტერ მარქვანდს, რომ „უფრო მეტი ქართველი უნდა გვყავდეს.“

ძალიან გულწრფელად,  
თქვენი მისის და მისტერ რობერტ მ. პული (ხელმოწერა).“

რამდენიმე დღის შემდეგ (11 იანვარი) ოჯახმა სხვა წერილიც მიიღო:

**გარლანდი, ტეხასი**  
**101 ნ. მე-11 ქუჩა**  
**1945 წელი, 11 იანვარი**  
**ჯო სმით დაიერი**

„ძვირფასო ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილებს,  
სულ ახლახან დავამთავრე თქვენი მშვენიერი წიგნის, „ყველაფერი შეიძლება



მოხდეს“ კითხვა და მინდა ვითხრათ, თუ როგორ ძალიან მომეწონა. **დიდი ხანია** ასეთი გასართობი წიგნი არ წამიკითხავს.

**მეც მწერალი ვარ** და ომამდე ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთში ვმუშაობდი თავისუფალ ჟურნალისტად.

**ჯორჯ, ნამყოფი ვარ თქვენს სამშობლოში და მომეწონა იტაურობა.** მიხარია, რუსეთს და მის მაკნოვრებლებს თავიანთი კუთვნილი ადგილი რომ უჭირავთ საბყაროში. იმედი მაქვს, ისინი შეინარჩუნებენ ამას და ვფიქრობ, წინაც წავლენ.

მოგვიანებით **კიდევ ვაპირებ თქვენი წიგნის წაკითხვას, ხოლო შემდეგ გადავცემ რამდენიმე ახალგაზრდა ჯარისკაცს, რომლებიც ჩემთან ახლო არიან დაბანაკებულები.** ვიცი, რომ მოეწონებათ.

ორივეს გისურვებთ უსაზღვრო წარმატებას და ვიმედოვნებ, რომ 1945 წელი თითოეულ თქვენგანს უამრავ სიკეთეს მოგიტანთ. საუკეთესო სურვილებით ტუქსიდან.

მე ვარ ძალიან გულწრფელი,  
(ხელმოწერა).“

ვთქვი, წიგნი პოპულარული ამერიკის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა შორისაც იყო-მეთქი. ორიოდ ნიმუში ამ მკითხველების წერილებიდან:

**სილვერ სპრინგი, მერილენდი**  
**მეთექვსმეტე ქუჩა 8405**  
**ბინა 309**

**1945 წელი, 27 იანვარი**  
**მისის უილიამ ო. კინგი**

„ძვირფას მისტერ და მისის პაპაშვილებს

ამას წინათ ჩემი ამხანაგი ჩემს გაბრაზებას ცდილობდა, რადგანაც მომსახურების კლუბის (როგორც ვხვდები, ეს ქალბატონების ერთგვარი კლუბია) მიწვევას – წვერობაზე დავთანხმდი. მე შევეპასუხე:

– რამდენადაც 35-ს გადავაბიჯე, ჩემი აზრით, უკვე საკმაო ასაკი მაქვს იმისათვის, რომ მოვეშვა და ყოველგვარი დაძაბვის გარეშე ვაკეთო კეთილი საქმეები-მეთქი.

მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ფან-წერილის წერა ცოტა მიჭირს. თუმცა თქვენი წიგნის, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ სიტბო მარწმუნებს, რომ ჩემს სურვილს გამოვთქვა ალტაცება თქვენი ნაშრომის გამო, გაგებით მოეკიდებით და არ ჩამოვლით კიდევ ერთ აბეზარ მკითხველად.

ახლა დავამთავრე წერილის წერა ჩემი ქმრისათვის, რომელიც ალიასკაზე სამხედრო-საპაერო ძალებში იმყოფება და საკმაოდ გრძელი ციტატა მოვუყვანე წიგნიდან „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“ წიგნი, რომელიც წავიკითხე, ნათხოვარი მქონდა, მაგრამ ორშაბათ საღამოსთვის ველოდები ჩემს საკუთარ ეგზემპლარს. და როცა ქმარი დაბრუნდება, ხმამალა წავიკითხავთ, რადგან ამ საღამოს, სადილის შემდეგ, ჩვენ 15 წლის ვაჟს წავუკითხე თავი „უზრდელი კაცი.““

წერილისთვის ძალიან გრძელი ციტატა მოვიყვანე, რომელიც მოიცავდა 78-ე გვერდის — ბოლო და 79-ე გვერდის პირველ აბზაცებს. იქ ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ გაიმარჯვა მისტერ პ-მ ლიტერატურულ კონკურსში, ხოლო მისის პ-მ ხელი მიჰყო გამომგონებლობას. ჩვენი ოჯახიც ამის მსგავსია (ბილი ამჭერად შევებულემა-შია სტანდარტების ეროვნული ბიუროდან), მაგრამ ვგრძნობ, რომ ის მოიგებს წერით კონკურსებს, რადგანაც ნაწერი, რაშიც ფულს მიხდიან, იმდენად მოსაწყენია (კვლევითი მასალაა), რომ მე თვითონაც ვერ ვიტან მის კითხვას.

მას აგრეთვე მივწერე „ბედნიერ ქორწინებასთან“ დაკავშირებული ძია ჯონის ორი წესი. ჩვენც სერიოზულად ვუღდგებით საქმელს. ბილი ახალი ორღენიდან არის. ასე რომ, წითელი ლობიოს და ბრინჯის მომზადება ვიცი; ჩემი ვირჯინიული და მერილენდური წარმოშობა, როგორც იცით, გულისხმობს ვაფლს, ქათამს და მარცვლეულის პურს, მაგრამ გსმენიათ ოდესმე შემწვარი ატმის შესახებ? ის დელავერიდან არის.

ახლა კი ერთი სერიოზული მოსაზრების შესახებ. ჩემი წინაპარი მამის მხრიდან დელავერში ინგლისელებზე ადრე ჩავიდა და უკვე იქ იყო, როცა ინგლისელების კოლონია იქმნებოდა. ასე რომ, ამ შტატში პირველი მიწის ნაკვეთი მას გადაეცა. ეს პატარა, უპრეტენზიო წიგნი „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ კარგია „ძველი ამერიკელებისთვის.“ ის სასარგებლოა, რადგან საკუთარ თავს გვაჩვენებს, ოდონდ სხვისი თვალით; გვახსენებს, რაოდენ მაღლიერები უნდა ვიყოთ; და ვაცნობიერებთ, თუ რამდენი უნდა გაიღონ „ახალმა ამერიკელებმა“ ამ ქვეყნისთვის. ჩემი ნება რომ იყოს, ომის დამთავრების შემდეგ, შალიკო სამშვიდობო მოლაპარაკების მაგიდასთან იჯდებოდა.

თორმეტიოდე წერილი მაქვს დასაწერი; მძულს მათი წერა იმ შემთხვევების გარდა, როცა სული მკარნახობს. სასიამოვნო ამბავი ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ის არის, რომ პასუხს არ ითხოვს.

გულწრფელად თქვენი  
(ხელმოწერა).“

**ბრუკლინი, მასაჩუსეტსი**

**ფრენსის ქუჩა 103**

**1945 წელი, 30 იანვარი**

**ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილებს**

**„პარპერ ენდ ბრაზერს,“ ნიუ-იორკი**

„შვირფასო მისტერ და მისის პაპაშვილებო,

მინდა გითხრა, რომ ძალიან მომეწონა თქვენი წიგნი, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“ წიგნი მივიღეთ, როგორც ჩვენი თვის წიგნის დამატება და რადგან ოჯახის ყველა წევრი თვის წიგნს მიაწყდა, მე თქვენი წავიკითხე.

ახლა მთელი ოჯახი მას კითხულობს — ხმამაღლა და ჩუმად; და ყველა იმ სტუმარს უკითხავენ, რომელსაც წაკითხული არა აქვს. თქვენი წიგნი ჩვენს სახლს სჭირდება, რათა ჩვენი გონება გადართულიყო ომიდან და ოჯახის ყველა იმ წევრზე დარდ-





**ისაგან, რომელიც ოკეანის გაღმა იბრძვის.**

ჩემთვის წიგნში მწვერვალია ადგილი პურის ცომის შესახებ. ძალიან ვისჩამოვნი და ნათლად ვხედავდი, როგორ ხტუნვა-ხტუნვით იზრდებოდა ცომი თბილ ტროლეებში.

ვმუშაობ რა თავდაცვის სისტემაში, ვერ შევძლებ თქვენს მოსმენას ავტორთა კლუბის ვახშამზე. იქნებ, სხვა დროსაც ჩამოხვიდეთ ბოსტონში, რომ უფრო მეტმა ჩვენგანმა შეძლოს თქვენი მოსმენა.

იმედი მაქვს, რომ მალე დაწერო ახალ წიგნს და დარწმუნებული ვარ, თქვენი უზრუნველი ფილოსოფიით ორივენი მიაღწევთ „ძია ჯონის“ სიმწიფის ასაკამდე. გულწრფელად თქვენი, იზაბელ ც. პარლბერტი (ხელმოწერა).“

**ქლიაფილდი, პენსილვანია**

**401 ი. ლოკუსტ სტრიტი**

**1945 წელი, 8 თებერვალი**

**ჯორჯ და ჰელენ უეიტ პაპაშვილებს**

**წიგნის მალაზია „მოზი დიკისთვის“ გადასაცემად**

**ალენტაუნი, პენსილვანია**

„ძვირფასო მისტერ და მისის პაპაშვილებო,

რადგან „თვის წიგნის კლუბის“ წევრი ვარ, მივიღე თქვენი წიგნი, როგორც თვის რჩეული. როგორც წესი და რიგია, წიგნი ხელთ ავიღე და დავიწყე კითხვა, რათა მასთან დაკავშირებით გარკვეული მოსაზრება მქონოდა. ეს ხდებოდა დაახლოებით საღამოს შვიდ საათზე და გვეგაში მქონდა შოუზე წასვლა, მაგრამ თქვენი წიგნი იმდენად კარგი აღმოჩნდა, რომ მთელი დარჩენილი საღამოსახლში გავატარე და ბოლომდე წავიკითხე. ჩემი ჰობია იმ ავტორთა ავტოგრაფების შეგროვება, რომელთა წიგნებიც მომწონს. ამ წერილის დაწერის მიზეზიც ეს არის.

წერილს ახლავს კონვერტი მისამართით და თეთრი ბარათი. თუ ბარათზე თქვენ ავტოგრაფს დატოვებთ და უკან გამოგიზავნით, ძალიან მაღლიერი დავარჩებით.

ძალიან გულწრფელად,

თქვენი (ხელმოწერა).“

**ნიუ-ჰორტელი, ჯეფერსონი**

**ლოკუსტის ქუჩა, მე-12 ბულვარი**

**„სენტ ლუისის არისტოკრატი“**

**ოთახი 800**

**1945 წელი, 11 თებერვალი**

**ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილებს**

**წიგნის მალაზია „მოზი დიკი“**

**ალენტაუნი, პენსილვანია**

„ძვირფასო მეგობრებო,



მე თქვენ მოგმართავთ როგორც მეგობრებს, რადგანაც იმაზე მეტი რა უნდა გააკეთონ მეგობრებმა, ვიდრე გაჩუქონ ყველაზე სასიამოვნო დღე. მე ახლანა და ვამთავრე თქვენი წიგნის, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ კითხვა და ისე ძალიან მინდა გადაგიხადოთ მადლობა ამ თავგადასავლებისთვის, რომ საჭირო სიტყვებს საკუთარი ემოციების გამოსახატად ვერ ვბოულობ. ისევ თქვენ უნდა დაგესხნოთ. ასე რომ, მე ვამბობ: „მე თქვენ მიკვარხართ.“

ვმოგზაურობ რა ხშირად, დროდადრო თავს უნუგეშოდ, მარტოდ ვგრძნობ. . . დღესაც ერთ-ერთი ასეთი დღე გავლიე.

ხოლო ახლა იმაზე მეტის თქმა არ შემიძლია, რომ ბრწყინვალე დრო გავატარე; ძალიან ვისიამოვნე თქვენს მეგობრებთან შეხვედრით... იმის თქმა მინდა, რომ ისე ვგრძნობ თავს, თითქოს მართლა თქვენთან ერთად ვყოფილიყავი.

გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ როცა ერთ დღეს, მე და ჩემი ცოლი ოჯახთან ერთად, პოტსტაუნის მახლობლად ვიქნებით, მომეცემა აღენათაუნში ჩამოსვლის საშუალება და თქვენთვის მადლობის პირადად გადახდა.

თქვენი გულითადი, (ხელმოწერა)  
აივი დრაივი 1518  
შარლოტი 4 ნ. ც.“

**მონრეალი, კვებეკი**

წმინდა კატერინის გზა, კოტის ქუჩა 3800

ტელეფონი: ატლანტიკ 2583

1945 წელი, 18 თებერვალი

მარტინ გ. ჰ. პრინზი – ფილოსოფიის დოქტორი ფ. ც. ა. ც.

მისის და მისტერ ჯორჯ პაპაშვილებს

წიგნის მალაზია „მოზი დიკი“

„ძვირფასო მეგობრებო,

მეგობრებს გიწოდებთ, რადგან თქვენი წიგნის წაკითხვის შემდეგ ისეთი გრძნობა დამეფულა, თითქოს წლებია, რაც გიცნობთ.

წიგნი გულში ვიყიდე და წუხელვე, ღამით წავიკითხე. შეიძლება სენტიმენტალური ბრიყვი ვარ, მაგრამ მე ის შემიყვარდა და მინდა ამისთვის მადლობა გადაგიხადოთ; ხოლო ამ დღეებში შევეცდები ბეილოს დამზადებას და მაშინ მე და ჩემი ცოლი დავლევთ თქვენი ჯანმრთელობისა და ბედნიერების სადღეგრძელოს.

თქვენი (ხელმოწერა).“

საერთო აღფრთოვანების გაზიარების გარდა, არაერთ ადამიანს „საკუთარი მოგონებები“ წამოუტივტივდა და გადაწყვიტა, მწერლებისთვისაც გაეზიარებინა. მათი ნაამბობიდან არაერთი დეტალია საგულისხმო, ისტორიებიც საინტერესო... როგორც მაგალითად, ამ შემთხვევაში:

**ბოსტონი**

**ფედერალური ქუჩა 140**

**1945 წელი, 5 მარტი**

„ძვირფასო მისტერ და მისის პაპაშვილებო,

ჩემმა ოჯახმა და მე დიდი სიამოვნებითა და ყურადღებით წაგიკითხეთ თქვენი წიგნი; მე განსაკუთრებული ინტერესი მქონდა, რადგან 1919 წელს, რამდენიმე თვე კავკასიაში გავატარე, გაგონილი მქონდა ხევსურების შესახებ და მინდოდა მომენახულებინა მათი ოლქი, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა.

თუმცა, რამდენიმე ხანჯალი კი ჩამოვიტანე, რომელთაც ლეკურად გაწყობილი ტარები და ქარქაშები ჰქონდა. მათ შორის ხევსურული მიხვილიც იყო. ეს უკანასკნელი ორპირიანი ხმალი გახლდათ, რომელსაც ერთ მხარეს სპილენძში ინკრუსტირებული სფეროს და ჯვრის ჯვაროსნული ნიშანი ჰქონდა. მეორე მხარეს კი — მგლისა. პიროვნებამ, რომლისგანაც ის შევიძინე, თავის მხრივ, თავად ანდრონიკოვის ცოლისაგან იყიდა, რომელიც, როგორც მითხრეს, გასული საუკუნის ბოლო წლებში ამ ოლქს განაგებდა. ტარი და ქარქაში დამზადებულია კუბაჩში, დაღესტანში.

თუ ოდესმე ჩვენს სიახლოვეს მოხვდებით და მიცნობებთ ამის შესახებ, მე და ჩემი ოჯახი მოხარულნი ვიქნებით, გიმასპინძლოთ.

გულწრფელად თქვენი,

კუპლი ეიმორ, უმცროსი (ხელმოწერა).“

**პიტსბურგი, პენსილვანია**

**969 ლიბერტი ავენიუ**

**ატლანტიკი 4085**

**1945 წელი, 16 მარტი**

**ოლგა სნაიდერი**

**წიგნები და ჟურნალები**

**მისის და მისტერ ჯორჯ პაპაშვილებს**

**წიგნის მაღაზია „მოზი დიკი“**

**ალენტაუნი, პენსილვანია**

„ძვირფასო მისტერ და მისის პაპაშვილებო,

მინდა გითხრათ, თუ რა სიამოვნება მომანიჭა „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ კითხვამ და ასევე, მისმა გაყიდვამ. წიგნი პიტსბურგში ძალიან კარგად სალდება. ჩემი აზრით, უფრო მეტმა წიგნით მოვაპტრემ უნდა დაწეროს წიგნები.

ღროდადრო მთხოვენ ხოლმე, დავწერო წიგნების მიმოხილვები პიტსბურგის ყოველკვირეული ჟურნალის — „ბიულეტენი ინდექსისთვის.“ გიგზავნით 15 მარტის ეგზემპლარს, რომლის მე-13 გვერდზე ნახსენებია თქვენი წიგნი.

გამომდინარე ჟურნალის პოლიტიკიდან, რომლის მიხედვით, მან ხაზი უნდა გაუსვას წიგნებს პიტსბურგის შესახებ ან პიტსბურგელ ავტორებს, მე საშუალება არ მქონდა, საკმაო მოცულობა დამეთმო წიგნისთვის „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, რადგან წიგნის ძალიან მცირე ნაწილი ეთმობა პიტსბურგს. თუმცა, მოხარული ვარ, რომ სულ ცოტა იმის საშუალება მაინც მომეცა, შეხსენებინა წიგნი, რომელმაც

ამდენი სიამოვნება მომანიჭა.  
გულწრფელად თქვენი  
(ხელმოწერა).“

ამ წერილმაც განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია:

**ვილბურ ლეინი 570 — დუბიუქ, აიოვა**  
**1945 წელი, 20 მარტი**

„... როცა აყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ვკითხულობდი, მამაჩემზე ვფიქრობ-  
დი. მე არ ვიცი, დაიბადა თუ არა ის საქართველოში, მაგრამ პატარაობისას იქ  
ცხოვრობდა. კარგად მახსოვს წვიმიანი შუადღეები სან-ფრანცისკოში, როცა  
ჩვენთან უამრავი ხალხი მოდიოდა — ძირითადად, მამაკაცები. მამა საოცარ კერძებს  
ამზადებდა მარცვლეულისა და სოკოსაგან, მცენარეებისა და რძის პროდუქტები-  
სგან და ა. შ. ყველანი ისხდნენ მაგიდის გარშემო, სვამდნენ და ჰყვებოდნენ ამბებს,  
მღეროდნენ სიმღერებს. დედაჩემი საკმაოდ ირონიული იყო ასეთი რამეებისადმი,  
მაგრამ ბევრი მსგავსი შუადღე მაგონდება. დედას მოსწონდა ის საქმელები, რომელ-  
საც ამზადებდნენ. თუმცა ამის შემდეგ ჭურჭლის რეცხვა აღარ ეხალისებოდა.

**სასიამოვნო იყო წიგნის კითხვა და ჩემთვის ბავშვობის ესოდენ საყვარელ**  
**ატმოსფეროში დაბრუნება, ხოლო ოფიციალურ ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებ,**  
**ეს იყო მაღალი ლიტერატურის ნიმუში. კიდევ ერთხელ გილოცავთ.**

ისმის რაიმე ბერკლიში მცხოვრები ჩვენი მეგობრებისგან? როგორც ჩანს, ამ  
ომის დროს ხალხმა შეწყვიტა წერილების წერა. წლების განმავლობაში არაფერი  
გამიგია ჩვენი საერთო ახლობლების შესახებ.

გულითადად,

ევა ტრიემი (ხელმოწერა)

(მისის პოლ ელსვორთ ტრიემი).“

იმავე, 1945 წლის 24 მარტს წერილი სამების სამრევლოდან მოვიდა. დაკვირ-  
ვებული თვალი, ცოდნა და ის გზა, რომელზეც ავტორი ჰყვება, ცხადს ხდის, რამ-  
დენად განსწავლულია წერილის ავტორი. საქართველოს კუთხეებს მექანიკურად კი  
არ ასახელებს, არამედ კარგად გაცნობიერებული პიროვნების პოზიციიდან „ორი-  
ოდ ფრაზით“ ზუსტად გამოხატავს იმ თავისებურებებს, რომელიც თითოეულ მათ-  
განს გააჩნია. მან კარგად იცის, რომელ და როგორ ქვეყანაზე საუბრობს:

**ათენი, პენა**

**სამების სამრევლო**

**1945 წელი, 24 მარტი**

„ჩემო ძვირფასო მისტერ და მისის პაპაშვილებო,  
მომეცა საშუალება თქვენთვის მეთქვა, რა დიდი სიამოვნება მომანიჭა თქვენი  
წიგნის, აყველაფერი შეიძლება მოხდეს“ კითხვამ. მიწიერი სიკეთის შეგრძნება,

ცხოვრებისეული სიძნელეებისა და აშკარა კატასტროფების იუმორით მიღება და ქეშმარიტად სათუთი გრძობები, რომელიც ამ წიგნიდან გამოსჰვივის, სიყვარულით აავსებს მილიონობით ადამიანს და თქვენც, ყველასთან ერთად.

თუმცა, ამ წიგნით მე სხვა მკითხველთა უმეტესობაზე მეტად ვისიაზოვნი, რადგან ქართული ფონი ჩემთვის ისევე ჩვეულია, როგორც პენსილვანიური. ჩემი პობი აღმოსავლური ხალიჩებია, ხოლო განსაკუთრებული ფავორიტები — კავკასიური ნაკეთობები. ჩემი კვლევებისთვის, ცხადია, ბევრი წავიკითხე საქართველოს შესახებ და მხოლოდ სამი ანბანის არსებობამ და განსხვავებული ფორმის ასოებმა დამაფრთხს, რომ მეცადა და ენა შემესწავლა. მიუხედავად იმისა, რომ ოცჯერ ან მეტჯერ მაინც მაქვს გავლილი დარიალის ხეობა, იქ არასოდეს შევეჩერებულვარ. თბილისში სტუმრად დავდივარ მომხიბლავ ადამიანებთან; ქალაქიდან მთებში წავიდი ცხელი ზაფხულის დროს — კახური ღვინის გემო ენის წვერზე მიტრიალებს; ვიყავი იმერეთში და სამეგრელოში... [მოვინახულე] ხევსურები მათ შორეულ ხეობაში, მიკვირდა, რომ ჩერქეზებსა და სვანებს შეეძლოთ ერთმანეთთან ასე ახლო ეცხოვრაო და თან ერთმანეთისგან ასე ძალიან განსხვავებულნი ყოფილიყვნენ. . . წავიკითხე ჯალოსნობრი ზღაპრების რამდენიმე ნიმუში ქართლიდან, რომელიც ინგლისურად, რამდენადაც შევძელი დამედგინა, შემოინახა თავადმა მუსა ბეი ტუგანოვმა; განაცისტებული გერმანულ ენაზე დაწერილი ესაღ ბეის „კავკასიის თორმეტი საიდუმლო“ ჩემთვის არარეალისტურად გამოიყურება, მაგრამ ქართული ისტორიული საზოგადოების მთელი მატინე, რომელიც ამ ქვეყანაში მოიპოვება, მე მგონი წავიკითხე. ფარნავაზი, ვახტანგი, თამარი. როგორ ცხოვრობენ აფხაზები ასე დიდხანს? ვინაჲვთ დოქტორების: უორდროპისა და მარის შრომები? ეს უკანასკნელი ქუთაისშია დაბადებული და თბილისის მუზეუმებში დაცული უძველესი დოკუმენტების თარგმნა ფრანგულად და ინგლისურად დაიწყო. მართალია, რომ კავკასიის ყველა სოფელში ქსოვენ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ ხალიჩებს და არამც სხვანაირებს? „ქართულ“ ნიმუშებს მართლა აქვთ კუბოკრული ფიგურები? [ლილანურ] ხალიჩებს ჰილას ეძახიან თუ ხილას, თუ ის ხალიჩის აღმნიშვნელი სპარსული სიტყვის „ხალის“ ან „ხალიჩის“ დამახინჯებაა?

მე ხშირად ვარ ხოლმე თქვენს მახლობლად, ბეთლემში. და თუ პატრის დამდებთ, ერთხელ მაინც მოვინახულებთ ორივეს, მაგრამ გაფრთხილებთ — მე კითხვებს დაგაყრით.

წიგნი ძალიან მომეწონა.

გულწრფელად (ხელმოწერა).“

მკითხველები არაიშვიათად, ბაძავენ წიგნის პერსონაჟებს. ძირითადად, ეს ბავშვობის ასაკში ხდება: გმირობის, ბრძოლებში გამარჯვებული რაინდების, კეთილი მეფისწულების „მიბაძვის“ დროს, სათავგადასავლო ამბებისასაც... თამაშობენ და თავს „იმ სიტუაციაში“ ცხადად წარმოიდგენენ. თუმცა უფროსებსაც არაერთხელ დამართიათ მსგავსი; ერთი ასეთი მაგალითი ტენანტ ჰარბორიდან გამოგზავნილი მარჯორი კუკის წერილი გახლავთ:

1945 წელი, 27 მარტი

„ძვირფასო პაპაშვილებო,

დღეს ჩემი სახლი და ოჯახი „უნუგეშოდ“ უგულვებელვყავი. მიზეზი? ვერ მოვწყუდი თქვენს საოცრად საინტერესო წიგნს. ვატყობ, რომ სინდისი არ მომცემს უფლებას იქამდე, მანამ არ გეტყვი, თუ როგორ ძალიან მიყვარხართ თქვენ — ჰელენა გერბერტოვნა და გიორგი ივანიჩი! ვფიქრობ, თქვენ — ორივეს ძალიან უნდა გქონდეთ განვითარებული იუმორის გრძობა და მე ვიცი, რომ თქვენ დიდ სიხარულს იღებთ ერთმანეთის და საერთოდ, ცხოვრებისაგან. ჩემი თავი ერთ რამეში გამოვიჭირე: გიორგის დამტკრეული ინგლისურით დავიწყე ლაპარაკი და ფიქრიც კი. ჰელენ, არ მინდა გაწყენინოთ, მაგრამ თუ თქვენი ფოტოს მიხედვით ვიმსჯელებ, რუსული სამზარეულოს სიუბვეს სრულიად არ შეუწუხებიათ. ასევე, მომეცით უფლება გითხრათ, რომ თქვენი წყვილი ძალიან კარგად გამოიყურება.

და ჰელენ, თუ ოდესმე კიდევ გაგიჩნდებათ სურვილი თქვენი გამოცდილება ფურცელზე გადაიტანოთ, ერთი წამითაც ნუ იყოყმანებთ. მე მინდა, ყველამ წაიკითხოთ თქვენი წიგნი...

მაინტერესებს, თუ არსებობენ პატარა ივანიჩები, ან პაპაშვილები, ანდა რასაც ეძახით საკუთარ თავს? თავად სამის პატრონმა, შემძლია გითხრათ, რომ ერთობ ამადღეღვებელი რამ გელით, უფრო მეტი თუ არა. ისე არ გაიგოთ, თითქოს შობადობაზე კონტროლის მტკიცე მომხრე არ ვიყო.

ძალიან გულწრფელად — ახალი ამხანაგი

მარჯორი კუკი

P.S. თქვენი წიგნის წაკითხვის შემდეგ, ჩემი გვარი ძალიან მოკლედ უღერს. სურვილი მაქვს საკუთარ თავს „კუკსკი“ დაუუძახო.“

ჯერის სიტი, ნიუ-ჯერსი

ჯექსონ ავენიუ 80

1945 წელი, 19 მაისი

„მოვესალმებით!

გასულ კვირას დავამთავრე „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ კითხვა და დასაწყისიდან ბოლო წინადადებამდე, ერთიანად მომეწონა. ყელში მოწოლილ ბურთს განუწყვეტლივ ენაცვლებოდა სიცილის „შეტევები.“ იმ ეპიზოდს, რომელიც პარკში ყვავილების კრფას ეხებოდა, ავტობუსში ვკითხულობდი და არავის უნდოდა მზოდავ, მოკრიაზე მანიაკთან ახლოს ყოფნა! რა ეჭნა, ვერაფრით ვიკავებდი სიცილს!

მომეწონა თქვენი წერის სტილი. სასაცილო ამბავია — მიუხედავად იმისა, რომ არტიკლები გამოტოვებული გაქვთ. ეს ვერც კი გავაცნობიერე, ვიდრე ამხანაგს ხმამაღლა არ წავუკითხე ნაწყვეტი.

მართლები იყავით, როცა თქვით: „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“ ერთი რამ უკვე მოხდა, რაც თქვენს წიგნს ეხება. ვატყობ, რომ ეს ჩემი, როგორც ფანის, პირველი წერილია — მაგრამ იმედია, თქვენთვის უკანასკნელი არ არის.

გმადლობთ ძალიან თავ შესაქცევი წიგნისათვის — მე ის მომეწონა. გულწრფელად, (ხელმოწერა).“



### **ძვირფასო მეგობრებო!**

„ღღესღღობით, როცა უამრავი საინტერესო რამ ხდება, ნამდვილად სასიამოვნოა ისეთი რამის მიგნება, რაც თვალთახედვას გაგინათებს.

თქვენი წიგნის შესახებ ალტაცებული ვუყვები ყველას, ვინც მკითხველს ჰგავს. ცხადია, ვამბობ, რომ ჩემს მიერ გაყიდული ყველა წიგნიდან საკომისიოს ვიღებ.

გერმანიაში მყოფმა ჩემმა ქმარმა მითხრა, საკითხავი მასალა არ გამომიგზავნი, რადგან აქაც უამრავი მაქვსო. ამას წინათ ფოსტაში მარკების რიგში ვიდექი, როცა დავინახე ჩემს პირდაპირ მდგარი გოგონა 3-4 წიგნით ხელში, რომელთა შორის „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ერია. კეთილგანწყობილმა ვკითხე, მასაც ჩემსავე ით მოეწონა წიგნი თუ არა. გაოცებულმა შემომხედა. მე კი ხალისიანად დაიწვეტიტინი. იქამდე ვუამბობდი სხვადასხვა ებიზოდის შესახებ, სანამ ცხადად არ დავინახე, რომ ის ვერ ხვდებოდა, რაზე ვლაპარაკობდი. საბოლოოდ მითხრა:

„— ეს დაწყებითი კლასების საკითხავია და არ მომწონს.“

მე მას არ დავუჯერე და მოვუყევი თქვენი წიგნის შესახებ. რომ დავერწმუნებო, წიგნი მაჩვენა. მე კი ასეთი რამ წავიკითხე: „მერის შეუძლია სირბილი, ტომის შეუძლია წერა,“ და ა.შ. რომ გითხრათ გავბრაზდი-თქო, ძალიან რბილად ნათქვამი გამომივა!

ღიახ, იმის თქმა მინდოდა, ვიფიქრე, ესიამოვნებათ-მეთქი იმის გაგება, რომ მათი წიგნი ძალიან სასაცილო შემთხვევის საბაზი გახდა.

მაგრამ როგორც კი ჩემი და ჩემი დის, მინცის მეგობრები დაამთავრებენ თქვენი წიგნის კითხვას, მაშინვე გავუგზავნი ჩემს ქმარს. მას თავისი მოწყობილობებიც ეყოფა სათრევად, მაგრამ ჩემი აზრით, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ თავისი წონა ოქრო ღირს. ამას ისევე მნიშვნელოვნად ვთვლი, როგორც მისი კონსტრუქციის დანას, რომელსაც ყველგან დაათრევს და ყველაფერს ურჩევნია.

ჩემს ქმარზე ჰკუას ვკარგავ, მაგრამ თუ ოდესმე გადავწყვეტ მის ვინმესთან შედარებას — ეს გიორგი იქნება. ისეთივე თბილი, ისეთივე გულწრფელი, ისეთივე პატიოსანი.

რალაც მკარნახობს, რომ თქვენ ალბათ, მე და მინცი გადარეულები გგონივართ. არა, არა ვართ. ჩვენ უბრალოდ ორი დანი ვართ, ვინც ყველაფერში კარგს ხედავს: ჰკუამხიარულები, უპრეტენზიოები.

გააზრძელეთ მხიარულება, გეთაყვა.

გულწრფელად (ხელმოწერა).“

**ლოს-ანჯელესი, კალიფორნია**

**ფარგოს ქუჩა 2333**

**ოლიმპია 4551**

**1945 წელი, 16 ივნისი**

„ძვირფასო პელენ გერბერტოვნა და გიორგი ივანიჩი —



თქვენი წიგნი დავამთავრე. დიდი მადლობა ხარხარისა და იმავდროულად გულისტკივილის გამოც. მაგრამ ახლა მე რა ვქნა? მე ახლა გიორგის ინგლისურით დავიწყე ლაპარაკი. ექიმს არაფრის გაკეთება არ შეუძლია. სამაგიეროდ, მირჩია: უმჯობესია, სასწრაფოდ დაამზადებო პასპორტი და წახვიდეო საქართველოში, მაგრამ მე ეს არ შემიძლია. აქ უნდა დავრჩე. და მაშ, რაღა ვქნა? ეგებ, თქვენ მოილაპარაკოთ, ან კიდევ, უმჯობესია, დაწეროთ ახალი წიგნი, მე რომ ვადავიფიქრო. ძალიან გულწრფელად თქვენი იულა ბოუნენ[...] (ხელმოწერა)“.

**ალტუნა, პენსილვანია**  
**მეთორმეტე აგვისტო 1122**  
**1945 წელი, 27 ივნისი**

**ფრედ დ. მილერი, დ. დ. ს.**  
**ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილებს**  
**წიგნის მალაზია „მოზი დიკი“**  
**აღნათაუნი, პენსილვანია**

„ჩემო ძვირფასებო, ჯორჯ და ჰელენ,

არ ვიცი, მიიღეთ თუ არა ბარათი, რომელიც გასული ოთხშაბათის დილას ჩავდე ფერმასთან მდებარე თქვენს საფოსტო ყუთში.

თითქმის ერთი თვის წინ ნიუ-იორკის ჰოსპიტალში ყურზე ოპერაცია გავიკეთე და გამოჯანმრთელების პერიოდში წავიკითხე თქვენი ძალიან საინტერესო და მომნუსხველი წიგნი „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“ სასიამოვნოდ ავღელდი.

სახლში დაბრუნებისას: ნიუ-იორკიდან – ალტუნაში, მოვანერხე აღნათაუნში გაჩერება იმ განსაკუთრებული მიზეზის გამო, რომ მინდოდა, მენახეთ თქვენ, ორი არაჩვეულებრივი ადამიანი. ამასთან, რამდენიმე ავტოგრაფიანი ეგზემპლარიც მინდოდა. ამიტომ, სამშაბათ საღამოს და ოთხშაბათ დილას მიუხედავად იმისა, რომ ჩემი გზიდან 40 მილით გადავუხვიე, თქვენს ფერმასთან მოვედი, მაგრამ იქ არ ბრძანდებოდით. შემდეგ წიგნის მალაზიაში გავწიე, იქაც არ დამხვდით. ერთობ გაწბილებული დავრჩი, მაგრამ ვიმედოვნებ, მომავალში, ერთ მშვენიერ დღეს, შენება სიამოვნება ორივე ერთად გნახოთ.

ამასთან ერთად, გიგზავნით ჩემს ჩეკს 6 დოლარზე და დიდად მადლიერი დავრჩებით, თუ თქვენს სამ ავტოგრაფიან წიგნს გამომიგზავნით. ერთი ავტოგრაფი ფრედ დ. მილერისთვის არის; მეორე – ჩემი ძალიან ძვირფასი, ჩიკაგოელი (ილინოისი) მეგობრის, ჯიმს რობინსონისთვის, რომელიც ვიცი, რომ ძალიან დააფასებს ამ წიგნს; და კიდევ ერთი, მესამე – ალტუნას ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარის, მისის ვირჯინია კრიკისთვის. შესაძლოა, ეს თავხედობაა, მაგრამ ვიცი, რომ ისინი ძალიან მოიხიბლებიან.

ველი იმ სასიამოვნო მომენტს, რომელსაც ოდესმე, მომავალში თქვენთან შეხვედრა მომანიჭებს.

გულწრფელობით



ფრედ დ. მილერი (ხელმოწერა):“

ვაშინგტონი 25, კოლუმბიის ოლქი  
ვირჯინია, აგენიუ 21  
არმიის და ფლოტის შტაბის კოლეჯი  
ახალი ომის განყოფილების შენობა  
1946 წელი, 1 აპრილი  
მისტერ და მისის პაპაშვილებს  
წიგნის მალაზია „მობი დიკი“  
ალენტაუნი, პენსილვანია  
„ძვირფასო ხალხო,

გთხოვთ, ნახოთ თანდართული ჩეკი 2.25 დოლარზე, რომელიც დაფარავს ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ერთი ეგზემპლიარის შექმნის, შეფუთვისა და გამომწვევის საფასურს.

იქნებ წააქეზოთ ავტორები, ხელი მოაწერონ ჩემთვის ამ წიგნი? რეალურად, მე მათი მეზობელი ვარ ლანკასტერიდან. ძალიან გამიტაცა მისმა კითხვამ, ხოლო თქვენი ხელმოწერა მას განსაკუთრებულ განძად აქცევს.

მგერა, რომ ჩემს პატარა თავხედობას შემწყნარებლურად მოეკიდებით. გულწრფელად, ლინვუდ ს. ინგენფელტერი (ხელმოწერა)  
კაპიტანი. ა. გ. დ.

კვლევის და ანალიზის განყოფილება.“

ალბანი, ნიუ-იორკი

მორისის ქუჩა 697

1949 წელი, 18 მაისი

ჯ. სკოტ ნიკოლსი

ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილებს

ალენტაუნი, პენსილვანია

„ძვირფასო მისტერ და მისის პაპაშვილებო,

ამ წერილით ვაცხადებთ, რომ დიდი სიამოვნებით წავიკითხეთ თქვენი მშვენიერი წიგნი „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“

ასევე, ჩვენთვის პრივილეგია იყო თქვენი ნახვა „დელმარის პროგრესის კლუბის“ შეხვედრაზე, სადაც სიტყვით გამოდიოდით.

ახლა თავს თქვენს მოვალედ ვთვლით მადლობა მოგახსენოთ 8 მაისის „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ ერთ-ერთ რუბრიკაში გამოქვეყნებული: „რა თქვა განდუ გილმა“-ს გამო. გამადლობთ შეტყობინებისათვის, „ეს წუთიც მარადისობის ნაწილია.“

ქეშმარიტად თქვენი, (ხელმოწერა):“

მილტონ 86, მასაჩუსეტსი

1949 წელი, 2 ნოემბერი

## ფრანცისკანელი კაპუცინების მონასტერი

[. . .]

„ძვირფასო მისტერ და მისის პაპაშვილებო,

განვიცდი, რომ ეს სამადლობელი წერილი დაგვიანებულია, იმიტომ, რომ წიგნები მხოლოდ ორიოდ დღის წინ მივიღეთ. მათ მიღებამდე ვღელავდი. ვღელავდი იმაზეც, ჰქონდა თუ არა ორივეს ავტოგრაფი. ჩემს ახალწვეულ ბიჭებს ერთი სული ჰქონდათ. „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ მოესმინათ, ხოლო სხვებს — მხოლოდ ის, რომ კიდევ ერთხელ მოესმინათ. . . დღესასწაული იყო. ამდენად, დასვენების დღე. ყოველდღიური დამღლევი სამუშაოსგან თავისუფალი ბიჭები აჭაურობას სტუმრობდნენ. მთელი ჩემი ოთახი დაიკავეს; ზოგი საწოლზე იჯდა, ზოგიც — იატაკზე, ვინ სიგარეტს ეწეოდა და ვინ კიდევ ტკბილეულს მიირთმევდა. ყველა — თავისი გემოვნების მიხედვით... მანამ, სანამ ორიოდე თავს ვუკითხავდი. კარგი დრო გავეატარეთ ერთმანეთთან. თქვენ ცალსახად, ბედნიერების მოციქულები ხართ.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, თქვენი ძალიან გულწრფელი

ლეო როულანდი ო.ფ. მ.-ის კაპელანი

(ფრანცისკანელ მამათა ორდენი — რ.ნ.)

(ხელმოწერა).“

იურიდიული ოფისი

დოჰერტი, არნოლდი და ვოტერსი

ემპაია ბილდინგი

მილუოკი 3, ვისკონსინი

ტელეფონი

მარკიტ 8-3282

1950 წელი, 13 ივლისი

მისის და მისტერ ჯორჯ პაპაშვილებს

წიგნის მაღაზია „მოზი დიკი“

ალენტაუნი, პენსილვანია

„ძვირფასო მისტერ და მისის პაპაშვილებო,

რამდენიმე წლის წინ, უფრო ზუსტად კი, 1945 წლის ოქტომბერში წავიკითხე თქვენს მიერ დაწერილი ძალიან მიმზიდველი პატარა მოთხრობა, რომელიც გამოქვეყნდა ერთ-ერთ დაიჯესტში წმინდა ბედელიას შესახებ. მას შემდეგ ვცდილობ, ვიმოგოსტატიის ასლი ან წიგნი, საიდანაც მოთხრობა შეიძლებოდა გადაბეჭდილიყო, მაგრამ ამაოდ. მირჩიეს, რომ პირადად თქვენთვის მომემართა ეგზემპლარიისთვის. ძალიან მადლიერი ვიქნები, თუ გამომიგზავნით წიგნს ან სტატიას და ამასთან ერთად, ანგარიშის ქვითარს, რომელსაც მიღებისთანავე ფოსტით გაგინაღებთ. მე წავიკითხე „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ და „ჰო და არა მოთხრობები“ და მათ ერთობ სასიამოვნო საკითხავად ვთვლი, გავავრცელებ კიდევ ჩემს მეგობრებში, რომლებმაც ასევე ჩათვალეს.

გმადლობთ წინასწარ, ვრჩები გულწრფელი,

გლენ რ. დოჰერტი (ხელმოწერა)  
ემპაია ბილდინგი 1100  
მილუოკი 3, ვისკონსინი.“

### ჩოკერუერი

ნორთ სენდვიჩ ნ. პ.

„ძვირფასო ავტორებო,

**პირდაპირ გეტყვით — მე არ ვკითხულობ წიგნებს. ძალიან ბევრ ნაგავს უნდა გაეცნო, რომ რაიმე ღირებულამდე მიხვდიდე.**

ერთხელ მისი ჰენდსი მაძლევს წიგნს და მეუბნება რომ მომეწონება. მართლაც, მომეწონა და მთელი ამ დროის განმავლობაში ვიმედოვნებდი, რომ იმ დღეს შეგეხმებოდნოდა, როცა საფოსტო ჩანთა თქვენთან შედარებით ცოტა წერილს მოიტანდა.

მე ბევრი ნაკლი აღმოვაჩინე თანამედროვე ცხოვრებაში, ჩვენი პაპების უბრალო ყოფასთან შედარებით. ჩემი ერთ-ერთი დიდი სადარღებელი იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერი კარგი წიგნი იმდენად დიდია, რომ მკითხველს შანსი არა აქვს, თავისი შთაბეჭდილება გაუზიაროს ავტორს. თუკი წიგნი კარგად იყიდება, ავტორმა იცის, რომ ბევრ ადამიანს მოსწონს მისი ნაშრომი... ამიტომაც ვწერ წერილს. „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ იმაზე მეტად მომეწონა, ვიდრე ამის თქმა შემიძლია. **მე ტაშს ვუკრავ! მინდა, რომ გესმოდეთ.**

ჭეშმარიტად,

პოტერი (ხელმოწერა)

P.S. ზემოთ მოყვანილი დევიზი ნიშნავს: „პოტერიმა ეს შეძლო.“ არც მეტი, არც ნაკლები. ომის დროს ერთმა ბრიტანელმა მეზღვაურმა ეს დევიზი ჩემი სახელოსნოს ზედა სართულზე დაინახა. პირველ სართულზე მყოფებს ჰკითხა, თუ რას ნიშნავდა ეს წარწერა. მათ კი „საიდუმლოდ გაანდეს,“ რომ მე გამოქცეული დამნაშავე ვიყავი.

„—ოჰ, ღმერთო, ოჰ, ღმერთო,“ — თქვა ახალგაზრდა ჯონი ბულმა და სწრაფად გაეცალა იჭაურობას.“

და ბოლოს —

ხელნაწერი წერილი:

ბრონქსი 62, ნიუ-იორკი

ისტ ტრემონტ ავენიუ 2240

1950 წელი, 24 ოქტომბერი

მისტერ ჯორჯ პაპაშვილს

„პარპერ ენდ ბრაზერსი“

ისტის ქუჩა 33

ნიუ-იორკი

„ძვირფასო მისტერ პაპაშვილო,

გასულ ივნისს, კანადაში მოგზაურობის დროს ერთი მამაკაცი შევაქმნიე



რომელიც ძალიან გგავდათ. თქვენი წიგნის, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ყდის ფოტოდან მე ვიცი, როგორ გამოიყურებით. მატარებლის სახელი იყო „იროკეზი“<sup>1</sup> ხოლო ზუსტი თარიღი 1950 წლის 30 ივნისი. მინდა გკითხოთ:

— იყავით ამ მატარებელში?

გთხოვთ, მომწეროთ ნებისმიერ შემთხვევაში, რადგან ძალიან მაინტერესებს.

ჩემი მისამართია:

მის ბარბარა ლ. მარკსი  
ისტ ტრემონტ ავენიუ 2240  
ბრონქსი 62, ნიუ-იორკი

თუნდაც ის კაცი თქვენ არ იყოთ, მაინც მინდა გითხრათ თქვენი წიგნის შესახებ. და ეს უბრალოდ რომ ვთქვა: შესანიშნავი წიგნია.

ბევრი წიგნი მაქვს ამერიკაზე წაკითხული; ბევრი მათგანი ამერიკელების დაწერილია. მიუხედავად იმისა, რომ იმ ადამიანების მიერ დაწერილი წიგნები ამ ქვეყნის შესახებ, რომლებიც ამერიკელები არ არიან, საკმარისზე მეტია, **თქვენი წიგნი მაინც ძალიან გამოირჩევა**: როცა ამბავი ასეთი იუმორით არის მოთხრობილი, ნამდვილია და თავიდან ბოლომდე სასიამოვნოსტილით არის დაწერილი, მაშინ **საქმე დიდებულ წიგნთან გაქვს**.

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ მეექვსე კლასის მასწავლებელმა გამაცნო, რომელიც ყველას გვიკითხავდა თქვენს მოთხრობას. შემდეგ ეს წიგნი სახლშიც აღმოვაჩინე. ჩვენი საკუთარი ეგზემპლარი. სწორედ ის, რომელსაც ყდაზე თქვენი და თქვენი ცოლის ფოტო აქვს. ასევე, კომპლიმენტები უნდა ვუთხრა თქვენს ცოლს, რომელმაც ასე ბრწყინვალედ გადააქცია თქვენი ამბავი იმად, რაც გავიგე: როგორ შეიძლება ყველაფერი მოხდეს.

ახლა უმჯობესია, გავჩერდე, თორემ ვეღარ დავამთავრებ. დიდი მადლობა წიგნისთვის და გთხოვთ, გახსოვდეთ ჩემი თხოვნა მატარებლის ეპიზოდთან დაკავშირებით.

გულწრფელად თქვენი,  
ბარბარა მარკსი.“

ლიტერატურული რეცენზიების ბეჭდვა, როგორც მოგახსენეთ, **მომდევნო წლებშიაც გაგრძელდა**.

**ფ რ ა გ მ ე ნ ტ ე ბ ი (ამონაჭერი გვერდები):**

„ძვირფასო „ბუკსელერო,“  
ჩვენ მივიანდეთ ჯორჯს, გაეკეთებინა ჩვენი რეკლამა.  
ნახეთ ეს მაგალითი:

„სეზონის ყველაზე სასაცილო წიგნიდან“ —იმის შესახებ, რაც შეემთხვა ჯორჯს: მეზობელი მოულოდნელად ესტუმრება ჯორჯსა და ჰელენს მათ ახალ სახლში... მაგრამ სჯობს, ჯორჯმა თვითონ გვიამბოს ამის შესახებ:



„...ფარდები კი არა, ჰერიც არა გვქონდა. მე საბანაო კოსტუმი მეცვა და მისალსკო ოთახში ვმუშაობდი. უცებ ვილაცამ თავისი სახელი და გვარი წარმოთქვა. ღმერთო ჩემო! ქალია და მე თითქმის შიშველი ვარ. უახლოეს მოხერხებულ სამალავს მივამოხურე. ის ძველი, ვეებერთელა საათი იყო, რომელიც ჰელენმა ორიოდ კვირის წინ შეიძინა აუქციონზე.“

ოთახში ჰელენი შემოვიდა. დაიწყეს ქალური საუბარი ძველებურ ნივთებზე...  
 — საათი როგორია? — იკითხა მისის კლივენდონმა.

...შიგნით წარწერა აქვს.

ჰელენმა ოთახი გადმოჭრა და საათის კარი გამოაღო.

— გამარჯობათ, — ვთქვი მე და საათიდან გამოვედი. საცურაოდ ვაპირებდი წასვლას და შევამჩნიე, რომ საათი 5 წუთით უკან რჩებოდა. ცოტათი შევასწორე და უკვე კარგად იმუშავებს.

მისის კლივენდონი გამწვანდა.

— ვშიშობ, რომ ჩემი წასვლის დროა, — თქვა მან.

— სამწუხაროა, რომ არ შეგიძლიათ დარჩენა, — ვთქვი მე, ძალიან გთხოვთ, კვლავ მოხვიდეთ. მეორედ, იმედია, თქვენი ქმრის გაცნობის ბედნიერება მექნება.

— მისტერ კლივენდონი სამი წლის წინ დაეკარგე.

— უაღრესად სამწუხაროა, იმედია იპოვით.

— ნახვამდის.

— ნახვამდის.

ჰელენმა ძლივს მოითმინა, სანამ მისის კლივენდონი მანქანაში ჩაჯდებოდა.

— მაგისი ქმარი მოკვდა, შენ კი, ღმერთო ჩემო, იმედი მიეცი, ნახავო.“

ჯორჯის ამერიკანიზაციას გიჟური, სევდიანი და მხიარული თავგადასავლების წყება ახლავს თან. **არ გამოტოვოთ სეზონის ეს საოცარი ჰიტი.**

**ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“**

„თვის წიგნის კლუბის“ რჩეული

„ჰარპერი“ 2 დოლარი“

**„ნიუ-იორკ ტაიმსი“**

**1946 წლის 14 იანვარი**

„ყველაზე მხიარული, ძალიან ხალისიანი ამბავი ამერიკანიზაციის შესახებ, რაც კი ოდესმე მკითხველს ხელთ ჩავარდნია.“

**„ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნ“**

**„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“**

**ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები**

**ჯერალდ უ. ჯონსონი „ახალი წლის მოულოდნელი ჰიტი“**

ორვილ პრესკოტმა „ტაიმსიდან“ ბევრი მიმოძიებულის აზრი გამოხატა, როცა დაწერა:

„ასეთი ადამიანი ნამდვილად უნიკალური იქნება მთელ მსოფლიოში. არა“



მხოლოდ ირლანდიაში, კალიფორნიაში ან სომხეთში, არამედ მთელ ქვეყანაზე  
 სადაც ადამიანური ღირსებები საუკეთესო სახით არიან წარმოდგენილი, არსად  
 არ შეიძლება მოიძებნოს ასეთი აგებულიების, მომხიბვლელობისა და გადამდები  
 მხიარულების ადამიანი. ჯორჯი უკვე ოცი წელია, რაც ამერიკაში ცხოვრობს. თავისი  
 ცოლის, ჰელენის დახმარებით მან დაწერა მხიარული და სასაცილო წიგნი. ჯორჯის  
 არ იყოს, წიგნიც „ბედნიერი და სიამაყითაა სავსე.“ ეს არის წიგნი, რომელიც ხარხ-  
 არით აგავსებს და სულს აგვიმალღებს, რომელიც გათბობს სიკეთითა და ემოციით,  
 რომელიც სიცოცხლისადმი სიყვარულს უმღერის... ჯორჯის ერთუზიაზში და სითბოთი  
 გასხვიოსნებული სული ისევე ბუნებრივად გამოიყურება, როგორც წვიმა და იმ-  
 ავდროულად, საუკეთესოდ შეესაბამება სიბრძნესა და საღ აზრს. რა მოსაწყენი და  
 ერთფეროვანია ჩვენი უმეტესობის ცხოვრება ჯორჯის ცხოვრებასთან შედარებით.“

ამას იზაბელ მალეტმა „ტაიმს ბუკ რევიუდან“ დაუმატა ძალიან ნათელი პოსტ-  
 სკრიპტუმი:

„როცა პოეტისა და ფილოსოფოსის მიერ მოსწრებულად ჩამოყალიბებული  
 ამერიკის თავისუფლების ოთხი საყრდენისთვის ფულის გაღება მოგვინდება, ჩვენ  
 ჯორჯს უნდა მივანდოთ ეს საქმე.“

„თვის წიგნის კლუბის“ რჩეული, 2 დოლარი.“

**წიგნში შესულია მიმზიდველი ისტორიები, რომლებიც როგორც თვით ჯორჯი,  
 „სავსეა ბედნიერებით და შემართებით“**

მაგალითად:

\*ჯორჯის მეგობრის შიშები, რომ მისი ამერიკელი ცოლი ბიუჯეტით აცხოვრებს  
 და მას მოუწყვს დაწეროს:

„ვსვამ ვისკის – 35 ცენტი“

„ვაყოლებ ქაშაყის ნაჭერს – 10 ცენტი.“

P.S. მათ ოჯახში არ გამოუყენებიათ „ბოდგეტი“ (ბიუჯეტის დამახინჯებული  
 სახელდება – რ.ნ.)

\*მშვენიერი სასმელის, „ბეილოს“ რეცეპტი: თაფლში არეული დაკებილი ფორ-  
 თოხალი და ლიმონი ყავასთან ერთად უნდა ჩადო პერკოლატორში, სიმინდის ვისკი  
 დაასხა, თავი დაუცო, ცოტა ხანი ადუღო, გაფილტრო, გააცივო და დალიო. „ჰა-ჰა  
 მოკვდე...“

\*და უფრო მეტი – ასჯერ მეტი, რადგან ყველა ნამდვილმა ქართველმა იცის,  
 რომ „მხოლოდ უამრავი საქმელი შეიძლება იყოს საკმარისი.“

„ბოსტონ გლოუბი“

დოროთი ჰილიერი

„ჩვენ თავს ვანებებთ მცდელობას, მოგიყვებთ ამ წიგნის შესახებ –  
 უმჯობესია ჯორჯმა გააკეთოს ეს!“

„და დავიწყებ მზადება დეტროიტიდან კალიფორნიაში გასამგზავრებლად.  
 ჩემი ხარახურის საწყობში მივედი, საუკეთესო ნაწილები ავარჩიე და ავტომობილი



შევაკოწიწე. ცოტათი დილიჯანს წააგავდა, ცოტათი ბალდახინს.

— საბარგო მანქანაც დაგვჭირდება, - მომახალა ანა ფეოდოროვნამ.  
— რატომ?

— ანა ფეოდოროვნა, - ვთქვი მე, ხომ არ გინდათ, თქვათ, რომ კალიფორნიაში ავეყის გადატანა გინდათ? ამას არ ამბობთ, ხომ?

— არა, ის ამას ამბობდა. საბოლოოდ, ვიშოვე საბარგო მანქანა. დავიწყეთ მისი დატვირთვა.

საწოლებზე, მაგიდებზე, სკამებზე და ხალიჩებზე არაფერი მითქვამს, მაგრამ შემდეგ კაუჩუკის ხის შეფუთვა დაგვჭირდა. კაუჩუკის ხეც კალიფორნიაში მიგვქონდა და კიდევ 50 გირვანქა ბუმბულის ბოხჩა.

— ეს ბუმბული ბებიჩემის დედის ნაშითვია, - თქვა ანა ფეოდოროვნამ, ჩემი წმიდითაწმიდა ვალია, ლიუბას შეეუწახოს სამშითვოდ.

— ლიუბამ ჯერ ქმარი მონახოს, ისა სჯობს, - ვთქვი მე.

პასუხად ჩიტის ვალია მომცა, მანქანაზე დადეო. ჩიტი გზაში მომკვდარიყო, როცა რუსეთიდან მოდიოდნენ.

— ამ ვალიას ვერაფრით ვერ შეელევი, არა?

— რად გინდა, გეთაყვა, გამაწბილო, - მითხრა ანა ფეოდოროვნამ, თუ ჩემი სიამოვნება ასეთი უბრალო, პატარა რამით შეიძლება. რატომ მატოვებინებ ვალიას? რად გინდა მომისპო იმედი, რომ ოდესმე მომღერალი იადონი მეყოლება და მისი ვალობით დავტკბები?

ვალია მანქანაზე დავდე. იადონის ვალიაც კალიფორნიაში მიდიოდა. რთიცი უნდათ, იმით დატვირთონ მანქანა. ამჯერად ნამდვილად წავედით. ნახვამდის! ნახვამდის!

ახლა ხელმძღვანელობა მისმა აღმატებულებამ იკისრა.

— მარჯვნივ, მარცხნივ, პირდაპირ - და მიხვეულ-მოხვეულ, ტალახიან, ვიწრო გზაზე აღმოვჩნდით.

— დეტროიტიდან მეთორმეტე შარავზით გადაიან, - ვთქვი მე, რატომ იმ გზით არ წავედით?

— ეჰ, ჩემო ბიჭუნა, - გადააქნია თავი მისმა აღმატებულებამ, შენ ჭკუას ვერასოდეს ისწავლი. გამოცდილი მოგზაურები ყოველთვის ერთდებიან მთავარ გზებს. ამით ქურდებს და ბანდიტებს აცდები და არც ბაქს გადაიხდი.

ხან ტლაპოში მივდიოდით, ხან ყანებში. მეორე დღეს მოულოდნელად საგზაო გავკითავდა. მშვენიერი სუფთა სასადილო ავირჩიეთ. ყველანი შევედით, მაგიდებს შემოვუსხედით და შევუტკვეთეთ, მაგრამ ცნობისმოყვარეობა მახრჩობდა: რამდენი გამოვიარეთ?

— თუ არ შეწუხდებით, იქნებ მითხრათ, რომელ ქალაქში ვართ? - დახლთან მივდი და ვკითხვ მამაკაცს, რომელიც სარკმელს იქით ძხვს წვავდა.

— იანგსტაუნში.

— იანგსტაუნში? ჩვეულებრივ რომელ შტატში ითვლება ეგ იანგსტაუნი?

— ოჰაიოს.



ეს ოპიო იყო! დამცეცხლა. ნამდვილად მახსოვდა, რომ ეს შტატი გამოვიყარე როცა პიტსბურგიდან დეტროიტში მივიღიოდი. საექვო აღარაფერია: ესე იგი მხარი გმქცევი.

— მაპატიეთ, კიდეც ერთი შეკითხვით უნდა შეგაწუხოთ. თქვენი აზრით, კალიფორნიაში რომელი გზით უნდა წავიდეთ აქედან?

— დასავლეთით, - მითხრა მან და მამაკაცთა საპირფარეოსკენ მიმითითა. “ეს მხოლოდ ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორი ამბები შეემთხვევა ჯორჯს და ის, რაც ამ წიგნს „ეჭვგარეშეა, აქცევს სეზონის ყველაზე მხიარულ წიგნად.“

**„ნიუ-იორკ ტაიმსი“  
ორვილ პრესკოტი „ახალი წლის მოულოდნელი პიტი“  
ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების  
„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“**

„...ეს არის წიგნი ბევრჯერ ხმამაღალი სიცილით რომ გაგიტაცებს და სულს ავიმალღებს, რომელიც გათბობს სიკეთითა და ემოციით, წიგნი — სიცოცხლისადმი სიყვარულს რომ უმღერის.“

„თვის წიგნის კლუბის“ რჩეული, 2 დოლარი“

**ათასობით კმაყოფილი მომხმარებელი —  
წიგნის „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“  
საკუთარი „სასარგებლო რჩევებითა“ და შთაბეჭდილებებით  
(ამონარიდები)**

მისტერ ო.პ. ნიუ-იორკი: „ეს არის წიგნი ბევრჯერ ხმამაღალი სიცილით რომ აგავსებს და სულს ავიმალღებს, რომელიც გათბობს სიკეთითა და ემოციით, წიგნი — სიცოცხლისადმი სიყვარულს რომ უმღერის.“

მისის დ.პ., ბოსტონი, მასაჩუსეტსი: „ეს უპირობოდ სეზონის ყველაზე მხიარული წიგნია.“

მისტერ პ.ჯ.ს., ლოს-ანჯელესი, კალიფორნია: „წაიკითხე ეს წიგნი და წელიწადს მზნედ შეხვდები.“

მისტერ ა.ც.ს., ჩიკაგო, ილინოისი: „დიდებული საკითხავი... საოცრად მხიარული, მზნე, ენერგიული და დიდი, ძველი სამყაროს მიმზიდველობით.“

მისტერ ჰ.ტ., ფილადელფია, პენსილვანია: „ახალი და ტრიუმფალური... ნიავეით თბილად და მსუბუქად იკითხება.“

თუ ჯერ არ განვიცდიათ „სიამაყის“ შეგრძნება, დღესვე წაბრძანდით თქვენს წიგნის მაღაზიაში. დაიმახსოვრეთ, რომ ერთადერთი წიგნი, რომელიც იტევს ამ პეშმარტ, ორიგინალურ მდგომარეობას, არის ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“

„თვის წიგნის კლუბის“ რჩეული, 2 დოლარი.“

**„მარპერ ენდ ბრაზერს“**





ამ საღამოს

წარმოგიდგენთ —

„ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილებს, რომლებმაც 1945 წელს ამაყად შეიბიჯეს ბესტსელერების „დიდების დარბაზში“ ნახევარ მილიონზე მეტი (მათ შორის, „თვის წიგნის კლუბი“) გაყიდული ეგზემპლარით წიგნისა, რომელიც დღესაც გაყიდვაშია — „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ (და ეს მართლაც ასეა პაპაშვილების შემთხვევაში).“

[სხვა სტუმრები: რიჩარდ რაიტი და ჯორჯ პ. პანტი]

ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილებმა დაწერეს 1945 წლის „წიგნით მოვაპირებების წიგნი.“ ის სწორედ ისეთი იყო, როგორც ჰელენის გამოცდილებით მის ბიზნესში დასაქმებულებს ანიჭებს სიამოვნებას. ჰელენი კალიფორნიის უნივერსიტეტში დადიოდა, მაგრამ სწავლა მიატოვა და „ქრისტის“ წიგნის მალაზიაში, ბერკლიში დაიწყო მუშაობა. მას შემდეგ, ანუ 1933 წელს, როცა კიდევ ორი მალაზიის მწერკერი გახდა ბერკლიში, ის ნიუ-იორკში წავიდა, რათა ბიბლიოგრაფიული ასოციაცია მოეპოვებინა და ორი კერძო ბიბლიოთეკის კოლექციის შესაქმნელად შტატებარემდე ემუშავა. 1939 წელს ალენტაუნში, პენსილვანიაში წიგნის მალაზია „მოხდა დიკი“ შეიძინა, რომელსაც დღესაც უძღვება.

მისი ლიტერატურული კარიერის გარკვეულ მონაკვეთზე მან გაიცნოდა ცოლად გაჰყვა ჯორჯს — მოუსვენარ პიროვნებას რუსეთის საქართველოდან, რომლის ადრეული თავგადასავლები მკაცრად განსხვავდება შელამაზებული ნახატებიანი წიგნებისაგან. ჯორჯი იყო ხანჯლების ოსტატის შეგირდი, შემდეგ კი, პირველი მსოფლიო ომის დროს სპარსეთში იბრძოდა. ომის შემდეგ იგი შეერთებულ შტატებში ჩამოვიდა, სადაც მისი „მზიარული უბედურებების“ სერია დაიწყო და რომელიც აღწერილია წიგნში, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“ იგი გახდა მექანიკოსი და რამდენიმე გამოგონების ავტორი. ომის დროს კი თავდაცვით ქარხანაში მექანიკოსად მუშაობდა.

ჯორჯი და ჰელენი ახლა მთელი ქვეყნის მასშტაბით სალექციო ტურნეში იმყოფებიან. წიგნმა — „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ სიცოცხლე 1945 წლის დასაწყისში, როგორც „ჰარპერის“ აღმოჩენაში“ დაიწყო, გააგრძელა „თვის წიგნის კლუბით“ და ასტრონომიული გაყიდვებით; ის 1946 წელსაც „ჰარპერის“ ბესტსელერია.“

„კათოლიკ მესიჯი“

დეივენპორტი, აიოვა

1946 წელი, 14 თებერვალი

„სათაურები, რომლებიც შესაფერისი გამოდგა როგორც მოზარდების, ისე ზრდასრულთათვის გახლავთ მხოლოდ შემდეგი: პაპაშვილების „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, მარშალის „სამყარო, ხორცი და მამა სმითი“ (რომელსაც ზოგი კათოლიკე კრიტიკოსი ოდნავ შეეწინააღმდეგა კიდევ თამამი ენის გამო) და გიბლინების ირლანდიული მოგზაურობის ჩანაწერები: „ლი არაჩვეულებრივია.“ დანარჩენი რვა სათაური მხოლოდ ზრდასრულებისთვის არის განკუთვნილი: კარსკის „საიდუმლო სახელმწიფოს ამბავი“, თერბერის „თერბერის კარნავალი“, უესკოტის

„ბინა ათენში“, ფორესტერის „მესაყვირე კომოდორი“, მოლდინის „ზედა ფრონტი“, შოუს „რიქმას ბიჭი“, სიმონოვის „დღეები და ღამეები“ და ბოუმენის „წითელთვლიანი სანაპირო“.

**„კათოლიკ მესიჯი“  
დეივენპორტი, აიოვა  
1946 წელი, 14 თებერვალი**

„შემოთავაზებულ სამ წიგნს ერთი საერთო ხაზი გასდევს — ადამიანის ბრძოლა გარემომცველ სივრცესთან. პაპაშვილის „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ გვიამბობს რუსი ქართველის ოჯახზე, რომელმაც საკუთარი ადგილი იპოვა ამერიკულ ცხოვრებაში.“

**„პარტფორდ ტაიმი“  
1946 წელი, 25 აპრილი**

**„პაპაშვილების მოწოდებამ გააღვივა რუსული კამპანია“**

„წიგნის, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ გმირის, ჯორჯ პაპაშვილის კარგად ცნობილი და წარმოსადგეი ფიგურა გუშინ პირადად გამოჩნდა პარტფორდში, რათა დაედასტურებინა, თუ რა ზუსტად დახატა მისი პორტრეტი მისმა ცოლმა იმ მზიარულ ნაწარმოებში, რომელშიც მისი ცხოვრებაა ასახული.

გუშინ სალამოს, „რუსულ-ამერიკული ეროვნული ცენტრის“ მიერ ვილიჯ სენტში გამართულ სადილზე, რომელიც რუსეთის ქალაქ კურსკის ჰოსპიტალისთვის თანხების შეგროვების კამპანიას მიეძღვნა, მისტერ და მისის პაპაშვილები საპატიო სტუმრები გახლდნენ. მანამდე, დღის განმავლობაში, მათგან ინტერვიუ აიღეს რადიოსთვის, მერე კი „პიუბლიანში“ გამართულ სალამოზე, მის ელვა მაქკორმიკის სტუმრების რანგში გამოცხადდნენ. ისინი შეხვედრების ტურნეს: „სანაპიროდან სანაპირომდე“, რომელიც ორი თვე გაგრძელდა, უკანასკნელ რაუნდს ატარებენ და მოუთმენლად ელიან პენსილვანიაში, ბაქსის ოლქში წიგნში აღწერილ საკუთარ ფერმაში დაბრუნებას.

\*\*\*

მისტერ პაპაშვილი, რომელსაც როგორც ჩანს, არ აღელვებს, თუნდაც სრულიად ახალგააცნობილებმა უბრალოდ „ჯორჯი“ რომ დაუძახონ, ქართველია და მისივე სიტყვებით, ერთ-ერთია იმ 104-თაგან, შეერთებულ შტატებში რომ ცხოვრობენ. ის კვლავ აქცენტით და სწორედ ისეთი თავშესაქცევად დამახიჩვებული ინგლისურით საუბრობს, როგორც მისმა ცოლმა უკვდავყო. მზიარული ცხოვრების სიყვარულითა და უზომო კეთილგანწყობით სავსე ჯორჯი ისევ ლეგენდარულ ადამიანად რჩება, როცა თავის ბავშვობაზე, თავის ქართველ მეგობრებსა და მათ არაჩვეულებრივ თავგადასავლებზე ჰყვება.

საერთოდ, ფორმალურ გამოსვლებს ის თავის ამერიკელ მეუღლეს უთმობს, ხოლო მისი სიტყვა გასულ სალამოს მოკლე იყო და გამოხატავდა მადლიერებას იმ ადამიანების მიმართ, ვინც მის სამშობლოს ეხმარება; გარდა ამისა, მან შეგვანსნა,



რომ ერთადერთი განსხვავება რუსებსა და ამერიკელებს შორის არის ანაბრები და სხვა მსგავსი.

„— ახლა კი, ვიმედოვნებ, — დაასრულა მან, რომ საუბარს ჩემი ცოლი გააგრძელებს.“

\*\*\*

**მისის პაპაშვილი** უკანასკნელი სპიკერი გახლდათ იმ მრავალფეროვანი პრაგმატიკის, რომელსაც უალტერო ჯი ბატერსონი თავმჯდომარეობდა. მაიკლ რიხლანდის გოგონებისა და ბიჭუნებისგან შემდგარი ბალალაიკების ორკესტრის თანხლებით იმდერა, რომელსაც თავადვე ხელმძღვანელობდა. მერე მამა-შვილმა სემუელ და ჯონ ზაგაროდნებმა რუსული ცეკვები შეასრულეს, შემდეგ კი ომიდან სულ ახლახან დაბრუნებულ ორ ახალგაზრდა რუსული წარმოშობის ამერიკელთან ერთად ტრიოში დაუკრეს როიალისა და ორი ვიოლინოს თანხლებით.

\*\*\*

**მისის პაპაშვილის** სიტყვებით, ის აქ იმიტომ კი არ ლაპარაკობდა, რომ მისი ქმარია რუსი, არამედ იმიტომ, რომ თვითონ არის ამერიკელი, და რომ ძალიან ღრმად და თანაგრძნობით განიცდის იმას, რაც ამერიკაში ხდება. მან ზაზვასმით აღნიშნა, რომ „უნდა შევინარჩუნოთო ერთიანობა.“

„— რუსები ძალიან გვგვანან, — თქვა მწერალმა ქალმა და ჩვენ მათთან ბევრი რამ გვაკავშირებს. რასაც ჩვენ ჰოსპიტალს ვუზავებით არსებით და პიროვნულ მნიშვნელობას იძენს, როცა ამას ადამიანური ტერმინებით ვაყალიბებთ.“

სპიკერმა მტკიცედ მოითხოვა, რომ ვუბასუხოთ მათ, ვინც უნდობლობისა და ეჭვიანობის თესვს აღვივებს ახალი ომის მზადებისთვის; ომისა, რომელიც ჩვენ არ უნდა დავუშვათ.

„— **გერმანელებმა კურსკში სიკვდილი ჩაიტანეს,**“ — თქვა ჰელენმა და გამოსვლა ასე დაასრულა:

„— **ამერიკა მათ სიცოცხლეს ჩაუტანს.** ეს ჰოსპიტალი ერთგვარ ხელის ჩამორთმევას წარმოადგენს, რომელიც ამბობს: ეს ჩვენი პირობაა იმის გარანტიით, რომ ჩვენ შორის მშვიდობა იქნება.“

**„სატერდვი რევიუ ოფ ლიტრიჩა“  
ივლისი**

.....

„ზაფხულის ბოლოს „ჰარპერის სიის ლიდერები არიან: სამნერ ველისის ახალი წიგნი „საით მივდივართ?““ **წიგნი - „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ სახელგანთქული ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილებისა და მათივე „შო და არა მოთხრობები,**“ ასევე, ქონს ბოიტონ პრისლის რომანი „ნათელი დღე...“

**წიგნები და ამბები  
ჯერალდ უ. ჯონსონი**

„ვინც აპირებს, ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“



„პარპერი,“ 2 დოლარი) წიკითხოს, მას მკებეტის გულწრფელ სიტყვებს შეეახსენებ:  
 „კარგ მონელებას კარგი ჭამა სჭირდება,  
 ორივეს კი კარგი ჯანმრთელობა!“ —

რაკილა ამ პატარა კრებულს ცოტა თუ შეედრება და ვერცერთი აჯობებს გურ-  
 მანების აგზნებაში. ეს არ გახლავთ სამზარეულო წიგნი და არც ბრილატ სავანის  
 „გემოს ფილოსოფიის“ მსგავსი რამ; მაგრამ ეს არის **ორი კარგი მჭამელის ერთ-  
 ბლივი პროდუქტი**, რომლებსაც შეუძლიათ კარგი საჭმელი უბრალო სიტყვებით  
 აღწერონ, თუმცა კი ისეთი ძალით, რომ ლუკულუსის სუფრიდან ახლად ამდგარს,  
**მგლის მადა მოპვარონ.**

ჯორჯ პაპაშვილი ქართველია. ის არა ლოურენს სტალინგისის, არამედ იოსებ  
 სტალინის ჩამომავლობისაა, ანუ წარმოშობით ტრანსკავკასიის რეგიონიდან არის,  
 შავი ზღვის აღმოსავლეთით რომ მდებარეობს. პირველი მსოფლიო ომის დროს  
 რუსეთის არმიის სამსახურის შემდეგ, 20 წლის წინ ის ამ ქვეყანაში ჩამოვიდა  
 რწმენით, რომ ამერიკა არის ადგილი, სადაც „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ და  
 გამომცემლების მიხედვით, ვერაფერმა აიძულა, შეეცვალა აზრი. მან შეერთო კალი-  
 ფორნიელი ქალი, რომელმაც მისი დამტვრეული ინგლისურით მოყოლილი ამბავი  
 იმის თაობაზე, თუ როგორ გახდა იგი ამერიკელი, ფურცელზე გადაიტანა.

ესაა ამერიკანიზაციის ყველაზე დაუცხრომელი, ყველაზე გულიანი ისტორია,  
 რაც კი მკითხველს ჩავარდნია ხელთ. წიგნი ჯორჯმა იმავე სიტყვებით აღწერა, რომ-  
 ლითაც მის მიერ მოწყობილ ერთ-ერთ წვეულებაზე მისული სტუმრები დაახასიათა  
 — „ბედნიერი და სიამაყით სავსე.“ მისი გზა არ ყოფილა სწორი და იოლი. პირიქით,  
 ის გემიდანაც არ იყო ჩამოსული, რომ გააბრწყვეს. იგი ამის შემდეგაც გააბრწყვეს  
 და კიდევ იმის შემდეგაც. მისი მიამიტობა შეურაცხყვეს, მისი ნდობა შეურაცხყვეს,  
 მისი კარგი ბუნება შეურაცხყვეს, მაგრამ ჯორჯი ფილოსოფოსი იყო და ეს ამბები  
 ამერიკის ბრალეულობად არ ჩათვალა; ეს მან ადამიანის ბუნებას დააბრალა — აკი  
 გაიძვრობა ყველა ქვეყანაშია გავრცელებული.

**მხოლოდ უამრავია საკმარისი**

დანაკარგების, სიძნელების, იმედგაცრუების, მარტოობის საპირისპიროდ, მან  
 უამრავი სასიამოვნო რამ იპოვა ახალ ქვეყანაში, სადაც ყველაფერი შეიძლება  
 მოხდეს — და ჯორჯისნაირი ადამიანებისთვის ხდება კიდევც. მან ჩრდილო კართლი-  
 ნაში ლამის ყველა კუთხე-კუთხული შემოიარა, რათა ბესო ფეხშველაშვილი ეპოვა  
 და ბოლოს, მაინც მიაგნო მას. გიორგიმ რეცეპტის მიხედვით წვრილად დაკეპი-  
 ლი ფორთოხალი და ლიმონი ჩააწყო პერკოლატორში, სადაც ყავის მარცვლები  
 იყრება, წყლის ნაცვლად კი სიმინდის ვისკი ჩაასხა; შემდეგ ჩართო პერკოლატორი  
 დენში, აცალა აქაფება, მიღებული პროდუქტი დალია და **გადარჩა. დიახ, ამ ქვეყ-  
 ანაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს.**

მან ვირჯინიაში მეფრინველეობა სცადა, ხოლო პენსილვანიაში პომიდორს  
 ზრდიდა, თუმცა შედეგები არცთუ სახარბიელო იყო, მაგრამ თავისი მეგობრების  
 ავისმომასწავებელი წინასწარმეტყველების მიუხედავად, მისი ჭორწინება ძალიან  
 წარმატებული გამოდგა.



„ერთმა ჩემმა კარგმა ნაცნობმა რუსმა, - უთხრა ერთმა ამხანაგმა, კალიშვილი ითხოვა. დაქორწინებისთანავე ცოლმა სასამართლოში გერბერტ გუვერად მონათლა. უნდოდა, წონა მომატებოდა მის ქმარს. ახალ ვნებში გერბერტ გუვერი ვერ გაიმარჯვებს და წარმოგიდგენია, რა დღეში ჩავარდება ჩემი ნაცნობი? შენც ასე დაგემაართება.“

მაგრამ ასე არ მოხდა. არა მარტო პატარძალი, არამედ მთელი მისი ოჯახი ისეთი კარგი ხალხი იყო, რომ ჯორჯმა თავიც მოიწონა, რომ „ბევრი ვერ დაიკვების ასეთი ბებით — ოჯახის მშვენება იყო.“

თუ სადმე სულ ცოტა, ორი რუსი მანც შეხვდებოდა ერთმანეთს, ქეიფი იმართებოდა, ხოლო თუ რუსები არა, ამ როლში ესტონელები, სპარსელები, სომხები, ან თურქები იყვნენ. ჯორჯის ფილოსოფიით, ყველა მიზეზი მისაღებია ლხინის გასამართად, ხოლო ნებისმიერი ქეიფი კარგია, და „როცა ქართველებისათვის აწყობს სუფრას, არ დაივიწყო, უამრავი საჭმელი თუ არ იქნა, არ ეყოფათ.“

**კარგი კაცის ხსოვნის სადღეგრძელო**

ეს უკანასკნელი სიბრძნე ძია ვანოს, ინგლისურად — ძია ჯონს ეკუთვნის, ჯგუფის უხუცესს, ბრძენ და კეთილ კაცს. სხვა რომ არაფერი, ამ წიგნის წაკითხვა მხოლოდ ძია ვანოს გასაცნობად ღირდა.

ძია ჯონის გასვენების, ხოლო შემდეგ არტოსთან გამართული ქელების აღწერა საოცარი და ამავე დროს ამაღლევებელი, ბრძნული და ნაღდია. მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან მარცხდებიან იმ ქვეყნის ენით, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ჯორჯი და მისი მეგობრები კარგი ამერიკელები არიან; უკეთესი ამერიკელები, რადგან ისეთივე სათუთი გრძნობები გააჩნიათ იმ მიწის მიმართ, სადაც დაიბადნენ. როდესაც ილიკო ამბობს უკანასკნელ სადღეგრძელოს, ძია ჯონის სადღეგრძელოს, მისი სიტყვა განსაკუთრებით შეეფერება იმ მომენტს, როცა მიწა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს, თავისთავად ხდება ცხოვრებიდან წასული უამრავი კარგი ადამიანის გლოვის მიწად. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ილიკოს სიტყვები ძია ვანოს შესახებ, ჩვენგან წასული ყველა ძვირფასი ადამიანის მიმართ გამოდგება:

„ამ პატარა ჭიქით მე მინდა იმ კაცის მოსახსენებელი დავლიო, რომელიც იმდენად ჭკვიანი აღმოჩნდა, რომ ქონება არ დაგვიტოვა, რათა ერთმანეთს არ წავკიდებოდით. ქონების ნაცვლად მან თავისი მორალური მრწამსი და თავისი გემოვნება დავგიტოვა და თან მთელი თავისი ცხოვრებით გვასწავლა, თუ როგორ უნდა მოხმარო ერთიცა და მეორეც. ამქვეყნად ჯერ კიდევ უამრავი რამაა მოსავევარებელი, ამიტომ დაე, მღვდელმა მომიტევეს, თუ ცოტათი შეეცვლი ბიბლიის იმ სიტყვებს, რომელიც მან სასაფლაოზე წაიკითხა და ცოტა სხვანაირად ვიტყვი — ჩვენ სიკვდილის წიაღშია ცოცხლობთ. ამინ.“

**„პაბლიშერს უიკლი“**

მინაწერები ფოტოებზე: 1) ჰელენ და ჯორჯ პაპაშვილი. ჰელენმა მისი სტილი დაიცვა.

2) დედიკომ მამიკოს ნალაპარაკების  
მიხედვით დაწერა: პაპა შვილები



პაპა შვილი ჯორჯ და

პაპა შვილი ჰელენ უეიტი

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს,“ 209 გვერდი.

ნიუ-იორკი. „პარპერი.“ 2.00 დოლარი

„მზიარული და გულისამაჩუყებელი ისტორიები რუსი ემიგრანტისა,  
რომელიც გაამერიკელების გზაზე იმყოფება“

„რა საოცარი ქვეყანაა!“

„რომოცი წლის წინ, რუსეთის საქართველოს ერთ სოფელში, კობიანთკარში, რომელიც სტალინის დაბადების ადგილიდან არცთუ შორსაა, ერთი კაცი, ჯორჯ პაპა-შვილი დაიბადა. მამამისმა, რომელიც მეტად შორსმჭვრეტელი ადამიანი იყო, ვაჟს ორი საქმე ასწავლა (ხანჯლის დამზადება და ტყავის ორნამენტული დამუშავება) და სამი ძალი, კვიცი და მოშინაურებული დათვი აჩუქა. ასეთი გამოცდილებით, კარაკულის ქუდითა და ცარიელი ჯიბეებით ჯორჯ პაპა-შვილი ნიუ-იორკში ბერძნული სატვირთო გემით, მესამე კლასის სამგზავრო ბილეთით ჩამოვიდა.

„— შენ ადგილას ნამდვილად თავს მოვიკლავდი“, — უთხრა თურქმა თანამგზავრმა.

„— ღმერთო, — გაოცდა დამსაქმებელთა ბიუროში კაცი, ხანჯლის მწრთობელი!“ და ჯორჯი ჭურჭლის მრეცხავად დაასაქმა.

ნაშუადღევს ჯორჯმა დამტვრეული ჭურჭლის ნამსხვრევებს შორის გზა გაიკაფა და ხიზილალას ქამას შეუდგა.

„...— იქნებ წასულიყავით ჩემგან, — მიმართა რესტორნის მეპატრონემ, სადმე შორს წასულიყავით. ...რომ შეგეძლოს ჩუმად წასვლა! უცებ რომ გაუჩინარდე! მე 5 დოლარს მოგცემ.“

რა საოცარი ქვეყანაა!

ჯორჯმა აღმოაჩინა, რომ პოლიციის გამო პარკში ბალახზე ვერ დაიძინებდა, არადა, პარკის სკამები თავისუფალი იყო. მიუხედავად ამისა, სკამებს ყოველი ორი ფუტის დაშორებით რკინის სახელურები ჰქონდა.

„შეძრომა არ გინდოდა?! ჯერ ცალი ფენი შევყავი, შემდეგ მეორეც მივაყოლე და დავწექი. მაგრამ გვერდი რომ ვეღარ ვიცვალე?“

ჯორჯი გამგლელს შეეკითხა:

„— რამდენი საათია?“

ამ უკანასკნელმაც მაჯაზე მიუთითა, ჯორჯმა კი თავისთვის დაასკვნა:

„თუ მოინდომებ, უცებ ისწავლი კაცი ინგლისურს.“

„არ ინერვიულოთ.“

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ — ეს ჯორჯის ამერიკაში გატარებული ოცი წელიწადის აღწერაა. უმთავრესად, სასაცილო ამბების კრებულია. აი, ისეთი, როგორიც შეიძლება სამშობლოში დაბრუნებულმა ემიგრანტმა ცნობისმოყვარე შვილიშვილებს უამბოს. ცოტა წიგნი თუ მოიძებნება, რომელიც ამერიკას ესო-

დენ ეგზოტიკურად წარმოაჩენდა. ისტორიები ჯორჯის ამერიკელმა ცოლმა, პელოპა პაპაშვილმა დაწერა და დაწერა ზუსტად ისე, როგორც მას ჯორჯი უამბობდა. მისი გაურანდავი ენისა და მისი დიდებული იუმორის სათანადო დაცვით.

ჰელენი ახლა ალენტაუნში (პენსილვანია) წიგნების მალაზიას, აშობი დიკს უძღვება.

ერთ დღეს ჯორჯი იქვე, ახლომდებარე ფერმის სახლის სახურავს უჯარს უსწორებდა, როცა ჰელენმა შეიტყო, რომ „თვის წიგნის კლუბს“ მათი „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ინვერსის თვის რჩეულად დაესახელებინა („თვის წიგნის კლუბი“ რჩეულობა, როგორც წესი, ავტორისათვის სულ მცირე 30.000 დოლარს ნიშნავს). ჰელენს შეეშინდა, ქმრისთვის ეს ამბავი მაშინვე გაენდო.

— ვაითუ, სახურავიდან ჩამოვარდესო, იქვეა.

როცა ცოლ-ქმარმა ემიგრანტ მეგობარს უთხრეს, რომ მათი წიგნი „თვის წიგნის კლუბს“ შეერჩია, მისგან ასეთი პასუხი მიიღეს:

— „არ ინერვიულოთ. არ ღირს ამაღ.“

— „თვის წიგნი,“ ეს ხომ დიდი კლუბია...

— არა უშავს, რამე უკეთესი გამოჩნდება...

— ფული მოგვეცეს, — უთხრეს ჯორჯმა და ჰელენმა მეგობარს.

— გასაგებია. ფული. რამდენი გჭირდებათ? გამოგიგზავნით, ოღონდ არაფერზე ინერვიულოთ.“

„ემიგრანტი მეგობარი“ — ეს მიშაა. სხვა წერილებსა და რეცენზიებშიც არაერთხელ განმეორდება მისი სახელი, არათუ განმეორდება, საგანგებო წერილიც დაიწერება:

**„ნიუ-იორკ ჰერალდ-ტრიბუნ“**

**ავტორი: კლემენტინ პედელფორდი**

**„დღეიში რესტორნისათვის — მხოლოდ უამრავია საკმარისი“**

მე-14 ქუჩაზე მდებარე „კავკასი“ ბერძენი უღვას სათავეში, რომელმაც მზარეულობა რუსეთში ისწავლა

**სტატის ახლავს ფოტო, მინაწერით: „მიშა ვავალაკს ცხელ-ცხელი, ტკაცუნა შაშლიკი შამფურიდან თევზზე გადმოაქვს“**

„და როცა ქართველისთვის აწყობ სუფრას, არ დაივიწყო, უამრავი საქმელი თუ არ იქნა, არ ეყოფათო,“ — ეს განლავეთ რჩევა, რომელსაც ძია ჯონი ჯორჯ პაპაშვილის საცოლეს, ჰელენა გერბერტოვნას აძლევს ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების წიგნის — „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ მიხედვით. ეს არის „რეცეპტი“, რომელსაც სუფრის გაშლისას ყველა ქართველი ითვალისწინებს. ეს არის გაფრთხილება, რომელსაც ყოველ მიზეზგარეშე მისდევენ იმ კავკასიურ რესტორანში, აღმოსავლეთ მეთოთხმეტე ქუჩის 317-ში რომ მდებარეობს და მიშა და ანიტა ვავალაკები რომ ხელმძღვანელობენ, — აწ უკვე სახელგანთქმული ჰელენისა და ჯორჯის ახლო მეგობრები.

მიშა ბერძენია, მაგრამ კერძების მომზადება რუსეთში ისწავლა. სირიასა და აფრიკაშიც ყოფილა მზარეულად, თუმცა მისი კერძები ზედმიწევნით რუსულია, დეტალები კი — ქართული. მისი კერძების განსაკუთრებულობის მტკიცებულებად იმ



მშვიერი ხალხის რიგები გამოგვადგება, მისი რესტორნის კართან რომ იყრიან თავს და ქუჩაში რომ უცდიან თავის ჯერს, რათა რესტორანში მაგიდას მიუსხდნენ. შაბათსა და კვირას, დილის თერთმეტიდან ღამის თერთმეტ საათამდე იქ ნემსსაც კი ვერ ჩააგდებ. სამშაბათობით კი კლიენტთათვის კარი დაკეტილია. ამ დღეს რესტორანს მიშა და მისი მეგობრები სტუმრობენ.

\* \* \*

**ბატკანი შამფურზე** – რესტორნის დიდებულ კერძს „შაშლიკი“ წარმოადგენს – ბატკნის ბარკალი, რომელიც სტანდარტულ ლუკმაზე უფრო დიდ ულუფადაა დაჭრილი და ხანჯალივით გრძელ შამფურებზეა წამოცმული, ქვანახშირით ავიზიზებულ ცეცხლზე იწვეება. შამფურები მაგიდებთან მიაქვთ და ცხელ-ცხელ, ტკაცუნა ხორცს კლიენტის თევფზე ალაგებენ. აქვთ უბრალო, 95 ცენტიანი „შაშლიკიც“ და განსაკუთრებული „შაშლიკიც“ 1, 25 დოლარად. ამ უკანასკნელის თავისებურება ბატკნის ნაჭრებს შორის აცმული პომიდვრები, წიწაკები და ხახვებია. ბატკანს, დაჭრილ ხახვსა და პომიდვორთან ერთად 24 საათის განმავლობაში ღვინის ძმრის მარინადში ინახავენ. ეს საფირმო კერძია, რომელსაც მიშა მაშინ ამზადებს, როცა ისა და ანიტა ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილებს პენსილვანიაში, ამ უკანასკნელთა ფერმაში სტუმრობენ. მიშამ წიგნში გვიჩვენა, თუ როგორ უნდა საგარეო პირობებში მზარეულობა და თითოთი ზუსტად მიგვითითა შესაბამის ფრაგმენტზე. აი, რა წერია წიგნში:

„...ცეცხლი დავანთეთ. როცა ნაკვერჩხალი დაცვივდა, გოჭი შამფურზე წამოვაგეთ, მიწაზე ჩარქობილ ორკაბა ჯოხებზე გავდეთ და მანამ ვატრიალეთ, სანამ არ დაიბრაწა და ტკაცატკუცი არ დაიწყო. შორიასლო ჩაცუტქულ ძაღლებს ენები ვადნოვდოთ და მშვიერი თვალებით მიშტერებოდნენ ჩვენს გოქს. ხალხიც ამ დღეში იყო.“

„მაგრამ მე ბატკანს ვამზადებ, გოქს კი არა,“ - განგვიმარტა მიშამ.

\* \* \*

**მხიარული სუფრა** – ფერმაში გამართული წვეულებები, - ამბობს მიშა, ზუსტად ისეთია, როგორადაც ჯორჯი ჰყვება. ის წიგნს ფურცლავს და თითს კვლავაც ზუსტ მონაკვეთზე უთითებს:

„...ხეებს შორის დარჩეული პანგები, საკვამურიდან ამოსული კვამლის ბოლქვები, შემწვარი ხორცის, ნამცხვრისა და ერბოს სურნელი, რომელიც სამზარეულოს ღია კარიდან გამოდიოდა, ოქროსფრად განათებული ფანჯრები და ხალხი – ჩემ სახლში მოლხენილი ხალხი!“

სტუმრები მიშას სახლშიც ილხენენ: ქართველები, რუსები, ბერძნები, ლატვიელები, ესტონელები, ებრაელები და ის მცირერიცხოვანი ამერიკელები, რომელთაც გაუმართლათ და იპოვეს ადგილი, სადაც ნორმალურ ფასად კარგად გამოიკვებებიან. მიშა ხალხს გულღიად ეგებება. ის დიდი კაცია, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებით, რაც მისი სახის ნაოჭებიდანაც ჩანს. მისი კეთილშობილი, მუქი და შორისმჭერტელი თვალები კი ყველას თბილად უღიმის. ხელს ყველას უწვდის და მტკიცე, ღონიერი ხელის ჩამორთმევა სჩვევია. და კარგადაც ადგება ეს თვისებები: მის სამზარეულოში ნახავთ მზარეულებს, რომლებიც იქ რვა, ათი, თხუთმეტი წელია მუშაობენ. როცა შეადღის სამი საათი სრულდება, მიშა იტყვის:





„- გვეყო ახლა.“

ბაღში სუფრა იშლება, სულმოსათქმელად იქვეა დოქი ღვინოც, ხოლო თანაც განსაკუთრებულს, თავად მიშა ამზადებს.

„მერე კი ვსხდებით ერთად და ვჭამთ, შეიძლება, ორი საათიც კი.“

\* \* \*

(*აქ სტატიაში აღწერილია რესტორნის მიერ შეთავაზებული საჭმელების აღწერა და ნუსხაც - რ.ნ.*)

პატარა რჩევები მენიუსთან დაკავშირებით:

მიშას რესტორანს თუ ეწვევით, სადილი მსუბუქი კერძებით დაიწყეთ... ბაღრი-ჯნებს კანიდან ამოხაპავენ, კარგად დაჭრილ მწვანე ხახვთან შეაზავებენ და შემდეგ ლიმონის წვენს, ზეთს, ტარხუნასა და ლამაზად დაჭრილ ოხრახუმს ამატებენ.

ორაგულის ზიზილალა სასიამოვნო საჭმელია, მას ზედ ევრაზიულ ხახვს აყრიან და ისე მოგართმევენ. გატარებული ღვიძლის პაშტეტიც აქვთ, თუმცა ჩვენთვის ზედმეტად ფაფუკია; ასევე, აქვთ შებოლილი ალოზა და ქაშაყი.

ბორში ყოველდღიური წვნიანია, რომელსაც ჭარხლისგან, კუბებად დაჭრილი ნიახურის, კიტრისა და მწვანე ხახვისაგან ამზადებენ; ყველა ეს ინგრედიენტი წვნიანის პიკანტური გემოს შესაქმნელად მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

რაც შეეხება მენიუს იმ ნაწილს, რომელიც რძის ნაწარმის სახითაა წარმოდგენილი: თქვენ შეგიძლიათ, „სირნიკები“ მიირთვათ. ნაღულს კვერცხთან ერთად თქვენ ფენ, ცოტაოდენ ფქვილს, შაქარს და უმნიშვნელო რაოდენობის მარილს ამატებენ, ბურთულებად ამრგვალებენ და ღრმა გავარგარებულ ტაფაზე წვავენ იქამდე, ვიდრე ყავისფერს არ მიიღებს. ამ ცხელ-ცხელ ბურთულებს არაქნის დიდ თასთან ერთად მოგართმევენ. ცივი არაქანი, ზომიერად ცხიმოვანი ნაღული, რომელიც ხრამუნა ქერქის ქვეშა მოქცეული, ძალიან რბილი და ფაფუკია თქვენი კბილებისა და ენისთვის!

—სად ისწავლეთ ამ კერძის კეთება?— შევეკითხეთ მიშას.

ამაზე პასუხი კი, მიშას თქმით, უკავშირდება ამბავს, რომელიც „საკმაოდ ამაღელვებელია და ძალიან რომანტიკული.“ ჰოდა, ეს ისტორია თავიდან ბოლომდე კი მოგვიყვია, მაგრამ ცოტა არ იყოს, დავიბენით. თუმცა, არა უშავს, მთავარია, ფინალი გავიგეთ:

„ყველაფერი რიგზე იყო, ყველაფერი.“

\* \* \*

**ყველაფერი რიგზეა** — გვინდოდა, თქვენთვის უფრო დეტალურად მოგვეთხრო ამ უჩვეულო კერძების შესახებ, მაგრამ ორი საათი, რომელიც მიშასთან გავატარეთ ძალიან ჰგავდა იმ დიალოგს, რომელსაც მაშინ ჰქონდა ადგილი, როცა მიშას მისმა მეგობარმა, ჯორჯ პაპაშვილმა დაურეკა, რათა ეთქვა, რომ მისი წიგნი „თვის წიგნის კლუბის“ რჩეული გამხდარიყო და ამ ამბის აღნიშვნას აპირებდა.

„- მიშა და ანიტა, მოხვალთ? „თვის წიგნის კლუბმა“ ჩვენი წიგნი შეარჩია, - უთხრა ჯორჯმა.

— არ ინერვიულოთ, - მიიღო მიშასგან პასუხად, არ ღირს ამაღ.

— არა, - გაუმეორა ჯორჯმა, „თვის წიგნის კლუბი“ დიდი კლუბია.



- არა უშავს, - კვლავ უბასუხა მიშამ, რამე უკეთესი გამოჩნდება.
- ეს კარგია. მათ ფული მომცეს, -ბოლოს გაანდო ჯორჯმა.
- გასაგებია. ფული. მიშა უკვე ყვიროდა ყურმილში: - რამდენი გჭირდება?

გამოგვიზავნი, ოღონდ არაფერზე ინერვიულო. ყველაფერი რიგზეა.“  
 აი, ასეთია მიშას რესტორანიც. შესაძლოა, ვერ გაიგოთ კერძების მისეული  
 აღწერები; შესაძლოა, მან ვერ გაიგოს, რას ამბობთ, მაგრამ ყველაფერი რიგზეა.

**სხვათა შორის - თუ ჯერ არ წაგიკითხავთ „ჰარპერ ენდ ბრაზერსის“ გამოცემულ  
 ლი „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ (2 დოლარი), თავს კარგი სადამოს გატარების  
 ფუფუნება მიეცით. კერძების მირთმევას პირდაპირ ფურცლებიდან შეძლებთ; საქ-  
 მელი ძალიან მადისაღმძვრელია, იუმორი - უგემრიელესი. წიგნი, ერთდროულად,  
 სიცილსაც მოგგვრით და ცრემლებსაც.“**

ჩემი მხრივ დავამატებდი: სუფრა, ქეიფი, სტუმრები, მოლხენა - პროზაულ  
 ტექსტში მშვენივრად აღწერილი და შესაბამისად, უცხოელი კრიტიკოსების მიერაც  
 აღნიშნული, თანაც ასე ფართოდ! ხაზგასმით აღნიშნული არაერთ წერილში, ქარ-  
 თულ ეროვნულ თვისებად მიჩნეული და სწორადაც შექმნილი; ანკი რა გასაკ-  
 ვირია: გაჯახსენდებათ, ვანში (დასავლეთ საქართველო) არქეოლოგიური ვათხ-  
 რების დროს აღმოჩენილი „თამაღის“ ბრინჯაოს ქანდაკება ყანწით ხელში. ნამუ-  
 შევარი ძველი წელთაღრიცხვით VII საუკუნით თარიღდება. შორეულ წარსულ-  
 ში დაბადებული და თაობიდან თაობას გადაცემული ერთი ლამაზი ტრადიცია:  
 ქართული სუფრა - კოსმიური წესრიგით დალაგებული სადღეგრძელოების წესითა  
 და რიგით, რომელიც მიწიერსა და ზეციურს ასე ჰარმონიულად აერთიანებს; თანაც  
 სიმღერით, ლხენითა და ხალისით საგსე...

**ვაშინგტონი**  
**შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო**  
**1952 წლის 5 თებერვალი**

„ჩემო ძვირფასო მისს ფისკე:

სახელმწიფო დეპარტამენტი საზღვარგარეთთან საინფორმაციო და საგანმანათ-  
 ლებლო ურთიერთგაცვლის პროგრამის ფარგლებში ცდილობს, ხელი შეუწყოს უცხო-  
 თურ საზოგადოებებში ამერიკული ცხოვრებისა და აზროვნების, დემოკრატიის,  
 როგორც ფილოსოფიისა და ცხოვრების წესის ფართო აღიარებას და გაცნობიერე-  
 ბას. ამასთან დაკავშირებით, სახელმწიფო დეპარტამენტი დაინტერესებულია, ხელი  
 შეუწყოს საზღვარგარეთ გარკვეული ლიტერატურის გამოცემას ადაპტირებული  
 ფორმით. ეს ადაპტაციები ყველაზე გამოსადეგი აზიურ ქვეყნებშია, სადაც მკითხ-  
 ველი საზოგადოების დიდი ნაწილი შეუზღვეველია გრძელ წიგნებს და არც გადახ-  
 დისუნარიანია. ეს გამოცემები ასევე, გაზრდიან ამერიკული წიგნის მკითხველთა  
 აუდიტორიას მსოფლიოს სხვა რეგიონებშიც. დეპარტამენტის მიერ ამ პროგრამისთ-  
 ვის შერჩეულ წიგნებს შორის გახლავთ ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების „ყველაფერი  
 შეიძლება მოხდეს“, რასაკვირველია, თუ ამაზე თანხმობა გვექნება.

ამ პროგრამის ფარგლებში დეპარტამენტი, თავისი საზღვარგარეთ არსებული სამსახურების მეშვეობით, უზრუნველყოფს, რომ უცხოელ ავტორთა ტექსტებისა და პერიოდიკის გამოცემლებს 20-40 ათას სიტყვამდე ადაპტირებული შერჩეული წიგნები გადაეცეთ. მათი თარგმნა შესაძლებელი იქნება ადგილობრივ ენებზე რათა ისინი ცალკეული კრებულების ან სერიული გამოცემების სახით მიეწოდოს მაქსიმალურად დიდ აუდიტორიას. ადაპტირებას კომპეტენტური პროფესიონალები მოახდენენ შეერთებულ შტატებში დეპარტამენტთან კონტრაქტის საფუძველზე. ადაპტირებული ვერსიები და იგივე ნაწარმოებები სრული სახით სავაჭარაულოდ, ერთსა და იმავე ენაზე ერთდროულად არ გამოიცემა.

**ენები, რომლებზედაც დეპარტამენტი ამჟამად მუშაობს, შემდეგია: არაბული, ბენგალური, ბირმული, ჩინური, ჰოლანდიური, ინგლისური (ფილიპინების, ინდონეზის, პაკისტანის, ცეილონის, სინგაპურის, ბირმის და/ან ჰონკონგის გამოცემებისთვის), ბერძნული, გუჯერათული, ებრაული, კანარული, იტალიური, მალაური, მარათიული, ნორვეგიული, სპარსული, პორტუგალიური, სერბულ-ხორვატული, ესპანური, ტაილანდური, თურქული, ურდუ და მრავალი სხვა.**

მ. ელიზაბეთ მაქნოლი (ხელმოწერილია)  
თარგმანების სექციის ხელმძღვანელის მთავარი თანაშემწე  
სპეციალური პროგრამების განყოფილება  
სავაჭარო საინფორმაციო ცენტრი.“

„პი. ემ. ნიუ-იორკი“

**როჯერ პიპეტი „რუსი აღმოაჩინს ამერიკას“**

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“

ჯორჯ და ჰელენ უეიტ პაპაშვილები

(„პარპერ ენდ ბრაზერს,“ 2 დოლარი)

სტატიას ერთვის ფოტო მინაწერით: „ჰელენ და ჯორჯ

პაპაშვილები, ავტორები წიგნისა

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს;“

„ამბავი, როგორ აღმოაჩინა რუსმა ამერიკა“

„...ჯორჯ პაპაშვილი... სიცოცხლით სავსე და მხიარული გამოწვევაა.

ის არის ადამიანი, რომელიც საუკეთესო ზვარაკი უნდა ყოფილიყო. ადამიანი, რომელიც ოთხ ენაზე ლაპარაკობდა — რუსულად, ქართულად, თურქულად, სპარსულად — მაგრამ არა ინგლისურად. ადამიანი, რომელმაც ამ მასობრივი პროდუქციის ქვეყანაში მხოლოდ ორი ხელობა იცოდა — მათრახის ტარისათვის დეკორატიული ტყავის დამზადება და საბრძოლო და წვეწარმახელი ხმლებისა და ხანჯლების წრთობა. უფრო მეტიც — ადამიანი, რომელიც ნებისმიერ სიძნელეს მშვენიერ ზღაპრად აქცევდა.

ჯორჯს, რომელიც ამ ქვეყანაში კობიანთკარიდან, რუსეთის საქართველოდან ჩაბოვიდა 25 წლის წინათ, გემიდან გადმოსვლაც არ აცალა მისტერ ვორდლი ვაისმენმა, (სტატიაში — „პრაქტიკული ბრძენკაცი,“ რომელიც პირველ წაშლილ აბჯანშიც

ნახსენებია, ძნელად იკითხება; სავარაუდოდ, ის პაპაშვილის ანტიპოლია - რ.ნ.)  
როცა ახალი ცხვრის ბეწვის ბოხონი დასტყუა და სანაცვლოდ იაფფასიანი  
ზოლიანი კეპი და ერთი დოლარი მისცა.

„კეპი პატარა მომივიდა, ძლივს მიფარავდა კინკრინოს, მაგრამ ამერიკაში  
ამერიკულად უნდა ჩაიცვა და თანაც რა სასიამოვნოა, როცა გემოვნებით იცვამ!“

### **შახი მისტერ ვორდლი ვაისმენი!**

ექვსი თვის შემდეგ მისტერ ვორდლი ვაისმენი ისევ გამოჩნდა ვან კორტლენდის  
პარკში. ამჯერად მან ტოტები დაამტვრია აყვავილებულ შინდის ხეს და როგორც  
კი თვალი მოჰკრა მისკენ წამოსულ პოლიციელს, ტოტები ჯორჯს მიაჩნია და უთხრა:  
„- ფეხსაცმლის ზონარი უნდა შევიკრა, ეს თაიგული ერთი წუთით დამიჭირე,  
მალე დავბრუნდები.“

### **ხელის ჩამორთმევა მოსამართლესთან**

მეორე დღეს სასამართლოში ჯორჯმა მხნეობა მოიკრიბა და დაიყვირა:

„- და მნაშავე არა ვარ, თქვენო უმწიკვლოებაე!“

სასამართლოში ერთი ვაი-უშველებელი ატყდა. მთელი დარბაზი ახარხარდა.  
მოსამართლემ ჩაქუჩი დააბრაახუნა - ბახ! ბახ! ბახ! სახე მამლის ბიბილოსავით გაუ-  
წითლდა.

- ნეტა რა ჩავიდინე? ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ახლავე სინგ-სინგში გამაგზა-  
ვნიდნენ და ყველაზე ღრმა ჯურღმულში ჩამაგდებდნენ, მაგრამ მოსამართლე ჯერ  
დარბაზს მიუბრუნდა, სიტყვა „უმწიკვლოების“ გამო ასეთი სიცილის ატეხა სასა-  
მართლოს შეურაცხყოფას ნიშნავსო.“

საბოლოოდ, დარწმუნდა რა ჯორჯის უდანაშაულობაში, საქმე დახურა. შემ-  
დეგ „მისი უმწიკვლოება, დიდი ამერიკელი მოსამართლე ჩემსკენ გადმოიხარა და  
იცით, რა მითხრა, მე უბირს, უენოს, ექვსი თვის ჩამოსულ გამოუცდელ უცხოელს?

- ახალგაზრდავ, მე მსურს ხელი ჩამოგართვათო და მართლაც, ჩამომართვა.

მთელი დარბაზი გვიყურებდა.“

### **შახი კიდევ ერთხელ!**

სამი წლის და რამდენიმე სხვადასხვა სამსახურის გამოცვლის შემდეგ, ჯორჯი  
მუშაობას იწყებს მანქანების შემკეთებლად პიტსბურგის მახლობლად მდებარე ქა-  
რჩანაში, რომლის შეფიც მისტერ ვორდლი ვაისმენი გახლავთ. როცა ჯორჯი აღმო-  
აჩნეს რომ „შტრეიკბრუნებია“, ის ბოსთან პროტესტს გამოთქვამს, რომელიც მას  
დაცვის გამოძახებით აშინებს.

„- თუ გინდა, დავარტყათ, - ვუთხარი მისტერ ბლეკს, სადაც გინდა და როცა  
გინდა. ვამჯობინებდი კი ახლავე. ოღონდ ვაქცაუტრად. მცველები? ევ რა კაცობაა?  
სიმაპაცე გინდა იყიდო, წინდები ხომ არაა? ფული გადაუხადო ვინმეს, რომ შენტ-  
ვის გამოიჩინოს ვაქცაუტობა?“

დიდ ბოსს სახე მარჯნისფერი გაუხდა. მან თვალების პარპალი დაიწყო, იგი  
ჯანმრთელ კაცს არ ჰგავდა. ალბათ, ცოტას ჭამდა და ბევრსა სვამდა.

- ინანებ, - თქვა ბოლოს ბოსმა.“

„ძალიან თავმომწონე“

„— რა თქმა უნდა, ვინანებ. უკვე ვნანობ კიდევ. როგორ ფიქრობთ, მესიამოვნება, რომ ასე უხეშად გელაპარაკებით ამ ჭალარა, მამისტოლა კაცს? რა თქმა უნდა, არა. ჩემი თავის მრცხვენია, მაგრამ ისევ თქვენი ბრალია. მე ხომ არ დამიწყია ლანძღვა და მუქარა.“

როცა ჯორჯი ფაბრიკის ჭიშკარში გავიდა, გაფიცულებმა, სანამ გაიგებდნენ, რომ ის მათი მომხრე იყო, სცემეს. ერთ კვირაში ბოსმა გადაწყვიტა, შეთანხმებულა გაფიცულებს. მეგობრებმა ჯორჯსაც უმოვეს ადგილი შემკეთებელ საამქროში. მაგრამ ჯორჯმა ამ სამუშაოს არ მოჰკიდა ხელი.

„მართალი გითხრათ, გული არ მიმიწევდა ამისთანა უფროსის ხელში სამუშაოდ — ამ კაცს ზრდილობის ნასახი არ გააჩნდა. და ყველაზე ცუდი კი, ჩემი აზრით, ის იყო, რომ იგი არც გამოსწორდებოდა.“

### შახი და მათი!

ამის შემდეგ, ჯორჯი სანაქებოდ ასრულებს ათას მეერთე საქმეს, — ასწავლის ინდიელებს მწვადის შეწვას, ასახიერებს კაზაკების როლებს ჰოლივუდში. ზრდის წიწილებსა და თხებს და ბოლოს, ხვდება და ცოლად ირთავს კალიფორნიაში დაბადებულ ჰელენს, რომელიც ფურცელზე გადაიტანს მის მონათხრობს იმ მიწის შესახებ, სადაც „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“

აღენთაუნში ცხოვრობენ, სადაც ჰელენი წიგნის მალაზიას უძღვება. როცა ამასწინათ მათ დაველაპარაკე, ჰელენმა მითხრა, რომ მათი ყველა მეგობარი „პი. ემ.-ის“ მკითხველი იყო.

„— პი. ემ.-ის“ მკითხველად ყოფნა, კლუბის წევრობასავითაა, — თქვა მან, „როგორც ელკისა“ (ძველი ამერიკული სოციალური კლუბი — რ.ნ.). წიგნის გამოსვლის შემდეგ ჰელენმა აღმოაჩინა, რომ უამრავი თავყვანისმცემელი ჰყავს.

„— ეს მშვენიერია, ოღონდ იმავდროულად, ცოტა სახიფათოც და გულის-მაჩუყებელი.“

ჯორჯი, რომელსაც სტალინის უღვაშები აქვს, იქვე მდებარე თავდაცვით ფაბრიკასთან თანამშრომლობს.

„— აქ დროებით ვარ, — მითხრა მან. ოღონდ ეს ჩემი ომი არ არის. ეს თქვენი ომი არ არის. ეს ყველას ომია. ფოთლის გარეშე ტყე ვერასოდეს იარსებებს.“

როცა მათ გაიგეს, რომ „თვის წიგნის კლუბმა“ „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ შეარჩია, პაპაშვილებმა გადაწყვიტეს, აღენიშნათ. მათ ერთ-ერთ თავის მეგობარს, მიშას დაურეკეს და ჯორჯი შეეცადა, ამ უკანასკნელისთვის აეხსნა, რა მოხდა.

„— მიშა, ჩვენი წიგნი „თვის წიგნი“ გახდა, — თქვა მან.

— ნუ სწუხარ, — უბასუხა მიშამ, არ ღირს ამად.

— არა, — უთხრა ჯორჯმა, „თვის წიგნი“ დიდი კლუბია.

— არა უშავს, — უთხრა მიშამ, რამე უკეთესი გამოჩნდება.

როცა სალაპარაკოდ გამოყოფილი სამი წუთი თითქმის გავიდა, ჯორჯმა დაამატა:

— ეს კარგია. მათ ფული მოგცეს.

— კეთილი, — მიუგო მიშამ, ფულს, რამდენიც გჭირდება, გამოვიგზავნი, ოღონდ არ იღარღო. ყველაფერი კარგად არის.“

მე ვკითხე ჯორჯს, რას უბრალებდნენ ისა და ჰელენი წიგნში ასაღებ ფულს. ჯორჯმა გაიცინა და დასძინა:

— ჯერ არავითარი ფული არ გამოუგზავნიათ. ასე რომ, არ ვიცით, რას ვუხამთ. “**ყველაფერი შეიძლება მოხდეს**” იმგვარი ემოციური კომენტარებითაა სავესე, როგორსაც ვერასოდეს დაიმახსურებს მისტერ ვორდლი ვაისმენი.

„**მხოლოდ უამრავია საკმარისი**“

„— რას აკეთებს ამერიკაში ხალხი ყოველ წუთს?“

— ჭამს.

— თუ არ ჭამენ, კევს ღებავენ კუჭის მოსატყუებლად.“

„ნუ დაივიწყებთ, რომ წესი მათთვის იწერება, ვინც თავგასულია.“

„თუ გინდა ბედნიერი ცოლ-ქმრობა გქონდეთ, სულ ცოტა, დღეში ერთხელ მაინც უთხარი შენს ქმარს, მიყვარხარ-თქო. და როცა ქართველებისათვის აწყობს სუფრას, არ დაივიწყო, უამრავი საჭმელი თუ არ იქნა, არ ეყოფათ.“

ჯორჯს მოსწონს თავისი ამერიკელი მეგობრების თავისებები, „რომ ხშირად იცინიან (ხანდახან თავიანთ თავზეც კი)... რომ ამსხვრევენ მოძველებული იდეების ბორკილებს და არ ეშინიათ, რომ ყველაფერი, თვით სიკვდილიც კი, საკუთარ თავზე გამოსცადონ. ამგვარი სიმაჰაცე აქამდე არც გამეგონა.“

მან ბევრი რამ ისეთიც ნახა, რაც არ მოეწონა.

„განა ქვეყნად არის სრულყოფილი მხარე? მაგრამ ნამდვილმა სიყვარულმა ნაკლოვანებებიც უნდა აიტანოს. ვხედავდი ღატაკთა დაბრეცილ ხუხულებს, რომლებსაც შიგნიდან ქალაქის ნახევები ჰქონდა გაკრული, ვხედავდი ფერად-კანიანებს, რომლებიც კინწისკვრით გაეგდოთ სუფრიდან. ეს სუფრა ცხოვრებას მხოლოდ ჩვენთვის — თეთრკანიანებისათვის გაეშალა. ვხედავდი ნალულიან ადამიანებს, რომლებიც მოთმინებით იცდიდნენ ფაბრიკებთან, ქარხნებთან, მაგრამ ისინი აღარავის სჭირდებოდა.“

ეს ყველაფერი ადრე რომ მენახა, გული გამისკდებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამერიკაში ვიმოგზაურე, დავმშვიდდი — ვნახე, რომ ყველაფერი ბლომად იყო. დოვლათი ყველას ეყოფოდა, ოღონდ სამართლიანად უნდა გაენაწილებინათ.“

როგორც ხედავთ, **პაპაშვილის სამყაროში თქვენთვის ადგილი აღარ არის. მისტერ ვორდლი ვაისმენ!** სჯობს, აორთქლდეთ, როგორც ჯორჯი იტყოდა.“

„**ყველაფერი შეიძლება მოხდეს**“

**ავტორები: ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები**

„**პარპერ ენდ ბრაზერსი.**“ 2 დოლარი

**ო.ო. „ჯენტლმენი საქართველოდან“**

**წერილს უძღვის ფოტო. მის ქვეშ მინაწერია:**

„**ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები, რომელთაც დაწერეს თავგადასავალი, სადაც აღწერილია, თუ როგორ იქცა რუსი კაცი ამერიკელად იმ ქვეყანაში, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს**“

„თუ პირველი წიგნი, რომელიც 1945 წელს წავიკითხეთ, რაიმე სახით მომდგმნი წიგნებზეც მიგვანიშნებს, მაშინ ეს ათწლეული მწერლის საუკეთესო წლები უნდა იყოს. ჯორჯმა და მისმა ამერიკაში დაბადებულმა ცოლმა, ჰელენმა გვიამბეს ამბავი, ან უფრო სწორად, პატარა ამბების სერიები, რომელიც გულის კუთხე-კუნძულებს სითბოთი აგვისებთ, პარალელურად კი აღმოაჩენთ, რომ თქვენ ხელში გიჭირავთ ორ ყდას შორის მოქცეული ყველაზე კეთილშობილური იარაღი საერთაშორისო ურთიერთგაგებისა.“

გიორგი ელის აილენდზე საქართველოდან ჩამოვიდა. ვგულისხმობთ სტალინის საქართველოს და არა იმას, სადაც მარშით დადიან (იგულისხმება აშშ-ის შტატი ჯორჯია და ალუზიაა 1865 წელს დაწერილ იტაურ მარშის სიმღერასთან, *Marching Through Georgia* — რ.). პერსონაჟი ჯერ კიდევ თავისუფლების ბანაკების ჩრდილქვეშ ერთმა ამერიკელმა გაიძვერა გააბითურა და მსგავსი რამ კიდევ ბევრჯერ შეემთხვა. თუმცა სანაცვლოდ, ჯორჯმა მეტაფეები გააბრიყვა, როცა მწევანე კუბიურების მთელი დასტა აჩვენა, რაც მისი მატერიალური კეთილდღეობის დასტურად მიიღეს. მეორე წუთას კი დასტა უკან დაუბრუნა ბერძენს, რომლისგანაც მთელი ეს ფული ჰქონდა თურმე „ნაქირავები.“

ასე იყო თუ ისე, ჯორჯ პაპაშვილი სრულიად უფულო და მიამიტი სამუშაოს ძებნას შეუდგა. მან არ იცოდა ინგლისური (მის წიგნში გამოყენებული ენაც კომიკურად უსუფთაოა). მისი უნარ-ჩვევები შემოიფარგლებოდა მეხანჯლეობის ხელობით, სნაიპერობის არცთუ მცირედი გამოცდილებითა და ტყავის დეკორატიული დამუშავების ცოდნით; მას შეეძლო, მათრახის ტარი ლამაზად გამოეყვანა.

თუმცა, ამ დიდ რუს ყველაზე მეტად თავისი თბილი გული, მზიარული, გაბედული ბუნება გამოადგა და კიდევ უნარი, უარი ეთქვა ნებისმიერი შიშისა თუ შფოთისათვის. მეტიც, რუხველტის არ იყოს, ჯორჯიც მუდამ „სიამაყით სავსე“ ვახლდათ.

იმდენად, რამდენადაც ჯორჯს არ შეეძლო მუშაობის გარეშე ჭამისადმი თავისი სიყვარული სათანადოდ გაენებივრებინა, ის სამსახურს სამსახურზე იცვლიდა. ავტომობილის მუშაც იყო, უნებლიე „შტრეიკბრეხერიც“, რესტორნის თანამშრომელიც, ტრანსკონტინენტური მოგზაურიც, გამომგონებელიც, ფერმერიცა და კიდევ სხვა ათასი რამ. მას, როგორც წესი, გარს ეხვია მისი ღირსებით მოხიბლული აღამიანები. ყველა ეს უცნაური პერსონაჟი მოგაჩადოებთ, დაწყებული გოლიათ ძია ჯონით, რომლის ინგლისური ლექსიკაც სამი სიტყვისაგან — „მე შენ მიცვარხარ“ — შედგება, რუსი აღმირალითა და მისი უჩვეულო ოჯახით დამთავრებული.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნის თავები ჯორჯის დაპატიმრების, ზღაპრული ქორწილის, კალიფორნიის სანაპიროზე გამართული პიკნიკისა და კიდევ სხვა ამბების შესახებ უდავოდ, არაჩვეულებრივია, ჩვენი რჩეული თავი მაინც „მზიარულების ყურძნების“ სტილში (ალუზია სტაინბეკის რომანთან „მრისხანების ყურძნები“ — რ.) გადაწყვეტილი მოგზაურობაა დეტროიტიდან სან-ფრანცისკომდე, ხმარებიდან გამოსული მანქანების გადარჩენილი ნაწილებისგან აწყობილი სატვირთო მანქანით. ჩვენი აზრით, ჯორჯის შეხვედრა ინდიელებთან ისეთი სცენაა, რომლის სიღრმეშიც ვერაფერია ჩავა, ხოლო ყველა ის ქადაგება, რაც მას არასდროს წაუტოხავს, სწორედ იტა-



ყველაფერი, რაც კი შეიძლება მომხდარიყო, პრაქტიკულად მოხდა. ჯორჯმა კარგი ამერიკელები გაიცნო, ხოლო ცუდმა ამერიკელებმა მოტყუებული დატოვეს. თუ სოციალურ ცნობიერებას არ უჩივით, მაშინ მისი წესიერებით გამორჩეული დაკვირვებები გაგაწითლებთ. თუ გათამამებული ახალი ინგლისელი (აშშ-ს რეგიონი ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში — რ.ნ.) ხართ, მისი სამაგალითო გაბედულება და ის განუზომელი ერთუზიაზმი, რომელსაც თქვენი ქვეყნის წინაშე ავლენს, ალბათ, სირცხვილს მოგგვრით. ჯორჯ პაპაშვილი არასდროს აძლევს თავს ნებას, ემიგრანტის საყვარელ თემას შეეხოს — თემას, ან კი ლამის დისერტაციას დემოკრატიის რაობის შესახებ. ის უბრალოდ ცხოვრობს ამ დემოკრატიაში, როცა ის თავის პოლიტიკოს ბოსს ადგილზე „მოსვამს“ ანდა, როცა მოსამართლეს საკმაოდ გულწრფელად, ასე მიმართავს: „თქვენო უმწიკვლოებავ!“

საუკეთესო კომედიას თავისი სერიოზული მხარეც აქვს და ასეც არის ამ სასაცილო და მომხიბლავ ინგლისურ ენაზე დაწერილ შესანიშნავ წიგნში. ყველაზე სევდიანი მომენტი ამ ნამდვილი ისტორიისა ალბათ, ისაა, რომ გიორგი პაპაშვილი მთელ აშშ-ში სხვა ქართველ (საბჭოთა კავშირი) კაცებსა და ქალებს ეძებს და მხოლოდ ძალიან ხნიერ ჯენტლმენს პოულობს. ეს კი დასანანია, რადგანაც სამყაროს, ზოგადად, ბევრი, ძალიან ბევრი ჯორჯი სჭირდება, რათა ხალხს „თავისუფლების ოთხი მიზანი“ გვასწავლოს, სამყარო კი უკეთეს საცხოვრებელ ადგილად აქციოს.

მოკლედ, ძალიან მაღალი კვოტა ქართველებისთვის ამერიკაში! — თუ არ შეწყუბებით, ჩვენო საემიგრაციო ბიუროვ.“

**შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო  
ვაშინგტონი**

1085 „რ“ შენობა

1955 წლის 1 მარტი

„ძვირფასო მისის პაპაშვილო,

შეერთებული შტატების საინფორმაციო სამსახური ჰონკონგში გვატყობინებს, რომ პროგრამის: „წიგნების თარგმანი“ ფარგლებში მზადდება ჩინურ ენაზე თარგმნილი ამერიკელ ავტორთა წიგნების ნახევარსაათიან რადიო-ინსცენირებათა სერია. გარდა იმისა, რომ ქვეყანაში გაზარდოს კითხვისადმი ინტერესი, ამ თარგმანების მიზანია, გაიზარდოს ანტიკომუნისტური ხასიათის ლიტერატურის ნიმუშების გაყიდვები. მათ შორის მზადაა გარკვეული რაოდენობის წიგნები ჩინურ ენაზე გადასათარგმნად. ისინი შერჩეულ იქნა შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს საერთაშორისო მომსახურების ცენტრების მიერ. ამ პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია „ჯორჯ და პელენ პაპაშვილების“ ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“

თქვენი ნებართვის შემთხვევაში წიგნი გადაეცემა სათარგმნად.

გთხოვთ, ამ უფლების მონიჭებას.

პატივისცემით,

ვევლინ ეიზენდტალტი (ხელმოწერილია)

საავტორო უფლებათა სპეციალისტი.“



„ანტიკომუნისტური ხასიათის ლიტერატურის ნიმუშები“ – ითქვა. ერთი მაგალითი მინდა მოვიტანო და შეკითხვაც დავსვა: **თარგმანი თუ ინტელექტუალური დეზორიენტაცია?**

ცნობილი ქართველი ემიგრანტების, თამარ და აკაკი პაპაევების არქივში ინახება რუსულ ენაზე, მიუნხენში გამოცემული წიგნი, რომელსაც არც გამოცემის წელი აქვს მითითებული და არც მთარგმნელის გვარი. ავტორიც – ერთი ჰყავს: მხოლოდ გიორგი პაპაშვილი (?). წიგნის გარეკანი = ყდა ამგვარადაა გაფორმებული:

Георгий Папашвили  
 Все, Что Угодно  
 Может Случиться  
 (Приключения эмигранта в Америке)  
 Перевод с Английского  
 Мюнхен

აკაკი პაპაევას ბიბლიოთეკაში №439 წიგნის ნომერია. ცნობილი ბესტსელერი არ არის ჩვეულებრივი პოლიგრაფიული წესით დასტამბული. გარეკანზე ეს შესაბამისი არაა, მაგრამ შიდა ნაწილი საბეჭდო მანქანაზე აკრეფილი ტექსტის ანალოგი გახლავთ. ამგვარი წიგნები იმხანად, არცთუ იშვიათად გამოდიოდა. ზოგიერთი მეცნიერი მათ „ხელნაწერ წიგნებსაც“ კი უწოდებდა. ჩნდება ერთი შეხედვით, რამდენიმე უხერხული კითხვა:

1. რატომ ითარგმნება და ვრცელდება ევროპაში, კერძოდ, გერმანიაში ინგლისურ ენაზე დაწერილი წიგნი რუსულ ენაზე?!
2. რატომ არაა მითითებული წიგნის რედაქტორის გვარი?!
3. გასაგებია ის შემოქმედებითი ძალისხმევა და შრომა, რომელიც მთარგმნელმა გასწია, მაგრამ არსად მისი გვარი მითითებული არაა. რატომ უნდა დარჩენილიყო უცნობად მაშინ, როცა მსოფლიოში ცნობილ წიგნს თარგმნიდა?!

თარგმნა არა მხოლოდ კულტურული ურთიერთობის, ინტელექტუალური დისკუსიის ფორმაა. ის ახალი მკითხველის შეძენის, თაყვანისმცემლების შემოპატების შესაძლებლობაც გახლავთ, მტრებისაც. **როცა სწორედ ინტელექტუალური დეზორიენტაცია ხდება, ვფიქრობ, ეს ბევრად სერიოზულია.**

საბჭოთა ხელისუფლებას „ბრძოლის“ სხვადასხვა, სრულიად განსხვავებული მეთოდები ჰქონდა. საქმე ამ ადამიანების წარსულში იყო. ევროპულ ემიგრაციასთან ქვეყანამ განსაკუთრებული ტაქტიკა შეიმუშავა, ბევრად მკაცრი: ბიბლიოთეკების საცავებიდან ამოიღეს მათი ნაშრომები, თაროებიდან ჩამოიღეს მათივე წიგნები, ფოტოებიდან ამოჭრეს სახეები, ასე უფრო იოლად დაავიწყებდნენ საზოგადოებას მათ გამომეტყველებას, იმათ გარეგნობას... მათი სახელების ხსენებაც კი აიკრძალა.



უმეტესობა ხომ პოლიტიკაში იყო ჩართული, ვინ მეტად, ვინ შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც შესამჩნევად. ცოტა განსხვავებულია ამერიკულ ემიგრაციასთან მიმართება... და რაც შეეხება გიორგი პაპაშვილს; მისი გვარ-სახელი ქართულ საზოგადოებას ბევრს ვერაფერს ეტყოდა, ამდენად, სახიფათოც არაფერი იყო. აი, მისი წიგნის წარმატების შესახებ კი სასურველი იყო, არავის არაფერი სცოდნოდა; და თუ მაინც აღამაინც გაიგებდა, „სიმართლეში“ თავად და თანაც, ძალიან უნდა დაემუქებულიყო. გამოსავალიც მოიძებნა!...

რომელი უფრო მნიშვნელოვანია: გააკრიტიკო თუ გადათარგმნო? მეორე „უკეთესია“! უფრო „გამართლებს“. უარყოფითი რეცენზიები ისეთი ეფექტური ვერ იქნებოდა, ვერც იმ რაოდენობით გავრცელდებოდა. ამიტომ თარგმანი! ტირაჟიც და მკითხველთა რაოდენობაც წინასწარ გაზრდილია, თან აღამაინები, როგორც იტყვიან, „საკუთარი თვლით ნანახს“ უფრო უჭერებენ; ე.ი. ეჭვის ნაყოფიერი მარცვლები უკვე ჩაგდებულია. დანარჩენი იოლად მოგვარდება. არა, ეს ოპერაცია არაა! ეს მორიგი, გვემიური სამუშაოს „კარგად“ მოფიქრებული, გააზრებული და ზუსტად შესასრულებელი სტრატეგიაა. მხოლოდ რამდენიმე აქცენტს გავაკეთებ; ამ ხარვეზების გამო მოცემული ტექსტი ლიტერატურის იმ დარგს, თარგმანი რომ ჰქვია, არ პასუხობს.

ერთი ჩვეულებრივი დიალოგიდან დავიწყეთ: გაცნობა.

„— გამარჯობათ, ბატონო!

.....

— გაგმარჯოს, შვილო! ეს რა ბედნიერი დღე გამითენდა!“

„— Гамарджеба, батюно / Да будет победа Ваша в битве, сэр/.

.....

„— Гагмарджос, Швило. Маделобтхеле варт. /Слава Богу, что солнце взошло в этот день, мой милый мальчик!“.

ნურც ამ და ნურც სხვა შემთხვევაში ჩათვლით, რომ წიგნის კორექტორს ეს გვერდები „გაეპარა“. ის არც თარგმანის „სიზუსტეზე“ აგებს პასუხს. მკითხველი უნდა „მიხვდეს“, რომ აღამაინები ესალმებიან ერთმანეთს.

კიდევ ერთი „შთამბეჭდავი“ ეპიზოდი — სამრეცხაოში პერანგის გამოსატანად შესული პერსონაჟი ქართველისათვის კარგად ნაცნობ სიმღერას ლილინებს. დახლთან მდგომი ქალი მიხვდება, რომ შემოსული მამამისის „ენაზე“ მღერის...

„ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები, დელია რანუნი...“

— მოდი, დავუძახებ. მამა! მამა!

— მა-მა!!

— წყალს ნაფოტი, ჰარალო, წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა... გვერდითა ოთახის კარი გაიღო და...“

თარგმნილია:

„Нурте Гаришдече. Нурте Гаришдече “ /Летай бабочка, летай/.

— Все равно, я позову его. Пана, пана!

„Скальс Напоти, харали, харало, Скальс Напоти.“

**Мотивы не оставляли меня.“**

ის, რაც ქართველისათვის ქართულ თარგმანში აზრობრივადაც გასაგებია, ბგერწერის (სხვას ვერაფერს დავარქმევ) მიხედვით, რას უნდა მიხვდეს უცხოელი მკითხველი?

ხან მელოდია, ხანაც ანდაზა ახსენდება გიორგის (გმირს) და თხრობაში საკურობისამებრ, ძალიან ბუნებრივად ჩართავს, როგორც მაგალითად, ამ შემთხვევაში: თანამშრომელი ურჩევს მას სამუშაო ადგილის შეცვლას და მისამართსაც მისაწავლის.

**„მარტოხელა კაცი ჭამაშიც ბრალიაო,“ მეც ავღეჭი და დეტროიტში წავედი.“**

წავა და კმაყოფილიც დარჩება, „ძალიან მომეწონა.“ ზოგადად, ეს დადებითი განწყობა ამგვარად ითარგმნა:

**„У нас в Грузии существует поговорка, что за компанию и грузин повесился, а я не являюсь исключением!“**

სოლიდარობა კოლექტიურ თვითმკვლელობაში?! ზოგადად, დავსვამ რიტორიკულ კითხვას, რამდენად ნორმალურია ის ხალხი, რომლის წიაღშიც ამგვარი საქციელის შესაბამისი გამოთქმა გაჩნდება?! არადა, **გაშლილი სუფრიდან – ჭერში ჩამოკიდებულ თოკამდე დიდი მანძილია.** თუმცა, ვიქნები ობიექტური და ერთხარეუხსაც აღვნიშნავ: მთხრობელი ჯორჯ პაპაშვილია, პელენ უეიტ პაპაშვილი – ჩამწერი. მონაცული ზოგჯერ ტექსტში არაზუსტად ან კიდევ მეტაფორული ნათქვამი, ხანაც ანდაზა პირდაპირაა გადატანილი და აზრიც მახინჯდება; როგორც ამ შემთხვევაში მოხდა:

**„Well, we have a saying that to keep somebody company a Georgian hung himself and I'm no exception.“**

თარგმანში ფრთიანი გამოთქმა, ანდა ანდაზა ნათქვამის შესატყვისი უნდა იყოს, გასაგები სხვა ქვეყნის მკითხველისთვის, თუ მაინცადამაინც იდენტური არა, აზრობრივად ახლოს მაინც. ამ შემთხვევაში ქართველმა მთარგმნელმა ზუსტად იცის, რასაც გულისხმობს ქართველი მწერალი და პრობლემასაც იოლად „აგვარებს“ და აზრობრივ იდენტურობასაც იცავს.

რუსულ თარგმანში კონკრეტული გეოგრაფიული ადგილი: „კობაიანთ კარი“ შეცვლილია: „Кавланкари“-თ, სახელი „შალიკო“ – „Чалико“-თი, და უფრო უარესიც: „ქართველების გაზეთი“ – ილიკო, როგორც მას შეხუპრებული თანამემამულეები ეძახდნენ, „Элико“-თი ჩაანაცვლა მთარგმნელმა, კაცის სახელს ქალისა შეუფარდა და ისევ „Он“ გამოიყენა.

**ახლა მთავარი!** ნაწარმოების ერთი თავი: „იოლი გამდიდრების გზები“ – თარგმანში სამ თავადაა „დაშლილი.“

ხოლო თავებს: „რამდენიმე სიტბო და მოგონება“ – და „როგორ გაყდა ჩანჩომ ჩემი ცხვირი“ შორის **გამოტოვებულია: „კალიფორნია დასავლეთითაა;“ „ასეთი ვრცელი და თვალწარბატი.“** აქვე შევნიშნავდი, ეს ერთ-ერთი საუკეთესოებიზოდი



და თავია მთელს ნაწარმოებში — ინდიელებთან, ნავაპოებთან შეხვედრა, და **კალიფორნია**.“ აქ მხატვრული ოსტატობით არაერთი ისტორიაა აღწერილი, თან ძალიან შთამბეჭდავად. პეტროგრადიდან „წამოსული“ რუსები და საერთოდ, რუსი ემიგრანტების პორტრეტები: ანა ფეოდოროვნა, მამამისი — „მისი აღმატებულება“, ქალიშვილი — ლუბა, რომელმაც ამერიკაში „ლუსეტი“ დაირქვა, ვაჟი — არტაშა... სხვებიც, მადამ გრემკინა და ა.შ. აღწერილი ზუსტია ფსიქოლოგიურადაც და თხრობის იუმორისტული ხერხითაც საინტერესო. ამ შემთხვევაში მას „ანტი-საბჭოთა“ კი არა, „ანტირუსული“ კილო აქვს. აქ მათი საქციელის, ქმედებებისა და შეფასებების ხაზგასმული კონტრასტია. ზემოდასახელებულ, გამოტოვებულ თავებში სწორედ ამ რუსული ხასიათის არცთუ მიმზიდველი „წარმოჩენაა“. ნაწარმოებში ეს უფრო ამძაფრებს ზემოხსენებულ „კონტრასტს“. ქართველი ემიგრანტი გიორგი და ემიგრანტი რუსები — იხატება სიტუაციები, ეპიზოდები, სადაც ყველა თავის ეროვნულ ნიშანს ავლენს. თარგმანში არცერთი ეს თავი „შენარჩუნებული“ არაა!

სარჩევშიც მითითებულია, რომ შემდეგ თარგმნილია: „როგორ გაყიდა ჩანჩომ ჩემი ცხვირი“ და შემდეგ ისევ გამოტოვებულია თავი: „ჯარისკაცობა“, ხოლო რამდენიმე თავის შემდეგ: „ფერმის შექმნა“.

რუსულ ენაზე თარგმნილი გიორგი პაპაშვილის პროზაული ნაწარმოები „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ მთავრდება თავით: „იქ, სადაც ახლაც სძინავთ გოლიათებს.“

ქართულ თარგმანში ამავე თავს მოსდევს შემდეგი, ოთხი თავი; რუსულ ენაზე უთარგმნელი და შესაბამისად, დაუბეჭდავი ნაწილი. ორიგინალის ტექსტის მიხედვით გამოცემის „გარეშე დარჩენილი“:

**„კარგი მეზობელი“,  
 „მიწას ვერ მოატყუებ“,  
 „ძია ვანო მარად იცოცხლებს“,**

და ბოლოს, ფინალი! არა მხოლოდ მხატვრული, არამედ აზრობრივი... დამამთავრებელი თავი — **„სადღეგრძელო.“** თავგადასავალის დასასრული, პერსონაჟთა და უმთავრესი მხატვრული სათქმელის „შეკვრა.“ სრულიადაც არ ვაპირებ სერიოზულ დისკუსიას თემაზე: თუ რა მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ლიტერატურული ტექსტისათვის ფინალს; ხაზგასმით აღვნიშნავ:

**20 თავისაგან თანამიმდევრობით ნაამბობი საინტერესო თავგადასავლის რუსულ თარგმანს 9 თავი გამოაკლდა.** თვით ისეთი მცირეფორმიანი ნაწარმოებისთვისაც კი, როგორცაა „Anything. . .“ ეს თითქმის ნახევარია. ამხელა რაოდენობა არა მხოლოდ ბესტსელერს დაუკარგავს ხიბლს, არამედ ნებისმიერი რანგის ლიტერატურულ ტექსტს (დანარჩენი როგორ ითარგმნა...).

მკითხველს, პროფესიონალ საზოგადოებასაც შეექმნება საკუთარი დამოკიდებულება, აზრი... თან, ვერ დაარწმუნებ. წიაკითხა — არ მოეწონა. არც მოეწონებოდა! მკითხველი არ არკვევს, რა „არ წერია“ მის წიგნში. „გამოტოვებულია“ — ან უბრალოდ, ნახევარი რომ არ წაუკითხავს... არადა, ეს არაა მეტაფორებით, ანდა სიმბოლოებით დატვირთული მხატვრული ნაწარმოები, რომლის თარგმანს



ინტელექტუალურ სირთულეებთან იყოს დაკავშირებული, ანუ ამით მთარგმნელის განათლების თვალსაწიერი რომ გავარკვიოთ, ან უფრო მარტივად, მისი არაპროფესიონალიზმი (ან უნიჭობა). არა!

ზემოთ ვახსენე: ინტელექტუალური დეზორიენტაცია, დავამატებ, მოკლატეობრივიც. თანაც, როცა იმასაც შეიტყობენ, რომ ავტორი ემიგრანტია... სრულიად ცხადია შეფასების „შკალა“.

აქ ეს ვინმეს უკვირს?!

**„გამართლა!“**

არაერთი ქართული და ძირითადად, უცხოური პრესიდან მოვიტანე ამონარიდი. ალბათ, დროული და საინტერესო იქნება, ის დიალოგიც შემოგთავაზოთ ამერიკული ბესტსელერის ქართველ მთარგმნელთან, ბატონ ანდრუჟაფარ ჭეიშვილთან რომ შედგა. ეს მაშინ მოხდა, როცა ის-ის იყო ვიწყებდი გიორგიჭოროჭ პაპაშვილის „ძებნას“ და მის შესახებ რეალურად ბევრი არაფერი ვიცოდი. აქვე ვიტყვი, რომ მხატვრული ტექსტის ქართული თარგმანის ამონარიდები, რომლებიც მაქვს დამოწმებული როგორც ბესტსელერის, ასევე, წიგნისა „მაღლობა ნოეს“, სწორედ ბატონი ანდრუჟაფარის მიერ თარგმნილი წიგნებიდანაა.

ხელში „უნიკალური“ წიგნი მიჭირავს. ქართულ სინამდვილეში კი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი გამოცემა. ვერ ვიტყვოდი, რომ მაღალბოლიგრაფიული: არც განსაკუთრებული ვარეკანით, არც კარგ ფურცელზე... არადა, მსოფლიოში ძალიან გახმაურებული წიგნი, ოღონდ მისი ქართული თარგმანი და არა ინგლისური ვერსია, ანუ იმ ენაზე დაბეჭდილი, რომელზეც დაიწერა. უცხოური უამრავი გამოცემა ენახე: ათასნაირი, ფერად-ფერადი ყლით ე.ი. განსხვავებული წარდგინებებით. იმ წიგნების მხატვრობა სრულიად სხვა რანგში „იკითხება.“

გიორგი და ჰელენ პაპაშვილები — „ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, თარგმანი ინგლისურიდან ანდრუჟაფარ ჭეიშვილისა, გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი, 1966 წელი, ტირაჟი — 30.000, ფასი — 40 კაპიკი. ეს მონაცემები თავად წიგნზეა მითითებული. ერთი შეხედვით, ყველაფერი გასაგებია. არა, რასაც კითხულობ, ესაა გასაგები, თორემ გაუგებებარია, როგორ მოხვდა ეს წიგნი საქართველოში, ვინ „გაბედა“ მისი თარგმნა საბჭოთა კავშირში?! როგორ შევაფასოთ: როგორც პროფესიული სითამამე, თუ ეგებ, ლიტერატურული გემოვნება, არც უამისობაა! სრული მოულოდნელობა მაინც წინაა — როგორც აღმოჩნდა, მაქვს შესაძლებლობა, მთარგმნელს შევხვდე... და თუკი შევხვდები, დარწმუნებული ვარ, უამრავ საინტერესო ამბავს მოვისმენ...

ბატონ ანდრუჟაფარს უნივერსიტეტში (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) შევხვდი... ეს იყო 2009 წლის 18 მარტს. როგორც კი ლექცია დავამთავრე მაშინვე ფოიეში, I სართულზე ჩავედი, ჩავთვალე, რომ უმჯობესი იქნებოდა, მოსულს იქ დავხვედროდი, მაგრამ... უკვე მოსულიყო. როგორც ჩანს, იფიქრა — არ დაეგვიანა და... მოკლედ, შეთანხმებულ დროზე ადრე შევხვდით. განათლებული, კეთილგანწყობილი, საინტერესო ადამიანია, ძალიან კარგი მთხრობელი. ბევრი რამ მაინტერესებს... მასაც; როგორც მითხრა, ძალიან



გაუქვირდა, როცა პაპაშვილის თარგმანის თაობაზე დავუკავშირდი და საერთოდ ამ ავტორით დაინტერესებას ვიჩინე. ჩვენ არაერთ თემაზე: ქართულ ემიგრაციაზე, თარგმანებზე, თანამედროვე გამოცემებზე ვისაუბრეთ... ვიორგი პაპაშვილზე საუბრით დავიწყეთ.

– დაიბადა 1898 წელს.

– დიახ, - ვაშველებ მე, 1898 წლის 23 აგვისტოს.

– ის ქალიც (მეუღლეს გულისხმობს – რნ.) თითქმის მაგ ხნის იყო. ახლა მე ვაპირებ, გიორგი პაპაშვილი – მოქანდაკე, ეს წიგნი მინდა ვთარგმნო. იგი ქართულ საჭმეს აკეთებდა;

– იცით რა მინტერესებს, თქვენ მანამდეც თარგმნილით ემიგრანტ ავტორებს თუ ეს პირველი შეხვედრა იყო?

– არა, ემიგრანტებს არა. საერთოდ, 1947 წლიდან ვთარგმნიდი. მე სპარსულის სპეციალისტი ვარ. თუმცა, ასევე, მე ვალტერ სკოტი მაქვს ნათარგმნი, მოთხრობები, მოემი მაქვს ძალიან ბევრი – მოთხრობები, ტაჯიკური ზღაპრები, სპარსული მოთხრობები...

– ძირითადად, აღმოსავლურ მწერლობას თარგმნილით.

– დიახ. პირველი თარგმანი „პიონერში“ გამოვაქვეყნე. პატარა ამბები იყო, სპარსული ანეგდოტები. ეს იყო 1947 წლის დასაწყისში. მაშინ მე მეორე კურსზე ვიყავი. მერე უნივერსიტეტი დავამთავრე. ასპირანტურაში მოვეწყვე და... წავედი ლენინგრადში, მივლინებაში. მამა გარდაამეცვალა. დამირეკეს იქა. ჩამოვედი. მაშინ დავანებე თავი ასპირანტურას... მერე მუშაობა საჯარო ბიბლიოთეკაში დავიწყე. სწორედ იქ ვნახე პაპაშვილის პირველი წიგნი „Anything Can Happen“ (ინგლისურად წარმოთქვამს) „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“ ეს როგორაა იცით, თავგადასავალი ქართველისა იმ ქვეყანაში, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მეც ეს ავიღე სათაურად და ვთარგმნი.

– ავტორზე თუ იცოდით რაიმე? პაპაშვილზე, ემიგრაციაზე... თუ უბრალოდ ტექსტი მოგეწონათ?

– ტექსტი მომეწონა. მე მყავდა მეგობარი, უფროსი მეგობარი გიორგი ალექსანდრეს ძე ბეიმაბიკონიანი, რომელიც იყო გენერლის შვილი, ძალიან ნიჭიერი; ბრწყინვალედ იცოდა ინგლისური. მუშაობდა აქ, საელჩოში. მერე იგი დაიჭირეს. დახვრეტაზე ჰქონდა საჭმე. გადარჩა. ჩვენ ვმეგობრობდით. მას ვაჩვენე ეს წიგნი.

– თარგმნა მინდა-მეთქი, მომეხმარეთ. ჩემი სპეციალობიდან არ იყო ეს, მაგრამ ვიცოდი და...

– სიამოვნებითო, -მითხრა. დავიწყე. ვთარგმნე, ეხლა გამოცემის საქმეზე როგორც იტყვიან, უნდა „ვიჩალიხო.“ სასტიკი უარი მითხრეს:

– არაო!

მე მოსკოვში წავედი. წავედი... ვერაფერი ვერ გავაკეთე; 1960 წელია უკვე თუ 62-63 წელი... კიდევ წავედი მოსკოვში და მივედი მწერალთა კავშირში. ქალი იყო ვილაც, გვართ ალარც კი მახსოვს და...

– ესე-მეთქი, ეს ვთარგმნი... არაფერი ამაში ისეთი არ არის... ადგილები ვუთარგმნი

იქვე... და როგორმე დამენმარეთ გამოცემაში-მეთქი.

— ეს არ შეიძლებაო!...

— როგორ?!

გრიგოლ აბაშიძე იყო იქა, შემთხვევით. ისიც ჩავრთე საქმეში. მივიდა, იმანაც სთხოვა და... გამოაგზავნეს აქ მოწერილობა: გადახედეთ ამ წიგნსო და თუ შეიძლება, რომ გამოსცეთო. ჩამოვიტანე აქ და გამომცემლობა იყო პლენხანოვზე: „ლიტერატურა და ხელოვნება“, იქ გამოიცა. გრიგოლ ჩიჭოვანი იყო მაშინ ხელმძღვანელი...

და გრიგოლმა:

— ჩვენ არ დაგვიჭირონო...

— თქვით ავტორის ვინაობა თუ ეს „საიდუმლო“ იმათაგან ყველამ იცოდა?

— იცოდნენ!

— იცოდნენ?!

— გიორგი პაპაშვილს მიღებული აქვს პრემია, შესულია იმ 50 წიგნში, რომლებიც ყველაზე კარგად ახასიათებენ ამერიკას. აქ არის ფოლკენერი, ჰემინგუეი... ცნობილი მწერლები.

— ინტერნეტშიცაა, ბესტსელერების ჩამონათვალშიც.

— ხომ არ წაგაკითხავთ?

— დიახ, და არა მხოლოდ ეს ნაწარმოები.

— ბესტსელერი რომელ წელს ითარგმნა?

— 1966 წელი იყო წიგნად რომ გამოიცა. ეს წიგნი ძალიან მომეწონა, ვთარგმნე, სხვათა შორის, მწერალი საქართველოში რომ ჩამოვიდა, ვნახე. მაშინ „ყველაფერის...“ თავები იბეჭდებოდა.

— დიახ, მე ვნახე ნომრები ჟურნალების: „ცისკარი“, „დროშა“, „საბჭოთა ხელოვნება“...

— კი, კი, მართალია.

გრიგოლ ჩიჭოვანი იყო სამეგრელოდან. პაპაშვილს ჰყავდა ცოლი, ელენი, რომელიც იწერდა მის ნაამბობს, ამაზე მერე გიამბობთ, თუ დაგაინტერესებთ, როგორ მუშაობდნენ ისინი. გიორგი და ელენე პაპაშვილები — ესე არ უნდა იყოს? დიახ. მაგრამ, ეს როგორ შეიძლება ასეთ, გიორგი და ელენე პაპაშვილით; მე ვუთხარი, რატომ, ორი კაცია... (ვიცინით) უცნაური კაცი იყო. ის წერდა მოთხრობებს ნახევრად „მეგრულად“ ძლიბი, ჰყვიში (მწყეში) და რაღაცეები... მერე ცილა ჩხეიძე გაგიგიათ? დიახ. კარგი სტილისტი იყო ძალიან, შესანიშნავი ქალი. გიორგი ქუჩიშვილის ქალიშვილი. ის ასწორებდა; ჰოდა, მოკვდა სიცილით.

როგორც გითხარით, მეორე წიგნიც ძალიან მომეწონა. ისიც ვთარგმნე და ახლა ხელმეორედ მივედი გამომცემლობაში და არაო, იმაზე იყო ნებართვა, მაგრამ ამაზე არააო!

— ბატონო ანდრეაფარ, გარდა იმისა, რომ ვფიქრობ, ძალიან კარგი თარგმანია, ფაქტია — უნიკალური. ამერიკაში იბეჭდებოდა დიდი ტირაჟით, მაინტერესებს, ჯერ თულ ვერსიას ასეთი პოპულარობა და წარმატება ჰქონდა? თუ იდეოლოგიის გამო ასეთი რეკლამა არ გაუკეთდა?



— არა, არ გაუკეთდა. ისე, ყველას ძალიან მოეწონა... თქვენც დიდი მადლობა თქმულისთვის, მაგრამ კიდევ რომ გამოიცეს, რალაცეებს ჩავასწორებდი. აი, „ნოე... გავაკეთე ძალიან გულდასმით.

— ეხლა „ყველაფერის“... გამოცემის საქმე; ცეკას მდივანმა გადაწყვიტა ეს საქმე, იმის გარეშე არავის შეეძლო ეს! რომ შევედი, მითხრა:

— აბა, რა არის ეს? რამე თუ არის ისეთით?

(როგორც ვხვდები, ცეკას მდივანი „ხავს“ ეჭიდება, წიგნის დაბეჭდვაზე რამენაირად „ობიექტური მოტივაცია“ რომ გამოიგონოს, ანუ თვითონაც „ჩაერთო“-რ.ნ.).

— კომეტეი, არის.

— რაო?

— მანდ არის ერთი თავი, გიორგიმ (პერსონაჟმა—რ.ნ.) პომიდვრის მოყვანა რომ მოინდომა. ბევრი იშრომა, ჩააკლა თავი. მოვიდა მშვენიერი პომიდორი. გაყიდა. ახლებს რწყავდა, უვლიდა, ისევ კარგი მოსავალი მიიღო. ესეც გაყიდა, ნაკლებად, მაგრამ მაინც... მერე აღარ გაიყიდა არაფერი.

— რამდენადაც მახსოვს, წვიმაც წამოვიდა და გააფუჭა ბევრი.

— დაიხ. გადარჩენილს გაგზავნის ისევ გასაყიდად, იქიდან მცირეოდენ ფულს და პასუხს მიიღებს: არ გაიყიდა და იძულებულნი გახდით, მდინარეში გადაგვეყარო. გადაუყარეს. აი, ესეთი ეპიზოდებიც არის-მეტეი.

— ჰოო. დაიხვია ზელზე. დაურეკა ინაურს:

— Разве капитализма видите здесь... ცეკას მდივანი იყო, მაგრამ იმის გარეშე მაინც არ შეეძლო არაფრის გაკეთება. როგორც ჩანს. ასე გამოვიდა, შეგვხვწა (უფრო გასაგები რომ იყოს, განვმარტავ, ინაური სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის —კგბ-ს თავმჯდომარე გახლდათ — რ.ნ.)

გააფორმა, რალაცეები... მოკლედ, გააკეთა საქმე. მხოლოდ იმას შეეძლო. ეს ორი წიგნი გამოვეცი; პაპაშვილს აქვს კიდევ: „Yes and No Stories“ „ჰო და არა მოთხრობები“ — ქართული ხალხური ზღაპრები. თავისებურად ჰყვება, როგორც ესმოდა თავის სოფელში —კობიანთკარიდან იყო (დღეშეთთან), რაც ჩარჩენილი ჰქონდა, დაწერა. მას აქვს კიდევ ცოლთან ერთად: „მსოფლიო საჭმელები“; სადაც მივიდოდა, ყაზახეთში, სხვაგან, ყველგან იწერდა რეცეპტებს; ეს და ცოლს აქვს კიდევ ცალკე სუფრაჟისტულ მოძრაობაზე ე.ი. ფემინისტურ მოძრაობაზე დიდი წიგნი: ბიჩერ სტოუ და სხვები, ვინც იბრძოდნენ ამისათვის —ქალის და კაცის თანასწორობისათვის, კარგი წიგნია...

გიორგი პაპაშვილი აქ ჩამოსული რომ იყო, შეგხვდი და:

— ეს ჩემი წიგნები არაფერიო და მომცა ეს წიგნი. აი, ეს თარგმნეო. ელენი, ჰელენ უეიტ პაპაშვილი ბიბლიოთეკაში იჯდა თვეობით და ეს მოამზადაო. მომცა ეს წიგნი და ეს თარგმნეო.

ვნახე. აღარ ვუთხარი. იმის თარგმნა მე არ მაინტერესებდა. აქედან გამგზავრების შემდეგ დაწერა წიგნი „Home and Home Again“ — „სამშობლოში, კვლავ სამშობლოში.“ მე დავიწყე თარგმნა ამისი, თითქმის ბოლომდე გავედი...





— არ მახსოვს სად, მაგრამ წავიკითხე, რომ წიგნი „Home and Home Again“ „შინისკენ, კვლავ შინისაკენ“ იყო ძალიან კარგი წიგნი. მართალია, ბესტსელერად არ ქცეულა, მაგრამ იყო ფრიად პოპულარული. მართალი გითხრათ, ვიფიქრე, თქვენ აუცილებლად გექნებოდათ ნათარგმნი და ვეძებე, მაგრამ...

— გეტყვით. თითქმის ბოლოში გავედი, მაგრამ მერე პირობები... გართულდა ცხოვრება... სადღაც გამებნა... იმას დავამთავრებ, თუ ვიცოცხლე. კარგი წიგნია ძალიან: როგორ ჩამოვიდა, როგორ ნახა თავისი მეზობლები... მწერალი იხსენებს თავის ბავშვობას.

— თქვენ ბრძანეთ, რომ ჩამოვიდა და შეხვდით. ბატონო ანდრუჟაფარ, როგორ მოხდა ეს შეხვედრა? იოლი ვერ იქნებოდა. გაიგეთ რომ ჩამოდიოდა, თუ როგორ იყო?

— კი. გავიგე რომ ჩამოდის და მივიღე გადაწყვეტილება!

მეუღლე მაფრთხილებდა:

— არ მიხვიდე! დაგიჰერენ! ასე იქნება, ისე იქნება...

მე ვუთხარი:

— არა! მე უნდა წავიდე!

რატომღაც არავის არ ვკითხე. არ ვიცი, არავის არ ვკითხე (იცინის). ავღვიქვ, წავიდე ეს ჩემი ინგლისური წიგნი და მივედი. მე საქმე მქონდა: რაღაცეები გასარკვევი; მაშინ არ იყო გამოცემული ქართულად — წიგნად...

მაგალითად, მე არ ვიცოდი და რაღაც სიტყვაზე ვკითხე.

— ესო, ძველი მანქანები რომ იყო, ძველი მანქანები, იმას ჰქონდაო საფუტური, მაღალი იყო და ფეხი რომ დაგედგაო, იმისათვის. შესაფერი სიტყვა ვერ ვნახე ლექსიკონში. ჰოდა, კიდევ რაღაცეები ვკითხე. ყველაფერი მითხრა. მიმხვდით, მაშინ ჯერ წიგნად გამოცემული არ იყო.

— გარეგნულად? როგორ გამოიყურებოდა, ხომ არ აღწერდით?

— პატარა კაცი იყო, საყვარელი, დიდი უღვაშებით. ძალიან კარგად იცოდა. დავიწყებული არ ჰქონდა ქართული. ინგლისურად ისე ლაპარაკობდა, როგორც ლაპარაკობენ ახალი ჩასული ადამიანები ან ადგილობრივები. აი, მაგალითად, I am going to home — მე ვაპირებ წავიდე სახლში, არა? I gone, I gone. მერე ვკითხე: გიორგი ალექსანდროვიჩის ვკითხე, ბრწყინვალედ იცოდა, ესე ლაპარაკობს მთელი ამერიკაო. ფონეტიკურად ძალიან შეცვლილია და ლექსიკურადაც.

— თქვენ ყველაზე უკეთ იცით, თავად ნაწიერი როგორია? რომანი ალბათ, ლიტერატურულად გამართულია, არა?

— იმ ენაზეა.

— რატომ დადგა ავტორობის საკითხი? რატომ ითქვა, რომ გიორგი პაპაშვილი იყო მთხრობელი, ხოლო წერდა ჰელენ უეიტი?

— თქვენც გაგივიათ, არა? აი, მაგაზეც გეტყვით ახლა. სხვათა შორის, საუბრისას მე ელენეს ვკითხე:

— თქვენ ჩამწერი ხართ, ე.ი. თქვენ ეხმარებოდით-მეთქი?

— არაო. და მიაშბო ძალიან საინტერესო ამბავიც:

ერთხელ ერთი თავი მიკარნახა, მე ვიწერდიო. ჰოდა, ფურცლები დაიკარგაო. ის მიაშობდა და მე ვიწერდიო. პატარა რაღაცა შეიძლებოდა მერე გამესწორებინაო და ასე. სიტყვა — იტალიური ემიგრანტის, ჩასულის, თუ დაბალი ფენის წარმომადგენლის ლექსიკონი იყო; მხოლოდ იმას ვასწორებდიო ლიტერატურულად. მოკლედ, ჩავიწერე გიორგის ნაამბობი ამბავი და... დაიკარგაო! ძალიან შეგწუხდით, მაგრამ რაღას ვიზამდით?! გიორგი გავაძხვნივე, ვუთხარი:

— ხელახლა მიკარნახე-მეთქი.

გავიდა რამდენიმე დღე, კვირაც... და დავსხედით. ხელახლა, თავიდან, ისევ დაიწყო თხრობა. მეც ჩავიწერე. ვამოხდა ხანი; წიგნი თითქმის მზად იყო...

ერთ მშვენიერ დღეს რატომღაც ტახტის გამოწვევა დაგვჭირდა (მძიმე ტახტი იყო), კედელთან მიდგმული. იშვიათად ვეხებოდით. ჰოდა, გამოვწვიეთ ტახტი და აი, აქ არაა ჩვენი დაკარგული ხელნაწერები?! ჩასრიალებულა...

ჰელენმა აიღო, შეადარა და სახტად დარჩა: სიტყვა-სიტყვით, ისევ ისე იყო ყველაფერი. პერსონაჟების აღწერა და მათი საქციელი კი არა, წინადადებებიც კი არ იყო შეცვლილი ან თუნდაც სიტყვები — გადაადგილებული, ე.ი. გიორგის გონებაში ჩამოყალიბებული ჰქონდა ამბად, მოთხრობად... არ გადაუხვევდა იმას. მწერლობის ნიჭი ჰქონდა; ძალიან დაკვირვებული თვალი. ეტყობა, იმას ამჩნევდა, რასაც სხვა ვერ შეამჩნევდა, ნიჭიერი კაცი იყო საერთოდ. მაშინ, როცა იქ (ამერიკაში) ჩავიდა, ავტოსახელოსნოში დაიწყო მუშაობა. ჯერ კიდევ მენშევიკების დროს აქ, საქართველოშიც მუშაობდა; ახალგაზრდა იყო ძალიან, მაგრამ გამოგონებები ჰქონდა აქაც.

— ბატონო ანდრეუაფარ, თქვენ როგორ იცით, გიორგი პაპაშვილს ქართულ ენაზე რაიმე დაწერილი აქვს?

— მე მგონი, წერა-კითხვა არც იცოდა წესიერად. მერე ისწავლა. სკოლაში რაც ისწავლა...

— რას იტყოდით მასზე, როგორც მოქანდაკეზე.

— მოქანდაკეობაზე... წარმომავლობით იაპონელს თუ იაპონური გვარი აქვს, აქვს წიგნი გიორგი პაპაშვილზე, როგორც მოქანდაკეზე. ერთი ეპიზოდია, ჩამოვარდა ლაპარაკიო: ძნელია თუ არა გამოქანდაკებაო. პაპაშვილი ამბობს, მე მგონია, რომ ეს ესეც ხდება, არაფერია განსაკუთრებულიო. ეს ძალიან, ეს ცხვარიო... ეს ქვაში ზისო, ეს კიდევ ხეშიო; ის ზედმეტი ნაწილები უნდა მოაშორო და გამოჩნდებო, გამოვაო.

ჩამოვარდა ლაპარაკი, კამათი:

— აბა, შენ გამოაქანდაკეო.

— კარგი.

ფერმა ჰქონდათ; ჰოდა, შევედი ბედელში და ოთხი-ხუთი საათის შემდეგ გამოვედიო და ეს იყო ჩემი პირველი ქანდაკებაო. ნამუშევრები აქვს: მწყემსს უჭირავს ესე, ჩახუტებული აქვს.

— ილუსტრირებული წიგნია?

— დიან, დიან. ძალიან დიდი დაფასება ჰქონდა მაგის ქანდაკებებს, როგორც პრიმიტივისტს. დაახლოებით ისე, როგორც ფიროსმანი — მხატვრობაში, ისე იყო



მიღებული ჭანდაკებაში — გიორგი პაპაშვილი.

— შემთხვევით, მასთან ერთად გადაღებული სურათები ხომ არ გაქვთ?

— არა, არ გადამიღია. კინალამ დამიჭირეს და... (იციინის).

— ეს თქვენ გგონიათ, რომ არ გადაგიღიათ, თორემ მგონია, რაზე ესაუბრებოდით, იმასაც „ისმენდნენ“ (ვიცინით). ამჯერად, მე ისეთ, მწერლისა და მისი წიგნის მთარგმნელის ე.წ. „საგანგებო ფოტოს“ ვგულისხმობ. ეს იყო მაინც ოფიციალური ვიზიტი. ის ხომ საბჭოთა ხელისუფლების მოწვევით ჩამოვიდა...

— მართალი ხართ, მაგრამ მე თუნდაც შენგვდრისთვის ნებართვა უნდა ამეღო. ჩემს გარშემო შეშინდა ყველა: როგორ მიხვედი? რა იციან, რას ელაპარაკებოდი?...

— ნუ გეშინიათ, - დავამშვიდე მე, ყველაფერი იციან, ათი დიქტოფონი იდგა (ვიცინით).

— და მწერალთა კავშირში ვინც შეხვდა, ის მწერლები საგანგებოდ იხვეწენ შერჩეულნი?

— კი, არა, აუდიტორია თვითონ განსაზღვრეს, სპეციალურად მიიბაძიებს. და აი, მივედი მე, მეორედ. მაშინ, პირველად რომ ვიყავი, წიგნი არ მქონდა თან, არადა, უნდა გამერკვია რალაცეები. და მერე მივედი აღმინისტრატორთან. რა თქმა უნდა, КГБ იყო.

— მთარგმნელი ვარ-მეთქი, - ვუთხარი და ეს წიგნი ვუჩვენე; რალაცეები გასარკვევი მაქვს-მეთქი. გაიკვირვეს.

— თქვენ ხომ იყავით უკვე მოსულიო?... ავუტალახე ახლა კარები; ერთი მოსული კაცი იყო.

მე ვუთხარი, მაშინ არ მქონდა წიგნი თან-მეთქი.

— ჰო, კარგით.

სულ ყველაფერი ჩაწერილი იყო.

— კი, მაგრამ ოფიციალურად ხომ იყო ჩამოსული, ცალკე ნებართვა...? ბატონი ანდლუყაფარი გულიანად იციინის:

— ეგ კი იყო ნებართვით ჩამოსული, მაგრამ მე უნდა ამეღო ნებართვა მასთან მოხვედრაზე. აბა, ამერიკელი მწერალი იყო და...

— ეგ მართალია (ახლა ორივენი ვიცინით).

— თვითონ რომ გაიგო, თქვენ რომ თარგმნიდით, როგორ შეხვდა ამას?

— გაუხარდა. რა თქმა უნდა, მადლობა გადამიხადა...

— ბატონო ანდლუყაფარ, მინდა გკითხოთ, მისი არქივი, ნამუშევრები ახლა სად ინახება?

— მისი ცოლი, ჰელენი მუშაობდა რომელიღაც დიდ ბიბლიოთეკაში... შეიძლება, ბიბლიოთეკას გადასცა. ცოცხალი აღარც ერთია... შვილი არ ჰყავდათ; კარგი ჯალი იყო ძალიან, კარგი ადამიანი.

— თუ ერეოდა ვინმე თქვენს თარგმანში?

— არა, აბსოლუტურად არავინ.

— „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ეს განზოგადებული სათქმელია და სათაურ ირც. „შევეყანა“ — გარკვეულ ლოკალურ კონტექსტს გულისხმობს. მართალია, მოქმედ



დება ამერიკაში მიმდინარეობს, მაგრამ ერთ ვარაუდად მაინც დაეუშვი... ცენტურადაა...  
 — არა, შეიძლება უნდოდით, მაგრამ ნამდვილად არა. ეგ სათაური საიდან ავიღე. მართალი ხართ, ამ ნაწარმოებს ასე ჰქვია: „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“ თუ გახსოვთ, პირველი თავი: ჩავიდა, გემით ჩავიდა, დიახ, გემით ჩავიდა. ფული არა აქვს, ვიღაცამ ფულები მიაქირავა, გადმოვიდა ნაპირზე. მაშინვე იშოვა სამუშაო; ჩვენ ახლა უნდა ვჭამოთ, უკვე კარგა ხანი ვიმუშავეთო... მოკლედ, იმ დღეს ბევრი რაღაც გადახდა თავს. ჰოდა, ეს ისეთი ქვეყანაა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდესო. მეც ეს ბოლო წინადადება ავიღე სათაურად.

ამდენი წლის შემდეგაც ბატონ ანდრეაფარს ზუსტად ახსოვს პირველი თავის ბოლო წინადადება: „ამერიკა ის ქვეყანაა, სადაც ყველაფერი, მართლაც, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“

- ფილმს როგორ შეაფასებდით?
- ვერანაირად, არ მაქვს ნანახი. ვისი გადაღებულია?
- ჯორჯ სიტონის.
- საინტერესოა.

— მას წიგნისაგან განსხვავებით, ამბობენ, რომ წარმატება არ მოჰყოლია. როგორც ჩანს, კინოენაზე ვერ მოხერხდა იმის გადატანა, რაც ნაწარმოებში ერთ მთლიანობაშია: სათქმელი, მოქმედების დინამიკა, დამაჯერებელი პერსონაჟები, იუმორი...

— დაგეთანხმებით, ეგ ნაწარმოები ხომ კარგია, მაგრამ „Home...“ — ც ძალიან კარგია.

— მართლა? უნდა ვითხრათ, რომ არ მაქვს წაკითხული.

— იცით, თითქმის ბოლოში ვარ გასული. აქაური ამბებია უმეტესად, მაგრამ იგონებს იმისთანა რაღაცეებს...

ეს ნათქვამი ლოგიკურად, უნდა მსიამოვნებდეს; მეტიც, მიხაროდეს. ბატონი ანდრეაფარი არაჩვეულებრივად თარგმნის. მისი ფრაზა საოცრად დახვეწილია, ისეა შენარჩუნებული იუმორი, შეუძლებელია, მთარგმნელს ეს გათავისებულო არ ჰქონდეს. „დღესაც მელოდება“ (პაპაშვილების სხვა პროზაული ტექსტი) — ესაა სახელმძღვანელო ნიმუში ორიგინალთან (ტექსტთან) სიახლოვისა.

„თავსიცილს კაცი არ მოუკლავს,“ — ქართულ ანდაზას ინგლისურად დაწერილ ნაწარმოებში ისეთი ბუნებრივი ადგილი მოუნახავს, რომ უდავოდ დაინტერესდები, ნეტავ, ჰელენ უეიტი ამ ფრაზას ინგლისურად როგორ იწერდა? „Home...“ თითქმის ათი წლის განმავლობაში იწერებოდა. ეს იყო მწერლის ბოლო წიგნი. 5 დოლარად და 95 ცენტად ერთბაშად გაყიდული 72 000 წიგნის ტირაჟი მართალია, ვერ იმეორებდა ბესტსელერის შედეგს, მაგრამ შთამბეჭდავი და ძალიან პოპულარული ამერიკელ მკითხველებში უდავოდ იყო. „Home and Home Again“ — ამ წიგნის ქართული თარგმანი საქალაქო დღეს და თავის გამომცემელს ელის. ნაწარმოები, რომელსაც უამრავი მკითხველი იცნობს, ქართველ მკითხველს მშობლიურ ენაზე ვერ არ წაუუთხნავს.

— მე ვნახე თქვენს მიერ თარგმნილი მეორე წიგნიც: „დღესაც მელოდება.“ ძალიან კარგი თარგმანია. ოღონდ მინდა გკითხოთ, დედანში მას სხვა სათაური



აქვს, ინგლისურადაა „Thanks To Noah.“

— დიახ, სხვაგვარადაა დასათარებელი: „ნოეს წყალობით.“ ნოე და მისი კიდობანი... კიდობანი რომ შექმნა, იქ თითო წყვილი ყველა სულიერი არსება ჩასვა, რომ გადარჩენილიყო წარღვნას და ნოეს წყალობით ჩვენ გადავარჩინეთო ჩვენი მეგობრები.

— ქართული წარმომავლობის ამერიკელი მწერლის ბესტსელერის თქვენული თარგმანი ვფიქრობ, არის განსაკუთრებული, ძალიან მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოვლენა.

— გავწითლდები.

— რას ბრძანებთ... მინდა გკითხოთ, არ გიფიქრიათ, რომ ხელახლა გამოგვეყა?

— „Anything?“

— დიახ, „Anything...“

— ველარ მოვანერხე; არადა, გული მწყდება, უკვე 81-ის ვარ...

გაკვირვებას ვერ ვმაღავ, არაჩვეულებრივად გამოიყურება; ყოველ შემთხვევაში, ამ ასაკთან შედარებით.

— ხშირ შემთხვევაში ემიგრაცია ვერ ქმნის ამინდს. ისინი ეწერებიან იმ ქვეყნის კულტურაში (უმეტეს შემთხვევაში ვერც), სადაც ცხოვრობენ, მაგრამ იმ კულტურის ამინდს ვერ ქმნიან. გიორგი პაპაშვილი კი ვფიქრობ, იყო სერიოზული მოვლენა ამ თვალსაზრისით.

— სრულიად გაუნათლებელი, სკოლაში რამდენიმე კლასი აქვს დამთავრებული, მაგრამ უნიჭიერესი კაცი. უნიჭიერესი — მოქცევაში, მანქანების გაკეთებაში. ჰომოდორის მოყვანაში, როგორ აღწერს ამ საქმიანობას?! მოკლედ, ყველაფერში, რასაც მოკიდებდა ხელს — უნიჭიერესი კაცი იყო.

— ნიჭიერი უდავოდ. თხრობის მანერაც მხატვრულ-რეალისტური, რომელიც ეწ. ნატურალისტურში არასდროს გადადის. აქ მთარგმნელის დამსახურებაა, როცა ამას ქართველი მკითხველი მშობლიურ ენაზე კითხულობს. აქ არაა მონუმენტური თხრობა. აქ უბრალოდ „მოყოლილი“ თავგადასავალი არაა, არამედ საოცრად ნათელი, მარტივი და ღიმილიანი.

— მეც ძალიან მომეწონა. მაშინ, საჯარო ბიბლიოთეკაში რომ წავიკითხე — როგორც იტყვიან, „წყალივით მიდის,“ სიამოვნებით კითხულობ; აღტაცებული ვიყავი.

— ჩემს ქვეყანას სჭირდება კარგი ლიტერატურული თარგმანები... მოდით, ისევ მის საქართველოში სტუმრობას დავუბრუნდეთ. რამდენად გახსნილი იყო თვითონ, თუ ერიდებოდა სხვადასხვა თემაზე, თუნდაც, პოლიტიკაზე საუბარს?

— ჩვენ პოლიტიკაზე არ გვილაპარაკია.

— და იმ შეხვედრაზე? მწერალთა კავშირში?...

— იმ შეხვედრაზე კითხვა არაა დაუსვა. შეშინებული იყო ყველა, ყველას ეშინოდა. ელენი ხომ ბიბლიოთეკაში მუშაობდა და... ვიღაცამ თქვა:

— ბიბლიოთეკებზე მოგვიყვესო და სხვამ დაუტატანა:

— რა დროს ბიბლიოთეკებიაო. (იცინის) ყველას თავისი ის ჰქონდა...

— და თვითონ? თვითონაც ერიდებოდა?



— თვითონ არა.

— იცით, რატომ გეკითხებით, ხანდახან, თვითონ თავისუფალ ქვეყანაში რომ ცხოვრობენ, მერე აკრძალვები „ავიწყდებათ“ ხოლმე და აქ ჩამოსულები ისეთ რაღაცეებს ყვებიან, ისეთ გვარებს ახსენებენ...

— პაპაშვილი არ იყო ასე გასული. უბრალო კაცი იყო: მუშაობდა, აქაურ და იქაურ შთაბეჭდილებებს წერდა. ამერიკაზე წერდა შესანიშნავად. სამოგზაუროდ წავიდა. უზარმაზარი ქვეყანა იყო. აქებს ძალიან: „სუნთქავსო აღამიანი.“ პოლიტიკაში არ ერეოდა; არც სურვილი ჰქონდა, არც ცოდნა ჰქონდა სამაგისო. ალბათ...

— როგორ ფიქრობთ, ამერიკის ქება იმავდროულად, ამერიკის შეფასება არ იყო? კაცმა რომ თქვას, ეს უკვე „პოლიტიკაა“...

— რა თქმა უნდა. რა თქმა უნდა. მაგისი მეშინოდა... მეც რომ წავიკითხე; მივდოდი და ვნახულობდი ამდენ ხალხსო.

— „ამერიკა... ღვთის ნახელავ ხალიჩასავით იყო გადაშლილი.“

— ამის მეშინოდა. ეგ გაიბარა. დევი სტურუა ხომ არ წაიკითხავდა... და გაიბარა.

— მერე, უკვე მოგვიანებით, თვითონ ხომ არ შეგხმინებიათ. მის სამშობლოში მისი წიგნის ერთადერთი მთარგმნელი თქვენ ბრძანდებოდით?

— არა. მეც არ... ახლა გადავრჩეთო, და...

— შესაძლოა, მოგიფრთხილდათ კიდევც, ზედმეტად რომ არ... არც უამისობაა.

— ისე მთხოვა... მაშინ მთხოვა ცოლის წიგნის თარგმნა. მე მინდა, როგორმე ის წიგნიც ვთარგმნო, მასზე, როგორც სკულპტორზე რომაა დაწერილი: ჯორჯ პაპაშვილი — მოქანდაკე, ძალიან საინტერესო იქნებოდა, თქვენ როგორ ფიქრობთ?

— რასაკვირველია, ძალიან საინტერესო იქნება.

— აუცილებლად უნდა გაკეთდეს „Home and Home...“

— ძალიან კარგი იქნება.

— აქ რომ ჩამოვიდა, სვანაირი თვალით შენედა ყველაფერს... უკვე მერე გაიხსენა ამ წიგნში, როგორი იყო ძველი თბილისი: ასეთი სახლები, ასეთი... აქებს ამ თბილისს. სოფელში ჩავიდა, სოფელშიც დაახლოებით იგივე დახვდა. მოცულობით პატარა წიგნია... ხელობით რომ იყო დაკავებული; ძირითადად, მაინც თავისი სოფლის ამბებია...

— მენშევიკების მმართველობის პერიოდზე ხომ არაფერი აქვს ნახსენები. როგორ ფიქრობთ, სად შეიძლება ამ პერიოდის შესახებ მისი ბიოგრაფიის თაობაზე მოვიძიო.

— არსად! არსად, იმიტომ, რომ ამის შესახებ არაფერია... ემიგრანტულ მასალებში თუ მიაკვლევთ რამეს, თორემ სხვაგან მე არ მეგულება.

ერთი საოცარი ამბავია, დღესაც ვერ ამიხსნია. წიგნში „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ არის ასეთი თავი: „იქ, სადაც ახლაც სძინავთ გოლიათებს.“ მანდ არის ერთი ეპიზოდი: მდინარე თერგზე ვიყავითო, ვნახეთ დიდი თავის ქალები, ძვლები... მერე მდინარემ ამოყარა თითქოს, მერე დაიკარგათ...

მკითხველისათვის შესახსენებლად ფრაგმენტს მოვიტან: ერთ პაპანაქება დღეს 11-12 წლის ბიჭუნებმა საბანაოდ წასვლა გადაწყვიტეს. ტექსტში აღწერილია მდინარე თერგი და მიმდებარე მიდამოები. იბანავეს, იჭყუშპალავეს და ერთ-ერთმა მათ-



განმა ჩაყვინთა კიდეც.

„როცა ზვრელში შევცურდი, ისეთი რამ დავინახე, რომ იმწამსვე ტყვიასავით გმბევარი და ზედაპირზე ამოვცურდი“, -გაიხსენებს პერსონაჟი. იჭაურობას (წყალქვეშ) დეტალურად აღწერს. მეგობრებიც დაუფიქრებლად გადაეშვებიან წყალში:

„მაგარ კლდეში გამოკვეთილი დარბაზი იყო. ჭერის ბზარებიდან შემოსულ სუსტ სინათლეზე დავინახეთ, რომ გვიპოვია, ჩვენ, ოთხ ლლაპს, ბოლოს და ბოლოს, გვიპოვია.

- რა?!

- გოლიათების ბინა, სადაც ისინი მიდიოდნენ ხოლმე სასიკვდილოდ.

- შეუძლებელია!

- ნამდვილად. ჩონჩხები იყო იქ. თავები ჩვენს თავებს ჰგავდა, ოღონდ ბუშელის ოდენა იქნებოდა. თვალის ბუდეში მუშტი შეეტეოდა. გრძელი თანაბარი კბილები. წვივის ძვალი კაცის სიმაღლისა იყო.

- ჭურჭლეული, ხმლები, ფული? - იკითხა მისტერ მოკეტმა, სკივრები, ჭოთნები?

მისტერ მოკეტი ამერიკელი ჯენტლმენია. პროფესორი. რუსი ქალი ჰყავს ცოლად.

- არაფერი არ იყო. მარტო ჩონჩხები ეყარა. მე ვფიქრობ, როცა სასიკვდილოდ მიდიოდნენ, ყველაფერს გარეთ სტოვებდნენ ხოლმე.“

- როგორც მახსოვს, იქაც, წიგნშიც ეკამათებიან პერსონაჟები მთხრობელს, რომ ძროხის ან მკვდარი ცხენების თავები და უზარმაზარი ძვლები იქნებოდაო. თუმცა ნანახი მისთვისაც უჩვეულო და ძნელადდასაჯერებელი იყო.

**მე მიინც მგონია, პატარა რომ იყო, დიდად მოეჩვენა. აბა, მარტო საქართველოში ხომ არ იქნებოდა ესა: დიდი თავის ქალები, უზარმაზარი ძვლები... ეს დღესაც აუხსნელია ჩემთვის, -დაამატებს თავის მხრივ წიგნის მთარგმნელი.**

კიდეც ერთი ამონარიდი:

„- კობიანთკარის მინდვრები სავსე იყო ძროხისა და ცხენის თავებით. მეტი რა მინახავს ჩემს სიცოცხლეში! ტყის ყველა ბინადრის ჩონჩხსაც ვცნობდი. მელიის, დათვის, მგლის. არა, ისინი ადამიანთა ჩონჩხები იყო. ჩვენსავით ხუთთითა მტევანი, გრძელი კიდურები. სიცოცხლეში, ალბათ, ექვს ფუტიან ნაბიჯებს ადგამდნენ. ძალიან დავღონდი, როცა გავიფიქრე, რომ ცოცხლებს ველარასოდეს ვნახავდი. განსაკუთრებით მაშინ, როცა იმათი მკლავები ვნახე. ალბათ, ძალიან კარგი სანახავი იქნებოდნენ, როცა ერთმანეთს ეჭიდავებოდნენ.“

**თბილისში შეზვედრაზე ამაზეც ვკითხე სპეციალურად, მაინტერესებს-მეთქი. -იტყვის ბატონი ანდრეაფარი. ვკითხე:**

- ეს რომ გიწერიათ, ალბათ, პატარა იყავით და მოგეჩვენათ-მეთქი.

- არაო, კაცო, დიდები იყო, დიდები. დევისა მეგონა, ძალიან დიდები იყო.

- ანუ, ეს მისი მხატვრული ფანტაზიის ნაყოფი არაა?

- არა! მეც რომ ვუთხარი, რას ამბობო: დიდი იყოო; ჩვეულებრივი ადამიანის თავის ქალაზე დიდი იყოო.

სად შეიძლება მაგის შემოწმება; მერე წყალმა გადაუარა იმას და შეიძლება

**ვთქვათ, რომ მოეჩვენა?**

**დღემდე გაცემული ვარ, რატომ დაწერა ეს?!**

ჩანართის სახით: ინტერნეტში ანონიმურ მოვლენებთან დაკავშირებით არაერთი ამბავი თუ ფაქტია მოთხრობილი. მართალი გითხრათ, ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო ამ კონტექსტში გიორგი პაპაშვილის ხსენება. ინგლისურ და რუსულ საიტებზე როგორც რეალობა, ისეა დასახელებული ფრაგმენტი რომანიდან და იგი ანონიმურ მოვლენათა კონტექსტში ჩვეულებრივად განიხილება. მეცნიერები და მეტოხველები როგორც ჩანს, არც კი დაუეჭვებია ამ ფაქტს, ან იმას, იყო თუ არა სიმართლე ნაამბობი. რამდენიმე ამონარიდი:

### Легенда о великанах

Летом 2000 года в СМИ появилось сообщение, что двое искателей приключений в горах восточной Грузии проникли в пещеру, где на полу лежали скелеты четырехметровых гигантов. Возле одного из них лежало оружие: нечто вроде стилета из неизвестного металла, но размером с древнеримский меч. В этом же районе в начале 90-х годов в другой пещере было обнаружено на стене странное устройство в виде диска с неизвестными письменами, в центре которого вращался прочный «штурвал», но поддававшийся стальному напильнику...

#### Сдобные паходки – не первые в истории Грузии.

В 1945 году в Нью-Йорке была издана книга грузинских эмигрантов Георгия и Хелен Папашвили «Всякое может случиться», в которой Георгий рассказывает, как он 12-летним мальчиком тоже в пещере нашел скелеты гигантов.

Однажды он и трое его товарищей пошли купаться на небольшое глубоководное озеро, которое находилось высоко в горах в долине реки Терги. Нырнув с выступа утеса, Георгий открыл под водой глаза и случайно заметил неподалеку отверстие в скале. Заплыв в него, мальчик увидел то, что заставило его пулей выскочить на поверхность. Ребята не поверили рассказу Георгия и решили нырнуть туда все вместе. За отверстием оказалась громадная галерея размером с зал ожидания Тифлисского вокзала. Слабый свет проникал сквозь щели в своде пещеры. На полу лежало множество огромных человеческих скелетов. Черепа у них были размером «с большую корзину», в огромные глазницы входил кулак мальчика. Рушд были пятипалые, а размах ног (в шаге) достигал двух метров.

*Еще одна подобная находка была сделана во время великой Отечественной войны, когда группа наших отставших от части солдат в районе Военно-Сухумской дороги укрылась от отряда немецких егерей в большой пещере. Взрывом мины вход завалило. В поисках выхода из пещеры красноармейцы нашли подземный зал, где лежали кости гигантских людей, вдвое выше взрослого человека.*

Сосредоточение подобных находок в горах Грузии не покажется столь удивительным, если вспомнить Библию, согласно которой именно в этих горах пыталась спастись от Всемирного Потопы раса гигантов, которых Ной не взял на свой ковчег.“

საუბარს ვაგრძელებთ:





— გიორგი პაპაშვილი ყოველდღიურ ცხოვრებაში იუმორიანი კაცი იყო თუ ოფიციალურ ეტიკეტს იცავდა?

— სულ რაღაც ორი საათით შეგხვდი ერთხელ, მეორედ — ერთი საათით. ისე, ბურ-მარილიანი კაცი იყო, შემეპატიოა. მადლობა ვუთხარი, არ მინდა-მეთქი. იმ წიგნში უწერია და მე არ დამაბრალონ-მეთქი... (იციინის) „Home—“ში იხსენებს, საჭარველოში რომ ჩამოდის; მოვიდნენო... ნათესავებიც მოვიდნენო, სხვებიცო. უამრავი ხორავი მოიტანესო, საჭმელები, გამზადებულები... აღარ ვიცოდი, რა მეჭწოა. ამასობაში თარჯიმანი მოვიდა და ეს პრობლემა გადაწყვიტაო. მე ვიფიქრე:

— მე არ დამაბრალონ-მეთქი. (ვიციინით ორივე)

მერე ჩაუყვირდი, მიგხვდი, მაგან იგულისხმა ის თავისი მთარგმნელი, რომელიც მათთან იყო და ინგლისურად ლაპარაკობდა. ეტყობა, იმან შეჭაბა და ამოვისუნთგე.

როგორც ვთქვი, ჩვენ არაერთ თემაზე ვისაუბრეთ... ქვეყნებზე... მწერლებზე... თარგმანის თავისებურებებზე, თარგმანის კოლეგიის „ისტორიაზე“... ნებისმიერი მთარგმნელისათვის განსაკუთრებით მიმზიდველი იქნებოდა მსოფლიო მკითხველის წინაშე წარდგენილი წიგნის თარგმნა. იმავდროულად, დიდა პასუხისმგებლობა

— ხიბლი არ დაეკარგოს წიგნს და ამასთან, ერთდროულად — ამერიკული ლიტერატურის ნიმუში და თანამემამულე, მისი ქართველი ავტორი „ახლობელი“ გახადოს. ასეთი მთარგმნელი გახლავთ ანდრუჟაფარ ჭეიშვილი. აქვე ვიტყვი, ბატონი ანდრუჟაფარი სამი ენიდან თარგმნის: ინგლისურიდან, სპარსულიდან და რუსულიდან; ისეთი ავტორები და მათი ლიტერატურული ტექსტები აქვს ნათარგმნი, თავად ჩამონათვალაც კი ცხადს ხდის მის პროფესიონალიზმს და კიდევ ერთხელ გაეიმეორებ: ლიტერატურულ გემოვნებას. მან ზუსტად იცის, რითი უნდა შეავსოს და გაამდიდროს მშობლიური ლიტერატურა. ეს ავტორებია: სომერსეტ მოემი („მოთბრობები“, „მთვარე და ექვს პენიანი“), უოლტერ სკოტი („რობ როი“), ჯეკ ლონდონი („მარტინ იდენი“), რეი ბრედბერი („45<sup>ე</sup> ფარენჰაიტი“, „მარსის ქრონიკა“, „მესამე ექსპედიცია“), ერნესტ ჰემინგუეი, აკუტაგავა, ჰობსი, სამეცნიერო ლიტერატურიდან — წყაროები სპარსული ენიდან და პოლიტოლოგიური ტექსტები... და სხვა კიდევ...

— ჩემს ქვეყანას, უფრო ზუსტად, მის უმდიდრეს, უჭკვიანეს ქართულ მწერლობას, მკითხველს სჭირდება კარგი, სერიოზული თარგმანები... ქართული წარმომავლობის ამერიკელი მწერლის ბესტსელერი... 1966 წლის შემდეგ დიდი დრო გავიდა! ვინმე რომ დავაინტერესოთ და ხელახლა გამოვცეთ, თქვენ წინააღმდეგ ხომ არ იქნებიან?

— არა, პირიქით, მე ვიქნები მადლობელი... თქვენი, მისი... მაგრამ...

(პაუზა... როგორც მომეჩვენა, საკმაოდ დიდი...) ვერ იბოვით მაგისტრანს... წიგნები... მე კიდევ სხვა უამრავი თარგმანი მაქვს...

— „ვერ იბოვით!“

ამ შეხვედრიდან დიდი დრო გავიდა...

ვერ ვიპოვე!!!

ამერიკული ლიტერატურისთვის ცნობილი იყო ნიკი (ნიკოლოზ) ჩხოტუას, პავლე ჭავჭავაძის, სანდრო ნებლოს (იგივე ალექსანდრე პაპუაშვილის) პროზაული ნაწარმოებები. მათ შორის ამ უკანასკნელის რომანი ერთ-ერთმა ამერიკულმა გამომცემლობამ ამ რამდენიმე წლის წინათ ხელახლა დასტამბა კიდევ. ამ მწერალთა გვერდით ჯორჯ (გიორგი) პაპაშვილის სახელი მაინც სხვა რანგის წარმატებით იყო მოცული. როგორც გივი კობახიძე წერდა:

„პაპაშვილმა სხვა ძლიერებით დაიჭუნა და ამ ქუხილის ექო-გამოძახილი დღე-საც კი ძლიერია და არ ნელდება. პაპაშვილმა სახელი გაუთქვა საქართველოს და ქართველ ერს კეთილი გულით, თბილი ღიმილით და სიტკბოებით აღსავსე სულით, იმავე დროს ღრმა ადამიანურობით.“

### საშობაო ვზავნი ფოქი - დღოსასწავლი ვნაქვთაქვა

ყველაფერი ასე დაიწყო... საქართველოში ჩამოტანილ უზარმაზარ არქივს ვალაგებ: განსხვავებულ მასალას ცალ-ცალკე ვუჩენ ადგილს: რეცენზიები, ლიტერატურული წერილები, ამასთან, ეპისტოლარული მემკვიდრეობა – გამომცემლების, კოლეგების, მოქანდაკეებისა და მათთან ერთად, მკითხველთა ბარათებიც...

**1946 წელია.** ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოდის ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების ახალი წიგნი „Yes and No Stories“ – „ჰო და არა მოთხრობები.“ წინა წელს ბესტსელერად ქცეული ამავე ავტორების წარმატებამ (წიგნით „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“) ბევრწილად განსაზღვრა ახალი კრებულისადმი დიდი დაინტერესება. ოცი ქართული ხალხური ზღაპარი, სტილიზებულად ნაამბობი... ერის სიბრძნე, წარსულიდან გადმოცემული. იქ არ-დარჩენილი, კიდევ ერთხელ გადააზრებული... მწერალს ბევრი აქვს ნაფიქრი:

„– როცა ზღაპარს უყვებით შვილებსა და შვილიშვილებს, თქვენ მომავალში აგზავნით წერილს. ასე არაა?“

არაერთი ამბავი ხალხური გონიერების, ჭკუის, მოხერხების, სიკეთის შესახებ – ეს მომავალში, ანუ ბავშვებში ჩაგდებული სიყვარულის მარცვალია, რომელიც მათ ზრდასთან ერთად უნდა გაიზარდოს...

და ახლა, 1946 წლის ბოლო დღეებში ამერიკული ჟურნალი ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების საშობაო მილოცვას დასტამბავს. მოკლე სარედაქციო წარდგინება-საც წაუშემდგარებს. ერთი განმარტება: საბჭოთა კავშირიდან არა მხოლოდ ოფიციალურად წასული ადამიანები იწოდებოდნენ საერთო სახელით – რუსები; იქნებოდნენ ისინი წარმატებული მეცნიერები, მწერლები, მსახიობები თუ სხვანი... მოკლედ, ყველას, ვინც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ტერიტორიიდან – სივრციდან იყო გასული, მიმართებით გამოიყენებოდა ზოგადი სახელი „რუსი“ (ანუ, საბჭოთა). ნაწარმოებებიც ამგვარად წარდგებოდა – რუსული ფილმი, ან რუსული თეატრა-

ლური დასი თუ ეროვნული ცეკვების შემსრულებელი რუსული ანსამბლი... მორე ვარაუდიცაა, მათ უბრალოდ არ იცოდნენ, რომ ეს სხვადასხვა იყო და ამიტომაც „ეშლებოდათ.“ ასევე ხდებოდა ემიგრანტების შემთხვევაშიც. რასაკვირველია, არ ვგულისხმობ მხოლოდ ქართველებს და არც ჯორჯ პაპაშვილი იყო გამონაკლისი.

ამჯერად, გთავაზობთ სწორედ ამ სარედაქციო წარდგინებას და რაც მთავარია, მწერლების — ცოლ-ქმრის საშობაო მიმართვას ამერიკელი მკითხველებისადმი; შობას ულოცავენ და თავის სათქმელს ორიგინალური ფორმით შესთავაზებენ:

„**ჰო და არა**“-ს ისტორიებში (პარპერ \$2, 50) ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილებმა ერთად შეკრიბეს შესანიშნავი რუსული ხალხური ზღაპრები, რომლებიც აღწევენ ჩვენს შემეცნებაში და ყველგან ქართველებს გახსენებთ. თქვენ გატყვევებთ მზიარულებას, სალი აზრი და სიცოცხლისადმი სიყვარული, რომელმაც შექმნა „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ — ეს დაუვიწყარი და აღმაფრთოვანებელი თავგადასავალი. ქვემოთ წარმოდგენილი მათი მარტივი, გულწრფელი საშობაო გზავნილი ერის განწყობას და ყველა ადამიანის სურვილს გამოხატავს.

### ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების

#### „ჰო და არა საშობაოდ“

ამ წელს ჩვენ ვიტყვით **ჰოს** და **არას** საშობაოდ!

**არა** შობას, სადაც ჩვენ მივირთმევთ ასე ბევრ შებრაწულ ბატს და შემწვარ ინდაურს, საშობაო პუდინგს ქიშიშით და გოგრის ღვეზელს; ისე, რომ ჩვენ ვივიწყებთ ნახევარ მსოფლიოს, რომელიც ჯერ კიდევ შიმშილობს და შემოპყურებს ჩვენს ნუგბარს.

**არა** შობას, სადაც ჩვენ ისე დაკავებულნი ვართ ყიდვა-გაყიდვით, აღებ-შიცმობით, ძვირფასი საჩუქრების გაცვლა-გამოცვლით, რომ დრო არ გვაქვს, გვახსოვდეს ბავშვები ევროპაში, რომელთაც არასოდეს ჰქონიათ ერთი სათამაშოც კი.

**არა** შობას, ასეთი ოდენობის ახალი ქურქებით, თბილი ქურთუკებით, ჩათბუნებული ჩექმებით, მოხერხებული ხელთათმანებით; ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, თუ რას ნიშნავს ომით გაძარცვული მამაკაცები და დაკონკილ, ღარიბულ ტანსაცმლიანი ქალები შობამდე რამდენიმე დღით ადრე პირისპირ რომ შეეჯახებიან გაყინვის საშიშროებას.

**არა** საშობაოდ საზღვარგარეთ, ანუ ჩვენი მეზობლების ექვს ქვეშ დაყენებას და იმ ცრურწმენების დამთავრებასაც, რომ ისინი ჩვენს შინაურ საქმეებში ერვიან.

**არა** საშობაოდ მზაკვრულ საუბარს ომის გარდაუვალობისა და გაზვიადებული განადგურების თაობაზე.

და **ჰო** — **დიახ** შობას, რომლითაც ჩვენ ვინაწილებთ დედამიწის გულუხვობას სხვებთან ერთად; ყველგან, სადაც თითოეული ჩვენთაგანია.

**ჰო** საშობაოდ საყოველთაო ურთიერთგაგებას და პატივისცემას, რომლითაც უნდა განიმსჭვალოს ყოველი ადამიანი დედამიწაზე.

**ჰო** შობას, რომელიც ქვემარტივად აღნიშნავს იმის დაბადებას, **კინუ** გვითხრია ჩვენ: „გიყვარდეთ ერთმანეთი.“

დიახ, ხმამაღალი, ხანგრძლივი, დიდებული ჰო, შობას, რომელმაც ეს სიტყვები კვლავ უნდა გაგვახსენოს: „მე თქვენ მოგანიჭებთ უდიდეს სიხარულს... მშვიდობას — კეთილი ნების ყოველ ადამიანს.“

პუბლიკაციას თან ახლავს ფოტოც; ეს ფოტო გახდა ჩემთვის საინტერესოც და მიმანიშნებელიც: მწერალთა საშობაო მიმართვაა, ახალი წელიც მოდის და რა გასაკვირია, რომ ნაძვის ხის სათამაშო „იქვე“ იყოს?! ცოლ-ქმრის ფოტო ნაძვის ხის სათამაშოშია „ჩასმული.“

ცნობილი ქეშმარიტებაა — ყოველივე, რაც უფრო ეროვნულია, მით უფრო უნივერსალურია. ამას იზიარებს ყველა ინტელექტუალი. ამ მოსაზრებას გრიგოლ რობაქიძე არცთუ იშვიათად შეახსენებდა მკითხველს:

„ყოველი ნამდვილი კულტურა ინდივიდუალურია. რამდენად ინდივიდუალურია კულტურა, იმდენადვე უნივერსალურია იგი.“

როგორ უცნაურადაც არ უნდა გეჩვენოთ, ამ კონტექსტში ერთი ამონარიდი მაინც უნდა მოვიტანო: „კარლოს ჰქონდა უდიდესი ავტორიტეტი და პატივისცემა საერთაშორისო დემოკრატიის წრეებში; ის იყო კარგი, ნამდვილი ინტერნაციონალისტი, იმიტომ, რომ იყო კარგი ქართველი სოციალისტი, —“ წერდა პარიზში გამომავალი ყურნალი „ბრძოლა“ (№12-13) 1926 წელს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის — კარლო ჩხეიძის დახასიათებისას.

არაერთი გონიერი და ნიჭიერი ქართველი, რომლებიც იძულებულნი გახდნენ საქართველო დაეტოვებინათ, მოგვიანებით, ჩაეწერნენ იმ ქვეყნების კულტურაში, მეცნიერებაში, მრეწველობაში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. ასე მოხდა ბევრ შემთხვევაში. მათზე წერდნენ სტატიებს, რეცენზიებს... ამ წერილებს არცთუ იშვიათად, ახლდა მათი ფოტოებიც, სხვადასხვანაირი — ტექსტის შესაბამისი სურათებით. ბევრი საინტერესო მასალა შეიძლება ნახოს მკვლევარმა...

ჯორჯ პაპაშვილი თავის ცნობილ ლიტერატურულ ტექსტში — „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ მკითხველს უამბობდა კობიაანთკარზე, თბილისზე, ხევსურეთზე, ჩახოხბილზე, ნიორწყალზე... ამასთან, არა თვალშისაცემად, ისე, ჩვეულებრივად, უცხოელ მკითხველს საკუთარ სამშობლოზე, საქართველოზე უყვებოდა... ეს ვახლდათ თავისებური ფორმა, ან გნებავთ, ასეც ვთქვათ, საკუთარი სამშობლოს გაცნობის ხერხი. მსგავსი გზა აირჩია გიორგი მაჩაბელმაც, როცა იმავე ქვეყანაში (აშშ), თავის საუკეთესო პარფიუმერულ ნაწარმს (ბრენდს), სუნამოს — „საქართველოს დედოფალი“ უწოდა. მომხმარებელი უფრო ყურადღებიანი გახადა — რომელი დასახელების ნიმუში უნდა ეყიდა.

ჯორჯ კობი — ასე იცნობდა მთელი ამერიკა. მინის უდიდესი მრეწველი, წარმატებული ქართველი გრიგოლ კობახიძე ნიუ-იორკში გასული საუკუნის 10-იან წლებში ჩავიდა; „The Coby Glass Products Company“ აწარმოებდა საფანჯრე მინებს, ოთახების ტიხრებს, სუნამოების ფლაკონებს, სამედიცინო დანიშნულების მრავალგვარ პროდუქციას და რაც ამჟერად, ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ — სათამაშოებს! ნაძვის ხის შობა-ახალწლის სათამაშოებს.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 40-იანი წლების შუა ხანებიდან

მრეწველმა წარმოებაში სიახლე შეიტანა; ომი დამთავრდა: რთული, მძიმე, ხანგრძლივი... ადამიანებს დღესასწაული, ბედნიერება სჭირდებოდათ და კობი მათ შობის დღესასწაულზე, ნაძვის ხის სათამაშოები შესთავაზა. რაკილა მინის მრეწველი გახლდათ, სწორედ თხელი, ფერადი, ორნამენტებით მოჭიქული მინისგან დამზადებული საახალწლო „ბურთები“ მიაწოდა მყიდველს და არა მარტო ამერიკელებს; ეს სათამაშოები არა მხოლოდ შტატებში იყიდებოდა, არამედ სხვა ქვეყნებშიც... ჩასადებ ყუთს დააწერა: Coby. Glass Ornaments. American Made Glass Products. კობის „ორნამენტები“ ძალიან პოპულარული იყო. Christmas is Coby – კობი ეს შობაა, ყუთზე ასეც ეწერა. რკინის ზედა საკიდთან, თითოეულ მათგანზე ნიშანია: made in USA - დამზადებულია ამერიკაში.

ზემოთ, პაპაშვილების საშობაო წერილსა და სათამაშოში „ჩასმულ“ მათ ფოტოზე ვსაუბრობდი... ორი წარმატებული ამერიკელი, ორივე წარმომავლობით ქართველი და სწორედ ის 40-იანი წლები, როცა მათზე ამდენს წერენ, ბეჭდავენ და ლაპარაკობენ...

ჯორჯ კობის სათამაშოები სხვადასხვა ფერის: მწვანე, ყვითელი, წითელი და ფერად-ფერადი ლამაზი ბურთები იყო, თუმცა ძირითადი, საწყის ეტაპზე მაინც, თეთრი ფერისა გახლდათ... კარგად აღწერილს მაინც საკუთარი თვალით ნანახი სჯობს, პოდა, დავიწყებ მოძიება. თუკი თითოეულ მოღვაწეს, ქვეყნიდან წასულ ემიგრანტს ეროვნული ელემენტი შეპქონდა თავის საქმიანობაში, არც ჯორჯ კობი იქნებოდა გამონაკლისი და არც შემთხვევით დაარქმევდა სახელად „ორნამენტს.“ ჩემი მიერ მოძიებული სათამაშოები უთუოდ ორნამენტიანი უნდა ყოფილიყო!

ულამაზესი, თეთრი ორნამენტიანი ბურთები არა მხოლოდ ვნახე, არამედ მოულოდნელობა წინ მგლოდა: ეს სათამაშოები იყიდებოდა კიდევ. ერთ-ერთი ამერიკელი მალაზია გასაყიდად სთავაზობდა მყიდველს. რასაკვირველია, გამოვიწერე ახლა მათი უხიფათოდ ჩამოტანა იყო საქმე. ყველა დეტალი იყო გასათვალისწინებელი: განსაკუთრებული შეფუთვა, მსხგრევადობის მაქსიმალური გათვალისწინება, ეს ყველაფერი უნდა მოგვარებულიყო.

ვიცი, გაინტერესებთ, ამიტომაც აღვწერ: ყუთში ჩაწყობილი თეთრი ბურთები. რამდენიმე მათგანზე: ორნამენტში ჩახატული მზე – სიხარულისა და სიბთოს სიმბოლო; სხვა ბურთებზე – ფიფქი, ესეც ძალიან ბუნებრივი ტვიფარი – ზამთრის მეტაფორა და მთავარი, ის, რომელიც ბოლოსთვის შემოვიტოვე – ეროვნული ნიშნით: ვაზის ფოთოლი და მტევანი... წარმოიდგინეთ, ეს სათამაშოები ამერიკულ საშობაო – საახალწლო ნაძვის ხეებზე! როგორ დაამშვენებდა?! ჯორჯ კობი თავისი საქმიანობის ერთი ნიშნით, თავისი პროდუქციით – ქართული ორნამენტით და დღესასწაულით... გრიგოლ კობახიძე ზეციური საქართველოდან: კობი, ეს შობაა!

არაერთხელ რომ წაუკითხავს, ამჯერად, ლიტერატურული რემინისცენციით, გალაკტიონის ერთი ლექსის სტრიქონები შესაძლოა, სრულიად სხვაგვარად ამოუტივტივდეს მეხსიერებაში მკითხველს:


ყველაფერი შეიძლება მოხდეს:


მთა მთას შეხვდეს, მზე მთის იქით მოხვდეს...

გალაკტიონი, ამერიკული ბესტსელერის სათაური და კობის სათამაშოები  
ქართველები სამანს აქეთ და სამანს იქით...

ფაქტია, ამერიკელმა მკითხველმა საზოგადოებამ ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების  
წიგნი ბესტსელერად აღიარა და არაერთი ძალიან საყურადღებო რეცენზიაც დაი-  
წერა. ხედვის განსხვავებული ხიბლი იმავდროულად, გამოირიცხავდა კულტურის  
მგზობრივაციას. არაერთ ენაზე თარგმნილ წიგნს განსხვავებული ლიტერატურული  
გემოვნების მკითხველი თითქმის ერთნაირად კითხულობდა.

თავისთავად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ფაქტი მასშტაბური ხედვის და  
დიდ კონტექსტში გააზრების შესაძლებლობას იტოვებს... და მაინც – ქართველი  
მწერლის ამერიკული ბესტსელერი!





ჯორჯ (გიორგი) პაპაშვილი



ჯორჯ და ჰელენ უეიტ პაპაშვილები



ლიპაის უნივერსიტეტი



The Sunday Edition  
**Suburban North & Northeast**  
 THE NORTHEAST, GERMANTOWN, CHESTNUT HILL, MONTGOMERY & WYOMING COUNTIES

**JNE Groups Object to Apartments**

**Joyce Attacks Federation for 'Dictating' to NE**

**Plan to Build Stone Freight In Building**

**Quakerstown Sculptor Sees 'Final Product' in Piece of Stone**



Twelve Months  
 a Best Seller

**ANYTHING CAN HAPPEN**

By George and Helen Papashvily

Everything that could happen to Anything Can Happen has happened. Have you happened on read it?

HARPER • \$2.00



სპეციალური  
 კოლექციონი

• Watch for details in later issues of Publisher's Weekly

Don't forget **anything can happen**

by George and Helen Papashvily

—a book that's going all the places we said it would, and a lot more.

A Book-of-the-Month Club Selection • \$2.00

HARPER & BROTHERS

First Columbus — then George

**anything can happen**


By George and Helen Papashvily

a hilarious, heartwarming account of a Russian's discovery of America.

he tale of his wanderings is touched with wonder, insight and spontaneous wit. You can enjoy this book on any of several angles. Perhaps you will like to see arge as the comic Don Quixote of the Karakul cap, quering America by courtesy; you may enjoy him as ilgrim light-heartedly journeying toward truth; maybe will seem just a local Russian boy who eventually makes good. For our money, when we want the four freedoms of America poignantly outlined by a poet and philosopher, we'll let George do it."

—N. Y. Times Book Review

Book-of-the-Month Club Selection • \$2.00




ილუსტრაცია  
 წიგნისთვის  
 „ყველაფერი შეიძლება  
 მოხდეს“





# „უკვლავები“

## შვიდლებს







# მონღეს



# „ეკლაფური შეიძლება მოხდეს“



სხვადასხვა გამოცემის წიგნების ყლუბი






## ANYTHING CAN HAPPEN

by  
George and Helen White Popashvily



Harper & Brothers Publishers  
New York and London



საკუთარი წიგნის  
წარდგინებაზე  
ცოლ-ქმარი ავტოგრაფებს  
არიგებს



**2.00**

**1.00**

**1.95**

**anything can happen**  
By GEORGE & HELEN PAPAŠVILY

**First  
Columbus—  
then  
George**

**anything  
can  
happen**

By GEORGE & HELEN  
PAPAŠVILY

**PAPAŠVILY**  
*anything can happen*  
SUMMER WELLES  
*The Time for Decision*

**FIRST COLUMBUS—THEN GEORGE**

**anything  
can happen**

By GEORGE AND HELEN PAPAŠVILY


This is the dilemma. Learning a word of a French language in America is easy, according to George, when anything in English is a book which does not change format and style and content. Chained by its genre and traditions, in English books and newspapers today, a story which has occurred a 2000

**Frank Taylor**... **John H. Morgan**... **Harold G. Smith**...

**You will enjoy**

A Book-of-the-Month Club Selection • \$3.00

# სპეციალური კოლექციონი





ჯორჯ და ჰელენ  
პაპაშვილები



„ყველაფერის... შიდა ყდა“



ილუსტრაციები  
წიგნისთვის

ჯორჯ პაპაშვილის  
პორტრეტის ესკიზი



To help you in appraising this book read within the comment of the literary critic whose judgment about books, you have found, most often coincides with your own.

## Pre-Reviews of ANYTHING CAN HAPPEN

UNPUBLISHED OR UNREVIEWED, WILL YOU READ US, IN A BRIEF STATEMENT, THE PROSPECTS OF WHAT YOU ARE GOING TO GET IN THIS ONE HUNDRED — OR TO OVER TWO HUNDRED — PAGES? ANYTHING CAN HAPPEN IS BEING A GREAT FAVORITE!

**NOTE:** The brief statements within were received in reply to the telegram above. This experimental service has been instituted by the Book-of-the-Month Club, at the suggestion of some members who thought that a wide variety of critical opinions, in addition to the pre-publication reports in the Book-of-the-Month Club News, would enable Club members to appraise more profitably and exactly the forthcoming book-of-the-month. The comments are listed alphabetically by name.

**—CONTINUED—**

**—CONTINUED—**

**—CONTINUED—**

**—CONTINUED—**

წინასწარი  
მიმოხილვები  
წიგნისა „ყველაფერი  
შეიძლება მოხდეს“

**SUZANNE MARTIN, of the Seattle Post-Intelligencer**  
*Anything Can Happen*, the Papashvili story of a Georgian immigrant, is funny enough to read aloud, but it is tragicomic too. The book is significant in a way democratic practitioners can never be: for identified with the savvy smug of old country cooking and the mindlessness of Georgia is a new warm insight into the land of the free.

**JAMES EARLY LATHROP, of the Los Angeles Chronicle**  
*Anything Can Happen* is a novel that is a masterpiece of the art of the novel. It is a masterpiece of the art of the novel. It is a masterpiece of the art of the novel. It is a masterpiece of the art of the novel.

**MARY ANN BROWN, of the Springfield Republican**  
*Anything Can Happen* is a novel that is a masterpiece of the art of the novel. It is a masterpiece of the art of the novel. It is a masterpiece of the art of the novel. It is a masterpiece of the art of the novel.

**WALTER BRANT BROWN, of the Washington & E. Star**  
*Anything Can Happen* is a novel that is a masterpiece of the art of the novel. It is a masterpiece of the art of the novel. It is a masterpiece of the art of the novel. It is a masterpiece of the art of the novel.

**ARTHUR CRONIN, of the Montreal Times**  
*Anything Can Happen* is a novel that is a masterpiece of the art of the novel. It is a masterpiece of the art of the novel. It is a masterpiece of the art of the novel. It is a masterpiece of the art of the novel.

**JOHN S. FEIBACK, of the Boston Globe**  
*Anything Can Happen* is a novel that is a masterpiece of the art of the novel. It is a masterpiece of the art of the novel. It is a masterpiece of the art of the novel. It is a masterpiece of the art of the novel.

**THEO GOTTSCHE, of the St. Louis Post-Dispatch**  
*Anything Can Happen* is a novel that is a masterpiece of the art of the novel. It is a masterpiece of the art of the novel. It is a masterpiece of the art of the novel. It is a masterpiece of the art of the novel.



# სპეციალური კოლექციიდან





საქართველო  
საგარეო  
საზღვაო  
საზღვაო

**მინაწერები ნახატებზე**  
**„თვის წიგნის კლუბის“ რჩეული**  
**ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“**  
**ქართველი (რუსი) ემიგრანტის თავგადასავლები ამერიკაში**  
 ელის აილენდზე ის თავის მშვენიერ კარაკულის ქუდს ბამბის კეპში  
 გაცვლის. . .


ცოლად ირთავს კოლეჯდამთავრებულ ამერიკელ ქალიშვილს —  
 ქართული საქორწილო სუფრის თანახმად, ყველა სტუმრისთვის  
 თითო ქათამია განსაზღვრული.  
 კონკურსში ის მოიგებს ლუმელს, 8 ტონა ნახშირს და იყიდის ფერ-  
 მას მათ შესანახად!  
 უილიამ შარპის ექსლიბრისი პროზაული ტექსტის მიხედვით



TWO BOOKS AT ONE PRICE IN JANUARY

STORY OF A SECRET STATE  
By Jan Karlo


and ANYTHING CAN HAPPEN  
By George and Helen W. Papashvily



For sale by Douglas in the U. S. A.

"All everything you ever and have experienced," Jan Karlo was  
interviewed. He was known for the Polish Underground in the war  
side world for four years. "The world," says Clifford Fadness writes,  
"is one of the most thrilling books produced by the Second German  
War Against Methodism..." Adventures of a wholly different type,  
amazing and wildly delightful, are those of a Georgian immigrant  
adjoining himself in our ways, as told by his American wife in Any-  
thing Can Happen. "If there is to be any reaction in the immigra-  
tion quota," says John Maynard, "let's have more Georgians."

STORIES AND MORE  
**PAPASHVILY**



AN ANTICIPATION OF **"Anything Can Happen"**

LEADING SUBJECTS

**Anything Can Happen**  
The first book for a month in Russian since "Anything Can Happen" - which we  
can't do without for its original and unique in its own way. It is the first  
in a series of books of our series which will be the most original and  
the most interesting that we have published in the United States. It is a  
book that will be a real treat for the reader who has read the other  
two books of our series.

**The Fox of Living**  
This is the first of our new series in the world's history of the fox. It is a  
book that will be a real treat for the reader who has read the other  
two books of our series.

**Our Other Americas**  
This is the first of our new series in the world's history of the fox. It is a  
book that will be a real treat for the reader who has read the other  
two books of our series.

**Living in 22 Worlds**  
This is the first of our new series in the world's history of the fox. It is a  
book that will be a real treat for the reader who has read the other  
two books of our series.

**anything can happen**



**anything can happen**

FOR THE FIRST TIME IN  
THE HISTORY OF THE  
PUBLISHING INDUSTRY

**PAPASHVILY**  
*anything can happen*

**anything can happen**

FOR THE FIRST TIME IN  
THE HISTORY OF THE  
PUBLISHING INDUSTRY

**anything can happen**

FOR THE FIRST TIME IN  
THE HISTORY OF THE  
PUBLISHING INDUSTRY

"The greatest book of the century"

**anything can happen**

BY GEORGE AND HELEN W. PAPASHVILY



*After Each Step*

**PAPASHVILY**

*George and Helen Papashvily*

**Little Book  
of Best Seller  
ANYTHING CAN HAPPEN**

By George and Helen W. Papashvily

FOR THE FIRST TIME IN  
THE HISTORY OF THE  
PUBLISHING INDUSTRY

**HARD - \$ 1.50**

...the most thrilling book...





...the most thrilling book...


...the most thrilling book...

...the most thrilling book...

...the most thrilling book...

სპეციალური  
კოლექციონი





## საუკეთესოდ გაყიდვადი წიგნები





ჯორჯ პაპაშვილის სახლი —  
სპეციალური კოლექციიდან




რას კითხულობს ამერიკა


ჯორჯ პაპაშვილის სახლი ამჟამად




ლიპაის უნივერსიტეტის  
ერთ-ერთი კორპუსი



ლიპაის უნივერსიტეტის  
ბიბლიოთეკა



ალექსი ჩხენკელის წერილი  
გიორგი პაპაშვილისადმი



ილჰან ციტაკი და  
რუსულდან ნიშნიანძე



ლიპაის უნივერსიტეტის  
თანამშრომლებთან ერთად



ლიპაის უნივერსიტეტის  
ბიბლიოთეკა



სამუშაო მაგიდა

# სპეციალური კოლექციიდან





სამუშაო მაგიდა




ელენორ ნოტელფერი  
და რუსუდან ნიშნიანიძე





ქუთის უკლთა ბარათები  
 სპეციალური კოლექციონი





To have you always  
With love & care  
and we wish that the  
New Year brings you  
every happiness.

Love  
(The best thing you will discover,  
is how very like you we are)

I don't know how many years  
you've been in the 19<sup>th</sup>. I hope it's as  
pleasant as you that have been  
here. I was very sorry that I  
couldn't have been able to visit the  
country & want to wish the  
celebration this year.  
I'm glad you have the  
chance and I hope you have  
been quite happy. I hope you  
will be very happy in the future.  
I hope you will be very happy.  
I hope you will be very happy.  
I hope you will be very happy.



Remember me!  
I hope you do  
The same the day that you  
I'm your right in  
remembering you  
I hope you will be very happy!

Love  
(with)



ჯორჯ კობის  
სათამაშოები



პელენ პაბაშვილი




ჯორჯ კობის სათამაშოები



ჯორჯ კობის  
სათამაშოები

ფრაგმენტი



ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები  
სპეციალური კოლექციიდან



ჯორჯ და ჰელენ  
პაპაშვილები

**ისტორია არ დასრულებულა...**

დღის წესრიგში ნაწარმოების სცენური განხორციელება დადგა, მისი ეკრანიზაციაც. იმხანად ძალიან ცნობილმა რეჟისორმა, ჯორჯ სიტონმა ჰოლივუდს ამ ნაწარმოების მიხედვით ფილმის გადაღება შესთავაზა. რეჟისორი — ჯორჯ სიტონი, ტენიკური რეჟისორი — ლადო ბაბიშვილი, მთავარ როლებში — კინოვარსკვლავები: ზოზე ფარერი და კიმ ჰანტერი. ფილმში გამოყენებული იყო ქართული სიმღერების მელოდები და ცეკვები, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მაცურებელი მსახიობების დიალოგებს შიგადაშიგ ქართულ ენაზეც ისმენდა. ფილმზე დაკავებული (მიწვეულნი) იყვნენ ასევე, კომპოზიტორი იუნგი და ალექსანდრე ფუტკარაძე... დიდი ჯგუფი მუშაობდა. ფილმი გადაიღეს...

**პირველი კადრები:**

ნაპირს გემი უახლოვდება. გემბანზე უამრავი ადამიანი ირევა. არის ერთი უვილ-ხვილი. ზოგადად, მკითხველები იცნობდნენ მწერალ ჯორჯ პაპაშვილს; იცნობდნენ წიგნის ყდაზე დაბეჭდილი ფოტოებიდან, აურაცხელი სტატიისთვის თანდართული სურათებიდანაც; იმ შეხვედრებიდან, სადაც პირადად გაცნობის შესაძლებლობა ჰქონდათ, იცნობდნენ წლის ამერიკული კინო-ქრონიკებიდანაც...

ამერიკელმა რეჟისორმა, ჯორჯ სიტონმა ფილმში „ისტორიული კადრი“ დატოვა: გემბანზე მდგომი მწერალი (სხვათა შორის, აქვეა ალექსანდრე ფუტკარაძეც) დაიანახა მაცურებელს, კიდევ ერთხელ შეახსენა ის ადამიანი, ვისი თავგადასავალიც, ოღონდ „სხვის“ შესრულებით უნდა ენახათ ახლა... არადა, თვითონ ჯორჯ პაპაშვილი იქვე იყო, მისით იწყებოდა ამბავი; თუმცა უსიტყვოდ, უხმოდ, მხოლოდ კადრში და ისიც, არცთუ ისე ფართო პლანით...

1953

1953 წელს ჩამოყალიბდა რადიო „თავისუფლება“ (თავდაპირველი სახელწოდებით: „განთავისუფლება“) და გადაცემებიც იმავე წლის 1 მარტიდან დაიწყო; რაც შეეხება ქართულ ენაზე მაუწყებლობას — ის იმავე, 1953 წლის 17 მარტიდან შეუდგა მუშაობას. ამ საქმიანობაში ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს. ისინი არა მხოლოდ მოლაპარაკებებში იღებდნენ მონაწილეობას, არამედ ჩართულნი იყვნენ ერთიან პროცესებშიც. რაც შეეხება უშუალოდ ქართულ რედაქციას, მის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა დამოუკიდებელი საქართველოს იმჟამინდელმა იუსტიციის მინისტრმა რაჟდენ არსენიძემ, იგი თავადვე გახდა ქართული რედაქციის მთავარი რედაქტორი. თითქმის 25 წლის შემდეგ, გაჩნდა აზრი, რომ ამ უზარმაზარი მასალისათვის (რეპორტაჟები, ინტერვიუები, კორესპონდენციები) თავი მოეყარათ და „კრებულის“ სახით გამოეცათ. დასტამბვა მოხერხდა. III ნაწილის წინასიტყვაობაში იტყობინებოდნენ, რომ დაგროვებული მასალის რაოდენობამ 30 ტომს გადააჭარბა. გადაწყდა, მხოლოდ ის



ნაწილი ამოერჩიათ, „რომელთა გამოყენება, როგორც მასალა ახალი გადაცემების შესაქმნელად, ყველაზე უფრო სავარაუდო“ იქნებოდა. (ესარგებლობ: „კრებულში“ III რეპორტაჟები, ინტერვიუები, კორესპონდენციები, მიუნხენი, 1977). სარედაქციო კოლეგია იმედოვნებდა, რომ „კრებულში“ „თავისებური დოკუმენტაცია“ გახდებოდა. ჩვენთვის ის სწორედ ამ თვალსაზრისითაა ძალიან მნიშვნელოვანი.

„კრებულში“ თავმოყრილი მასალა ორ ჯგუფადაა დალაგებული:  
 „ქართველები ამერიკის შეერთებულ შტატებში“ და  
 „ქართველები სოშოში“ (საფრანგეთი).“

ამჯერად, პირველი ნაწილია საინტერესო.

წინასიტყვაობაში ავტორის, კარლო ინასარიძის შესავალი სიტყვა და ამასთან, განმარტება: „სერია — „ქართველები ამერიკის შეერთებულ შტატებში“ შეიქმნა ჩემი „ელვისებური“ მოგზაურობის შედეგად ამერიკის შეერთებულ შტატებში. სულ აშშ-ში დავყავი სამი კვირა:

- 1969 წლის 11 მარტიდან — 19 მარტამდე ვიმყოფებოდი ნიუ-იორკში;
- 19-დან — 22 მარტამდე ვაშინგტონში;
- 22-დან — 24 მარტამდე კლივლენდში;
- 24-დან — 27 მარტამდე სან-ფრანცისკოში და ბოლოს,
- 27-დან — 31 მარტამდე ლოს-ანჯელესში.“

რასაკვირველია, ყველა სასურველ რესპოდენტთან ანუ, თანამემამულესთან შეხვედრა ვერ მოხერხდა. ამან გამოიწვია ის, რომ ასეთ შემთხვევებში, მასალები სხვა პირებისაგან მიიღო ან რადიო-რედაქციის არქივში მოიძია. ამ ფაქტორმა შესაბამისად, გადაცემებს სრულყოფილების შესაძლებლობა მოაკლო. ჟურნალისტმა ერთი რამ მინიჭ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მან შეგნებულად აარიდა თავი ქართველთა პოლიტიკური საქმიანობის შესწავლას და გადაცემებში დრო არ დაუთმო პოლიტიკურ ორგანიზაციებზე საუბარს. ავტორი „წინასიტყვაობაში“ ერთ საყურადღებო წინადადებასაც დაწერს:

„განსაზღვრული პაუზის შემდეგ, ჩვენ გვსურს, ამ სერიაში მოთავსებული გადაცემები ისევ გავიმეოროთ.“

თუმცა, უცნობი დარჩა: რომელი გადაცემა გაიმეორეს და როდის.

ერთ-ერთ გადაცემაში მისმა მასპინძელმა, ცნობილმა ავიაკონსტრუქტორმა ალექსანდრე ქართველიშვილმა ნიუ-იორკში, სასტუმრო „ბედფორდში“ საუბრისას არაერთ ქართულ ლექსთან ერთად რუსთაველის სტრიქონებიც გაიხსენა:

„ვა, სოფელო, რა შიგან ხარ, რას გვაბრუნვებ, რა ზენ გჭირსა...“

„სად წაიყვან სადაჟრსა...“ არაერთი ემიგრანტის ტკივილია... გადაცემის წამყვანის შეფასებამაც არ დააყოვნა და მსმენელის გასაგონად თქვა:

„ამბობდა რა ამ სიტყვებს, შევაშჩნიე, მგონი თვალეში ცრემლიც კი მოადგა... რას იზამს კაცი! ქართველისათვის მეტად ძნელი ყოფილა თავის სამშობლოს გარეთ ცხოვრება!.. მაგრამ ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, უფრო სწორია იქნება თუ ვიტყვი, რომ ქართველებმა ამერიკაში იპოვეს „მეორე სამშობლო!“

„რა თქმა უნდა,— იქვე განმარტავს წამყვანი, აღამიანს არ შეუძლია ჰქონდეს



ორი სამშობლო, ისე, როგორც არ შეუძლია ჰყავდეს ორი დედა; მაგრამ ამერიკაში ხომ იმიგრანტთა ქვეყანაა და ფაქტი უფრო აშოშშინებს ქართველი იმიგრანტის გულსაც; მით უმეტეს, რომ **თავის-უფლება** (ხაზგასმა მათია - რ.ნ.) ამ ქვეყანაში დიდი ასოებითაა დაწერილი.“

„ამ ქვეყანაში,“ -დააზუსტებს ბ-ნი კარლო, ანუ „ქვეყანაში, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“

პირველ გადაცემას დავუბრუნდები. ზუსტი ჩანაწერი:

„ქართული რედაქცია.

ავტორი: არაგვი

დიქტორი: ინასარიძე

გადაცემის თემა: ქართული კოლონია ნიუ-იორკში.“

მცირე ლირიკული შესავლის შემდეგ, დიქტორი საუბრობს ქალაქზე, მის უბნებზე, მოსახლეობაზე, ქართულ კოლონიაზე... ბუნებრივია, ჩამოთვლის იმ ქართველთა გვარებს — მცირე ინფორმაციასთან ერთად, ვინ რა საქმიანობით გამოიჩინა თავი. ვფიქრობ, ჩამონათვალში არაგვინ უნდა გამოვეტოვოთ; ახლაც, წლების შემდეგ, ერთად გავიხსენოთ ეს ღირსეული ადამიანები; **ამჯერად, ჩვენ ვართ ამ გადაცემის მსმენელები...** მაშ ასე, ესენი არიან:

ვაშინგტონში, ჯორჯ-თაუნის უნივერსიტეტის პროფესორი ბიზანტიოლოგი კირილე თუმანიშვილი,

იუტას შტატის უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის პროფესორი ვახტანგ ჯობაძე,

პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი გრიგოლია,

პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორი დავით ჯაფარიძე,

კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი ნაკაშიძე,

პარვარდის უნივერსიტეტის აეროდინამიკის პროფესორი ოთარ ზალდასტანიშვილი...

სხვა არაერთი სახელგანთქმული ქართველიც:

გიორგი მაჩაბელი — საპარფიუმერიო ფირმის „პრინცი მაჩაბელი“ დამაარსებელი,

გიორგი-ჯორჯ ბალანჩინი — „ნიუ-იორკ-სითი“-ბალეტის დამაარსებელი,

ცნობილი ავიაკონსტრუქტორი ალექსანდრე ქართველიშვილი, რომელმაც II მსოფლიო ომის დროს „დიდი ჯილდო მიიღო პრეზიდენტ რუზველტის ხელიდან.“

და მაინც გამოვყოფ! მას, **პირველს** — ვისი გვარ-სახელიც უძღვის წინ ამ ჩამონათვალს. ჟურნალისტი დაიწყებს; ამონარიდი სჯობს:

„ბევრი ცნობილი პირი მისცა ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივ თუ კულტურულ ცხოვრებას ქართველებმა, რომელთაგან მხოლოდ ზოგიერთებს აღვნიშნავთ; ესენია, მაგალითად:

ამერიკაში, და არა მარტო ამერიკაში კარგად ცნობილი მწერალი — გიორგი პაპაშვილი, რომლის მოთხრობა — „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ „ბესტსელერი“ ე.ი. ყველაზე უფრო პოპულარული წიგნი იყო მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში და რომლის მიხედვით, მხატვრული კინოფილმი დაიდგა

## პოლივუდში 1951 წელს.“

ბუნებრივია, საგანგებო გადაცემები მომზადდება...

გადაცემა — 28.

მწერალი გიორგი პაპაშვილი. (7. 2. 1970).

წამყვანი: „ახლა ოთარ კეთილაძე გესაუბრებათ ქართველ-ამერიკელი მწერლის — გიორგი პაპაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე შეერთებულ შტატებში“ (ოთარ კეთილაძე ბატონი კარლო ინასარიძის ერთ-ერთი ფსევდონიმია — რ.ნ.)

მწერალზე საუბარი უდიდესი ქალაქის, ლოს-ანჯელესის დათვალეირებით მიღებული შთაბეჭდილებით და ალექსანდრე ფუტკარაძეზე თხრობით იწყება, სწორედ ის დახვდა აეროპორტში ჩამოსულ მეგობარ ჟურნალისტს. ეს ის ალექსანდრე ფუტკარაძეა, რომელიც მონაწილეობას იღებდა ზემოხსენებული ფილმის გადაღების პროცესში და რომლის ქართული ფანდურებიც გამოიყენა რეჟისორმა. სწორედ ალექსანდრე ფუტკარაძის მონათხრობს უამბობს მსმენელს:

„ჩვენმა თანამემამულემ ბევრი ამბები მომიხრო ჩვენი თანამემამულის — გიორგი პაპაშვილის შესახებ, რომელმაც, როგორც ამერიკაში ამბობენ ხოლმე, ორმოციან წლებში „ბესტსელერის“ ე.ი. ისეთი წიგნის ავტორი გახდა, რომელიც ამერიკაში ყველაზე უფრო პოპულარული იყო თავის დროზე. ეს მოთხრობაა გიორგი და ჰელენ პაპაშვილის — „Anything Can Happen“ ე.ი. „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, რომელიც პირველად დაიბეჭდა 1940 წელს და შემდეგ რამოდენიმეჯერ გამოიცა. ეს მოთხრობა გახდა არა მარტო ამერიკელების ერთ-ერთი საყვარელი მოთხრობა.“

წამყვანი საჭიროდ ჩათვლის, ნაწარმოების ფაბულა გააცნოს მსმენელს და გააგრძელებს:

„გიორგი და ჰელენ პაპაშვილები მკითხველებს მოუთხრობენ ერთი ქართველის იმიგრაციის ამბავს შეერთებულ შტატებში და მის თავგადასავალს, თუ როგორ შეეგუა ის თანდათანობით „ამერიკული ცხოვრების“ ყაიდას.“

წამყვანი გარკვეულ პარალელებსაც გაავლებს:

„მთელი ეს მოთხრობა ატარებს გიორგი პაპაშვილის საკუთარ ავტობიოგრაფიულ ნიშნებს და დაწერილია უშუალოდითა და შეიძლება ითქვას, ამერიკული short story ოსტატის ო'ჰენრისეული იუმორით და აქა-იქ სარკაზმითაც კი. და ზოგიერთი ნაწილები, გიორგი და ჰელენ პაპაშვილების ამ მოთხრობიდან, ისეთი პოპულარული გახდა ამერიკაში, რომ ისეთი წიგნებიც კი გამოიცა, სადაც მარკ თვეინისა თუ ო'ჰენრის და სხვების მოკლე — მოთხრობების გვერდით გიორგი და ჰელენ პაპაშვილის მოთხრობიდანაც იბეჭდება ნაწყვეტი; მაგალითად, „როგორ შეიძლება გახდეს მდიდარი მალე.“

წამყვანი იმასაც გაუსვამს ხაზს, რომ ეს წიგნი არ დარჩენილა მხოლოდ ამერიკელი მკითხველის „წასაკითხ წიგნად“:

„ — მსურს აღვნიშნო, რომ ეს მოთხრობა მსოფლიოს სხვადასხვა ენებზეა გადათარგმნილი და ალბათ, ეს იყო საბაბი იმისა, რომ პოლივუდის — შეერთებული შტატების კინოპრეწველობის ცენტრის — ერთ-ერთმა პროდიუსერმა და რეჟისორმა



— ჯორჯ სიტონმა გადაწყვიტა, ამ მოთხრობის მიხედვით, კინოფილმის გადაღება აქ იგი საინტერესო ფრაზას დაამატებს:

„ — ამის შესახებ ჩემს მომავალ საუბარში მოგიხსნობ.“

მომდევნო გადაცემის მსმენელი უკვე „დაბეჭეებული“ ჰყავს!

წამყვანი იმასაც დასძენს, რომ ქართული თარგმანის ფრაგმენტებს იცნობს და მართალია, თავად გამოცემის ფაქტი არ იცის, მაგრამ იმედს იტოვებს, რომ „ალბათ, ეს მოთხრობა უკვე ცალკე წიგნადაც გამოიცა საქართველოში.“

*ჩანართის სახით. მართალიაა. ამ დროისათვის წიგნის ქართული თარგმანი უკვე არსებობდა და გამოცემულიც იყო...*

და აქვე გაგაცნობთ, მე რა მიაზრო რამდენიმე ათეული წლის შემდეგ (2007 წლის აგვისტო) იმავე ბატონმა ალექსანდრე ფუტკარაძემ, ამერიკაში მცხოვრებმა უხუცესმა ქართველმა ემიგრანტმა. ჩვენი საუბარი ქალაქ თბილისში შედგა (მხოლოდ იმ ფრაგმენტს შემოვთავაზებთ, რომელიც გიორგი და ჰელენ პაპაშვილებს ეჭება):

„ — აი, კარლო ინსარაძისთან ვიმეგობრე კარგად...“

— ბატონო ალექსანდრე, როგორ გაიცანით გიორგი პაპაშვილი?

— ფილმამდე ვიცნობდი მას... როცა ჩამოვედი (ამერიკაში „ჩამოსვლას“ გულისხმობს - რ.წ.) დავიწყე სამუშაოზე ზრუნვა. იყო იქ ერთი კახელი კაცი, რომელსაც ჰქონდა საბურავების საამქრო, საბურავებს არემონტებდა: რომ ფუჭდებოდა, შიგნიდან კერავდა, გარედან აწებებდა... ვიღაცამ მითხრა, მიდიო იქა და შეიძლება, რაიმე სამუშაო მოგინახონო. მივედი იქა და გავიცანი გიორგი პაპაშვილი... პაპაშვილი იყო გლეხი... ჰყავდა ცოლი ამერიკელი, რომელიც იყო ჟურნალისტი. ყველაფერს, რასაც ის ლაპარაკობდა, ეს თარგმნიდა, ელენა წერდა. მგონია, რომ ლონდონიდან იყო წარმომავლობით, რომ ლაპარაკობდა, სწავლარი ინგლისური იყო, ამერიკელები უფრო სხვანაირად, ჩქარა... ამ ქალმა გაუკეთა ყველაფერი. წიგნი გაიყიდა ინგლისურ ენაზე, რუსულ ენაზე, სხვა ენებზეც გაიყიდა.

— მოკლე სიუჟეტი თუ გახსოვთ...

— სასაცილოა. სასაცილო. ახლა მაგალითად, აქვთ ფურნე, სადაც აცნობენ პურს, ქართულ პურს.

— ანუ, ეს ქართულ სინამდვილეზეა გადაღებული?

— ხო, ქართველი ემიგრანტი როგორ შემოვიდა ამერიკაში და როგორ დაიწყო ცხოვრება. ხოზე ფარერი იყო მთავარ როლში, თუმცა ისე ძალიან პოპულარული არ ყოფილა. მე მომწონდა, მაგრამ მაგი ჰოლივუდური კი არ არის, არამედ შექსპირელი მსახიობი იყო. ტიპური ამერიკელი არ იყო... უყვარდა ისეთი გამოთქმები...

— რა შეიძლება გაგახსენდეთ: რეპეტიციებს თუ ესწრებოდი, ვადალებებს.

— გადაღებებზე დავდიოდი. სხვათა შორის, მიძღვედნენ დღეში 80 დოლარს, როცა (სხვაგან - რ.წ.) მე ვმუშაობდი მთელი კვირა 21 დოლარად. აი, ეს არის ჰოლივუდი. ეს არის STAR! სახელი თუ გაქვს და ჰოლივუდშიც ხარ, გათავდა. ეს ფულია იქ. იმიტომ, რომ მილიონები შედიოდა შიგნით.

— თქვენ რა როლს ასრულებდით?

— როლი? მითხრეს:

— ალექს, რატომ არ წამოხვალ ჩვენთან?!

გიორგიმ იცოდა, რომ მე მოცეკვავე ვიყავი, მიცეკვია წინათ ბალზე. მისი მეუღლე ბევრ სახელიან ხალხს იცნობდა. ესენი მოპატიებულები იყვნენ და მეც წამიყვანეს, რომ მეცეკვა ამათთვის...

ესლა სხვაც; ლადო ბაბიშვილი იყო ჩემთან ერთად ტყვეობაში, გერმანიაში ერთად ვიყავით. ბაბიშვილი ჩემისთანა კაცია. პაპაშვილი და სხვები ძველი ემიგრანტები იყვნენ. მაგენი 28-ში თუ აღრეც ჩამოსულები (ჩემი მხრივ დავამატებ, რომ ბატონი ალექსანდრე II მსოფლიო ომში ტყვედ ჩავარდნის შემდეგ მოხვდა ემიგრაციაში). ლადოსთან ვიმეგობრე ჰა და ჰა. უფალო შეგვიწყალე, რაღაც თავისებური... მაგალითად, აი, ამერიკაში ვართ უკვე. მე ფუტკარი კი არ ვიყავი, რომ ჩამოვედი, ყველას ვუთხარი, რომ ფუტკარაძე ვარ. ამან დამალა თავისი გვარი. ის არ იყო ბაბიშვილი. მას ჰქონდა მეგრული გვარი. ის ფოთელი იყო, აღარ მახსოვს მისი გვარი, არ მახსოვს! (მგონია, ბატონი ალექსანდრე საგანგებოდ არ „იხსენებს,“ არც მე ვაძალე). სად გავიგე ზო იცი, ეს?

— საქართველოში?

— აბა, საქართველოში გავიგე.

— განათლებით ვინ იყო ბაბიშვილი; მითითებულია, რომ იყო ფილმის ტექნიკური რეჟისორი.

— განათლება ჰქონდა საშუალო სკოლა, მეტი არაფერი. ჩემზე უმცროსი იყო. მე 21-იანი ვარ, ის იყო აღბათ, 25?

— როგორ ფიქრობთ, ასეთი სერიოზული საქმე ჰოლივუდმა რატომ ანდო?

— ქართულ ენაზე იყო მაგი დაწერილი, რუსულ ენაზე იყო დაწერილი და ინგლისურად. ესლა, ლადო ბაბიშვილი ქართულადაც ლაპარაკობდა, რუსულადაც ლაპარაკობდა და ინგლისურადაც. ძალიან სხარტი იყო, უცებ შეითვისებდა. კარგი ბიჭი იყო. თანაც, უყვარდა გამოთლა, გამოთლა ქვის. მე ისიც მაჩუქა, მაქვს შოთა რუსთაველის თავი. მოქანდაკე იყო. (აქვე მოგახსენებთ, რომ რამდენიმე კვირის შემდეგ, უკვე შტატებში დაბრუნებულმა ალექსანდრე ფუტკარაძემ სხვადასხვა რაკურსით გადაღებული ლადო ბაბიშვილის ნამუშევრის — „რუსთაველი“ ფოტოები გამომიგზავნა). არ შეიძლება განათლება ჰქონოდა იმიტომ, რომ ჩემზე უმცროსი იყო. მე რომ წამოვედი ჯარში, იმას არ შეეძლო შესულიყო, მცირეწლოვანი იყო და რა განათლება უნდა ჰქონებოდა. სპეციალისტობა არა მგონია... და ეს მოხდა იმიტომ, რომ მაგი ენებზე ლაპარაკობდა; სამი ენა იცოდა. ოჰ, დამავიწყდა, გერმანულიც — ოთხი ენა.

— ბატონო ალექსანდრე, ფილმის ირგვლივ რომ ვისაუბროთ: რა შეიძლება თქვით ჯორჯ სიტონზე — რეჟისორზე; როგორი იყო მუშაობისას: მკაცრი, სცენარზე დამოკიდებული...

— სიტონი იყო ძალიან წყნარი. თითქოს გაძლევდა ნებას: თუ ხარ მსახიობი, აჩვენე! შენ ახალი ჩამოსული ხარ ევროპიდან, შენ არ იცი ენა... მე ფილმში ვიყავი ემიგრანტი. ფილმი იწყება მუსიკით, ასე იწყება, ეს ფილმის კადრებია.

ვათვალისწინებ ბატონი ალექსანდრეს მიერ საგანგებოდ ჩამოტანილ უნიკალურ

ფოტოებს. თავად გზად აგზა მიხსნის, ვინ ვინაა: ეს პაპაშვილია, ეს სიტონი, სოზე  
ი ფარერ. ეს ხალხია — მასოვკა. ეს კადრია ფილმიდან, შემოვდივართ გემით ამერი-  
კაში.

— თქვენი ცეკვა თუ იქნა გადაღებული?

— მე ცეკვა ვასწავლე. აი, რომ გაიმბობდით, დაპატივებული რომ ვიყავი, იქ  
ვიცეკვე, მოეწონათ. მერე ვაჩვენე მე ცეკვის რითმები, ილეთები, ფენი როგორ გაეს-  
ვა.

— უკაცრავად, დავაზუსტებ, ამას თქვენ ფარერს ასწავლიდით — ვიორგის რო-  
ლის შემსრულებელს?

— დიახ, სოზეი აკეთებდა.

— და მას ქართული, ეროვნული ტანსაცმელი ეცვა?

— ეროვნული ტანსაცმელი იქსრულობით არ იყო. ასე იყო, როგორც ჩვენ გვაცვია.  
რო შამოდის გემი, ორი ათასი, ორიათას ხუთასი ადამიანია გემზე. საქართველოდან  
ვინ ჩამოვიდოდა ასე, ამდენი. იქ იყო რუსებიც, ქართველებიც, სომხებიც, თათრე-  
ბიც. უფრო ემიგრანტია წიგნში და ფილმშიც, ვიდრე ქართველი, საიდან — ეს არაა.  
გემი შემოვიდა ევროპიდან.

— როგორ მიგაჩნიათ, რატომ ჰქვია წიგნსაც და ფილმსაც „ყველაფერი შეიძლე-  
ბა მოხდეს.“ რაა ეს „ყველაფერი“?

— ფილმში, მაგალითად, სადაცა აცნობენ პურს, ვიდაცა ზელავს, ცომს აკეთ-  
ებს. უნდა წამეიღონ და საცა ცეცხლია, იქ უნდა გამოაცხონ. კაცმა ჩაყარა პარკ-  
ში ცომი და მოაქვს. მანქანა არა ჰყავდათ და ავტობუსში ზის და მოაქვს. ხელში  
უჭირავს ეს ცომი. გადაღებულია ისე, რომ სიტბოა მაგარი ავტობუსში. ეს ცომი  
გაფუვდა, იწვევს, იწვევს და გადმოდის... კაცი აქედან შეაკვებებს, იქიდან. ხალხი  
უყურებს, ისინი იცინიან, ეს კი კვდება, რა ჯანაბა დამემართა, რა ვჭნაო... ყვე-  
ლაფერი შესაძლებელია, ემიგრანტი, რომელიც შემოვა ამერიკაში და ყველა ნაბიჯს  
გაივლის, რომ ცხოვრება გაივოს.

— ემიგრანტი ბრუნდება სამშობლოში თუ რჩება ამერიკაში?

— არა, აქა რჩება. შეერთო ცოლი... ნიუ-იორკში იცხოვრეს და მერე მილიან  
კალიფორნიაში. კალიფორნიაში გზის ხიფათები, 2 თუ 3 მანქანაა რიგში დაწყობი-  
ლი, ავეჯი მოაქვს იქიდან.

— თქვენ? თქვენი გმირი რას აკეთებს?

— მე? მე მარტოკა ვაჩვენე, ვასწავლე, როგორ გაიარონ; როგორ ექცევა მამაკ-  
აცი ქართული ცეკვის დროს ქალს. რო ვაკეთებდი, ვასწავლიდი — ისწავლა, შეის-  
წავლა. ბევრი არაფერია, არა? ფენით სიარული (მიჩვენებს).

— და ეს თქვენი „ცოდნა“ სხვა ფორმით არ გამოუყენებიათ?

— ცეკვა მეტრარეში არ ჩაერთა და მოჭრა რეჟისორმა. სურათი გადაიღეს, მარა, მერე  
ჩამოჭრეს.

— ფანდური? ფანდურზე იწერებოდა...

— ის ფანდური დღესაც სახლში მაქვს. იქ არის.

— ასეა ცნობილი, რომ ფილმს მაინც დამაინც დიდი წარმატება არ მოჰყოლია.



— არაფერი. წიგნი მოსწონდა ხალხს ძალიან, ძალიან მოსწონდათ. კინოში ნახეს, დაუსვენს ნოლი.

პაპაშვილების ოჯახი პენსილვანიაში ცხოვრობდა. ეზო ჰქონდათ მავათ უკან, ბაღი, რაღაცეები. ქვები, დიდი ქვები. გამონატულებით ზედა: დათვი, სელაპი... სპეციალურ ქვას ნახულობდა, ყიდულობდა და მოჰქონდა. მაგან მერე გააკეთა (პაპაშვილმა) დიდი გამოფენა; მოწყობილი იყო. ხალხმა შეისყიდა... ძვირად. წიგნებიც ხომ იყიდებოდა, ფულს ღებულობდნენ, პროცენტებს ღებულობდნენ.

- ეს გამოფენა წიგნის გამოსვლის შემდეგ მოაწყო?
- დიახ, წიგნის მერე. სახელმა უშველა ძალიან.
- შთამომავლები? ვის იცნობთ მათ ახლობლებს?
- არავინ, არავინ დარჩათ. შვილი არ ჰყავდათ. შვილი არ ჰყოლიათ.“
- ...როგორც ვთქვი, ეს ჩანართის სახით.

დაპირებული „შემდეგი გადაცემა.“

გადაცემა — 29. (14. 2. 1970)

თემა: „ლადო ბაბიშვილი“

„დიქტორი: წინა საუბარში, პატივცემულო მსმენელებო, მე გესაუბრეთ, გიორგი და ჰელენ პაპაშვილის მოთხრობის — „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ — „Anything Can Happen“-ის შესახებ და აღვნიშნეთ, რომ ამ მოთხრობის მიხედვით კინოფილმიც იქნა გადაღებული ჰოლივუდში — შეერთებული შტატებისა და შეიძლება ითქვას, მსოფლიო კინოპროდუქციის ამ ცენტრში.“

როგორც ითქვა, ფილმის შექმნაში რამდენიმე ქართველი იღებდა მონაწილეობას. ერთ-ერთ მათგანთან, ლადო ბაბიშვილთან შესვედრის შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა და... ანკი ქართველი ჟურნალისტი ასეთ შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდა... თუმცა აქვე ვიტყვი, რომ ფილმის ტიტრებში ლადო ბაბიშვილის გვარ-სახელი მითითებული არაა! საგანგებოდ ამ თემაზე დაწერილსაც მე ვერაფერს მივაკვლიე; ვგარაუდობ, რომ ეს ეგებ, სახელშეკრულებო დროებითი თანამშრომლობის ფორმა იყო და არა გადამღები ჯგუფის წევრობა (სამომავლოდ, ეგებ, სხვა სურათი გამოიკვეთოს).

ბატონი კარლო ინსარაძე თანამემამულეს — ლადო ბაბიშვილს სახლში, ლოს-ანჯელესში, ჰოლივუდის უბანში, პალმერსტონის მოედანზე ეწვია და საუბარიც შედგა.

ბუნებრივია, გადაცემას შესავალი სჭირდება; სანამ უშუალოდ კონკრეტულ ფილმზე დაიწყებს რესპოდენტთან საუბარს, მანამდე, ორიოდ სიტყვა ჰოლივუდზე, კინოპროდუქციებზე და კიდევ იმ შთაბეჭდილებებზე, რაც სტუდიების, დეკორაციების, კოსტუმების, აპარატურის დათვალიერებას მოჰყვა.

„— აქ კინოხელოვანისათვის შექმნილია არა მარტო ბუნებრივი, არამედ მატერიალური პირობებიც, რომ შექმნას კინოფილმი, რომელიც, როგორც ზოგიერთები ამბობენ: „უნივერსალური დრამატურგიით,“ თუ ასეთი საერთოდ არსებობს, იქნება და „უნივერსალური მაყურებლებისათვის“ — ამერიკელების, იაპონელების,



ინდოელების თუ ევროპელებისათვისაა განკუთვნილი და მართლაც, პოლივუდის კინოფილმები ყველგან კინოთეატრებს მასურებლებით ავსებს.“

გადაცემაში სრულიადაც არაა ერთმნიშვნელოვანი განწყობა. მეტიც, „კინოფილმების ქალაქში“ შესულს ბრენტი და მისი სტრიქონები გახსენებია:

პურისათვის რომ ფული ვიშოვო, ყოველ დღით მივდივარ ბაზარზე, სადაც სიყალბით ვაჭრობენ. იმ იმედით, რომ წარმატება მექნება, ვდგები მეც გამყიდველთა რიგში.

„ — რა თქმა უნდა, ძნელია ისეთი კინოფილმის პროდუქციის ცენტრი ნახო, სადაც სხვათა შორის, სიყალბითაც, ე.ი. „ფილმური ზღაპრებითაც“ არ ხდებოდეს „ვაჭრობა“; მაგრამ ეს ბერტოლდ ბრენტის კუბლეტი რომ პოლივუდის მთელ სიმართლეს ვერ აღბეჭდავს, ამის დამამტკიცებელ ფაქტად ისიც კმარა, რომ პოლივუდმა შობა ჩარლი ჩაპლინი და უოლტ დისნეი, კინოფილმის მხოლოდ ეს ორი კორიფეი რომ ავლნიშნოთ.“ — უზიარებს თავის მოსაზრებას მსმენელებს.

ახლა მთავარი, რაც შეეხება ლადო ბაბიშვილს. ის ქართველთათვის ამერიკაში მოღვაწე თითქმის უცნობი ემიგრანტია. როგორც ჩანს, წამყვანმა საქიროდ ჩათვალია მისი ცნობრების მთავარი თარიღები გაეცნო მსმენელისათვის; (*შესაძლებლობა მქონდა, ქ. სიეტლში დაწერილ მის ბიოგრაფიას გავცნობოდი; აქ ბევრი რამ ემოხვევა ერთმანეთს*).

გადაცემის მიხედვით:

ლადო ბაბიშვილი დაბადებულია საქართველოში, ფოთში 1923 წელს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ის ჯარში გაიწვიეს. ომის შემდეგ ევროპაში მოხვდა. აქ მას გერმანიაში, კერძოდ, მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში უსწავლია. 1950 წლიდან ამერიკის შეერთებულ შტატებშია და საქმიანობას პოლივუდში აგრძელებს.

აქვე, მისი ბიოგრაფიიდან მოღვაწეობის ორ მნიშვნელოვანსფეროს გამოვყოფ, რადგანაც კარლო ინსარაძის გადაცემაში ამაზე არ თქმულა: ესაა თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში მოღვაწეობა რადიოსადგურ „ამერიკის ხმაში“ და მისი მთარგმნელობითი საქმიანობა.

**ხუტა ფოთელი** — ამ ფსევდონიმით სარგებლობდა რადიოსადგურ „ამერიკის ხმაში“, ამგვარად იცნობდა მას მსმენელი (ხუტა შინაურობაში ქართული სახელი და ფოთელი წარმოშობის ადგილი).

გადაცემის ავტორი დეტალურად ჰყვება ფილმის შესახებ. მსმენელს გააცნობს, რომ რეჟისორი და ფილმის პროდიუსერიც — ჯორჯ სიტონი გახლდათ; მთავარ როლზე მოწვეული იყო სახასიათო როლების ცნობილი შემსრულებელი პოლივუდური კინო-ვარსკვლავი ზოზე ფარერი. ლადო ბაბიშვილი გაიხსენებს:

„კინოფილმი მუსიკალურად გაფორმებული იყო... ქართული სიმღერებით ან ქართული სიმღერების მოტივების მიხედვით შექმნილი მუსიკით.“

„ — წარმოიდგინეთ, — თავის მხრივ დააინტერესებს რადიო „თავისუფლების“

მსმენელებს ლადო ბაბიშვილი, ერთ სცენაში არა მარტო ქართული ცეკვები, არამედ ერთი ფანდურიც კი მოსჩანს, რომელიც სპეციალურად მიუღია ამ ფილმში მონაწილე ერთ ქართველს — ალექსანდრე ფუტკარაძეს და ეს, ასე ვთქვათ, „ისტორიული ფანდური“ დღეს მას დიდი სიფაქიზით აქვს შენახული თავის სახლში ლოს-ანჯელესში.“

**აქ დავსძენ, რომ თავად ალექსანდრე ფუტკარაძემ ჩამომიტანა ფილმის გადაღებების უნიკალური ფოტოები და მათ შორის ამ ე.წ. როგორც კინოჯგუფი ეძახდა — „პოლიგულის ფანდურების“ ფოტოებიც.**

როგორი მნიშვნელოვანი გამხდარა ემიგრანტებისთვის ქართული მელოდიები-სა და სიმღერების გაცნობა ათასობით უცხოელი მკაყურებლისთვის; ქართული ფანდურების ხშირ-ხშირად ხსენება ამ აღამიანებისათვის სხვა ემოციის მატარებელია.

წამყვანი საჭიროდ თვლის, წინა გადაცემაში უკვე თქმული გაიმეოროს. მოკლედ უამბოს მსმენელს ფაბულა; იმ მსმენელს, რომელიც ახლა, დღეს უსმენს მის გადაცემას. მაშ, ასე:

„გიორგი და ჰელენ ჰაპაშვილის მოთხრობის „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ შინაარსია ერთი ქართველი იმიგრანტის ჩასვლა შეერთებულ შტატებში და მისი თავგადასავალი ამერიკაში ცხოვრების გზის გაკაფვის დროს, რაც მეტად მოხდენილად და როგორც გესაუბრეთ წინათ, ხშირად ამერიკული ე.წ. short story ოსტატის — ო'ჰენრის მაგვარი იუმორითაა დაწერილი. ეს კინოფილმი დაიდგა 1951 წელს, ხოლო შეერთებული შტატების კინოთეატრებში აჩვენეს 1952 წლის განმავლობაში.“

როგორც გავარკვიეთ, ფილმის ტექნიკური რეჟისორი ლადო ბაბიშვილი გახლდათ. მას გადაღებების დროს არაერთი ტექნიკური საკითხის მოგვარება და პრობლემის გადაჭრა პერიოდულად ალბათ, უწევდა. ამასთან, იცოდა ოთხი ენა და ქართველებსა და სხვადასხვა წარმომავლობის უცხოელს შორის არაერთ საკითხს თავადვე აგვარებდა. ამისადა მიუხედავად, ობიექტურობა არასოდეს დაუკარგავს. მეტიც, როცა ფილმს აფასებს, გადაცემის მსმენელისთვის ასეთ ფრაზას სწამაღლა მაინც იტყვის:

„სამწუხაროთ, ამ ფილმს წარმატება არ ჰქონდა და მალე გაქრა ეკრანებიდან.“

ობიექტურობა და გულდაწყვეტაც ერთდროულადაა: „სამწუხაროთ“...

როგორც ჩანს, თავად მოლოდინი იყო ძალიან დიდი...

ქართველების მოღვაწეობას ამერიკის შეერთებულ შტატებში ბოლო, დასკვნითი — 31-ე გადაცემა (28. 2. 1970) მიეძღვნა. მოზრდილ ამონარიდს მოვიტან:

„მე უკვე 30-წერ გესაუბრეთ, პატივცემულო თანამემამულენო, სერიიდან — „ქართველები ამერიკის შეერთებულ შტატებში“, მაგრამ საუბართა ეს სერიაც წვეთია ზღვაში, თუ ჩვენ შევეცდებით, საფუძვლიანად ავსახოთ ქართველთა ცხოვრება შეერთებულ შტატებში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ, არა-თუ ქართულთა ცხოვრება-მოღვაწეობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ საერთოდ, ქართველთა ცხოვრება-მოღვაწეობა უცხოეთში — ევროპაში, ამერიკაში თუ სხვა კონტინენტებზე და ქვეყნებში — შეუსწავლელია,“ — ეტყვის კარლო ინასარიძე თავის მრავალრიცხოვან მსმენელს.

რასაკვირველია, როცა ეს სიტყვები ითქვა, ანუ 70-იანი წლების შემდეგ, ბევრი რამ შეიცვალა; ვგულისხმობ ინფორმაციის სიუხვეს, კვლევათა ინტენსივობასაც

და დღეისათვის სამეცნიერო კვლევა-ძიების სივრცეში არაერთი პიროვნების, მთ-  
ლენისა თუ თარიღის სერიოზულ შესწავლასა და ანალიზს. თუმცა, ასევე მალანა  
ბევრია უცნობი ფაქტიც.

შუესწავლელი ლადო ბაბიშვილის საქმიანობაც. საქართველოში, ეროვნული  
არქივის ფონდებში დაცულია ერთი წერილი, რომელიც 1980 წლის 17 თებერვალი-  
საა გაგზავნილი სან-ფრანცისკოში და მისი ადრესატი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის  
თანამებრძოლი, ალექსანდრე სულხანიშვილი გახლავთ. წერილის მარჯვენა კუთხეში  
ინგლისურადაა მიწერილი: VLADIMIR A. BABISHVILI. საბჭუდ მანქანაზე აკრეფილი  
ტექსტი საინტერესო არაერთი თვალსაზრისითაა; პირველ რიგში იმიტომ, რომ ამ  
წერილის არსებობა ალბათ, ძალიან ცოტა ადამიანმა იცოდა. ალექსანდრე სულ-  
ანიშვილს თავის არქივში საგულდაგულოდ შეუნახავს მეგობრის მიერ გამოგზავნი-  
ლი ბარათი.

„ჩემო შუშუ (ალექსანდრე სულხანიშვილის მეტსახელია - რნ.), შენ შენი  
მემუარები უნდა დაწერო არა იმ მიზნით, რომ გამოასწორო ვინმე ცრუ მოწმის  
ნათქვამი, არამედ იმიტომ, რომ ის დარჩეს საშუაამოდ, რათა საქართველოს  
მომავალმა თაობამ გაიცნოს ჩვენი წარსული ისტორია და საქართველოსათვის  
თავდადებული გმირების ცხოვრება,“ — ამას ურჩევს ბაბიშვილი წერილის დასას-  
რულს გაღიზიანებულ და გაბრაზებულ მეგობარს; სჯერა მისი და ეიმედება, რომ  
დანარჩენებიც ირწმუნებენ.

როგორც ირკვევა, ლადოს ალექსანდრესაგან წერილი და თან-დართული  
სტატიების ამონაბეჭდები მიუღია. თავადაც წაუკითხავს და სხვებისთვისაც გააღი-  
ცია გასაცნობად. დამწერს ეთანხმება, რომ ადამიანები იმ საკითხს არ უნდა შე-  
ეხონ, რომელიც დანამდვილებით არ იციან. არ ურჩევს პერსონალურად ვინმეს  
ხსენებას და ლანძღვას; მიიჩნევს, რომ ამით უსიამოვნების მეტს დანამდვილებით  
ვერაფერს მიადევს; მით უფრო, როგორც თავად წერს. „საქართველოსათვის  
სასარგებლო საქმეს.“ ზოგადად, არც ქართველებს შორის უნდა წყენისა და არასა-  
სურველი დაძაბულობის არსებობა, მაგრამ როგორც თანამემამულემ, კარგად იცის  
მათი ერთი „დამახასიათებელი ნაკლიც“ — „ყოველისმცოდნეობა:“

„ხომ იცი ქართველების ამბავი, სამწუხაროდ, ყველამ ყველაზე უკეთესად იცის  
ყველაფერი; მიუხედავად იმისა, თუ რა საკითხს ეხება საქმე.“

ლადო ბაბიშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ მისთვის ანგარიშგასაწევი სხვა ადამი-  
ანისაგანაც ზუსტად იგივე მოუხმენია, რაც ალექსანდრესგან იცის; სახელსაც ახსენებს:

„ — ბევრი რამ შენი ნათქვამი ისეთივეა, რაც მე ელიზბარისაგან გამოგონია.“  
ვფიქრობ, „ელიზბარი“ ელიზბარ ვაჩნაძე, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის ერთ-ერთი  
თი შეფიცული უნდა იყოს.

ისტორიამ უჩვეულო ფოტოსურათი შემოინახა: თანამებრძოლების ერთად  
გადაღებული სურათი. მასზე აღბეჭდილან: ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, გენერალი  
სპირიდონ მიხეილის ძე ჭავჭავაძე, ლელო ჩიქოვანი, ელიზბარ ვაჩნაძე, რაფო ებო-  
სთავი, ალექსანდრე სულხანიშვილი.

...და იმიტომ ავალდებულებს ლადო ბაბიშვილი ალბათ, საკუთარი, როგორც



მეგობრის სახელით და ქვეყნის „ისტორიის“ სახელითაც, რომ ის სინამდვილეში რომელიც სულხანიშვილი იცის, არაერთ ქართველს გააგებინოს. ვფიქრობ, ამას გულისხმობს წერილის ავტორი:

„დაწერე რაც შენ იცი და მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემსავით ბევრი სხვაც იმას უფრო დაიჯერებს შეფიცულებისა და აჯანყების შესახებ, რასაც შენ იტყვი, რადგანაც შენ იქ იყავი და (ეს „და“ მელნითაა ჩამატებული - რ.ნ.) ქაქუცასთან ერთად მოქმედებდი.“

ამ მიმოწერიდან ხუთი წლის შემდეგ, კერძოდ, 1985 წელს სან-ფრანცისკოში გამოვა ალექსანდრე სულხანიშვილის წიგნი, სათაურით: „რა ხდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებ შორის 1923 და 1924 წლებში და ილიას მკვლელობის სინამდვილე“, რომელშიც საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი დღეები და ეპიზოდებია შემონახული. სულხანიშვილს სურვილი ისედაც ჰქონდა შთამომავლობისათვის ნამდვილი ისტორია, როგორც თვითმხილველსა და უშუალო მოწმეს შემოენახა და თანამებრძოლებზეც ესაუბრა, მაგრამ მგონია, ლადო ბაბიშვილის წერილსა და შეძახილს თავისი „პატარა“ წვლილი მაინც ექნებოდა.

ცნობილი ქართველი ემიგრანტი, პოლიტიკური მოღვაწე შალვა ამირეჯიბი წერილში „ქაქუცა-ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი“ (კავკასიონი“ XXI პარიზი, 1986) ასეთ შემთხვევას გაიხსენებს:

„დადგა... 1924 წელიც. ჩოლოყაშვილი მანგლისის მიდამოებში დაბანაკდა და ტფილისიდან გამუდმებული კავშირი ჰქონდა. 24 აგვისტოს, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ და გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე ტფილისიდან ჩოლოყაშვილის ბანაკში გავიდნენ. 28 აგვისტოს, ბედენის მთაზედ, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“-ს თავმჯდომარემ გ. ანდრონიკაშვილმა ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილს აჯანყების დროშა გადასცა და იმავე ღამით დაიწყო აგვისტოს გმირული და სახელოვანი აჯანყება, რომელმაც ახალი ფურცელი შეიტანა ქართველი ერის ისტორიაში. ეს აჯანყება დამარცხდა. ჩოლოყაშვილმა და მისმა რაზმელებმა საქართველო დატოვეს.“

**საუკუნის დასასრულს – სიმბოლური მოვლენა.**

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი ბატონ ალექსანდრე სულხანიშვილის მიერ ჩამოტანილი ქაქუცა ჩოლოყაშვილის დროშის ფონზე იქნა მიღებული.

„...ჩემი ძელები ქართულ მიწაში უნდა ჩავყარო,“ – უთქვამს 19 ოქტომბერს თბილისის აეროპორტში ჩამოსულს. 94 წლის დაბრუნდა საქართველოში ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის წევრი, რომელიც 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ იძულებული გახდა, ემიგრაციაში წასულიყო. მაშინ ალექსანდრე სულხანიშვილი 28 წლისა გახლდათ. ათასგვარი ხიფათით და თავგადასავლებით გაიარა ცხოვრების გზა, არც უკან დაბრუნება ყოფილა მშვიდი. ლენინგრადის აეროპორტში მისი ჩემოდანი რამდენიმე ადგილას ყოფილა გაჭრილი. „ბაირალი ნახე, ბაირალი ხომ არ წაიდესო!“ – შფოთავდა თურმე შეწუხებული (პ. ნაცვლიშვილი „საქართველოს მიწა“, თბ. 1994). ეს იყო დამოუკიდებელი საქართველოს დროშა, რომელსაც მთე-



ლი 66 წლის განმავლობაში უფრთხილდებოდა. დროშის სამშობლოში დაბრუნებას წმინდა სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. დაახლოებით იმგვარი, გივი გაბლიანი, რომ გულისხმობდა ქუინსიდან 1983 წლის 31 აგვისტოს ალექსანდრე სულხანიშვილისადმი გაგზავნილ წერილში:

„ჩემი თაობაც მოხუცდა. ღმერთმა თქვენ ას წელიწადზედ მეტი გაცოცხლოს, მაგრამ ქაქუცას იარაღს საქართველოში ჩვენ ვეღარ ჩავიტანთ. ამ ნივთებს მატერიალური ღირებულება არ აქვთ, სიმბოლურია მათი მნიშვნელობა, სამშობლოს თავისუფლებისათვის მიძღვნილ ქართველებისათვის.“

დაბრუნების მოლოდინი...

უკან დარჩა პოლემიკით, შფოთვით, ემიგრანტულ პრესაში გაჩაღებული აურზაურითა და დაძაბულობით სავსე არა მარტო დღეები, წლებიც... მოგონებები, რომლებიც წიგნად აიკინდა... ეს ყველაფერი უკან დარჩა...

საქართველოში დაბრუნებულ ალექსანდრე სულხანიშვილს უამრავი აღამიანი დახვდა... **აეროპორტში შინდისფერი დროშები ფრიალებდა, ისინი ხელში ახალგაზრდებს ეჭირათ, დაახლოებით იმ ასაკის ჭაბუკებს, რა ასაკშიც მან სამშობლო დატოვა. ეს ფარული თანაგრძობა იყო. ერი თავის შორეულ და ახლობელ თანამემამულეს ხვდებოდა.** შინაგანი მზაობა სახეზე იყო. თუმცა საუკუნეს მიტანებული კაცისათვის ამდენი ემოცია არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც არ იქნებოდა იოლი. თავისი გაიტანა იმ მძიმე ავადობამაც, რომელმაც სამწუხარო შედეგი მოიტანა. 11 ნოემბერს მშობლიურ მიწას მიაბარეს მრავალჭირგადანახადი მამულიშვილის ცხედარი.

ერთი ფაქტიც მინდა აღვნიშნო: ის იარაღი, რომელზეც გივი გაბლიანი წუხდა, ამჟამად სამშობლოშია, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცვებული. სიმბოლურია თუ ისტორიული ეს ნივთები, ამას მომავალი იტყვის... რაც შეეხება დროშას, სამწუხაროდ, მისი კვალი აღარ სჩანს. 1992 წლის იანვრის მოვლენების შემდეგ ქაქუცა ჩოლოყაშვილის მემკვიდრეთა დროშა, დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების დროს აღმართული ბაირაღი — გაუჩინარდა...

**საუკუნის დასაწყისის ქართველობის საბრძოლო იარაღი მამულს დაბრუნება, ალამი — აღარ აქვს!** ეგებ, დროებით?!

**ისტორიული დრამა ასე ვერ დამთავრდება...**

დასასრულ, ერთი რამ მაინც ხაზგასმით უნდა აღვნიშნო: წერილი ძალიან ჰგავს ავტორს. ისეთ რთულ თემაზე ელაპარაკება, როგორც პირადი, ან ჩოლოყაშვილისა და მისი თანამებრძოლების ამბავია და მაინც შეუძლია ასეთი, „მისეული“ რჩევა მიაწოდოს ლადო ბაბიშვილმა ალექსანდრე სულხანიშვილს:

„შენ იმ ხალხს უფრო ჰიუმორით უნდა მიუღდგე და გააგებინო, რომ ისინი სი მართლეს ამახინჯებენ.“

ეს „ჰიუმორია“ თვითონაც ძალიან რომ ეხმარება: სამშობლოდან შორს ყოფნაში — ემიგრაციაში, ქართველების კინკლაობაში, ნამდვილი ფაქტების გააზრებასა და სხვებისთვის გაზიარებაში, უცხო ქვეყნებში საქმიანობასა და პაპაშვილის „ჰიუმორით“ დაწერილი თავგადასავლის „ჰიუმორითვე“ წაკითხვაში, მის გადაღებაშიც...



„მომიკითხე პატივისცემით შენი მეუღლე და ყველა ქართველები,“ — ეს ამ წერილის ბოლო სიტყვებია.

ინგლისის ერთი ქალაქიდან, მანჩესტერიდან ამერიკაში, კალიფორნიის შტატში ერთი ქართველი მეორე ქართველს წერილს გაუგზავნის... ის წერილი კი საქართველოში აღმოჩნდება და „დარჩება“...

საქართველოში, ლადოს დის — ეთერის ოჯახში არცთუ იშვიათად წაიკითხავენ მის ლექსებს... ვერ ვიტყვი, რომ ლიტერატურისთვის გამორჩეულს, მაგრამ ახლობლებისთვის კი განსაკუთრებულს:

თუკი საერთოდ ვინმე მახსენებს  
 ამ სამყაროდან ჩემს წასვლის შემდეგ  
 იმედი მაქვს, რომ ის იტყვის სიტყვებს  
 რაც შეედრება სიმართლის შედეგს.

„ჩემს წასვლის შემდეგ“ — ასე ჰქვია ლექსს, რომელიც სევდიანია და ვიტყოდი, გაურკვეველი მოლოდინით სასვეც. დამძრახავსაც ელოდება და მაგინებელსაც, თუმცა იმავდროულად, კარგად მახსენებელსა და მაჭებარსაც. „ღმერთის წინაშე ყველამ შევეცოდეთ,“ — ეს ყველა ნორმალურმა ადამიანმა შეიძლება დაუშვას, მაგრამ როცა ამას ემიგრანტი ამბობს, სხვა დატვირთვა ეძლევა. ხუთსტროფიან ლექსში ამდენივე ჯერაა გამოყენებული სიტყვა „სიმართლე“. იმის მიუხედავად, რომ „უმწიკვლო ჩვენში არავინ არის,“ სამართლიან განსჯას ითხოვს და კიდევ ერთს: რომ მკითხველმა „მომიტყვოს სამართლიანად.“ ლექსი დაიწერა ვაშინგტონში 1983 წლის 10 აგვისტოს.

**ლადო ბაბიშვილი** — მთელი ემიგრაცია ამ გვარ-სახელით იცნობდა;

აბაშის რაიონის სოფელ კოდორში 1923 წლის 21 სექტემბერს დაიბადა **ვლადიმერ** (შინაურობაში **ხუტა**) ალექსანდრეს ძე **ღვანია**. მამა — ალექსანდრე ფარნას ძე ღვანია, დედა ბაბილინა (ბაბი) ნესტორის ასული ჩაჩაეა. ემიგრაციაში მოხვედრისთვის სწორედ დედის სახელი („ბაბილინა“) გახდა მისი „ახალი“ გვარის ფუძეც (**ბაბიშვილი**) და ახალი ცხოვრების დასაწყისიც; **დედის მეშვეობით კიდევ ერთხელ დაიბადა...** დედა მართლაც გამორჩეულად უყვარდა, მამა ზედმეტად მკაცრი იყო. შვილებს სიმკაცრით ზრდიდა; ბავშვებს გამოსარჩლებელი დედა ხშირად ისჯებოდა. პირველად 15 წლისა იყო, დედა რომ დაიცვა და მამას სიტყვა შეუბრუნა. მისმა მოულოდნელმა ქცევამ ყველა შეაცბუნა.

ოჯახი ფოთში ცხოვრობდა. სწორედ მისი დის, ქ-ნი ეთერის ქალიშვილის — ქალბატონი ლალი კობრეიძის მოგონებები და მის მიერ მოწოდებული მასალები დამეხმარა ვლადიმერის (ლადოს) პორტრეტის აღდგენაში. მას გამორჩეული ურთიერთობა ჰქონდა ბიძასთან, ბევრ ფაქტს იხსენებს, სამჯერ იყო შეერთებულ შტატებში მასთან ჩასული და არაერთხელ უსაუბრიათ გულახდილად...

ხუტა პატარაობიდანვე კარგად ხატავდა, ჰქონდა კარგი მენსიერება. სკოლაში — ფოთის რკინიგზის №16 საშუალო სკოლაში რომ მიიყვანეს, მან უკვე იცოდა ასოებიცა და რიცხვების ცნობაც. აქტიური ბავშვი იყო. ფრაგმენტი დის, ეთერის მოგონებიდან:



„ხატავდა, აფორმებდა ლოზუნგებს, უყვარდა მხატვრული კითხვა, მონაწილეობას ღებულობდა სასცენო გამოსვლებში. მაღალ კლასებში უკვე თავად წერდა საბავშვო პიესებს და მონაწილეობას იღებდა დადგმულ პიესაში.“

ფოთის ბავშვთა თეატრშიც მსახიობობდა... არადა, ეს გატაცება მერე იქ უცხოეთში მისი ძირითადი საქმიანობის ნაწილი გახდება... სკოლაში გეოგრაფიის გაკვეთილები ჰყვარებია ძალიან, იცოდა ღრმად და იმდენად კარგად, რომ მასწავლებელს მაღალ კლასებში გაკვეთილის ასახსენებლადც კი შეჰყავდა თურმე. კიდევ, ბევრს კითხულობდა; ისეც მომხდარა, რომ ეს ცელქი ბიჭუნა სადილობისას თან ჰქამდა, თანაც კითხულობდა, ამის გამო შენიშვნებიც მიუღია. აბა, ორივე ხომ უნდა „მოესწრო“?...

„ლამით, როცა ყველას გვეძინა, იგი 3-4 საათამდე კითხულობდა სხვადასხვა ლიტერატურას,“ — ამასაც და გაიხსენებს.

„ჩვეულებრივი ფოთელი ბიჭი ვიყავი, — იტყვის თავად ერთ ინტერვიუში. მამა დებოში მუშაობდა. დედა ჩვენ გვივლიდა: მე და ჩემს და-ძმას.“

დადგა 1941 წელი. მისში სკოლა დაამთავრა. გადაწყვეტილება თავისით მოვიდა... სხვათაგან დამოუკიდებლად. სექტემბერში მოხალისედ წავიდა. ისე წაიყვანეს, მამას არ გამოემშვიდობებია... მშობელმა მატარებელსაც კი ვერ მიუსწრო... ამის შემდეგ თექვსმეტი გაურკვეველი და გრძელი წელიწადი გავიდა. არავინ არაფერი იცოდა.

როგორ „იგებდნენ“ ოჯახები, ნათესავები მათი წევრების „სიცოცხლის“, უფრო ზუსტად, გადარჩენის შესახებ? მე ეს რამდენიმე უზუცესი ემიგრანტისგან პირადად მომისმენია.

**პირველი მაგალითი — ბატონი ალექსანდრე ფუტკარაძე** მიამბობს:

„დაწერა არ გინდა? როგორ უნდა მივწერო. რა ჯანაბა დავწერო... და დავწერე წერილი ბაბუასთან. ბაბუა გარდაცვლილი იქნებოდა აუცილებლად, იმიტომ, რომ ბაბუა რომ დავტოვე, თითქმის 100 წლის ხდებოდა, 8 წელიწადი კიდევ უტხოვრია. ხოდა, მივწერე წერილი:

— ბატონო ფერემ, მე ჰრუჭუნა ფუტკარი... ჰრუჭუნას მეძახდნენ მე, პატარა რომ ვიყავი. რომ დავიბადე, პატარა თვალები მქონდა, სულ ეს ვიყავი — გაჭყანული. სხვათა შორის, თეატრში პიესა დავდგით. ვილაცხა მოკლეს რუსებმა, შეიყარნ ერთად და ტიროდნენ. გრიშა კოსტავა ზალაშია და იქედან გვიყურებს. რეპეტიცია მიდის. მიყვია იქიდან:

— ალექსი, რას შვები შენ, ნუკი იტყანები, რას იცინიო. სატირალი ამბებია მაღაო და რას იცინიო.

მე ვუთხარი, არ ვიცინი, არც ვიტყანები, რა ვქნა-თქო. ისე მქონდა პატარა თვალები. რაზე ვთქვი ახლა ეს ამბავი?

— წერილს წერდით, — ვახსენებ მე.

— ხო, წერილის დაწერა. მივწერე, რომ მე ჰრუჭუნა ფუტკარი ვარ. თუ გახსოვთ, მე ჭიათურაში რომ ვიყავი, ჩვენ დავმეგობრდით. როგორ არიან თქვენი შვილები: ერემია, ალექსანდრე. ხომკვდარი იყო, ვახსენე მაინც. თქვენი სიყვარულით, ბოლოშიაც მივაწერე — ჰრუჭუნა ფუტკარი. წეიკითხენ. ბიცოლაჩემი აქ არი, დიდი ნაღია. წუნს. გამოვიდა მეზობელი, ლიდა ერქვა, ისიც ფუტკარაძის ქალი იყო.

— რა იყო, რა დაგემართა ნადირო, და...

— წერილი მივიღეო და ვილაცაო ჭრუჭუნა არიო, ფუტკარიო.

— მაჩვენე, ქალო... წიკითხა და ეს არიო...

— კაი გაჩერდი, ქალო, როგორ შეიძლებაო.

— რა როგორ შეიძლებაო, ფუტკარი ეს არიო, ფუტკარაძეაო. ჭრუჭუნა ვისა ჰქვიაო, არ გახსოვსო?

— კი, როგორ არ მახსოვსო, ალიოშის არ დავარქვითო, ჭრუჭუნა; ხო, ეგაიო. იყვირენ და გამოვარდა. მაშინვე წამეიღო ეს წერილი, სულ სირბილით ხარაგოულში ჩამოვიდა. 3 კილომეტრზე ცხოვრობდა. დაჭდა მატარებელზე და მოუსვა. თბილისში ჩამევიდა, მივიდა მამაჩემთან, დაარააკუნა კარებზე ხელი:

— ვინა ხარ? ამ შულამისას ვინაა?

— ლიდა ვარ, ფუტკარაძეო, ჩამოვედი თქვენთანო; ამბები, ახალი ამბები მომაქვსო.

— რა ამბები?!

— ალიოშა ცოცხალია!!

ისე ემოციურად მიამბობს, ხმა უტყდება. ცოტა ხანს ჩამწერს გამოვრთავ.

მერე ვაგრძელებთ:

— რაფერ, როგორ...

— უფალო! — დოუძახენ ღმერთს.

ესე გაიგენ, რომ მე ცოცხალი ვიყავი. იცოდნენ, რომ დევიკარქე უგზო-უკვლოდ. 25 წელიწადი გავიდა! ეს იყო 1941—დან 1966—მდე; 25 წელიწადი!”

მსგავსი ისტორია უნდა განმეორებულყო. ეს ლამის აუცილებლობადაც იქცა. „სხვა გზა“ არ რჩებოდა, ეს იყო ყველაზე უხიფათო გზა. „საყვარელი შვილიშვილები“ — ეს ჩვენი ემიგრანტები ბებია-ბაბუას უთვლიდნენ გულის გასახარ მოკითხვას და ისიც დარწმუნებით იცოდნენ, აწი ხელისუფლება იმათ ველარაფერს „დაუშვებდა“, ისინი უფალს ჰყავდა უკვე, თავისთან... ბებია-ბაბუას, ანუ წინაპრების მეშვეობითა და დახმარებით ვაგრძელებული გზა...

კიკა ჭალელი — ამ ფსევდონიმით ესალმებოდა პეტრე ხვედელიძე „ამერიკის ხმის“ მსმენელს. ჩემთან საუბრისას კი იტყვის:

— ჭალელი. მამაჩემი ჭალადან იყო, პაპა — კიკა, დედის მხრიდან, ასე რომ — კიკა ჭალელი; მე ვთქვი, მიხვდებიან-მეთქი. ბავშვობაში მეუბნებოდნენ, რომ ტემპერამენტით პაპას, კიკას ჰგავხარო...

ინტერესმოკლებული არ იქნება, ერთი ფრაგმენტი გაგაცნოთ ჩემი და ბატონი პეტრეს საუბრიდან. ეს პირველივე შეხვედრისას, ვირჯინიაში, ერთ ირანულ ლამაზ და მყუდრო რესტორანში მიამბო: ვლადიმერ ხვედელიძე იყო ასეთი პიროვნება, რომელიც სტუდენტების იმ დიდ ჯგუფში ერია, საბჭოელებმა გერმანიაში რომ გააგზავნეს. მერე იქიდან ამერიკაში წასულა. ერთი წლის შემდეგ, როცა ბატონი პეტრე სათვისტომოს გამგეობაში აირჩიეს, იქ გაიცნო. ვლადიმერ ხვედელიძეს ამერიკელი მეუღლე ჰყოლია... მოკლედ, მან დააკავშირა ტელეფონით პეტრე ხვედელიძე კალიფორნიაში მცხოვრებ გიორგი პაპაშვილთან.

— პირველი, რაც ცნობილია მწერალმა გააკეთა, იმწამსვე დამპატივია, — იხსენებს ბატონი პეტრე. არადა, მაშინ ახალი ჩასული იყო შტატებში, სამსახურშიც არ ჰქონდა... შეხვედრა ერთხელ გადაიდო, მეორეც... წასვლა ვერ მოახერხა, მაგრამ ურეკავდა და ასე ურთიერთობდნენ.

— გიორგი უამბობდა, მეუღლე კი იწერდა, ხომ იცით? — მეკითხება.

— დიახ, — ვპასუხობ მე.

**სხვათა შორის, ბატონი პეტრე დაეხმარა ლადო ბაბიშვილს მუშაობა „ამერიკის ხმის“ რედაქციაში დაეწყო.**

**ლადო ბაბიშვილის** შემთხვევაში დრო 16 წლამდე შემცირდა. პირველი წერილი ოჯახმა 1957 წელს მიიღო. ეს ასე მოხდა:

სოფელ კოდორში **ბაბუას** — ნესტორ ჩაჩავას **სახელზე წერილი მოვიდა**. მოხუცი ცოცხალი აღარ იყო და ფოსტალიონმა ადრესატს ბარათი ვერ ჩააბარა. ახლა აფხაზეთის სოფელ კოდორში (იქაცაა ამ დასახელების სოფელი) დაიწყეს ამ მისამართზე ძებნა. სამეგრელოსა და აფხაზეთში მი-მოდიოდა ამბავი... ბოლოს, დაადგინეს, რომ ნესტორ ჩაჩავას ერთ-ერთი შთამომავალი — გრიშა, ოჯახით ფოთში ცხოვრობდა, მეორე (ქვიჩი) გადასახლებაში იყო. გრიშა აბაშის რაიონულმა ხელმძღვანელმა დაიბარა და წერილი გადასცა. ლადოს ბიძიამ წერილი სახლში მოიტანა და როცა გაკვირვებულ ოჯახის წევრებს გაშლილი აჩვენა, აი, მოსახდენი მაშინ მოხდა... მამამ შვილის ხელწერა იცნო... თავადაც და მთელი ოჯახი მიხვდა და დარწმუნდა, ლადო ცოცხალი რომ იყო; კალიგრაფიით მიხვდნენ, ვინ გამოუგზავნა ბაბუას სხვათათვის წასაკითხი წერილი. ბედნიერება დაბრუნდა...

გავიდა ხანი.

ერთ დღეს ოჯახის უფროსი გარდაიცვალა — აღექსანდრე ღვანია. ქირისუფალი თუ ოჯახის ნაცნობ-ახლობელი ეთხოვებოდა გარდაცვალებულს; დასაფლავების დღე იყო, 1965 წელი. მიცვალებული ხუთ საათზე უნდა გაესვენებინათ... ხუთი წუთი დარჩენილიყო... აჩქარებით, თითქმის სირბილით მომავალმა ნათესავმა ახლობლების დიდი ყურადღება მაინცადამაინც ვერ მიიქცია: ყველამ ჩათვალა, სამძიმარზე დაგვიანებოდა. ოთახში შესულმა ქალიშვილს, ეთერს მამის გარდაცვალება კი მიუსამძიშრა, მაგრამ ყურში ისეთი ამბავი უჩურჩულა, გარდაცვლილი დაავიწყა:

— ხუტა რეკავს.

ხუტა ცოცხალია, ხუტა ამერიკაშია და ტელეფონზე რეკავს!

ამის გაგონება იყო და ყველა ერთად გარბოდა რკინიგზის სადგურში: ქირისუფალიც და მათთან სამძიმარზე მოსული სტუმარიც. ამ ალიაქოთში მიცვალებული ყველას დაავიწყდა... ტელეფონის ყურმილთან დედ-მამიშვილები ერთმანეთს ეცილებოდნენ, მერე ბიძა, მათი შვილები და აი, როგორც იქნა, დედაც მოიყვანეს... მშობელმა ამდენი წლის შემდეგ პირველად გაიგონა შვილის ხმა, შვილისა, რომელიც ბოდის იხდიდა:

— არ გეწყინოს, დედა, მეგრული დამავიწყდაო და თითქოს ნებართვას იღებდა; ამჯერად ქართულად გასაუბრებოდა უსაყვარლეს ადამიანს.

მათ კარგა ხანს ილაპარაკეს...



მერე იქ მყოფნი დაფიქრდნენ, გამოიანგარიშეს და გაოცდნენ... ზუსტად იმ დროს დაერეკა, როცა მიცვალებული უნდა დაეკრძალათ. ყველას დაავიწყა?! მძელია თქმა; ერთი კია, როცა ბაბილინა ოჯახში მიბრუნდა, ამდენი ადამიანის გასაგონად მეუღლის კუბოსთან მდგარმა მადლობა უთხრა გარდაცვლილს და ასეთი რამ თქვა:

„ყველაფერს გპატიობ, რაც კი რამე გიწყენინებია ჩემთვის, რადგან დღეს ჩემი დაკარგული შვილის ხმა გამაგონეო...“

ლადო მამინაც დარეკა, რამდენიმე წლის შემდეგ, დედას პანაშვიდს ოკეანეს გაღმა ეკლესიაში რომ უზღიდა... უმცროსი დაც გარდაცვალა — როზა...

ანაზღად, ლამის თავად გახდა ერთ-ერთი დის (ეთერის) სიკვდილის მიზეზი. 1990 წლის სექტემბრის თვეა. ყველას გაგებულნი აქვს მისი განზრახვა ჩამოსვლის შესახებ; აპირებს, მაგრამ როგორ მოგვარდება ეს საქმე ან როდის, არავინ იცის. არადა, თვითონ სიურპრიზი დაგეგმა და მოულოდნელად, 50 წლის უნახავ დას რომ გამოეცხადა, ეთერს ენა დაება, ხელები აუკანკალდა და... **სიხარულმაც ხომ იცის ზაფრა?!**

ამერიკაში ჩასული ოფიციალურადაც მუშაობდა და მიმტანიც იყო. არ მოშეებია. მოგვიანებით, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მასთან სტუმრად ჩასული დისშვილის კითხვაზე:

— ენა რომ არ იცოდი, როგორ ცხოვრობდიო?

უპასუხია:

— კინოში დავდიოდი; სულ ბოლო რიგში დავჯდებოდი და ძალიან ყურადღებით ვუსმენდი.

ასე ისწავლა დასაწყისში ენა. უდავოდ ნიჭიერი კაცი იყო. აქვე ვიტყვი, სკოლაში გერმანულს ასწავლიდნენ. მერე მისი უცხოეთში დარჩენის ამბავი რომ გაიგეს, იქაურები გულიანად იცინოდნენ თურმე:

— ნინას ნასწავლი გერმანული ხუტას არავის გამოსდგომიაო.

სხვათა შორის, მოგვიანებით, საქართველოში ჩამოსული მოწაფე — ლადო თავის მასწავლებელსაც შეხვდა, ნინას...

ჭალაქ სიეტლში არაერთი ეროვნებისა და წარმომავლობის ადამიანს მოეყარა თავი. ერთ-ერთი იმათაგანი, ზურაბ ამირანაშვილი გაიხსენებს: „...მოხდენილმა ქართულმა ენამ ჩემი ყურადღება მიიპყრო. ასე გავიცანი ბატონი ლადო ბაბიშვილი, ღირსეული მამულიშვილი.“ გამოქვეყნებულ წერილს კი დაარქვა: „ქართველი კაცის ოდისეა ფოთიდან ამერიკაში.“ ინტერვიუ არაერთი თვალსაზრისითაა საინტერესო (გაზ. „მამული“ №21(29) XI 1990). განსაკუთრებით გამორჩეული მისი ტყვეობაში მოხვედრის ამბავია. ემიგრანტის ბიოგრაფიის ამ პერიოდის ასე დეტალური წარმოჩენა სხვაგან არც მეგულება; მით უფრო მნიშვნელოვანი იმითაა, რომ ამბავს თავად ლადო ბაბიშვილი ჰყვება, ზურაბ ამირანაშვილი კი ისტორიას ერთ საინტერესო თავგადასავალს შემოუნახავს:

„მანსოვს, ასეულის მეთაურად გამოგზავნილმა, ახლად დემობილიზებულმა ოფიცერმა თავის თანაშემწედ ამიყვანა. ეს ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო, რადგან

მისი მზარეული ხანდახან ჩემთვისაც აკეთებდა საქმელს. ერთხელ ასეულის მეთერთმეტე მა გამოგვიცხადა, დასაზვერად უნდა წავიდეთო და ექვსი კაცისაგან შემდგარი რაზმი, მათ შორის მეც, გაუყუევით გზას. ახლა რომ ვისხენებ, ვრწმუნდები, წინასწარ ჰქონდა გადაწყვეტილი გერმანელების მხარეზე გადასვლა. მთელი დამე ისე ვი-არეთ, მტერი არ შეგვხვდებოდა, გათენებისას ერთ-ერთ სოფელში ამოყუავით თავი. მოულოდნელად ათიოდე ცხენოსანს წავაწყდით. ზოგიერთ მათგანს ჩემთვის უცნობი სამხედრო ფორმა ეცვა. ერთ-ერთმა მათგანმა რუსულად გვკითხა, ქართველები ხომ არ ხართო. ამის შემდეგ მოგვიყვანეს კომენდატურაში, სადაც ახალგაზრდა გერმანელი ოფიცერი პურით გაგვიმასპინძლდა.“

ლადო ბაბიშვილი გაცნობილი კია, მაგრამ ამ ვითარებას „გამარჯვებულისთვის“ დამახასიათებელი პოზიციით ხსნის. ცნობილია, ამ ეტაპზე გერმანელების წარმატებუ-ლი სამხედრო შეტევები. ტყვეებისათვის არც იარაღი აღუყრიათ, რაც ბუნებრივი იქნე-ბოდა, მით უფრო საომარ ვითარებაში და არც არანაირი შეურაცხყოფა მიუყენებიათ. იმ საბჭოური პროპაგანდის შემდეგ ეს ალბათ, ძნელი წარმოსადგენიც იყო, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩებოდა. ბედის ირონია ის იყო, რაც წინ ელოდა — ყველაზე მძიმე, ტყვეობის სისასტიკე პიატიგორსკის ტყვეთა ბანაკში უგრძძვნია. იქ, სადაც ზედაშემდ-ველებად წარმომავლობით რუსები „მუშაობდნენ.“ აი, იქ იყო „მონღოლება“ და ერთ-გულების დამტკიცება ახალი პატრონებისადმი. ეს ყოფა სამი თვე გავრძელდა. ამას მოჰყვა ავსტრიაში ნე-ტყის დამამუშავებელ ქარხანაში მუშაობა და შემდეგ ტიურინ-გიაში, ერთი გლუხის ოჯახში — დამხმარე მუშად. აქედან დაიწყო შედარებით მშვიდი ცხოვრება, რიგიანი კვება და ნორმალური ურთიერთობა; იმას ვგულისხმობ, სახლის უცხოელ პატრონებთან ერთად ერთი მაგიდის გარშემო რომ ისხდნენ და ლადო ბაბიშ-ვილის ნაამბობს ყურადღებით ისმენდნენ მისი ქვეყნის, საქართველოს შესახებ. სტალ-ინზე ყველამ ისედაც ბევრი რამ იცოდა. ისიც მოეხსენებოდათ, რა ელოდათ „საბჭოთა სამშობლოში“ დაბრუნებულებს. ლადო ბაბიშვილი გერმანიის იმ ნაწილში მოხვდა, რომელიც ამერიკელებს ეკუთვნოდა. გარკვეული დროისა და მოგლენების შემდეგ ეს ზონა საბჭოელებს გადაეცა. ბაბიშვილმა დახმარება ამერიკელებს სთხოვა. შეპირდნენ. ასე აღმოჩნდა მიუნხენში, მიმტანიც იყო ყავახანაში და... ემიგრანტებიც ეხმარებოდნენ. თავად განსაკუთრებული პატივისცემით ალიოშა აბაშიძეს იხსენებდა...

და მაინც ამერიკა. შორს და უსაფრთხოოდ...

მერე, როცა საქართველოში ჩამოვიდა, თურმე ტყვედ ჩავარდნის ამბებს ხშირ-ად იხსენებდა. ერთი ფოთელი ნაცნობიც მოიძია, ფრონტზე ერთად რომ იყვნენ და ტყვეობაშიც ერთად ჩავარდნილან, მაგრამ შემდეგ გაყრილა მათი გზები. ლადომ რა გადაწყვეტილება მიიღო, უკვე ვიცით, ეს მეორე — დაბრუნდა, სამშობლოში დაბრუნდა. დაბრუნდა და გააციმბირეს — თანაც, 10 წლით.

1950 წელს ბაბიშვილი უკვე შეერთებულ შტატებში იყო. გაზეთებს კითხულობდა, სამუშაოდ გილებს ეძებდა, არაფერი არ უნდა გამორჩენოდა; ამაზე იყო დამოკიდებუ-ლი მისი მომავალი. კალიფორნიის შტატის ციტრუსების კომპანია მუშებს ეძებდა... ეს პირველი იყო, მერე ცხოვრება ნელ-ნელა ჩადგა კალაპოტში. სხვადასხვა ადგილი და-რადიოსადგური „ამერიკის ხმა;“ ინგლისურად უკვე კარგად ლაპარაკობდა.



„ამერიკის ხმის“ ქართულ ბიუროში დაიწყო მუშაობა; 20 წელი იმუშავა; გადაცემაებს ამზადებდა.

**ერთი მაგალითი.** გადაცემაში, რომელსაც ემიგრაციაში მოღვაწე გიორგი გამყრელიძის 80 წლისთავს უძღვნის, საუბრობს პოეტის ბიოგრაფიაზე, ლიტერატურულ ნაბიჯებზე, მისეულ თარგმანებზე; იმავდროულად, მსმენელი ყურს უგდებს პოეტურ ტექსტებს: გამყრელიძისეულ სტრიქონებს და ნათარგმნსაც... ერთიანი შთაბეჭდილება რჩება...

ეთერში მელოდია გაისმის და:

„ეს არის ამერიკის ხმა ვაშინგტონიდან,“ — დიქტორი ქალი მსმენელებს მიუხალმება. იმდღევანდელი გადაცემა როგორც ვთქვი, ქართული ემიგრაციის გამორჩეულ პოეტს, გიორგი გამყრელიძეს ეძღვნება. გადაცემის წამყვანი — ლადო იწყებს სტრიქონების კითხვას:

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნვებ, რა ზნე გჭირსა!  
 ყოველი შენი მონღობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!  
 სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!  
 მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა!

შოთა რუსთაველმა, როდესაც წერდა თქვენს მიერ ახლა მოსმენილ სიტყვებს, ალბათ, არ იცოდა, რომ წინასწარმეტყველებდა საკუთარ მომავალს და მომავალს მრავალი სხვა ქართველისა, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით გამოეთიშნენ სამშობლოს. სამშობლოდაკარგულებს ერთი და იგივე სევდა და გულის წყლული გააჩნდათ და გააჩნიათ. ამიტომაცაა, რომ სამშობლოს დაცილებული ყოველი ქართველი სხვებთან მისი სევდის გაზიარებისას ხშირად მიმართავს შოთას სიტყვებს: ზოგი უბრალო ადამიანის მეტყველებით და ზოგიც — პოეტურად. მგოსანი თავის მწუხარებებს საკუთარ ლექსებში აქოვს. ისე, როგორც ამას აკეთებდა მრავალი წლის განმავლობაში ლტოლვილობაში მცხოვრები ქართველი პოეტი გიორგი გამყრელიძე...

დღეს ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს გიორგის მწერლობა განვიხილოთ, ან ის განვსაჯოთ და შევაფასოთ, არამედ ჩვენი უბრალო მიზანია, თუმცა დავგვიანებით, აღვნიშნოთ მისი დაბადების 80 წლისთავი. აგრეთვე, ჩვენს მსმენელებს გავაცნოთ ზოგი რამე გიორგიზე, და ზოგი მისი ლექსიც.“

როგორც ვთქვი, წამყვანი მსმენელს გიორგი გამყრელიძის ცხოვრების მნიშვნელოვან თარიღებს შეახსენებს, ჰყვება ცისფერყანწილებთან თანამშრომლობის შესახებ; მისი ლექსების ძირითად თემატიკაზე, თბილისზე, თარგმანებზე; ახსენებს გალაკტიონის „მეფედ არჩევის“ ისტორიასაც. გადაცემაში ისმის ფრაგმენტები მისი ლექსებიდან, ედგარ პოს „ყორანი“-ს გამყრელიძისეული თარგმანიდან...

1978 წელს საგანგებო გადაცემის მომზადება მოუხდა. მართალია, გადაცემა ქართულ ენაზე გავიდა ეთერში, მაგრამ ჰელენს ინგლისური ვერსია გამოუგზავნა, რწმენით: „იმედია, მოგეწონება.“ წერილსაც ჩვეულებრივ, შინაურულად მიაწერა: ლადო.



**გიორგი პაპაშვილზე მისი გადაცემა** კი ამგვარი გახლდათ:  
„თქვენ უსმენთ „ამერიკის ხმას“ ვაშინგტონიდან!“



შეერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველების რიცხვი ძალიან მცირეა, მაგრამ ამ მცირერიცხოვნობის მიუხედავად, არცთუ ცოტა მათგანს უჭირავს ან ეჭირა საპასუხისმგებლო თანამდებობა და დაკავებულები იყვნენ მნიშვნელოვანი პროფესიებით; როგორცაა: ექიმის, ინჟინრის, უნივერსიტეტის პროფესორის, გამომგონებლის, შეიარაღებულ ძალებში მაღალი ჩინის ოფიცრის თანამდებობა და სხვ., მაგრამ მათ შორის მხოლოდ სამია, რომელთაც მთელი ქვეყნის მასშტაბით სახელგანთქმულნი შეგვიძლია, ვუწოდოთ: პრინცი მაჩაბელი, მსოფლიოში ცნობილი საბალეტო ქორეოგრაფი ჯორჯ ბალანჩივაძე, ან ბალანჩინი და ახლახან გარდაცვლილი მწერალი და სკულპტორი ჯორჯ პაპაშვილი. მაგრამ მე არ ვაპირებ ჩვენს მსმენელს კიდევ ერთხელ მოვუყვებ ის, რაც უკვე მოსმენილი აქვს მისტერ პაპაშვილის ერთობ ვრცელი ბიოგრაფიიდან. მე უფრო მის წარსულსა და **იმ დროს დავეყრდნობი, როცა მას პირადად ვიცნობდი.**

1920 წელს, შეერთებულ შტატებში ჩასვლის შემდეგ ალბათ არ დარჩენილა სამუშაო, ჯორჯს რომ არ მოესინჯა. სწორედ ამ მრავალფეროვან სამუშაოებზე ვაიცნობამ ამერიკელი ხალხი და დააგროვა თავგადასავლები, რომელთა შესახებ არაჩვეულებრივად გვიამბო ცოლთან ერთად დაწერილ წიგნში „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“

წიგნი 1945 წელს, მეორე მსოფლიო ომის დასასრულისთვის გამოქვეყნდა – იმ დროს, როცა **ამ ომით დაღლილ და დანადგლიანებულ მსოფლიოს სჭირდებოდა რაღაც, რაც სევდიან წარსულს გადაავიწყებდა.** მისტერ პაპაშვილის წიგნი ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გამოვიდა. წიგნის თითქმის 2 მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა და 21 ენაზე ითარგმნა. წიგნის მიხედვით, ჰოლივუდში ფილმი გადაიღეს და ჯორჯის როლი სცენის, ეკრანისა და ტელევიზიის ცნობილმა მსახიობმა ხოზე ფარერმა შეასრულა. ამას გარდა, მისტერ პაპაშვილმა კიდევ ხუთი წიგნი გამოსცა და ერთ მათგანში მოთხრობილია მისი და მისი ცოლის მოგზაურობის შესახებ საბჭოთა კავშირში 1962 და 1968 წლებში. ამ წიგნში ის ჰყვება, თუ რა ბედნიერი იყო სამშობლოში და მშობლიურ სოფელში, კობიანთკარში სტუმრობით.

მისტერ პაპაშვილი მხოლოდ თავისი წიგნების გამო როდი გახდა პოპულარული. დიდი ხნის წინ მან ქვიდან ცხოველების გამოქანდაკება დაიწყო. მისი ნამუშევრები ცნობილი გახდა სამსახიობო წრეებში, ხელოვნებათმცოდნეებსა და ხალხში. ვარდა იმ ფაქტისა, რომ მისი ნამუშევრები გამოფენილი იყო ისეთ ქალაქებში, როგორებიცაა: ვაშინგტონი, ფილადელფია, ნიუ-იორკი და შეერთებული შტატების სხვადასხვა მნიშვნელოვანი მუზეუმი, ხოლო ვირჯინიის შტატის ქალაქ ვილიამსბურგის ახალი საკონფერენციო ცენტრი მისი გამოფენით გაიხსნა. 1971 წელს პენსილვანიის ქალაქ ჰარისბურგის მუზეუმმა გამოფინა ჯორჯ პაპაშვილის 60 ქანდაკება.

შეერთებული შტატების ერთ-ერთ არტ-ფორნალში გამოქვეყნდა საკმაოდ ვრცელი სტატია ჯორჯ პაპაშვილის შესახებ. ხელოვნებათმცოდნე რიჩარდ რიდი



წერდა: რომ პაპაშვილი ქვეებს ალაპარაკებს და ამას ახერხებს მათი მაქსიმალურად მცირედენი, უმნიშვნელო დამუშავებით. სახელოვნებო წრეებში პაპაშვილს მოიხსენიებდნენ როგორც ბუნებრივი და არაჩვეულებრივი ნიჭით დაჯილდოებულ ხელოვანს, რომლის აკადემიური განათლების არქონას ხელი არ შეუშლია, ძლიერად გამოეხატა თავისი შეგრძნებები.

პაპაშვილის ნამუშევრებს ყიდულობდნენ სხვადასხვა მუზეუმები და კერძო კოლექციონერები; ეს ნამუშევრები მრავალ მუდმივმოქმედ გამოფენაზე დაცული. უფინის უნივერსიტეტის ვიზუალური განათლების დეპარტამენტმა გადაიღო ფილმი პაპაშვილის ხელოვნების შესახებ და მას აჩვენებენ სკოლებში, შემოქმედებით ორგანიზაციებსა და ყველა სახის ჯგუფებში.

ჯორჯ პაპაშვილის გარდაცვალებით ქართული წარმოშობის ამერიკელებმა დაკარგეს მნიშვნელოვანი წევრი, რომელსაც სიამაყით გაიხსენებენ.

ამ დანაკარგს ამერიკაში ვიზიარებთ მის მეუღლესთან, მისის ჰელენ პაპაშვილთან, ხოლო საქართველოში მის ახლო ნათესავებთან ერთად და დარწმუნებულნი ვართ, რომ ჯორჯის სულს ანგელოზთა ჰიმნები ეგებებოდა, რომლებიც მას სამოთხეში მიაცილებდნენ.“

სწორედ იმ დღეებში (გადაცემაზე რომ მუშაობდა) გამოაგზავნა ის ზემომოტანილი წერილიც. თავადაც ახსნა:

**„გაერისკე და წერილი ბაბუას გაუგზავნე. ასე გაგაგებინე ჩემიანებს რომ ცოცხალი ვიყავი...“**

შემდეგ რაც მოხდა, უკვე ვიცით.

ერთხელ შეკითხვაზე, გეგმავდა თუ არა, ან თუ ფიქრობდა საქართველოში დაბრუნებას, ლადო ბაბიშვილი გულახდილი იყო:

„სწორად გამიგეთ, 40 წელია ამერიკაში ვცხოვრობ. ჩემი შეგნებული ცხოვრება აქ გავატარე. რომ ვიცოდე, როდის მოვკვდები, ჩამოვიდოდი და იქ, სამშობლოში დავიმარხებოდი.“

ლადოს ფოტოებს რომ ათვალიერებ, ძირითადად, ევროპული ტანსაცმელი აცვია, ხანაც ჩოხა. ჩოხაშია სხვადასხვა წვეულებასა და შეხვედრაზე, განსხვავებულ ადამიანთა წრეში...

პირველად საქართველოში ჩამოსვლა მხოლოდ 1990 წელს გახდა მისთვის შესაძლებელი, უკვე დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოში. პრეზიდენტსაც შეხვდა — ზვიად გამსახურდიას. 67 წლისა იყო... თარგმნა ქართველი მწერლის, ნოდარ დუმბაძის პროზაული ტექსტები...

.....

ტელეფონზე მოსაუბრეს ბავშვობის — მეგრული ენა დაავიწყდაო, ვთქვით. ეს ბუნებრივია. როცა ათეული წლების განმავლობაში უცხოეთში ცხოვრობ და ამ ენაზე იშვიათად ელაპარაკები ვინმეს, ისიც მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევად... მეგრული კი არა, ქართულიც შესაძლოა, გადაგავიწყდეს... არადა, ოთხი ენა იცოდაო...

ქართულმა მწერლობამ ამგვარი სიუჟეტი იცის! მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა „მიწის ყვილი“ მინდა გაგახსენოთ.

ქალაქი ნოქანი; პატარა ქალაქი, სადაც დასასვენებლად საგანგებოდ ჩამოსული მოთხრობის მთავარი პერსონაჟი დაბინავდა. პარიზთან ახლოს, აქ მდინარე მარნაა და ქალაქის ბაღიც... ექიმმა ურჩია და დაუჯერა. გადაღლილს ამ ყაიდის დასვენება და განცალკევება სჭირდება. ერთი შეხედვით, როგორ შეიძლება მუშაობა იმ კაცმა დაურღვიოს, რომელსაც პირველი შეხედვისთანავე ასე აღწერს:

„ქვიშნარ გზაზე ღრმა მოხუცი მოდის — ჩანჩალით და ცანცარით.

უფრო მოეთრევა, ვიდრე მოდის და ერთ ფენსაც კონკილასავით მოათრევს. ხელში კოჟრიანი ჯოხი უჭირავს. ძნელი სათქმელია: ჯოხი ჰშველის მომაველს, თუ მოხუცი — ჯოხს. ორივენი ძლივს მოფარფატებენ.“

ნაცნობობის გაბმა გაძნელდა, მით უფრო იმ მეორე შეხვედრის შემდეგ, როცა მოხუცი იმ წიგნით დაინტერესდა, მისი ახლადგაცნობილი მოსაუბრე რომ კითხულობდა:

„— ჟორჟინ, — ვუპასუხე, ქართულია, გაგიგონიათ ქართული, საქართველო?“

შიშით შემომხედა, შეკრთა, თითქოს ცეცხლს წააწყდაო. წიგნი სწრაფად დატკეცა, თითქმის მომიგდო, წამოდგა და ჯაგჯავით წავიდა, თითქმის გაიქცა.“

88 წლის ანდრე კაშორი, იგივე ანდრო კაიშაური ფრანგულ ენაზე ძლივს რომ იხსენებს თავის რევოლუციურ ფათერაკებს, „ზემლია ი ვოლიას“ ნამდვილ წევრობას, გასამართლებას, შორ გზასა და კატორღას, ფრანგი კი არა, ქართველია, ყოფილი ტერორისტი... მშობლებს პატარა წამოუყვანიათ საქართველოდან, მერე რუსეთში უცხოვრიათ, ახლა „ფრანგი გახლავართ.“ რეალურად ველარაფერს იხსენებს, თუმცა ასე ემუდარება თანმხლებს:

„მიაბნეთ რამე, მონ შერ, გამახსენეთ. ჩემი ქვეყნისა არაფერი ვიცი... არც უწინ მცოდნია.

ყინული გალხვა: „ჩემი ქვეყანა“ ახსენა. და მეც გაგახსენე, რაც მომაგონდა: ჩვენი მთები, ველ-მინდვრები, მდინარენი, ქალაქები, ზნე-ჩვეულება, ტანისამოსი.

კაშორი ხან ილიმება, ზოგჯერ იჭმუხნება: იგონებს და ვერაფერი გაუხსენებია — არც ერთი მთა, არც მდინარე, არც კუთხე, არაფერი! აღარაფერი!“

არაფერი ახსოვს, არც ქვეყანა და აღარც მშობლიური ენა. მერე, მხოლოდ სიკვდილის წინ ყველაფერი, მათ შორის ფრანგული ენაც რომ „დაივიწყა“ და აღარ ლაპარაკობდა, ერთხელ „უცებ მკაფიოდ აჩურჩულდა სუფთა ქართულით, ჩვენებური გამოთქმით:

— ჩემი დედა ელენე... მამაჩემი სოლომონი... ვილაჟ ანანური...  
.....

— ...ხომ ხედავ, ხომ გესმის, რა დამემართა?

— მესმის, ვხედავ... გაგახსენდათ, ქართული გაგახსენდათ.

— ღმერთო, მიშველე! გამახსენდა...“

მხოლოდ ერთს ითხოვს, საქართველოში ჩასვლის ნებართვას ითხოვს ამ ასაკში, ქვეყანას უჩვეულოდ დანატრებული და ტექსტს კარნახობს მასზე მზრუნველ თანამემამულეს:



„ნადირი სანადიროდ გავა, ფრინველი – საკვებისთვის, ადამიანი – საბრძოლველად და სამუშაოდ. მერე ყველანი დაბრუნდებიან: მხეცი ისევ ბუნაგში, მგვინა ფრინველი ბუდეს მიაშურებს, ადამიანი – თავის ქოხს. მე კი წამოვედი და ველარ დავბრუნდი.“

დაბრუნების ნებართვა კი მიიღო, მაგრამ უკვე ველარ შესძლო... თუმცა, მაინც „დაბრუნდა“; მისი ფერფლი დაუბრუნდა მწვანე მთებს, სწრაფ არავგესა და ღრმა ხეში ჩაწოლილ ანანურს, „ნავლი ხევის ნიავს გავატანე...“

მიხეილ ჯავახიშვილის ეს მოთხრობა 1928 წელს დაიწერა და იმავე წელს დაიბეჭდა გაზეთში „პოეზიის დღე“ №10 5 მაისის ნომერში.

პოპულარული მოთხრობის მთავარი პერსონაჟის რეალური პროტოტიპიც – ვარლამ ჩერქეზიშვილის პიროვნებაც ცნობილია. პროზაული ნაწარმოები ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამახსენდა. როგორც ჩანს, ფსიქოლოგიაში ეს მეტ-ნაკლებად „ბუნებრივი“ რეციდივია.

**ვარლამ ჩერქეზიშვილი.** მამულსა და დედულს ბავშვობიდან მოცილებული და უცხოეთში გადახვეწილი, „ანარქიზმისა და ნაციონალიზმის შემზავებელი.“ საოცრად აქტიური ადამიანი, სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში დასტამებული საინტერესო და მნიშვნელოვანი წერილების ავტორი. არაერთი სამინისტროს და უწყების წმირი სტუმარი. მისი თანამოსაუბრეები არცთუ იშვიათად, საფრანგეთის თუ ინგლისის გამოჩენილი პოლიტიკოსები იყვნენ. „კარდუს დონ კისოტი!“ – ამ სახელით მონათლავს გრიგოლ რობაქიძე და საჭიროდ ჩათვლის, მისი სიცოცხლის ბოლო დღეები მისთვის ასე უცნაური და იმავდროულად, ნიშანდობლივად ლოგიკური, აღწეროს: „ბავშვობიდანვე სამშობლოს გარე მყოფს გადავიწყებული ჰქონდა ქართული. იცოდა: რუსული, ინგლისური, ფრანგული. სიკვდილის ჟამს რუსულიც დავიწყებოდა, ინგლისურიც და ფრანგულიც – თურმე ქართულად იწყო ლულულდი.“

აი, ვინ იყო ქართველნო, ვარლამ ჩერქეზიშვილი.“  
 „აი, ვინ იყო...“ ეს სიამაყის შეძახილია. მნიშვნელოვანია მწერლის აქცენტი – ყველაფრის დავიწყება რომაა შესაძლებელი, მშობლიურის გარდა!

სხვისაგან გავიგეო მერე, – იტყვის ჩემთან საუბარში ქალბატონი ლალი, ბიძია ბოლოს ხომ ტოლსტოის თავშესაფარში მოხვდა, საავადმყოფოში, მძიმე მდგომარეობაში. სიკვდილის წინა დღეებში, როცა რაღაცაზე ლაპარაკობდა, რაღაცას ხმამაღლა ითხოვდა – ვერაფერს უგებდნენ: ეს არც გერმანული იყო, არც რუსული, არც ინგლისური და ბოლოს და ბოლოს, არც ქართული ენა (აკი სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანები მისი მეშვეობით=დახმარებით ურთიერთობდნენ ერთმანეთთან)... ვიღაცა მიხვდა! ისიც თავშესაფარს შეფარებული, იმანაც რომ იცოდა, ისეთი. იცოდა თავისთვის, ჩუმად და... იმან თქვა... **ლადო მეგრულად ლაპარაკდაო, თავისი „ბავშვობის ენით“**, დავიწყებული რომ ჰქონდა და ახლა რომ წამოუტივტივდა მესხიერებაში და ყველა სხვა დაავიწყა...

აკი, ყველაფერი შეიძლება მოხდეს...  
**ნეტავ, რას ამბობდა, რას იბარებდა...**

**ეკრანიზაცია** — თავისთავად ფაქტია, ფრიალ მნიშვნელოვანი.

როგორც ვთქვი, იმავე სათაურით, როგორც ნაწარმოები იყო დასათაურებული 1951 წელს დაიწყო გადაღებები და უკვე 1952 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ეკრანებზე გამოვიდა ფილმი „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“

**რეჟისორი და სცენარის ერთ-ერთი ავტორი ცნობილი რეჟისორი ჯორჯ სიტონი** გახლდათ. მის ტექსტის ეკრანიზაციის დიდი გამოცდილება ჰქონდა. ეს არაერთხელ სერიოზულად აღინიშნა ამერიკის კინოაკადემიის პრემიით — „ოსკარი“ (1948, 1955, 1962 წლებში, ხოლო 1944 და 1971 წლებში წარდგენილი იყო ამ ნომინაციაზე), მის შემოქმედებაში იყო სხვა ჯილდოებიც: „ოქროს გლობუსი“ (1948, 1953), კანის კინოფესტივალის „ოქროს პალმის რტო“ (1955); ბერლინში „ოქროს დათვი“ (1961)...

**სცენარის დაწერაში** აქტიურად იყო ჩართული თავად **ჯორჯ პაპაშვილი, ჰელენ ნიცი...** გადაღებებშიც.

**პროდიუსერი** — უილიამ პერლბერგი;

**ოპერატორი** — დენიელ ლ. ფეხპი, ცნობილი კინოოპერატორი, რომლის არაერთი ნამუშევარი ამერიკის კინოაკადემიის პრემიით რამდენიმეჯგუფის აღინიშნა. მათ შორისაა პოპულარული „ვეესტაიდის ისტორია“ (საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისთვის „ოსკარი“ - 1962).

**კომპოზიტორი** — ვიქტორ იუნგი, უნიჭიერესი ადამიანი; იმხანად, ძალიან პოპულარული მუსიკოსი; სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ უილიამ უაილერის არაჩვეულებრივი ფილმის „რომაული არდადეგების“ ერთ-ერთი კომპოზიტორი.

**მთავარ როლებში:** ხოზე ფარერი — გიორგი პაპაშვილის როლში,

**კიმ ჰანტერი** — ჰელენ უოტსონი,

ასევე, სხვები... მსახიობები — იმხანად ცნობილი, ნიჭიერი ადამიანებისაგან შემდგარი შემოქმედებითი ჯგუფი;

ფილმის ხანგრძლივობა: 107 წუთი.

**ამგვარი რანგის შემოქმედებითი გუნდი, ბუნებრივია, სხვა მასშტაბის წარმატებაზე „გათვლიდა“ და ივარაუდებდა;**

ძალიან პოპულარული ტექსტი და „ვარსკვლავების“ ჯგუფი...

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

**„ტაიმს-ჰერალდი“**

**ნიუ-პორტ ნიუსი, ვირჯინია**

**პარასკევი, შუადღე, 1944 წლის 1 დეკემბერი**

**მაღაზიის მენეჯერონე მწერალი ხდება**

„აღენტაუნი, პენსილვანია, 1 დეკემბერი. ბუკინისტური წიგნის მაღაზია „მოზი დიკი“ აღარ არის უსიცოცხლო პატარა თავშესაფარი: მას შემდეგ, რაც მისმა მფლობელმა, მისის ჰელენ პაპაშვილმა დაწერა თვის საუკეთესო წიგნი, ის ცხელი ადგილია.



მისი პაპაშვილმა ისწავლა იმ ხალხის უგულვებელყოფა, რომლებიც მალაზი-  
ის ვიტრინიდან აშტერდებიან და მას არ მიაჩნია სირთულედ, გაუძლოს იმათამაში  
ლიტერატორების შემსწავლელ მხერას, რომლებიც შედიან მალაზიაში, თავიდან  
ფეხებამდე აათვალ-ჩაათვალიერებენ მას და აცხადებენ:

„ — გაზეთიდან გავიგე, რომ წიგნი დაგიწერიათ და მინდოდა მენახა, როგორ  
გამოიყურებით.“

უფრო ხშირად კი, მალაზიას ისე სტოვებენ, როგორც შემოვიდნენ — უწიგნოდ.  
ჰელენის თქმით, ეს თამაშის ნაწილია.

მთელი ამ ყურადღების მიზეზი კი ვახლავთ წიგნი „ყველაფერი შეიძლება მოხ-  
დეს“, რომელიც იანვარში წარსაღვენ „თვის წიგნის კლუბის“ რჩეულად მოგვევ-  
ლინა. წიგნი ეხება მისი ქმრის, ჯორჯ პაპაშვილის თავგადასავლებს ამერიკული  
ცხოვრების წესთან მსუბუქად და წარმატებით შეგუების ვაზზე, მას შემდეგ, რაც  
ის აქ საქართველოდან, სტალინის სამშობლოდან ჩამოვიდა.

**თანაავტორები**

მისტერ და მისი პაპაშვილები მოხსენიებულნი არიან, როგორც თანაავტორე-  
ბი: ჯორჯი ჰყვებოდა ისტორიებს, ხოლო ჰელენი მათ თავს უყრიდა და ფურცელზე  
გადაჰქონდა. „რიტილ ბუკსელერის“ რედაქტორმა, ფრენსის ლუდლომ პუბლიკა-  
ციამდელ, სიცოცხლით სავსე მიმოხილვაში მას უწოდა „მხიარულებით, სიცილითა  
და თბილი, მეგობრული გრძობებით სავსე წიგნი, რომელიც დაუშრეტელ აღფრ-  
თოვანებას იწვევს ნებისმიერ შემთხვევაში იმის მიმართ, რაც კი შეიძლება მოხდეს...  
თავად ჯორჯის არ იყოს, წიგნიც „ბედნიერი და სიამაყით სავსეა.“

წარმატება მისი პაპაშვილის მოულოდნელად ეწვია, როცა მას შესთავაზეს კონ-  
ტრაქტი „ჰარპერთან“ მას შემდეგ, რაც რედაქტორმა მისი სტატია ერთ-ერთ „ინ-  
ტელექტუალურ“ ჟურნალში იხილა. ამას წინ უსწრებდა მრავალწლიანი წერის, „შეც-  
დომებზე სწავლის“ ბილიკებზე სიარული, რომლის განმავლობაშიც, მისივე თქმით, ის  
უამრავ მეორეხარისხოვან ჟურნალთან თანამშრომლობის შედეგად, დახელოვდა.

ჰელენი შეინარჩუნებს „მოზი დიკს“, წერას კი თავისუფალ დროს დაუთმობს.  
მისი ქმარი გააგრძელებს მუშაობას, როგორც კვალიფიციური მექანიკოსი; ხოლო  
მისეული ახალი და სწრაფად მზარდი გატაცებიდან გამომდინარე, შეძლებს გახდეს  
ხესა და ქვაზე მომუშავე მოქანდაკეც.

**ცხოვრება ფერმაში**

პაპაშვილები აპირებენ, რომ ცხოვრება თავიანთ ფერმაში, კვაკერთაუნში  
(პენსილვანია) გააგრძელონ, რომელიც ცხრა წლის წინ იყიდეს. წყვილი კიდევ  
აპირებს წიგნების გამოცემას. ამჟამად ისინი ფიქრობენ, თუ რაზე იმუშაონ — ქარ-  
თულ ფოლკლორზე თუ მისტერ პაპაშვილის ბავშვობის ამსახველ წიგნზე.

მიუხედავად იმისა, რომ „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ „წლის წიგნის“ რანგ-  
ში ჯერ არ გამოცემულა, მხატვრული ფილმების რამდენიმე კომპანია, რომლებიც  
საავტორო უფლებებით დაინტერესდნენ, უკვე დაიწყეს ნიადაგის მოსინჯვა.

ჰელენის თქმით, მის წარმატებას მხოლოდ ერთი უხერხულოება ახლავს თან,  
რადგანაც „ბოლო მოედო“ მეგობრულ შეხვედრებს მალაზიის პირდაპირ მდებარე



სასაუზმეში, რომელსაც ისა და მისი ქმარი მართავდნენ. არადა, ეს აღმოვლენული ცეცხლივით იყო: იდეების გაცვლა-გამოცვლა, ოფიციალური ქალები, პაპაშვილები, ფოსტალიონი, ვაზის მრეცხველის ჩამწერი — ყველა ჩართული იყო ამაში.

„ — მაგრამ, — ამბობს ჰელენი, მეორე დღეს, მას შემდეგ, რაც ადგილობრივმა გაზეთმა ჩვენი წიგნის შესახებ დაწერა, მთელი ეს აუარება ხალხი ძალიან საზეიმოდ მომესალმა. თითოეულმა მათგანმა ხელი ჩამოშორებდა და მომილოცა. შემდეგ ისევ დასხდნენ და დამიწყეს ლოდინი, რომ კაშკაშს დავიწყებდი. მივხვდი, რომ ძველურ ბურად უკვე აღარასდროს იქნებოდა.“

1945 წლის 21 მაისს ბელმონტიდან (მასაჩუსეტსის შტატი) მწერლებმა ერთი ჩვეულებრივი მკითხველისაგან უჩვეულო, ამასთან, სასიამოვნო წერილი მიიღეს:

„ძვირფასო ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილებო,

მინდა, უბრალოდ გამოვიყენო საშუალება და გითხრათ, თუ როგორ მომეწონა წიგნის „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ თავგადასავლები. **მოვისმინე რადიოდღამა**, რომელიც ასე მარჯვედ წარმოადგინა ორსონ უელსმა და ძალიან ბედნიერი დავრჩი წიგნის წაკითხვითაც.

ჩემი წინაპრები სომხეთიდან არიან, ასე რომ, მენტალური გასტრონომიის მეშვეობით შემიძლია, დავაფასო თქვენს მიერ აღწერილი საჭმელების უმეტესობა — ტოლმა ვაზის ფოთოლში, შაშლიკი, ძაფზე აცმული კაკალი, ამოვლებული შესქელებულ ყურძნის წვენში (და შაქრის ფხვნილში ამოვლებული, ზამთრის არდადეგებად რომ გასტანოს).

ეს ნამდვილად ის მიწაა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ერთი შეხედვით, მხიარულად, თუმცა, გასაგებად დაწერილი თქვენი მძიმე გამოცდილება ბევრ ადამიანს მინიჭებს სიამოვნებას, რათა უფრო სრულად შეიგრძნოს ის.

ორივეს დიდი მადლობა ბრწყინვალე წიგნისათვის.

გულწრფელად,

ელის მ. ოპანიანი (ხელმოწერა)

კლაიდის ქუჩა 19.“

აკი უამრავი, ამასთან, განსხვავებული ადამიანი კითხულობს ამ წიგნს და წინასწარ არც კი იცის, ვინ რას „ამოიკითხავს“ მასში?! ამ კონკრეტულ შემთხვევაში ერთი ნამდვილად თვალშისაცემია: **პირველი** — მნიშვნელოვანი ფაქტი: უკვე 1945 წელს რადიოდღამა გაკეთებულა და არაერთ მსმენელს მისი მოსმენის შესაძლებლობა ჰქონია; და **მეორე** — მკითხველის სომხური წარმომავლობა... საქართველოს მეზობელი ქვეყნის წარმომადგენელი რასაკვირველია, ახლა, ოკეანის გაღმა სულ სხვა ემოციითა და „ეკავკასიური“ პარალელებით წაიკითხავდა წიგნს.

ბუნებრივია, „პოპულარობას“ თავისი ხიბლი აქვს, მაგრამ სირთულეებიც ახლავს. როგორც დასტამბული წერილების გაცნობის შემდეგ ირკვევა, პროზაული ტექსტის გამოქვეყნებას აქტიურად მოჰყვა მედიისა თუ ხელოვნების სხვა დარ-

გის სპეციალისტების კონკრეტული დაინტერესებაც: რადიოვერსიები, სცენური განზორციელება, ეკრანიზაცია... ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით მან ტერესოა ამ ფაქტების და კონკრეტული გვარების დასახელება და გაცნობა. ერთი ასეთი ინფორმაციაც გავრცელდა:

**„რიბაბლიქენ“**

**სპრინგფილდი, მასაჩუსეტსი**

**1945 წელი, 8 აპრილი**

„სანამ „რ. კ. თ.“ გადაღებას დაიწყებს, ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ბროდვეიზე დასადგამად მოამზადეს.“

გთავაზობთ კიდევ რამდენიმე სტატიას და წერილს ამ საკითხთან დაკავშირებით (ზოგ შემთხვევაში ფრაგმენტს):

**რ. კ. თ. „რეილი ფიჭერს, ინტ.“**

**გოვერის ქუჩა 780**

**ლოს-ანჯელესი 38, კალიფორნია**

**უილიამ დოზიერის ოფისი**

**1945 წლის 1 ივნისი**

**მისტერ და მისის პაპაშვილებს**

**მისტერ ჰარლოუ ბრიგსისთვის გადასაცემად**

**ისტ. 33-ე ქუჩის 49**

**ნიუ-იორკი**

„ძვირფასო ჰელენ და ჯორჯ,

გთხოვთ, მაპატიოთ ფაშლარობა, მაგრამ თითქმის ბუნებრივად მიმაჩნია, დაგვიხსოვს ჰელენი და ჯორჯი თქვენი წიგნის წაკითხვის შემდეგ და მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც ნიუ-იორკში გესაუბრეთ. ძალიან ვისიამოვნე ჩვენი ხანმოკლე შეხვედრით და სურვილი მქონდა, უფრო ხანგრძლივი ყოფილიყო.

იმედი მაქვს, ორივეს მოგეწონათ „მე მანსოვს დედა“ და ამან შეგიქმნათ წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ ვამუშავებთ ამ ტიპის სიუჟეტებს როგორც სცენისთვის, ისე ეკრანისათვის. შესაძლოა, ამ დროისთვის თქვენ დაასრულეთ სცენარისთვის მზადება მაქს გორდონთან, მაგრამ მჯერა, რომ კავშირში იქნებით ჩვენი ნიუ-იორკის ოფისთან მისტერ ბიგსის ან მისტერ ფაიტელსონის მეშვეობით ისე, რომ აპელას ერთად შეგვეძლოს მუშაობა თქვენს მიერ მომზადებულ ვერსიაზე.

საუკეთესო სურვილებით,

გულწრფელად, თქვენი

უილიამ დოზიერი (ხელმოწერა).“

**„პაბლიშერს უიკლი“**

**1945 წელი, 9 ივნისი**

„პარპერის“ მიერ გამოცემული ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების წიგნის —



„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ — ეკრანიზაციამდე, მოხდება მისი სცენაზე დადგმა. ბილ დოზიერმა, რომელიც ის „რ. კ. ო.“-სთვის 30 ათას დოლარად შეიძინა, ბროდვეისათვის მისი მომზადება დრამატურგ ს. ნ. ბეპრმანს მიანდო, ეს უკანასკნელი კი პოლივუდამდე ჯორჯ ს. კაუფმანის ზედამხედველობით იმუშავებს. ამ ორ ძალისხმევას ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვს, მაგრამ გასართობ საშუალებათა ორ სფეროს შორის არსებობს ჭენტლმენური შეთანხმება გამოსვლის თარიღთან დაკავშირებით.“

რ.კ.ო. „რედიო ფიჭერს, ინქ.“

გოვერის ქუჩა 780, ლოს-ანჯელესი 38, კალიფორნია

უილიამ დოზიერის ოფისი

პროდუქციაზე პასუხისმგებელი ვიცე პრეზიდენტის აღმასრულებელი ასისტენტი

1945 წელი, 31 აგვისტო

მისის ჰელენ უეიტ პაპაშვილს

ფერმა „ერთობა“

კვაკერთაუნი, პენსილვანია

„ძვირფასო ჰელენ,

მოხარული ვარ, რომ მივიღეთ 25 აგვისტოთი დათარიღებული თქვენი წერილი ფრენკ კენინის კვლევასთან ერთად, რომელსაც უკან გიბრუნებთ.

ჩვენი დამოკიდებულება „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ რადიო-ვერსიისადმი ასეთია: თუკი ის მოიცავს წიგნში აღწერილ ყველა თავგადასავალს, ეს ალბათ, რამდენადმე შეამცირებს იმ ინტერესს, რომელიც ვფიქრობთ, ფილმმა უნდა აღძრას. მოკლე პროგრამების წინააღმდეგნი ჩვენ არ ვიქნებით, რომლებშიც მხოლოდ წიგნის ფრაგმენტები იქნება ასახული, მაგრამ თვით ამ შემთხვევაშიც კი, რჩება შესაძლებლობა, რომ ისინი არ იყოს კარგად გაკეთებული და ამიტომ შესაძლოა, რომ ფილმისადმი ინტერესი შემცირდეს და მაყურებელთა აუდიტორია მიზიდვის ნაცვლად, დაკარგოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უარყოფითად ვეკიდებით წიგნის რადიო-ვერსიას ფილმამდე, რადგან ჩვენი მოსაზრებით, ის არა მარტო არ წაადგება მას, არამედ შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზარალიც კი მიაყენოს.

მიუხედავად ამისა, ჩვენ არ გვინდა თქვენ და ჯორჯს გზაზე გადაგელობთ. რაკილა ბუნებრივია, სასურველი რადიო-დადგმა გარკვეულ ფინანსურ მოგებასთან იქნება დაკავშირებული; ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ამ კუთხით ტვანისაკუთრებული დაინტერესება არ გექნებათ, მაშინ დარწმუნებული ვარ, გარკვეულ საკითხებზე შეთანხმებას მოვახერხებთ.

ვიმედოვნებ, რომ როცა ჯორჯი დაამთავრებს ქანდაკებას, ის გამორჩეული იქნება; შესაძლოა, ახლა „ინდიელი სიგარის მალაზიაში“-ს გრანიტის ვერსიაზე მუშაობს. როცა თებერვალში კალიფორნიაში ჩამოხვალთ, აუცილებლად შემატყობინეთ. ამასობაში კი ჩემი საუკეთესო სურვილები ორივეს.

გულწრფელად,

უილიამ დოზიერი (ხელმოწერა).“



ბუნებრივია, პაპაშვილებს თავისი პრეტენზიები და პირობები აქვთ! მათთვის ყველაფერი ერთმნიშვნელოვნად მისაღები არ არის. არც უნდა იყოს. ერთი ასეთი მაგალითი:

**ნიუ-იორკი**  
**რ. კ. ო.-ს შენობა**  
**მისტერ პიტერ რატვანს**

„ძვირფასო მისტერ რატვან,

ამ დღეებში მისტერ ფაიტელსონისგან უთუოდ გაიგებდით მისტერ ჰაროლდ ფრიდმანთან ჩვენი თათბირის შედეგს — ჩვენი წიგნის, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ დრამატოზაციის თაობაზე სიტყვიერი კონტრაქტის დასრულების შესახებ. მისტერ ფაიტელსონმა შემომთავაზა, მომეწერა თქვენთვის და ამეხსნა ჩემი და ჩემი მეუღლის დამოკიდებულება ამ ყველაფრისადმი.

ზედმეტია იმის თქმა, რომ გორდონის, კაუფმანის და სხვათა გაშვება ჩვენთვის მნიშვნელოვან ფინანსურ დანაკარგებს ნიშნავს, რადგან 12 თვის განმავლობაში, ვიდრე ამ კონტრაქტს ველოდებოდით, უარს ვამბობდით დრამატოზაციასთან დაკავშირებულ სხვა წინადადებებზე, ვინაიდან თავს შებოჭილად ვგრძნობდით ჩვენი სიტყვიერი შეთანხმების გამო როგორც რ. კ. ო.-სთან, ასევე ბერმანთან, კაუფმანთან, გორდონთან და ა.შ.

მაგრამ ეს არ გახლავთ უმთავრესი ფაქტორი. პირადად ჩვენ ძალიან იმედგაურებულნი ვართ, რადგან ყოველთვის გვჭეროდა, რომ სწორი დრამატოზაციის შემთხვევაში წიგნი მნიშვნელოვან ხარკს გაიღებდა ჩვენი დემოკრატიისთვის იმით, რომ ბევრ ადამიანს უკეთ გააცნობდა და გააგებინებდა უმცირესობათა ჯგუფებს.

უჩემოდაც იცით, რომ „მე მახსოვს დედამ“ შესძლო ეს და თანაც იმავდროულად, მშვენიერი გასართობიც გამოვიდა, ამასთან, ხელი შეუწყო ფილმის საბოლოო წარმატებას...

ჩვენს რწმენას, რომ იგივე მოხდება „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ შემთხვევაში, ადასტურებს ჩვენი წიგნის მკითხველებისაგან მიღებული 4 ათასზე მეტი წერილი, რომელთა უმეტესობაში განხილულია მისი სცენისა და ეკრანისთვის ადაპტირების შესაძლებლობა.

მისტერ ფაიტელსონი გვეუბნება, რომ ფილმზე მუშაობის დაწყების გადადება არ გსურთ. ამის მიუხედავად, თუ ეს თქვენს გრაფიკს არ დაარღვევს, **მე და ჯორჯს გვინდა, რომ სცენარის შემდგომი დახვეწა მოხდეს.**

მისტერ ფრიდმანმა საშუალება მომცა, მენახა მისტერ ბერმანის მიერ მომზადებული პირველი ნაწილის უხეში მონახაზი. მე მას უნდობლობას არ ვუტყბად, მაგრამ ვფიქრობ, უნდა გითხრათ, რომ ის შორს იყო ჩვენთვის მისაღები დამაკმაყოფილებელი დონისაგან.

დიალექტის გამოყენება იუმორისტული დატირთვის გარეშე შეუსაბამოა (ეს არ არის დაუძლეველი პრობლემა, რადგან ჯორჯის ინგლისურის 15 წლიანი გამოცდილებით, უფრო ავტომატურად აღვიქვამ სათქმელს), მაგრამ უფრო



მნიშვნელოვანია, რომ გმირები ზედაპირულია — „უცხოელების ხროვამ“ და მისტერ-ბ-მ საერთოდ ვერ შეძლეს იუმორისტული განწყობის შექმნა.

**შესაძლოა, ეს ყველაფერი შეიცვალა, რადგან პიესა გადაიწერა; მაგრამ იმგვარად დაწერილ ტექსტს, როგორც იყო, ჩემი აზრით, საფუძვლიანი გადამუშავება სჭირდებოდა.**

არ ვიცი, ნიუ-იორკში იმყოფებით თუ დასავლეთ სანაპიროზე, ამიტომ წერილის ასლს ორივე მისამართზე ვაგზავნი.

ოთხშაბათს, 3 აპრილს ნიუ-იორკში ვიქნებით, რათა შევხვდეთ მის ტერეზა ჰელბერნს (ერთხანად ის აპირებდა ჩვენი წიგნის დრამატიზაციას). თუ ისევ ქალაქში ხართ და თვლით, რომ ეს უნდა განვიხილოთ დამატებით, სიამოვნებით განახავდით. თქვენ შეგიძლიათ, დაუბრუნოთ ჩვენს რედაქტორს „პარპერ ენდ ბრაზერსში“ — მის ელიზაბეთ ლოურენსს. ის შეგითანხმებთ დროსა და ადგილს.

გულწრფელად თქვენი,  
ხელმოწერა.“

**რ. კ. ო. „რეიდიო ფიქჩერს, ინკ.“**

**გოვერის ქუჩა 780, ლოს-ანჯელესი 38, კალიფორნია**

**პრეზიდენტის ოფისი**

**1946 წლის 3 აპრილი**

**მისის ჰელენ უეიტ პაპაშვილს**

**ფერმა „ერთობა“**

**კვაკერთაუნი, ბენსილვანია**

„ძვირფასო მისის ჰელენ პაპაშვილო,

მოხარული ვარ, რომ მისტერ ფაიტელსონმა შემოგთავაზათ, პირდაპირ ჩემთვის მოგეწერათ და ვწუხვარ, რომ არა ვარ ნიუ-იორკში, თქვენთან ერთად რომ განმეხილა ეს ამბები.

მეც თქვენსავით იმედგაცრუებული დავრჩი, გორდონ-კაუფმან-ბერმანის პროექტი რომ არ შედგა. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ ადამიანების რაოდენობამ, რომელთაც თქვენი წიგნის წაკითხვის შემდგომ მისი სცენაზე ნახვის სურვილი გამოთქვეს და სიმპატიითაც ვიყავი განწყობილი იდეისადმი, რომ ფილმის გადაღებამდე მომხდარიყო მისი განხორციელება სწორედ სცენაზე. გორდონ-კაუფმან-ბერმანის კომპინაცია იდეალური უნდა ყოფილიყო და როგორც იცით, მზად ვიყავით ჩვენი მხატვრული ფილმის უფლებებთან დაკავშირებით ძალიან მოქნილები ვყოფილიყავით, რათა ეს პროექტი წინ წასულიყო. რ. კ. ო.-ს არასდროს არაფერი გაუკეთებია, რომ ხელი შეეშალა, ან გადაედო მათი საქმე. მისტერ ფაიტელსონი ჩვენი სახელით, საჭირო საბუთების მოპოვებაში ყველაზე ენერჯიული იყო და ის ჭალადები მრავალი თვის განმავლობაში მისტერ ფრიდმანის ხელში იმყოფებოდა. მე მრავალჯერ ვკითხე მას, რატომ არ გვქონდა ხელთ ხელმოწერილი დოკუმენტები. მე ვთვლი, ის მანამდე შეაყოვნებდა მათ, სანამ არ დარწმუნდებოდა, რომ პროექტი დაიძრა; თუმცა შეფერხების მასშტაბი შეუწყნარებელია.



დღეს რეალურად რომ გვქონოდა ხელთ დრამატიზაციის მნიშვნელოვანი პრექტი და გათვალისწინებული ყოფილიყო მასში ჩართული ნიჭიერი ხალხი, მოვიდოდნენ ჩვენი მხატვრული ფილმის უფლებებთან მიმართებაში მის განხილვას. თუმცა, დარწმუნებული ვარ, თქვენ წარმოდგენილი გაქვთ, როგორი მოწადინებულები ვართ, განვახორციელოთ ამ ფილმთან დაკავშირებული გეგმები. ჩვენი აზრით, ფაქტობრივად, ვამუშავებთ კარგ იდეას და ვფიქრობთ მნიშვნელოვანი კასტინგის მოწყობასაც. კარგი მხატვრული ფილმის გადაღებას და მის მომზადებას საზოგადოებრივი ჩვენებისათვის ღირს დრო უნდა. დაახლოებით, როგორც ჩვენი სცენარის შემთხვევაში. ჩვენ კონკრეტულად მოფიქრებული გვყავს მწერლები, რომლებიც ჩვენი ვარაუდით, ძალიან სწრაფად დაძლევენ სამუშაოს, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ უკვე არ არსებობს კარგი დრამატიზაციის პრექტი, რომლის განხორციელება მყისვე შეიძლება. ჩვენი მხრივ, აქამდე მხოლოდ მის სცენურ განხორციელებას ველოდით.

გახვოვთ, ამ საკითხთან დაკავშირებული ნებისმიერი მოსაზრების შესახებ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე პირადად მე მომწეროთ. თუ საჭიროდ მიგაჩნიათ, მოხარული ვიქნები, ჩვენს წარმომადგენელთან ნიუ-იორკში, „მოთხრობების განყოფილების“ უფროსთან, მისს ლედა ბაუერთან გაგასაუბროთ, რომელიც დეტალურად იცნობს ნიუ-იორკის სასცენო პრობლემებს. ვუგზავნი მას თქვენი წერილის ასლს და ჩემს პასუხს.

გულწრფელად  
ნ. პიტერ რატვანი (ხელმოწერა).“

შემდეგი ორი წერილი სპეციალური კოლექციის სხვა საქალაქელებიდანაა:

**ნიუ-იორკი 19**  
**ვესტ 200 54-ე ქუჩა**  
**ავტორთა წარმომადგენლობის საზოგადოების წევრი**  
**1949 წლის 9 ივნისი**

„ქვირფასო ჰელენ,

უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ისე ვიყავი ტელეფონზე „ჩამოკიდებული“, რომ თქვენთვის წერილის მოწერის დროც კი არ მქონდა. პირველი იყო „მორისის სააგენტო“, რომელსაც საუკეთესო რადიო-განყოფილება აქვს ქალაქში და რომელიც ლაპარაკობდა წიგნის „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ შესაძლებლობებზე როგორც რადიოს, ისე ტელევიზიისათვის. მათ უნდათ, აავონ მთელი შოუ და პაკეტის სახით გაყიდონ, თანაც საკომისიოს არ იღებენ. თქვენს აგენტს მოთხოვნილ გასამრჯელოს უხდიან.

მეორე მხრივ, რადგან უკვე ესაუბრეთ მის ბოსკოსა და მისტერ ლედერს „ბენტონ და ბოულსიდან“ ისინი 60 დღიან ვარიანტს განიხილავენ. ვინაიდან მხოლოდ ერთ სარეკლამო სააგენტოზე ფიქრობენ, ეცდებიან, პროგრამა მხოლოდ მას მიჰყიდონ. მათ უნდათ ორივე, როგორც სატელევიზიო, ისე რადიო-უფლებები (იქ გათვალისწინებული კინესკოპით) და ამ ეტაპზე მიაჩნიათ, რომ შეუძლიათ



ყოველკვირეულად გადაიხადონ 300.00 დოლარი კვირაში ერთი პროგრამისთვის. მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნე, თუ ვერ მოახერხებენ გაყიდვას, მაშინ საშუალოდ უფლებსთვის 300.00 დოლარს მოითხოვენ.

„მორისის სააგენტოს“ თქვენი წიგნის მიხედვით არა მხოლოდ სცენარი სურს, არამედ ფიქრობს მთელი პაკეტის შექმნას, მაგრამ რადგანაც ამის გაყიდვას ცოტა მეტი დრო დასჭირდება, მათ ერთწლიანი ვადა სჭირდებათ. თუ ამას დამხმარე პროგრამის, ანუ მხოლოდ სადემონსტრაციო სახით ჩაუშვებენ, ამაში 125 დოლარს გადაიხდიან და კიდევ დამატებით თანხასაც გასცემენ ყოველი სხვა გამოყენების შემთხვევაში. მეორე მხრივ, მათ ურჩევნიათ, საერთოდ არ გამოიყენონ ის, ვიდრე კომერციულად არ იქნება დაფინანსებული. ასეთ შემთხვევაში, ისინი იხდიან 250 დოლარს რადიოში და 25 პროცენტით მეტს ყოველი სხვა დამატებითი უფლებსათვის. ასე რომ, საბოლოოდ, რეალურად გამოდის 300 დოლარი, ანუ ზუსტად იმდენივე, რამდენსაც იხდის „ბენტონი და ბოულსი.“

ისინი კი ასე გააგრძელებენ: პირველ წელს 250.00 დოლარი, მეორე წელს – \$275.00, მესამე წელს – \$300.00, მეხუთე – \$400.00, მეექვსე – \$450.00 და ამის შემდეგ უკვე – \$500.00. რადგანაც ჩემთვის ცნობილია 12 წლიანი პროგრამების შესახებაც, მგონია, ეს კარგი გარიგება უნდა იყოს. ასევე, ვფიქრობ, შემოძლია, მხოლოდ რადიოსათვის ავაწვივინო საწყისი გადასახადი 300 დოლარამდე, იგივე 25 პროცენტის მატებით სხვა ორი უფლებსათვის და ყოველ მომდევნო წელზე შესაბამისი ზრდით. ჩემი პირადი სიმპათია ძალიან იხრება „მორისის სააგენტოსკენ“, რადგანაც მთლიანობაში მათი მიდგომა უფრო მომწონს.

ალბათ, საპასუხო წერილით მეტყვიით, რომელი ავირჩიოთ?  
სიყვარულით,  
ნ. ჯ.“

ასლი  
სახელმწიფო დეპარტამენტი  
250 ვესტ 57-ე ქუჩა  
ნიუ-იორკი  
1951 წლის 6 აპრილი

„ძვირფასო მის ფისკე, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო რადიო-ომაუწყებლობის განყოფილებას უნდა, დაიბეგოს პაპაშვილების წიგნის, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ რადიოში გამოყენების უფლება.

ეს იქნება ქართულ ენაზე წარმოდგენილი რადიო-დაღვმა „ამერიკის ხმის“ არაკომერციული მაუწყებლობის მსმენელთათვის.

აქედან გამომდინარე, დიდად დაგვაავალებთ, თუ მოგვცემთ საჭირო უფლებას. გულწრფელად, თქვენი  
ევვლინ ეიზენდტალტი  
საავტორო უფლებების სპეციალისტი

საერთაშორისო სამაუწყებლო განყოფილება  
დოროთი ფისკე  
„პარპერ ენდ ბრაზერს“  
49 ისტ, 33-ე ქუჩა  
ნიუ-იორკი.“

**რადიო-დადგმები არაერთ ქვეყანაში განხორციელდა. ერთი მაგალითი:**

**სახელმწიფო დეპარტამენტი**  
საერთაშორისო ინფორმაციის გაერთიანებული ადმინისტრაცია  
ნიუ-იორკი  
251 ვესტ 57-ე ქუჩა  
1953 წლის 22 მაისი

„ძვირფასო მისტერ და მისის პაპაშვილებო,

საერთაშორისო რადიომაუწყებლობის ავსტრიული ენის სამსახურსა და შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს უნდათ თქვენი წიგნის, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ მეხუთე თავის — „იოლი გამდიდრების გზები,“ რადიოინსცენირება მოახდინონ.

მას გერმანულ ენაზე წაიკითხავს ვენელი მსახიობი ჯოზეფ მენრადი. ეს იქნება ზუსტი თარგმანი, რომლის წაკითხვა მოხდება ჩვენი არაკომერციული ურთიერთ-გაცვლის ფარგლებში ავსტრიასთან.

იმის გამო, რომ ჯოზეფ მენრადი ჩვენთვის დიდი დროით ვერ მოიცლის, ჩვენ უსაზღვროდ მადლიერნი ვიქნებით, თუ თქვენი კეთილშობილური თანხმობის შესახებ დროულად შეგვატყობინებთ. ამასთან ერთად, გოგზავნით კონვერტს ჩვენი მისამართით, რომელსაც მარკა არ სჭირდება.

გულწრფელად თქვენი

ეველინ ეიზენდტალტი

საავტორო უფლებების სპეციალისტი

სამაუწყებლო სამსახური

მისის და მისტერ ჯორჯ პაპაშვილებს

ფერმა „ერთობა“

კვაკერთაუნი, პენსილვანია.“

**რადიოდადგმებს სატელევიზიო ვერსიის გადაღებაც მოჰყოლია.**

**უილიამ მორისის სააგენტო**  
გაერთიანება დაფუძნებულია 1898 წელს  
როკფელერის ცენტრი 1270, მეექვსე ავინიუ  
ნიუ-იორკი 20  
ტელეფონი 7-2160

1950 წლის 13 ივნისი  
მისტერ ჯორჯ პაპაშვილს  
მისის ჰელენ პაპაშვილს  
ფერმა „ერთობა“

კვაკერთაუნი, პენსილვანია

„ძვირფასო მისტერ და მისის პაპაშვილებო,

გუშინ გამოგიგზავნეთ „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ სატელევიზიო სცენარის ასლი. შეცდომით დაგვაგიჟყდა წერილის თანხლებად.

გაერთიანება „ტელენტ ესოსიეტისთან“ კონტრაქტის თანახმად, რომანის სატელევიზიო პროდუქციად გადაკეთებისას, საჭიროა ავტორის მიერ სცენარზე თანხმობის გაცემა.

თუ შეიძლება, მაქსიმალურად სწრაფად გვაცნობეთ, მოგწონთ თუ არა ეს ადაპტაცია.

დიდი მადლობა.

გულწრფელად,

გაერთიანება „უილიამ მორისის სააგენტო“  
ჯო მაგო.“

იურიდიული ოფისი

დოჰერტი, არნოლდი და ვოტერსი

ემპაია ბილდინგი

მილუოკი 3, ვისკონსინი

მარკეტ 8-3282

1950 წელი, 13 ივლისი

მისის ჰელენ პაპაშვილს

ფერმა „ერთობა“

კვაკერთაუნი, პენსილვანია

„ძვირფასო მისის პაპაშვილო,

ძალიან გამიხარდა 10 ივლისს თქვენი პასუხის მიღება. დავუკავშირდი „კათოლიკ ჰერალდ ტრიბუნს“ და გავარკვიეთ, რომ საშუალება გვექნება, გავაკეთოთ „დალოცვილები იყვნენ ღვთაებრივი წმინდანების“ ეგზემპლარი. ძალიან მადლიერი ვარ თქვენი დიდსულოვანი შემოთავაზებისთვის — მათხოვით თქვენი ეგზემპლარი.

დიდი ინტერესით ველოდები თქვენი ახალი წიგნის — „ნოეს წყალობით“ წაკითხვას. უდიდესი სიამოვნება მივიღეთ ამ ორიოდე კვირის წინ წიგნის, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ სატელევიზიო ვერსიის ყურებით. ეს მშვენიერი ამბავი მარტოა, კარგად არის გადატანილი ტელევიზიისთვის. კიდევ ერთხელ გმადლობთ კეთილშობილური შემოთავაზებისა და სასიამოვნო ურთიერთობებისათვის.

საუკეთესო სურვილებით თქვენს ქმართან ერთად.

გულწრფელად,

გლენ რ. დოჰერტი.“

ოფიციალურ დოკუმენტებში ზუსტად, დეტალურადაა გაწერილი და ამასთან, კონკრეტულია და ზედმიწევნით საჭიანი ყოველი შეთავაზება.

### ფ ი ლ მ ზ ე მ უ შ ა ო ბ ა კ ი დ ა ი წ ყ ო .

ბევერლი ჰილსი, კალიფორნია

ვილშირის ბულვარი 9441

1950 წლის 4 ნოემბერი

მისტერ ჯორჯ და მისის ჰელენ პაპაშვილებს

ნედ ბრაუნისთვის გადასაცემად

„ძვირფასო მისტერ და მისის პაპაშვილებო,

ქვემოთ მოყვანილი ტექსტით ვადასტურებთ ჩვენს თანამშრომლობას და

შეთანხმებას:

1. იღება ხელშეკრულება, რათა ორივე თქვენგანმა უილიამ პერლბერგს და ჯორჯ სიტონს, ან ორივე მათგანს გაუწიოთ კონსულტაციები, რომლებიც დაკავშირებული იქნება მხატვრული ფილმის სცენარის მომზადებასთან; მათთან ერთად განიხილოთ ყველა საკითხი, რომლებიც დაეფუძნება თქვენს მიერ დაწერილ და შემდგომ უკვე გამოქვეყნებულ ნაწარმოებს „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“ ხელშეკრულების თანახმად, თქვენი თანხმობის შემთხვევაში, ვალდებულებას იღებთ, საჭიროებისამებრ და დროულად მიაწოდოთ უილიამ პერლბერგს და ჯორჯ სიტონს, ან როგორც აღინიშნა, ორივეს, ზემოხსენებულ ნაწარმოებში აღწერილი ამბების და მოქმედი გმირების შესახებ დეტალური ინფორმაცია.

2. ქვემოთ მითითებული თანამშრომლობა, მოთხოვნის შესაბამისად, უნდა გასწიოთ ჩვენს, პოლივეუდის (კალიფორნია) სტუდიებში, დროის იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც არ აღემატება ათ (10) დღეს. ამ პერიოდის დაწყების და დასრულების თარიღები დაზუსტდება წერილობითი ფორმით, რომელიც გადაეცემა თქვენს აგენტს, ნედ ბრაუნს ვილშირის ბულვარის 9441-ში, ბევერლი ჰილსში (კალიფორნია) ზემოხსენებული პერიოდის დაწყების თარიღამდე სულ ცოტა, ორი (2) კვირით ადრე.

3. თქვენ თანახმანი ხართ ჩვენს მიერ განსაზღვრული, შემოთავაზებული და დადგენილი თარიღის დღიდანვე სტუდიაში წარმოადგინოთ ანგარიში და ჩვენი მხრივ, ვიღებთ ვალდებულებას, რათა აგინაზღაუროთ სტუდიამდე მოსასვლელი და უკან დასაბრუნებელი სატრანსპორტო ხარჯები; ასევე, მასთან დაკავშირებული ყველა ფინანსური დანახარჯი.

4. დამატებით, გარდა იმ მომსახურებისა, რომელსაც გასწევთ ჩვენ სტუდიებში, ხელშეკრულების ზემოაღნიშნული პუნქტების შესაბამისად, თქვენ თანახმა ხართ, გაუწიოთ კონსულტაციები და ეთათბიროთ უილიამ პერლბერგს და ჯორჯ სიტონს,





ან რომელიმე მათგანს ნიუ-იორკში, ან თქვენთვის მოსახერხებელ სხვა ადგილას. ესაა შეხვედრები განისაზღვროს მეორე პარაგრაფში აღნიშნული ათდღიანი (10) პერიოდის ან დაწყების წინ და ან ვადის გასვლის შემდეგ თქვენთვის მოსახერხებელ დროს.

5. თქვენ თანხმობას აცხადებთ, რომ ზემოაღნიშნული ნებისმიერი შეცვლების დროს თქვენი, ანდა რომელიმე თქვენგანის მიერ გამოთქმული ყველა იდეა, მასალა და მოწოდებული მოსაზრება ავტომატურად გახდეს ჩვენი საკუთრება.

6. ორივეს, ან რომელიმე თქვენთაგანის მიერ მომსახურების სრულად გაწევის შემთხვევაში, ზემომოყვანილი ვალდებულებების და თქვენთვის მონიჭებული უფლებების შესაბამისად, ჩვენ თანხმობას ვაცხადებთ გადაგიხადოთ სრული თანხა — ორი ათას ხუთასი დოლარის (2.500.00) ოდენობით. ეს კი განხორციელდება მომსახურების გაწევის დასრულების თარიღისთვის, ან დაახლოებით 1951 წლის 2 იანვრისათვის; ზუსტი რიცხვი დადგინდება მოგვიანებით.

თუ ზემოჩამოთვლილი უფლება-მოვალეობები ზუსტად გამომხატავს და შეესაბამება ჩვენი მომავალი თანამშრომლობის ძირითად წარმოდგენებს, გთხოვთ, თანხმობა ქვემოთ მითითებულ შესაბამის ადგილას თქვენი ხელმოწერით დაადასტუროთ.

**კორპორაცია „პარამაუნტ ფიჭერზი“**

მდივანი ასისტენტი (ხელმოწერა)

ო.კ.-სგან (ხელმოწერა)

**მისაღება:**

ჯორჯ პაპაშვილი (ხელმოწერა)

ჰელენ პაპაშვილი (ხელმოწერა).“

**200 ვესტი, 54-ე ქუჩა**

**ნიუ-იორკი 19**

**ავტორთა წარმომადგენლების საზოგადოების წევრი**

**1950 წლის 17 ნოემბერი**

„შვირფასო ჯორჯ და ჰელენ,

იმედია, დროზე ჩახვედით ფილადელფიაში და ცოტა ხანი მაინც მოისვენეთ საღამოს თქვენი გამოსასვლელი სიტყვის წარმოთქმამდე. თქვენი წასვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ის დამატებითი ქაღალდები, რაც რასეულ ჰოლმანმა გადმოცა თქვენთვის ხელმოსაწერად, მიეკუთვნებოდა არა გამოცემას, არამედ საკონტრაქტო წერილს, რომელიც ხელმოწერილი მას დღესვე უნდა დაბრუნებოდა. მოვლენები ისე სწრაფად განვითარდა, რომ გამომჩნა. იმავდროულად, თქვენს გამო ვწუხები ჰელენ, რადგან ძალიან დაღლილი გამოიყურებოდით. იქნებ, როცა ამოსუნთქავთ, დაისვენებთ, მოაწეროთ მათ ხელი და ფოსტით გამომიგზავნოთ?

მინდა ასევე, გითხრათ, რომ ორივე — მარგარეტ კაზინსი და ჯულიან მიულერი მეკითხებოდნენ თქვენს შესახებ და ნაწყენნი დარჩნენ ჩემზე, რადგან ვერ მოვახერხე მათი თქვენთან შეხვედრა. მართალია, აქ ფრიალ ცოტა ხანი დაჰყავით, მაგრამ



მათ ძალიან უნდოდათ ორივე თქვენგანის ნახვა. როგორც იცით, ისინი არც შეხვედრიან. შემდგომში, როცა აქეთ მოხვდებით, წინასწარ შემატყობინეთ და ვნახოთ, ერთად თავმოყრას თუ მოვახერხებთ.

თქვენი ერთგული  
(ხელმოწერა).“

**გრიინბაუმ, ვოლფი და ერნსტი**  
**მედისონ ავენიუ 285**

**ნიუ-იორკი 17**

**ტელეფონი მიურეი ჰილი 5-1582**  
(ჩამოწერილია 11 გვარი - რ.ნ.)

**1950 წლის 6 დეკემბერი**

**მისტერ და მისის პაპაშვილებს**

**ფერმა „ერთობა“**

**კვაკერთაუნი, პენსილვანია**

**პასუხი: „ხელშეკრულება პარამაუნტთან“**

„ძვირფასო მისტერ და მისის პაპაშვილებო, ჩემმა პარტნიორმა, მორის ერნსტმა გამომიგზავნა 30 ნოემბრით დათარიღებული თქვენი წერილი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად.

ჩვენ ყურადღებით შევისწავლეთ საბუთები. გუშინ დავურეკე ნანინს და ვუთხარი შემდეგი პუნქტებისთვის მიექცია ყურადღება:

1. თავდაპირველად თქვენ კონტრაქტი დადეთ რ. კ. ო.-სთან. ახლა აწარმოებთ მოლაპარაკებას „პარამაუნტთან.“ ნანინისგან გავიგე, რომ „პარამაუნტმა“ რ. კ. ო.-სგან იყიდა უფლებები ფილმზე. თუმცა, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი იმ დოკუმენტებში, რომელიც ჩვენ გამოგვიგზავნეთ. მე ვუთხარი ნანინს, რომ საჭიროა უბრალო ცნობა „პარამაუნტისგან“ იმის დასტურად, რომ ამგერად, ისინი არიან ყველა უფლების მფლობელები.

2. მე მივუთითე ნანინს, რომ თუმცა საბუთებში მინიშნებულია შეთანხმება „პარამაუნტსა“ და თქვენს შორის, რომლის თანახმადაც თქვენ უნდა მიიღოთ 2.500.00 დოლარი (ა) მომსახურებისთვის და (ბ) გარკვეული მასალების უზრუნველსაყოფად. ჩემამდე ამ შეთანხმების კონტრაქტს არ მოუღწევია. ნანინმა თქვა, რომ ასეთი კონტრაქტი ხელმოწერილია. ბუნებრივია, ჩვენ ვერ შევიქმნით აზრს დოკუმენტის შესახებ, რომელიც არ გვინახავს.

3. უკვე არსებული დოკუმენტებისადმი სერიოზული დამოკიდებულების მიუხედავად, კონკრეტულად მაინტერესებდა გამერკვია, „პარამაუნტთან“ თქვენი შეთანხმების თანახმად, რა მოხდებოდა, თუ ვერ მოამზადებდით ყველა მასალას. ნანინი მეუბნება, რომ ასეთ შემთხვევებში „პარამაუნტი“ დიდი ალბათობით, უბრალოდ ამოიღებს ე.წ. „საექვო“ გმირებს ფილმიდან.

4. მექანაზში იმ სიტუაციის, რომელიც შეიძლება საწინააღმდეგოდ ამოქმედდეს, საფიქრებელია მაშინ დადგეს, როცა თქვენ გასწევთ მომსახურებას, ანუ ყველაფერს

გააკეთებთ ყველა მასალის მისაღებად, მაგრამ იმის ალბათობაც არსებობს, იგი არ იყოს იმდენად წარმატებული, რომ „პარამაუნტი“ დააკმაყოფილოს. ამ ვითარებაში, რომელიც უნდა ვალიარო, მეტად არადადამაჯერებლად მიმაჩნია, თქვენ ვერ მიიღებთ 2.500.00 დოლარს, მიუხედავად იმისა, რომ ითანამშრომლეთ მასთან.

5. ნანინისგან შევიტყვე, რომ მანამ, სანამ არ გაეცნობით სცენარს და სავსებით არ დარწმუნდებით, რომ ფილმში ჩართული ხალხი გამოყვანილია როგორც ნამდვილი ადამიანები და არა „კარიკატურები“, „პარამაუნტს“ არ მისცემთ მისი გამოშვების უფლებას. დარწმუნებული ვარ, ამ მიმართებით „პარამაუნტი“ გაითვალისწინებს ბევრ რამეს და ითანამშრომლებს თქვენთან, რადგან მათ ნამდვილად არ მოუნდებთ ცილისწამებასთან დაკავშირებული პრობლემები.

გობრუნებთ ყველა იმ საბუთს, რაც გამომიგზავნეთ. საქალაქში არის 1944 წლის 29 დეკემბრით დათარიღებული კონტრაქტი რ. კ. ო.-სთან — ორიგინალი, 1945 წლის 19 აპრილის საავტორო სხელშეკრულება და ორი, უფრო ადრინდელი, რომელიც „პარამაუნტმა“ მოგაწოდათ.

თქვენთვის რომ უფრო მოსახერხებელი იყოს, ამ წერილის ასლს ნანინსაც ვუგზავნი. თუ სხვა შეკითხვები გაგიჩნდებათ, გთხოვთ, უეჭველად დამიკავშირდეთ.

დამატებით გაუწყებთ, რომ თქვენი წიგნი გამოსვლისთანავე წავიკითხე და თუკი ფილმიც მსგავსი გამოვიდა, მშვენიერი იქნება.

თქვენი გულითადი,  
(ხელმოწერა).“

**სააგენტო „ფეიმოუს არტისტს“**

**კალიფორნიის ბანკის შენობა  
ბევერლი ჰილსი, კალიფორნია**

**ტელეფონი კრესტიუ 15222**

**1950 წლის 15 დეკემბერი**

**მისის ჰელენ პაპაშვილს**

**მ. ჰილისთვის გადასაცემად**

**საფოსტო ყუთი 711**

**მილბროუ, კალიფორნია**

„ძვირფასო მისტერ და მისის პაპაშვილებო,

ნანინ ჯოზეფმა ახლა მომწერა, რომ თქვენ უახლოეს მომავალში კალიფორნიაში ჩამოხვალთ. ვისურვებდი, შეგეტყობინებინათ: როდის გეგმავთ ლოს-ანჯელესში ჩამოსვლას და ხომ არ შემიძლია რაიმეთი დაგეხმაროთ, თუნდაც, სასტუმროში მოწყობასთან დაკავშირებით. როგორც კი შემეხმიანებით, მაშინვე მოვეთათბირებო ჩორჯ სიტონს.

მას შემდეგ, რაც ნანინისაგან ამდენი შევიტყვე თქვენს შესახებ, მოუთმენლად ველი ორივე თქვენგანთან შეხვედრას.

საუკეთესო სურვილებით,

გულწრფელად თქვენი  
ნედ ბრაუნი (ხელმოწერა).“

**სააგენტო „ფიფიმოუს არტისტს“**  
**კალიფორნიის ბანკის შენობა**  
**ბევერლი ჰილსი, კალიფორნია**  
**ტელეფონი კრესტვიუ 15222**  
**1951 წლის 8 იანვარი**  
**მისის ჰელენ პაპაშვილს**  
**მ. ჰილისთვის გადასაცემად**  
**საფოსტო ყუთი 711**  
**მილბროუ, კალიფორნია**  
„ძვირფასო ჰელენ პაპაშვილო,

მოხარული ვარ, რომ საბოლოოდ ყველაფერი მოვაგვარეთ. ჯორჯ სიტონი სრულად ინფორმირებულია და გაგებით შეხვდა ყოველივეს; შესაბამისად, ყველაფერი გაწეს-რიგებულია თქვენი და მისტერ პაპაშვილის შემდეგ ორშაბათს, ანუ 15 რიცხვში ლოს-ან-ჯელესში მისაღებად. მე უკვე დავრეკე ბევერლი ჰილსის სასტუმროში და დავჯავშნე თქვენთვის და მისტერ პაპაშვილისთვის ორი ოთახი. ეკვი მუშარება, რომ პრობლემები შეექმნათ, მაგრამ თუ ასე მოხდა, აუცილებლად დამირეკეთ ოფისში. ყველა შემთხვევაში შემომეხმიანეთ, რათა თქვენთან და მისტერ პაპაშვილთან შეხვედრა შევძლო, ხოლო ამის შემდეგ მოვაგვარო თქვენი წაყვანა სტუდიაში. როგორც ვიცი, აქ ჩამდენიმე დღით რჩებით. მოგვიანებით, თუკი „პარამაუნტს“ კვლავ დასჭირდება თქვენთან მოთათბირება და სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებების გამართვა, თქვენი და მისტერ პაპაშვილის სატრანსპორტო (მგზავრობის) ხარჯებს ისინი დაფარავენ. 2,500.00 დოლარის თქვენთვის გადახდა შესაძლებელი შემდეგ კვირაში გახდება, მაშინ, როცა თქვენი მოლაპარაკებები სიტონთან და პერლბერგთან დასრულდება.

რასაკვირველია, მოუთმენლად ველოდები თქვენთან და მისტერ პაპაშვილთან შეხვედრას.

საუკეთესო სურვილებით  
გულწრფელად,  
ნედ ბრაუნი (ხელმოწერა).“

**ბევერლი ჰილსი, კალიფორნია**  
**ვილშირის ბულვარი 9441**  
**1951 წლის 19 იანვარი**  
**მისტერ ჯორჯ პაპაშვილს და მისის ჰელენ პაპაშვილს**  
**მისტერ ნედ ბრაუნისთვის გადასაცემად**  
„ძვირფასო მისტერ და მისის პაპაშვილებო,

ვეგრძნობთ რა 1950 წლის 4 ნოემბრით დათარიღებულ შეთანხმების მემორანდუმში თქვენსა და ქვემოთ ხელმომწერ კორპორაციას შორის, ამით ვადასტურებთ



ჩვენს ურთიერთგაგებას და თანხმობას, რომელსაც შემდეგი სახე აქვს:

1. ზემოაღნიშნული შეთანხმების — მემორანდუმის მეორე პარაგრაფში აღნიშნული პერიოდის ნაცვლად, რომლის განმავლობაში და როგორც ფორმითაც დათანხმდით გაგეწიათ მომსახურება ქვემოთ ხელმომწერი კორპორაციის სტუდენტებში, თქვენ თანახმა ხართ გასწიოთ ასეთივე მომსახურება ქვემოთ ხელმომწერი კორპორაციის ან ბევრლი ჰილსის (კალიფორნია), ან კიდევ ნიუ-იორკის სტუდენტებში, როგორც ამას ქვემოთ ხელმომწერი კორპორაცია აირზევს, დროის იმ მონაკვეთში, რომელიც არ გადააჭარბებს შვიდ (7) დღეს და რომელიც ქვემოთ ხელმომწერი კორპორაციას შეუძლია მოითხოვოს ერთი (1) წლის პერიოდში, დაწყებული 1951 წლის 19 იანვრიდან. თუმცა, ერთსულოვანი ვართ იმ საკითხშიც, რომ პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დასჭირდებათ თქვენი მომსახურების გაწევა, ორმხრივად იქნება წინასწარ შეთანხმებული.

2. თუ ქვემოთ ხელმომწერმა კორპორაციამ მოგთხოვთ მომსახურება ჰოლივუდის სტუდიაში (კალიფორნია), მაშინ მანვე (ამ კორპორაციამ), უნდა ჩაიყვანოს ან გადაიხადოს ტრანსპორტირების საფასური ამერიკის შეერთებული შტატების იმ ადგილიდან (ტერიტორიიდან), სადაც იმ დროს შეიძლება იყოს და ასევე, უნდა უზრუნველყოს თქვენი უკან დაბრუნება.

3. ამის პარალელურად, ქვემოთ ხელმომწერმა კორპორაციამ გადაიხადათ ზემოაღნიშნული შეთანხმების მემორანდუმის მე-9 პარაგრაფით განსაზღვრული თანხა, ორი ათას ხუთასი (2,500.00) დოლარის ოდენობით, რომლის მიღებასაც თქვენ ხელმოწერით ადასტურებთ.

1950 წლის 4 ნოემბრით დათარიღებული ზემოაღნიშნული შეთანხმების მემორანდუმში შესწორებულია, რატიფიცირდება და ხელმოწერით დასტურდება.

თუ ზემოთქმული სწორედ შეესაბამება ჩვენს მომავალ საქმიანობაზე ამ შეხვედრებს, გთხოვთ, თანხმობა ქვემოთ მითითებულ შესაბამის ადგილას ხელმოწერით დაადასტუროთ.

ქვემოთაღნიშნულად თქვენი“

მისაღებათ:

- ჯორჯ პაპაშვილი (ხელმოწერა)
- ჰელენ პაპაშვილი (ხელმოწერა)
- კორპორაცია „პარამაუნტ ფიჭერზი“
- მდივანი ასისტენტი (ხელმოწერა)
- ო.კ.-სგან (ხელმოწერა).“

სააგენტო „ფეიმოუს არტისტს“  
 კალიფორნიის ბანკის შენობა  
 ბევრლი ჰილსი, კალიფორნია  
 ტელეფონი კრესტიუ 15222  
 1951 წლის 22 იანვარი

მისის ჰელენ პაპაშვილს  
ნ. ჰილისთვის გადასაცემად  
საფოსტო ყუთი 711  
მილბროუ, კალიფორნია

„ძვირფასო ჰელენ და ჯორჯ,

პარასკევს საშუალება მომეცა წამომელო 2.500.00 დოლარის ჩეკი „პარამაუნტ ფიქჩერზიდან“ და გადავეცი ის ჩვენს ბუღალტერს ინსტრუქციით, რათა გადაეგზავნა თქვენს ანგარიშზე ჩასარიცხად ალენტაუნის „ეროვნულ სავაჭრო ბანკში.“ ბუღალტერმა ახლახანს მაუწყა, რომ ამ ჩეკიდან არ განხორციელებულა არავითარი საგადასახადო ჩამონაჭრები. ჩვენ გავარკვეეთ: ეს იმის გამო მოხდა, რომ ავტორიზაციის წერილზე ხელმოწერით თქვენ ადასტურებთ დამოუკიდებელ კონტრაქტორებას. ამდენად, ჩვენი მხრიდან საკომისიო თანხის ჩამოჭრა ამ ჩეკიდან უკანონო იქნება. ყოველივე აქედან გამომდინარე, საჭირო იქნება პერსონალურად გაანაღდოთ ჩეკი და თვითონვე ჩარიცხოთ თქვენს ანგარიშზე. თავი შევიკავე ჩეკის მილბროუში გამოგზავნისგან, რადგანაც არ ვიცოდი, მანდ იყავით, თუ ლაგუნა ბიჩში. სულ ახლახანს ველაპარაკე სიტონს და თქვენი ამჟამინდელი ადგილსამყოფელი არც მან იცოდა.

ამისადა მიუხედავად, როგორც კი მაცნობებთ თქვენს ადგილმდებარეობას, მაშინვე გამოგიგზავნით ჩეკს. შემდეგ თქვენ შეგეძლებათ გადამომიგზავნოთ საკომისიო და მე ნანინს გავუგზავნი მის კუთვნილ თანხას. ამასობაში, ჩვენი ბუღალტერი გავაფრთხილე, ჩეკი აქ შეენახა, სანამ თქვენ შემეხმიანებით.

ამასთან ერთად, თქვენი არქივისთვის გიგზავნით თქვენსა და „პარამაუნტს“ შორის დადებული კონტრაქტის ასლს.

ჯერჯერობით ისეთი არაფერია სათქმელი, რაც თქვენ არ იცით. ვერ აღვიწერთ, როგორი ნასიამოვნები დავრჩი, როცა საბოლოოდ ორივეს შეგზვდით და რა ბედნიერი ვარ, რომ ყველა საკითხზე თანამოაზრეები აღმოვჩნდით.

ჩემი საუკეთესო სურვილები ორივე თქვენგანს,  
თქვენს,

ნელ ბრაუნს (ხელმოწერა).“

სააგენტო „ფეიმოუს არტისტს“

კალიფორნიის ბანკის შენობა

ბევერლი ჰილსი, კალიფორნია

ტელეფონი, კრესტვიუ 15222

1951 წლის 25 იანვარი

მისის ჰელენ პაპაშვილს

მ. ჰილისთვის გადასაცემად

საფოსტო ყუთი 711

მილბროუ, კალიფორნია

„ძვირფასო მისის პაპაშვილო,



მისტერ ნედ ბრაუნმა მოითხოვა, რომ კომპანია „პარამაუნტ ფიჭერზის“ მიღებული ჩეკი 2.500.00 დოლარის ოდენობით, გადმოგვეგზავნა თქვენთვის. ეს არის კორპორაცია „პარამაუნტ ფიჭერზის“ და ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილებს შორის 1950 წლის 4 ნოემბრით დათარიღებული შეთანხმების შემორადუმით (შესწორებული 1951 წლის 8 იანვრის შეთანხმების შემორადუმით) გათვალისწინებული გაწეული ყველა სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა.

მისტერ ბრაუნმა მიიღო თქვენგან საკომისიო 250 დოლარის ოდენობით, რასაც ადასტურებს და ამასთან, მაღლობას გიხდით.

გულწრფელად თქვენი  
სააგენტო „ფეიმოუს არტისტს“  
აუდიტორი (ხელმოწერა).“

**შპს. „მ. ს. ე. არტისტს“**

**სააგენტო**

**მ. ს. ე.**

**პასუხი გამოგზავნეთ ამ მისამართზე**

**სანტა მონიკას ბულვარი 9370**

**ბევერლი ჰილსი, კალიფორნია**

**ტელეფონი კრესტ ვიუ 6-2001 ბრედ შოუ 2-3211**

**1951 წლის 8 თებერვალი**

**მისტერ და მისის პაპაშვილებს**

**მარჯორი ჰილისთვის გადასაცემად**

**საფოსტო ყუთი 711**

**მილბროუ, კალიფორნია**

„ძვირფასო ჰელენ და ჯორჯ,

ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ იმდენი რამ მოხდა, რომ არც კი ვიცი, რითი დავიწყო. პირველ ყოვლისა, წამოვედი „ფეიმოს არტისტს“-იდან, რათა ამ კომპანიას დავკავშირებოდი. ეს კი ყველაზე მნიშვნელოვანი წინსვლაა ჩემს ცხოვრებაში და ბუნებრივია, უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. რა თქმა უნდა, ჩემი აქ გადმოსვლა არაერთაზრ ვაღიარებ, არ მოახდენს ჩემს საქმიანობაზე, რადგან იგივეს გავაკეთებ, რასაც აქამდე, ოღონდ უფრო მნიშვნელოვანსა და ღრმა საფუძველზე. ამ საღამოს ნიუ-იორკში მივდივარ და ალბათ, ძალიან მალე ვნახავ ნანინს.

ამასთანავე, ვფიქრობ, ძალიან კარგად მოიქცევით, როცა 250 დოლარის ჩეკი საკომისიო მიზნებისათვის გამოგზავნეთ; მინდა იცოდეთ, რომ ჩეკი კორპორაცია „ფეიმოს არტისტისთვის“ გავანაღდე, რადგან როცა ეს გარიგება ძალაში შევიდა, მათთან ვიყავი დაკავშირებული. ეს ჩეკი მე გავუგზავნე „ფეიმოს არტისტის“ ბუღალტერს, რომელიც თავის მხრივ, ნანინისათვის განკუთვნილ ნახევარ საკომისიოზე მომცემს ჩეკს, ამის შემდეგ იგი მას გადაეგზავნება.

„ფეიმოს არტისტის“ ბუღალტერს ინსტრუქცია მივეცი, რათა თქვენი 2.500.00 დოლარის ჩეკი თქვენთვის სპეციალური ავიაფოსტით გამოგზავნა. ეს მყისიერად



მოგვარდა. ასე რომ, თქვენ ის, წესით, ამ წერილთან ერთად უნდა მიიღოთ. გთხოვთ, სწორად გაიგოთ, რომ არავითარი პრობლემა ამ ჩეკის დეპონირებაშია. სა არ იყო, გარდა იმისა, რომ თქვენი ინტერესებიდან გამომდინარე, რადგანაც ეს არატიპური შემთხვევა გახლდათ, რომელშიც თქვენ, როგორც ინდივიდუალური კონტრაქტორები ისე მოქმედებდით, მე ჩავთვალე, აჯობებდა, რომ ჩეკი თქვენ თვითონ გაგენაღდებინათ. ყოველ შემთხვევაში, როგორც ვითხარით, 2,500.00 დოლარის ჩეკს ამ წერილთან ერთად მიიღებთ. თუ რამეში დაგჭირდებით, ამ მისამართზე დამიკავშირდებით, ან მიწერეთ ნანინს, რადგანაც მას უთუოდ ეცოდინება ჩემი ადგილსამყოფელი.

მე უკვე გავწიე პატარა მოსამზადებელი სამუშაო, რამდენადაც ამას „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ სუბსიდირებული დასასრული იძლევა და იმედია, როცა დაგბრუნდები, რაც ორიოდ კვირაში უნდა მოხდეს, უფრო მეტი ინფორმაციის მოწოდებას შევძლებ.

ორივესადმი დიდი პატივისცემით  
 თქვენი  
 ნედ ბრაუნი (ხელმოწერა).“

**შპს „მ. ს. ე. არტისტ-ს“**

სააგენტო

მ. ს. ე.

პასუხი გამოგზავნეთ ამ მისამართზე

სანტა მონიკას ბულვარი 9370

ბევერლი ჰილსი, კალიფორნია

ტელეფონი კრესტ ვიუ 6-2001 ბრედშოუ 2-3211

1951 წელი, თებერვალი

მისტერ და მისის პაპაშვილებს

მარჯორი ჰილისთვის გადასაცემად

საფოსტო ყუთი 711

მილბროუ, კალიფორნია

„ძვირფასო ჰელენ და ჯორჯ,

ეს ნამდვილად პირველი შემთხვევაა, როცა შესაძლებლობა მომეცა, მშვიდად დამეჭდარიყავი და თქვენთვის წერილი მომეწერა. ალბათ წარმოგიდგენიათ, რა საშინელი ციებ-ცხელება მექნებოდა გასული ორიოდ კვირის განმავლობაში, რაც დაკავშირებული იყო ჩემს გადასვლასთან – „ფეიმოს არტისტიდან“ მ. ს. ე.-ში. ეს ძალიან ამაღლევებული და მნიშვნელოვანი ცვლილებაა, რადგან მეძლევა უზარმაზარი საშუალებები: შევარჩიო სწორი მიმართულება მასალებისა და კლიენტებისთვის და ვისარგებლო იმით, რომ ვიტრიალო ლიტერატურულ სამყაროსა და გასართობ სივრცეში მიმდინარე მოვლენების შუაგულში.

„ფეიმოს არტისტიმა“ გამომიგზავნა მათ მიერ 25 იანვრით დათარიღებული თქვენდამი მოწერილი წერილის ასლი, რამდენადაც მინდობილობა „პარამაუნტის“



გარიგების ჩეკთან იყო კავშირში და ახლდა 2.500.00 დოლარის ჩეკი. თქვენ უნდა მიიღებთ უნდა გქონდეთ.

საკომისიო გაიყო „ფეიმოს არტისტა“ და ნანინს შორის. ისე მოხდა, რომ სტორკის კლუბში დასაღვეად მისულ ნანინს შევხვდით და ჩეკი იქვე, პირადად გადავცეცი.

აქამდე არ მომეცა ჯორჯ სიტონის ნახვის საშუალება. აქაური კინოგაზეთებიდან გავიგე, რომ ის პალმ სპრინგსში წასულა ხანმოკლე არდადეგებზე. მაგრამ როგორც კი დაბრუნდება, უეჭველად შევხვდებით.

ძალიან ბევრს ვფიქრობ ნაწარმოებთან — „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ და კავშირებულ არაერთ შესაძლებლობაზეც, როგორებიცაა: რადიო, ტელევიზია და თეატრი. ნიუ-იორკში ყოფნისას ვესაუბრე ამ კომპანიის დადგმების განყოფილების ხელმძღვანელს, კეი ბრაუნს. მან, რა თქმა უნდა, იცის ეს წიგნი და ის მოსწონს. ჯერჯერობით არ მომეცა საშუალება, მივახლოვებოდი რადიოსა და ტელევიზიას, მაგრამ რადგანაც შემიძლია, ვიქექო უამრავ საქმეში, მაგ სიტუაციასაც მალე მივადგები. მანამდე, თუ რაიმე გნებავთ, ან მე შემიძლია დაგეხმაროთ, გთხოვთ, სასწრაფოდ შემატყობინოთ.

ორივესადმი დიდი პატივისცემით

თქვენი

ნედ ბრაუნი (ხელმოწერა).“

**1951 წლის 8 მარტი**

**მისტერ და მისის პაპაშვილებს**

**მ. ჰილისთვის გადასაცემად**

**საფოსტო ყუთი 711**

**მილბროუ, კალიფორნია**

„ფირდასო ჰელენ და ჯორჯ,

მე გავაკეთე „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ კონტრაქტის ფოტოასლი და მინდა, რომ ორიგინალი დაგიბრუნოთ, რათა თქვენთანაც იყოს და შეინახოთ. იქნებ შემატყობინოთ, სად გამოგიგზავნოთ.

იმედია, ორიგენი კარგ დროს ატარებთ და მოუთმენლად ველოდები უახლოეს ხანებში თქვენთან შეხვედრას. ამასთან დაკავშირებით, არც კი ვიცი, თქვენ ისევ სანაპიროზე ხართ თუ უკვე პენსილვანიაში ბრძანდებით, ან იქნებ, აღმოსავლეთში დაბრუნდით. ალბათ, ორიოდ კვირაში მოგვეცემა შეხვედრის შესაძლებლობა, რადგანაც მაგ დროისათვის მეც აღმოსავლეთში ვაპირებ ყოფნას.

საუკეთესო სურვილები ორივეს,

თქვენი

ნედ ბრაუნი (ხელმოწერა)

ალტა ვისტა ვეი 490

ლაგუნა ბიჩი

კალიფორნია.“

ფგს. სააგენტო „მ. ს. ე. არტისტი“  
პასუხი გამოგზავნეთ — სანტა მონიკას ბულვარი 9370  
ბევერლი ჰილსი, კალიფორნია  
ტელეფონები: კრესტვიუ 6-2001, ბრედშოუ 2-3211  
1951 წლის 1 აპრილი  
მისის ჰელენ პაპაშვილს  
ფერმა „ერთობა“

კვაკერთაუნი, პენსილვანია

„ძვირფასო ჰელენ,

სამწუხაროდ, ჩვენ ერთმანეთს „ავციდით.“ ხანმოკლე ვიზიტით ვიყავი ნიუ-იორკში და სულ ახლახანს დავბრუნდი სანაპიროზე, სადაც აღმოვაჩინე, რომ თქვენი 19 მარტი დათარიღებული წერილი მელოდებოდა.

აქვე, თან ვურთავ აყველადფერი შეიძლება მოხდეს“-თვის გაფორმებული კონტრაქტის ორიგინალს. როგორც გითხარით, მე მაქვს ჩემი საქმიანი ქალაქების ფოტოასლები. გთხოვთ, შემატყობინოთ მათი მიღება, რათა ვიცოდეთ, რომ თქვენ ნამდევ უზიფათოდ მოაღწია.

იმედი მაქვს, თქვენც და ჯორჯსაც ყურები გეწვოდათ, რადგანაც არა მხოლოდ ნანინთან მქონდა თქვენს — ორივეს შესახებ სასიამოვნო საუბარი, არამედ ელიზაბეთ ლოურენსთანაც. მშვენიერია, როცა ადამიანს კარგი მეგობრები ჰყავს.

იმედია, თქვენ და სიტონები კარგ დროს გაატარებთ, როცა ნიუ-იორკში შეხვედებით ერთმანეთს.

ველოდები თქვენგან ახალ ამბებს.

საუკეთესო სურვილებით თქვენ და ჯორჯს.

თქვენი,

ნედი (ხელმოწერა)

ნელ ბრანდი.“

იმავე ფურცელზეა მინაწერი:

„ძვირფასო ჯორჯ და ჰელენ,

თქვენ შეგიძლიათ წიგნში მოთხრობილი ჩემი ამბავი გამოიყენოთ რადიოშიც,

ტელევიზიაშიც და მხატვრულ ფილმშიც.

ჰაჯი ბეი“

(ხელმოწერილია ლურჯი ფანქრით - რ.ნ.)“

დიდმა რეჟისორმა მწერლებს წერილი გამოუგზავნა:

კორპორაცია „პარამაუნტ ფიჭერზი“

დასავლეთ სანაპიროს სტუდიები

მარათონის ქუჩა 5451 ჰოლივუდი 38, კალიფორნია

ტელეფონი საკაბელო მისამართი

ჰოლივუდი 9-2411 „ფარმფილმი“

## პერლბერგის და სიტონის პროდუქცია

ჯორჯ სიტონის ოფისი

1951 წლის 28 მაისი

„ძვირფასო ჰელენ და ჯორჯ,

წერილს ახლავს საბოლოო ვერსია სცენარისა: „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“ ველავ და ინტერესით ველოდები მასზე თქვენს კომენტარებს. ჩემი აზრით, სცენარი ბევრად გაუმჯობესდა გიორგის და ჰელენის უფრო გახსნილი, გულდია ურთიერთობებით. ამასთან ერთად, ახალი შემადგენლობა მეტად კრავს სურათს და ის მოვლენებიც, რომლებიც მანამდე ოდნავ ამოვარდნილად გამოიყურებოდა, ახლა ცენტრალური ხაზიდან უფრო ბუნებრივად ამოზრდილს ჰგავს.

უთუოდ შეამჩნევთ რამდენიმე ცვლილებას, რომლებმაც შეიძლება, შეგაკრთოთ კიდევ; პირველი — ზურაბეგის შეცვლა ნური ბეით. ამის მიზეზია ბრინის ოფისის საზღვარგარეთის განყოფილება, რომელიც ჩვენი ცენტრის კოლეგიაა. ისინი მაღალი მოთხოვნებით უდგებიან ნებისმიერი ეროვნული ჯგუფის ან უცხოური მთავრობის (რაც იმავდროულად, უცხოურ ბაზარსაც ნიშნავს) შეურაცხყოფის თემას. მათი ერთ-ერთი თურქი ექსპერტის სიტყვებით, ზურაბეგი არ არის თურქული სახელი და თურქეთში სასაცილოდ ჩაითვლება და ა. შ. აქედან გამომდინარე, ის ნური ბეიდ „მოინათლა,“ რასაც ყველა ადგილობრივი თურქის და მათ შორის თურქეთის კონსულის ნებართვა აქვს; ამის ვათვალისწინება ჩვენმა იურიდიულმა განყოფილებამაც გვირჩია, რადგანაც ერთადერთი, სადაც დავაფიქსირეთ, ფარაჩინა ქალაქია, რომელიც მათი აზრით, იურიდიული დოკუმენტი ნაკლებადაა (ჰო, მართლა, ჰელენ, როგორც მთხოვე, გიგზავნი ამ საბუთს).

შემდეგი, რაზეც შეიძლება წარბები შეიჭმუნხნოთ, არის სიმღერა „Goulem Jon“-ის გადატანა დაგვემილი ეპიზოდიდან ინდიელების სიტუაციაში. როცა პირველი სცენა გადავწერე, მოულოდნელად გავაცნობიერე, რომ გაჩნდა პრობლემა. თავისთავად იგულისხმება, რომ ძია ჯონი უფრო ნელი ტემპო-რიტმით იმღერებს სიმღერას, ვიდრე გიორგი და სიტყვები: „Jon, Jon, Goulem Jon,“ იმდენად ადვილი ამოსაცნობი იქნება, რომ მხოლოდ იდიოტი ვერ მიხვდება იმწუთშივე, რომ ეს იგივე მელოდიაა. ამის გამოსცენა თითქმის ხელუხლებელი დავტოვე; მათ შორისაა აგრეთვე, გიორგის ლილინ ვეფხვის შესახებ, რომელიც მთიდან ჩამოდის ბარში. ის შეიძლება გადაიწეროს, როგორც კი შემცვლელ სიმღერას ვიპოვით.

ახლა „Goulem Jon“-ის ინდიელებთან გადატანის შესახებ. ჩავთვალე, რომ დასვენების უქმე დღეს **ალექსის ცეკვის ნახვის შემდეგ**, გმირების ამგვარი გაორება არაღამაჯერებელი იქნებოდა. ვფიქრობ, უფრო მეტ ხიბლს შეიძენს სცენა, როცა ისინი „Goulem Jon“-ს იმღერებენ ინდიელებთან ერთად, რომლებიც ამათ მარტივ მისამღერზე ბუნებრივად შეუერთდებიან, ანუ ხან დაასწრებენ, ხანაც დააგვიანებენ.

თქვენ შეამჩნევთ, რომ სცენარი აღრინდელთან შედარებით ოდნავ გრძელია, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ გადაღებების დაწყებამდე დაახლოებით ათი გვერდით შევამცირობ. თუ რამე მოსაზრება გაქვთ, რედაქტირებასთან დაკავშირებით, აუცილებლად მითხარით.



ჯერაც არ მიმიღია ქართული დიალოგები, რათა ჩავსვა ისინი შესაბამის ადგილებში. ჰელენ, ძალიან დამავალბებ, თუ მით გამომიგზავნით, როცა კი დრო გექნებათ. აქ სტუდიაში ერთი ქართველი ვიპოვე, რომელსაც შეუძლია მსახიობებს ასწავლოს სწორად გამოთქმა ქართულად და მინდა, ამ ეტაპზე ცოტა წინ წაიწვიოთ, რათა როცა გადაღებებს დავიწყებთ, ამან არ შეგვაფერხოს.

როგორც ჩანს, ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის და ალბათ, აქაურობას 17 იენისისთვის დავტოვებთ. ნიუ-იორკში გადაღებას 20 იენისს დავიწყებთ. ვიმედოვნებ, რომ გადაღებებზე დასასწრებად ორივე მოახერხებთ ნიუ-იორკში ყოფნას. ვფიქრობ, კარგად ვაერთობით, თანაც მესიამოვნება თქვენს გვერდით ყოფნა და შემქმლება თქვენი მიმართულებით შეკითხვის მომასწავებელი მზერის გამოტყობრცნა.

ჩვენ დიდი კასტინგი ჩავატარეთ. მე მგონია, რომ ჩვენი არჩევანით დიდად ნასიამოვნები დარჩებით. ანას როლზე ევგენია ლეონტოვიჩი ავიყვანეთ და ვფიქრობ, საოცრად კარგი იქნება. არ ვიცი, იცით თუ არა რომელია, მაგრამ დაახლოებით 30 წლის წინ, ეს არაჩვეულებრივი ქალი თეატრის წამყვანი მსახიობი იყო. მან ახლათონდავ გადააბიჯა 50-ს და ისეთივე მიმზიდველი და კოპწიაა — თავიდან ფეხებამდე, რომ ზედგამოჭრილი ანაა. რაც შეეხება ძია ჯონსს, შესაძლოა, მისი აღნაგობის გამო ცოტა იმედგაცრუებულნი დარჩეთ. ჩვენ ავიყვანეთ ლუდვიგ დონათი, რომელიც ყოველმხრივ ძია ჯონია, გარდა სიმაღლისა — ის მხოლოდ 5 ფუტი და 11 ინჩია. თუმცა იმის გამო, რომ როგორც მამაკაცს და როგორც მსახიობს დიდებული აღნაგობა აქვს, უფრო დიდის შთაბეჭდილებას ახდენს. ისე მოხდა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად უნდა აგვეჩინა 6 ფუტის და 3 ინჩის სიმაღლის მამაკაცი, რომელიც არ იყო ძია ჯონი, ან ვინმე სხვა, რომელიც 6 ფუტზე დაბალი იყო. მე ამ უკანასკნელისკენ ვიხრები და იმედია, თქვენც. ტარიელისთვის დავიბევეთ მიხაილ რაზუმნი, მშვენიერი შემსრულებელი. არა მგონია, სხვები იცოდეთ, მაგრამ დამიჯერეთ, ჩვენ ვეცადეთ რაც კი შეგვეძლო და ვფიქრობ, ანას სახლის საინტერესო ხალხით დასახლებაში წარმატებას მივალწიეთ — კარიკატურულთ კი არა, დიდებული გმირებით. მე ალბათ, კიდევ რამდენიმე ამბავი არ მოამბნია თქვენთვის, მაგრამ რადგანაც ჯერ კიდევ ვფიქრობ მათზე, თქვენ კიდევ მიიღებთ ჩემს წერილებს.

ფილისი, მერი და მარკი უერთდებიან ჩემს დიდ სიყვარულს ორივე თქვენგანისადმი.

სიყვარულით (ხელმოწერა).“

ჩანართის სახით: ფილისი — ჯორჯ სიტონის მეუღლეა, მერი და მარკი — შვილები.

**აქვეა:**

„ძია ჯონის მიერ გაკეთებული ჩანაწერი ჰელენისთვის, რომელსაც ის ჯორჯს ასმენინებს თავის ბინაში;

„სულიკოს“ მელიოლია:

ქალსა ლამაზსა ელენეს  
უარს ვერ ვეტყვი ამაზე  
მოვიშორო ეს სიმღერა  
და ამით. . . . .

(აქვეა მოცემული ქართული ხმოვანების გამოთქმის მაგალითები; სიმღერის ტექსტის ინგლისური ვერსია და ქვევით მისი სწორი გამოთქმის ადევკვატი. შემდეგ ისევ გამოთქმის ვ ზამკვლევი — რ.ნ.)

**ფილმზე მუშაობა დაიწყო...**

რეჟისორმა სიტონმა ეს წერილი გამოგზავნა, მერე სხვაც, არაერთი... მწერლებიც მშვიდად განიხილავდნენ და საკუთარ მოსაზრებებს უზიარებდნენ.

ერთი მაგალითი — ჰელენის პასუხი. გარდა იმ პატივისცემისა, რომელიც ამ საქმიან ბარათში იკითხება, მწერალი ქალი არაერთ საკითხს ძალიან ფაქიზად (თუ ფრთხილად) განმარტავს. იმ დღეს მიღებული წერილიდან მხოლოდ ერთი ადგილი არ წაუეჩითა ცოლმა ქმარს, არ გააგებინა. სამაგიეროდ, ჯორჯ სიტონისადმი გაგზავნილ საპასუხო წერილში ეს ამბავი მისეული განმარტებით, რეჟისორს აუხსნა. მისთვის მიუღებელი ეპიზოდის დაუშვებლობა თავად რეჟისორთან შეთანხმდა. ხსენებული ეპიზოდი იმითაცაა საინტერესო, რომ როგორც ირკვევა, ამ დროისათვის საქართველოში გიორგის მამა — ვანო ცოცხალია და ამის შესახებ პაპაშვილებმა პენსილვანიაში იციან.

აი, ჰელენის პასუხიც რეჟისორის, ჯორჯ სიტონისადმი:

„ძვირფასო ჯორჯ,

სცენარი მივიღეთ. მე და ჯორჯმა ის ძალიან ყურადღებით წავიკითხეთ და მოგვეწონა. არ დავკარგავ იმაზე დროს, რომ ყველაფერი გითხრათ, რაც განსაკუთრებით მიმზიდველია, რადგან ეს თითქმის მთელს ამ ფურცელს და ძალიან დიდ დროს დაიკავებს.

მინდა რამდენიმე უმნიშვნელო საკითხის შესახებ დავისვათ კითხვები:

**გვერდი 11:** სახელი „სანდრო“ როგორც ქართული, ისე მოგაწოდეთ. სრულიადაც არა ვარ დარწმუნებული, რომ ეს სირიული სახელია. უმჯობესია, შეამოწმოთ. კიდევ ერთი — გიორგი და ნური მას პირველად მე-11 გვერდზე ხვდებიან, თუმცა 33-ე გვერდზე თქვენ მიანიშნებთ, რომ ისინი ერთად ჩამოვიდნენ გემით (სანდროს მეორე რეპლიკა მაგ გვერდზე).

**გვერდი 12:** თუ შეგვიძლია რომ სანდროს სიტყვები: „ძალიან ძვირია მოწყობა;“ შევცვალოთ ამით: „ძალიან ძვირია ფიქსურის დაქირავება,“ ან რაიმე მსგავსი ვერსიით?

**გვერდი 34:** გიორგიმ უნდა გამოიყენოს გამოთქმა — „პილიგრიმი მამა?“

**გვერდი 37:** ვეფხვის სიმღერა. გინდათ, ახლავე გიმოვით სხვა სიმღერა თუ მოიცდით თქვენს ჩამოსვლამდე?

**გვერდი 40:** ძია ჯონი ამბობს: „ბიჭო გოგია,“ რომელიც ასე გამოითქმის Bee jo Go ge ah!

**გვერდი 40:** ...ვეფქრობ, „ვარიანტი“ უფრო სწორი ტერმინია, ვიდრე „ვარიაცია.“

**გვერდი 44:** ანა არ უნდა მოეხვიოს მას ამ გარემოებაში — ეს ოდნავ ზედმეტია.

**გვერდი 71: კადრი 144:** — არ შეიძლება მათი განთავსება ერთი დიდი მრგვალი მაგიდის გარშემო? — ეს უფრო დამახასიათებელია.. თუ შეიძლება, რომ ასე გადაიღონ.

**გვერდი 76:** ძია ჯონი ამ გვერდის ბოლოს იქნებ, ოდნავ შეცვალოთ? ჯორჯის მამა ცოცხალია და ვფიქრობ, ამან შეიძლება ის გაანაწყენოს (ეს ფრაგმენტი არ წამოიკითხავს მისთვის). იქნებ ასე გეთქვათ — „პატარაობიდანვე ჯორჯი სრულიად მარტო იყო...“ ძია ჯონისადმი „განსაკუთრებული პატივისცემით განიმსჯვალა“ და ა.შ.

**გვერდი 81:** ანას მეორე სიტყვა. იქნებ ასე შეგვეცვალოთ: „უკეთესი იქნებოდა, მას მადამ გრეშინასნაირი ლედი შეჰყვარებოდა.“

**გვერდი 95:** ჰელენის მეორე სიტყვა ქედმაღლურად ჟღერს — ისინი ბავშვები არიან და ა. შ.

**გვერდი 123:** ძია ჯონის სიტყვები ინდაურების შესახებ შეუსაბამოა — ისინი არ ატარებენ სათვალეს, ან თუნუქის აბჯარს და არ კორტინან ერთმანეთს — ასეთები მხოლოდ ლეგჰორნის ქათმები არიან (ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ფერმერული ბიზნესი).

**გვერდი 126:** ჰელენის პირველი გამოსვლა — „როგორც ჩანს, ჰიანჭველები გაყავს.“ რას ნიშნავს ეს?

ან „—, „ჰიანჭველები შარვლებში“ — არა, ძვირფასო ჯორჯ, ნუ მათქმევინებთ ამას, თვით ირიბადაც კი...“

**გვერდი 126:** მაინცადამაინც კმაყოფილი არა ვარ გიორგის და ჰელენის ურთიერთობით. ისეთი განცდა მიჩნდება, რომ ჰელენი მას ერთგვარი დამოკიდებულებით უყურებს, ამგვარით — „შტორმის დროს ყველა პორტი კარგია;“ რაც იმის გამოძახილია, რომ აღრე ის მიატოვეს. გარდა გადაკრულად ნახსენები „ურუანტელის მოგვრისა“ 141-ე გვერდზე, ის ჯორჯისადმი დიდ სიყვარულს არ გამოხატავს. ფილმის გმირებისთვის ეგებ, ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ისინი მე და ჯორჯი ვართ და მე მგონი, თუ ჩართავთ შეხედულებათა სისტემას და წარმოიდგინებთ, თქვენი და ფილმის ურთიერთობის ამგვარი სახით გაშუქებას, მიხვდებით, რასაც ვგულისხმობ. მგონი, სიტყვა 128-ე გვერდზე, ოდნავ აღლეგებს ჯორჯს — ეს ერთგვარი, „მეორადი“ აზრია, რომელიც ეხება მისი კულტურის ერთ-ერთ საკითხს. სინამდვილეში არა მგონია, ბევრი ცვლილების გაკეთება მოგიხდეთ; გარდა სიტყვისა 128 გვერდზე, რომელიც იწყება: „იყო ვიღაც...“ იქნებ შევძლოთ მისი ოდნავ შემსუბუქება, ან თუნდაც, საერთოდ გვერდის აგლა და შემდეგ, მოგვიანებით 141-ე გვერდზე ჰელენს შევძლო უფრო მეტი ელაპარაკა, გარდა იმისა, რომ მარტო ეკანკალა, ასე არაა? ეს ყველაფერი იმდენად კარგად გესმით, რომ მსუბუქი ეპიცი კი არ მიჩნდება, რომ შეგიძლიათ ამის ორიოდ სიტყვით ჩამოყალიბება.

უკანასკნელი საკითხი ილიკოს შეეხება — კარგი იქნებოდა, გვეჩონოდა საშუალება, რომ სცენარი გადაღებების დაწყებამდე მასაც წაეკითხა, რათა გაუგებრობას არ ჰქონოდა ადგილი, რადგანაც ეს ფაქტებისა და გამონაგონის ნაზავია. თუმცა, ის არ იქნება ქალაქში დაახლოებით 20 რიცხვამდე. თუ შეგვიძლია მოცდა, დაეტოვოთ როგორც არის, ხოლო თუ ვერ მოვიცდით, მაშინ აჯობებს სახელის

შეცვლა (და არა დიალოგების, ან კიდევ სხვა რაიმესი). მაგალითად, შეგიძლიათ გმირს დაარქვათ შალიკო [თომოშვილი].

ქართულ სიტყვებს და სიმღერების ტექსტებს გივზავნით სხვა კონვერტი. ველოდებით თქვენთან შეხვედრას. გვაცნობეთ ჩამოსვლის დრო და ადგილი. სიყვარულით ყველა თქვენგანისადმი.“

თანამშრომლობა გრძელდება:

**კორპორაცია „პარამაუნტ ფიჭერზი“  
დასავლეთ სანაპიროს სტუდიები  
მარათონის ქუჩა 5451 ჰოლივუდი 38, კალიფორნია  
ტელეფონი საკაბელო მისამართი  
ჰოლივუდი 9-2411 „ფარმფილმი“  
პერლბერგის და სიტონის პროდუქცია  
ჯორჯ სიტონის ოფისი  
1951 წლის 13 ივნისი**

„ძვირფასო ჰელენ და ჯორჯ,

ძალიან დიდი მადლობა თქვენი წერილისთვის. პასუხთან ერთად გივზავნით სცენარის უახლეს ვერსიას, რომელიც ჩემი აზრით, დიდწილად ასწორებს იმას, რაც თქვენ არ მოგეწონათ გიორგის და ჰელენის ურთიერთობასთან დაკავშირებით. კიდევ ერთხელ გადაკითხვისა და მას შემდეგ, როცა უფრო ღრმად ჩავუფიქრდი, მეც იგივე გრძნობა დამეუფლა, რაც თქვენ. ისევ რჩება ორიოდ საკითხი, რომლისთვისაც ჯერ არ მიმიხედავს და სასწრაფოდ მივაქცევ ყურადღებას.

ახლა კი თქვენს მცირე შენიშვნებს ვუპასუხებ:

**გვერდი 11:** თქვენ მართალი იყავით, სანდრო არ არის სირიული სახელი. ფაქტიურად, სხვათა შორის რეალურადაც, ის ყმაწვილი, რომელიც ამ როლისთვის შევარჩიეთ, არცთუ ისე მუქია. ასე რომ, ერთგვარად მივედი დასკვნამდე, რომ მას შეეძლო განესახიერებინა ლიტველი – ადამიანი, რომელსაც გიორგი გემზე შეხვდა. თუმცა, თქვენს მიერ წაკითხულ სცენარში სანდრო არ არის გემზე, გადაღების დროს ის იქ იქნება.

**გვერდი 12:** „ძალიან ძვირი ჯდება მოწყობა“ – საკმაოდ უცნაურია, რომ თავშიც არ მომსვლია ის, რაც თქვენ იფიქრეთ ამ ფრაზასთან დაკავშირებით. ასევე, ჩვენმა ცენზურის კომიტეტმა, ბრინის ოფისმაც ვერაფერი აღმოაჩინა მანდ; ისინი დიანაც, მენდეთ, ყოველად უწყინარ შენიშვნებშიც კი სიბინძურეს ხედავენ ხოლმე. თუმცა, რადგან ეს საკითხი წამოწიეთ, მე აუცილებლად შევცვლი მას.

**გვერდი 34:** რაც შეეხება გიორგის მიერ გამოყენებულ გამოთქმას: „პილიგრიმი მამა.“ როცა უამრავ ბროშურას გავეცანი მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით, მე ხშირად მხვდებოდა ეს ფრაზა და ვიფიქრე, რომ შესაძლოა, ის ჩაბეჭდოდა გიორგის მენსიერებაში.

**გვერდი 37:** ვეფხვის სიმღერა. ჰელენ და ჯორჯ, პირველი, რის გაკეთებასაც ვგმ-



მედიტ, „სულიკოს“ გამოყენება იყო. ჰელენის ბინაში მეორე ვიზიტისას გამოვიყენებთ ქართულ თემაზე აგებულ მელოდიას, რომელიც ჩვენმა ერთ-ერთმა კომპოზიტორმა აღმოაჩინა. ჩვენ ეს იმისთვის გავაკეთეთ, რომ შეგვძლებოდა მასზე ინგლისური ტექსტის დადება, რომელსაც თავად ეკრანზე მსახიობები არ იმღერებდნენ. სტუდიაში თვლიან და ამას მეც უნდა დავეთანხმო, რომ თუ ის პოპულარული გახდება რადიოში და თუ მას ფირფიტაზეც ჩაწერენ, ეს ფილმს წაადგება.

- გვერდი 40:** ვიზრუნებ „ბიჭო გოგიაზე.“
- გვერდი 40:** სიტყვა „ვარიაციას“ შევცვლი „ვარიანტით.“
- გვერდი 44:** ანა არ ჩაეხუტება გიორგის.

**გვერდი 71: — კადრი 144:** მიზეზი, რის გამოც სადილად მსხდომ ადამიანთა მცირე ჯგუფით გავითამაშე სცენა ისაა, რომ ამ ეპიზოდში ჰელენი, ჯორჯი და ძია ჯონი მარტონი უნდა იყვნენ. ეს რომ დიდი მაგიდის ირგვლივ მომხდარიყო, ყველა გაიგონებდა მათ საუბარს და ჩემი აზრით, ეს ყველასთვის შემაცბუნებელი გარემოება იქნებოდა. გარდა ამისა, კინემატოგრაფიული თვალსაზრისით, პრაქტიკულად შეუძლებელია ყველა ამ პერსონაჟის მაგიდის ირგვლივ გადაღება. ასე კი ეპიზოდი საყურებლად ძალიან დაჩეხილი, ხოლო მოსასმენად გამაღიზიანებელი გახდება. თუმცა, მგონი, სცენარში მითითებულია ბანქოს მაგიდები, მე ნამდვილად არ ვვულისხმობ მათ. მე ვხედავ მთელ ოთახში პატარ-პატარა ჯგუფებად კომფორტულად მყოფ ადამიანებს, რომლებიც იქ მდგარ სხვადასხვა ავეჯს იყენებენ. ჩვენი შეხვედრისას შეგვიძლია, რომ ეს ეპიზოდი ისევე განვიხილოთ.

**გვერდი 76:** წარმოდგენა არ მქონდა, რომ ჯორჯის მამა ისევე ცოცხალია. აუცილებლად მოვახდენ თქვენს მიერ შემოთავაზებულ ცვლილებას.

**გვერდი 81:** ჩემი აზრით, ანას სიტყვის თქვენეული ვერსია სჯობს — „უკეთესი იქნებოდა მას მადამ გრეშენანსაირი ლედი შეჰყვარებოდა.“

**გვერდი 95:** ჰელენის სიტყვები: „ისინი ბავშვები არიან,“ სრულიადაც არ გულისხმობს ქედმაღლობას. აქ მინდოდა, მეჩვენებინა ქართველების უზარმაზარი ენთუზიაზმი და უბრალოება, მათი უნარი — გადაიტანონ ცხოვრებისეული შეუსაბამობები, სიძნელები, რისი ყურებაც ამერიკელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და მათი ნიჭი — იარონ მართებული გზით. შეგვიძლია, ეს საკითხი ისევე განვიხილოთ. მე შემიძლია შემოვთავაზოთ, რომ მსახიობს, რომელმაც ეს როლი უნდა შეასრულოს, საგანგებოდ თქვენთვის წავაკითხო ტექსტი. სხვათა შორის, ჰელენის როლისთვის კიმ ჰანტერი გვყავს შერჩეული. ის ძალიან კარგად არის ცნობილი ნიუ-იორკში და ვფიქრობ, ბრწყინვალე იქნება.

**გვერდი 123:** ინდაურებს მივხედავ

**გვერდი 126:** დემეტმა დამიფაროს!!! მე არასდროს მეყოლებოდა ფილმებში ისეთი ვინმე, ვინც იტყოდა, ან თუნდაც გაიფიქრებდა ფრაზას: „ჭიანჭველები შარვლებში.“ აგისნით: გვექნება კადრი — ჰელენის თვალთ დანახული ფერმის ზედი, რომელშიც სან-დიეგოდან და საერთოდ, ამერიკის სხვადასხვა შტატიდან ჩამოსული მგვობრები მუშაობენ სახურავზე, ღებავენ სახლს, შეაქვთ და გამოაქვთ სამშენებლო მასალები. ამ სურათს (კადრებს) უნდა მოხდინა დიდი აქტიურობის, ჭიანჭველებ-





ისტვის დამახასიათებელი მუყაითი შრომის შთაბეჭდილება.

**გვერდი 126:** არავითარ შემთხვევაში არ მქონია განზრახვა, რომ ფილმში ჰელენის დამოკიდებულება გიორგისადმი ყოფილიყო როგორც — „შტორმის დროს ყველა პორტი კარგია.“ ჰელენ, გულწრფელად ვფიქრობ, რომ თქვენი წუხილი უსაფუძვლოა. უამრავი „ემშაკობა“ არსებობს; ისეთი ხერხები, რასაც სცენარში წინასწარ არაფერს არ წერს და რასაც იმედი მაქვს, ფილმში გამოვიყენებ. მეტიც, დარწმუნებული ვარ. ჰელენს უყვარს ეს კაცი სადღაც სცენარის შუა ნაწილიდან. როცა ყველაფერი დამთავრდება, საზოგადოებას ექნება განცდა, რომ ადრინდელი, საკმაოდ მწარე გამოცდილების გამო, ის ეწინააღმდეგებოდა ემოციურ ძახილს, რომელსაც გრძნობდა. დარწმუნებული ვარ, როცა ახალ ვერსიას წაიკითხავთ, რომელსაც ახლა, ფილმის დასასრულს, ერთობ ნაზი ეპიზოდი აქვს, ეს უფრო ცხადი გახდება. თქვენ ასევე შეამჩნევთ, რომ ამოვიღე გულგრილობა, რადგან თქვენი არ იყოს, ეს ძალიან არაბუნებრივად და საკმაოდ იაფფასიანად მომეჩვენა. ჩვენ შეგვიძლია ამ ყველაფერზე დეტალურად კიდევ ერთხელ ვიმსჯელოთ, როცა ერთმანეთს შეგვხვდებით, თუმცა, ვიდრე შეგვხვდებოდეთ, მინდა, მანამდე წაიკითხოთ ახალი სცენარი, რადგან გულწრფელად მჯერა, რომ ის ბევრად გაუმჯობესებულია.

ახლა ილიკოსთან დაკავშირებით. იმედია, ის არ იქნება წინააღმდეგი, რომ ნახოს ყმაწვილი, რომელმაც იგი უნდა განასახიეროს. მე პირიქით მგონია, რომ ის ნასიამოვნები დარჩება. მართალია, ადრე მოგწერეთ, რომ უნდა ავგვეყვანა ნიუ-იორკელი მსახიობი, გვარად ბარზელი. არადა, უკანასკნელ მომენტში ვიპოვეთ შესანიშნავი არტისტი, რომლის გვარი — დანაროვია. მას უმშვენიერესი სახე და საოცრად დახვეწილი (ოღონდ სრულიად არაგამალიზიანებული) მანერები აქვს, რაც კი ოდესმე მინახავს და დარწმუნებული ვარ, ილიკოს საბოლოო პორტრეტი ისეთი იქნება, რომ ის არ გაბრაზდება. და თუ მაინც გაბრაზდა, ჩვენ შეგვიძლია სახელი შევცვალოთ — შალიკოთი.

მსახიობების შეცვლასთან დაკავშირებით:

როგორც იცით, თქვენდამი მოწერილ ჩემს უკანასკნელ წერილში აღვნიშნე, რომ ძია ჯონის როლში ვაპირებდით ლუდვიგ დონათის დაკავებას და ვვარაუდობ, თქვენც მიხვდით, მიუხედავად იმისა, რომ ის კარგი მსახიობია, ფიზიკურად არ შეესაბამება პროტოტიპს. როგორც იტყვიან, უკანასკნელ წუთს, გამალებული ძეხნის შემდეგ, გავიფიქრე ნიუ-იორკელი მამაკაცის შესახებ, მისი სახელია — ოსკარ ბერეგი. ის ჩამოვაფრინეთ, რათა შეგვეჩვენა მისთვის და მოგვესმინა მის მიერ წაკითხული ტექსტი. მე ვფიქრობ, ის მშვენიერი იქნება. მას თოვლივით თეთრი თმა აქვს, 75 წლის არის და გააჩნია ძველი სამყაროსათვის დამახასიათებელი კეთილშობილება, რაც არაჩვეულებრივია. ის უნგრელია და ყველა ევროპელმა, ვისაც კი დაველაპარაკე, მითხრა, რომ დღესდღეობით ის ყველაზე დიდი ვარსკვლავია, რაც კი ბუდაპეშტს ოდესმე უნახავს. მუნჯი კინოს შემდეგ მას კინემატოგრაფში არ უშეშავია და ახლა ამ როლის შესრულება მისგან დიდ შრომას მოითხოვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბრძოლად ღირს.

აქაურობას 16 ივნისს ვტოვებთ. ხვალ — 17-ში ჰემპშირ ჰაუსში ვიქნებით. გადაღებას 21-ში ვიწყებთ. ასე რომ, თუკი 20-ში შეძლებთ ჩამოსვლას, შესაძლებლობა გვექნება გადაღებების დაწყებამდე განვიხილოთ უკანასკნელი ცვლილებები. ასევე, თქვენ შეგეძლებათ დარჩეთ რამდენიმე დღე, რათა ნახოთ როგორ გაცოცხლდება „ყველაფერი“ ფილმში.  
ფილისი და ბავშვები მიერთდებიან ორივე თქვენგანისადმი სიყვარულში და დიდ მადლობას გიხდებიან წერილისთვის.  
სიყვარულით (ხელმოწერა).“

არც ღიმილიანი წერილებია იშვიათი:

**ამერიკის მუსიკის კორპორაცია**

**სააგენტო**

**პასუხი გამოგზავნეთ — სანტა მონიკას ბულვარი 9370**

**ბევერლი ჰილსი, კალიფორნია**

**ტელეფონები: კრესტიუ 6-2001, ბრედშოუ 2-3211**

**1951 წლის 6 ივლისი**

**მისტერ ჯორჯ პაპაშვილს**

**ფერმა „ერთობა“**

**კვაკერთაუნი, პენსილვანია**

„ძვირფასო ჯორჯ,

თან ვურთავ დღევანდელ „პოლივუდ რიპორტერში“ გამოქვეყნებულ პატარა, გესლიან შენიშვნას, რომელიც აცნობებს მხატვრული ფილმების ამქარს, რომ შენ უღალატე სამწერლო კარიერას მსახიობობის სასარგებლოდ. ბუნებრივია, გისურვებ უზარმაზარ წარმატებას, მაგრამ არ თვლი, რომ როგორც შენს წარმომადგენელს დასავლეთ სანაპიროზე, უნდა მცოდნოდა ამის შესახებ, რათა მოემზადებინა კონტრაქტები და გამომეკლო 19 პროცენტი შენი ხელფასიდან?

ახლა კი სერიოზულად — გუშინ სტუდიაში ჯორჯ სიტონი ვნახე და სასიამოვნო საუბარი გვქონდა. მან მითხრა, რომ შენ მონაწილეობ ფილმის ზოგიერთ სცენაში ნიუ-იორკში და აშკარად უზომოდ მოგწონს საკუთარი თავი.

სიტონისაგან გავიგე, რომ ფილმის საქმე კარგად მიდის და მჯერა, რომ ის ძალიან წარმატებული იქნება, რაც, რა თქმა უნდა, მის შემდგომ საავტორო უფლებებს უფრო ღირებულს გახდის.

ჩემი საუკეთესო სურვილები შენ და ჰელენს.

შენი ნედ ბრათუნი

(ხელმოწერა).“

არქივს ოჯახის წევრების მიერ ამ საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა აღრესატთან გაგზავნილი წერილებიც შემოუნახავს:

1951 წლის 16 ივლისი

„ძვირფასო მისტერ პირშებერგ,

გმადლობთ 7 ივლისით დათარიღებული წერილისათვის.

ეწუხვარ, რადგან ვშიშობ, რომ ბევრად ვერაფერში დაგებმარებით.

იდეა, რომელიც შემოგვთავაზეთ მოთხრობისთვის, ჩვენთვის რა თქმა უნდა, ახალი არ არის. ჩვენი პირველი წიგნის შემდეგ „ალყაშემორტყმულები“ ვიყავით ქურნალებით, რომლებსაც უნდოდათ შეგვექმნა მისი ვარიაციები. პერიოდულად, რაც დღემდე გრძელდება: თუკი რომელიმე რედაქტორი აღმოაჩენდა ამ იდეას, რატომ არ უნდა მიგვეცა მათთვის ეს საშუალება — შეექმნათ მოთხრობა ნამდვილ ქართველებზე, რომლებიც იღხენენ, მღერიან, წვავენ შაშლიკს — ან გაგვეკეთებინა ჩვენ, გვწიგნებინა, როგორები არიან ისინი რეალურ ცხოვრებაში, როგორ იქცევიან და ა. შ.?

მაგრამ, ჩვენი მხრიდან ამაზე ყოველთვის უარს ვამბობდით და მგონია, რომ ასევე გაავარქმელებთ, რადგან ჩვენი აზრით, ამის საფუძველი გვაქვს.

მიზეზი ბევრია და რთული. პირველ რიგში, ჯორჯს და მე არ მოგვწონს ამ ტიპის მოთხრობა. ჩვენ ჰკუას არ ვკარგავთ საჭაროობაზე და ვაკეთებთ იმას, რასაც ვთვლით, რომ აუცილებლად საჭიროა, თუმცა ზოგადად, ამის გარეშეც უფრო ბედნიერები ვართ. მაგალითად, ჩვენი უკანასკნელი წიგნის შემთხვევაში, მისი წარდგენების რაოდენობა, რომლებზეც ავტოგრაფებს ვარიებდით, ორამდე შევზღუდეთ, ხოლო რადიოში მხოლოდ „MMMCB“-ის შოუში გამოვედით, ისიც ძველი ამბანაგის ხათრით. ტელევიზიით გადაცემაშიც მხოლოდ ერთხელ ვიყავით და არ ვფიქრობ, რომ გავიმეორებთ ამას და ვეჭვობ, რომ ჯორჯს უნდოდეს. თუ რაიმეს თქმა გვინდოდა ჩვენი ცხოვრების, ჩვენი მეგობრების და ჩვენს შესახებ, ეს წიგნებით გავაკეთეთ.

მეორე მიზეზიც ასევე, მნიშვნელოვანია ჩვენთვის. 1944 წელს, სანამ ACH („ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ინგლისური აბრევიატურა — რ.წ.) გამოქვეყნდებოდა, არც „კოლიერსი“ და არც სხვა ჟურნალები არ დაინტერესდნენ სტატიით ან ფოტო-ნაამბობით ქართველების შესახებ. მათ იმიტომ მოუნდათ ეს მასალები ახლა, რომ ამყარად შერჩევითობით და კარგად შეფუთვით წარმოდგენილები არიან ახალ, მნიშვნელოვან განზომილებაში. როგორც სასმელის გამოხდის პროცესს ქიმიურად უკუღმა ვერ დაატრიალებ, ისევე, შემოქმედებითს. კარგად გადაღებული მხატვრული ფილმი კონცეფციას კი არ ანგრევს, არამედ მას სხვა ფორმით წარმოგვიდგენს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჯორჯ სიტონის სცენარი რეალურად აფართოებს დანტაზიას.

ნებისმიერმა ნამდვილმა წიგნმა უნდა დახატოს არა სტატიკური პერსონაჟები, არამედ ისეთები, რომელთა გაღრმავება და განვითარება მკითხველს თავის წარმოსახვაში შეეძლება. როცა ამას შეგვეცავ ე.წ. „დოკუმენტური“ მოთხრობით, ნაწარმოების მხატვრულობა იკარგება; რომანში გამოყენებული ცუდი ილუსტრაციებითაც კარგავ მკითხველს. ნამდვილ გიორგის, ნამდვილ ილიას, ნამდვილ ძიავანოს ვერ შეედრებიან მკითხველის წარმოსახვაში არსებულები.

გარდა ამისა, პრაქტიკულად ბევრნი აღარ არიან ისინი, ვისთანაც გინდათ ითანამშრომლოთ. ჩემი აზრით, ილია უარს იტყვის; ძია ჯონი და ჩანჩო აღარ არიან ცოცხლები. წარმოდგენა არ მაქვს, როგორ უნდა მივაგნო ზურაბეგს, რომელსაც



ახლა სცენარში ნური ბეი ჰქვია. ფაქტობრივად ყველა ქართველი თვლის, რომ ის მკვდარია, მაგრამ მე — არა. უკანასკნელად როცა „მოკვდა“, მერე ჩინეთში აღმოჩნდა, მანამდე — სოკენში, შესაძლოა, ახლა [კიდევ სადმეა]. ვგრძნობ, რომ ამ შემთხვევაში ყველა საშუალებას მივმართავ, რათა მისი მკვდრეობა აღდგომა სასიამოვნო იყოს.

ამდენი იმიტომ დავწერე, რომ ვიცი, რა გულმოდგინედ მუშაობთ ამ თემაზე და ვწუხვარ, რომ უნდა გაგაწბილოთ, თანაც იქნებ წერილში ნახოთ რამე ისეთი, რაც მიგანიშნებთ, თუ რა მიმართულებით შეგვიძლია დაგეხმაროთ (თუკი საერთოდ შეგვიძლია) თქვენს მომავალ მოთხრობებში.

გულწრფელად თქვენი.“

**კორპორაცია „პარამაუნტ ფიჩერზი“  
დასავლეთ სანაპიროს სტუდიები  
მარათონის ქუჩა 5451 ჰოლივუდი 38, კალიფორნია  
ტელეფონი საკაბელო მისამართი  
ჰოლივუდი 9-2411 „ფარმფილმი“**

1951 წლის 20 ივლისი  
მისტერ ჯორჯ პაპაშვილს  
ფერმა „ერთობა“

კვაკერთაუნი, პენსილვანია  
„ძვირფასო მისტერ პაპაშვილო,

1951 წლის 29 ივნისს თქვენ და ელია ლუის გილვიდმა იმუშავეთ ჩვენს ფილმზე სათაურით, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“ გილდიაში წარსადგენად საჭიროა, მივიღოთ ორივე თქვენგანის სოციალური დაცვის ნომერი. გიგზავნით ორივეს ვაუჩერებს. გთხოვთ, მოაწეროთ ხელი იქ, სადაც დასმულია X ნიშანი და დაგვიბრუნოთ თქვენი სოციალური დაცვის ნომრებთან ერთად. მიღების შემდეგ ფოსტით გამოგიგზავნით ჩეკებს თქვენ მიერ გაწეული მომსახურების ასანაზღაურებლად.

მადლობელი ვიქნებით, თუ ამას რაც შეიძლება სწრაფად გააკეთებთ.  
გულწრფელად თქვენი

კორპორაცია „პარამაუნტ ფიჩერზი“  
ვმ. კოვიტი (ხელმოწერა)  
ბიზნეს-მენეჯერი

„კასტინგის და ტალანტების განყოფილება.“

ჰელენს უამრავი იდეა აქვს და ისიც იცის, როგორ შეიძლება მათი პრაქტიკულად განხორციელება. გონიერი ადამიანია და საინტერესო შეთავაზებებიც აქვს. ერთი მაგალითი (ყურადღება მიაქციეთ, ვის მიმართავს):

1951 წლის 27 აგვისტო  
„ძვირფასო მისტერ ჰირშბერგ:

თუ მოისურვებთ, არის მცირე რეკლამის საშუალება ზოგიერთი თქვენი მასხრიობისთვის და ვფიქრობ, ამის გამოყენებაც შეიძლება (ვიცი, რომ ეს „კოალიციისთვის“ დაგეგმილი მოთხოვნის ექვივალენტური არ არის, მაგრამ შეიძლება, რაიმეში გამოგადგეთ).

რამდენიმე წლის წინ მე და ჩემმა მეგობარმა, რუთ ბრაუნმა გამოვიგონეთ თამაში, რომელსაც მერე ხშირად ვთამაშობდით ხოლმე. „გულ ჰაუსკიპინგის“ რედაქტორმა ჩათვალა, რომ ის მხიარული იყო და შეიძინა ჟურნალისთვის.

გიგზავნით პრეზენტაციის ასლს, რომელიც თვითგანმარტებადია (ან უნდა იყოს). ჩვენ ვგვგმავდით, გამოგვეყენებინა ზოგიერთი „ცნობადი“ მწერალი, მხატვარი და ა. შ., რომლებსაც წლების განმავლობაში უთამაშობთ ჩვენთან. შემდეგ ვიფიქრე თქვენზე და იმ შესაძლებლობაზე, რომ ზოგიერთი თქვენი კინომსახიობი გამოგვეყენებია.

ჯულიან მიულერი „გულ ჰაუსკიპინგიდან“ წინააღმდეგი არ არის; მეტიც, ის თვლის, რომ ეს მშვენიერი იქნება; იმ პირობით, თუ ისინი იქნებიან „საშუალო მკითხველისთვის კარგად ცნობილი წამყვანი ვარსკვლავები და არა დამწყენნი.“

შეიძლება იყვნენ ქალებიც და კაცებიც (უმჯობესია ორივენი). რა თქმა უნდა, თქვენ გულშიც არ უნდა გაივლოთ ასეთი სისულელეებით მისტერ ფარერის შეწუხება, მაგრამ შეგიძლიათ, გამოიყენოთ ვინმე სხვა ACH-ს შემადგენლობიდან, ისევე, როგორც მსახიობები ნებისმიერი თქვენი ფილმიდან.

დამავიწყდა მეკითხა ჯულიანისთვის, რამდენი ადამიანი სჭირდება, მაგრამ ვფიქრობ, დაახლოებით ხუთი. გიგზავნით ბლანკებს უკვე შესაცხებად გამზადებული კითხვებით (ჩვეულებრივ, კითხვები ვერბალურად ისმება, ხოლო პასუხები იწერება სუფთა ფურცელზე, მაგრამ ვიფიქრე, რომ ეს საკმაოდ რთული იქნებოდა გაფანტული ინდივიდებისთვის. უკეთეს პასუხებს ღებულობ, როცა რესპონდენტმა არ იცის, რას უნდა ელოდოს და აქვს საშუალება წინ გაიხედოს და კითხვებზე პასუხი წინასწარ მოამზადოს).

რასეღ ჯენის ფურცლის ნიმუში წარმოდგენას შეგიქმნით პასუხებზე (ახლა „წინდების დაკეცვა“ — მოფიქრება არ გინდა?!).

პასუხები რაც შეიძლება სწრაფად დამიბრუნეთ, რადგან მჭერა, რომ „გულ ჰაუსკიპინგმა“ თამაში აღრიხანად დაგეგმა.

მეორე სარეკლამო შენიშვნა: სექტემბერში აღენთაუნის ხელოვნების მუზეუმში ჯორჯს ექნება თავისი სკულპტურების გამოფენა. თუმცა, როგორც ვიცი, რამონა პერლმანმა „პარპერსიდან“ დაუგზავნა ნამუშევრების ფოტოები, განცხადებები და ა. შ. ყველას, ვინც შეიძლება დაინტერესდეს... ყოველ შემთხვევაში, მას არა აქვს არავითარი კავშირი კინოსთან. თუ თვის განმავლობაში აღმოსავლეთში იქნებით, ძალიან გაგვახარებთ პირადად თქვენთან შეხვედრით, ასევე, ჯორჯის გამოფენის დათვალიერებით.

თქვენი

(ხელმოწერა).“

აქვე:

„ძვირფასო ჰელენ,  
გაძლევ უფლებას, გამოიყენო ისტორია ჩემს შესახებ.  
(ემილია ჰუგო რარპენსი).“

**კორპორაცია „პარამაუნტ ფიქჩერზი“  
დასავლეთ სანაპიროს სტუდიები  
მარათონის ქუჩა 5451 ჰოლივუდი 38, კალიფორნია  
ტელეფონი საკაბელო მისამართი  
ჰოლივუდი 9-2411 „ფარმფილმი“  
1951 წლის 13 სექტემბერი**

„ძვირფასო მისის პაპაშვილო,

გმადლობთ ბარათისა და გულლია მოპატივებისთვის. ამაზე მეტს არაფერს  
ვისურვებდი, მაგრამ ვეშიშობ, კარგა ხანი ვერ ჩამოვალ აღმოსავლეთში. და როცა  
ნიუ-იორკში მოვხვდები, იმედია, შემიფარებთ.

რაც შეეხება „ვეულგარული ინტერესის“ თამაშს: ვცდილობ, ზოგიერთმა ჩვენმა  
წამყვანმა ვარსკვლავმა პასუხი გასცეს კითხვებს, მაგრამ როგორც ჩანს, გარკვეულ  
„უხალისობას“ აქვს ადგილი. მაგალითად, ყველა მეკითხება მერვე კითხვის შესახ-  
ებ: „როგორ ფიქრობთ, რითი მოკვდებით?“ როგორც ეტყობა, ისინი ამ კითხვას  
ცოტა პათოლოგიურად მიიჩნევენ. თუმცა, ამაზე ვმუშაობთ.

თუ შევსებული კითხვარები მომავალი კვირის დასაწყისში მაინც მივიღეთ,  
სასწრაფოდ გამოგვგზავნიოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვეშიშობ, თავის დანებება  
მოგვიწევს. მაგრამ ახლა ისინი პასუხების ვაცემის პროცესში არიან და უკეთესის  
იმედს ვიტოვებ. ცხადია, ეს იქნებოდა მშვენიერი სარეკლამო გარდგევა როგორც  
ფილმისთვის, ისე მასში მონაწილე მსახიობებისთვისაც.

გმადლობთ, რომ ფიქრობთ ჩვენზე და მიიღეთ დიდი პირადი სიმპათია.

გულწრფელად

ჯეკ ჰირსბერგი (ხელმოწერა).“

**კორპორაცია „პარამაუნტ ფიქჩერზი“  
დასავლეთ სანაპიროს სტუდიები  
მარათონის ქუჩა 5451 ჰოლივუდი 38, კალიფორნია  
ტელეფონი საკაბელო მისამართი  
ჰოლივუდი 9-2411 „ფარმფილმი“  
1951 წლის 25 სექტემბერი**

„ძვირფასო მისის პაპაშვილო,

გიბრუნებთ „ვეულგარული ინტერესის“ სამ ბლანკს. სამწუხაროდ, უნდა გაც-  
ნობოთ, რომ მოთამაშებმა, რომლებსაც დაგუჯავშირდით, ოდნავ იყოყმანეს მათ  
შესავსებად... და აღარ მინდა, კიდევ უფრო შეგაყუვნოთ.

დიდი მადლობა, რომ ჩვენზე ფიქრობთ. შესაძლოა, სხვა დროს უკეთ მოგემსახ-  
უროთ.

ჩემი დიდი პატივისცემა თქვენ და თქვენს მეუღლეს.

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ წინასწარმა ჩვენებამ მხიარულად ვხვდებით, რომ კარგი ფილმი გვაქვს.

გულწრფელად,  
ჯეკ ჰირშბერგი.“

„სპეციალურ კოლექციაში“ ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი წერილია. ერთი – იმ „განსაკუთრებულთა“ რანგიდან. გამოჩრეული გულწრფელობით, უშუალობითა და სითბოთი; დიდი რეჟისორის წერილი:

**კორპორაცია „პარამაუნტ ფიქჩრზი“**  
**დასავლეთ სანაპიროს სტუდიები**  
**მარათონის ქუჩა 5451 ჰოლივუდი 38, კალიფორნია**  
**ტელეფონი საკაბელო მისამართი**  
**ჰოლივუდი 9-2411 „ფარმფილმი“**  
**1951 წლის 5 სექტემბერი**  
**ბელბერგის და სიტონის პროდუქცია**  
**ჯორჯ სიტონის ოფისი**  
**„მეირფასო ჯორჯ და ჰელენ,**

მოკლედ, ყველაფერი დასრულდა! ფილმი ორიოდ კვირის წინ დავასრულეთ და იმ წუთშივე გავედით ქალაქიდან. მე და ფილისმა ბავშვები ლაგუნაში წავიყვანეთ და დიდებული დრო გავატარეთ. ეს იყო ყველაზე მძიმე სურათი, რომელზეც კი აჭამდე მიმუშავია და გამოვიფიტე. მაგრამ ახლა ყველაფერი უკან დარჩა და გულწრფელად ვფიქრობ, რომ ისეთი ფილმია, რომ არცერთ ჩვენგანს არ შერცხვება. ის ჯერ კიდევ საკმაოდ გრძელია და სჭირდება მონტაჟი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ძირითადად დასრულებულია. ფილმიდან სულ პატარა კადრის ამოჭრაც კი საკუთარი სისხლის დაკარგვის ფასად მიჯდება, მაგრამ ეს ამ სფეროს (გნებავეთ, ბიზნესის) „მთავარი ტკივილია.“ ანუ ფილმის შემოკლება სტანდარტულ სიგრძემდე. მსახიობების თამაში ძირითადად ჩინებულია. ხოზე ფარერი მშვენიერია. ამას სევდიანი მხარეც ახლავს, რადგან ის იმდენად კარგია, რომ ვერასდროს მიიღებს იმ პატივისცემას, რასაც იმსახურებს. ის ისე იოლად ანსახიერებს და ისეთი ბუნებრივია, რომ საქმეში ჩაუხუდავი ადამიანი იფიქრებს, რომ ადვილი რაოლია. სინამდვილეში ეს ძალიან რთული იყო. როგორც ადრე გითხარით, გადაღებების დაწყებამდე გარკვეული შიშები მქონდა მის პიროვნებასთან მიმართებაში. მეშინოდა, რომ ის ვერ „დაიჭერდა“ გმირის პატიოსნებას და გულწრფელობას და ვლელავდი, რომ ნებისმიერი „პროფესიონალური“ მორჩილება გულისამრევი იქნებოდა, მაგრამ ხოზე ზემთაგონებული იყო. ის იმდენად ღრმად შეიჭრა გმირის ხასიათში, იმდენად მოერგო მას, რომ აღარ შეეძლო რაიმე არასწორად გაეკეთებინა. მან გმირის ცხოვრება გაიარა; მან შეიგრძნო თავისი პერსონაჟი; ის იყო „გმირი.“ გამომდინარე იქიდან, რომ ის დაემსგავსა ადამიანს, რომელიც განასახიერა. მისი მანერები ბუნებრივი და ჩვეულებრივია. ჩემი აზრით,

კიმ პანტერი ჰელენის როლში არაჩვეულებრივია. ისიც საოცარი უბრალოებით და პატიოსნებით თამაშობს. ის არც გარეგნობით და არც შესრულებით არ ჰგავს ცინი-ომახიობს. ძია ჯონი, ანა, ბესო და ნური ბეი უფრო პრობლემატურები იყვნენ და მათგან როლის „ზუსტი შესრულების“ შედეგის მიღება ნამდვილად ისევე ძნელი იყო, როგორც სიბრძნის კბილის ამოღება; მაგრამ მთლიანობაში მე მგონი, ყველამ მაინც კარგად გაართვა თავი. საოცარია, როგორ ზღვება ყოველი მათგანი ზოგიერთი მასუბრების ფავორიტი. ბუნებრივია, ტექნიკური პერსონალის ბევრმა წარმომადგენელმა ნახა ფილმი და სიმპათიები თითქმის თანაბრად გაიყო. დიდი ნაწილი თვლის, რომ ძია ჯონი „ქაჩავს“ ფილმს, მეორე ჯგუფი ნური ბეის აღმერთებს, და ა.შ. და ა.შ. ეს ძალიან ჯანსაღია და საკმაოდ ბედნიერი ვარ ამით. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო ფორმა არ აქვს, ვისურვებდი, რომ ორივენი აქ ყოფილიყავით და თქვენც გენახათ. ვერ გეტყვით, როდის გვექნება გაჭირავებაში გასასვლელი ასლი, რადგან ზოგიერთი განყოფილება, როგორებიცაა: მუსიკალური, ჩაწერის და ა. შ. უსაშველოდ დაკავებული არიან და ველოდებით ჩვენს რიგს. თუმცა, როგორც ვხვდებით, დაუხვეწავი ვერსია ნოემბრისთვის იქნება მზად.

შემოდგომის მიწურულს ინგლისში მოგზაურობას ისევე ფიქრობთ? თუკი ეს ასეა, მე შემოძლია გადავდო ჩემი ვიზიტი ნიუ-იორკში თქვენს დაბრუნებამდე. ფილმის ვადალების დროს ძალიან ხშირად მინატრია, რომ იქ ყოფილიყავით — არა მარტო იმიტომ, რომ თქვენი რეაქცია მცოდნოდა სხვადასხვა სცენასთან დაკავშირებით, არამედ თქვენი გვერდზე დგომა ჩემთვის ძალიან კომფორტული იქნებოდა. ძალიან ამაყები იქნებოდით რომ გენახათ, თუ როგორ ეპყრობოდა ყველა მსახიობი თქვენს ნამუშევარს. ისინი გამონატავდნენ პატივისცემას, სიტბოს და ენთუზიაზმს გმირების მიმართ და მათი უმეტესობა ნამდვილ ერთობლივ ძალისხმევას იჩენდა. დარწმუნებული ვარ, გმირებს შორის ურთიერთობები სწორედ ისეთია, როგორიც თქვენ ჩაიფიქრეთ.

მე მესიამოვნება თქვენი ამბების გაგება, არა მარტო თქვენი გეგმების შესატყობად. არამედ ისე, უბრალოდ რომ ვიცოდე, როგორ ხართ. ასე რომ, თუ დროს გამონახავთ, მომწერეთ.

ფილისი, მერი და მარკი უერთდებიან ორივე თქვენგანისადმი ჩემს დიდ სიყვარულს.

(ხელმოწერა).“

P. S. გიბრუნებთ „ვეფხისტყაოსანს“. . . გმადლობთ, რომ მათხოვეთ. ვერ ვიტყვი, რომ თავიდან ბოლომდე წავიკითხე. ჯორჯ, უნდა მოგიხელთო, კვანძის გახსნა რომ მიამბო.

ჯ. ს.“

კორპორაცია „პარამაუნტ ფიჭერზი“  
ტაიმ სკვერი, ნიუ-იორკი, 18  
ბრაიანტ 9-8700 საკაბელო მისამართი „ფარმფილმი“  
ჰერბ შტეინბერგი  
სარეკლამო მენეჯერი



**1951 წლის 11 დეკემბერი**

**მისის ჰელენ პაპაშვილს**

**კვაკერთაუნი, პენსილვანია**

„ძვირფასო მისის პაპაშვილო,

გიდასტურებთ, რომ ხუთშაბათს, 27 დეკემბერს შედგება სპეციალური ჩვენება, რის შესახებაც ვისაუბრეთ გუშინ საღამოს, ფილმის — „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ნახვის შემდეგ.

მადლობელი ვიქნები, თუკი თქვენი წარმომადგენელი დამიკავშირდება და მაცნობებს, თუ ვის შეიძლება ველოდოთ, რათა განვიხილოთ ფილმის ჩვენების შემდეგ გასამართ წვეულებასთან დაკავშირებული გეგმები.

ჩვენ აღტაცებულები ვართ გუშინდელ „საღამოს ჩვენებაზე“ მაყურებლების მიერ გამოხატული რეაქციით და როგორც უკვე გითხარით, ყველაფერს ვილონებთ, რათა ფილმს ისეთი სარეკლამო კამპანია ჰქონდეს, როგორსაც იმსახურებს.

დიდი პირადი პატივისცემით

გულწრფელად,

ჰერბ შტეინბერგი (ხელმოწერა).“

**კორპორაცია „პარამაუნტ ფიქჩერზი“**

**დასავლეთ სანაპიროს სტუდიები**

**მარათონის ქუჩა 5451 ჰოლივუდი 38, კალიფორნია**

**ტელეფონი საკაბელო მისამართი**

**ჰოლივუდი 9-2411 „ფარმფილმი“**

**პერლბერგის და სიტონის პროდუქცია**

**ჯორჯ სიტონის ოფისი**

**1952 წლის 7 თებერვალი**

„ძვირფასო ჯორჯ და ჰელენ,

კიდევ ერთხელ მოგიხდით ბოდიშს წერილის დაგვიანებისთვის, მაგრამ მწერალ-სცენარისტების გილდიის ყოველწლიური შოუს პროდიუსერად და რეჟისორად ამიყვანეს, რაც ჩემთვის დიდ თავისტიკვილად იქცა. აღმოვაჩინე, რომ საბენეფისო წარმოდგენები ბევრად უფრო მძიმე საქმეა, ვიდრე ერთდროულად ექვს ფილმზე მუშაობა.

თქვენს ანუ, პაპაშვილების მიმართ სატელევიზიო გამოკითხვების რეიტინგში მე და ფილისმა დიდი ინტერესი დავინახეთ. როცა პროგრამაში მონაწილეობას ვიღებდით ჩვენი მიზანი ცხადია, „ტელევიზიის სიკვდილის გამოცხადება“ იყო. ჩვენ დარწმუნებულები ვიყავით, რომ როგორც კი ეკრანზე გამოვჩნდებოდით, თითოეული ჩვენი მაყურებელი კინოთეატრების დარბაზებს მიაწყდებოდა. მჯერა, რომ თქვენს მეზობლებსა და მეგობრებს საღი აზრი აღმოაჩნდათ და ტელევიზორების ყურებას თავი დაანებეს. და თუ ეს არ გაუყვითებიათ, შეგიძლიათ, შეაშინოთ შესაძლებლობით, რომ უახლოეს მომავალში ჩვენ შეიძლება ისევ გამოვჩნდეთ სხვა პროგრამაში.

გმადლობთ ასევე, თქვენი წერილისთვის ფილმის **იუნესკოში ჩვენების შემდეგ**

როგორც რამდენიმე ადამიანისგან და აგრეთვე „პარამაუნტის“ ნიუ-იორკის ოფის-  
იდან გავიგე, ის საკმაოდ კარგად მიუღიათ და დელეგატებს მოსწონებიათ. ვერც კი  
გადმოგცემთ, რა მადლიერი ვარ, თქვენ რომ მონაწილეობა მიიღეთ.

მეორე მხრივ, იმ მტარვალეებმა, რომლებსაც თავიანთ სვეტებში ადამიანებ-  
ის ჯვარზე გაკერა სიამოვნებთ, უკვე დაიწყეს ჩაკირკიტება ფილმზე და მოწად-  
ინებულები არიან მისი „ჩავარდნა“ იხილონ. ბუნებრივია, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ,  
რომ დავუპირისპირდეთ მათ. ვფიქრობ, რომ აქ და ნიუ-იორკში მოწყობილი ჩვენ-  
ებები კარგი ბიძგი იყო კამპანიის დასაწყებად. ჟურნალმა „ლუკი“ ის აპრილის თვის  
მთავარ სარეცენზიოთემად შეარჩია; ამ კვირაში „ლაიფი“ აკეთებს დიდ რეპორტაჟს  
ფარერზე და მგონი აპირებენ, შეარჩიონ დაახლოებით, სადღაც ამ გაზაფხულისთ-  
ვის და დაასახელონ კვირის ფილმად; ჟურნალმა „ფეარენტი“ (რომელსაც შეუ-  
ძლია სალაროს შემოსავალზე იმოქმედოს) ის აპრილის თვის ფილმად შეარჩია და  
ასევე, აჯილდოვებს მას მედლით, რასაც ისინი ძალიან იშვიათად აკეთებენ. როგორც  
ვიცი, კიდევ რამდენიმე ჟურნალი აპირებს მის რეკლამირებას და დარწმუნებული ვარ,  
ეს იმუშავებს. სადღაც მარტის ან აპრილის განმავლობაში ჩამოვალ აღმოსავლეთში  
და ვიმოგზავურებ სამხრეთშიც, რათა დაველაპარაკოლიბერალურ რედაქტორებს და  
საზოგადოებრივი აზრის შემქმნელებს; იმ იმედით, რომ დავაწერიოთ სარედაქციო  
წერილები და შევქმნათ ერთგვარი მოთხოვნილება კინომაცურებლის მხრიდან. რა  
თქმა უნდა, მთავარია, იმას მივალწიოთ, რომ იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც  
ადგილობრივი კინოთეატრების მენეჯერებს ჰკითხავენ და გაარკვევენ, თუ როდის  
აპირებენ ისინი ამ ფილმის ჩვენებას. ეს გარემოება თავისთავად იმოქმედებს შე-  
კვეთებზე. ასეთი დამოკიდებულებით „კვაკერი“ კარგად ვრცელდება, რადგან ისინი  
მოუწოდებენ მათი პუბლიკაციების მკითხველებს ასე მოიქცნენ და გავიგე, რომ ხოზე  
ფარერმა მსგავსი განცხადებით მიმართა იუნესკოს დელეგატებს.

ვიცი, რომ ორივემ შემოგვთავაზეთ ყველაფერში დაგვხმარებოდით, რაც კი  
შეგეძლოთ, რისთვისაც სამუდამოდ მადლიერი ვარ.

თუ ვახსოვთ, როცა აღმოსავლეთში ვიყავი, ერთ დღეს ვახსენე ერთი აქაური  
ნამდვილი ქართველი, რომელიც არ იყო დაქირავებული ფილმის ტექნიკურ მრჩე-  
ვლად და რომელმაც ცოტა შეგვაწუხა, რადგან მოდიოდა და გვეუბნებოდა, რომ  
ყველანი, ამ ფილმთან დაკავშირებულები, კომუნისტები ვიყავით. მე დავადგინე  
და მისი სახელია სანდრო ნებლო.\* როგორც მახსოვს, ის პათეტიკურად მაღალ-  
ფარდოვანი ტიპია, რომელიც წარუმატებლად წერს და როგორც ჩანს, საკმაოდ  
გამწარებულია, რადგან არ აღიარეს მეორე ტოლსტოიდ. არა მგონია, მასთან და-  
კავშირებით რაიმეს ვაკეთება შეგეძლოს. მე უბრალოდ ვახსენე მისი სახელი, რომ  
საჭიროების შემთხვევაში, შეგეძლოთ მისი ცნობა.

თქვენ მალე მიიღებთ „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ აკინძულ სცენარს ფოტოე-  
ბთან ერთად. ვიფიქრე, რომ ის დაემატება „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ნათარგმნი  
გამოცემების კოლექციას. ამასთან ერთად, გიგზავნით სიყვარულს და მადლიერებას.

ბავშვები კარგად არიან და ფილმისთან ერთად სიყვარულით მოგიკითხავენ.

(ხელმოწერა).“

*\*ჩანართის სახით: მწერალი სანდრო ნებლო — იგივე, ალექსანდრე პაპუაშვილი. ემიგრაციაში წავიდა ჯერ საფრანგეთში, შემდგომ ცხოვრობდა შვეიცარიულ შტატებში. წერდა ინგლისურ ენაზე პროზაულ ტექსტებს; გამოცემული აქვს ზეთი წიგნი. გარდაიცვალა ლოს-ანჯელესში (კალიფორნია), 1954 წელს.*

კორპორაცია „პარამაუნტ ფიჭერზი“

ტაიმ სკვერი, ნიუ-იორკი, 18

ბრაიანტ 9-8700 საკაბელო მისამართი „ფარმფილმი“

ჰერბ შტეინბერგი

სარეკლამო მენეჯერი

1952 წლის 19 მარტი

მისტერ ჯორჯ პაპაშვილს

ფერმა „ერთობა“

კვაკერთაუნი, პენსილვანია

„ძვირფასო ჰელენ,

მოთხრობა გუშინ მივიღეთ და ამით საოცრად გახარებული ვარ. ის „პერალდ ტრიბუნს“ გადაეცა და ვფიქრობ, ისინი გამოიყენებენ მას არაუგვიანეს შემდეგი ორი კვირისა.

ძალიან მეწყინა თქვენი ავადმყოფობის შესახებ რომ შევიტყვე და იმედია, აშუამდ სრულად განიკურნეთ. ახალი არ არის, როცა კინოკომპანიებთან დაკავშირებული ადამიანები ავადდებიან, მაგრამ გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ ჩვენს აურზაურსა და სიჩქარეს არ გამოუწვევია თქვენი ავადობა.

პრემიერასთან დაკავშირებული დღეების განრიგი შეთანხმებულია. ფილმის ჩვენება შედგება მეიფერის თეატრში, მსოფლიო პრემიერაზე ერთი კვირით ადრე, 3 აპრილს, საღამოს 12 საათსა და 1 წუთზე. ფარერი აანთებს გიგანტურ, 100-ფუტის პლაკატს მეიფერის თეატრის წინ შეკრებილი რამდენიმე ათასი ადამიანის თვალწინ, რასაც მოჰყვება თეატრის სცენაზე ფარერის ყველა ბროდვეული შოუს რეტროსპექტივა.

ჩვენ ძალიან გაგვიხარდება, თუკი დროულად ჩამოსვლის შემთხვევაში, თქვენ და ჯორჯი ჩვენი სტუმრები იქნებით. ჩვენთვის პატივია ღონისძიებაზე თქვენი დასწრება.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა დახმარებისთვის. დამირეკეთ გეთაყვა და მაცნობეთ, იქნებით თუ არა ნიუ-იორკში გახსნაზე.

გადაეცით ჩემი საუკეთესო სურვილები ჯორჯს და ვიმედოვნებ, რომ სანამ ეს წერილი მოაღწევს თქვენამდე, უმჯველად უკვე კარგად იქნებით.

გულწრფელად

ჰერბ შტეინბერგი (ხელმოწერა).“

გვიანი საღამოს ხალხმრავალი შეკრება, ზეიმი, არაჩვეულებრივი განწყობა, სინათლე, ბევრი სინათლე, უამრავი ნიჭიერი ადამიანი და ფილმის ნახვის სასიამოვნო მოლოდინი... ეს ყველაფერი იყო...

ყოველი ადამიანი განსხვავებულად კითხულობს წიგნს; თუმცა, ერთი „პატ-

არა“ გამონაკლისი ეგებ, მაინც აღვნიშნოთ: როცა ტექსტი პოპულარულია და ცნობილი, წინასწარი „ალტაცებითაც“ კითხულობენ... (ხანდახან, ჩასაფრებითაც). ნაწარმოების ეკრანიზაციას ძირითადად გამზადებული ემოცია ხვდება. ნაცნობი პერსონაჟების მიმართ, როგორც ასეთ შემთხვევებში ამბობენ, „სიტყვიერ სურათს“ ახალი, „წარმოდგენითი სურათი“ უნდა ჩაენაცვლოს. კარლო ინასარიძე მიუნხენში 1975 წელს გამოცემულ წიგნში „ფილმისმეტყველება“ ამ პრობლემაზე ზოგად კრილში საუბრისას წერდა:

„ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით შექმნილი „სურათი“, „გმირი“, „აქტოსფერო“ ვერასოდეს ვერ აკმაყოფილებს „ყველა“ მაყურებელს.“

ავტორს საინტერესო მაგალითიც მოჰყავს სწორედ „ქართული“ სივრციდან. პრაქტიკულად, მას შეუძლებლად მიაჩნია იდენტურობა.

„მაგალითად, შოთა რუსთაველის მიერ სიტყვით ასახული სახეობანი ტარიელისა, ავთანდილისა, ნესტან-დარეჯანისა თუ თინათინისა შეუძლებელია, ისე აისახოს ფილმურად, ე.ი. სურათოვნად, რომ ყოველმა მაყურებელმა აღიაროს ამ გმირთა „სიტყვიერი სურათისა“ და „ფილმური სურათის“ იდენტურობა... ავთანდილისა თუ თინათინის „წარმოდგენითი სურათი“ ყოველ მკითხველში „ერთნაირი“ და „განსხვავებულიცა“ ერთდროულად: „ერთნაირი“ შოთა რუსთაველის სიტყვიერი გამოსახვის ძალის შედეგად და „განსხვავებულია“ მკითხველის პიროვნული „მეობის“ შედეგად. ხოლო როცა ავთანდილის თუ თინათინის სურათი მოსჩანს ეკრანზე, მაშინ ყოველი მაყურებლის ფანტაზია „შებოჭილია“, ვინაიდან ფილმური სურათი კონკრეტული გამოსახვია...“

განსაკუთრებით საინტერესო ვფიქრობ, ერთი მონაკვეთია, რომლის ფრაგმენტს წარმოვადგენ, რაკილა ის ნაკლებადაა ცნობილი ქართველი მკითხველისთვის; აქ არა მხოლოდ „ფილმად ქცევაზე“ ლაპარაკი, არამედ საყურადღებოა, როგორ კითხულობს და „ხედავს“ თავადაც ემიგრაციაში მოღვაწე კარლო ინასარიძე მეორე გამორჩეული ქართველი ემიგრანტის — გრიგოლ რობაქიძის პოეტურ სტრიქონებს:

„ლირიკა არის პოეტის საკუთარი „მე“-ს გამოთქმა. ლირიკა განსხვავდება პროზისაგან თავისი რიტმულობით... ლირიკა თავდაპირველად სხვა არაფერი არ ყოფილა თუ არა სიმღერა, რომელსაც აცილებდა ინსტრუმენტი — ლირა; ამდენად, ლირიკა არის ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც იქმნება ენის მუსიკალური კანონზომიერების საფუძველზე... „საზღვარი ლირიკასა და ფილმს შორის თვალსაჩინოა: ლირიკას გააჩნია ენობრივ-მუსიკალური კანონზომიერება, ფილმს კი სურათოვან-მუსიკალური, ან სურათოვან-რიტმიული კანონზომიერება; და ალბათ, ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ არავის თავში არ მოსვლია ლირიკული ნაწარმოების ფილმად გადაღება. თუმცა, ლექსის ლირიკულობასა და რიტმს და ფილმის რიტმიულობასა და მონტაჟს შორის განსაზღვრული ნათესაობის აღმოჩენა შესაძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ენობრივი, მეორე კი სურათოვანი გამოსახვია. მაგალითად, გრიგოლ რობაქიძის ლექსი „მშობელი მიწის მიმართ“, თითქოს „დამონტაჟებული, რიტმიული ფილმური სურათებია.“

მიდამო მკვდარი. გარუჯული ლანდების კუთხე.  
ძველი საჯვარე. სურნელება დამკნარი დაფნის.  
სამარის სევდა. მოღუნება მლაშე და წუთხე.  
ობოლ ხატის წინ აცრემლილი სანთელი თაფლის.

თითოეული წინადადება თითქოს, ცალკეული ხედია („მიდამო მკვდარი,“ „გარუჯული ლანდების კუთხე“ თუ „ობოლ ხატის წინ აცრემლილი სანთელი თაფლის“), რომლებიც „დამონტაჟებულია“ ერთმანეთთან განსაზღვრული რიტმით; მაგრამ აღნიშნული „კონკრეტული სურათების“ გვერდით, ლექსში ჩართულია „აბსტრაქტული“ გამოთქმებიც, როგორც მაგალითად, „სურნელება დამკნარი დაფნის“ თუ „მოღუნება მლაშე და წუთხე.“ ფილმს უდავოა, შეუძლია „დამკნარი დაფნის“ ფოთლების ასახვა, მაგრამ იმისათვის, რომ მან მისი „სურნელება“ ასახოს, ამისათვის საჭიროა „დამკნარი დაფნის“ ფოთლის გარდა, ვთქვათ, ადამიანის სახე გვაჩვენოს, რომელზედაც ჩვენ „ამოვიკითხავდით“ „დამკნარი დაფნის სურნელებას.“ „მოღუნება მლაშე და წუთხე“ კი იმის საშუალებასაც არ იძლევა, რომ ეს „არაპირდაპირ“ გამოვსახოთ სურათოვნად.

ანალოგიური მაგალითის მოყვანა შეგვიძლია „ვეფხისტყაოსნიდანაც,“ - ავრძელებს ბ-ნი კარლო, მაგალითად, სიტყვები -

რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,  
მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან,  
ისმენდიან, ვაკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან;  
იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან, -

თითქოს ცალკეული ხედებისაგან რიტმიულად დამონტაჟებული სურათებია, მაგრამ აქვე ვპოულობთ „არასურათოვან,“ „აბსტრაქტულ“ აზროვან გამოსახვასაც:

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნვებ, რა ზნე გჭირსა!  
ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!  
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!  
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა.

ეს სიტყვები არ იძლევიან კონკრეტული სურათების წარმოდგენის საშუალებასაც კი, ვინაიდან აქ „წმინდა“ აზროვნებასთან გვაქვს საქმე, - მიიჩნევს ის.

რაც შეეხება ფილმს - „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“;

ცნობილი ქეშმარიტებაა, ლიტერატურული ნაწარმოები მკითხველისთვის იწერება, ხოლო ფილმი მაყურებლისთვისაა განკუთვნილი. ხელოვნების ყოველ დარგს გამოსახვის საკუთარი, პერსონალური „ენა“ გააჩნია. ეკრანიზაციის შემთხვევაში მაყურებელს მგონია, პარალელი „უშლის“ ხელს. როცა ე.წ. დამოუკიდებელ ფილმს უყურებ, სხვაგვარი კრიტერიუმებით აფასებ; ხოლო როცა ეკრანიზაციაა, უნებლიედ წიგნს ადარებ მისგან დატოვებულ ემოციასა და შთაბეჭდილებას.

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ — ფილმს შესაძლოა, ასეც დავარქვათ: თავდა-  
დასავალი „შეყვარებული ქართველის“ ცხოვრებიდან...  
მასზე კინომცოდნეებმა არაერთხელ დაწერეს, გამოაქვეყნეს...

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ კარგი ფილმია; უდავოდ! მთავარი იდეა —  
განსხვავებული წარმომავლობისა და მსოფლმხედველობის ადამიანთა მშვიდი  
თანაცხოვრების, პარმონიისა და ურთიერთგაგების ჩვენებაა. აქ არაერთი ძალიან  
კარგად გადაღებული, გააზრებული და სასაცილო ეპიზოდია, რომლებსაც პროფე-  
სიონალთა ხელი (და თვალი) ეტყობა.

სცენარზე მუშაობისას ერთმანეთისადმი გაგზავნილი წერილები „ფილმურ ტე-  
ქსტზე“ თვალის მიდევნების საშუალებას იძლევა. ის ხომ არაერთხელ გადაიწ-  
ერა... აზუსტებდნენ დეტალებს, სცენებს, ამა თუ იმ ეპიზოდის რეალობას ლამის  
აბზაც-აბზაც განიხილავდნენ. ერთმანეთს მოსაზრებებს უზიარებდნენ... წერილებს  
წერენ, კონვერტებს ხსნიან და სწრაფადაც პასუხობენ, არ აყოვნებენ. შედეგი  
ორივე მხარისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ჰელენისა და ჯორჯის ყოველი შენიშე-  
ნა დასაბუთებულია, ხოლო ფრაზები: „თუ შეიძლება“, „იქნებ“, ეტიკეტის დაცვისა  
და იმავდროულად, პატივისცემის ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს. ისიც ხაზგასას-  
მელია, როგორი ყურადღებით ისმენს და თანამშრომლობის სრული შეგნებით მუშა-  
ობს ცნობილი, დიდი რეჟისორი. თითოეულ შენიშვნას განიხილავს, ითვალისწინებს  
და საკუთარ მოსაზრებებსაც წარმოადგენს. ესაა გუნდი ერთიანი და მთლიანი!

— ეს „იმ“ კულტურის ენაზე გადაღებული ფილმია? — შესაძლოა, იკითხოს ვინმემ.  
რასაკვირველია. ეს ამერიკული ფილმია — სხვა პერსონაჟებითა და სხვა  
სათქმელით! ჯორჯ სიტონმა ყველაზე უკეთ იცის, რა მიზანს ისახავს, რა უნდა უთხ-  
რას თავის მსაყურებელს... მაშინაც, როცა ოსტატურად ჩასვამს ქართულ დიალოგებს  
და მას ტიტრებს არ დაურთავს, როგორც მაგალითად, ამგვარ ეპიზოდში:

გიორგი იპოვის ძია ვანოს და:

„— ძია ვანო, ძია ვანო, ეს მე ვარ, გიორგი, რაც ჩამოვედი, დაგეძებ...“

— ბიჭო გოგი, ბიჭო, ეგ შენა ხარ?

— ძია ვანო, არ მეგონა, რომ ოდესმე გიპოვიდი...“

ან:

„— ჰეი, ბიჭებო, მორჩით მუშაობას, დავლიოთ...“

პერსონაჟები შეცვლილია, რაც ვფიქრობ, წიგნისაგან განსხვავებით, კონ-  
ტრასტს უკარგავს ფილმს, მაგრამ ეკრანზე განვითარებული მოქმედების ნახვისას  
ხვდებით, რომ რეჟისორს სხვა სათქმელი აქვს. წიგნისეული რუსი ანა ფეოდოროვ-  
ნა ქართველი ანა გოგიძეა, რომელსაც (ცოტა უკაცრავი პასუხია და) „მოსულე-  
ლო“ ქმარი, ტარიელი ჰყავს, მაღამ გრემუკინას ნაცვლად — მაღამ გვიშიანი; რუსი  
ლუბა=ლუსიას ირონიზირებული სახე ქართველი გოგონას როლს მგონია, რომ ვერ  
მოერგო... ასევე, შეცვლილია ძია ჯონის სიკვდილის სცენა — ვთქვი, რეჟისორს სხვა  
სათქმელი აქვს-მეთქი: მოწაფეს დამსგავსებული ძია ჯონი. აქ „წესიერი ემიგრანტის“  
თემაა წამოწეული. ის არაა ამერიკის მოქალაქე; კბეებზე ჩამომჯდარი წუხს, გან-  
იცდის, გამოცდა რომ ვერ ჩააბარა... სიკვდილის წინ ჩააბარებს... ..მაგრამ მაინც

მგონია, ფილმში დაიკარგა ქართველი კაცი — მისი ღირსების ხაზგასმული შეგრძობა, მისი იუმორი, ის ლალი დამოკიდებულება სიძნელეებისადმი, რაც წიგნს ხდის მოხერხებულად. აქ ეს არაა. ამ ფილმის ნახვის შემდეგ ვგებ ვცდები, მაგრამ რატომღაც მგონია, მასურებელი რუკაზე გიორგის საშუალოდ არ მოძებნიდა; ისე კი, ფილმი ვგებ, მეორედაც ენახა, როგორც სასიამოვნო და კარგი საყურებელი ამბავი...

პროზაულ ნაწარმოებში გიორგი ხან ერთ სიმღერას მღერის: „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდაო“ და ხანაც მეორეს — „ჩონგური საქართველოა...“ ამერიკელი მასურებლისთვის სრულიად უცნობი მელოდიები და მსახიობებისთვისაც ალბათ, ძნელად წარმოსათქმელი „წ“, „ჟ“, „ჩ“...სხვა ბგერებიც. ფილმის ერთ-ერთი კომპოზიტორის საუკეთესო მიგნებაა, როცა ამ სიმღერებს ჩაენაცვლა ქართული სიმღერა „სულიკო“ — პოპულარული, მასურებლისთვის ყველაზე მეტად ცნობილი ეროვნული ნიშნით აღბეჭდილი ტკბილი მელოდია; სხვაგანაც, უკვე სხვა ეპიზოდში აქლერებულია ისევ ქართული მელოდია —

შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე...

სულში ჭირიმე... გულში ჭირიმე...

ერთი ფრაგმენტი უნდა გამოვყოვდგარ უილიამსის „ფილადელფია ენქაიფრის“ ფურცლებზე იმ გამოსათხზავარ დღეებში (ჯორჯ პაპაშვილის გარდაცვალების გამო) გამოქვეყნებული სტატიიდან:

„1952 წელს წიგნის მიხედვით ფილმი გადაიღეს. მისტერ პაპაშვილის როლი ხოზე ფარერმა შეასრულა.

„ — ეს როლი დენი კეის უნდა რგებოდა, — თქვა გუშინ არტურ მელცერმა, ხელოვანმა ჰანტინგტონ ველიდან და მისტერ პაპაშვილის ძველმა მეგობარმა, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო, ეს ასე არ მოხდა. ფარერისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, დენი კეი სრულყოფილი ჯორჯ პაპაშვილი იქნებოდა, — დაამატა მან.“

ეს ერთი სუბიექტური მოსაზრებათაგანია; და მაინც, ვინ იყო დენი კეი? ვინ განასახიერებდა გიორგი პაპაშვილს ხოზე ფარერზე უკეთ?

ჩანართის სახით: დენი კეი — ცნობილი ამერიკელი მსახიობი. უკრაინელი ებრაელი ემიგრანტების იაკობ კამინსკისა და კლარა ნემეროვსკის უმცროსი ვაჟი — დევიდ დანიელ კამინსკი, სცენური სახელით — დენი კეი 1913 წელს დაიბადა ნიუ-იორკში. მისი დებიუტი 1939 წელს ბროდვეიზე შედგა. 1940-50-იან წლებში მან არაერთ ფილმსა და მიუზიკლში ითამაშა. 60-იან წლებში საკუთარი ტელეშოუ ჰქონდა — „Danny Kaye Show.“ უზარმაზარი პოპულარობა მოიპოვა; მოულოდნელობებით სავსე და საინტერესო გადაცემები ჰქონდა. ერთი მაგალითი: ჯერ მასურებლის წინაშე წარადგინა და მერე თავადაც იმღერა ლუი არმსტრონგთან ერთად (მერე ალინიშნა, წარმატებითაც გაუწიაო პარტნიორობა). მას ახასიათებდნენ როგორც ძალიან ნიჭიერ, ენერგიულ, ქარიზმატულ და კომედიური ყანრის შესანიშნავ ოსტატს. 70-იან წლებში ძირითადად საქველმოქმედო მოღვაწეობით იყო დაკავებული; ხოლო მოგვიანებით, 80-იან წლებში რამდენიმე სატელევიზიო როლიც შეასრულა.



გარდაიცვალა ლოს-ანჯელესში 1987 წელს, გულის შეტევით...

**ხოზე ფარერი** (8.I.1912 – 26.I.1992) – გიორგი პაპაშვილის როლის შემსრულებელი მისზე უამრავჯერ დაწერილა, არაერთგზის მოქცეულა კინოკრიტიკოსების ყურადღების ცენტრში და ამგვარადაც არაერთხელ შეუფასებიათ: „უნივერსალური მსახიობი.“ სიტონის ფილმში მონაწილეობის მიღებამდე მას უკვე ჰქონდა გადაცემული (1950 წელს) ამერიკული კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო – ოსკარი „სირანო დე ბერჟერაკში“ მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის. საერთოდ, 60-ზე მეტ ფილმში აქვს მონაწილეობა მიღებული. ის დრამატული ქანრის მსახიობი იყო. 1985 წელს განსაკუთრებული ჯილდოთი აღინიშნა მისი მოღვაწეობა, გადაეცა მედალი: National Medal of Arts. გაიხსნა მისი „გარსკვლავი“ და 2012 წელს ამერიკის საფოსტო სამსახურმა გამოუშვა ხოზე ფარერის მარკა თავის სერიაში: „საპატიო ამერიკელები.“

ფილმში „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ როცა მესაზღვრე პოლიციელი მის უღვაშებთან სურათს დახედავს, მაყურებელიც „აღმოაჩინს,“ გარეგნულად მართლაც საოცრად რომ ჩამოჰვავს ქართველს. მაგრამ შემდეგ, ყოველ მომდევნო ეპიზოდში თქმული: „How are you“ თუკი თავიდან ღიმილს იწვევს, მერე ცოტა გამაღიზიანებელიც კი შეიძლება გახდეს – თავისი უადგილო ადგილას გაუთავებელი განმეორებით. ეს მხოლოდ „არცოდნა“ არაა, ცოტა პრიმიტიულის იერს დაიკრავს და შესაბამისად, არც სასაცილოა. მერე „ქვევიდან,“ ანუ ავტომანქანის ფანჯრიდან დანახული ნიუ-იორკის ცათამბჯენები. სანამ ნური ბეი გარეგნობას (ძირითადად, უღვაშების ფორმას) იცვლის, გიორგი ინგლისური ენის ცოდნას აუმჯობესებს: დაღის, სწავლობს... Very good – ამას უკვე უუღვაშო ნური ბეისგან მოისმენს. სასაცილოა და გასართობი ავტობუსის ეპიზოდი – ცომის გაფუება, შექმნილი სიტუაცია და აურზაურიც... ასევე, კარგია, სახლის მშენებლობა-მოწესრიგების სცენები. ფილმში ხოზე ფარერი ძალზე ბუნებრივია და ნიჭიერადაც ასრულებს როლს. გიორგი და ჰელენი ერთმანეთს სასამართლოს დარბაზში გაიცნობენ; ქართული სიმღერა დაამეგობრებთ, როცა გიორგი ესტუმრება ქოთნის ყვავილით და გიტარით... ჰელენი ფოლკლორულ ნიმუშებს იწერს. გიორგი მღერის „სულიკოს.“ სხვის ნამღერსაც მოასმენინებენ და ძია ვანოსაც იპოვის...

ცნობილია, ქართულ სიმღერებს მრავალხმიანობა გამოარჩევთ. ფილმში სუფრასთან შეკრებილი ქართველები ილხენენ, მღერიან... კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითი იმისა, ყველა თავის ხმაზე რომ მღერის, ინდივიდუალურად, მაგრამ ბოლოს მაინც ერთიანდებიან და თანაბარხმიანობას, ჰარმონიას ქმნიან. ჰოლივუდურ ფილმს უდავოდ, ალამაზებს ეს ქართული მელოდიები.

ტოლუმბაშის ხმა ტრიალებს  
ალავერდი, ალავერდი...

ეს რეალობაა იმ გარემოში, სადაც „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“ ფილმს სწორედ „ალავერდის“ ბოლო, მუსიკალური – ორკესტრირებული აკორდები ამთავრებს.



პრემიერა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ნიუ-იორკის კინოფესტივალში 1952 წლის 3 აპრილს შედგა, ფინეთში — 1953 წლის 6 მარტს, საფრანგეთში — 1953 წლის 26 აგვისტოს.

„**ოქროს გლობუსი**“ — ამერიკული კინოპრემიაა, რომელსაც ჰოლივუდის უცხოეთის პრესის ასოციაცია აწესებს (1944 წლიდან) კინო და ტელეფილმებისათვის.

კალიფორნიის შტატი, ლოს-ანჯელესი, 1953 წლის 26 თებერვალი. ნომინაციაზე სამი ფილმია წარდგენილი:

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“,

„დანიშნულების ადგილი: პარიზი“ და

„აივენგო.“

თქმა არ უნდა, უამრავი ადამიანი ღელავს; დარბაზი მოუთმენლად ელის შედეგების გამოცხადებას... და აცხადებენ გამარჯვებულ ფილმს...

**Best Film Promoting International Understanding**

**საუკეთესო ფილმი, რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო თანხმობას**

**Winner: „Anything Can Happen“**

**გამარჯვებული: „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“**

კარლო ინასარიძე ზემოხსენებულ წიგნში წერდა: „ვალტერ ჰაგემანი კინომაყურებლებს, ქცევის მიხედვით, ჰყოფს სამ ჯგუფად: (ჩვეულებრივი) მაყურებელი, თანამოთამაშე მაყურებელი და აღფრთოვანებული მაყურებელი.“

პრემიერის და შემდგომ დღეებში ვფიქრობ, კინოდარბაზში ფილმს სწორედ ამგვარი მაყურებელი ესწრებოდა: ის, ვისაც წიგნი ჰქონდა წაკითხული და აინტერესებდა, ხელოვნების „მეორე“ ენაზე როგორ მოხერხდა მისი გადატანა, მეორე ჯგუფი — ვისზეც იყო ამბავი მოთხრობილი და ეკრანზე საკუთარ თავს „ხედავდა“ და მესამე — ვისაც ძალიან მოეწონა ნანახი და კმაყოფილი ტოვებდა იქაურობას.

**და ბოლოს, თავად ჯორჯ პაპაშვილის ჩანაწერი; უნიკალური ჩანაწერი, რომელიც მწერლის ემოციებსა და ფილმზე გვიყვება:**

„როდესაც მე პირველად შევხვდი ბილ პერლბერგსა და ჯორჯ სიტონს და მათ მოთხრეს, როგორ გეგმავდნენ ფილმის „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ გადაღებას, იმ წიგნის მიხედვით, რომელიც მე და ჩემმა მეუღლემ დავწერეთ, მე დავრწმუნდი, რომ ყველაფერი არაჩვეულებრივად მიდის.“

მე ჯორჯ სიტონთან ერთად ვიჭექე მანამ, სანამ ის ათობით და ათობით მსახიობს ესაუბრებოდა. მე მომწონდა ყველა ისინი, რომლებიც საბოლოოდ მან აირჩია სხვადასხვა როლისთვის, მაგრამ უფრო მეტად მომეწონა, თუ როგორ გაისტუმრა მან ისინი, რომლებსაც სხვადასხვა სცენაში ვერ დააკავებდა, მაგრამ გაისტუმრა ისეთივე პატივით, როგორებიც იყვნენ ისინი შემოსვლამდე.

როცა მე გავიგე, რომ მისტერ ფარერი, ჩემი საყვარელი მსახიობი მას შემდეგ, რაც მან „ქანა და რკინი“ ითამაშა, ახლა ითამაშებდა ჩემს როლს, მე ისეთი გაბარებული ვიყავი, რომ არც კი შემიწუხებია თავი სარკეში ჩასახედად; ამის ნაცვლად, მე ველოდებოდი, რომ მენახა საკუთარი თავი ფილმში, როდესაც მე ვიქნებოდი ფარერი.

ამასობაში ჯორჯ სიტონი დაკავებული იყო სცენარის წერით; იმავდროულად, ფარერი სწავლობდა ქართულ ენაზე სიმღერას, ხოლო მე კი ყველაფრისათვის თავი უნდა მომეყარა იმ მეგობრებზე, რომლებსაც მე წიგნში მოვიხსენიებდი, რათა ახლა ისინი ფილმში მოხვედრილიყვნენ.

საბოლოოდ, ყველაფერი მოგვარებულია, ყველა მზადაა, გადაღებები იწყება და — ჩემი თავის ტკივილიც.

მთელი დღის განმავლობაში, სადაც კი მე მივდივარ, ადამიანები მისვამენ შეკითხვებს:

- გამაცნობთ ფარერს?
- შეუძლია თუ არა მიიღოს ჩემმა დამ სასიმღერო როლი ფილმში?
- კიმ ჰანტერს შეხვედრიხართ?
- გნებავთ, შეიძინოთ უნაკლო სიუჟეტი სხვა ფილმისათვის?
- შემიძლია, პრემიერაზე საპროექციო ოთახში რომ ვივლი?
- იცნობთ დინა შორს?

— აპირებთ თქვენ თავად ითამაშოთ ფილმში?

— მიიღეთ იმდენი უფასო ბილეთი რამდენიც გნებავდათ?

ყველა ამ კითხვის პასუხია — „არა“, „არა“ და ისევ „არა“.

შემდეგი მარადიული შეკითხვაა:

— კარგით, მიაშბეთ რაზეა თქვენი ფილმი?

მაგრამ ეს შეუძლებელია. მე აღმოვაჩინე, რომ უნდა აღმეწერა ფილმი, რომელშიც ხარ შენ და თან არ ხარ (გარედანაც უყურებთ. ორივეგან ერთდროულად).

ყოველ შემთხვევაში, მე ვეცადე, რაც კი შემიძლო.

„ასე რომ, მე შემეყარებდა ჩემი ცოლი — ოლონდ ის ჩემი ცოლი არაა — ის კიმ ჰანტერია; მაგრამ ჩემი ცოლი არ არის დარწმუნებული, რომ მას მე ვუყვარვარ. რასაკვირველია, მეუღლეს მართლაც ვუყვარვარ, მაგრამ ფილმში ჩემი ცოლი არ არის დარწმუნებული, რომ მას უყვარს მისტერ ფარერი... მე ვგულისხმობ... მოიცადეთ, თავიდან დავიწყებ... მის ჰანტერი არაა დარწმუნებული, რომ მას... (ორიგინალში აქ ხაზია გასმული — რ.ნ.)“

აღარავინ მელოდება, როდის დავასრულებ ამბავს.

საბოლოოდ გადაღებები დამთავრებულია და ჩვენ მივდივართ დანარჩენ ორი ათას ადამიანთან ერთად, რათა დავესწროთ წინასწარ ჩვენებას.

აქ არის ჩემი საყვარელი მსახიობი მისტერ ფარერი; ვის გამოც მე ყოველთვის სიამოვნებით დავდივარ კინოში. ამჯერად, მე ვვლი, რათა მას ვუყურო ფილმში „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“

თავიდან მას (იგულისხმება ფარერის პერსონაჟს — რ.ნ.) აქვს ყველანაირი პრობლემები.

„შეხედე, — ვუჩუჩულებ მე ჩემს ცოლს, შეხედე, რა ხდება, საცოდაობაა არა? საწყალი ბიჭი.“

„გთხოვ, — მეუბნება ჩემი ცოლი, ნუ დაიწყებ საკუთარი თავის შებრალებას.“  
დიან. რა თქმა უნდა, ვაცნობიერებ, რომ ეს მე ვარ, მაგრამ მე ვერ ვიღებ სია-



მოგნებას ფილმის ამ ნაწილით.

ოდნავ მოგვიანებით, მისტერ ფარერს ვხვდავთ ავტობუსში (გაფუჭებული ცომის) პაკეტით. მთელი დარბაზი ისტერიულად იცინის. სიმართლე რომ ითქვას, აქამდე არასოდეს მიფიქრია, რომ ეს ისტორია ასე ძალიან მხიარული იყო, მაგრამ ახლა მე ვუყურებ, ეს მისტერ ფარერთან ხდება. მეც ვუერთდები დანარჩენ დამსწრე საზოგადოებას.

„გოთხოვ, გოთხოვ, — მეუბნება ჩემი ცოლი, შეწყვიტე საკუთარ ზუმრობებზე სიცილი.“

ამის შემდეგ მალე, მთელი სამსახიობო ჯგუფი იწყებს ერთი ჩვენებური სუფრული სიმღერის ისე მღერას, რომ მეც ვუერთდები მათ; ბუნებრივია, ჩემი ადგილიდან, მაგრამ ისე, როგორც მათი გუნდის წევრი.

„ჩემად, — შემოტრიალდება წინ მჯდომი ქალბატონი და თანაც მაფრთხილებს: ან მე გამოვუძახებ მომსახურე პერსონალს.“

ფილმი უკვე დამთავრდა და ჩვენ პოლში ვიცდით. ბევრმა ჩემმა მეგობარმა გვერდით ჩამიარა და არც კი გამომელაპარაკა. რასაკვირველია, არა ის მეგობრები, რომლებიც მოხვდნენ ფილმში. ისინი ახლაც შიგნით სხედან, რათა საკუთარი თავი ხელახლა, მეორე სეანსზეც ნახონ; არამედ ის ამხანაგები, რომლებიც ჩვენ დავტოვეთ კადრს მიღმა, გაცოფებულები არიან ჩემზე. რატომ არ გამოიფონებს რომელიმე იურისტი ამ სიტუაციიდან გამოსავალს?

როცა მაყურებლები გარეთ გამოდიოდნენ და გვერდით ჩაგვივლიდნენ, მე მათი განსხვავებული კომენტარები მესმოდა:

— ეს მსახიობი იყო არაჩვეულებრივი, ის მსახიობი ქალი კიდევ უფრო უკეთესი — ეს მათ ახალისებდა, იცინოდნენ და ტიროდნენ მათთან ერთად.

ახლა კი თითოეული მეკითხება:

— რას ფიქრობთ ფილმის შესახებ?

ჩვენს გვერდით წყვილი მისეირნობს; ქალბატონი ამბობს:

— ეს ფილმი ამტკიცებს ჩემს თვალსაზრისს, რომ ადამიანებს შეუძლიათ, ისწავლონ ამ სამყაროში თანაცხოვრება.

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, — პასუხობს მამაკაცი სიცილით, — და თან მათ შეუძლიათ არაჩვეულებრივად გაატარონ დრო.

ეს არის ის, თუ რას ვფიქრობ იმ ფილმზე ჯორჯ სიტონმა და ბილ პერლბერგმა რომ გადაიღეს.“

ამ სიტყვების დაწერის დღიდან დიდი დრო გავა . . .

ახალ წიგნებსაც დაწერენ და არაერთ ახალ ფილმსაც გადაიღებენ, ცალ-ცალკე, რასაკვირველია. წარმატებებს ხშირად ერთადაც იზიემებენ, ერთმანეთის ამბავი ყოველთვის ეცოდინებათ, ახლობლები გახდებიან; მეტიც, ვიტყვოდი, **პაპაშვილები და სიტონები კარგი მეგობრებიც იქნებიან, ოჯახებით იმეგობრებენ...** ცოლ-ქმარმა პაპაშვილებმა ახალი წიგნი „ძაღვები და ადამიანები“ რომ გამოცეცს, შიდა ყდაზე ასეთი მიძღვნილი წარწერა გაუკეთეს, რომელსაც ყველა მკითხველი წაიკითხავდა,

ვინც კი მათ ამ წიგნს გადაშლიდა:

„ჩვენს მეგობრებს ჯორჯს და ფილისს,  
მარკსა და მერი სიტონებს და  
მათ მეგობარ პაგს  
სიყვარულით.“

**როგორ ფიქრობთ, რამდენი ათასი მკითხველი რეალურად ირწმუნებდა მათ დიდ ურთიერთობასა და სწორედაც სიყვარულს. . .** არც პაგი და ვიწყებიათ — მარკის ძალი; ანკი როგორ დაავიწყდებოდათ, ბიჭუნა ხომ განუყრელად მასთან ერთად იყო და აკი წიგნსაც ასე ერქვა: „ძაღვები და ადამიანები“.

ჯორჯ პაპაშვილს ჯორჯ სიტონის ვაჟის, მარკის და მისი მეგობრის, პაგის ქანდაკებაც აქვს გაკეთებული, რომელიც რეტროსპექტიულ კატალოგში შევიდა და ჰელენმა მას მეუღლისეული ასეთი მინაწერი გაუკეთა:

„ადამიანის ფიგურას მინცადამინც ხშირად არ ვაქანდაკებ. თუმცა არც კი ვიცი, რატომ. შესაძლებელია, უპირატესობას სხვა ფორმებს ვანიჭებ, ეგებ, იმიტომაც, რომ ისინი უფრო მრავალფეროვანნი არიან.“

ეს ჩემი მეგობარია, მარკ სიტონი — როცა ის პატარა ბიჭი იყო, თავის ძაღლთან, პაგთან ერთადაა. მათ უყვარდათ ერთმანეთი, უგებდნენ და პატივს სცემდნენ ერთ-ერთს. და სწორედ ამიტომაც მე ისინი ერთად გამოვაქანდაკე.“

ილუსტრაციას ქვემოთ მიწერილი აქვს:

„მარკი პაგთან ერთად 1948

მარმარილო (ვერმონტი)

8 X 15 X 5

მისის და მისტერ ჯორჯ სიტონის კოლექცია“

ჯორჯ სიტონს ჯორჯ პაპაშვილის ნამუშევრების დიდი და საინტერესო კერძო კოლექცია აქვს.

იმ მძიმე დღეებში, როცა ასეთი ახლობელი დაკარგა (ივულისხმება ჯორჯ პაპაშვილის გარდაცვალება), ჯორჯ სიტონმა თავის გამოსვლაში ხმამაღლა, არაერთი დამწუხრებული ადამიანის გასაგონად თქვა:

„ . . . ჩვენ, ვინც მას ვიცნობდით, ჯორჯ პაპაშვილმა დაგვიტოვა რაღაც, რაც მისი ქანდაკებებივით მუდმივია. მან გვაზიარა მეგობრობის, თანაგრძნობის, ერთიანობისა და ახლობლის სიყვარულის ჭეშმარიტ მნიშვნელობას.“

დარჩა ფილმიც — „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“... ნიჭიერების, თანამშრომლობის, სიყვარულისა და ერთობლივი წარმატების საუკეთესო სურვილი...





„პოლიეულის ფანდურები“





კარები

ჯდასალები


მოქნიდან

„ოქროს გლობუსი“






ალექსანდრე  
ფუტკარაძე



ალექსანდრე ფუტკარაძე და  
რუსუდან ნიშნიანიძე








კაღრები ფილმიდან და ამონაწერები  
ეუნხალ-გაზეთებიდან







სუკიალოური  
კოლექციიდან





ჯორჯ სიტონი



კიმ ჰანტერი -  
ჰელენის როლში

კიმ ჰანტერი და ხოზე ფარერი -  
„სველაფერი შეიძლება მოხდეს“





ხოზე ფარერი -  
გიორგის როლში

მარკა ხოზე ფარერის  
გამოსახულებით



**JOSÉ FERRER**

Actor

USA | FOREVER

მსახიობი დენი კეი



ხოზე ფარერის ვარსკვლავი



# სეკიადლო



# კოლექციიდან







ლადო ბაბიშვილი



ლადო ბაბიშვილი



ლადო ბაბიშვილი დისშვილთან -  
ლალი კობრეიძესთან და ანლობელთან  
ერთად შტატებში



ლადო ბაბიშვილი  
დასთან - ეთერისთან ერთად  
საოჯახო არქივიდან

ლადო ბაბიშვილი





რუსთაველის ბიუსტი  
მოქანდაკე  
ლადო ბაბიშვილი



პეტრე ზვედელიძე  
და  
რუსუდან ნიშნიანიძე



მოქანდაკე ლადო ბაბიშვილი

*Dear Helen,  
I hope you like  
this article.  
with best wishes  
Lado*

ლადო ბაბიშვილის ბარათი



ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი  
და  
ალექსანდრე სულხანიშვილი



# სპეკილოები კოლექტივიდან



## . . . ნოე?!

ამერიკა — უზარმაზარი სახელმწიფო, თავისუფლების სიმბოლო...

როცა ქართველებმა საკუთარი მოსაზრებების ხმამაღლა გამოთქმა დააპირეს, ანუ ნიუ-იორკში გაზეთის გამოცემა, მას „ქართული აზრი“ დაარქვეს. და როდესაც ქართველი ჟურნალისტი — ოთარ კეთილაძე (*კარლო ინასარიძის ფსევდონიმი გახლავთ*) ამ ქვეყანაში მომზადებულ გადაცემათა სერიაში მეორე სიუჟეტშივე შეეხება ამ თემას, ბუნებრივია, ისტორიასაც უამბობს მსმენელს: მოუთხრობს რედაქტორ დიმიტრი სინჯიკაშვილზე, სარედაქციო კოლეგიაზე და იქვე იტყვის:

„— გაზეთი „ქართული აზრი“ არავითარი სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი კონტროლის ქვეშ არ იმყოფება.“

არსაც განმარტავს: რატომ?

„— საქმე იმაშია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველ ადამიანს, ყოველ ადამიანთა დაჯგუფებას სრული თავისუფლება აქვს დააარსოს, დაბეჭდოს და გაავრცელოს ისეთი ბეჭდვითი ორგანო, როგორც მას სურს.“ მაგრამ იმავდროულად, ერთ ძალიან საგულისხმო (გასათვალისწინებელ) ფაქტორსაც გაუსვამს ხაზს:

„რა თქმა უნდა, არავის უფლება არ აქვს, თავისი თავისუფლების სარგებლობისას სხვა შეავიწროვოს.“

ნათქვამი ცოტა რომ შეარბილოს ერთ სასაცილო ამბავსაც მოჰყვება, თუმცა-ღათვითონ „კლასიკური“—ო დაარქმევს:

„— ერთი კაცი იქნა დაპატიმრებული ამერიკაში იმისათვის, რომ ის აქნევდა თავის ხელებს ხალხში და ერთ კაცს მოარტყა ხელი ცხვირზე. აღელვებულმა ბრალდებულმა მოსამართლეს უთხრა:

— მოსამართლე, რატომ არა მაქვს მე უფლება, გავაჭნიო ჩემი ხელები ისე, როგორც მე მინდა ამ თავისუფალ ქვეყანაში?

მოსამართლემ უპასუხა:

— შენი ხელის გაჭნევის უფლება, სერ, თავდება იქ, სადაც იწყება სხვა ადამიანის ცხვირი!“

და მაინც?!

„როდის დადგა პირველმა ქართველმა ფეხი ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში? ეს საკითხი ჯერ ისტორიულად შეუსწავლელია,“ — ამ სიტყვებით იწყება გასული საუკუნის 50-იან წლებში გამოქვეყნებული წერილი „ქართველობა ამერიკის შეერთებულ შტატებში.“ მისი ავტორი ნიუ-იორკში გამომავალი ქართული გაზეთის — „ქართველი ერი“ რედაქტორი და გამომცემელი გიორგი კობახიძეა. „**მოგზაურობა სამუშაოს საძებნელად**“ — ეს ფრაზა აიოლებდა გზაზე დამდგარი ათასობით ადამიანის მოლოდინს. ეს არ იყო მხოლოდ ერთი ქვეყნის მოქალაქეთა „ახირება.“



რუსეთის, ჩინეთის, ევროპის არაერთი მკვიდრი მოსახლე „დაიძრა“ ამერიკისაკენ. გიორგი კობახიძის ცნობით, ქართველები XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიფანტნენ საარსებო წყაროს საძიებლად; მათ შორის რაჭველები და გურულები სპარბობდნენ.

„ — ამერიკა ყოველთვის ანდამატივით იზიდავდა მსოფლიოს მრავალ ხალხებს და რასაკვირველია, არც ქართველებს გამოეპარებოდათ ეს პროცესი მხედველობიდან, მაგრამ...“ და ეს „მაგრამა“ ავტორისათვის მნიშვნელოვანი; თუკი სხვების მიზანი სამულდამო დასახლება და უკეთესი ცხოვრების პირობების შექმნა იყო, ქართველები ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდნენ უკან დასაბრუნებლად. კობახიძის ვარაუდით, ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ე.წ. „ახალშენი“ ან სათვისტომო დიდი ხნის მანძილზე არ შექმნილა.

„ვის არ გაუგონია რაჭული სუფრულის დასაწყისი სტროფის შემდეგი სიტყვები,“ — იტყვის თავიდან „რაჭული“ წარმომავლობის ავტორი და თავის მკითხველს თვითონვე გაახსენებს:

„დამისხი, დამალევინე,  
 ჭკუას მოვალ, გონებასო;  
 რაჭას წასვლა მირჩევნია  
 მილიონის ქონებასო!“

თვითონვე ჩათვლის კომენტარის გაკეთების აუცილებლობას:

„— ამ სიტყვებში საუკეთესოდ და მკაფიოდ არის გამოთქმული ქართველის სულიერი სიმდიდრე, რომელსაც ვერავითარი მილიონები ვერ აეწონება! რაჭველები მართლაც ერთგულად ასრულებდნენ თავიანთს ფიცს და რაც არ უნდა ღრმად მოხუცებულიყო, რაჭველი ბოლოს, მაინც სამშობლოს დაუბრუნდებოდა!“

ღიმილისმომგვარელია ახლა, „ოკეანის იქით“ და საუკუნის გადასახედიდან სრული გულწრფელობით ნაამბობი ამბავი:

„რაჭის სოფლებში თქვენ ყოველთვის შეხვდებოდით მოხუცებულებს და შუა ხნის კაცებს ინგლისურ ენაზე მოლაპარაკეთ.“

ისე, როგორი წარმოსადგენია, XIX საუკუნის 60-70-იან წლებში წასული და უკან დაბრუნებული რაჭული სოფლის ორღობებში უცხო ენაზე მოლაპარაკე მოხუცები, თანაც... „ყოველთვის.“

საყურადღებო ცნობა: „ქართველთა საგრძნობი რიცხვი ამერიკას შემოემატა მეოცე საუკუნის დასაწყისში, სახელდობრ, 1905 წლის შემდეგ. ამ ღროს გურული ცხენოსნები ნოე ინწკირველის ხელმძღვანელობით, დაახლოებით 50 კაცი კონტრაქტით ჩამოდიან შეერთებულ შტატებში და იწყებენ ცირკში გამოსვლებს.“

ნელ-ნელა მატულობდა ქართველების რიცხვი. განსაკუთრებით, უკვე 30-იანი წლებიდან. მართალია, სრულიად განსხვავებული ჯგუფები და ადამიანები ჩამოდიოდნენ, შესაბამისად, სხვადასხვა ინტერესებითაც, მაგრამ მაინც გამოიყვეთა ერთი აზრი, უფრო სწორად, ბუნებრივად გაჩნდა სათვისტომოს დაარსების იდეა. წერო-



ლის ავტორი სამი გამორჩეული პიროვნების გვარს დაასახელებს: პავლე კვარაცხელიას, მისი მეუღლის — თამარ კვარაცხელიასა და ვანო კობახიძის.

„მათი თაოსნობით, 1931 წლის პირველ დეკემბერს ნიუ-იორკში დაარსდა „ქართული სათვისტომო ამერიკის შეერთებულ შტატებში.“

საზოგადოებამ მიიღო წესდება, რომელიც შტატის „იუსტიციის სამინისტრომ“ როგორც ლეგალური ორგანიზაცია, ისე გააფორმა. ოფიციალური დარეგისტრირება ვფიქრობ, პოლიტიკურად და სამართლებრივადაც სწორი ქმედება იყო. მით უფრო, როცა გასათვალისწინებელია მთავარი ფაქტორი, რამაც მისი შექმნის აუცილებლობა განაპირობა:

„ქართული სათვისტომის დანიშნულება იყო... კულტურული, ნივთიერი და ზნეობრივი დახმარების გაწევა სათვისტომოს წევრებისადმი. ქართული სათვისტომოს დაარსებით, მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა ქართულ კერას ამერიკის შეერთებულ შტატებში,“ — ასე მიიჩნევს ბ-ნი კობახიძე.

ცნობილია, რომ ამ საქმის ინიციატორები ასევე, იყვნენ ვასო დუშმაძე და გიორგი მაჩაბელი. სათვისტომო ბევრი კარგი საქმის წამომწყებები გახდა: ეხმარებოდა ახალჩამოსულებს, არცთუ იშვიათად, ხელსაც უმართავდა. მოგვიანებით, სათვისტომომ ნიუ-იორკთან ახლოს შეიძინა სახლი.

გაჩნდა ერთი უჩვეულო, მაგრამ სავალდებულო „მოთხოვნა“: სათვისტომოს წევრობის უფლება ყველას ჰქონდა, გარდა კომუნისტებისა. ორგანიზაციის წესდებაში ეს საგანგებო პირობად იყო გათვალისწინებული. რასაკვირველია, ყველაფერი სწორხაზოვნად არ ვითარდებოდა. ემიგრანტებისავე (კობახიძე) ცნობით, გიორგი პაპაშვილი, ილიკო გელაძე, ალექსანდრე ლოლაძე და სხვებიც, არ იყვნენ რადიკალები, მეტიც, ისინი „საბჭოების მიმართ“ კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ. ეს ადამიანები არც ამერიკის კომუნისტური პარტიის წევრები არ ყოფილან, მაგრამ იმავე კობახიძის ნარკვევში ვკითხულობთ, რომ „ისინი გახლდნენ ლოიალური წევრები ქართული სათვისტომოსი, რომლის დაარსებაში 1931 წლის დეკემბერში მათ მხურვალე მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული და აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი სათვისტომოს საქმიანობაში.“

ერთმნიშვნელოვნად ნუ გავიგებთ! **ზემოჩამოთვლილი პიროვნებები იმაზეც ობიექტურად საუბრობდნენ, რა მოხდა მათ სამშობლოში, მაგრამ იქამად მიმდინარე ცვლილებებსაც დადებითად აფასებდნენ.**

„ამ მცირერიცხოვან ჯგუფს ქართველთა, — ვკითხულობთ იქვე, და მათ შორის დიდათ ცნობილ მწერალსა და მოქანდაკე გიორგი პაპაშვილს, იმ ხანებში გულწრფელად სჯეროდათ, რომ კომუნისტურმა რეჟიმმა ქართველ ხალხს ბევრი რამ კარგი მოუტანა, მისცა სწავლა-განათლების შესაძლებლობა და სხვა.“

სხვათა შორის, ეს არ იწვევდა გამორჩეულ გაღიზიანებას ქართულ ემიგრაციაში; ალბათ იმიტომ, რომ თუნდაც პაპაშვილის შემთხვევაში, ამ დამოკიდებულებას ის არ მალავდა არც იქ, ამერიკაში და არც საბჭოთა კავშირიდან ჩასულთა შორის.

„ — სულ მესმის, რომ დიდათ გამოიცვალა თურმე ჩვენი ქვეყანა, აშენდა და გაშენდა... ეს კომუნისტები მარჯვე ხალხი გამოჩნდა,“ — ამას პირად საუბარში

შტატებში იტყვის (სსლმ 28 889/55).

ამ ცვლილებას ცოტა ხანში საკუთარი თვალით ნახავს:

„ — მე... ვარ მოხიბლული და გაოცებული... ჩემთვის აქ ყველაფერი ნაცნობია და თან უცნობი. დღევანდელ თბილისს რომ ვუყურებ, ალტაცებას ვეძლევ: როგორ გალამაზებულა და დამშვენებულა ქალაქი... როცა ამერიკაში ჩემს მეუღლეს საქართველოზე ვუამბობდი, თვითონაც არ მქონდა წარმოდგენილი, თუ ასეთი გოლიათური ნაბიჯებით წავიდოდა წინ ჩენი ქვეყანა“ (ვაზ. „ლიტერატურული გაზეთი“ №16 (1238) 1961).

და სხვაგანაც:

„— გაუმარჯოს ახალ საქართველოს“ (ვაზ. „კომუნისტი“ №134 (12048) 1961).

ეს უკვე საქართველოში ჩამოსულის შთაბეჭდილებებია.

უნდა ითქვას, რომ ზოგადად, ემიგრანტები უფრო თავისუფლად აფასებენ ერთმანეთს: ხან უზომოდ აქებენ, ხანაც უშვერი სიტყვებით ლანძღავენ. რასაკვირველია, აქ თავისუფლების ხარისხი ძალიან მაღალია. საბჭოთა სივრცეში ხმამაღლა ასეთ შეფასებებს არ აკეთებენ; ზოგად სურათს ვგულისხმობ, თორემ პარტია ვისაც „დაგმობდა,“ იმის გინება დაშვებული კი არაა, სავალდებულოც კი იყო!

„ — მაინც რა ყოფილა, კაცო, ზოგიერთი ქართველი!“ — თანამემამულეებს, იმავდროულად, თანამოკალმეებს გაკვირვებული დაეკითხება საქართველოში ჩამოსული გიორგი პაპაშვილი. სათვისტომოს „კლუბად“ მოიხსენიებს და იმ ისტორიასაც დეტალურად უამბობს, როცა II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ევროპიდან შტატებში არაერთი ქართველი ჩავიდა. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავად გიორგი წიგნებიდან აღებული ჰონორარითა და შემდეგ ეკრანიზაციიდან მიღებული სრულიად სერიოზული თანხით უანგაროდ დახმარებია კლუბს. საზრუნავი მართლაც, ბევრი იყო:

„...გზააბნეულ თანამემამულეებს ვაძლევდით თავშესაფარს და მანამდე ვეხმარებოდით, ვიდრე ფეხზე არ დავაყენებდით. აქვე ვაბინავებდით სხვა ქვეყნებიდან სტუმრად ჩამოსულ ქართველებს... ჰოდა, იქ თავშეფარებულმა რამდენიმე კაცმა ყველაფერი გამოგვარიდა ხელიდან და კლუბიც გაგვიყიდა. ასე რომ, ახლა იქა ქართველების კლუბი აღარ არსებობს.“

თუმცა, მაინც არ უნდა „კუდიად“ დაამთავროს მონაყოლი ამბავი და ასეთ ფინალს მოქებნის — მსმენელებს „დააამშვიდებს,“ არ დაბრკოლდნენ და თუკი ამერიკაში მოხვდებიან, მასთან „პატარა მამულში შეიარონ...“

კულტურათა გზაჯვარედინი...

პაპაშვილების ახალი წიგნის გამოსვლის შესახებ მკითხველებს ეცნობათ;

წერილმაც არ დააყოვნა:

**მონიკა მაკდონალდი**

**ალბემერლ 1538**

**ბურლინგეიმი, კალიფორნია**

**1950 წელი, 27 ივნისი**

„ძვირფასო ჰელენ და ჯორჯ,

ორიოდე დღის წინ წავიკითხე, რომ ნოემბერში „პარპერი“ თქვენს ახალ წიგნს, „ნოეს წყალობით“ გამოსცემს.

ძალიან ავლელდი და ველარ ვითმენ, სანამ ჩემი ეგზემპლარი არ მექნება. გეთაყვა, მაცნობეთ, როდის იქნება ხელმისაწვდომი, რომ შეძლოთ ჩემთვის ავტოგრაფის გაკეთება და მე გამოგიგზავნით ჩეკს ან გავუგზავნი წიგნის მალაზიას — თქვენთვის რომელიც უფრო მოსახერხებელი იქნება.

გიგზავნით ბარათს მარჯორისაგან; მისი მისამართი არ ვიცი.

გილოცავთ და ვიმედოვნებ, რომ ესეც თვის რჩეული წიგნი გახდება.

სიყვარულით,

მონიკა (ხელმოწერა).“

გავრცელებულ ინფორმაციას რასაკვირველია, საქმიანი წერილებიც მოჰყვა:

**„ლედის ჰოუმ ჯერნალი“**

**კურტისის საგამომცემლო კომპანია**

**ბრიუს გოლდი**

**ბეატრის ბლეკმარ გოლდი**

**რედაქტორები**

**ფილადელფია 5**

**1950 წელი, 12 ივლისი**

„ძვირფასო ჰელენ და ჯორჯ,

ძალიან მიხარია, რომ „ნოეს წყალობით“ ჟურნალში გვექნება. ბელვიუში ჩვენი ვიზიტის შემდეგ ძალიან მაინტერესებდა, გამეგო წიგნთან დაკავშირებული საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ, რადგან არ მესმის, როგორ შეიძლება ვინმეს არ მოეწონოს, თუმცა მეც ცრურწმენით შეპყრობილ იმ ადამიანთა რიცხვს მივუკუთვნები, რომლებიც თვლიან, რომ თუ რაიმე ძალიან გინდა, უმჯობესია, ამაზე არ ილაპარაკო. როდესაც გავრცელდა ცნობა შესყიდვის შესახებ, ოფისში ყველა ისეთივე გახარებული იყო, როგორც მე.

ამ წერილის მიზანია, გკითხოთ, როდის შეძლებთ ფილადელფიაში ყოფნას,



რომ ჩემთან და ჩემს რამდენიმე თანამშრომელთან ერთად ივანეშვიტის მათ ძალიან უნდათ თქვენთან შეხვედრა და თქვენთვის მისაღები ნებისმიერი დრო ჩვენითვისაა მისაღები იქნება.

გულითადად,  
ლორა ლუ ბრუკმანი  
მმართველი რედაქტორი.“

ერთი კვირის შემდეგ, იმავე საგამომცემლო კომპანიიდან:

**„ლედის ჰოუმ ჯერნალი“**  
**კურტისის საგამომცემლო კომპანია**  
**ბრიუს გოლდი**  
**ბეატრის ბლეკმარ გოლდი**  
**რედაქტორები**  
**ფილადელფია 5**  
**მისის და მისტერ ჯორჯ პაპაშვილს**  
**1950 წელი, 20 ივლისი**

„ძვირფასო ჰელენ,  
მიხარია, რომ შემდეგ კვირას მოხვალთ ვანშაშუე. ხუთშაბათი, 27 ივლისი საუკეთესო იქნება, რადგანაც ბიფი პეიჯს (რომელსაც ვფიქრობ, უკვე შეხვდით) და ჰიუ კალერს შეეძლება, შემოგვიერთდნენ. სასიამოვნო იქნებოდა თქვენთან ბერკლიში შეხვედრა 1 საათზე. თქვენთან ერთად ველით ჯორჯსაც. კიტრანას (პერსონალის — ძალის სახელია — რ.ნ.) ამბავი ნამდვილად ამალელებელია. იმედია, ლეკვებს მალე ვნახავ.

გულითადად,  
ლორა ლუ ბრუკმანი  
მმართველი რედაქტორი.“

**„ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნ“**  
**1951 წლის 8 აპრილი**  
**როუზ ფელდის მიმოხილვა — „ნოეს წყალობით,**  
**მისი მეგობრები ცხოველები იყვნენ“**  
**ჰელენ და ჯორჯ პაპაშვილები. 167 გვ. ნიუ-იორკი;**  
**„პარბერ ენდ ბრაზერსი,“ 2.50 დოლარი**

„მომხილავი ცოლ-ქმრის გუნდმა — ჰელენ და ჯორჯ პაპაშვილებმა ერთად კიდევ ერთ წიგნზე იმუშავეს. ისევე, როგორც მათ სხვა ნამუშევრებში, აქაც ამერიკელი ჰელენი ჩამწერად გვევლინება, ხოლო რუსი ქართველი ჯორჯი — მთხრობელად. და ზუსტად იმგვარად, როგორც ადრე, ჰელენი „იჭერს“ და ინარჩუნებს მეუღლის ინდივიდუალურ ფერებს, ლაპარაკის მანერას და ფილოსოფიას, ხოლო ამ უკანასკნელის ნიჰის გვიანდელი გაფურჩქვნა შორეულ ამერიკაში, მისი მშობლი-

ური ფესვების კვალს მაინც ატარებს.

ჯორჯის ნათქვამი რომ დავიმოწმოთ:

„ნოეს წყალობით“ არის წიგნი „მეგობრების შესახებ, რომლებიც მყოლია ცხოვრებაში და ისე მოხდა, რომ ცხოველები არიან.“

ამ მეგობრებს შორის, მისი თქმით, არიან: დათვი, ცხენები, ბატები, კამეჩი, ცხვარი, სპილო, მაგრამ უმეტესად, მაინც ძაღლები. **თუ ცხოველები გიყვართ, ეს თქვენი წიგნია; თუ არა, მაშინ ყოველთვის არის ჯორჯი, რომელიც თქვენი გულის გათბობის გარანტიაა.**

თავისი არა-ამერიკული წარსულიდან ჯორჯი ძალდ ბასარას და დათვ — კოლას იხსენებს. ბასარა შეებრძოლა მგლის ხროვას, ოჯახის ცხვარს რომ დაესხა თავს, ხოლო კოლამ მათ სოფელში დაბინავებულ უზრდელ ჯარისკაცებს მოქცევა ასწავლა. მაგრამ ჯორჯს, როგორც ამერიკელი ქალის ქმარს, როგორც ფერმერს, როგორც გერმანული ნაგაზების აღმზრდელს, სწორედ ამ ქვეყანაში გადახდა ცხოველთა სამყაროსთან დაკავშირებული მთავარი თავგადასავლები.

პაპაშვილებს ფერმა ჰქონდათ და ჯორჯმა ჩათვალა, რომ ურიგო არ იქნებოდა, თუკი თავის საძოვრებზე მსხვილფეხა ბრაჰმანული საქონლის ჯოგი ეყოლებოდა. არადა, მას მხოლოდ 150 დოლარი ჰქონდა და როგორც აღმოაჩინა, ამ თანხით კარგი ძროხის მხოლოდ „კუდისა და უჯანა ფეხების“ ყიდვაც კი გაუჭირდებოდა. ასე რომ, ჯორჯმა ფილოსოფიურად განსაჯა და არჩევანი ბატკანზე შეაჩერა, რომელიც ზამთარში შალს მისცემდა, გაზაფხულზე — ხორცს და ბალახიც მოთიბული ექნებოდა. რა იქნებოდა ამაზე უკეთესი? გაჩნდა პრობლემა. ისიც მხოლოდ იმის გამო, რომ ბატკანი მურამ, ძაღლმა იშვილა. და როგორც მურას შვილი, ისიც ოჯახის ნებეირად გაიზარდა. პაპაშვილებმა თავს ვერც თავიანთი გაზრდილი ღორის, მაშხელის დაკვლის უფლება მისცეს, ვერა. ამის ნაცვლად, მეზობელს, რომელსაც კარგი დედა ღორი სჭირდებოდა, საშობაოდ აჩუქეს.

ჯორჯის გულთან ყველაზე ახლოს მაინც ძაღლები იყვნენ, რადგან მათ უბრალოდ შეეძლოთ მეგობრობა. როცა ჯორჯმა ჰელენთან პირველად წამოჭრა ძაღლის საკითხი, ცოლმა ჰკითხა, თუ როგორ ძაღლზე ფიქრობდა.

„მე მინდა უბრალო, გონიერი, მშრომელი, თავისი ხელობა რომ ეცოდინება და თავის ჯიშსა და ჯილაგს არ უღალატებს, - უპასუხა მან. ისეთი კი არა, ტყავიდან რომ ძვრება, იქნებ როგორმე ადამიანს დავემსგავსო.“

იმხანად, როცა უკვე საკუთარი პირველი ნაგაზი — ქედანა ჰყავდა, ვილაცამ უჩიოა, გასაწრთენელად სპეციალურ სკოლაში წაეყვანა. ასეთი დაწესებულების არსებობით გაოცებულმა ჯორჯმა გამოიკვლია ეს უცნაური ამერიკული ფენომენი და გაცნობისთანავე სრულიად გულგრილი დარჩა მის მიმართ.

„ძაღლმა არ უნდა მკითხოს, ვის ვირჩევ პრეზიდენტად, მე კი არ უნდა ვასწავლო ციყვისა და მგლის გარჩევა. კაცს სხვანაირი ტვინი აქვს, ძაღლს სხვანაირი და ერთმაც თავისი საქმე უნდა იცოდეს და მეორემაც,“ — ახსნა თავად.

ქედანამ და მურამ, ეს უჯანსაღი კი მოგვიანებით აჩუქეს ოჯახს, მშვენიერი, თავიანთი მსგავსი არსებები გააჩინეს და როცა ახლობლებმა ჯორჯი „აცდუნეს,“ რომ

ლევკები გაჩუქების ნაცვლად, გაეყიდა, მან თავისდა გასაკვირად, აღმოაჩინა, რომ მისმა მეგობრებმა ფერმის იპოთეკური სესხი დაუფარეს. თავისი ჯანსაღი, ძარღვიანი სტილითა და მარილიანი თხრობის მანერით, რომელსაც საუცხოოდ გადმოსცემს მისი ცოლი, ჯორჯი მოთხრობებად ჰყვება ამბებს მათ სახლში გაზრდილი ძაღლების არაერთი თაობის შესახებ. გარდა იმ იშვიათი მონაკვეთებისა, სადაც ჯორჯი მეტისმეტად ახირებული და უცნაურია, მოთხრობები დიდი სიამოვნებით იკითხება.“

## ყყყ

1951 წელს ამერიკაში გამოიცა წიგნი, სათაურით: „მადლობა ნოეს“ (ან „ნოეს წყალობით“) — „Thanks to Noah.“ სათაურთან დაკავშირებით საყურადღებო იქნება გივი კობახიძის ლიმილიანი განმარტება:

„— ძვირფასნო, ნოე ჟორდანია არ გეგონოთ, აქ ბიბლიური ნოე იგულისხმება.“

ერთი შეხედვით, ნათქვამი შესაძლოა, იუმორის თემადაც კი მივიჩნიოთ. ცნობილი ქართველი ემიგრანტისგან ამგვარი ჭილიკი ანკი რა გასაკვირი იქნებოდა. ჯერ კიდევ „იმ წლებში“ ამგვარი თანამიმდევრობით ჩამოთვლილი გვარები: **ნოე** რამიშვილი, **ნოე** ჟორდანია, **ნოე** ხომერიკი, **ნოე** ცინცაძე... გონება მახვილ ქართველს სწორედაც ამ კონტექსტს გაახსენებდა და ხუმრობით ასე მოიხსენიებდა კიდევ: „**ნოეს კილობანი.**“

ერთი ლიტერატურული ფაქტი: 80-იან წლებში პარიზში გამომავალ ჟურნალში „გუშაგი“ (*ქართული პოლიტიკის პერიოდული ორგანო უცხოეთში*) ი. მე—ი ფსევდონიმით აქვეყნებს ლექსს „პოეზია“, მინაწერით: „ლევკის სასაფლაოზე.“

პარიზი იხდის ნისლის სამოსელს,  
შიშველ ძეგლებით მხვდება ლევკილი...  
და მეტირება მგზავრად აქ მოსულს,  
მეც უცხო გზებზე დაეძრწი დევნილი!

მმათ სასაფლაოვ, გამიღე კარი,  
ქართველი დედის მომაქვს ცრემლები...  
მსურს ყველა საფლავს ვაპკურო ცვარი;  
მეც აქ დამმარხეთ, როს დავეცემი.

მიწა გრუხუნებს, ქუხს კვლავ ლევკილი  
აქ წაქცეულთა კოშმარის ალში...  
თქვენი გოლგოთა, ჯვარცმა, დუმილი  
ვაი, დასრულდა გზა ნეტიალში!

ძმანო, ქართველნო! ვიტყვით მათზე  
დღეს ჩემთან ერთად, მომეცით ბანი...  
**ნუ ეძებთ ნოეს თქვენ არარატზე,  
აქ ასვენია ის კიდობანი!**

.....  
**აწ დამსხვრეული ის კიდობანი!..**

„ნოეს კიდობანი“ ლევილში შეჩერებულა; მგზავრი კი ისაა, ვინც ფუძეს, კერას, თავის „შინას“ დაშორებია და სხვაგან გადახვეწილა. ეს სახე-სიბოლო საკმაოდ საგულისხმოა ქართველ მწერალთა ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. ლექსის მთავარი პერსონაჟი — უცხო გზებზე მოხეტიალე, სულიერად გატეხილი, დაღლილი, თანამემამულეების, ამ ქართველების უკანასკნელ განსასვენებელთან მოსულა... ლევილის სასაფლაოზე... და თუკი ნოეს კიდობანი წარღვნას გადაჩენილი კაცობრიობის, სამყაროს ახალი სიცოცხლის ნიშანია, აქ ეს „დამსხვრეული კიდობანი“ უბერსპექტივობის სრულ განცდას ხატავს.

ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების ნაწარმოებს დავუბრუნდეთ.

**კაცობრიობისათვის ბიბლიური ნოე სხვა კულტურული კონტექსტია.**

„Thanks to Noah“ ქართულ ენაზე ითარგმნა 1971 წელს. ინგლისურიდან ითარგმნა ანდრეაფარ ჭეიშვილმა. ქართულად დასათაურებულია ამგვარად: „დღესაც მელოდება.“ თვალსაჩინოა მთარგმნელის მაღალი პროფესიონალიზმი, განათლების სიღრმე, როცა თხრობის დინამიკას და გმირის ლექსიკონს ძალიან ფრთხილად, ოსტატურად არჩევს. ეს ღირსება ნაწარმოების კითხვისას ხაზგასმით იგრძნობა.

კულტურათა კონტექსტი...

„თუ ცხოველები არ გიყვარს, თუ არასოდეს გაგიღია მათთვის გულის კარები, ეს წიგნი გვერდზე გადადვ და სხვა წაიკითხე,“ — ამ სიტყვებით იწყება ნაწარმოები და ერთი შეხედვით, თითქოს არჩევანის უფლებას გიტოვებს, არადა, იმდენად საინტერესოდ და მხატვრული ოსტატობით გათავაზობს, რომ „გვერდზე გადადვ“ არ ხერხდება!

„მე რომ დავიბადე, ოჯახში დედაჩემისა და მამაჩემის გარდა, ცხვრის ძალღიჯ დამხვდა, სახელად ბუცა. როცა თავს უბედურება დაგვატყდა და დედა გარდამეცვალა (მე სახეც კი აღარ მახსოვს მისი), ბუცამ დედის მაგივრობა გამიწვია. ძილის დროს გვერდით მეჭდა და მდარაჯობდა. რომ გავიღვიძებდი და ტირილს მოვრთავდი, მინდორში გავარდებოდა და მამაჩემს მოიყვანდა ხოლმე. ფეხი რომ ავიდგი, ტყეში და ტბაზე არ მიშვებდა, მიცავდა ცხენის წიხლისაგან, ფუტკრის ნესტრისაგან და საერთოდ, ყველა იმ საფრთხისაგან, უბატრონოდ დარჩენილ ბავშვს რომ ემუქრება.“ ასე გვეცნობით გმირს; უფრო სწორად, მისი ბავშვობის დღეებს. რაა ეს? ნატურალიზმი — თხრობის ფორმა, რეალობა — რაც ნამდვილობის განცდას ტოვებს თუ ფაქტი — ესაა მისი ცხოვრება. ხაზს გავუსვამ, ესაა მისი გარემო. ეგებ, უმთავრესი ამ ნაწარმოებში სწორედაც ეს იყოს: საკუთარი თავის პოვნა ამ სამყაროში! ბუნების იდილია, ოჯახური ჰარმონია, ცხოველთა და ფრინველთა სამყარო...

მხატვრული შესაძლებლობები მასშტაბურია, ვგულისხმობ ე.წ. სივრცის მოდიფიცირებას; არა აქვს მნიშვნელობა, სად ხდება მოქმედება: „აქ“ (საშობლოში), თუ „იქ“ (ახალ ქვეყანაში). ეს ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, ე.ი. არც დროს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. წიგნში მოთხრობილია, როგორ ცხოვრობენ ადამიანები სამყაროში ჰარმონიულად და არა — „ცხოველთა სამყაროს“ ჩვენება.

როცა პატარა ხარ, შენს გარშემო ყველაფერი დიდი გეჩვენება: გოლიათი ბუცაც, თავისი გრძელი კუდით, უძირო და ღრმა მდინარე, თვალწვივლელად ვრცელია მინდორიც... მერე ყველაფერი დაპატარავდება; არა, კი არ დაპატარავდება, ჩვეულებრივი „თავისი“ ზომისა ხდება. ნაწარმოებში მხატვრულ ქარგაში მოქცეული სათქმელი: დასაწყისში ლეკვებად, ბელებად, კვიცებად დახატული პერსონაჟები ძაღლებად, დათვებად, ცხენებად იქცევიან; ადამიანების უახლოეს მეგობრებად ან ისეთ ყოველდღიურ თანამშლებლებად, რომ მათი სიკვდილი ლამის ოჯახის წევრის დაკარგვას უტოლდება. მოზრდილებისთვის ეს გასაგებია, მაგრამ როცა ყმაწვილებისთვის ხდება ასახსნელი, მწერალი მშვიდად განმარტავს:

„ — ჩვენდენს... ვერც ერთი ცხოველი ვერა ცოცხლობს.

— რატომ?

— რა ვიცი. იქნებ იმიტომ, რომ მივხვდეთ, რა მოკლეა ეს წუთისოფელი.“

**ცხოვრება მოკლეა და არცთუ იშვიათად, მტკავნული. უნდა ისწავლო ბედნიერების შეგრძნება. ვფიქრობ, მწერლისთვის მნიშვნელოვანი ის კი არ არის, იცხოვროს უბრალოდ კარგად, მისთვის უმნიშვნელო არაა მისი „ყოფნის“ ხარისხი.**

როგორც ვთქვი, მხატვრულ ნაწარმოებში ყოველ სიმბოლოს თავისი დატვირთვა გააჩნია. პოლიციელი სიმბოლოა კანონიერების, შემართული მუშტი — პროტესტისა და დაუმორჩილებლობის, ფუტკარი — ნაყოფიერი შრომისა... აქ ძა გიორგის „ძახილზე ჩიტები ხეებიდან წამოიშლებოდნენ ხოლმე, მეღა სოროდან გამოძვრებოდა, ფურ-ირემს თავისი ნუკრი მიჰყავდა მასთან, ესამოვნებო; ბებერი ქარიულაბია მორვეის ფსკერიდან ამოყვინთავდა და ძია გიორგიც თავისი ხელით აქმევდა ხოლმე ყველს... გარეული ტახებიც კი პატვის სცემდნენ: ისე ჩაუვლიდნენ გვერდით, ვითომ ვერც დაინახესო... ასეთი კაცი იყო ბიძაჩემი;“ და პარალელი, თავად პატარა გმირი? მას როგორ „ესმის“ დედაბუნების:

„მოელ ტყეს ეღვიძა — გუგულები რაღაცას გაიძახოდნენ, ოფოფები ჭორაობდნენ, კურდღლები კი ერთი ბუჩქიდან მეორეში გადაბოდნენ და ახალ ამბავს ავრცელებდნენ. მაღალ კლდეებზე ჭიხვები გადმომდგარიყვნენ და გვიყურებდნენ. მე კი ამაყად მივაბიჯებდი და გვერდით ჩემი პატარა დათვის ბელი მომდევდა.“

სიმბოლოებზე და იგავურ ენაზე ვსაუბრობდი. სრული ჰარმონია რეალურ ცხოვრებაში ეგებ, ძნელად მისაღწევია, მაგრამ დასაწერად (და ამასთან, მკითხველისათვის დამაჭერებლად) — უთუოდ სერიოზული სათქმელი.

ბიქუნას საყვარელი ლეკვი (ბასარა) მოუკვდება. ინაღვლებს, მარტოდარჩენილია, მაგრამ ერთგულ მეგობარს ვერავის ჩანაცვლებს, მის ადგილს ასე იოლად სხვა ვერავინ დაიჭერს, მაგრამ... და აი, ეს „მაგრამა“ საინტერესო... „მაგრამ სახლში სულიერი ხომ უნდა ყოფილიყო. სიცარიელე კედლებს ენთქებოდა და სი-

**ჩემი იტაურობას იკლებდა;**“ ანუ, მხოლოდ ადამიანების ყოფნა არაა საკმარისი. მაკირისპირებელი კავშირის („მაგრამ“) გამოყენებით, ავტორი კონტრასტის ეფექტს ქმნის. ეზოში კამეჩებიცაა, კვიცი-შალა, ბებერი ღერღეტი ბატი და მინცი, მეგობარია საჭირო. ბიძია გიორგის საალღგომო საჩუქარი ისევეა „ჩაწერილი“ ბუნებაში, როგორც ნახატში — ყველას თავისი ადგილი რომ აქვს მიჩენილი. ამონარიდი:

„ძია გიორგიმ ნაჩუქარი ცხოველი ხელებში ჩამიწვინა. მისი გულის ცემა ვიგრძენი, მრგვალ შავ ღრუნჩსა და პაწაწა ყურებზე მოვეფერე, შემდეგ კი ბანჯგვლიან ტანზე გადავუსვი ხელი. მან ლურჯად დანისლული თვალები გაახილა, დაამთქნარა, საზამთროს გულივით წითელი ენა გამოგვიყო, დააცემინა და კვლავ დაიძინა.“

გზა შინსაკენ. გზა დათვის ბელთან ერთად... სოფელ კობიანთკარში კი დრო ჩვეულებრივად მიდის. ამასობაში ბელი თავის დაკვრასაც სწავლობს, ხელის ჩამორთმევას, ჭიდაობას, ბურთის დაჭერას, სამხედრო სალამს და თავლის მიგნებასაც; კაკლის ქვით გატეხას ვერ მიეჩვია, ისევ კბილებით ამჯობინებდა და ვერც ცნობისმოყვარეობა მოიშალა: გაოცებული დაჰყურებდა „ბუჩქზე დამჯდარ პეპელას... პირქვე დამხოზილ კალათს, ზარის ხმას“ და... იხატება სასაცილო სურათები... რომანში სრულიადაც არაა სტერეოტიპი: ადამიანები უკეთესები არიან, ვიდრე ცხოველები. პირიქით. ერთხელ, როცა მთავარი გმირი გააგებულნი ძაღლების გაშვებას აპირებს, ორივეს ამ სიტყვებით გამოლანძღავს:

„ — ამას მოველოდი თქვენგან? ნუთუ არ შეგიძლიათ მშვიდობიანად იცხოვროთ და ერთმანეთს მეგობრობა გაუწიოთ? რა დაგეპართათ? როგორ უმსგავსოდ იქცევით, ადამიანები ხომ არა ხართ!“

შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ ამგვარი პარალელისთვის სულთანს (ძაღლის სახელია) ბოდიშიც კი მოუხადოს...

**ცირკი** — მოთვინიერებული ცხოველების „ადგილი.“ სულ რაღაც სამ კაპიკად ბებერი ლომის, ფრთებგარჭობილი ვირების, ნაოჭებიანი საყელოებით მორთული ძაღლების, თხების და მაიმუნების ოინების ნახვაა შესაძლებელი. თუმცა, მათთან ადამიანებიც არიან — ჟონგლიორები. **აქ სანახაობაა.**

როგორც ვთქვი, სოფელ კობიანთკარში დრო ჩვეულებრივად მიდის. ამას ოკეანეს იქით მყოფი მკითხველიც „ჩვეულებრივად“ კითხულობს. კარგად დაწერილ ლიტერატურულ ტექსტს, თუნდაც განსხვავებული სოციალური თუ ე.წ. ტრადიციული მოცემულობებით განპირობებულს, საერთო სივრცის განსაზღვრა შეუძლია.

**ომი.**

ჯორჯ პაპაშვილს არაერთი საინტერესო ნამუშევარი ეკუთვნის; ერთს გამოვყოფ; მეორე მსოფლიო ომის ტრაგედიას მოქანდაკე გამოეხმაურა სიმბოლური სათქმელით: ეს იყო სამყაროს ერთიანობის კიდევ ერთი მისეული ჩვენება.

**„სევასტოპოლი“** — ასე ჰქვია მის ერთ ცნობილ ნამუშევარს. ალყაში მოტყუელთა შორის შიმშილობა რომ ჩამოვარდა, წმ. ბერნარის ძალღი ჩვილ ბავშვსაც კვებავდა და თავის ლეკვებსაც. ასე მან ბავშვის სიცოცხლე გადაარჩინა. ხელოვნებათმცოდნის (ჩარლზ ჰ. მულენბერგი უმცროსი) მოსაზრებით, „კომპოზიციური თვალსაზრისით, სიმბოლური თემა სწორკუთხა სამკუთხედის ფორმაშია შესრულებული. ძალღი მჯდომარე

პოზიციაშია, ერთ მხარეს ჩვილი ბავშვი ჰყავს, მეორე მხარეს კი — ლეკვი. ძაღლს თავი აწეული აქვს და ყმუის. ეს ყმუილი კაცობრიობის არაადამიანურობის სტრუქტურის ნიშანია. ქანდაკება კულტურის გრანტიტით არის შესრულებული. პირველად აქ გამოიყენა ჯორჯ პაპაშვილმა შუალედური ესკიზი — კონტრასტი გაპრაილბულ და ტექსტურირებულ ქვას შორის“ (*Papashvily George, Sculptor: A retrospective catalogue with an introduction by Charles H. Muhlenberg and notes by Helen Papashvily 1979*).

კიდევ ერთი კონტრასტი — **მშვიდობისა და ომის კონტრასტი!** ამჯერად, ამონარიდი ლიტერატურული ტექსტიდან: „მადლობა ნოეს.“ როგორი სურათი უნდა შესთავაზოს მწერალმა მკითხველს, რომ არ გააუბრალოს, ამასთან, შთამბეჭდავი გახადოს სათქმელი?!

ერთი სურათი: ცხენები — „თავადერილები, ამაყად რომ მინავარდობდნენ;“

მეორე — ბრძოლის ველზე „მეორე წუთში დაგლეჯილები და დასისხლიანებულები ეყარნენ მიწაზე.“

„ომი რომ დამთავრდა, ნიუ-იორკში ჩამოვედი,“ — ამ სიტყვებით დაიწყება ნაწარმოების ერთ-ერთი თავი („ძაღლები აკრძალულია“). როგორც იტყვიან, აქედან უკვე უცხოეთია. სხვა ქვეყანაში დაიწყო ცხოვრება, ცოლიც მოიყვანა, ოჯახი შექმნა.

„ათასგვარი ფათერაკი გადამხდაო თავს,“ — კი იტყვის გმირი, მაგრამ ამ ფათერაკებზე არაფერს მოყვება. განსხვავებულ გარემოში აღმოჩნდება: დიდი ქალაქები მაღალსართულიანი სახლებით და პაწაწინა სკვერებით ცხოველებს ვერ იგუებდა. ისეთი ადგილის შერჩევა გახდა საჭირო, სადაც „სამყაროს იდილია“ აღდგებოდა.

ნაწარმოებში კიდევ ერთი პერსონაჟი, ჯორჯ პაპაშვილის ნაწარმოებების „უცვლელი პერსონაჟი“ ჩნდება — ელენე: ცოლი და მეგობარი. რა ამბავსაც არ უნდა ჰყვებოდეს, მას ყოველთვის თავისი მხატვრული ფუნქცია აქვს. ნაწარმოების გარკვეულ ეპიზოდებში თავად ავტორის მნიშვნელოვანი **ბიოგრაფიული დეტალები აღდგება**. ასე მაგალითად, გმირი ჰყვება, თუ როგორ უამბობდა თავის მეუღლეს თავსგადამხდარ ფათერაკებს და ეს ქალბატონი როგორ იწერდა ამ ყველაფერს, თითქმის დეტალებამდე ზუსტია მონათხრობი.

„ელენეს პატარა წიგნის მალაზია ჰქონდა ქალაქში, სადაც მანქანით მიმავდა და მომავდა ხოლმე,“ — ვკითხულობთ ნაწარმოებში.

რეალურ ცხოვრებაშიც, ანუ სინამდვილეშიც ასე იყო: მწერლის მეუღლეს წიგნის მალაზია ჰქონდა ალენთაუნში. ქალს წერა ეხერხებოდა და ბევრსაც მუშაობდა. ჯორჯ პაპაშვილი თავის გმირს იმასაც ათქმევინებს, რომ „მან (*ელენემ — რ.ნ.*) ქალაქზე გადაიტანა ზოგიერთი შემთხვევა, რომელიც მე გადამხდა თავს. შემთხვევებს მაშინ ვუამბობდი ხოლმე, როდესაც ფერმიდან ქალაქში მივდიოდით ან უკან ვბრუნდებოდით მანქანით. ასე უფრო ჩქარა გადიოდა დრო.“

მითხრობილი ამბები წიგნად შეიკრა.

„მე დარწმუნებული ვიყავი, რომ წიგნს დიდი წარმატება ექნებოდა,“ — შეაფასებს თავად.

ტექსტში ოდნავ ირონიზებულად კია მიზეზი:

„წიგნში მოხსენიებული ყოველი ჩემი მეგობარიც იყიდდა თითო ცალს, რომ



თავისი სახელი ქალაქზე დაბეჭდილი ენახა და სახსოვრად შეენახა.“

ეს იმ გრანდიოზული წარმატების ე.წ. „შესამსუბუქებლად“ სჭირდება, რის თქმასაც აპირებს:

„— წიგნის კლუბმა“ ჩვენი წიგნი მიიღო!“

იქვე, დამატებითი განმარტებაც: „ყოველთვიური წიგნი“ დიდი ამერიკული კლუბია.“

„მადლობა ნოეს“ პაპაშვილების მესამე წიგნია, პირველს — „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ მართლაც, ამგვარი წარმატება ხვდა წილად.

ეს კონკრეტული ფაქტი და შემდეგ ნაწარმოების პერსონაჟების დღის ის განრიგი, რომელიც ძალიან ჰგავს მწერალ ჯორჯ პაპაშვილის ლიტერატურულ თავგადასავალს:

„— მომდევნო კვირებში ცხოვრება მთლად შეიცვალა... ტელეფონი შეუსვენებლივ წკრიალებდა. საფოსტო ყუთში წერილები აღარ ეტეოდა. მე ყველაფერი მიხაროდა... ხან უამრავი ქალბატონი მოდიოდა და ინტერვიუს იღებდა ჩვენგან, ხან ჩვენი მივდიოდით სხვაგან, წიგნებზე ავტოგრაფებს ვაწერდით და ისეთ ხალხს ვართმევდით ხელს, რომელთა ვინაობა დღესაც ვერ დამიდგენია...“

ამას მოგზაურობა და ლექციების კითხვა მოჰყვა და ერთი საინტერესო შტრიხი შეემატა წიგნის გმირების სახეს — ისინი ინტელექტუალები არიან. მათი ნააზრვეი უზარმაზარი ქვეყნის მკითხველებისთვის ისეთივე საინტერესოა, როგორც მათი ყოველდღიური, ერთი შეხედვით, არაფრით გამორჩეული ცხოვრება.

ზუსტად ისევე, ავტორის მსგავსად, რომანის გმირიც ერთ დღეს საყვარელი ცხოველების გამოქანდაკებას შეუდგება: კაკლის ხისგან ძაღლს (შელაკუდა-ძაღლს) გამოთლის.

პაპაშვილების ოჯახს შინაური ცხოველებიც ჰყავდა; ფერმაში ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო; ეზოში კი სხვადასხვა სულიერი არსების ქანდაკებებიც იდგა და ისინი ბუნებრივად ეწერებოდნენ ამ სივრცეში. რეალური ყოფა და მხატვრული ნაამბობი მეზობლებისა და მეგობრებისთვის განუყოფელი, ზოგადად, მკითხველებისთვის ერთი ჭრელი და ლამაზი სურათი გახლდათ.

არ ვიცი, რამდენად ზუსტად მივხვდი, მაგრამ სწორედაც „Thanks to Noah“ — „მადლობა ნოეს“ — ამ მოაზროვნე და სიყვარულით სავსე სამყაროს (კაცობრიობის) გადარჩენისთვის! ეს წიგნი „უნებურად“ ასწავლის მკითხველს სიკეთეს — ნათელ, ლამაზ სიცოცხლესაც. აჩვენებს და ამ „ჩვენებისას“ ასწავლის კიდევ.

რომანში დახატულ გარემოს „შემომეტებიან“ ცხოველებიც, თავიანთი საკუთარი სახელებითა და თავგადასავლებით. ისინი პატრონებს არც „გასართობად“ სჭირდებათ და არც იმისთვის, რომ აღამიანებს დაამსგავსონ. ერთი კომენტარი:

„— არ მიყვარს ჟაკეტიანი, საწვიმრიანი და სვიტრიანი ძაღლები... წარმოიდგინე, კალოშებიან ძაღლებსაც შევხვედრივარ.“

ამ ურთიერთობებში მოვალეობაც იგულისხმება და ვალდებულებაც. ძაღლი სახლს დარაჯობს, მტერს აფრთხობს, საქონელს თვალყურს ადევნებს; აღამიანი — პატრონობს; აქმევს, უვლის და როცა ამის საჭიროება დგება, ბეთალთანაც მი-





ჰყავს და წამლებს ყიდულობს. სოფელში ცხოვრობენ ე.ი. სოფლის მეურნეობაშიც უნდა ჩაერთონ. აი, ეს „მეურნეობა დიდი ხათაბალა რამაია,“ — ფიქრობს გმირი, მინდვრების წყლისაგან დაწრეტა, წყლის მიღების გაყვანა, იონჯას დათესვა, თივის ძნების დადგმა... ეს ყოველდღიური ცხოვრებაა.

როგორ გგონიათ, ცხოველებს ფიქრი შეუძლიათ? მათ მეხსიერება (და არა დამახსოვრების უნარი) აქვთ? მოგონების შენახვა შეუძლიათ? „გაუშხელელი საიდუმლო“ ასე ჰქვია თავს, რომელიც ერთ უჩვეულო ამბავს გვიაზივს. ძაღლისა და ბატკნის მეგობრობა წლების შემდეგაც ადამიანებისთვის უცნაურად, მაგრამ მწერლისთვის სწორედაც ლოგიკურად რომ შედგა:

„ლობის ბოლოს, სადაც ჩემი მიწა მეზობლისას ემიჯნებოდა, ჩვენი ბატკანი დავეინახეთ. იგი ცოტაზე ჩამორჩენოდა ფარას და ბალახობდა. მელაკულა-ძაღლმა ერთხელ დაიყუფა. ცხვარმა ზევით აიხედა, ლობეს მოადგა და თავი შემოჰყო. მათ ცხვირი ცხვირზე მიადეს ერთმანეთს და რამდენიმე წუთს უხმოდ იდგნენ. შემდეგ ცხვარი კვლავ სამყურას მიუბრუნდა, მელა-ძაღლი კი მე გამომყვია.“

გმირი დაფიქრდება და მასთან ერთად, მკითხველიც:  
 „ნეტა იმ დროს რა იგრძენის... იქნებ ის სუსხიანი რიქრატები გაიხსენეს, მკვირცხლი ფეხებით დათრთვილულ ბალახებს რომ თელავდნენ; ან იქნებ იმ ბედნიერ დღეებს იგონებდნენ, ბაღში მწიფე ვაშლებს რომ სტაცებდნენ ერთმანეთს და ბურთბივით აგორავებდნენ. ან, ვინ იცის, კვლავ განიცადეს ახალ თივაში თვლემისა და გამოღვიძების სიტკბო და ნეტარება...“

ამგვარი განცდების უნარი მხოლოდ ადამიანებს აქვთ და ვგონებ, არა ყოველ სულიერს; მაშ, რის თქმა სურს დამწერს? შორეულად:

„მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო, უასაკოთაც და უსულთ შორის“ —  
 (ნ. ბარათაშვილი).

ვგებ, ხელოვნური პარალელია, რა ვიცი, კითხვისას სწორედ ის გამახსენდა... აკი თავსაც ასე ჰქვია: „გაუშხელელი საიდუმლო.“ თავადაც ზომ უკვირს გიორგის, დაფიქრდება, ვერ ახსნის, მაგრამ მაინც უკარნახებს ჰელენს:

„არა, მე არ ვიცი, რაზე ფიქრობდნენ ისინი ამ ბოლო შეხვედრის დროს. ეს იმათი საიდუმლო იყო და არც არასოდეს გაუშხელიათ.“

ხარ-ირემი, შემთხვევით შემოხეტებულნი ენოტი, „ნაჩუქარი“ სპილო, ცნობის-მოყვარე ლეკვები, როცა „რძიან ვარცლს ოცი აპრენილი კუდი უვლიდა ირგვლივ. ოცი ვარდისფერი ენა... ხმამაღლა სვლელდა რძეს;“ ან ასეთი სურათი: „ასეთი... წუთები მანამ გრძელდებოდა, სანამ საბძლის კარს არ გავადებდი, მაშინ ათიოდე ბუთხუზა, ბრტყელდრუნჩა, ყურპანტურა ლეკვი კოტრიალ-კოტრიალით გამოცვივდებოდა გარეთ. ლეკვები დანისლული ლურჯი თვალებით ვერ კიდევ ბუნდოვნად ხედავენ ქვეყანას, მაგრამ ერთმანეთს იოლად პოულობენ.“

მომვლელმა მათი ჭიშისა და ჭილაგის ყველა დამახასიათებელი ქცევა, თვისება უნდა იცოდეს: როდის აიყვანოს გასაზრდელად, ცხოველმა ვისგან უნდა მოისმინოს პირველი ბრძანება, პირველი შექება, თავისი პატრონის „სუნსა და ხელს უნდა შეეჩვიოს.“ თუმცა აქ, ამდაგვარი „დეტალები“ შემთხვევითი სრულიადაც არ



მგონია; მაგალითად, ამგვარი:

„მურას ბოლო ლექვებიდან ერთი ოქროსფერი შავზურგა ძუ დავიტოვე. ისეთი საყვარელი დრუნჩი ჰქონდა, რომ ყველას გულს ინადირებდა... იგი სლიკინა, გაბეყვილი ლექვი იყო და ამიტომ ქართული სახელი კიტრა დავარქვე. მასში ყველა ჩვენი ძაღლის თვისებები იყო თავმოყრილი, მაგრამ საკუთარი მეობაც საკმაოდ ეტყობოდა.“

**პიროვნული თვისებები მხოლოდ ადამიანებისთვის არაა სავალდებულო.**

ცხოველის (ძაღლის) გაწვრთნა რომ ჩვეულებრივი ამბავია, ეს ყველამ იცის, მაგრამ მწერალი იმგვარი კუთხით, იუმორით და სილალით „დაასაბუთებს“ სრულიად საპირისპიროს, რომ თვალეში ღიმილჩამდგარი მკითხველი ეგებ, დაეთანხმოს კიდევ.

„ადექი“, „დაჯექი“, „ჯოხი მოიტანე“ — საწვრთნელი სკოლის ერთი აუცილებელი გაკვეთილთაგანია, მაგრამ სწორედ ეს არ მოსწონს პერსონაჟს. დირექტორის გაკვირვებას იწვევს, რატომ არ უნდა უნდოდეს პატრონს „დამკვირი ძაღლი?“

ფრაგმენტი რომანიდან:

„ — კი მაგრამ, არ გინდათ, რომ თქვენი ძაღლი გიჯერებდეთ?

— გააჩნია, როდის. ვთქვათ, მან დაამთავრა თქვენი სკოლა და ჩვენ, ჩემმა ძაღლმა და მე, ტყეში გავისეირნეთ. უცებ ბუჩქებიდან ფაჩუნი მოგვესმა. ძაღლმა ყურები დაცქვიტა და ბუჩქისაკენ გაიწია.

— მოიცა! - ვეუბნები მე, — ეს ხომ ციყვია, დაჯექი! ძაღლს თავისი დიპლომი ახსენდება და ჯდება. მე კი — შემეშამენ.

— შეგეშამენ?!

— დიახ! ბუჩქებში ჯანა მართლა ციყვი ფაჩუნებდა, მგელი იყო ჩასაფრებული.

— მგელი?!

— დიახ, მგელი! მე ახლა მკვდარი ვარ და ახია ჩემზე, რადგან ძაღლის საქმეში ჩაეყავი ცხვირი. ძაღლმა არ უნდა მკითხოს, ვის ვირჩევ პრეზიდენტად, მე კი არ უნდა ვასწავლო ციყვისა და მგლის გარჩევა. კაცს სხვანაირი ტვინი აქვს, ძაღლს სხვანაირი და ერთმაც თავისი საქმე უნდა იცოდეს და მეორემაც.“

ლოგიკურია, როგორ „ეპყრობა“ გმირი ცხოველებს; ისინი მხოლოდ ცოცხალი არსებები კი არ არიან, არამედ გაცილებით მეტნი. ძაღლები, რომელთაც „სწორედ“ სიარული და გადაადგილებული ნივთის (ხის ჰანტელის) მოტანა უკვე შეესწავლათ, სამაგალითონი გამზდარიყვენენ საწვრთნელი სკოლის პედაგოგისთვის:

„ — თქვენი ცუგა მოახერხებს ამას? - მკითხა „პროფესორმა“ ქალმა.

— გერა-მეთქი, - ვუპასუხე. იმის განმარტება, რომ ქედანა ჩემი ცუგა კი არაა, ჩემი მეგობარი იყო, საჭიროდ აღარ მივიჩნიე და არც ის ვუთხარი, რომ თუ ჰანტელს გადავაგდებდი (ხელში რომ ჩამეარდნოდა, არ გავიჩერებდი — აუცილებლად მოვისროდი). სულაც არ გამიხარდებოდა, უკან რომ მოეტანათ.“

ჩანართის სახით. როგორც ჩანს, ჯორჯ პაპაშვილი ამ თემებზე წერილებსაც წერდა და მოკლე ჩანახატებსაც. იმათაც ჰყავდათ თავისი მკითხველი. აქვე მინდა, არქივში დაცული რამდენიმე წერილი გაგაცნოთ, რომლებიც უტყუარი დასტურია იმისა, მწერალი კარგად რომ უნდა იცნობდეს იმ სამყაროს, რაზედაც წერს:

**როზლენდ ავენიუ 334**  
**ესექს ფელსი, ნიუ-ჯერსი**  
**კვირა, 21 აგვისტო**  
**მისტერ ჯორჯ პაპაშვილს**  
**„ჭერალდ ტრიბუნ“**

„ძვირფასო სერ,

ნება მომეცით, მადლობა გადაგიხადოთ დღევანდელ „ტრიბუნში“ გამოქვეყნებული თქვენი პატარა სტატიისათვის: „როცა ზვდები ძალს.“ განსაკუთრებით კი, უკანასკნელი აბზაცისათვის.

გულწრფელად,

მისის პ. ლ. ლეონარდი (ხელმოწერა).“

**შერთებული შტატების საფოსტო განყოფილება**

**ლოს-ანჯელესი 52, კალიფორნია**

**1949 წელი, 31 აგვისტო**

**„ზის უიკ მეგეზინის“ რედაქტორი**

**ლექსინგტონ ავენიუ 420**

**ნიუ-იორკ სიტი 17**

„ძვირფასო სერ,

ზემოაღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, ჩვენმა განყოფილებამ მისტერ პაპაშვილის სტატია ძალიან საინტერესოდ ჩათვალა. გამოკითხვა წამოვიწყეთ, რათა გავვერკვია, არის თუ არა ის აღიარებული ავტორიტეტი ძაღლებისა და იმათი თვისებების ცოდნაში. იმის გამო, რომ ჩვენს თანამშრომლებს — წერილების დამტარებელ ფოსტალიონებს თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს პერიოდულად ძაღლები კბენენ, აშკარაა, რომ მისტერ პაპაშვილის მიერ წერილში მოყვანილი ზოგიერთი რჩევა სასარგებლო იქნება გარკვეული შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

გიგზავნით კონვერტს ჩვენი მისამართით, რომლითაც შეგიძლიათ პასუხი გამოგზავნოთ. მარკა არ არის საჭირო.

გულწრფელად,

მაიკლ ლ. ფენინგი, ფოსტმეისტერი

გაავზავნა: ჯ. ე. ვაინი

კურიერების ქვეგანყოფილება.“

**პასუხი:** „ზის უიკ მეგეზინის“ რუბრიკა: „ყველას ეტიკეტში“ გამოქვეყნებული ჯორჯ პაპაშვილის სტატია: „როცა ზვდები ძალს“ შესულია 1949 წლის 21 აგვისტოს „ლოს-ანჯელეს ტაიმის“ საკვირაო გამოცემაში.“

გასაგები ზღვება ლიტერატურული აგენტის აღტაცებაც, ახალ ამბავს რომ ამცნობს (1949 წლის 22 ივლისს) ავტორებს:

„ძვირფასო ჰელენ და ჯორჯ,  
ვაშაა!!! ამ დილას მივიღე „როცა ხვდები ძალს“ კონტრაქტი, ასე რომ,  
დოლარიც მალევე იქნება.  
სიყვარულით,  
ნ. ჯ.“

ამ თემაზე ჟურნალს სხვა ტექსტიც გაევზავნა. პირველ ეტაპზე მასალის გარკვეულ შეფერხებასაც ჰქონია ადგილი, მაგრამ შემდგომ მოვლენები სასურველი მიმართულებით განვითარდა; ამ ისტორიას აგენტის მიმოწერიდან ვიგებთ:

**„გულ ჰაუსკინგი“  
სარედაქციო განყოფილება  
57-ე ქუჩა, მერვე ავენიუზე  
ნიუ-იორკი 19  
1950 წლის 12 ივნისი**

„ძვირფასო ნანინ,  
ძლიერ მწყინს, რომ ტექსტი უნდა დაგიბრუნო. არადა, ძალიან მომეწონა; ვფიქრობ, რომ ჰელენ და ჯორჯ პაპაშვილებმა ბრწყინვალე საქმე გააკეთეს. გად-  
აწყვეტილება მხოლოდ ჩემი მისაღები რომ ყოფილიყო, იმწამსვე შევიძენდით, რა  
წამსაც კითხვა დავასრულე.

როგორც იცი, მისტერ მეიერსის გარდა, აქ ყველა ენთუზიაზმით განეწყო მის მიმართ. ის კი ექვის თვალით უყურებდა მას, მაგრამ ჩვენი საზოგადოების ერთსუ-  
ლოვნად დადებითმა მიმოხილვებმა აიძულეს, მეორედ წაეკითხა. ვინაიდან ჟურნა-  
ლის წარმატება მხოლოდ მის პირად პასუხისმგებლობას ეფუძნება, თანამშრომელ-  
თა სუბიექტური მოსაზრებების ნაცვლად, საბოლოოდ, ის მაინც საკუთარ გად-  
აწყვეტილებას უნდა დაენდოს. თქმაც არ უნდა, რომ მისტერ მეიერსი სრულიად  
პატიოსანი ადამიანია და სავსებით გულწრფელია, როცა მასალების შესახებ თავის  
ვარაუდებს გამოთქვამს. ასე რომ, ისე, როგორც ყოველთვის, დამოუკიდებლად  
ჩემი მოსაზრებებისა, მე მსურს პატივი ვცე მის გადაწყვეტილებას.

გთხოვ, მიიღო ჩემი გულწრფელი სინანული იმის გამო, რომ ხელნაწერი ასე  
დიდი ხნით შევაცოვნეთ; შენ იცი, რა გარემოებები ზემოქმედებდნენ, შეყოვნება  
კი იყო ის, რასაც გავუბრბოდი. ჩემი ქმედებები საზრდოობდნენ ერთადერთი სურ-  
ვილით, რომ ხელნაწერს აქ დაედო ბინა. და როგორც შენ ასევე მოგესხენება, ამი-  
სათვის მე ძლიერი „ლობი“ მყავდა; გულახდილად რომ ვთქვათ, არა მგონია, უფრო  
ეფექტური მოქმედება ყოფილიყო შესაძლებელი.

მე მართლაც, ბევრი თვალსაზრისით ძალიან დავალბებული ვარ შენგან: ჯერ  
ერთი, რაკილა პირველებს მოგვეცი შანსი, თან ასე თანმიმდევრულად მომთმენი იყა-  
ვი, და რომ საოცრად გაგებით მოეკიდე გადაწყვეტილებას წიგნის საწინააღმდე-  
გოდ. ასევე, მადლიერი ვარ ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილებისა, რომელთა ხელნაწერის  
კითხვამ უდიდესი სიამოვნება მომანიჭა. მე მას მწვანე შუქს ვუნთებ ყველგან და



დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკელი მკითხველის პირველხარისხოვან უზრადღებას მიიპყრობს და წარმატებული იქნება.

მერწმუნე, მე ვარ  
 ყველაზე გულწრფელი  
 ჯულიან პ. მიულერი.“

როგორც ვთქვი, ვითარება შეიცვალა და ლიტერატურულმა აგენტმა – ნანინ ჯოზეფმაც, როგორც იტყვიან, წერილი „აფრინა“:

**ავტორთა წარმომადგენლობის საზოგადოების წევრი**  
**ვესტ 200 54-ე ქუჩა**  
**ნიუ-იორკი 19**  
**1949 წლის 12 ივლისი**

„ძვირფასო ჰელენ,

ვაშა! ვაშა! ვაშა! კიდევ უფრო კარგი ამბავი. „გულ ჰაუსკიფინგი“ ყიდულობს „დენდი, ნუ იკბინები“-ს. რადგანაც ასე მოკლეა, ისინი ვერ გადავიხდინა 500 დოლარზე მეტს, მაგრამ ამდენს გადავიხდინა და ისინი კვლავ ელოდებიან თქვენი წიგნის ფასს მალაზიებში. ზვალიდან ერთი კვირით მენში ვიქნები, თუმცა მათი ჩეკი ალბათ, ჩემს ჩამოსვლამდე მაინც არ იქნება მზად. უკვე იცი, რომ შეგიძლია, ეს გაითვალისწინო და ასევე, „მერკური ტაიმიდან“ მისაღება ჩეკი.

ელიზაბეთმა გამომიგზავნა „პარპერსთან“ დადებული კონტრაქტის ასლი და შემეძლია ის შევამოწმო, მაგრამ მას არ დაუბრუნებია კონტრაქტები „სტელარ ენტერპრაიზისთან.“ რაც მცირე სირთულეს მიქმნის, რადგან „მორისის“ ოფისთან საქმის გადამოწმება პირადად მიწოდდა, რათა სწორედ თქვენთან ხელმოსაწერად გამოგზავნის წინ არ დამეწყოს სიტყვების შეცვლა. თუმცა „მორისის“ ოფისი ძალიან ნელა მოქმედებდა, ასე რომ, ამის თაობაზე დიდად არ ღირს წუხილი; ჩემს ჩამოსვლამდე მოიცდის. ნებისმიერ შემთხვევაში, ერთკვირიანი არდადეგები საკმაოდ მცირეა.

საუკეთესო სურვილებით,  
 ნ. ჯ.“

ნანინის კიდევ ერთი, საინტერესო და ერთი შეხედვით, ღიმილისმომგვრელი წერილი:

**ავტორთა წარმომადგენლობის საზოგადოების წევრი**  
**ვესტ 200 54-ე ქუჩა**  
**ნიუ-იორკი 19**  
**1949 წლის 11 აპრილი**

„ძვირფასო ჰელენ,

ცალკე გიგზავნი „ამერიკის მწერლების“ ეგზემპლარს. ჯინის წიგნი როგორც იქნა, გამოვიდა, რასაც მალე ჩეკიც მოჰყვება და იმედს ვიტოვებ, რომ მოგეწონება.



ამასობაში, ველოდები შენს შემდეგ ვიზიტს ქალაქში და შეპირებულ სტატიებს. დამირეკეს „ზის ვიკიდან“ იმის გასაგებად, თუ ვიცოდი თქვენი ძაღლის სახელი; ცხადია, არ ვიცოდი და ვუთხარი, რომ დავიკავშირდებოდი, მაგრამ მითხრეს, რომ არ იყო აუცილებელი. რომ სცოდნოდათ, გამოიყენებდნენ რომელიმე სტატიაში, რომელსაც თქვენს შესახებ ამზადებენ. იქნებ, მითხრათ სხვა შემთხვევებისთვის. საუკეთესო სურვილებით  
 ნ. ჯ.“

ამჯერად ცალკე, გამორჩეულად არ შეგჩერდები, მაგრამ როგორც უკვე ვახსენე, ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილებმა საგანგებოდ დაწერეს წიგნი სათაურით: „ძაღლები და ადამიანები“ (1954წ.) მაქებარი, ნავაზი, ეზოს ძაღლი, ქოფაკი — მათი თვისებები და კიდევ ბევრი რამ, რაც მკითხველისათვის საჭირო, მნიშვნელოვანი და გამოსადეგი იქნებოდა... თავიანთი ცოდნა, დაკვირვება და გამოცდილება ძაღლების (ადამიანების ერთგული მეგობრების) შესახებ მკითხველებს საინტერესოდ და დაუზარებლად გაუზიარეს.

პროზაულ ტექსტში „მადლობა ნოეს“ ამგვარ ემოციასაც და არა მხოლოდ ემოციას — ეს მოსაზრებაა, მათივე სერიოზული პოზიცია, ამოიკითხავთ:

„როცა ამ ლექვებს ვუმხერდი, კვლავ და კვლავ ვრწმუნდებოდი, რომ მთელი ქვეყანა, ყოველი სულიერი ბედნიერებისათვის არის გაჩენილი. დასაბამიდან ალბათ, ასე იყო და ახლაც ასე იქნებოდა, თუ გულით მოვიდომებდით.“

ადამიანებს (პერსონაჟებს) ესა თუ ის ემოცია ბუნებრივია, მოქმედების განვითარების პროცესში უჩნდებათ. სიუჟეტის („მადლობა ნოეს“) მიხედვით, ერთ-ერთი ძაღლი დაიკარგება. პატრონი ხან შინ დაბრუნებულ, კარებთან დაყუნცულ ძაღლს წარმოიდგენს, ხანაც იმას, როგორ მორბის ყურებდაცქვეტილი შარაზე, ხან კიდევ ღობეზე თათების ფრთხილი ფხაჭუნი ესმის.

„ასჯერ მიინც წამოვხტი და კარს ვეცი, მაგრამ ასჯერვე დავრწმუნდი, რომ ეს ხმა ყურებს კი არა, გულს მოესმა.“

ეს ახლო წარსულია; უფრო შორეულიც „ახლო ხედით“ მოაქვს მწერალს. მეორდება განცდა, მოგონება... და ისინი ხშირად „რეაქციის“ ხასიათისაა. აქ მეხსიერებაც ერთვება. იგი უკვე ხსოვნაა. **დრო — ეს მნიშვნელოვანია.** არცთუ იშვიათად, ავტორი ცდილობს, ბავშვობა „ჩაატოს“ ამ დროში, გაამთლიანოს... როგორც უკვე ვახსენე, დასაწყისშივეა ნაამბობი ერთი ამბავი: სოფელში მეფის არმიის კადეტების პოლკი ჩააყენეს, ისინი ცუდად იქცეოდნენ. შეწუხდა ხალხი. პოდა, ერთ დღეს, როცა გმირის და მისი გაზრდილი დათვის ბელის — კოლას თავგადასავალი შეიტყო სოფელმა, იქიდან მოკიდებული ყველაფერი შეიცვალა:

„ამის შემდეგ ჯარისკაცები ფრთხილობდნენ: ხილს არავენ იტაცებდა, პური ისე ცოვდებოდა სათონეში, რომ დარაჯი აღარ სჭირდებოდა. კარვა ხნის მერე გავიგე, რომ კოლა ლევენდად იქცა მეფის არმიაში: „მცხეთაში ისე მოიქცეით, როგორც გაგიხარდებათ, დუშეთშიც, მაგრამ კობიანთკარში კი იფრთხილეთ, იქ ისეთი მძვინვარე ხალხია, რომ მხეცები პატარა ბავშვებსაც კი ფინიებივით დასდევენ უკანო.“

„ლანდების სამყარო“ — ლიტერატურაში სიტყვათა ამ კონტექსტს ცოტა სხვაგვარი დატვირთვა აქვს. ჯორჯ პაპაშვილთან იგი სხვანაირია. ის არაა მოჩვენებების საშინელებათა იდუმალი არემარე, რომელსაც ძრწოლევით იხსენებენ. სრულიადაც არა! ეს შორეული მოგონებების (მონატრებისაც) აღდგენილი სურათებია, რომლებიც აქ „გადმოასახლა“, აქვე მიუჩინა ბინაც. საკუთარი თავი უკვე ნაპოვნი ჰქონდა, ახლა ყურადღებადქცეული მკითხველიც იპოვა. ნოე — კაცობრიობის გადარჩენის საწყისი. ცოლ-ქმარი მსჯელობს როგორ მოიყვანონ ლეკვი და „თავის ჭკუაზე“ გაზარდონ. ვიეიდოთ — ეს ჰელენის აზრია, რაც ჯორჯს გააცინებს და აი, მისი პასუხიც:

„— რას ამბობ!... ძაღლის ყიდვა სად გავონილა?! ჩვენთან, საქართველოში ძაღლს არავინ ყიდულობს. ყველას თავისი ჰყავს.

— ბუცა სად იშოვეთ?

— დედაჩემს მოჰყვა მზითვში. ბუცას პაპა და ჩემი პაპა მეგობრები იყვნენ. ასევე მეგობრობდნენ მათი წინაპრები ქვეყნის დასაბამიდან. ჩემი აზრით, მაშინ ალბათ, გამოქვამული ჰქონდათ ბინად.

— არა მგონია, ამერიკაში ასეთი ძველი შთამომავლობის ძაღლი არსებობდეს, — დაეჭვდა ელენე.“

**მოგონება, იუმორი და სივრცე...** მცხეთა, დუშეთი, კობიანთკარი... მერე ნიუ-იორკი, ლოს-ანჯელესი, ინდიანოპოლისი... იქ, ამერიკაში, საკუთარ ფერმაში წასაყვანად გერმანული ნაგაზის ლეკვს რომ იყიდის, შინ მოსული სახელად ქედანას დაარქმევს:

„ეს სახელი ბავშვობაში მოსმენილი ზღაპრიდან მახსოვდა. ქედანას ამ ზღაპარში ბასარა ჰყავდა მეგობრად. ეს სახელი კი ჩემი ბავშვობის მეგობარ ძაღლს, ბასარას მაგონებდა.“

**წრე შეიკრა თითქოს: რაც იყო, არის. მართალია, სხვა ფორმით, მაგრამ მიწე არის!**

„Thanks to Noah“. ორიოდ სიტყვა სათაურის, ქართული თარგმანის სათაურის თაობაზე — „დღესაც მელოდება.“ ზუსტი, ე.წ. სიტყვა-სიტყვითი თარგმანით — განსხვავებული, მაგრამ სათქმელთან ვფიქრობ, ძალიან ახლოს. არაერთხელ ვახსენე დათვი კოლა, ბავშვობაში ბიძამ რომ აჩუქა და მერე გიორგი რომ ზრდიდა. ჯარში წასვლამდე ცირკის მებატრონეს დაუტოვა მედათვე ვანოს. იმან ცხოველის თვისებებიც შესანიშნავად იცოდა და კარგადაც მოუვლიდა... როცა თავად ვანოც გაიწვიეს ომში, თავის მხრივ, მედუქნე ძმას ჩააბარა. შევებულეებით ჩამოსული გიორგი შემთხვევით სწორედ ამ დუქანში მოხვდა... მერე როგორ განვითარდა მოვლენები ეს ნაწარმოების ერთ-ერთი საუკეთესო ეპიზოდია. დათვმა ხმაზე იცნო თავისი პატრონი, ხოლო მეორე დღეს რომ ვეღარ მიაგნო, ბოძი, რომელზეც იყო მიბმული, ნაფოტებად აქცია, ჯაჭვი გაწყვიტა და გაიქცა. „ჩემს მოსაძებნადო,“ — დაასკვნა მთავარმა პერსონაჟმა და კიდევ ერთხელ შეეცადა მეგობრის პოვნას. ეძებეს. უღაბურ ტყეში ნაცნობები აღარ შეიყოლია და მარტომ ძახილ-ძახილით გააგრძელა გზა. დიდი ხნის სიარულის შემდეგ კლდეებიდან ხმა მოესმა, თითქოს



დათვის ბურღულუნსაც მიამსგავსა და გასძახა:

„ — კოლა, კოლა! თუ მართლა შენა ხარ, ნუ გამოხვალ. ისევ შენს ტყეს შევფარე და შენი თავის ბატონ-პატრონი იყავი. ეს გერჩიენოს ბორკილებს. მანდ მომიცადე და ომები რომ დამთავრდება, კვლავ მოვალ და წამოგიყვან, მანდ დაიძალე და მელოდე!

შემდეგ მოვბრუნდი და მარტოდმარტო წავედი ქალაქში. ჩემი კოლა კი დღესაც იმ ტყეშია და დღესაც მელოდება.“

დათვი თავის ბუნებრივ სივრცეს — ტყეს დაუბრუნდა, თავისუფალი და მეგობრის მომლოდინე. ახლა, პენსილვანიაში ამ წინადადებებს ჰელენს რომ ჰკარნახობს, ჯორჯს-გიორგის გულწრფელად სჯერა, რომ ელოდებიან; იქ, საქართველოში ისევ ელიან...

აქაც ზუსტად ისე, როგორც „ყველაფერის...“ შემთხვევაში მთარგმნელმა, ბნმა ანდრუყაფარ ტეიშვილმა ნაწარმოების პირველივე თავის უკანასკნელი სიტყვები წიგნის სათაურად გამოიტანა.

ჯორჯ პაპაშვილის პერსონაჟებს ქართული სახელები ჰქვიათ: ქედანა, მურა, კიტრა... ბავშვობაში იქ, საქართველოში ვაგონილი და მენსიერებაში ზღაპრის გმირებთან ერთად დამახსოვრებული საკუთარი სახელები „აქ“ გადმოიტანა. ხაზი არ წყდება წარსულსა და აწმყოს შორის; არც „იქ“ და „აქ“ არის გამოიჯნული. თავადაც სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებს:

„ — კარგი სახელის შერჩევა ადვილი საქმე არ არის. ისეთი უნდა იყოს, რომ რაღაცას ნიშნავდეს, ლეკვს უხდებოდეს და დასაძახებლადაც კარგი იყოს.“ ამიტომაცაა, როცა ძაღლის ლეკვებს ახალ პატრონებს აძლევს, მას სთხოვენ: „რაიმე ქართული სახელი შეგვიჩჩიეო.“

ნუ დაგვავიწყდება, ამერიკელი მკითხველისათვის მუდმივად (სხვადასხვა კონტექსტში) ქართულის (საქართველოს) შესხენება ვფიქრობ, სრულიადაც არაა შემთხვევითი. ერთი მაგალითი:

„მძინარე ლეკვები ხელში ავიყვანე. ორივე დედისავით ოქროსფერი იყო, მაგრამ ვაგონას ქედანას ხალები გამოჰყოლოდა, თითქოს ტრაფარეტით გადმოჰტანიათო, ბიჭუნა კი ალი-კვალი მურა იყო სახით.“

„არ დამივიწყო,“ — გადავწყვიტე ბოლოს, ძუ ლეკვს შემოკლებით არდას დავარქმევ, ამ პატარა აბეზარას კი, ფარდაგების საგლეჯად და ძილის დასაფრთხობად რომ ვიტოვებთ, „აქავარ“ დავუძახოთ.

ელენემ ორივე სახელი გაიმეორა. ორივე შესანიშნავად ჟღერდა. მერე მნიშვნელობა მკითხა და ვუთარგმნე.

რასაკვირველია, უსარგებლო საქმეა ყველაფერში სიმბოლოებისა და ქვეტექსტების ძებნა, მაგრამ ჯორჯ პაპაშვილის ნაწარმოების მთავარ გმირს, დასასრულ, ორი საქმე აქვს მოსაგვარებელი: პირველი — ლეკვის გაჩუქება (ფრანკენფილდებისათვის) და მეორე — ქანდაკების გაკეთება („ბედნიერი დედის“ — ამ ლამაზი, ბუთხუზა ლეკვების დედის დიდი ლოდისაგან გამოთლა).

მშვენიერი დასასრული მარადიულ დროზე — სიმშვიდის, ჰარმონიის, ბედნიერ-




ების, გამრავლების ნიშანი; ასევე, გაჩერებული დროც (ქანდაკება).

ქართულ ენაზე წიგნი გამომცემლობა „ნაკადულმა“ დაბეჭდა; ტირაჟი = 20.000  
გახლდათ, ფასი: 30 კაპიკი, მნიშვნელობა —? კვალს რომ ტოვებს, იმგვარი.

— კვალი?

— სიყვარული. სამყაროს სიყვარული!






ჯორჯ პაპაშვილი




სპეციალური კოლექციიდან











სპეციალური  
კოლექციიდან




ილუსტრაციები  
წიგნიდან  
„მადლობა ნოეს“








ჯორჯ და ჰელენ  
პაპაშვილების წიგნი  
„ძაღვლები და ადამიანები“






ჯორჯ პაპაშვილი საყვარელ  
ძაღვებთან ერთად



წიგნის ყდა





წიგნში დაბეჭდილი ფოტოები და ხელნაწერთა პირები დაცულია სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში, დაწესებულებაში თუ კერძო საოჯახო არქივებში.

ამერიკის შეერთებული შტატები, პენსილვანია, ლიჭაის უნივერსიტეტის არქივი, ჯორჯ და ჰელენ უეიტ პაპაშვილების სპეციალური კოლექცია

საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის, უაზლესი ისტორიის ცენტრალური არქივის – ლიტერატურის და ხელოვნების განყოფილება  
თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი (გ. შარაძის კოლექცია)

წიგნის მხატვრული გაფორმებისას გამოყენებულია ლადო გრიგოლიას მხატვრულ-გრაფიკული მოტივები

## შინაარსი

„Anything... „ყველაფერი... ..	7
ფილმი .....	180
... ნოე?!.....	267

## UNKNOWN GEORGE (*GIORGI*) PAPASHVILY

One of the significant representatives of the Georgian expatriates is George (Giorgi) Papashvily. Very little was known about him in Georgia. However, most of it was incorrect. During the Soviet era it was understandable and natural. He left the country in the days of 1921 together with the government of the Democratic Republic of Georgia.

The author of the American best-seller „Anything Can Happen” was a sculptor first of all. He wrote his book together with his wife Helen White Papashvily. The book was selected as the Book of the Month Club. „An unprecedented phenomenon” was one of the main assessments among numerous reviews and literary articles which were written that time. It was the fact that the book became a best-seller. It was translated into many languages. The spouses co-authored and published a number of books.

The name of George Papashvily was included in such influential publications as „Who’s Who in American Arts“ and „Who’s Who in American Literature of the 20- th century”.

Walt Whiteman, Mark Twain, Jack London, Henry Francis Scott Fitzgerald, William Faulkner, Ernest Hemingway, Eugene o’Neil... and several dozen names. This is the selected American library. These authors (their works) in the series of the Selected Works of American Literature have their distinguished place. More importantly, one name, George Papashvily, was added to such a high rank list. It happened in 1950.

Exhibitions: The Pennsylvania Academy of the Fine Arts, the Philadelphia Museum of Art, the Redding State Museum and Art Gallery-several years before the death of the sculptor (1971), the William Penn memorial Museum arranged a retrospective display of the works of George Papashvily. The documentary film entitled as „Beauty in Stone” is shot about him as a sculptor; in 1952 in Hollywood the film with the same title „Anything Can Happen” was made; the director was George Sitton, the actors – Jose Ferrer and Kim Hunter.

The special collection of George and Helen Papashvily is preserved in the USA, in Pennsylvania, Lehigh University. It’s a very rich and diverse archive. Many expatriates of Georgian descent were „enlisted” in various countries’ cultures.

Dozens of unknown pages or unpublicized facts not only reveal the silhouette of persons but also the events. The tokens of the above presented epoch-numerous photos and manuscripts, are unique and published for the first time. The introduction of the American writer and sculptor of the Georgian origin to a wider audience will be an important fact at the crossroad of the Georgian-American cultures. The comprehensive study of their activities is unfeasible and unserious without considering both Geographical spaces. We offer you this unified world in this book.

## НЕИЗВЕСТНЫЙ ДЖОРДЖ (ГЕОРГИЙ) ПАПАШВИЛИ

Джордж (Георгий) Папашвили является одним из видных представителей грузинской эмиграции. В Грузии о нем было известно очень мало, к тому же, и имеющиеся сведения были частично ошибочны. В условиях советского режима это было понятно и, можно сказать, естественно. Он покинул родину в тяжелые дни 1921 года вместе с правительством демократической республики.

Джордж Папашвили, автор известного в Америке бестселлера «Всё может случиться» был, в первую очередь, скульптором. Эту книгу он написал вместе со своей супругой Элен Уэйт-Папашвили. Их совместное произведение Книжный клуб удостоил звания книги месяца. «Беспрецедентное явление» - вот одно из многочисленных оценок и рецензий, писавшихся по ее поводу в те дни. То, что книга стала бестселлером – неоспоримый факт. Она была переведена на многие языки. Впоследствии супруги опубликовали в соавторстве еще несколько книг.

Имя Георгия Папашвили было внесено в такие солидные издания, как «Кто есть кто в американском искусстве» «Кто есть кто в американской литературе 20-го века».

Уолт Уитмен, Марк Твен, Джек Лондон, Генри Джеймс, Френсис Скотт Фицджеральд, Уильям Фолкнер, Эрнест Хемингуэй, Юджин О'Нил... Эти и еще несколько десятков имен составляют избранную библиотеку американской литературы. В серии «Избранных произведений американской литературы» произведения этих авторов занимают своё особое место. Тем более важно то, что список такого ранга пополнился именем Джорджа Папашвили. Это произошло в 1950 году!

Выставки: Пенсильванская академия изящных искусств, Филадельфийский художественный музей, Редингский государственный музей и художественная галерея... За несколько лет до смерти скульптора (1971) Музей Мемориала Уильяма Пенна выставил 60 работ Джорджа Папашвили в качестве ретроспективной экспозиции. О его творчестве снят документальный фильм, который называется «Красота в камне»; в 1952 году Голливуд снял фильм с тем же названием, что и книга Папашвили – «Всё может случиться»; режиссер – Джордж Ситтон, в ролях Хосе Фарер и Ким Хантер.

Специальная коллекция Джорджа и Элен Папашвили хранится в США, в Лихайском университете. Это необычайно богатый и разнообразный архив. Не один эмигрант грузинского происхождения «вписался» в культуру чуждой ему страны. Множество неизвестных страниц истории и не

оглашенных фактов добавляют новые черты не только силуэтам личностей, но и событиям той эпохи. Представленные здесь приметы эпохи – большое количество фотографий и автографов – уникальны и публикуются впервые. Знакомство широкой общественности Грузии с личностью американского скульптора и писателя, грузина по происхождению, безусловно, станет значительным фактом на пересечении грузинско-американских культур. Исследование творчества подобных личностей остается неполным и несерьезным без принятия во внимание обоих географических регионов. Данная книга предлагает вниманию читателя именно такую полную картину.

დაიბეჭდა შ.პ.ს. „საჩინოში“  
e-mail: sachino64@mail.ru  
მისამართი: ც. დადიანის 100

K 43.122  
4



რუსუდან ნიშნიანიძე – ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი წარჩინებით დაამთავრა 1984 წელს. 1983 წელს ამავე უნივერსიტეტის საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტი ხელოვნებათმცოდნის სპეციალობით. იყო საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წ.წ.) მთავრობის არქივზე (პარიზ-ლევინი, ჰარვარდი) მომუშავე საგანგებო სახელმწიფო კომისიის წევრი და ასევე, კონსტანტინე

გამსახურდიას „კოლხური კოშკის“ და არქივის დაცვის კომისიის წევრი. მონაწილეობას იღებს სამეცნიერო სესიებისა და საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში. ავტორია 124 სამეცნიერო ნაშრომის, 4 მონოგრაფიის, 4 ნიგნის და 3 ნიგნაკის:

„XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან...“ (2000)

ორტომეული: „საქართველო – სამანს აქეთ... და სამანს იქით...“ ნიგნი I და ნიგნი II (2005)

„შეხვედრები“ (2008)

„პირველად შტატებში“ (2012)

„მეორედ“ (2012)

„პეტრე ხვედელიძე – ლეგენდარული ქართველი“ (2013)

რუსუდან ნიშნიანიძე იკვლევს XX საუკუნის ეროვნული და ემიგრანტული მწერლობის საკითხებს.

ISBN 978-9941-27-627-9



9 789941 276279 >